

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი

# ტერმინოლოგიის საკითხები

III

2018

## სარედაქციო საბჭო:

- ა. არაბული – ფილოლ. მეცნ. დოქტ., აკადემიკოსი (სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე);
- შ. აფრიდონიძე – ფილ. მეცნ. დოქტ., ილიას უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი;
- ო. გამყრელიძე – იურიდ. მეცნ. დოქტ., სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;
- გ. გელაშვილი – ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ., ელ. ანდრონიკაშვილი სახ. ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;
- გ. გოგიშვილი – მათ. აკად. დოქტ., საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტი;
- გ. გოგოლაშვილი – ფილოლ. მეცნ. დოქტ., ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;
- დ. თვალთვაძე – ფილოლ. მეცნიერებათა დოქტორი;
- გ. კვარაცხელია – ფილ. მეცნ. დოქტ., აკადემიკოსი;
- ე. მეძმარიაშვილი – გენერალ-მაიორი, სამხედრო მეცნ. დოქტ., ტექნ. მეცნ. დოქტ., აკადემიკოსი;
- ვლ. პაპავა – ეკონ. მეცნ. დოქტ., აკადემიკოსი;
- რ. შენგელია – მედიც. მეცნ. დოქტ., პროფესორი;
- გ. ძიმიგური – ტექნ. მეცნ. დოქტ., პროფესორი

## სარედაქციო კოლეგია:

ლ., გიორგაძე, ნ. დათეშიძე (მდივანი), თ. ვაშაკიძე, ნ. მუზაშვილი,  
მ. ოსაძე, რ. პაპიაშვილი, მ. სეხნიაშვილი, ნ. სხირტლაძე,  
ლ. ქაროსანიძე (თავმჯდომარე), ი. ჯიბუტი, ა. ხურცილავა

რედაქტორი ლ. ქაროსანიძე

## ალბინა აუკსორიუტე\*, მარიამ მანჯგალაძე

### ენობრივი პოლიტიკა ლიტვაში

(გამოცდილება და პერსპექტივა)

ენობრივი პოლიტიკა კანონითაა მართული ლიტვის რესპუბლიკაში. კანონითვეა განსაზღვრული ერთიანი სახელმწიფო ენის სტატუსი. ოფიციალურად, ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფო ენად იგი 1922 წელს გამოცხადდა. პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუციაში შემდეგი ჩანაწერია: „ლიტვური ენა სახელმწიფო ენაა. სხვა ადგილობრივი, ლოკალური ენების გამოყენება დარეგულირებულია კანონით“.

კონსტიტუციებში, რომლებიც მოქმედებდა 1940 წლის შემდეგ, საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში (1940, 1978 წ.წ.), ლიტვურ ენას არ ჰქონდა სახელმწიფო ენის სტატუსი. ფაქტობრივად, მხოლოდ 1988 წელს, ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის შედეგად, აღადგინეს ლიტვური ენის – სახელმწიფო ენის სტატუსი.

1990 წლის 11 მარტს ლიტვის რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი ქვეყნის დამოუკიდებლობის შესახებ და აღადგინა 1938 წლის კონსტიტუცია.

ლიტვის დამოუკიდებელი რესპუბლიკის კონსტიტუციის მეშვიდე სტატიაში ჩაიწერა: „ლიტვური ენა არის ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა“.

1992 წელს დაამტკიცეს ახალი კონსტიტუცია, რომლის მეთოთხმეტე სტატიაში კვლავ ჩაიწერა, რომ ლიტვური ენა არის სახელმწიფო ენა.

1990 წლის 20 ივნისის დადგენილებით, ლიტვის რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა ლიტვის რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დაქვემდებარებული ლიტვური ენის სახელმწიფო კომისია. ეს კომისია არის უფლებამოსილი, გადაწყვიტოს ენის კოდიფიკაციისა

---

\* ინფოტერმის პრეზიდენტი, ლიტვური ენის ინსტიტუტის ტერმინოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიური ასოციაციის წევრი.

და სტანდარტიზაციის, სახელმწიფო ენის რეალიზაციისა და მის და-  
ნერგვასთან დაკავშირებული საკითხები.

1993 წლის 27 მარტს მიღებული იყო კანონი ლიტვური ენის სა-  
ხელმწიფო კომისიის შესახებ, რომელმაც განსაზღვრა მისი სამარ-  
თლებრივი სტატუსი. ჩანაწერი შემდეგი სახისაა: „ლიტვური ენის სა-  
ხელმწიფო კომისია სახელმწიფო დაწესებულებაა. ის ფუძნდება, რე-  
ორგანიზებული ან დათხოვილი იქნება ლიტვის რესპუბლიკის პარ-  
ლამენტის მიერ. კომისია ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინა-  
შე“.

კანონში ჩაწერილია, რომ კომისია 17 წევრისგან უნდა შედგებო-  
დეს, ისინი ინიშნებიან ან თავისუფლდებიან თანამდებობიდან პარ-  
ლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის რე-  
კომენდაციით. კანდიდატების წარდგენა შესაძლებელია უნივერსიტე-  
ტების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და შემოქმედები-  
თი ორგანიზაციების ინიციატივით.

**კანონი ავალდებულებს ენის კომისიას, გადაწყვიტოს შემდეგი  
ამოცანები:**

1. სახელმწიფო ენის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები;
2. ქვეყნის პრეზიდენტსა და პარლამენტს წარუდგინოს სახელ-  
მწიფო ენის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული წინადადებები და,  
უშუალოდ, იურიდიული დოკუმენტების ენასთან დაკავშირებული  
დასკვნები;
3. წარადგინოს სახელმწიფო ინსტიტუციების დასკვნები იმ სა-  
მართლებრივი აქტების პროექტებზე, რომლებიც შეიცავს სახელმწი-  
ფო ენის გამოყენების მარეგულირებელ დებულებებს;
4. დაადგინოს სახელმწიფო ენის ფუნქციონირების მიმართუ-  
ლება და გადაწყვიტოს სტანდარტიზაციისა და კოდიფიკაციის საკი-  
თხები;
5. შეაფასოს და დაამტკიცოს მნიშვნელოვანი კვლევები და ნა-  
შრომები, რომლებიც ეხება ენის სტანდარტიზაციის საკითხებს (ლექ-  
სიკონები, ცნობარები, გზამკვლევები და სახელმძღვანელოები);
6. გააკონტროლოს ლიტვური ენის მართებულად გამოყენების  
საკითხი საინფორმაციო ტექნოლოგიებში (ინტერნეტსივრცეში).
7. გააკონტროლოს ტერმინების შემოტანის საკითხი ლიტვურ  
ენაში, იზრუნოს დიალექტებისა და ტოპონიმების შენარჩუნებაზე;



დაადგინოს ტრადიციული, ლოკალური, გეოგრაფიული სიტყვების ნუსხა და განსაზღვროს ადგილობრივი გეოგრაფიული დასახელებების წერისა და წარმოთქმის წესი.

8. გააკონტროლოს საჯარო სივრცეში სახელმწიფო ენის გამოყენების კულტურა; სალიტერატურო ენის ხარისხი სასწავლო დაწესებულებებში, მასმედიაში, გამომცემლობებში, სამეცნიერო საქმიანობისას და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში.

9. განიხილოს საზოგადოების მიერ სახელმწიფო ენის გამოყენებასთან დაკავშირებით წინ წამოწეული მნიშვნელოვანი საკითხები.

კანონში ჩაწერილია, რომ ენობრივი კომისიის გადაწყვეტილება სავალდებულოა ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულებებისათვის; ყველა ოფისის, საწარმოსა თუ ორგანიზაციისათვის.

1993 წელსვე, რეორგანიზაციის შედეგად, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტთან ჩამოყალიბდა **ლიტვის კულტურული მემკვიდრეობის ინსპექცია**. 1995 წელს, რეორგანიზაციის შედეგად, იგი ჩამოყალიბდა **ლიტვური ენის სახელმწიფო კომისიის ლინგვისტურ ინსპექციად** და დაექვემდებარა **ლიტვის რესპუბლიკის პარლამენტის ენობრივ ინსპექციას**.

1990 წელს უმაღლესმა საბჭომ მუნიციპალური ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელებს დაავალა დაეწყოთ მუშაობა ენის სტანდარტიზაციაზე. მალე, ადგილობრივ დონეზე, შეიქმნა შტატები. 1990 წელი შეიძლება შეფასდეს, როგორც ენობრივი სისტემის ფორმირებისა და ენობრივ სისტემაზე დაკვირვების დაწყების ახალი ეტაპი ლიტვაში.

1995 წლის 31 იანვარს პარლამენტმა მიიღო ენობრივი პოლიტიკის განმსაზღვრელი **ძირითადი კანონი სახელმწიფო ენის შესახებ**. განისაზღვრა სახელმწიფო ენის დაცვის, გავრცელების, ზედამხედველობის, პასუხისმგებლობის, დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების წესები.

კანონში წერია, რომ ყველა საკანონმდებლო დოკუმენტი თუ აქტი, საბუღალტრო თუ ფინანსური დოკუმენტი მხოლოდ სახელმწიფო ენაზეა წარსადგენი. ენის სახელმწიფო კომისია უფლებამოსილია შემოწმოს, გამოავლინოს ხარვეზები და, კანონთან შესაბამისობის დარღვევისას გადასცეს ლინგვისტურ ინსპექციას.

2006 წელს მომზადდა სახელმწიფო ენის კანონის ახალი რედაქცია, 2015 წელს კი – კონსტიტუციის ახალი რედაქცია, მაგრამ იგი

დღემდე არ არის მიღებული/დამტკიცებული პარლამენტის მიერ, შესაბამისად, კანონის ძველი ვერსია არ არის ბოლომდე ეფექტური.

1996 წლიდან ენის კომისიამ დაიწყო სახელმწიფო ენის განვითარების ხელშემწყობი კოორდინირებული პროგრამების განხორციელება 1996-2005 წლებისათვის (სახელმწიფო დაფინანსებით), პროგრამების ნაწილი სრულდებოდა კონტრაქტის საფუძველზე, სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ. სახელმწიფო პროგრამა მხარს უჭერდა საენათმეცნიერო კვლევებს, საერთო და სპეციალიზებული ლექსიკონებისა და დიალექტური მასალის გამოცემას, ლიტვური ენის შესასწავლი კურსების შექმნას და სხვ.

დღეისათვის ორი ძირითადი პროგრამა ხორციელდება ენის კომისიის მიერ:

- სახელმწიფო ენის სტანდარტიზაციის, განვითარების, გამოყენების, გავრცელების პროგრამა 2016-2018 წლებში.
- ლიტვური სტანდარტული ენის ფუნქციონირების, დიალექტების, სხვა ენობრივი ჯგუფების კვლევის, განვითარების, შენარჩუნების პროგრამა 2011-2020 წლებში.

2003 წელს პარლამენტმა დაამტკიცა ენობრივი პოლიტიკის სახელმძღვანელო 2003-2008 წლებისათვის. ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია სახელმწიფო ენის პოლიტიკის მთავარი მიზნები და ამოცანები. დოკუმენტში ენობრივი მემკვიდრეობის განვითარება იყო მთავარი აქცენტი: **სისტემატური და შემოქმედებითი ზემოქმედება ენობრივ პოლიტიკაზე იმისათვის, რომ საზოგადოებამ კარგად გაითავისოს საკუთარი სახელმწიფო ენის ღირებულება/სიმდიდრე და ეჭვი არ შეეპაროს მისი განვითარების პოტენციალში.**

ამავე დოკუმენტში წერია, რომ ლიტვის რესპუბლიკა უზრუნველყოფს ლიტვის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური და ნაციონალური უმცირესობების ენათა შენარჩუნებისა და განვითარების საკითხს.

2004 წელს ლიტვის რესპუბლიკის მთავრობამ მოიწონა ენობრივი პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი კონკრეტული საკითხები და მითითებულნი იყვნენ შემსრულებელი პირები.

2008 წელს ლიტვური ენის სახელმწიფო კომისიამ წარადგინა ენობრივი პოლიტიკის სამოქმედო გეგმა 2009-2013 წლებისათვის, რო-

მელიც, ასევე არ იყო მიღებული, რადგან არ იყო დამტკიცებული ახალი კანონი სახელმწიფო ენის შესახებ.

აღსანიშნია, რომ 2003-2008 წლების ამოცანების უდიდესი ნაწილი შესრულდა, მაგრამ არაერთი პრობლემური საკითხი დარჩა მოსაგვარებელი, მაგ.: სტანდარტული ენის კოდიფიკაციის საკითხი, რომელიც სხვადასხვა ასპექტითაა დასარეგულირებელი, მაგ.: კოდიფიკაციის მეცნიერული საფუძველი, გლობალიზაციის პროცესში მონაწილე ლიტვური ენის გამოყენების საკითხის ცვალებადობა; მედიისა და ინტერნეტის ენა; ენის მოდერნიზაცია, ადაპტაციის საკითხი, ენობრივი დაგეგმარება, სტანდარტიზაციის უწყვეტობა, ენის განვითარების პერსპექტივის გამოკვეთა, ენობრივი პოლიტიკის სპეციალისტთა მომზადება, ენის პრესტიჟის ამაღლება, ახალი გზების მოძიება ენის ადმინისტრატორებსა და ენის მატარებლებს/გამომყენებლებს შორის პერიოდული დამაბულობის მოსაგვარებლად.

### ტერმინოლოგიური კვლევა ლიტვაში

ტერმინოლოგიური კვლევა ლიტვური ენის ინსტიტუტში, უნივერსიტეტებსა და სხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მიმდინარეობს.

ლიტვური ენის ინსტიტუტში ტერმინოლოგიური ცენტრი იკვლევს და ამუშავებს ლიტვურ ტერმინოლოგიას, ტერმინოგრაფიას და აანალიზებს ტერმინოლოგიის გამოყენების პრობლემატიკას სხვადასხვა დარგის მიხედვით. ცენტრის მკვლევრები აანალიზებენ თანამედროვე ტერმინოლოგიისა და ტერმინოგრაფიის საკითხებს. სამეცნიერო ნაშრომთა კრებული "ტერმინოლოგია" ქვეყნდება ყოველწლიურად.

ჟურნალი დაფუძნდა 1994 წელს და გასულ წელს გამოქვეყნდა 23-ე ნომერი. მეცამეტე ნომრიდან გახდა საერთაშორისო (ლიტვური და ზოგადლინგვისტური ტერმინოლოგია) და ჰყავს საერთაშორისო რედაქტორთა საბჭო. ჟურნალი სამენოვანია. „ტერმინოლოგიაში“ იბეჭდება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხები; ტერმინოლოგიის შემუშავებისა და გავრცელების პრინციპები; წარმოადგენს ენობრივ და ტერმინოლოგიურ რესურსებს, განიხილება სხვადასხვა ტერმინოლოგიური საკითხი ევროკავშირის დოკუმენტებში; აკადემიური ენის განვითარებისა და ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციის საკითხები; თანამედროვე ლიტვური ტერმინოლოგიის წყაროები; იბეჭდება მიმოხილვები, რეცენზიები, უკანასკნელ პერიოდში გამოცემუ-

ლი ტერმინოლოგიური ლექსიკონების ანოტირებული ბიბლიოგრაფია, საერთაშორისო ტერმინოლოგიური სიახლეები და სხვა.

ცენტრის მიერ მომზადებულია 8 საერთაშორისო ტერმინოლოგიური კონფერენცია, სემინარები, დისკუსიები. ლიტვური ენის ინსტიტუტი არის საერთაშორისო ტერმინოლოგიური ასოციაციისა და ევროპის ტერმინოლოგთა ასოციაციის წევრი (International Information Centre for Terminology (INFOTERM) and European Association for Terminology (EAFIT)).

ცენტრის მკვლევრები თანამშრომლობენ ენის კომისიასთან ექსპერტების სტატუსით. ქმნიან ტერმინოლოგიურ ბაზებს; უწევენ კონსულტაციებს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს. მათ შექმნეს ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი *Skolinti terminai ir jų atitikmenys (Borrowed terms and their equivalents (შესატყვისი ტერმინები და მათი კვივალენტები))* <http://sta.lki.lt>.

ეს ლიტვური ენის ინსტიტუტის ვებგვერდის მისამართია: [www.lki.lt](http://www.lki.lt).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ტერმინოლოგიური კვლევა მხოლოდ ლიტვური ენის ინსტიტუტში არ მიმდინარეობს, მაგრამ რეალურად, სხვა ინსტიტუციებიდან მხოლოდ მკვლევართა ინდივიდუალური მონაწილეობა ფიქსირდება.

### ტერმინოლოგიის მართვა ლიტვაში

ტერმინოლოგიის მართვის ორი მიმართულება შეიძლება გამოვყოთ: ტერმინოგრაფია, ტერმინოლოგიური ლექსიკონების მომზადება და ბეჭდვა; ტერმინთა ბანკისა და მონაცემთა ბანკის შექმნა.

ტერმინოგრაფიის საწყის ეტაპად ლიტვაში შეიძლება ჩაითვალოს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი, როდესაც ბერმა იურგის პაბრეჟამ (1771-1849) შექმნა ბოტანიკის პირველი ლექსიკონი.

1900 წელი ითვლება ლიტვურ ენაზე დაბეჭდილი პირველი ლექსიკონის გამოქვეყნების წლად. ბოლო 50 წლის განმავლობაში 170 სხვადასხვა ტიპის ლექსიკონია დაბეჭდილი. მეტ-ნაკლებად პროდუქტიული პერიოდი ლიტვური ტერმინოლოგიისათვის იწყება 1990 წლიდან. ამ პერიოდიდან დღემდე გამოქვეყნებულია 420 ტერმინოლოგიური ლექსიკონი და სხვადასხვა დარგის ენციკლოპედია. ნახევარზე მეტი გამოცემული ლექსიკონებისა არის განმარტებითი. ხაზგა-

სასმელია, რომ სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა ხელს უწყობდა ბოლო პერიოდის ტერმინოლოგიური სამუშაოების წარმართვას.

ტერმინოლოგიურ ლექსიკონთა რაოდენობა, საერთო ჯამში, 600-ზე მეტია. ზოგიერთი ლექსიკონი რამდენჯერმეა გამოცემული. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი დარგის მიხედვით მაინც არ არის ხელმისაწვდომი ტერმინოლოგიური ლექსიკონები. ამიტომ, ენის კომისიამ გადაწყვიტა შექმნილი სიტუაციის წახალისება და გამოაცხადა კონკურსი ცალკეული ლექსიკონების შესაქმნელად. ბოლო წლებში ასეთი სურათია: გამოცემული ლექსიკონების საშუალო რაოდენობა 2004-2007 წლებში არის - 20; 2009-2012 წ.წ. - 10, 2015-ში კი - 15.

შეიძლება ითქვას, დღეისათვის უმნიშვნელოვანესი ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზა არის ლიტვის რესპუბლიკის ტერმინთა ბანკი (*lt Lietuvos Respublikos terminų bankas*).

2003 წელს მიიღეს კანონი ტერმინოლოგიური რეგულაციების, ტერმინთა ბანკისა და მენეჯმენტის შესახებ და ამ 14 წლის განმავლობაში ტერმინოლოგიური მენეჯმენტი კანონითაა დარეგულირებული. ადმინისტრირებას ენის კომისია ახორციელებს.

ტერმინთა ბანკის სტრუქტურა, ინფორმაციული სისტემის ტექნიკური მონაცემები, მოთხოვნები და სხვა საკითხები განსაზღვრულია ტერმინთა ბანკის მეთოდით. ამ ბანკის შექმნის მიზანია სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურისთვის ერთიანი ინფორმაციული სისტემის შექმნა. მონაცემებით სარგებლობა შეუძლიათ სპეციალისტებს არა მხოლოდ ლიტვაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

პარლამენტს, სხვადასხვა სამინისტროს, მათთან დაქვემდებარებულ დაწესებულებებს, სახელმწიფო ორგანოებს, აქვთ უფლება შეინახონ და მართონ საკუთარი მონაცემები ერთიან ტერმინოლოგიურ ბანკში. ტერმინოლოგიური კომისიები შეიქმნა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში, კომისიის წევრები პასუხისმგებლები იყვნენ მოქმედი კანონების შედგენაზე, რედაქტირებასა და ტერმინთა ჩაწერაზე მონაცემთა ბაზაში.

დაბოლოს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სააკანონმდებლო პროექტების კოორდინაციას ენის კომისიასთან და მათს ჩამატებას ტერმინთა ბანკში.

ქვეკომიტეტის მიერ მოწონებული ტერმინები მტკიცდება ენის კომისიის მიერ და ემატება ტერმინთა ბანკს. ამავე ბანკში ინტეგრირებულია ლექსიკონები, რომლებმაც კომისიამ დადებითად შეაფასა. ესენი უმეტესად განმარტებითი ლექსიკონებია. დღეისათვის 45 ასე-

თი ლექსიკონია ხელმისაწვდომი. ელ. რესურსით სარგებლობის მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება. წელიწადში 1000000 განაცხადია შემოსული.

**ტერმინთა ბანკი დღეისათვის არის ყველაზე სანდო და უნივერსალური რესურსი, იგი ხელმისაწვდომია ინტერნეტში, ღირებულია მკვლევართათვის, რედაქტორებისათვის, მთარგმნელებისთვის, ტერმინოლოგთათვის ან ტერმინოლოგიის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.**

ტერმინთა ბანკი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://terminai.vlkk.lt/pls/tb/tb.search>.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდის სწრაფი ცვლილებების ფონზე მაინც იგრძნობა არასაკმარისი მხარდაჭერა თეორიული თუ გამოყენებითი კვლევების მიმართულებით. სამწუხაროა, რომ არაერთი სიღრმისეული ენობრივი საკითხი, მაგ., როგორცაა ლიტვური ენის სისტემური ცვლილებები და უცხო ენების გავლენა, მხოლოდ სპორადულია. ციფრული ენობრივი მონაცემები ყოველდღიურად იზრდება, მაგრამ თანამედროვე ელექტრონული მონაცემთა ბაზები და ბანკები ჯერ კიდევ ცოტაა. ზოგიერთი კვლევა ფინანსდება უშუალოდ კვლევითი დაწესებულებების ბიუჯეტიდან, ზოგი კი – სხვადასხვა პროგრამიდან.

შეიძლება შევაჯამოთ, რომ ლიტვაში შექმნილია გამართული სამართლებრივი საფუძველი ენობრივი პოლიტიკის განსახორციელებლად. ბევრი რამ უკვე გაკეთებულია, მაგრამ მაინც რჩება რიგი საკითხებისა, რომელთა გადაჭრაც უმნიშვნელოვანესია ენობრივი პოლიტიკის საფუძვლიანი და სტაბილური განვითარებისათვის.

## ლიტერატურა

**Albina Auksoriute:** Current State of Terminology in Lithuania: Scientific Research, Management and Education, <https://ispan.waw.pl/journals/index.php/abs/article/view/abs.2016.007/2496>

Gairės 2009: Valstybinės kalbos politikos 2009–2013 m. gairės (projektas). – Internet access : <http://www.vlkk.lt/lit/10110>

Kalbos politikos gairių priemonių planas. – Internet access: <http://www.vlkk.lt/lit/apie/politikos-gairiu-planas.html>.

Constitution of the Republic of Lithuania. – Internet access :  
[http://www3.lrs.lt/pls/inter3/dokpaieska.showdoc\\_e?p\\_id=197469](http://www3.lrs.lt/pls/inter3/dokpaieska.showdoc_e?p_id=197469)

Law on the Amendment of the Republic of Lithuania Law on the Status of the State Commission of the Lithuanian Language (2001) – Internet access:

[http://www3.lrs.lt/pls/inter2/dokpaieska.showdoc\\_e?p\\_id=157640](http://www3.lrs.lt/pls/inter2/dokpaieska.showdoc_e?p_id=157640)

Miliūnaitė R. 2010: Bendrinės kalbos normintojai ir besikuriantis skaitmeninio modernizmo visuomenė. – *Kalbos kultūra* 83, 98–118.

Republic of Lithuania Law on the State Language – Internet access:

[http://www3.lrs.lt/pls/inter2/dokpaieska.showdoc\\_e?p\\_id=21941](http://www3.lrs.lt/pls/inter2/dokpaieska.showdoc_e?p_id=21941)

SLPG 2003: State Language Policy Guidelines 2003–2008. – Internet access:

[http://www.vlkk.lt/eng/files/language\\_policy\\_guidelines.doc](http://www.vlkk.lt/eng/files/language_policy_guidelines.doc)

VLKK įstatymas: Valstybinės lietuvių kalbos komisijos įstatymas. –

Internet access : [http://www3.lrs.lt/pls/inter3/dokpaieska.showdoc\\_l?p\\_id=238308](http://www3.lrs.lt/pls/inter3/dokpaieska.showdoc_l?p_id=238308)

## **Albina Auksoriūtė, Mariam Manjgaladze**

### **Language Policy of Lithuania: Experience and Challenges**

#### Summary

The presentation discusses issues of language policy in Lithuania, with a focus on the current state of language policy, its legal base and challenges. It introduces the State Commission of the Lithuanian Language – the main State institution which is in charge of the implementation of language policy in Lithuania.

The State Commission of the Lithuanian Language (further – Language Commission) is a State institution, accountable to the Parliament of Lithuania. The Language Commission shall be comprised of 17 members, appointed and dismissed upon the recommendation of the Committee on Education, Science and Culture of the Parliament. Candidates to be appointed to the Language Commission may be proposed to the Committee by universities, research institutions and creative societies. The members of

the Language Commission are appointed for a five-year-term. The decisions of the Language Commission are obligatory for State and municipal institutions, all of the offices, enterprises and organizations operating in the Republic of Lithuania.


The Language Commission shall decide issues concerning the implementation of the Law on the State Language, establishes the directions of regulating the Lithuanian language, decides the issues of standardization and codification of Lithuanian language; appraises and approves the most important standardizing language works (dictionaries, reference books, guidebooks and textbooks), etc.

The Law on the State Language is the principal document that establishes the principles of language policy. The Law established the use of the state language in the public life of Lithuania, protection of the state language, supervision and liability for the violations of the Law on the State Language. The Law stipulates that laws and other legal acts of the Republic of Lithuania shall be adopted and promulgated in the State Language, and all institutions, establishments, enterprises and organizations which function in the Republic of Lithuania shall manage filing work, accounting, and reporting, financial and technical documents in the State Language. The State Commission of the Lithuanian Language has the power of establishing the trends and tasks of State Language protection and approving linguistic norms, the enforcement of this Law being delegated to the Language Inspection.

This presentation gives a brief overview of other legal acts that regulate different issues of language policy in Lithuania, and in particular the Law on the State Commission of the Lithuanian Language and the Law of the Term Bank of the Republic of Lithuania.

The presentation also discusses the current state of terminology in Lithuania, presents terminological research carried out in the last five years, analyses ways of Lithuanian terminology management, gives a brief overview of the resources of Lithuanian terminology and introduces the most important electronic resources.





ნიკო ნიკოლაძე  
(1843-1928)

## ლია ბიბილეიშვილი

### მამა-შვილის – ნიკო და გიორგი ნიკოლაძეების - სამეცნიერო საქმიანობა საზღვარგარეთ

„მხოლოდ ის, ვისაც თავისი საზოგადოება მიჰყავს წინ სიკეთისა და პროგრესის გზით,... იპოვის ადგილს თავის თანამემამულეთა გულსა და ხსოვნაში“, – წერდა „დიდი ნიკო“.

როგორც საკუთარი, ისე მისი ოჯახის წევრთა ცხოვრება და მოღვაწეობა ამ სიტყვების ჭეშმარიტების დასტურია. სახელოვან მამულიშვილთა ამ დიდი ოჯახიდან ორი ბუმბერაზი პიროვნება გამოირ-

ჩეოდა – მამა-შვილი ნიკო და გიორგი ნიკოლაძეები. მათზე ფიქრისას თუ საუბრისას რუსთველის სიტყვები მახსენდება: „მამა ყოველი მისაგან ითავსებოდა“. ვინ იცის, „დიდი ნიკოს“ ერთადერთ ვაჟს – გიორგის – რომ დასცლოდა სიცოცხლე, მეცნიერებაში, ტექნიკასა თუ სპორტში რა სიმაღლეებს დაიპყრობდა!...

დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სავანე, აქ წარმოდგენილი და დაცული მდიდარი და საინტერესო მასალა ამ დიდი ოჯახის თითოეულ წევრზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის.

#### *დისერტაციები*

მამა – ნიკო ნიკოლაძე. თემა: „განიარაღება და მისი სოციალ-ეკონომიკური შედეგები“, 1868 წელი, ციურიხის უნივერსიტეტი.

ნიკო მაშინ 25 წლის იყო, თუმცა – უკვე ცხოვრების მდიდარი გამოცდილებით. პეტერბურგის უნივერსიტეტიდან „მგლის ბილეთით“ გარიცხული მცირე ხნით რუსეთის 60-იანი წლების ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ხვდება.

ორიოდე წლის შემდეგ ევროპაში ჩასული, უკვე სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტი, მთელ ევროპაში მოგზაურობს, ეცნობა და უახლოვდება ევროპის მოწინავე ინტელიგენციას, ცნობილ მწერლებს, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს, თანამშრომლობს არაერთ პერიოდულ გამოცემაში.

ციურიხის უნივერსიტეტში გადასვლის შემდეგ ჟენევაში თვითონ სცემს ელპიდინთან ერთად რუსულ ჟურნალ „სოვრემენოსტს“ (ჩერნიშევსკის „სოვრემენიკის“ მსგავსად) და ყოველი ეპოქისათვის თანამედროვე წიგნს „მთავრობა და ახალი თაობა“.

ევროპაში გატარებული ეს 4-5 წელი იყო მისთვის ევროპის ქვეყნების ცხოვრებაზე ღრმად დაკვირვების, ევროპული კულტურის, მეცნიერების გაცნობის, გაცნობიერებისა და პრაქტიკულად ათვისების ხანა, განსაკუთრებული ინტერესით იგი ფრანგულ-ინგლისურ სოციოლოგიასა და პოლიტეკონომიას სწავლობს: აწონილ-დაწონილად, გამორჩევით, და, რაც მთავარია, პრაქტიკული თვალსაზრისით.

პრაქტიციზმი იმთავითვე დამახასიათებელია ნიკო ნიკოლაძის აზროვნებისათვის. იგი განაპირობებს პუბლიცისტის წერის სტილს, მანერას. ნიკო წერს მსუბუქად, მარტივად, ნებისმიერი რანგის მკითხველისათვის გასაგებად, ოდნავ შესამჩნევი იმერული იუმორით. წერის ეს მსუბუქი სტილი სხვა შემთხვევაში ზერელობის, ზედაპირულობის საშიშროებას შექმნიდა, მაგრამ არა ნიკოსთან, რადგან მისთვის ასევე ორგანულად არის დამახასიათებელი ლოგიკური კანონე-

ბით, მეთოდებით, სილოგიზმებით თუ მოდუსებით აზროვნება, რაც მწერალს ეხმარება დაბეჯითებით გამოთქვას თავისი შეხედულებები და დაარწმუნოს მკითხველი მათ ჭეშმარიტებაში. ამავე დროს, როგორც თვითონ წერს იმავე წელს ჟენევაში ცალკე წიგნად გამოცემული თავისი დისერტაციის შესავალში, საკითხის დეტალიზაციას და მარტივად წერას, უბრალო ინტერესის აღძვრის გარდა, „საზოგადოებაში კვლევა-ძიებისა და სამეცნიერო აზროვნების, გემოვნების განვითარების მიზნით ამჯობინებს, ხოლო მეცნიერებისათვის მასში გამოთქმული არგუმენტები უნდა იყოს საყურადღებო და მნიშვნელოვანი“.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა იმის თვალსაჩინო, არგუმენტირებულ დასაბუთებას, თუ რა უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს ევროპის ქვეყნებზე მსოფლიოს ერთბაშად და ერთდროულად განიარაღებამ! მუდმივი ჯარისა და სამხედრო ინდუსტრიის ერთბაშად მოშლა უდიდეს ეკონომიკურ კრიზისს გამოიწვევს ყველა ქვეყანაში. „ჩვენმა ეკონომიურმა ორგანიზაციამ პროდუქციის და, აგრეთვე, მოხმარების ყოველი დარგი ისე გაართულა და ისე გადახლართა ერთმანეთში, რომ თუ რომელსამე მის დარგს შეეხეთ, თითქმის ყველა დანარჩენ დარგს აურ-დაურევთ“. შეფერხდება ვაჭრობა, წარმოება, მოხმარება, დაფინანსება. ის სურათი, რომელსაც იქვე შთამბეჭდავად ხატავს ნიკო ნიკოლაძე, მეტად ნათელი და ცხოვრებისეულია. სულ მოკლე წარსულში მისი უშუალო მოწმენი და მონაწილენიც გაგვხადა უახლოესმა ისტორიამ (დასავლეთ ევროპიდან ჯარების ერთდროული გამოყვანა, რომლებიც უმალ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ რესპუბლიკებს შეუსიეს და განათავსეს იქ სხვადასხვა სტატუსით). დაპირისპირებისა და გამორიცხვის კანონებით ჩვენი დისერტანტი მოურიდებლად აბათილებს ცნობილი ევროპელი მეცნიერების ყალბ, მოჩვენებით არგუმენტებს და ლაკონიურად, ერთდროულად, განზოგადებულადაც ასაბუთებს მათ არარეალურ, არაპრაქტიკულ ხასიათს. როდესაც საქმე ეხება რეალური პრაქტიკული ცხოვრების სასტიკ სინამდვილეს თავისი ულმობელი კანონებით, ნიკოლაძე, რომლისთვისაც უცხო არაა სამართლიანობა, ადამიანური გრძნობები, პოზიტიური მეცნიერებისა და გონიერების კანონებით ხელმძღვანელობს.


დასაწყისში ნ. ნიკოლაძე დაწვრილებით მიმოიხილავს საკითხის ყველა მხარეს უარყოფითი შედეგების ნიშნით. შემდეგ თანდათან მსჯელობის გზით გადადის მდგომარეობიდან გამოსვლის გზე-

ბის ძიებაზე და მიდის არაერთ ლოგიკურ დასკვნამდე, რაც შედეგების პოზიტიურობას განაპირობებს.

ხანგრძლივი მშვიდობიანობის დასამყარებლად სამი რამაა საჭირო: 1. გამოთავისუფლებული მუშახელის დასაქმება, წარმოების საჭირო დარგების აღორძინება და ვაჭრობისათვის გასაღების ბაზრის უზრუნველყოფა; 2. მომხმარებელი საზოგადოების ჩამოყალიბება და 3. საზოგადოების, ადამიანების აღზრდა-განათლება, მათი მომზადება ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ, საქვეყნო საქმისათვის თავდასადებად, გასარჯელად.

დისერტანტის შრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს ცხადყოს განიარაღების საკითხის კავშირი თანამედროვე საზოგადოების რადიკალური რეორგანიზაციის აუცილებლობასთან, რაც ეკონომიკურთან ერთად სოციალური პირობების გადაჭრასაც გულისხმობს. ნიკოლამე იძლევა მოდელს საყოველთაო განიარაღებისათვის პირობების მომზადებისა და განიარაღებული მომავლის საზოგადოების საერთო სახის ფორმირებისა. ნიკოლამე ჯერ დაწვრილებით მიმოიხილავს ყველა ამ სფეროს უარყოფითი შედეგების ნიშნით, ხოლო შემდეგ მსჯელობის გზით გადადის და თანდათან უთვალსაჩინოებს მკითხველს გამოსავლის გზებს. ნიკო ნიკოლამე მიდის დადებით დასკვნამდე, რომელსაც მისთვის დამახასიათებელ ბრწყინვალე ლექსიკურ ფორმას აძლევს: „საერთო განიარაღებისაგან მოსალოდნელი სიკეთე ესოდენ აურაცხელია და შეუძლია იმდენი ბედნიერება მოგვანიჭოს, რომ ადრე იქნება თუ გვიან, უნდა გადავწყვიტოთ – ვძლიოთ ყოველგვარი დაბრკოლება, რომელიც წინ გადაეღობება რეორგანიზაციის განხორციელების საქმეს“. 135 წლის წინათ დაწერილი ეს შრომა, რომელმაც მის ავტორს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის წოდება მოუტანა, აქტუალური რჩება დღემდე. მასში გამოთქმული მოსაზრებები გასათვალისწინებელი იქნება მუდამ, მით უმეტეს დამოუკიდებლობის მაძიებელი ქვეყნისათვის, მოსალოდნელი უარყოფითი თუ დადებითი შედეგების გასათვალისწინებლად. ავიღოთ, თუნდაც მუდმივი ჯარის ბაზაზე სახალხო პოლიციის მოწყობა, რაც, ნიკოს აზრით, „კერაა ყოველად ამაღლებულ პატრიოტულ გრძნობათა, რომელსაც უმაღლეს ხარისხამდე აჰყავს სახალხო განიარაღება, საზოგადოების გრძნობა, დისციპლინა და სოციალური თანასწორობა და რომელიც სახელმწიფოს სიძლიერეს განამრავლებს...“ ასეთი გარდაქმნის აუცილებლობა არაერთხელ შეიქნა საჭირო და აუცილებელი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ბოლო 10-15 წლის მანძილზე.

პირველ შემთხვევაში ხელმძღვანელ სამხედრო პირთა უწიგნურობამ და უვიცობამ რა დღეც დაგვაცენა, საყოველთაოდ ცნობილია. მეორე გზის – ბრძანების მორჩილებამდა გადაგვარჩინა. ამდენად ცხადია, რაოდენ მნიშვნელოვანი და აუცილებელია ნიკო ნიკოლაძის ამ ნაშრომის გაცნობა და ცოდნა არამარტო პოლიტიკოსების, ეკონომისტების, არამედ იურიდიულ და სამხედრო პირთათვისაც, საზოგადოებისათვის საერთოდ.



გიორგი ნიკოლაძე

შვილი – გიორგი ნიკოლაძე. თემა: „გეომეტრიულ ნაკვთთა უწყვეტი სისტემების შესახებ“ – 1928 წელი, 16 ივნისი. პარიზი, სორბონა.

ნიკო ნიკოლაძის დისერტაციის დაცვიდან ზუსტად 60 წელი გავიდა.

იმ წელიწადს თბილისში 85 წლის ასაკში გარდაიცვალა ნიკო ნიკოლაძე. გიორგი არ დასწრებია მამის დაკრძალვას. მას, სამეცნიერო მუშაობაში ჩაფლულს, არ შეატყობინეს მამის ჯერ მძიმე ავადმყოფობა და შემდეგ კი დაღუპვა.

არადა სულ ორიოდე წლის წინ, 1926 წელს, ხელისუფლებამ ორივე მამა-შვილი სპეციალური მისიით მიავლინა ევროპის ქვეყნებ-

ში (გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, ბელგია და სხვა). გიორგი – ერთი წლის ვადით „მათემატიკურ მეცნიერებაში დასახელოვნებლად და ელექტროქიმიის დარგში ზოგიერთი საკითხის შესასწავლად“ (ერთი წლის შემდეგ ვადა ისევ ერთი წლით გაუხანგრძლივეს). დავალება საკმაოდ ფართოდ იყო ჩამოყალიბებული და არსებითად მოიცავდა გიორგი ნიკოლაძის სამეცნიერო და საინჟინრო ინტერესების მთელ ერთობლიობას როგორც მათემატიკის, ისე მეტალურგიის დარგში.

გერმანიაში გიორგი გაეცნო სიმენსისა და ჰალსკეს ელექტრომანქანათმშენებელ ქარხანას. 1926 წლის სექტემბერში ბრიტანეთის გეოგრაფიული საზოგადოების სხდომაზე წაიკითხა ორი დიდი მოხსენება, რომლებშიც დამსწრეებს მოუთხრო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების დაარსებისა და საქართველოში ალპინიზმის მდგომარეობის შესახებ. მოხსენებებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

მათემატიკაში გიორგიმ მუშაობა დაიწყო 1927 წლის იანვარში, პარიზში, სორბონაში. ეს მუშაობა გაგრძელდა 1928 წლის შემოდგომამდე. ამ ხნის მანძილზე მან არაერთი რეფერატული თუ ორიგინალური ხასიათის მოხსენება გააკეთა, აღმოაჩინა არაერთი დებულება. შექმნა მთელი თეორია ალგებრული წირების ალგებრული სისტემების შესახებ, რამაც ბევრი ძველი საკითხი განაზოგადა და დააზუსტა. სწორედ ეს საკითხები დაედო საფუძვლად მის დისერტაციას.

დისერტაციის დაცვა 1928 წლის 9 ივნისს შედგა. გიორგიმ მიიღო მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

როგორც ამბობენ, გიორგიმ ღირსეულად მოიპოვა მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის წოდება. ძლიერ კარგი აზრისა იყვნენ დისერტაციაზე სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრი ელ კარტანი და სხვა ცნობილი მათემატიკოსები. თვითონ გიორგიც კმაყოფილი იყო თავისი დისერტაციის შინაარსით, რადგან მასში ხედავდა რამდენიმე მნიშვნელოვან ახალ აღმოჩენას. ამავე დროს ფიქრობდა, მეტი დრო რომ დაეხარჯა ამ მასალაზე, უფრო ზოგადი და მნიშვნელოვანი გამოკვლევის დაწერა შეეძლო. გარდა ამისა, დისერტაციაში განხილულმა საკითხებმა გიორგის წინაშე აღძრეს მთელი რიგი ახალი სერიოზული პრობლემები, რომელთა დამუშავებას იგი შემდეგისათვის ფიქრობდა.

მამის მსგავსად გიორგი ნიკოლაძის დისერტაციაზე ცალკე წიგნად გამოვიდა იმავე წელს პარიზში, ხოლო დისერტაციაში შემავალი საკითხების შესახებ პარიზის აკადემიის „ანგარიშებში“ მისი ოთხი შრომა გამოქვეყნდა. ამავე საკითხს მიუძღვნა მან მოხსენება მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე ბოლონიაში 1927 წელს. კონგრესს იგი ესწრებოდა, როგორც თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენელი და თავმჯდომარეობდა კონგრესის ერთ-ერთ სხდომას.

ყურადსაღებია ერთი მნიშვნელოვანი მომენტი გიორგის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან. მისი განსაკუთრებული სიყვარული მათემატიკისადმი ადრეული ბავშვობიდანვე იგრძნობოდა ყველაფერში. იგი სუნთქავდა მათემატიკით, აზროვნებდა მათემატიკის კანონებით.

ნიკო ნიკოლაძის მიერ დაარსებული დიდი ჯიხაიშის სკოლის პედაგოგებმა – გიორგი და რუსუდან ნიკოლაძეებმა – ვუკოლ ბერიძესთან ერთად 1918 წელს პირველებმა საქართველოში საფუძველი ჩაუყარეს სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინოლოგიის დამუშავებას მშობლიურ ენაზე (რაც მომდევნო წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერთა ჯგუფმა განაგრძო პროფ. ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით). ამ ტერმინოლოგიური მუშაობის პროცესს მათ ექსპერიმენტის ხასიათი მისცეს. კერძოდ, იმავე სკოლაში ისინი ცდილობდნენ თვლის ათობითი სისტემა დაენერგათ. ამ სისტემის შემოღების საჭიროება რამდენიმე პრაქტიკული მოსაზრებით იყო განპირობებული. კერძოდ:

1. სხვადასხვა მეცნიერთა აზრით, თვლის ათობითი სისტემა ერის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებასა და კულტურის დონეზე მიუთითებს; 2. მოგეხსენებათ, ქართული თვლა და ანგარიში არეულია – ათობით-ოცობითია. თვლის ათობითი სისტემა ოცობითისაგან განსხვავებით ბევრად უფრო ახლოს დგას ქართულ წერა-კითხვასთან და ანბანთან – მსოფლიოში ყველაზე დახვეწილთან და მარტივთან; 3. თვლის ათობითი სისტემა ადვილად აღსაქმელ-გასააზრებელია მოზარდისათვის, რომლის კავშირი გარემოსთან პირველ საფეხურზე მაინც საგნობრივ-სახეობრივია და 4. თვლის ათობითი სისტემა ოცობითთან შედარებით სამუშაოდ ბევრად უფრო მოსახერხებელია განსაკუთრებით გამომთვლელ მანქანებზე მუშაობისას.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რამდენად ადრე განსაზღვრა და გათვალა გიორგიმ გამოყენებითი მათემატიკის როლი და მნიშვნელო-

ბა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ენის პრაგმატული ფუნქცია ამასთან მიმართებით. გამარტივებისაკენ შინაგანი მიდრეკილება, რაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში ნიკომ ევროპაში ქართული შრიფტის გამარტივებაზე მუშაობით დაიწყო, მისმა შვილებმა – გიორგიმ და რუსუდანიამ – მათემატიკის წმინდა პრაქტიკულ მხარეს დაუკავშირეს და პერსპექტივაში გაითვალისწინეს მისი ტექნიკური გამოყენების დიაპაზონი.



ა. ხარაძე, ანდრია რაზმაძე, გიორგი ნიკოლაძე, ნიკო მუსხელიშვილი

ჯერ კიდევ საზღვარგარეთ წასვლამდე გიორგის დაებადა იდეა, შეექმნა საანგარიშო მანქანის კონსტრუქციის სრულიად ახალი სისტემა. მისთვის დამახასიათებელი სიდინჯისა და დაკვირვებული ხასიათის გამო მან მაშინვე არ გამოაქვეყნა თავისი გამოგონება, რადგან სრულყოფილად არ იცნობდა ყველა არსებულ გამომთვლელ მანქანას, რომლებსაც შეადარებდა თავის გამოგონებას. პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე საზღვარგარეთული მანქანების დათვალიერებისას იგი დარწმუნდა თავისი გამოგონების უპირატესობაში, რაც გამოიხატებოდა გიორგის გამოგონების შეუდარებელ სიმარტივესა და პერსპექტიულობაში. როგორც ცნობილმა ფრანგმა აკადემიკოსმა და გამომგონებელმა მორის დ'ოკანმა აღნიშნა, „იგი უფრო სანდოა, უფრო სწრაფად მოქმედებს უფრო იაფი ჯდება, გარდა ამისა, იგი წმინდა ელექტრული მანქანაა, არავითარ მექანიკურ ნაწილებს არ შეიცავს და ამიტომ ადვილად არ ცვდება. გიორგის მანქანა ოთხივე მათემატიკურ მოქმედებას ასრულებს: შეკრებას, გამოკლებას, გამრავლებას და გაყო-



ფას. ამასთანავე, გამრავლებისა და გაყოფის დროს გიორგიმ ჭკუამახვილურად გამოიყენა მის მიერ სათანადოდ დამუშავებული ქენაილის ჩხირების გრაფიკული მეთოდი“. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა გიორგიმ თავისი აღმოჩენის გამოქვეყნება, მაგრამ ისე მოკლედ და ზოგადად, რომ სხვებს, უცხოელებს არ შეძლებოდათ მისი გამოყენება. აღმოჩენამ მაშინვე საერთო ყურადღება მიიპყრო და მოწონება დაიმსახურა. მის შესახებ აღტაცებული აზრი გამოთქვა ამ დარგში მორის დოკანმა. გაზეთებმა ცნობები გამოაქვეყნეს, ევროპულმა და ამერიკულმა ფირმებმა შესთავაზეს გიორგის თავისი გამოგონების რეალიზაცია და გამოყენება, მაგრამ გიორგის არ უნდოდა იგი უცხოელების ხელში ჩაეგდო. ის ფიქრობდა დისერტაციის დაცვის შემდეგ შინ, საქართველოში, დაბრუნებულს გულდასმით დაემუშავებინა თავისი არითმომეტრის მოდელი, მოემზადებინა და წარმოება დაეწყო. აკად. გ. ჭოლოშვილის აზრით, სამწუხაროდ, ნაადრევმა სიკვდილმა საშუალება არ მისცა მას შეესრულებინა ეს განზრახვა“, ხოლო აკად. ა. ბოგოლიუბოვი დაბეჯითებით აცხადებს, რომ მოდელის აგებას გიორგი ნიკოლაძე შეუდგა უკვე საქართველოში დაბრუნების შემდეგ. მოდელი ტექნიკურ მუზეუმს გადაეცა მოსკოვში და იქ იყო გამოფენილი ერთ-ერთ ექსპოზიციაზე. დაახლოებით 1936 წელს მოდელი დაიკარგა და აქამდე ვერ მოხერხდა მისი აღმოჩენა. შემორჩენილი არაა არც აღწერა, არც ნახაზები. ამიტომ მისი აღდგენა ძნელია. მანქანის არსის აღმწერი ერთადერთი დოკუმენტი არის გიორგი ნიკოლაძის მიერ შედგენილი საპატენტო აღწერა.

გამოგონება არის ტექნიკის ისტორიაში პირველი ცდა, სათვლელი მანქანა აიგოს სრულიად ახალ პრინციპზე ელექტრომაგნიტური კავშირების გამოყენებით.

ამ გამოგონებით გიორგი ნიკოლაძე ელექტროგამომთვლელი მანქანებისა და კომპიუტერული ტექნიკის განვითარების სათავეებთან დგას რამდენიმე ათეული წლით ადრე.

**Lia Bibileishvili**

**The Father and the Son - Niko and Giorgi Nikoladzes and  
their Scientific Work in Foreign Countries**

Summary

„The only one person, who leads his society on the way of progress, will find the place in hearts and memory of the compatriots...“ – This words belong to the „Great Niko“. The life and the work of Nikoladzes' family is one of the most significant example of such kind of leadership.

In 1868, Niko Nikoladze received a Ph.D. in law from the University of Zürich for his dissertation "Disarmament and Its Socio-economic Consequences".

The aim of this dissertation is to show the linkage between Disarmament and necessity of radical reorganization of modern society. This also implies solving economic and social problems.

The title of the dissertation of Giorgi Nikoladze (Niko Nikoladze's son) was „The constant systems of geometrical figures“. 1928. Paris. Sorbonne University.

One of the most important achievements of Giorgi Nikoladze is an inventing of the new calculating machine. The idea of creating this equipment appeared in the period of working in Georgia. European education gave him possibility to realize this idea. This invention had a great importance for the development of computer technology.

In the article is discussed the scientific work of Niko and Giorgi Nikoladzes abroad and the value of their activities for Georgia.

## თეა ბურჭულაძე

### სინტაგმური ნეოლოგიზმები თანამედროვე ქართულში

ნეოლოგიზმი ამა თუ იმ ენაში ახლად გაჩენილ სიტყვას გულისხმობს. ენა მუდმივად ვითარდება და, შესაბამისად, გარკვეულ ეტაპზე ახალი შინაარსის გამოსახატავად ახალი სიტყვის გაჩენა ხოლმე აუცილებელია. როგორც ცნობილია, ნეოლოგიზმების მნიშვნელოვანი ნაწილი იქმნება მშობლიური ენის ენის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობების გამოყენებით. ამათ გვერდით ახალი სიტყვების დიდი ნაწილი უცხო ენიდან ახლად შემოსული სიტყვები და მათზე დამყარებული ნაწარმოები ფორმებია (არაბული, 2004: 232-234).

ნეოლოგიზმები ხშირია ოფიციალურ-საქმიან სფეროშიც. ამგვარი ენის, ასევე ცალკეული დარგობრივი (სპეციალური) ენების ჩამოყალიბების, ობიექტური თანამდევი პროცესის კონსტრუქციების მაქსიმალური ფორმალიზება, „საკვანძო“ გამონათქვამების, ცალკეული სინტაგმებისა და ფრაზების სტანდარტიზაცია, სპეციფიკური ენობრივი კლიშეების შექმნა. ასეთი სტანდარტიზებული სინტაგმები და გამონათქვამები ოფიციალური ენის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად გვევლინება და ენის ფუნქციონირებისა და განვითარების პროცესში საკმაოდ მყარ, სტაბილურ კომპონენტს წარმოადგენს. ამავდროულად, ცალკეული გამონათქვამები, არცთუ იშვიათად, გარკვეული ეპოქის იდეოლოგიურ თუ პროპაგანდისტულ ნიშანს ატარებს და, შესაბამისად, სათანადო პირობების ცვლასთან ერთად, ასპარეზს უთმობს ანალოგიური დატვირთვის სხვა გამონათქვამებს (სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საქმიანი სფერო, 2017: 47-48).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ენის მიმართ წაყენებული ახალი მოთხოვნები და ამოცანები დაკავშირებულია კომუნიკაციის სფეროს ისეთ ზოგადსა და სპეციფიკურ თავისებურებებთან, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ახალი მოვლენები ენის შინასტრუქტურულ დონეებზე. ამიტომაც ენის ფუნქციონირების შესწავლა ამა თუ იმ სფეროში უნდა წარიმართოს ენის ფუნქციური და შიდასტრუქტურული განვითარების ურთიერთმიმართების კვლევის გზით (კვარაცხელია 1990: 6).

იმ შინაგანმა პროცესებმა, საგარეო ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთმა ინტენსიურმა გარდაქმნამ, რაც ჩვენი

ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობისა და ორიენტაციის ცვლას მოჰყვა საუკუნეთა მიჯნაზე, აგრეთვე იმ ცვლილებებმა, რომლებიც ჩვენს კულტურასა და განათლებაში მიმდინარეობს, განსაკუთრებით დააჩქარა თანამედროვე ქართულ ენაში მიმდინარე პროცესები.

როგორც ჩანს, თანამედროვე დინამიკური და, ამდენადვე, იდეოლოგიურად აქტიური პროცესებისათვის დამახასიათებელია გარკვეული ენობრივი ფორმულების პერიოდული გავრცელება საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით, რაც უპირველესად ოფიციალურ-საქმიანსა და მასმედიის ენაში პოვებს გავრცელებას. მაგალითად, ბოლო პერიოდში საზოგადოების ცნობიერების ნაწილია ისეთი სიტყვები თუ სტანდარტული შესიტყვებები, როგორებიცაა: გლობალიზაცია, დემოკრატიზაცია, კოჰაბიტაცია, გენდერი, ცნობადი სახეები, გენდერული ბალანსი/თანასწორობა...

ამგვარად ყალიბდება სტერეოტიპული გამონათქვამები გარკვეული აქტუალური სიტყვა-ტერმინების გარშემო (რომლებიც ძალზე ხშირად უცხო სიტყვებია, მეტიც, ნეოლოგიზმებია).

თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით მასმედიასა თუ საჯარო მოხელეთა მეტყველებაში, ოფიციალურ-საქმიან სფეროში, ხშირად ვხვდებით ნეოლოგიზმებისა თუ ბარბარიზმების გამოყენების შემთხვევებს. ამავე დროს, ჩვენ თვალწინ იქმნება ერთგვარი სინტაგმები, რომელთა შემადგენელი კომპონენტები ხშირ შემთხვევაში ნეოლოგიზმებით არის წარმოდგენილი. შედგენილობის თვალსაზრისით გამოვყოფთ სხვადასხვა სახის სინტაგმებს, რომლებიც სულ ახლახან, ეპოქის შესაბამისად შეიქმნა და ასახავს თანამედროვე პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველ აქტიურ სიტყვებს, სიტყვა-ტერმინებსა თუ შესიტყვებებს.

ა) გამოიყოფა ისეთი სინტაგმური ფორმები, რომლებშიც ერთ-ერთი ან ორივე შემადგენელი სიტყვა ნეოლოგიზმია: პოლიტიკური **შოუ**, პოლიტიკური **ანტურაჟი**, **რანჟირებული** სია, **ანგაჟირებული** საზოგადოება, **ოდიოზური** პიროვნება, მცოცავი **ოკუპაცია**, სახელმწიფო **აუდიტი/კერძო აუდიტი**, **ლეგიტიმური** კითხვა, **ვალიდური** დოკუმენტები, **სენსიტიური** საკითხი, **ჰიბრიდული** ომი, პოლიტიკური **ნონსენსი**, **დისლოკაციის** ადგილი, **რეკრიაციული** ზონა, კონფლიქტის/საკითხის **ესკალაცია**, **ადაპტირებული** ტექსტი/შენობა, **პერსონა ნონ გრატა**, **დე-ფაქტო** ხელისუფლება, სარეკლამო **ბანერი**, დიპლომატიური **კორპუსი**, მომსახურების **ინსტალაცია**, **ინოვაციური** პროექტი/დაფინანსება, ოფიციალური **ვიზიტი**...

უნდა აღინიშნოს ის, რომ ჩამოთვლილ სინტაგმურ ნეოლოგიზმთაგან ზოგიერთი ადრიდანვეა ჩვენში დამკვიდრებული. მაგალითად: ანტურაჟი, პერსონა, კორპუსი, ანგაჟირება-ანგაჟირებული, შოუ..., თუმცა ისინი ისეთი სიხშირით არ გამოიყენებოდა, როგორც ეს დღეს გვხვდება. გარდა ამისა, თანამედროვე ენაში მათ სხვა სიტყვასთან ერთად შექმნეს ერთგვარი შინაარსობრივი კავშირი, უფრო გაიფართოვეს გამოყენების არეალი. მაგალითად, სიტყვა **შოუ** მეტად ფართო შინაარსითა და ფუნქციით დაიტვირთა თანამედროვე ენობრივ ურთიერთობაში: პოლიტიკური შოუ, სატელევიზიო შოუ, იუმორისტული შოუ, დადგმული შოუ, პოპულარული შოუ, საახალწლო შოუ, შოუბიზნესი, სლაიდშოუ. ის გადაცემათა სახელწოდებადაც კი ძალიან აქტიურად გამოიყენება: კომედი შოუ, ღამის შოუ, პრაიმ შოუ, თოქ შოუ, ნანუკას შოუ, ვანო ჯავახიშვილის შოუ... დასახელებულ სიტყვათაგან შესიტყვებებად ბევრი სულ ახლახან დამკვიდრდა: „ამ პერიოდში მსოფლიო **პოლიტიკური ანტურაჟი** ძალიან მძიმე იყო. რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება ცდილობდა ომიდან გამოსვლას და ყოველგვარ დათმობაზე მიდიოდა თავის მოწინააღმდეგეებთან“; „აბიტურიენტებს შეუძლიათ იხილონ პირველადი ჩარიცხვების, **რანჟირებული სია** და უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში ვაკანტური ადგილების ჩამონათვალი“; „ეროვნულ ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს **ოდიოზური პიროვნება**, რომლის მმართველობის წლებში ბიბლიოთეკა გადაიქცა იაფფასიანი პოლიტიკური შოუების არენად, სადაც იგნორირებულია და, ფაქტიურად, გერის როლში იმყოფება ქართული წიგნი“; „საზეიმო ცერემონიალზე ასევე მიწვეულები არიან საქართველოში აკრედიტებული **დიპლომატიური კორპუსი** და საელჩოებთან არსებული თავდაცვის მისიების ხელმძღვანელები“; „ეს **სენსიტიური საკითხი** „პოლიტიკური სპეკულაციის“ საგანი არ უნდა გახდეს, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც დაღუპული ქართველი მეზრძოლი ჯერ დაკრძალულიც არ არის“.

ბ) გვხვდება მყარი სინტაგმური ფორმები, მყარი შესიტყვებები, რომელთა შემადგენელი ორივე სიტყვა ქართულია: მოწყვლადი საკითხი, მოწყვლადი ჯგუფები, განმაურებული საკითხი, აგორებული თემა/ტალდა, პოლიტიკური სანაგვე, პოლიტიკური გაყრა, ხმაურიანი დაპატიმრებები/განხილვა, ათასწლეულის გამოწვევები, ტერიტორიული მთლიანობა, შრომის ბაზარი, შავი ბაზარი, შემხვედრი ნაბიჯი, განტევების ვაცი, სახელფასო დანამატი...

მაგალითად: „მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებისუნარიანობის საკითხია ის მთავარი პრობლემა, რომლის აღმოფხვრის ორი უკვე დამკვიდრებული საერთაშორისო მიდგომა არსებობს“; „ამის მიუხედავად **პოლიტიკური გაყრა** არ შედგა და დიდი შანსია, ალასანია ისევ თავისიანებში დაბრუნდეს“; „მაშინდელმა ხელისუფლებამ უსაზღვროდ **გაბერილი ბიუჯეტი** წარმოადგინა, ტყუილი დაპირებებით ამომრჩეველთა ხმები რომ მოეპოვებინათ“; „საქართველომ ცალმხრივად გაამარტივა სავიზო რეჟიმი რუსეთის ფედერაციასთან, რასაც **შემხვედრი ნაბიჯი** არ მოჰყოლია“.

როგორც აღვნიშნეთ, ზემოთ წარმოდგენილ სინტაგმურ ნეოლოგიზმთა ცალკეული წევრები არცთუ იშვიათად დამოუკიდებელი სახითაც გამოიყენება (ანტურაჟი, შოუ, ანგაჟირება, რანჟირება, აუდიტი, ჰიბრიდი, ნონსენსი, რეკრიაცია, ესკალაცია, ოკუპაცია, ინოვაცია...), მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ყველაზე ხშირად ისინი სწორედ წარმოდგენილ შესიტყვებებში დამკვიდრნენ, რაც გარკვეულ – ოფიციალურ-საქმიან სტილს ქმნის.

ცალკე საკითხია ამგვარი სინტაქსური ნეოლოგიზმების მართებულად გამოყენების შემთხვევები (რამდენადაც დასტურდება როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი სიტყვები). ვფიქრობთ, ზოგ შემთხვევაში უცხო სიტყვათა ნაცვლად ქართულ შესატყვისს უნდა მიენიჭოს უპირატესობა: პოლიტიკური შოუ – პოლიტიკური **სანახაობა**, სენსიტიური საკითხი – **ფაქიზი**, მგრძობიარე საკითხი, ვალიდური დოკუმენტები – სარწმუნო/სანდო დოკუმენტები, კონფლიქტის/საკითხის ესკალაცია – კონფლიქტის/საკითხის **გამწვავება**, ოფიციალური ვიზიტი – ოფიციალური **შეხვედრა**. თუმცა ზოგჯერ ისინი იმდენად მყარ შესიტყვებებად არიან დამკვიდრებული, რომ **სინტაგმური ფორმით** მათი ქართული შესატყვისით გადმოცემა არ ხერხდება, რადგან მსგავსი შეხამებანი **ტერმინ-შესიტყვებებად** იქცნენ: **ჰიბრიდული ომი**, **პერსონა ნონ გრატა**, **დე-ფაქტო ხელისუფლება**, **მცოცავი ოკუპაცია**, **ოდიოზური პიროვნება**... მსგავსი სინტაგმები დღეს უკვე მყარი შესიტყვებისა თუ ფრაზეოლოგიზმების დატვირთვას იძენენ.

ოფიციალურ-საქმიან სფეროში ამგვარ სტანდარტულ კონსტრუქციებს შესაბამისი კომუნიკაციის ობიექტური მოთხოვნა აყალიბებს. ასეთი სტერეოტიპული ფრაზები და ენობრივი კლიშეები სპეციალური ენის განუყოფელი ნაწილია. სტანდარტული ენა, ცხადია, დიდად შორდება ცოცხალი ენის შემოქმედებით ქმნადობას და მშრალ ჩარჩოებში იკეტება (სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საქმიანი სფერო

2017: 52). ამავე დროს, სპეციალური სტანდარტული ენები გვევლინება სამეტყველო კულტურის დაშტამპვისა და ცოცხალი ეროვნული ენის გაღარიბების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად. მაგრამ ამგვარი სინტაგმური ნეოლოგიზმების დადებითი მხარე ის არის, რომ მისი მეშვეობით უფრო ზუსტად, რაციონალურად და ობიექტურად, გამოიხატება დამოკიდებულება, მოვლენის ანალიზი, განსჯა და ახსნა. ამგვარი ენა უფრო მოქნილი და მოსახერხებელია კონკრეტული შემეცნებითი თუ კონსტრუქციული ამოცანის გადაწყვეტისათვის, უფრო ოპერატიულად ხერხდება რეაგირება ამა თუ იმ მოვლენასა თუ ინფორმაციაზე, განსაკუთრებით თანამედროვე ინტენსიური ინფორმაციული ურთიერთობის პირობებში.

### ლიტერატურა

**არაბული, 2004** – ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი.

**კვარაცხელია, 1990** – ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბილისი.

**სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საქმიანი სფერო, 2017** – საჯარო მოხელის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

Tea Burchuladze

## Syntagmatic Neologisms in Modern Georgian

### Summary

In modern Georgian, especially in mass media, the speech of public servants, the formal field we often find the cases of using neologisms and barbarisms. At the same time, we often witness the creation of certain syntagms the components of which are neologisms. In some syntagmatic forms just one constituent part is a neologism while we find such fixed syntagms where both components are Georgian words. In the formal field the creation of such standard constructions are conditioned by the objective requirement of the relevant communication. Sometimes they are established as such strong fixed syntagms that it is impossible to convey them in corresponding Georgian ones because they have turned into term-syntagms, e.g. *hibriduli omi* „hybrid war“, *p'ersona non grat'a* „persona non grata“, *de-pakt'o khelisupleba* „de facto government“, *mtsotsavi ok'up'atsia* „creeping occupation“, *odiozuri p'irovneba* „odious personality“. Nowadays such syntagms are acquiring the functions of fixed syntagms or phraseological units.



## ციცინო გაბესკირია

### ტერმინის რაობა და მეცნიერთა გვარ-სახელებისაგან ნაწარმოები მათემატიკური ტერმინები<sup>1</sup>

#### 1. ტერმინის რაობა

ჩვენ მიერ მათემატიკურ ლექსიკონში მათემატიკოსთა გვარების მოყვანა, როგორც ეს ადრე აღვნიშნეთ, ორი მიზეზით არის განპირობებული: 1. სწორად ვწეროთ და წარმოვთქვათ ეს გვარები უცხო ენაზე; 2. სწორად და მართებულად გადმოვიდეს ქართულ ენაზე. ცხადია, შეუძლებელია ყველა მათემატიკოსის გვარის მოყვანა. უპირატესობა იმ მეცნიერებს ენიჭებათ (მათემატიკოსთა გარდა მათ შორის ზოგჯერ ფიზიკოსები, ბიოლოგები ან ქიმიკოსები მოიხსენიებიან), რომელთა გვარები ყველაზე ხშირად გვხვდება სამეცნიერო ლიტერატურაში მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი, შესაძლოა, არც ისე ცნობილი და გამორჩეული იყოს. კიდევ ერთი მთავარი ნიშანი, რომლის მიხედვითაც მათ ჩამოვთვლით, არის ის, რომ ამ გვარ-სახელების მონაწილეობით იქმნება ტერმინი. ტერმინი, როგორც ცნობილია, არის გარკვეული ცნების აღმნიშვნელი სიტყვა მეცნიერების თუ ხელოვნების სხვადასხვა დარგში. არსებობს დარგობრივი ტერმინები. მათემატიკურ ტერმინოლოგიაშიც ხშირია მათემატიკოსთა გვარებისაგან შექმნილი ტერმინები, ე.ი. ამა თუ იმ მეცნიერის მიერ შექმნილი თეორია, ამოხსნილი ამოცანა თუ დასმული საკითხი მთლიანობაში გვამლევს მათემატიკურ ტერმინს, რომელშიც ჩანს ამ მეცნიერის გვარ-სახელი. ეს ტერმინები, როგორც წესი, ორსიტყვიანია - შედგება მსაზღვრელის და საზღვრულისაგან. ისინი ძირითადად კუთვნილებას გამოხატავენ, ე.ი. ესა თუ ის თეორია ეკუთვნის გარკვეულ მეცნიერს.

---

<sup>1</sup> აქვე გვინდა შევასწოროთ „ტერმინოლოგიის საკითხების“ II ტომში (2016 წ.) დაბეჭდილ ჩვენს სტატიაში დაშვებული ორი უზუსტობა: I. (გვ.37, ბოლო აბზაცის პირველი სტრიქონი) – (არის): გერმანული **u** უნდა გადმოვიდეს, როგორც... (უნდა იყოს): გერმანული **u** ზოგჯერ გადმოდის, როგორც... II. (გვ. 39. მეორე აბზაცის ბოლო სტრიქონი) - (არის) ნაღდის და გვარებშიაც ასე უნდა იყოს მითითებული. (უნდა იყოს): ნაღდის, ხოლო გვარებში უნდა იყოს მითითებული, როგორც ნაყდი.

ასე მაგალითად, საკმაოდ ცნობილი და გავრცელებულ ტერმინებია – ნიუტონის ბინომი, პასკალის ლიმასონი (ლოკოკინა), დეკარტის ფოტოლი და სხვა. ასეთი გვარები ჩვეულებრივ ტერმინის პირველ ნაწილს, ანუ მსაზღვრელს, წარმოადგენენ. მსაზღვრელი (ამ შემთხვევაში გვარი) საზღვრულს ზოგჯერ აპოსტროფ s-ის საშუალებით იკავშირდება, მაგ. Euclid’s algorithm, ზოგჯერ განსაზღვრული არტიკლით – the Euclid algorithm და უმეტეს შემთხვევაში ინგლისური -ean, -ian, -ine სუფიქსების საშუალებით, მაგ. Euclidean algorithm. მქონებლობის სუფიქსები გვარებს ერთვის ბოლოში და ასე ვიღებთ ეპონიმურ ზედსართავებს, ანუ ეპონიმებს.

Abel – Abelian; Abelian integral; Archimedes – Archimedean; Archimedean spiral; Aristoteles – Aristotelian; Aristotelian logic; Berezin – Berezinian; Brower – Browerian; Browerian lattice; d’Alembert – d’Alembertian (d’Alembert’s operator); Decartes – Cartesian; Cartesian coordinates; Desargues – Argesian ; Diophantus – Diophantine; Diophantine equations; Euclid – Euclidean; Euclidean space; Euler – Eulerian; Eulerian angles; Galilei – Galilean; Galilean transformation; Gauss – Gaussian; Gaussian constant; Gram – Gramian (Gram’s determinant); Gödel – Gödelian; Gödelize; Hamilton – Hamiltonian; Hamiltonian operator or Hamiltonian; Hausdorff – property of being a Hausdorff space; Hensel – Henselian; Henselian ring; Henselization; Hermite – Hermitian; Hermitian kernel; Hesse – Hessian; Hesse determinant or Hessian; Jacobi – Jacobian (Jacobi’s determinant); Lagrange – Lagrangian; Laplace – Laplacian (Laplace’s operator); Lorentz – Lorentzian (Lorentz operator); Minkowski – Minkowskian; Minkowskian geometry; Napier (Naper, Neper) – Naperian (Napierian); Napierian logarithm; Newton – Newtonian; Newtonian potential; Noether – Noetherian; Pfaff – Pfaffian; Pfaffian form or Pfaffian; Pfaffian transformation; Pythagoras – Pythagorean; Pythagorean numbers; Riemann – Riemannian; Riemannian surface or Riemannian; Wronski – Wronskian; Wronskian determinant or Wronskian.

## 2. გაარსებითება და გაზეთსართავება

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს გარდაქმნისა თუ ტერმინად ჩამოყალიბების პროცესი აქ არ მთავრდება. იგი ორმაგად იწარმოება, ე.ი. ჯერ საკუთარ სახელს ან გვარს ემატება -ean, -ian ბოლოსართები და არსებითი სახელისაგან ვიღებთ ზედსართავს, მაგ. Archimedes –

Archimedean, Lagrange – Lagrangian; Laplace – Laplacian და სხვა. შემდეგ კი, როგორც შემთხვევებში, ამ ზედსართავებისაგან ვიღებთ ტერმინებს, როგორებიცაა, მაგალითად: Gaussian – გაუსიანი, Berezinian – ბერეზინიანი, Jacobian – იაკობიანი; Lipschitzian -ლიპშიციანი; Napierian - ნეპერიანი და სხვა. ტერმინები ყოველთვის -ean, -ian ბოლოსართებით არ იწარმოება, მაგრამ როგორც შემთხვევებში გვარიდან (ეპონიმიდან) მიღებული მარტივი ტერმინები თავისუფლად ცვლის ორსიტყვიან ტერმინებს. მაგალითად, Gaussian არის გაუსიანი, გაუსის განაწილება – Gaussian distribution, მაგრამ „distribution“ ანუ განაწილება აღარ იხმარება და გვაქვს პირდაპირ Gaussian – გაუსიანი; ასევე Gramian, გრამის დეტერმინანტი – Gram’s determinant, მაგრამ „დეტერმინანტი“ ჩამოსცილდა და გვაქვს Gramian – გრამიანი. Grassmanian, გრასმანის სივრცე – Grassmanian space, „სივრცე“ ჩამოსცილდა და გვაქვს Grassmanian – გრასმანიანი. ანალოგიურად გვაქვს ვრონსკის დეტერმინანტი, ანუ პირდაპირ ვრონსკიანი – Wronskian; ლაპლასის ოპერატორი, ანუ ლაპლასიანი – Laplacian; დალამბერის ოპერატორი, ანუ დალამბერიანი – D’Alembertian; ლაგრანჟის ფუნქცია ანუ ლაგრანჟიანი – Lagrangian; ჰამილტონის ოპერატორი, ანუ ჰამილტონიანი – Hamiltonian; ჰესეს დეტერმინანტი, ანუ ჰესიანი – Hessian, რიმანის ზედაპირი, ანუ რიმანიანი – Riemannian, პფაფის ფორმა, ანუ პფაფიანი – Pfaffian.

რა თქმა უნდა, კუთვნილება ინგლისურში მხოლოდ -ean, -ian ბოლოსართებით არ გამოიხატება. როგორც აღვნიშნეთ, გვაქვს კუთვნილებითი ბრუნვის ნიშანი 's (აპოსტროფი და s). ვამბობთ Maxwell’s equation და არა Maxwellian equation, Legendre polynomials და არა Legendrian polynomials. მეორეც, ეს ბოლოსართები ყოველთვის კუთვნილებას არ აღნიშნავენ. მაგ. როდესაც ვამბობთ, Newtonian potential – ნიუტონის პოტენციალი, ეს არ ნიშნავს, რომ იგი ნიუტონმა გამოიგონა, შექმნა. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოებაც, რომ ხშირად ასეთი ეპონიმიური ზედსართავები არა კუთვნილების, არამედ გარკვეული პიროვნების მიმდევრობას ან მომხრეობას აღნიშნავენ. მაგ. Kantian – კანტიანელი, Leibnizian – ლაიბნიციანი და სხვა, მაგრამ ჩვენ, ძირითადად, გვაინტერესებს ის შემთხვევები, როცა ამ ბოლოსართებით ტერმინები იქმნება. ასეთი მრავალი მაგალითია მათემატიკურ ტერმინოლოგიაში.

### 3. ეპონიმთა გადმოტანა ქართულ ენაში

კიდევ უფრო საინტერესო და უცნაურია ის, რომ ქართულში ეპონიმებისაგან ნაწარმოები ტერმინები ძალიან ბუნებრივად გადმოდის ქართულში - იან ბოლოსართის მეშვეობით. ცნობილია, რომ ყოველი ენის ლექსიკა თავისებურია. ქართული და ინგლისური კი ის ენებია, რომელთა სტრუქტურა და სემანტიკა მკეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ამ შემთხვევაში ქართულმა ეს ადვილად გაითავისა, ვინაიდან კუთვნილების გამომხატველი ბოლოსართები ქართულსა და ინგლისურში ემთხვევა ერთმანეთს. ასე მაგალითად, ქართულში კუთვნილებას, ანუ მქონებლობას, გამოვხატავთ - იან სუფიქსის საშუალებით, შესაბამისად გვაქვს: ნამი-ნამიანი, ცრემლი-ცრემლიანი, ცოლ-შვილი-ცოლშვილიანი, ნაღველი-ნაღველიანი, ფასი-ფასიანი, მადლი-მადლიანი და სხვა. მქონებლობის აფიქსებით არის ასევე ნაწარმოები სვანური გვარები. ამიტომ ძალზე ბუნებრივად ჟღერს ქართულად ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: „გაუსიანი“ (Gaussian), „გრასმანიანი“ (Grassmanian), „რიმანიანი“ (Riemannian), „ლაპლასიანი“ (Laplacian) და სხვა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგი ასეთი ტერმინი მხოლოდ ერთსიტყვიანია, მაგ. ბერეზინიანი – Berezinian; ლაგრანჟიანი – Lagrangian; ჰესიანი – Hessian. საინტერესოა ასევე ფრანგი მათემატიკოსის ბეზუს (Bezout) შემთხვევაში ბეზუს ელიმინანტს (Bezout eliminant) უწოდეს ბეზუტიენტი (Bezoutient), რაც ქართულშიც დამკვიდრდა.

როგორც ვხედავთ, მეცნიერთა გვარ-სახელებისაგან ნაწარმოები ტერმინები მრავლად მოიპოვება მათემატიკურ ტერმინოლოგიაში, ისინი სხვა არაეპონიმურ ტერმინებთან ერთად მნიშვნელოვან და საჭირო ცნებებს გამოხატავენ, ამიტომ ცხადია, რომ მეტად მნიშვნელოვანია ამ გვარების სწორად დაწერა, წარმოთქმა და ქართულ ენაში მართებული ფორმით გადმოტანა. ამ ტერმინებმა ისე დაიმკვიდრა თავი, რომ მათგან უფრო განზოგადოებულ ფორმებსაც კი ვღებულობთ. მაგ. ჰენსელი (Hensel) და ჰენსელიზაცია (Henselization), გიოდელი (Gödel) და გიოდელიზაცია (Gödelize), ცორნი (Zorn) - მეცნიერის გვარია და გვაქვს ცორნიფიკაცია (Zornification), ანუ ცორნის ლემის გამოყენება. აქ კიდევ ერთ საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე: განზოგადებულ ცნებათა -ობა ნაწარმოებელი ქართულში უფრო მოხერხებულად და ერთი სიტყვით გადმოსცემს ორსიტყვიან ინგლისურ ტერმინებს, მაგ., ქართულში: **დედეკინდი** – **დედეკინდურობა**; ინ-

გლისურში : **Dedekind – Dedekind property**; ქართულში: **ნითერი – ნითერისეულობა**; ინგლისურში : **Noether – Noetherian properties**; ქართულში: **ფრედჰოლმი – ფრედჰოლმურობა**; ინგლისურში **Fredholm – Fredholm property**; ქართულში: **ჰაუსდორფი – ჰაუსდორფულობა**; **Hausdorff – property of being a Hausdorff space**.

მოყვანილი მაგალითების საფუძველზე თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ ჩამოყალიბდა მათემატიკურ ტერმინებად გვარ-სახელები, ხოლო მათი ქართულში სწორად გადმოტანის წესების დაცვა უთუოდ მნიშვნელოვანია მათემატიკურ ტერმინთა მოწესრიგებისათვის.

### ლიტერატურა

**გაბესკირია, 1983** – ც. გაბესკირია, ინგლისურ-ქართული მათემატიკური ლექსიკონი. თბილისი. თსუ გამომცემლობა.

**გაბესკირია, ჯაიანი, ანთიძე, დათაშვილი, 2005** – ც. გაბესკირია, გ. ჯაიანი, ჯ. ანთიძე, გ. დათაშვილი, ინგლისურ-ქართულ-რუსულ-გერმანულ-ფრანგულ-იტალიურ მათემატიკურ ტერმინთა ლექსიკონი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები. პირველი კრებული. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“, 3.

უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი. ქსე მთავარი სამეცნიერო რედაქცია. თბილისი.

ქართული სიტყვის კულტურის საკითხები. წიგნი მერვე. თბილისი. „მეცნიერება“.

**A. J. Lohwater.** Russian-English Dictionary of the Mathematical Sciences. American Mathematical Society, Providence, Rhode Island.

**Tsitsino Gabeskiria**

**The essence of the term and mathematical terms,  
composed by means of scientists' names**

Summary

The term, as is well known, is a word, expressing certain notion in different branches of art, literature or science. There are special terms in mathematics as well, where one can often meet terms, composed of mathematicians' names, e.g. a theory created, a problem solved or a question set forth by a certain scientist gives us a mathematical term that contains the name of a scientist. These terms are, as a rule, two-component and consist of the defining and defined words. These words are often connected by means of the English suffixes - ean, -ian, -ine. These so called possession suffixes are added to the proper names and thus the eponymous adjectives are formed.

But this process of transformation or "term-creating" is not final. It involves double transformation, i.e. the first step is when the above suffixes are added to the proper names and we get adjectivization, e.g. Archimedes-Archimed-ean. Then in a variety of cases we have again substantivization of these adjectives and we get the term. In such a case the term is obtained from the proper name, e.g. Gauss-Gaussian. On the basis of the given examples the process of turning surnames, used in eponyms, into mathematical terms, is evident and it is very important to keep to the transliteration rules in their respect in order to transfer them to Georgian and to make clear regulation of Georgian mathematical terms, in general.

## ლინდა გიორგაძე

### ტრანსპორტის ტერმინოლოგიის რედაქციის საკითხებისათვის

ლექსიკა ენის ისეთი სფეროა, რომელიც მუდმივად განახლებასა და შევსებას ექვემდებარება. ენა მდიდრდება როგორც ნასესხები სიტყვებით, ასევე ახალი ცნებებისა თუ რეალიების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებით. შესაბამისად, დროთა განმავლობაში ყოველი განმარტებითი თუ თარგმნითი ლექსიკონი შევსებასა და რედაქციას საჭიროებს. რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული თარგმნითი ლექსიკონების სწორედ ამგვარი განახლება-შევსების საჭიროებამ განაპირობა ჩვენ მიერ გაწეული შრომაც. აუცილებლად მივიჩნიეთ არსებული ლექსიკონების შესავსებად გვემუშავა ცალ-ცალკე თემატურ ჯგუფებზე, მათ შორის, ტრანსპორტის ლექსიკაზეც. შევეცდებით, ამ კუთხით წარმოვადგინოთ ის ძირითადი ტენდენციები და პრობლემები, რომლებიც ჩვენს ხელთ არსებულ ტერმინოლოგიურ და თარგმნით ლექსიკონებში ვლინდება.

კვლევა ჩატარდა შემდეგი ლექსიკონების მასალის საფუძველზე:

1. **რუსულ-ქართული ლექსიკონი**, ერთტომეული, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1883 წ.

2. **ავტოტრანსპორტის ტერმინოლოგია**, რ. დვალისა და რ. ღამბაშიძის რედაქციით, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1987 წ.;

3. **ტექნიკური ტერმინოლოგია**, რ. დვალისა და რ. ღამბაშიძის რედაქციით, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1982 წ.;

4. **ავტოტრანსპორტისა და საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტერმინოლოგია**, შემდგენლები: ისიდორე ქოჩიაშვილი, გიორგი ჯოხაძე, თბილისი, 2001 წ.;

ინგლისურენოვანი შესატყვისები მოვიძიეთ შემდეგ ლექსიკონში – **The Oxford-duden Pictorial English Dictionary**, მეორე გამოცემა, 1995 წ.;

გარდა აღნიშნული მასალებისა, გამოვიყენეთ ელექტრონული რესურსებიც: **dictionary.ge** და **translate.ge** – ინგლისურენოვანი შესატყვისებისათვის და **Academic.ru**-ს ბაზაზე არსებული რუსულენოვანი ელექტრონული ლექსიკონი.

ამჟამად მოძიებული და დამუშავებული გვაქვს დაახლოებით სამასი ლექსიკური ერთეული (დამუშავებაში ვგულისხმობთ რუსულ-ქართულ-ინგლისური შესატყვისების მოძიებას, იმის აღნიშვნას, დასტურდება თუ არა საერთოდ თითოეული მათგანი ჩვენ მიერ შერჩეულ საკვლევ მასალაში და რა ფორმით, რომელი ტერმინების შეტანა მიგვაჩნია მიზანშეწონილად ახალ რედაქციაში და ა.შ.). რამდენიმე ყველაზე ფართოდ გამოყენებული ტერმინის მაგალითზე განვიხილავთ ზოგად ვითარებას და ჩვენი კვლევის შედეგებს, დასკვნებსა და საკითხის განვითარების სამომავლო გეგმას.

სანამ უშუალოდ მაგალითებს განვიხილავთ, აღვნიშნავთ, რომ სასაუბრო მეტყველებაში მოჭარბებულადაა დამკვიდრებული ავტონაწილებთან დაკავშირებული ქართული შესატყვისების ნაცვლად რუსული ენიდან შემოსული ბარბარიზმები, რომელთაც, ეგრეთ წოდებულ ხელოსნურ ტერმინოლოგიაში გავაერთიანებთ და მოგვიანებით მოვიხმობთ მათ მაგალითებსაც, გარდა ამისა, თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ ამ ტერმინთა გამოყენების შემთხვევებსაც *ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან (ქეეკ)*. საქმიანი ურთიერთობისას ამ სფეროში მომუშავეთა პროფესიულ ენაში ქართული შესატყვისების ნაცვლად დამკვიდრებული ბარბარიზმების საკმაოდ აქტიურად გამოყენების ტენდენცია ვლინდება.

მოვიყვანთ ავტოტრანსპორტის რამდენიმე ტერმინს რუსულ-ქართული ლექსიკონიდან. აქვე წარმოვადგენთ, თუ რომელი ტერმინების დამატება მიგვაჩნია მიზანშეწონილად ახალ რედაქციაში.

**Шасси – შასი**, გვაქვს რუსულ-ქართულ ლექსიკონში პირდაპირი შესატყვისით, თუმცა „შასი“ არ არის ამ სიტყვის ქართული ეკვივალენტი; ავტოტრანსპორტის ტერმინოლოგიაში დასტურდება ფორმა - „სავალი გზა“, რაც, ვფიქრობთ, რუსულ-ქართული ლექსიკონის ახალ რედაქციაშიც უნდა შევიდეს. ავტოტრანსპორტის ტერმინოლოგიაში ცალკეა მოცემული „ავტომობილის შასი“ და „ავტობუსის შასი“. იგივე ვითარებაა ქოჩიაშვილისა და ჯოხაძის ლექსიკონშიც.

**Крыло – არ** დასტურდება რუსულ-ქართულ ლექსიკონში მანქანის ფრთის მნიშვნელობით, თუმცა წარმოდგენილია ავტოტრანსპორტის ტერმინოლოგიასა და ტექნიკურ ტერმინოლოგიაში. ასეთ შემთხვევებში, ვფიქრობთ, შეიძლება რუსულ-ქართული ლექსიკონის ახალ რედაქციაში ამ ლექსიკური ერთეულის სიტყვა-სტატიას დაემატოს „მანქანის ფრთა“ მეორე მნიშვნელობად ან სიტყვის საილუსტრაციო მაგალითი შესაბამისი კვალიფიკაციით. მაგ.: აღნიშნულ ლექსი-



კონში საზოგადო სახელი „**Крыло**“ წარმოდგენილია შემდეგი სახით: „**Крыло**, საშ. ფრთა: к. орла არწივის ფრთა; левое к. дома სახლის მარცხენა ფრთა, მხარე“. ვფიქრობთ შეიძლება აქვე საილუსტრაციო მაგალითად დაემატოს: „к. **переднее** – ავტ. წინა ფრთა“.

იგივე შეიძლება ითქვას სიტყვა **стекло** – „მინის“ შემთხვევაშიც; ლექსიკონში წარმოდგენილია შემდეგი სახით: „**стекло**, საშ. მინა, შუშა: оконное с. ფანჯრის მინა; стёкла для очков სათვალის მინები“, შეიძლება აქვე დაემატოს „**стекло ветровое** – ავტ. ქარსარიდი მინა“, ან კიდევ: „**Зеркало**, საშ. სარკე;“ სიტყვას მაგალითში დაემატოს „**зеркало заднего вида** (ტრანსპ.)“ და ასე შემდეგ.

**Тормоз** – მუხრუჭი, შეტანილია რუსულ-ქართულ ლექსიკონში. ავტოტრანსპორტის ტერმინოლოგიასა და ტექნიკურ ტერმინოლოგიაში გამდიდრებულია უფრო დეტალური აღწერით, მუხრუჭის ნაირსახეობათა ილუსტრაციით.

აქვე შევნიშნავთ, რომ მართალია, დღეს ტერმინი „მუხრუჭი“ აქტიურად გამოიყენება, თუმცა პარალელურად არც თუ იშვიათად გვხვდება ბარბარიზმი – „ტორმუზი“ იქ, სადაც წესით მოსალოდნელი უნდა იყოს ამ სიტყვის სალიტერატურო ვარიანტი; მაგალითად, ხშირია პრესასა თუ ინტერნეტმაღაზიებში განთავსებულ სარეკლამო განცხადებებში [„ცალკეული დეტალების ნაცვლად, მოგაწვდით სრულ მოდელებს (ტორმუზი, ძრავა, დაკიდების სისტემა და ა.შ.)“ გაზეთი „24 საათი“, 2014 წ.]. მრავლადაა მსგავსი მაგალითები ისეთ არაოფიციალურ, თუმცა ფართო მოხმარების ვებგვერდებზე, როგორებიცაა: Mymarket.ge, myparts.ge და სხვა.

სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ზემოთ აღნიშნულ „ხელოსნურ ტერმინებს“, რომლებიც დღეს ზოგჯერ უფრო აქტიურად გამოიყენება ქართულ ენაში, ვიდრე სალიტერატურო ენაში არსებული მათი შესატყვისები; ასეთებია: „**კალოდკა**“ (ხუნდი), „**პორშენი**“ (დგუმი), „**სვეჩი**“ (აალების სანთელი), „**ცეპლენიე**“ (გადაბმულობა), „**შატუნი**“ (ბარბაცა), „**ვალი**“ (ლილვი), „**პედალი**“ (სატერფული), „**ტორმუზი**“ (მუხრუჭი), „**რუჩნიკი/რუჩნოი**“ (ხელის მუხრუჭი), „**რაზვალი**“ (თვლების ნახარი), „**სალნიკი**“ (ჩობალი), „**პარპიზი/ლაბავოი**“ (საქარე მინა), „**შრუსი**“ (ყუმბარა), „**მახავიკი**“ (მქნევარა), „**კლაპანი**“ (სარქველი), „**გლუშიწელი/გრუჩიწელი**“ (მაყუჩი), „**ლეზიოდკა**“ (ჯალამბარი), „**ცეპლენია**“ (გადაბმულობა), „**ლიუფტი**“ (ფოლხვა), „**კაროზკა**“ (გადაცემათა კოლოფი) და სხვა მრავალი. ამგვარი ხელოსნური ტერმინები დადასტურებულია ავტონაწილების ინ-

ტერნეტმაღაზიების ოფიციალურ გვერდებზეც. მაგალითად, ერთ-ერთი კომპანიის პროდუქციის ჩამონათვალში გვხვდება „**შარნირებისა**“ და „**ნაკანეჩნიკის პილნიკების**“ ფართო არჩევანი. „**შარნირი**“ რუსული სიტყვაა და მისი ქართული შესატყვისია – **სახსარი** (დასტურდება რუსულ-ქართულ ლექსიკონშიც და ყველა აღნიშნულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონში), თუმცა რატომღაც ტრანსპორტის პროფესიულ ენაში „**შარნირია**“ წარმოდგენილი. რაც შეეხება „**ნაკანეჩნიკის პილნიკს**“, სიტყვა **Наканечник** არ არის წარმოდგენილი რუსულ-ქართულ ლექსიკონში, თუმცა ქართული შესატყვისი – **ბუნიკი** – გვაქვს ყველა სხვა შესწავლილ წყაროში. მოგვეპოვება ეკვივალენტი სიტყვისთვის **Пыльник** – სამტვრე/სამტვერე. **ბუნიკის სამტვრეს** ნაცვლად კი მაინც დამკვიდრებულია ხელოსნური ტერმინი „ნაკანეჩნიკის პილნიკი“.

ამავე ოფიციალურ გვერდზე პროდუქციის ნუსხაში ვკითხულობთ: „**გვლადიში**“ – რომლის ქართული შესატყვისია – **სადები**, და აქვე გვთავაზობენ „**თავაკის სადებს**“; ანუ სიტყვა **Вкладыш**-ის ქართული შესატყვისი ერთი ცნების აღმნიშვნელად გააქტიურებულია, სხვა შემთხვევაში კი – არა. ამის გამომწვევი მიზეზები ბუნდოვანია. აქვეა: „**პილნიკები**“ – სამტვერეების ნაცვლად, და ა.შ.

თუკი, ერთი მხრივ, პრობლემაა ის, რომ ტრანსპორტის ქართული ტერმინები დავიწყებულია და მკვიდრდება ბარბარიზმები, მეორე მხრივ, ამგვარი ბარბარიზმების ქართული შესატყვისები ზოგჯერ საერთოდ არ მოგვეპოვება. მაგალითად, ამ თვალსაზრისით საინტერესოა სიტყვა „**ბარდაჩოკის**“ ისტორია.

ქართულ სასაუბრო ლექსიკაში ამ სიტყვას საკმაოდ ხშირად ვხვდებით და ის აღნიშნავს პატარა უჯრას, რომელიც მანქანაში საჭის გვერდით, მგზავრის წინა სავარძელთანაა განთავსებული. არცერთ ჩვენ მიერ განხილულ ლექსიკონში ამ სიტყვის ქართული ან რუსული შესატყვისი არ იძებნება. ამიტომ მოვძებნეთ ინგლისურენოვან, ოქსფორდის ლექსიკონში. აქ ამ უჯრას აღწერთად განსაზღვრავენ: „**glove compartment (glove box)**“ (The Oxford-duden Pictorial English Dictionary, 1995), რაც სიტყვა-სიტყვით „ხელთათმანების განყოფილება“, „ხელთათმანების ყუთს“ ნიშნავს. ეს განსაზღვრება ასევეა თარგმნილი წყაროში **dictionary.ge**, თუმცა ქართულად აღნიშნულ ცნებას ხელთათმანების ყუთად არავინ მოიხსენიებს.

აღმოჩნდა, რომ რუსულშიც სიტყვა „**бардачок**“ სალიტერატურო ენის კუთვნილება სულაც არაა. ტ. ეფრემოვას რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში ამ სიტყვას ორი მნიშვნელობა ახლავს: „*I паз.*

*Небольшой ящичек с крышкой в автомобиле, расположенный сбоку от руля*“ და მეორე: „II разг. сниж. ласк. к сущ. бардак“ (Ефремова Т.Ф., 2000). ეს სიტყვა შეტანილია ასევე რუსული არგოს ლექსიკონშიც. როგორც ჩანს, მანქანის უჯრამ, რომელშიც სხვადასხვა წვრილმანი შეიძლება აღმოჩნდეს და რომელშიც მუდამ „პატარა ქაოსია“ – ჩვეულებრივი უჯრისგან გასამიჯნად სასაუბრო ენაში ამგვარი სახელწოდება – „**бардачок**“ მიიღო. რაკი სალიტერატურო ენაში „ბარდაჩოკს“ შესატყვისი არ დახვდა, იგი თანდათან იმ სიცარიელეს ავსებს, რომელიც რუსული ენის სიხშირის ლექსიკონის მონაცემებზე დაკვირვებითაც დასტურდება (1511 შემთხვევაა აღნიშნული ო. ლაშევსკაიას რუსული ლექსიკონის სიხშირის ახალ ლექსიკონში. 2009 წლის გამოცემა), შემდეგ კი რუსულის გავლენით დამკვიდრდა ქართულშიც. ასეთ შემთხვევაში ან უნდა მივიღოთ ეს ბარბარიზმი ამ კონკრეტული ცნების აღსანიშნად, რადგან სიტყვა „უჯრა“ ან „თარო“ მოსაუბრის ცნობიერებაში „ბარდაჩოკის“ მნიშვნელობას ვერ ფარავს, ან კი ახალი ტერმინის შექმნისა და დამკვიდრების საკითხი უნდა დადგეს.

ქართული ენის ეროვნულ კორპუსში ბარბარიზმი „**ბარდაჩოკის**“ სულ ოთხი შემთხვევა დაიძებნა. აქედან სამი მაგალითი – მხატვრული ლიტერატურიდან:

„*მანქანის ბარდაჩოკი კონვერტებით მაქვს გამოტენილი...*“ (ქეევ) – ჯემალ მონიავა, „ღვედი“. ამავე მოთხრობაშია მეორე მაგალითიც.

გვხვდება აკა მორჩილაძესთან: „*გამოწიე ბარდაჩოკი... აი, მანდ ნახე...*“ (ქეევ) („ავვისტოს პასენსი. სანთლის შუქზე საკითხავი ბულვარული რომანი“). კიდევ ერთი მაგალითი გვაქვს ჟურნალ „სარბიელში“... მართალია, მხატვრული ლიტერატურა მეტი თავისუფლების საშუალებას იძლევა და ბარბარიზმების გამოყენება ზოგჯერ გარკვეული ენობრივი კოლორიტის შექმნას ემსახურება, თუმცა ყოველ აღნიშნულ შემთხვევაში სიტყვა „უჯრა“ ან „თარო“ რომ გამოყენებინა ავტორს, უდავოდ გაუგებარი იქნებოდა, თუ რას გულისხმობს მოსაუბრე/ნაწარმოების პერსონაჟი.

ჩვენს დაკვირვებით, რუსულ და ინგლისურ ენებში ტრანსპორტის სფეროში უმეტესწილად აღწერითი ტერმინებია დამკვიდრებული (მაგ.: *monocoque body-несущий кузов, inside rear-view mirror – внутреннее зеркало заднего вида* – უკანა ხედის შიგა სარკე). ზოგიერთ შემთხვევაში ქართული ენა უფრო მოქნილ ტერმინებს ამკვიდრებს – „**ჰაერსაბერი**“ (ავტოტრანსპორტის ტერმინოლოგია, 1987), მაშინ, როცა ინგლისური შესატყვისი აღწერითია: „side window blower“; „**მინასაწ-**

**მენდი** – windscreen wiper; თუმცა, მინასაწმენდის ნაცვლად ხშირად გვესმის „**დვორნიკები**“ - რუსული „стеклоочиститель“-ის სასაუბრო ენაში არსებული სინონიმი ქართულშიც დამკვიდრდა.

სასურველია რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონების რედაქციისას აღნიშნული ვითარების გათვალისწინება და ახალი რედაქციების ტრანსპორტის ტერმინებით შევსება, იმ ქართული სიტყვების გააქტიურება, რომლებიც დროთა განმავლობაში დავიწყებას ეძლევა და მათ ადგილს ბარბარიზმი იკავებს. საჭირო ტერმინის არარსებობის შემთხვევაში აუცილებელია მისი შესატყვისის მოძიებაზე ზრუნვა იმისათვის, რომ ახალი ბარბარიზმებით აღარ შემოვიდეს ენაში.

ვიმედოვნებთ, ჩვენი მცირე კვლევა მართებულად დასახავს არსებულ პრობლემას და წარმოაჩინს ამ საკითხზე სერიოზული მუშაობის გაგრძელების აუცილებლობას.

#### ლიტერატურა

**ავტოტრანსპორტის ტერმინოლოგია**, რ. დვალისა და რ. ღამბაშიძის რედაქციით, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1987.

**ავტოტრანსპორტისა და საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტერმინოლოგია**, შემდგენელი: ისიდორე ქოჩიაშვილი, გიორგი ჯოხაძე, თბილისი, 2001.

**რუსულ-ქართული ლექსიკონი**, ერთტომეული, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1883.

**ტექნიკური ტერმინოლოგია**, რ. დვალისა და რ. ღამბაშიძის რედაქციით, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1982.

**The Oxford-duden Pictorial English Dictionary**, მეორე გამოცემა, 1995.

**Ефремова Т. Ф.** Современный толковой словарь русского языка“, მოსკოვი, 2000.

**О. Н. Ляшевская, С. А. Шаров**, Новый частотный словарь русской лексики, 2009.

ქართული ენის ეროვნული კორპუსი (ქეეკ);

**Linda Giorgadze**

## **On the Issues of the Edition of Motor Vehicle Terminology**

### Summary

During the edition of the Russian-Georgian Dictionary, we faced the necessity to pay attention to such a lexical group as the terminology of auto parts and motor vehicles in general. Nowadays transport technology is developing rapidly, accordingly, new concepts emerge. Thus, it is important to create their Georgian corresponding terms. The work conducted by us aims to fill and update bilingual and terminological dictionaries.

We have studied Georgian-Russian equivalents of the terms related to auto parts, found English corresponding terms in almost all electronic and printed dictionaries of different languages that were available for us. We have tried to collect corresponding terms related to auto parts in several languages and we studied established terms among the Georgian auto mechanics as well.


Some terms do not have Georgian equivalents or they have already been forgotten and the terms established by the influence of the Russian language have taken their place.

The paper discusses the material we have processed, presents the results of the research and our suggestions about necessary terms that are required to be included in the new edition of the Russian-Georgian dictionary. We also speak about the problems emerged during the working process and the ways to solve them.

## გურამ გოგიშვილი

### რატომ ვუწოდოთ „არავერტიკალურად“ განლაგებულ კუთხეებს „ვერტიკალური კუთხეები“?!

ორი წრფის გადაკვეთისას მიღებული ოთხი კუთხიდან იმ ორ კუთხეს, რომლებსაც საერთო წვერო აქვს და ერთ-ერთი კუთხის გვერდები მეორე კუთხის გვერდების გაგრძელებას წარმოადგენს, ქართულ მათემატიკურ ტერმინოლოგიაში **ვერტიკალური კუთხეები** ეწოდება. ამრიგად, ორი წრფის გადაკვეთისას მიიღება *ვერტიკალურ კუთხეთა ორი წყვილი*. *სურათზე გამოსახული  $k$  და  $l$  წრფეების გადაკვეთისას მიღებული  $\alpha$  და  $\beta$  კუთხეები ვერტიკალური კუთხეებია*. ვერტიკალურ კუთხეთა წყვილს ქმნის აგრეთვე  $\gamma$  და  $\delta$  კუთხეებიც. ცხადია, კუთხეთა დასახელებულ წყვილებს ქართულ ენაში ვერტიკალისა და ვერტიკალურობის ცნებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ვერტიკალურია ჰორიზონტალურის მართობული, ანუ შვეული მიმართულება. ზემოთ დასახელებულ კუთხეთა წყვილებს კი რა საერთო აქვს ამ ვითარებასთან?



თუ განვიხილავთ ამ კუთხეთა აღმნიშვნელ უცხოენოვან ტერმინებს, იქაც ვნახავთ ვერტიკალურის კვალს, მაგალითად, ინგლისურად ამ კუთხეებს ეწოდება *Vertical angles*, თუმცა ეს დაკავშირებულია არა ქართულ მათემატიკურ ტერმინოლოგიაში დამკვიდრებულ ვერტიკალურის ცნებასთან, არამედ ამ კუთხეთა საერთო, საზიარო წვეროს არსებობასთან, წვეროს კი ინგლისურად ეწოდება *Vertex*. სწორედ საზიარო წვეროს გამო ინგლისურ მათემატიკურ ლექსიკონებში ამ კუთხეს შეესატყვისება *ვერტიკალური კუთხე*. გერმანული ტერმინიც *Scheitelwinkel* საზიარო წვეროს უკავშირებს ამ კუთხეებს.


აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ, არცთუ მორგებულ, ტერმინთან ერთად თანამედროვე ინგლისურ და გერმანულ მათემატიკურ ტექსტებში ფართოდ გამოიყენება ამ ცნების უფრო მკაფიოდ აღმწერი სინონიმი, ახალი ტერმინი, სახელდობრ, ინგლისელები მას უწოდებენ *Opposite angles*, ხოლო გერმანელები – *Gegenwinkel*, ანუ – მოპირდაპირე კუთხეებს. ინგლისურენოვან მათემატიკურ ტექსტებში შეხვდებით აგრეთვე კომპრომისულ ტერმინს: **Vertically opposite angles**,

რაც საზიარო წვეროს მქონე მოპირდაპირე კუთხეებად შეიძლება ითარგმნოს.

ეს დაზუსტება საჭირო იყო, რადგან მხოლოდ საზიარო წვეროზე ყურადღების გადატანით, ზედა სურათზე გამოსახული  $\alpha$  და  $\delta$  მოსაზღვრე კუთხეებიც ინგლისელ მკითხველს ზოგჯერ ვერტიკალურ კუთხეებად შეიძლება მიეჩნია. უფრო მეტიც, სათანადო მითითების არქონისას ვერტიკალურ კუთხეებად წარმოედგინა, მაგალითად, ამ სურათზე გამოსახული, საზიარო  $O$  წვეროს მქონე  $AOB$  და  $COD$  კუთხეებიც. ისინი კი, ცხადია, არ მოიაზრება ვერტიკალურ კუთხეების განსაზღვრებაში აღწერილ კუთხეებად.

ფრანგებმა, თავიდანვე, ინგლისელთა მიერ წოდებულ ვერტიკალურ კუთხეებს უწოდეს Angles opposes – მოპირდაპირე კუთხეები. ეს ბუნებრივია, რადგან ასეთი კუთხეები მართლაც განლაგებულია ერთმანეთის მოპირდაპირედ, პირისპირ.

ფრანგებმა, ასევე სრულიად გამართლებულად, ვერტიკალური კუთხეები უწოდეს ვერტიკალთან (ჰორიზონტალურის მართობულ მიმართულებასთან) დაკავშირებულ კუთხეებს. ამ სურათზე რკალით მონიშნულია კუთხე, რომელსაც ფრანგები ვერტიკალურ კუთხეს უწოდებენ –  $AM$  სხივისა და  $AN$  ვერტიკალის მიერ შედგენილ ვერტიკალურ კუთხეს.



ქართულად ტერმინი ვერტიკალური კუთხეები, როგორც სხვა მრავალი ტერმინი, რუსულ ტერმინს Вертикальные углы შეესატყვისება, რადგან რუსულ ტერმინოლოგიაში არ აისახა ამ ტერმინის უცხოურ ენებში არსებული სინონიმები, არც აღწერა წვეროების მიხედვით კუთხეთა სახელდებისა, ამიტომ არც ქართულ ტერმინოლოგიაში ასახულა ეს ვითარება და შემოგვრჩა ქართულისთვის სრულიად უცხო და დამაბნეველი ტერმინი – ვერტიკალური კუთხეები. დამაბნეველია იმიტომ, რომ ქართულ ენაში ტერმინ ვერტიკალურის შინაარსს უპირისპირდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ აჯობებს, თუ დასახელებულ გეომეტრიულ ობიექტებს ჩვენც ამ კუთხეთა რეალური განლაგების საკმაოდ ნათლად გამომხატველ ტერმინს – მოპირდაპირე კუთხეებს – გამოვიყენებთ.

ამ კუთხეთა მოპირდაპირე კუთხეებად სახელდება, ცხადია, არ დაუპირისპირდება, მაგალითად, პარალელოგრამის მოპირდაპირე კუთხეების ცნებას. ისინი სხვადასხვაგვარადაც მოიხსენიება და სხვადასხვანაირად განლაგებულ ობიექტებს წარმოადგენენ – ერთგან არის მოპირდაპირე კუთხეები, მეორეგან კი – პარალელოგრამის მოპირდაპირე კუთხეები (ზუსტად ასევეა ინგლისურ ენაშიც – გამოიყენება ზემოხსენებული Opposite angles და Opposite angles of a parallelogram. ისინი კონტექსტის მიხედვით მარტივად გაიმიჯნება ერთმანეთისაგან აქვე მოვიყვან სხვა რამდენიმე ანალოგიურ მაგალითსაც: კუთხის ბისექტრისა სხვია, ხოლო სამკუთხედის ბისექტრისა – მონაკვეთი; სამკუთხედის მედიანას არაფერი აქვს საერთო მონაცემთა ერთობლიობის მედიანასთან; არე განისაზღვრება, როგორც რაიმე ტოპოლოგიური სივრცის ღია ბმული ქვესიმრავლე, ფუნქციის განსაზღვრის არეს კი ბმულობა არ მოეთხოვება – ის შეიძლება მხოლოდ რამდენიმე რიცხვისგანაც კი შედგებოდეს.

დასასრულ, მოპირდაპირე კუთხეების ზემოხსენებულ უპირატესობებს დავამატებდი კიდევ ერთ, არცთუ უმნიშვნელო, ფაქტორსაც – ამ სიახლით ქართული ენის ლექსიკა ქართულ ენაშივე მოძიებული სიტყვებით შექმნილი, თავად ობიექტის არსის უკეთ გამომხატველი კიდევ ერთი მათემატიკური ტერმინით გამდიდრდება<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> სტატია დასაბუქდად მზად იყო, როცა ერთ-ერთ ძველ სახელმძღვანელოში, კერძოდ, მიხეილ ყიფიანის 1888 წლის გეომეტრიაში, დადასტურდა სწორედ ბატონი გურამ გოგიშვილის მიერ შემოთავაზებული ტერმინი **მოპირდაპირე კუთხეები**, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, თუ რამდენად ღირებული მასალის შემცველია ძველი ტერმინოლოგიური ლექსიკონები თუ სახელმძღვანელოები (რედ.)



Guram Gogishvili

## Why should we Name “Nonvertically” Arranged Angles “Vertical Angles”

### Summary

In the Georgian mathematical terminology, the angles  $\alpha$ ,  $\beta$  and  $\gamma$ ,  $\delta$  formed after straight lines K and L cross each other are called vertical angles. It is clear that the said pairs of angles are not connected to the concepts of *vert'ik'ali* “vertical” and *vert'ik'aluroba* “verticality” in the Georgian language. *vert'ik'aluri* “vertical” is associated with the direction that is opposite to horizontal. What is common between the said pairs of angles and verticality? If we discuss the foreign terms for these angles we will find the word “vertical” in them (Eng. vertical angles) but this fact has no connection with the concept of verticality, it is connected to the shared point (vertex) of these angles. All the English mathematical dictionaries define these angles as vertical angles just because of the shared point of intersection. The German term Scheitelwinkel is connected to this point as well. We think that the Russian term *Вертикальные углы* has been adopted from the English language.

It should also be noted that in English and German this term is used together with more explicit synonyms “opposite angles” and “Gegenwinkel”. In fact, the angles are certainly located opposite to each other. We think that the Georgian term *vert'ik'aluri k'utkheebi* “vertical angles”, like many other terms, were established by the influence of the Russian language. In the Russian terminology the said foreign synonyms or the description of designation connected to a vertex were not reflected. It was not reflected even in the Georgian language and as a result we have an inappropriate and confusing term *vert'ik'aluri k'utkheebi* “vertical angles”. It is confusing because it opposes the notion of the word *vert'ik'aluri* “vertical” in the Georgian language.

Based on the above, we think that it would be better if we define these geometric objects by the more explicit term showing their real disposition – *mop'irdap'ire k'utkheebi* “opposite angles”.

ნინო დათეშიძე, ნათელა მუზაშვილი, მარინე ოსაძე

## დიალექტური მასალა – ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის წყარო

ტერმინოლოგიური ლექსიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი უცხო ენებიდან შემოსული სიტყვებია. ეს პროცესი ყველა ენაში გარდაუვალია, რასაც ენათმეცნიერის და სამეცნიერო კონტაქტები განაპირობებს. ბუნებრივია, სესხების პროცესი ენისათვის საფრთხის შემცველია, ამიტომაცაა, რომ ტერმინოლოგიები ყოველთვის ცდილობდნენ, თავი დაეღწიათ გადაჭარბებული სესხებისაგან. ამ ფაქტმა განაპირობა მრავალი ტერმინის ხელოვნურად შექმნა საკუთარი ენობრივი საშუალებებით, რაც, ვფიქრობთ, გამართლებული გზა იყო ტერმინთშემოქმედებაში და დღესაც, საჭიროებისას, ამ გზას შეიძლება მივმართოთ.

ტერმინოლოგიური ლექსიკის გამდიდრების წყარო ყოველთვის იყო ძველი ქართული ლექსიკა და ამ გზით არაერთი ქართული სიტყვა დამკვიდრებულა. ტექნიკურ ტერმინოლოგიაში უხვადაა დადასტურებული სულხან-საბას ლექსიკონიდან წარმოდგენილი მასალა, როგორებიცაა: **ბადისახე – оконная сетка; აბანოზი (ეკალმუხა ჰქვია) – черное дерево; ბიცი, მლაშობი – солончак; ბოგა, მცირე ხიდი – мостик; ბალავარი, საძირკვლის ქვა – фундамент; იშელი ღორისა – свиная закута** (სოფლის მეურნეობაში); **კრია, ქვიანი ნიადაგი – каменная почва.**

ტერმინოლოგიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დიალექტურ მასალას. ენათმეცნიერებაში დიალექტების შესწავლა ყოველთვის უმნიშვნელოვანესი მიმართულება იყო, რადგან ენის სრულყოფილი კვლევა მის გარეშე შეუძლებელია. განსაკუთრებული ყურადღება ყოველთვის ექცეოდა დიალექტურ ლექსიკას, რომელიც ქართული სალიტერატურო ენის წყაროა. როგორც კი ენას საფრთხე შეექმნებოდა, ღარიბდებოდა, გადამრჩენი ყოველთვის დიალექტური ლექსიკა იყო. განსაკუთრებული ყურადღება დიალექტების კვლევას XX საუკუნეში მიენიჭა. უმნიშვნელოვანესი და უმდიდრესი მასალა შეგროვდა და მრავალრიცხოვანი დიალექტური და დარგობრივი ლექსიკონი გამოიცა. მოძიებული და ჩაწერილია საქართველოს თით-

ქმის ყველა კუთხის მასალა, რომელიც დღეს მნიშვნელოვანი სიმდიდრეა ენისათვის (დამბაშიძე, 1986: 116).

დიალექტური ლექსიკა სალიტერატურო ენის მნიშვნელოვანი ნაწილია, მრავალი სიტყვა დამკვიდრდა სხვადასხვა დიალექტიდან. ერთი გზა დიალექტური ერთეულების სალიტერატურო ენაში დამკვიდრებისა მწერლის ენა იყო. განმარტებით ლექსიკონებზე მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევიათ დიალექტური ლექსიკისათვის. შეიქმნა საგანგებო ფონდი. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი მრავალი დიალექტური სიტყვით შეივსო. მაგალითად, **ბიჭაბიჭა** ზემო იმერულში აღნიშნავს – ვაზის მუხლის ძირში ამოსულ ზედმეტ ყლორტებს, გურულში კი – სიმინდის უვარგის ღეროებს. განმარტებით ლექსიკონში სიტყვა ორივე მნიშვნელობით შევიდა. **ბოკონი** ფიცრის დაბალ სკამს ნიშნავს ზემოიმერულში – ეს სიტყვა განმარტებით ლექსიკონში ორი მნიშვნელობით შევიდა: 1. მორის ბოძები, რომლებზეც დაყრდნობილია ფიცრული სახლის, ე.წ. ოდის, სასაძირკვე დირეები; 2. ეზოში გამართული ძელსაჯდომი. ეს ორივე მნიშვნელობა ეფუძნება იმერულის განმარტებას. **ბოცა** იმერულში აღნიშნავს: ფართომუცლიან ვიწროყელიან სხვადასხვა ტევადობის ჭურჭელს, წნულით გარშემოვლებულს, განმარტებით ლექსიკონშიც ამავე მნიშვნელობითაა შესული.

უდიდესია დიალექტური ლექსიკის მნიშვნელობა ტერმინოლოგიაში. სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნის ეტაპებიდანვე ტერმინოლოგები დიალექტური ლექსიკით დაინტერესდნენ. XX საუკუნის დასაწყისში, როცა ტერმინოლოგია ენათმეცნიერების ცალკე დარგად ჩამოყალიბდა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სწორედ ქართულ ტერმინთმემოქმედებას. სამეცნიერო ენაში უამრავი ტერმინი გაჩნდა. აუცილებელი შეიქმნა ცნებების ზუსტი შესატყვისი ტერმინების დაძებნა. სწორედ XX საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება აღმავლობა ტერმინოლოგიაში. ყველა დარგის სპეციალისტი ენათმეცნიერებთან ერთად ქმნიდა ტერმინებს, რომლებიც მყარად დამკვიდრდა სამეცნიერო ენაში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ტექნიკურ ტერმინოლოგიას, რადგან ტექნიკა, როგორც დამოუკიდებელი დარგი, იმ დროისათვის იდგამდა ფეხს. დიდია ტექნიკური საზოგადოების წვლილი ქართულ ტერმინოლოგიაში, რადგან მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში ყოველთვის ჭარბობდა უცხო წარმომავლობის სიტყვები, ენათმეცნიერები ეძებდნენ იმ წყაროს, რომელიც იქნებოდა ბაზა ქართული, ცნების ზუსტი შესატყვისი, ტერმინების შესაქმნე-

ლად. სწორედ ასეთი მდიდარი ლექსიკა მოიძებნა დიალექტებში. დიალექტური ლექსიკის ამ მიმართულებით კვლევა ყოველთვის იყო ქართველ ენათმეცნიერთათვის მნიშვნელოვანი.

ტერმინოლოგიის განყოფილებაში მრავალი ტერმინოლოგია დამუშავდა. ლექსიკონზე მომუშავე ჯგუფი ყოველთვის ითვალისწინებდა წინაპართა გზას და ცნების ზუსტი შესატყვისი ტერმინისათვის ხშირად სწორედ დიალექტურ ერთეულს იყენებდა. ამან განაპირობა, რომ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში შევიდა და დამკვიდრდა დიალექტური ლექსიკიდან სიტყვები, რომლებიც ტერმინად იქცა. მაგალითად, ქართლურიდან სიტყვა **მდნარი**, ადვილად დნობადი, ამავე მნიშვნელობით დამკვიდრდა ტექნიკურ ტერმინოლოგიაში – **მდნარი, ლხობილი, плавленый; მშვილდი, შვილდი** ქართლურში აღნიშნავს გუთნის ნაწილს, რომელსაც უჭირავს გუთანაი. ტერმინოლოგიაში ეს ტერმინი ამავე მნიშვნელობით არის შესული – **მასრასაჭერი მშვილდი** **лучок шпрынки**.

**კანჯო** (ქართლურში) – ოთხკუთხად მოხრილი რკინა ხეზე დასარჭობად. ტექნიკურში ამ ტერმინს შეესაბამება პატარა ნიჩბიანი **ნავი** – **шлюпка**. კანჯო განმარტებითსა და საზღვაო ტერმინოლოგიაში განმარტებულია, როგორც მომცრო ნავი, პატარა ნიჩბიანი ნავების საერთო დასახელება; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ ლექსიკონში **კანჯოს** ასე განმარტავენ: კაუჭი, ზოგჯერ ჯოხზე წამოცმული, რომლის მეშვეობითაც ითრევენ სხვადასხვა ნივთს (მაგ., ზღვაში) ან ზედსამაგრად ხმარობენ. ეს განმარტება სწორედ ქართლური სიტყვის მნიშვნელობას ეფუძნება. იმერულშიც **კანჯო** აღნიშნავს ბოსლის კედელზე ან ბაგაზე ორივე ბოლოთი მიჭედებულ ლითონის რკალს, რომელზედაც გამოაბამენ საქონელს საბლით.

ბოტანიკაში შესულია მცენარეების სახეობები იმერულიდან და რაჭულიდან. მაგ., **ბებრიკონკა** **ბებრისკონკას** ფორმით; იმერულიდან ტექნიკურშია შესული **ბოჯგი** – რაიმე ნაგებობის ან შენობის საყრდენი, რომელიც განმარტებით ლექსიკონშიც დასტურდება, ქართლურში ამ ტერმინს შეესატყვისება **ბოჯიჯგნი** – საყრდენი, საბჯენი. ბოტანიკურში იმერული დიალექტიდან შესულია **ბაბგი**, რომელიც აღნიშნავს მარადმწვანე ბუჩქს, სინონიმია ქართლურში **ირმისსაკვენეტელა**, რაჭულში – **ჭყორი; თეგი** იმერულში აღნიშნავს ხისტარიან ხელსაწყოს ფანჯრის ჩარჩოებზე ნახვრეტების ამოსაღებად. ეს ტერმინი ტექნიკურ ტერმინოლოგიაში შეესატყვისება რუსულ ტერმინს **чекан, чеканка**. იმერული **თეგი** ტერმინოლოგიაში ორი მნიშვნელობით დამკვიდრდა:

1. **Чекан, чеканка** – თეგი; 2. თეგის დასამუშავებელი ხელსაწყო, რკინაზე ამოსატვიფრი. ამ ტერმინიდან არის ნაწარმოები **თეგ – ჩაქური. დგიმი** იმერულში საქსოვი დაზგის ნაწილია, რომელიც ზუსტად ამავე მნიშვნელობით არის შესული ტექნიკურ ტერმინოლოგიაში (**ремизка**). **დგიმიდან** არის ნაწარმოები კომპოზიტი **დგიმსაქსოვი**. მრავალი ასეთი დიალექტური ტერმინი შეიძლება დაიდებნოს სხვადასხვა ტერმინოლოგიურ ლექსიკონსა და სამეცნიერო ენაში.

ტერმინ **კვეყოს** რამდენიმე მნიშვნელობა დასტურდება დიალექტურ ლექსიკონებში. იმერულში ის აღნიშნავს ხის მრგვალ ნაჭერს, რომელსაც ხის ტარი აქვს; იყენებენ ჭურის თავზე აყალოს დასატეხნად, უწოდებენ ასევე ხის სოკოს, რომლითაც აბედს აკეთებენ (ვ. ბერიძე, ა. მაყ.), **კვეყო** ღომის ჯიშიც არის, ღიათაველიანი, **კვეყო** აღნიშნავს ხის უროსაც. ტექნიკურ ლექსიკონში ეს ტერმინი დამკვიდრდა სადღურგლო ხის იარაღის მნიშვნელობით – **киянка**.

**ბურული** იმერულ დიალექტში აღნიშნავს ისლის სახურავს, გურულში – ისლით დახურულ ნაგებობას, იმერხეულში – ბინას, ტექნიკურ ტერმინოლოგიაში **ბურული кровля**-ს შეესაბამება.

**ხირხატი** ქართლურსა და კახურ დიალექტებში ნიშნავს ქვაქვიშიან ადგილს, სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიაში ეს ტერმინი ნიადაგის ერთ-ერთი თავისებურების აღსანიშნავად გამოიყენება – **ხირხატიანობა ნიადაგისა скелетность почвы**.

საინტერესო ცნობას გვაწვდის ალ. ლლონტი ტერმინ **სარეველას** შესახებ, ის შენიშნავს, რომ **სარეველი** ნ. კეცხოველს გამოუყენებია თავდაპირველად. ეს სიტყვა ქართლური დიალექტის კუთვნილებას, ივ. ჯავახიშვილს ძალიან მოსწონებია და შემდგომ გამოუყენებია კიდევ თავის ნაშრომებშიც ნათესში გამორეული ველური მცენარის – **ცუდბალახას**, მნიშვნელობით. შემდეგ **სარეველი** სამწერლობო ენაშიც გავრცელდა, ოღონდ **სარეველას** ფორმით. მანამდე სალიტერატურო ენაში არც გვქონდა ველურ მცენარეთა ტერმინი. მაგრამ საინტერესოა ის, რომ **სარეველას** ქართლური დიალექტის ლექსიკონში სხვა მნიშვნელობა აქვს, **სარეველა** ნიშნავს მოსარევ ჯოხს. ალ. ლლონტის „სიტყვის კონაშიც“ **სარეველი** ფორმა არ არის შეტანილი, ხოლო **სარეველა** იმავე ლექსიკონში მთიულურ დიალექტში დადასტურებული მნიშვნელობით შესულა – ხისტარიანი რკინის ნიჩაბი არყის ან რძის მოსარევად (ლლონტი, 1983: 255).

ნებისმიერი დიალექტური სალექსიკონო ერთეული, რომელიც ამა თუ იმ დარგში მნიშვნელობით რომელიმე ცნების შესატყვისია, შე-

სამღებელია ტერმინად იქცეს. მრავალი დიალექტური სიტყვა პოტენციურად ტერმინია, რომელსაც შეგვიძლია **ტერმინდიალექტი** ვუწოდოთ. ამას ადასტურებს ის მდიდარი მასალა, რომელიც გაბნეულია სხვადასხვა ტერმინოლოგიურ ლექსიკონში. ამ ტერმინებმა შეიძლება ჩაანაცვლოს არამართო უცხო წარმომავლობის სიტყვა, არამედ ზოგჯერ ქართულიც. მაგალითად, ქართულურში სიტყვა **ბარულა** ნიშნავს: ჩვილი ბავშვის შესახვევს, ჩვეულებრივ, მიტკლისას. სავსებით შესაძლებელია მან ჩაანაცვლოს ბავშვის სახვევი, **пеленка**. **გაბმულა** ქართულურში ნიშნავს: ხეებზე (ან საწოლის თავებზე) გაბმულ ორ თოკზე გამართულ საწოლს ჩვილი ბავშვებისათვის. ეს სიტყვაც ამავე მნიშვნელობით შეიძლება ჩაენაცვლოს ბავშვის საწოლს (სარწეველას), **пюлька**-ს. ქართულურში სიტყვა **კუნძური** ცურვის ერთგვარი ხერხია. ბუნებრივია, მისი გამოყენება სპორტის ტერმინოლოგიაშია შესაძლებელი ისევე, როგორც **კლაური** დამკვიდრდა ქართულურიდან.

თანამედროვე სამეცნიერო ენაში მოზღვავებულ უცხოენოვან ტერმინებს თავისუფლად შეიძლება ჩაენაცვლოს სალექსიკონო ერთეულები დიალექტური ლექსიკის წიაღიდან. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს 80-იან წლებში ქ. ლომთათიძის მიერ საუნივერსიტეტო კონფერენციაზე ტერმინ **безразмерный**-ის (ინგლისური **stretch**) შესატყვისად რაჭულ დიალექტში დადასტურებული ზუსტი შესატყვისის, **მაწევანას**, დასახელება (ვაშაკიძე, 2016; 25-26).

**სამსჯვალი** იმერულ დიალექტში აღნიშნავს რკინას, რომლითაც წისკვილის ქვაა დამაგრებული. ეს სიტყვა შეიძლება გამოვიყენოთ ინგლისური **stud**-ის შესატყვად. **stud**-ი ერთგვარი ფართოთავიანი ლურსმანია, რომელიც გამოიყენება მშენებლობაში კონსტრუქციების შესაერთებლად.

მართალია, ტერმინოლოგიის განყოფილებაში ლექსიკონზე მუშაობისას ცნებათა შესატყვისად ხშირად დიალექტური ტერმინებია გამოყენებული, საგანგებო კვლევა ამ მიმართულებით არ ჩატარებულა.

დღეს, როდესაც მრავალი ელექტრონული ლექსიკონი არსებობს, ვფიქრობთ, შესაძლებელი გახდა დიალექტური ლექსიკონებიდან ამოიკრიბოს ის სიტყვები, რომლებიც მრავალი დარგის ცნებათა შესატყვის ტერმინებს გამოავლენს. ეს მასალა თავს მოიყრის დიალექტურ ტერმინთა ელექტრონულ ბაზაში. მასალა განთავსდება დიალექტების მიხედვით დარგებად და ქვედარგებად და დაუკავშირდება იმ ტერმინოლოგიურ ბაზას, რომლის ელექტრონული პროგრამა შეიქმნა თავდაცვის სამინისტროსთან ერთად.

## ლიტერატურა

**ბოტანიკური ლექსიკონი, 1961** – ბოტანიკური ლექსიკონი, ავტორი: ა. მაცაშვილი, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1961;

**ვაშაკიძე, 2016** – ი. ვაშაკიძე, ქართული ენის პრაქტიკული კურსი და აკადემიური წერის საფუძვლები, თბ., 2016;

ზემოიმერული ლექსიკონი (ავტორი ქეთევან ძოწენიძე), თბ., „განათლება“, 1974;

სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია, თბ., 1959;

ქართული დიალექტის ლექსიკონი (შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე), თბ., „მეცნიერება“, 1981;

**ღამბაშიძე, 1986** – რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., მეცნიერება, 1986;

**ღლონტი, 1983** – ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1983.

**Nino Dateshidze, Natela Muzashvili, Marine Osadze**

### **Dialectological Material – the Source of Georgian Scientific Terminology**

#### Summary

Terminology is a synthesis of literary and scientific languages. In all languages, including Georgian, terms enter from the system of the common literary language – a general word is given a specific function in the terminological field.

In the scientific terminology a number of words with a foreign origin appear that, in some ways, create a certain system with their own rules of adaptation. Borrowing is an inevitable process in all languages that is conditioned by interlinguistic and scientific contacts.

Naturally, the process of borrowing includes a threat for a language, so terminologists have always tried to find a source that can prevent excessive borrowing. In this respect, it is of great importance to find specialized vocabulary in the dialects and use them in different scientific fields. So, a number of terms have been created with own linguistic means which, we believe, was a justified way of coining new terms; even today they should be appropriately reflected in the Georgian terminological databases in order to facilitate their use.



## თამარ დათუაშვილი

### იოსებ ავალიშვილი<sup>1</sup>

იოსებ ავალიშვილი გახლდათ მათემატიკოსი, პედაგოგი. იგი უკითხავდა ლექციებს სტუდენტებსა და მასწავლებლებს, ასწავლიდა მოსწავლეებს, წერდა მათთვის სახელმძღვანელოებს, ქმნიდა და აყალიბებდა შესაბამის ქართულ ტერმინოლოგიას მათემატიკისა და საფინანსო დარგებში.



იოსებ ავალიშვილი

იოსებ ავალიშვილი დაიბადა 1886 წელს ბრეთში, გორის (ამჟამად ქარელის) რაიონში. მისი წინაპრები ბორჯომის ხეობის თავადები იყვნენ<sup>2</sup>. მამა – გიორგი ქაიხოსროს ძე ავალიშვილი – სასამართლოს მოხელე გახლდათ და გორში მსახურობდა, ხოლო დედა – ეკატერინე ესტატეს ასული ციციშვილი – ერეკლე II-ის შთამომავალი გახლდათ მარიამ ბატონიშვილის მხრიდან, რომლის მეუღლე იყო თბილისის სარდალ-მოურავი დავით ციციშვილი. ი. ავალიშვილს ერთი და და ოთხი ძმა ჰყავდა; იგი ყველაზე უმცროსი იყო. ხუთი წლისას მამა გარდაეცვალა. შვიდი წლისა იგი შეჰყავთ თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, რომლის დამთავრებისთანავე (1906 წ.) ვერ აგრძელებს სწავლას უმაღლეს სასწავლებელში მატერიალურ საშუალებათა ნაკლებობის გამო. ი. ავალიშვილი იწყებს მუშაობას და ორი წლის შემდეგ მიდის ხარკოვში, სადაც ირიცხება ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, წმინდა მათემატიკის სექციაზე. ხარკოვის უნივერსიტეტში ფიზიკისა და მათემატი-

---

<sup>1</sup> დიდად მადლობელი ვარ აკადემიკოს გიორგი ჭოლოშვილისა ჩემი პაპის – იოსებ ავალიშვილის – ღვაწლის დაფასებისთვის. ბატონმა გიორგიმ 25 წლის წინ დამავალა მოხსენების გაკეთება თსუ-ს 75 წლის იუბილეზე; სათაურიც თვითონ შეარჩია „იოსებ ავალიშვილის ბიბლიოგრაფიული ნაშრომები“. ამით მან დამაინტერესა ქართული მათემატიკური ტერმინების ისტორიით. დიდ მადლობას ვუხდი ბატონ ომარ მაგნიძესა და ქალბატონ ლია ქაროსანიძეს შემოთავაზებისთვის გამომეჩვენებინა ეს ნაშრომი.

<sup>2</sup> ბორჯომის ხეობისა და საავალიშვილოს ისტორიის შესახებ იხ. აბულაძე, 1983.

კის მეცნიერებათა განყოფილებები ერთ-ერთ ყველაზე მთავარ განყოფილებებად ითვლებოდა. მათემატიკის სწავლება უნივერსიტეტის დაარსებისთანავე საკმაოდ მაღალ დონეზე მიმდინარეობდა; ხოლო უკვე XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ამ უნივერსიტეტში ისეთი გამოჩენილი პიროვნებებისა და მეცნიერების მოღვაწეობამ, როგორებიც იყვნენ ა. მ. ლიაპუნოვი, ვ. გ. იშმენიცი, ვ. ა. სტეკლოვი და ს.ნ. ბერშტეინი, განაპირობა ხარკოვის, როგორც მაღალი მათემატიკური კულტურის ქალაქის სახის ჩამოყალიბება. 1913 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ი. ავალიშვილი მსახურობს ქ. გიორგევსკის რეალურ სასწავლებელში მათემატიკის მასწავლებლად. 1915 წელს ი. ავალიშვილი ბრუნდება საქართველოში და იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1916 წელს იგი ჯვარს იწერს თამარ ნიკოლოზის ასულ ზაალიშვილზე. ნიკოლოზ ზაალიშვილი გახლდათ მომრიგებელი მოსამართლე, რომელიც თბილისში მსახურობდა. თამარ ზაალიშვილი გახლდათ რუსული ენის სპეციალისტი, მასწავლებელი. თამარ და იოსებ ავალიშვილებს შეეძინათ ორი შვილი – ვახტანგ და ეკატერინე-გულნარა ავალიშვილები. 1915-1917 წლებში ი. ავალიშვილი მათემატიკის მასწავლებლად მუშაობს ტფილისის კომერციულ



ი. ავალიშვილი მეუღლესთან ერთად

სასწავლებელში, ხოლო 1917-1919 წლებში ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში. 1917 წელს იგი საკუთარი სახსრებით გამოსცემს ლექსიკონს სახელწოდებით „მათემატიკური ტერმინები, ქართულ-რუსული, რუსულ-ქართული“ (ავალიშვილი, 1917). ლექსიკონის გამოქვეყნებას წინ უძღოდა საგანგებო კომისიის მეტად დამაბული და საინტერესო სხდომები, რომლებიც კამათის გარეშე არ ტარდებოდა. ი. ავალიშვილი აღნიშნავდა, რომ ივანე ჯავახიშვილი აქტიურად მონაწილეობდა სხდომების მუშაობაში და ის

მხარს უჭერდა ტერმინების მისეულ ვერსიებს. ლექსიკონის გამოცემა-მდე, როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს შესავალში, ტერმინები მის მიერ პერიოდულად ქვეყნდებოდა „სახალხო ფურცელში“, სათაურით

„სახელები და ზოგიერთი ხშირად სახმარებელი სიტყვები დასაბამითი მათემატიკაში“.



ი. ავალიშვილი ხარკოვის უნივერსიტეტში ქართველ სტუდენტებთან ერთად

ი. ავალიშვილი დიდი სიხარულითა და იმედით შეხვდა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნას (1918 წლის 26 იანვარი), ხოლო შემდგომში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებას (1918 წლის 26 მაისი). 1920 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გამოიცა მისი „არითმეტიკის სახელმძღვანელო“ (ავალიშვილი, 1920), რომელიც სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებულ სასწავლო კომიტეტის მიერ ნებადართული იყო „სასკოლო სახმარებლად, როგორც სახელმძღვანელო“. შემდგომში ი. ავალიშვილი

აღნიშნავდა, რომ იმ დროისათვის საქართველოში ეკონომიკა ძლიერ ჩამორჩენილი იყო, ქვეყანაში არ იყვნენ საფინანსო დარგის სპეციალისტები, რის გამოც მათემატიკაში პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად მან შეისწავლა საფინანსო დარგი. 1919-1920 და 1920-1921 წლებში იგი არის საფინანსო ნაწილის გამგე შესაბამისად წარმოკავშირში და შრომის კომისარიატში. ი. ავალიშვილი იყო ერთ-ერთი იმათგანი, ვინც 1921 წელს გააცილა საქართველოს მთავრობა. იგი შინ მხოლოდ გამთენიისას დაბრუნდა. ოჯახში უკვე ეჭვობდნენ, რომ მანაც გადაწყვიტა ქვეყნის დატოვება და გაემგზავრა მთავრობასთან ერთად. 1922-1925 წლებში ი. ავალიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო ნაწილის გამგეა. 1925 წლიდან იგი არის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, ხოლო 1931 წლიდან უნივერსიტეტის დოცენტი, კითხულობს უმაღლესი მათემატიკისა და ბალანსის ანალიზის კურსებს. 1927 წელს გამოდის მისი წიგნი „ბალანსის ანალიზი“ (ავალიშვილი, 1927), ხოლო 1928 წელს წიგნი „ფინანსური გამოანგარიშების სახელმძღვანელო“ (ავალიშვილი, 1928), შეთავსებით 1921-1930 წწ. ი. ავალიშვილი არის განსახკომის საბუხჰალტრო კურსების გამგე და ლექტორი. 1931-1933 წწ. იგი საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმის მათემატიკის მასწავლებლად მუშაობს, ამავე პერიოდში არის საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტის დოცენტი, კითხულობს ლექციებს. საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარები-

სა და სახელმწიფო უნივერსიტეტში მეტად დამაბული და მისთვის მიუღებელი გარემოს გამო 1934 წელს ი. ავალიშვილი პროტესტის ნიშნად საკუთარი განცხადების საფუძველზე ტოვებს უნივერსიტეტს. 1933-1936 წლებში იგი არის სახ. კინომრეწვის საფინანსო ნაწილის გამგე. 1936 წელს ი. ავალიშვილი ტოვებს თბილისს და მიდის გურჯაანში, სადაც აგრძელებს მუშაობას მათემატიკის მასწავლებლად პედაგოგიურ ტექნიკუმში, აგრეთვე კითხულობს ლექციებს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე. 1937 წელს იგი ბრუნდება თბილისში, არის მათემატიკის ლექტორი „გრუზაკვოს“ კურსებზე, შემდგომში კი მათემატიკის მასწავლებელი როგორც ქართული, ასევე რუსული სექტორისა, სამხედრო და თბილისის სხვა მასწავლებლებში.

ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ი. ავალიშვილს ახალგაზრდობის წლებში უჩვენებია თავისი ნაშრომი, სავარაუდოდ, სადისერტაციოდ გამოზნული, უნივერსიტეტის თანამშრომლისთვის, რომელიც მათემატიკის დარგს განაგებდა (სამწუხაროდ ზუსტი თარიღი და აღნიშნული პიროვნების გვარი ჩემთვის არ არის ცნობილი). მას უთქვამს ი. ავალიშვილისთვის, რომ ამას ყველაფერს ოფიციალური სახე უნდა მისცემოდა და ჩამოუთვლია, რისი გაკეთება იყო საჭირო. ი. ავალიშვილი მოგვიანებით იხსენებდა, რომ მას არ მოსწონებია ეს მოთხოვნები და არც ის, თუ როგორ იყო ეს ნათქვამი და ამ საქმისთვის მსვლელობა აღარ მიუცია. აკადემიკოს გიორგი ჭოლოშვილის აზრით, ეს პიროვნება ალბათ პროფესორი ანდრია ბენაშვილი უნდა ყოფილიყო. იოსებ და თამარ ავალიშვილები არ ყოფილან კომუნისტური პარტიის წევრები. თ. ავალიშვილს რამდენჯერმე შესთავაზეს განათლების სამინისტროში სამსახური, მაგრამ მან არ ისურვა თავისი საყვარელი საქმის მიტოვება. იგი 45 წლის განმავლობაში სიამოვნებით ასრულებდა მასწავლებლის მოვალეობას. თავისი წარჩინებული პედაგოგიური მოღვაწეობისთვის მას მიღებული ჰქონდა მთვრობის ჯილდოები და ლენინის ორდენი. 1949 წელს ი. ავალიშვილი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით განათლების დარგში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისთვის დაჯილდოებული იყო მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ (შეტყობინებას ხელს აწერს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ვ. კუპრამე).

იოსებ ავალიშვილის ჯანსაღი და ხალისიანი განწყობა, მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება ბუნების მიმართ, რის შესახებაც იშვიათად საუბრობდა, მისი მშვიდი ხასიათი მის გარშემომყოფთა-

თვის ძლიერ სასიამოვნო და მნიშვნელოვანი იყო. მას ვერ შეატყობდით ჯავრს მისი წარსულიდან რომელიმე პიროვნებისა თუ დაწესებულების მიმართ. უყვარდა ჭადრაკის თამაში და საკმაო წარმატებაც ჰქონდა. ეს ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ საქართველოში დაბრუნებისთანავე მისმა გამოჩენამ „ქართულ კლუბში“ ქართული საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კლუბში, გარდა გართობისა, მნიშვნელოვანი საქველმოქმედო ღონისძიებები ტარდებოდა და სახელმწიფო დონის შეხვედრებიც იმართებოდა. ნიკოლოზ ზაალიშვილი თავისი ოჯახით „ქართული კლუბის“ აქტიური წევრი იყო.

მთელი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის განმავლობაში იოსებ ავალიშვილი იყო პატიოსანი, კეთილი, გაჭირვებულთა დამხმარე, სიმართლისა და ჭეშმარიტების დამცველი და პატივისმცემელი, მეტად დახვეწილი, სილამაზის დიდი თავყვანისმცემელი, მაღალი გემოვნების მქონე, მამაცი და ამავე დროს მეტად თავმდაბალი და თავშეკავებული პიროვნება. მიუხედავად ასაკისა ის ყოველთვის თანამედროვე იყო, ეს შეეხებოდა მუსიკას თუ სხვა სფეროს. ამასთანავე მან ბოლომდე შეინარჩუნა ჯანის სიმრთელე, ნათელი გონება და სიმხნევე. ი. ავალიშვილი მეტად თავაზიანი გახლდათ; იგი არა მარტო ადამიანებს, არამედ ცხოველებსაც განსაკუთრებული პატივისცემით ექცეოდა და საჭიროების შემთხვევაში სხვასაც სთხოვდა ცხოველის მიმართ თავაზიანობას. იგი აგრძელებდა მისი დიდი წინაპრების დაწყებულ საქმეს: დაუღალავად შრომობდა, იცავდა და უფრო თხილდებოდა ქრთულ ენას, ზრუნავდა მასზე, ემსახურებოდა თავისი ქვეყნის კეთილდღეობას, ახალგაზრდების განათლებასა და აღზრდას თავის მეუღლესთან ერთად. აღსანიშნავია, რომ ი. ავალიშვილმა დააარსა საბუღალტრო კურსები, სადაც ახალგაზრდები იღებდნენ სათანადო განათლებას, მათ შორის ბევრი უფასოდ ხელმოკლეობის გამო. კურსდამთავრებულები მუშაობდნენ ბუღალტრის თანამდებობებზე სხვადასხვა დაწესებულებაში, რაც იმ პერიოდში მეტად საჭირო იყო ქვეყნისთვის.

წლის განმავლობაში დამაბული მუშაობის შემდეგ ი. ავალიშვილი თავისი ოჯახით, როგორც წესი, ბორჯომის ხეობაში მიდიოდა დასასვენებლად. საცხოვრებლად განსაკუთრებულად ლამაზ და ეგზოტიკურ ადგილს ირჩევდა. იგი ხატვის ნიჭით იყო დაჯილდოებული და ზაფხულობით დიდ დროს ფერწერული ტილოების შექმნას უთმობდა. მათი მეგობარი ოჯახებიც ბორჯომის ხეობაში ატარებდნენ

ზაფხულს და ხშირად სტუმრობდნენ ერთმანეთს. მათ შორის იყო ბატონი შალვა ნუცუბიძე, იმ დროისათვის უნივერსიტეტის პროფესორი, შემდგომში აკადემიკოსი. ერთხელ, როცა ის თავისი ოჯახით წაღვერში ავალიშვილებს ესტუმრა, სადილად ორივე ოჯახი ერთად ფეხით მზეთამზეში წასულა; თან წაუღიათ მომზადებული სადილი და ყველა საჭირო ნივთი, დანა-ჩანგლიდან დაწყებული ფარდაგით დამთავრებული და შესანიშნავი დრო გაუტარებიათ. წაღვერში დასვენების შემდეგ იოსებ ავალიშვილის ოჯახის მარშრუტი იყო ჯერ ბათუმში, ხოლო შემდეგ გემით ანაპაში გამგზავრება და იქ სახელგანთქმულ სანაპიროზე დასვენება. ამ დროს სხვა ოჯახებიც საქართველოდან დასვენების მსგავს წესს ირჩევდნენ.

იოსებ ავალიშვილის ფერწერული ტილოების უმრავლესობა გაჩუქებულია. მოსწონდათ და ვჭუქნიდით, – სიამოვნებით აღნიშნა მან ერთხელ, როცა მისმა შვილიშვილმა ჰკითხა მას ნახატების შესახებ. ხანდაზმული თავის შვილიშვილებს ასწავლიდა მათემატიკას, ჭადრაკს, ხატვასა და ფერთა სილამაზეს. სწავლების წესი განსაკუთრებული იყო, თვით ტერმინების გამოთქმაში იყო რაღაც სასიამოვნო და საინტერესო. მის მიერ წარმოთქმული „ბრუნვითი სხეულები“ იმდენად მომხიბლავად ჟღერდა, ამასთან მისი ოდნავ მომღიმარე გამომეტყველება თითქოს რაღაც საუცხოოს გპირდებოდათ, ისე რომ მისი ნორჩი მსმენელი მოუთმენლად და სიხარულით ელოდა ამ ცნების არსის გაგებას. იგი ცდილობდა ფერწერისა და მათემატიკის სიყვარული გადაეცა მათთვის, რასაც წარმატება მოჰყვა...

1978 წლის 14 აპრილს, როცა მან შეიტყო თბილისში მიმდინარე მოვლენების შესახებ, სახე საოცრად შეეცვალა, აღელდა, თვალეზში ცრემლი ჩაუდგა, სიტყვა არ დაუძრავს, სახეზე მწუხარება და სიხარული ერთდროულად აღბეჭდოდა. ასე უსიტყვოდ გამოხატა მან თავისი სულიერი განწყობა. მისი ოჯახის წევრებიც კი არ მოელოდნენ მის ასეთ მძაფრ რეაქციას მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდნენ, თუ რა ძვირფასი იყო მისთვის მშობლიური ქვეყანა, ენა, თუმცა ის თავის გრძნობებზე არასდროს საუბრობდა. მათ იცოდნენ, რომ ოჯახში რუსულად არ უნდა ესაუბრათ. თავშეკავებული იყო და ამ საკითხსაც ოდნავ ხუმრობით, ბუნებრივი ღიმილიანი სახით აგვარებდა; მისგან შენიშვნები არასდროს მოდიოდა.

იოსებ ავალიშვილი გარდაიცვალა 1979 წელს თბილისში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ი. ავალიშვილის პუბლიკაციების მნიშვნელობა. მისი „მათემატიკური ტერმინები“ გამოვიდა 1917 წელს,

როცა უნივერსიტეტი ჯერ არ იყო დაარსებული. კარგად ცნობილი პოლიტიკური ვითარების გამო იმ დროისათვის არ არსებობდა სათანადო სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე, იყო დიდი პრობლემები ქართულ ტერმინოლოგიაში. თავისი ლექსიკონის შესავალს ი. ავალიშვილი იწყებს ევროპასა და რუსეთში პედაგოგიკის განვითარებაზე საუბრით. საქართველოში ამის თაობაზე იგი აღნიშნავს შემდეგს. *ამ მხრივ ჩვენში უარესო მდგომარეობა არის. არც გასაკვირია, რადგანაც ჩვენ იმის უფლებაც არ გვქონდა, რომ საგნები ქართულ ენაზე გვესწავლებინა, ამიტომ ვიყავით ერთ წერტილზე გაჩერებულნი. ქართულად სწავლების საქმე როგორ უნდა წასულიყო წინ, როდესაც არაფერს არ ვასწავლიდით ქართულად. თითქმის სულ ახლათ უნდა დავიმუშაოთ-შევქმნათ ყველაფერი: სახელმძღვანელოები, სასწავლო წიგნები, თვალსაჩინო ხელსაწყოები და სხვა. დამუშავება-შეთხზვა წიგნებისა უქმად ჩაივლის ანდა ძალიან მალე მოუხდება საჩქაროდ გამოცემულს წიგნებს ხელმეორედ გადაამუშავება, თუ საჭირო ტერმინები ცალკე ეხლავე არ დავიმუშავებთ. ტერმინების შემუშავება გავკვირვებულა, თუ წარსულს არ დავივიწყებთ და გადავავალიერებთ იმ წიგნებს, ხელნაწერებს, რომელიც ინახება ქ. შ. წ. გ. საზოგადოების მუზეუმში. საჭიროა ყველა საგნების ტერმინების შესწავლა-შემუშავება* (ავალიშვილი, 1917). ავალიშვილის ლექსიკონის გამოსვლის შემდეგ ქართულ ენაში დამკვიდრდა ტერმინი **მოცულობა**. მისი ლექსიკონის მიხედვით დროის ერთეულებად მიღებული იყო **წამი** (წუთი) და **წუთი** (წამი). ლექსიკონი შეიცავს დაახლოებით 720 ქართულ და ამდენივე რუსულ ტერმინს, მათ შორის არის ბევრი შესანიშნავი ქართულ სიტყვა.

საინტერესოა შემდეგი ჩამონათვალი ტერმინებისა, რომლებსაც ვხვდებით ი. ავალიშვილის ლექსიკონში: **აკლე** „მინუსი“, **განი** „დიამეტრი“, **დამსახველი** „წარმომქმნელი“, **დება** „თეზისი“, **ერთეციტოვანი** „კონცენტრული“, **ერთობრიობა** „ერთადობა“, „თანარობა“ **ეთანასწორება** „ტოლია“, **ვაკეობა** „ფართობი“, **ვალად** „დებეტი“, **თანდება** „სინთეზი“, **თანდებითი მათემატიკა** „გამოყენებითი მათემატიკა“, **თანვლილი ხაზები** „პარალელური ხაზები“, **თანშეზომილება** „სიმეტრია“, **თანზომილება** „თანზომილება“, **თარაზი** „ჰორიზონტი“, **თარაზო კუთხე** „ჰორიზონტალური კუთხე“, **თვითჭეშმარიტება** „აქსიომა“, **თითნა** „ციფრი“, **ირიბი** „ჰიპოტენუზა“, **კერძო** „კათეტი“, **კუთხედი** „დიაგონალი“, **კარაკინი** „რეისფედერი“, **ლაქვარდი** „სპირალი“, **მენაკი** „გრადუსი“, **მმატე** „პლიუს“, **მოხვევნა** „პერიმეტრი“, **მიჯნა** „ზღვარი“,

მზრული „ქორდა“, მყოფელა „ბისექტრისა“, ნაკვთი „ფიგურა“, ნუსხი „სია“, ოდენობა „სიდიდე“, ორზომიანი „კვადრატული“, ორზომიანი ფესვი „კვადრატული ფესვი“, ორზომი „კვადრატი“, ორზომელობა „პლანიმეტრია“, ორთითნიანი რიცხვი „ორნიშნა რიცხვი“, პარაბოლი „პარაბოლა“, პირამიდი „პირამიდა“, პირი „ზედაპირი“, პრისმი „პრიზმი“, სანუსხო „ნომერი“, სააღებმიცემო „კომერციული“, სამყაროს აღწერა (სწავლა) „კოსმოგრაფია“, საგონებელი ფესვი „წარმოსახვითი ფესვი“, საშუადღეო „მერიდიანი“, სამზომიანი „კუბური“, სამყარო „კოსმოსი“, სათარაზო „დონე“, სამზომელობა „სტერეომეტრია“, სვეტი „პერპენდიკულარი“, სიგანე „სიგანე“, სიმრგვლე „წრეხაზი“, სივრცე „სივრცე“, სისქე „სისქე“, სიგანე „სიგანე“, სიმაღლე „სიმაღლე“, სიხში „სიმკვრივე“, სვეტი „პერპენდიკულარი“, ტევა „ტევადობა“, უდებობა „ანტითეზისი“, უვალოდ „კრედიტი“, უსაზღვრო „უსასრულო“, შესამოკლი (რიცხვი) „ჯერადი (რიცხვი)“, ქცევა „პერიოდი“, ქცევიანი კუწი „პრიოდული წილადი“, ყალიბი „ფორმა“, ყალიბული „ფორმულა“, შეფარდებულობა „პროპორციულობა“, შებურცული „შეზნეილი“, შეთანასწორობა „განტოლება“, შენობის პირი „ფასადი“, შეწყობა (ხმისა) „ჰარმონია“, შვეული „ვერტიკალური“, შიდაპირი „შიდაზედაპირი“, შერთვანი „შეერთებანი“, ჩარეჟი „მეოთხედი“, ცერად „ცერად“, „ირიბად“, ცეტი „ცენტრი“, წახნაგი „წახნაგი“, წიბო-„წიბო“, წრე „წრე“, წოწოლი „კონუსი“, წყობა „სისტემა“, ხანი „მუალედი (დროის)“, ხაზთსადარი „მასშტაბი“, ხრილი „რკალი“, ხრა „მოჭიმვა“, ჯამი „ჯამი“.

ი. ავალიშვილის ლექსიკონის გამოსვლამდე მოცულობის აღსანიშნავად ძირითადად რუსული ტერმინი ობიომი იხმარებოდა, მანამდე არსებობდა ტერმინი სიზრქე. ი. ავალიშვილის თქმით, სიტყვა მოცულობა წარმოიშვა მოცული-სგან. საგანს მოცული აქვს სივრცის რაღაც ნაწილი, და სწორედ ეს არის მისი მოცულობა. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ვკითხულობთ სიზრქე-სქელობა (ორბელიანი, 1991). ე. ხრამელაშვილის „ართმეტიკაში“ ვკითხულობთ: *საგანთა ცვალებად თვისებას რაოდენობა ეწოდება. უფრო ცნობილია შემდეგი რაოდენობა: სიგმე, სიპრტყე ანუ ზედაპირი, სიზრქე, ანუ მოცულობა, წონა, დრო, რიცხვი* (ხრამელაშვილი, 1909). როგორც ჩანს, ამ ტერმინმა ზოგიერთი მათემატიკოსის მოწონება ვერ დაიმსახურა. 1925 წელს გამოდის მათემატიკური ტერმინების ორი ლექსიკონი. ერთი არის ნ. მუსხელიშვილი, გ. ნიკოლაძე და ა. ხარაძის ავტორობით, ხელნაწერის უფლებით (მათემატიკა, 1925), რომლის ავ-



ტორები შესავალში აღნიშნავენ, რომ გაჩნდა უცნაური ტერმინები და მათ შორის ასახელებენ მოცულობას; ისინი მოცულობის მნიშვნელობით ტერმინ **სიტყვეს** გვთავაზობენ. ი. ავალიშვილის 1917 წლის ლექსიკონში ტერმინი **ტევა** ტევადობის მნიშვნელობით არის მოცემული; 1925 წლის მეორე ლექსიკონში კი ტერმინი მოცულობაა შეტანილი (მათემატიკის ლექსიკონი, 1925).

ი. ავალიშვილი ტერმინ **წამს** სიტყვა წამწამს უკავშირებდა და „ვეფხისტყაოსანს“ ახსენებდა ხოლმე. **წამი** („წუთი“) და **წუთი** („წამი“) ასეთივე მნიშვნელობით იხმარებოდა ილია ჭავჭავაძის გამოცემებში. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ვკითხულობთ: *აქვს კამსა ერთსა წამი სამოცი; ხოლო ერთსა წამსა – წუთი სამოცი... წამი – თვალის ქუთუთოთი ნიშნება, წამის ყოფა, წამ უყო – ანიშნა*. წუთისა და წამის საკითხი ასევე გადაწყვეტილი რ. ჯაჯანაშვილის წიგნში „კრებული არითმეტიკის ამოცანებისა და რიცხვითი მაგალითებისა“ (ჯაჯანაშვილი, 1900). ამ ტერმინებს 1925 წლის ლექსიკონში (მათემატიკა, 1925) საპირისპირო მნიშვნელობა აქვს. თითოეული ამ ტერმინისთვის სატერმინოლოგიო კომიტეტის მიერ მიღებულ ლექსიკონში ორი მნიშვნელობაა მოცემული, სახელდობრ, **წამი**, **მინუტი** ერთი და იმავე მნიშვნელობით და ასევე **წუთი**, **სეკუნდი** (მათემატიკის ლექსიკონი, 1925).

მეტად მნიშვნელოვან ტერმინად მიმაჩნია **თითნა**. ავალიშვილის არითმეტიკის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: **თითნა ანუ ციფრი** (ავალიშვილი, 1920). აღსანიშნავია, რომ ინგლისურ და ზოგიერთ ევროპულ ენებში ციფრის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი **digit**, რაც აგრეთვე ხელის ან ფეხის თითის ნიშნავს ინგლისურად. ტერმინი **თითნი**, ვფიქრობ როგორც **თითის** მრავლობითი ფორმა, არის გიორგი თარხანოვის მიერ შესრულებულ XVIII საუკუნის ხელნაწერში „არიმეტიკა“ (თარხანოვი), რომელშიც განმარტებულია აღრიცხვა, შემდეგ წერია **თითნი** ახალი სტრიქონის შუაში და შემდეგ სტრიქონში წერია ციფრები 1, 2, 3, . . . ,9, 0; თითოეულ მათგანს მიწერილი აქვს ქვემოთ თავისი სახელი (ერთი, ორი, სამი, . . . , ცხრა), 0-ს უწერია ქვემოთ **არარა**, და ზემოთ უწერია **ციფრი**. შემდეგ არის ტექსტი: *ამა გამოხატულსა მრავალთაგან ეწოდებიან თითნი ამაღ რომელ რაოდენიცა არიან თითნი ეგეთ ოდენივე არიან რიცხვნი*. 1925 წლის მათემატიკის ლექსიკონებში არის ტერმინები **ციფრი**, **ნიშანი** (მათემატიკის ლექსიკონი, 1925) და მხოლოდ **ციფრი** (მათემატიკა, 1925). 1937 წელს გამო-

ცემულ რუსულ-ქართულ ლექსიკონში (ლექსიკონი, 1937) ციფრთან ერთად მოცემულია მისი ქართული შეატყვისი **რიცხვნიშანი**.

**ცეტი**, როგორც მათემატიკური ლიტერატურიდან და ლექსიკონებიდან ჩანს, კარგად ცნობილი მივიწყებული ქართული ტერმინია. მას ვხვდებით დავითაშვილის ხელნაწერ თარგმანში ცენტრის მნიშვნელობით (დავითაშვილი). სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ვკითხულობთ: *ცეტი – კარაკინის(ა) საშუალო ადგილი*. აქ, როგორც ჩანს, კარაკინს ფარგალს უწოდებს ავტორი. ვ. წერეთლის ლექსიკონში კი წერია: კინტრომ, ცენტრი, შუაგული (წერეთელი, 1916). 1925 წლის მათემატიკის ლექსიკონებში დასტურდება ტერმინები ცეტი და ცენტრი, მხოლოდ სხვადასხვა მიმდევრობით.

ტერმინი **თანვლილი ხაზები** ლექსიკონის ერთ-ერთ ლამაზ ტერმინად მიმაჩნია. ვ. წერეთლის ლექსიკონში ვკითხულობთ: *თანვლა, თანმიყოლა, თანმიდევნება*, идти параллельно, *თან ივლებოდედ* (წერეთელი 1916).

**სიხში** სიმკვრივის მნიშვნელობით გვხვდება ვ. წერეთლის ლექსიკონში, მხოლოდ იქ არის დაბოლოვება ო, **სიხში**. სულხან-საბა ორბელიანთან ვკითხულობთ: *ესე არს ღრუბელი თუ ნისლი და მისთანანი ზრქელად და ხშირად იყოს*.

**პირი** ვფიქრობ მნიშვნელოვანი ტერმინია, დღეს მას ზედაპირს ვუწოდებთ და ამაზე მსჯელობა მიმდინარეობს. ამ ტერმინის შემდეგ ტერმინები **გარეპირი**, **შიდაპირი**, **ზედაპირი** გასაგები ხდება.

საინტერესო ტერმინია **დამსახველი**. ტერმინი მსახველი არსებობს მათემატიკაში, ის კონკრეტული სახის წარმოქმნასთან არის დაკავშირებული (იგულისხმება კონუსის წარმოქმნა). **დამსახველი წარმომქმნელის** მნიშვნელობით არის წერეთელთან (წერეთელი, 1916).

**თანწეზომილება** სიმეტრიის ზუსტი თარგმანია; მას მოგვიანებით ვხვდებით 1937 წლის რუსულ-ქართულ ლექსიკონში, რაც იქ იმავეს ნიშნავს რასაც თანზომილება (და არა სიმეტრია). ეს უკანასკნელი ტერმინი არის ი. ავალიშვილის ლექსიკონში ოდნავ განსხვავებული მნიშვნელობით. 1925 წლის ლექსიკონებში ერთგან არის შენარჩუნებული ქართული ტერმინიც **სწორადობა**, **სიმეტრია**, (მათემატიკა, 1925), მეორეში მხოლოდ უცხოურია – **სიმეტრია** (მათემატიკის ლექსიკონი, 1925), ხოლო 1937 ლექსიკონში არის კვლავ **სიმეტრია**.

**ლაქვარდი** სპირალის მნიშვნელობით არის ვ. წერეთლის ლექსიკონში (წერეთელი, 1916). სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს: *“ლაქვარდი ესე არს ღრუბლისა და ფაშვის მსგავსად. დაფუჭვილი,*

გინა ოდრო ჩოდრო ქვა, თუ ძვალი, თუ სტომაქი, თუ რაიც რამ. 1925 წელს ერთგანაა **სპირალი, ხვია** (მათემატიკის ლექსიკონი, 1925), მეორეგან - **ხვია, სპირალი** (მათემატიკა, 1925).

ტერმინი **მენაკი** სულხან-საბა ორბელიანთან დასტურდება: *ესე არს ხარისხი ცათ(ა) მზომელობისა, გინა თლილისა ქვისა*. 1925 წლის ლექსიკონებში: **გრადუსი, მენაკი** (მათემატიკის ლექსიკონი, 1925) და მხოლოდ **მენაკი** (მათემატიკა, 1925). საინტერესოა **ნაკი**-ს ეტიმოლოგია, რაც ცალკე განხილვას საჭიროებს.

**ჰარმონიის** შესატყვისი ვ.წერეთლის ლექსიკონში **კეთილმორთულობაა**, ხოლო სიტყვა **მორთულობა** აგებულების მნიშვნელობით არის. ვფიქრობ, **რთ** ასოთა წყვილი ქართულში მთელიობის, მთლიანობის კარგად შეწყობის გამოსახატავ სიტყვებში გვხვდება, მაგალითად **მრთელი** (ანუ მთელი), **რთველი, ერთი, მირთმევა, მორთვა, დართვა** (მაფის), შესაძლოა, სიტყვა რთულიც, ვინაიდან მისი გაშლა ან გამარტივება სიმწელეს წარმოადგენს.

ტერმინი **სწორი ხაზი** დიდი ხნის განმავლობაში იხმარებოდა და ახლაც იხმარება. ვ. წერეთლის ლექსიკონის მიხედვით **სწორი** არის **წრფელი**, აქ ვხვდებით ტერმინ **წირსაც** (წერეთელი 2016). სწორედ წრფელიდან მოდის ტერმინი **წრფე**, რომელიც ახლა იხმარება. 1925 წლის ლექსიკონებში ერთგან წერია **წრფე, სწორი ხაზი** (მათემატიკა, 1925), მეორეში – **სწორი ხაზი, სწორი წირი** (მათემატიკური ლექსიკონი, 1925). იოანე პეტრიწს თავის ნაშრომში „პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი“ (პეტრიწი, 1940) მოცემული აქვს **წრფელი წირის** განმარტება, მას იგი გამოსახული აქვს მონაკვეთის სახით და დართული აქვს ახსნა, შემდეგ ვკითხულობთ: *წაიღუარს რაჲ წენტილი, შეიქმნს წრფელსა, რომელი არს ასე პირმშო მისი. ხოლო ოდეს რაჲ ივრცელოს წირმან, იმოქმედებს ზედსაჩინოსა, რომელ არს ძალი და რეცა თუ სოფელი სრულყოფისა მისასა...*

მნიშვნელოვანია, რომ ი. ავალიშვილის ტერმინები ეფუძნება არსებულ ქართულ სიტყვებს. როგორც თვითონ ავტორი აღნიშნავს შესავალში, ტერმინების შემუშავების დროს გამოიყენა *თითქმის ყველა კარგი და უვარგისი, ძველი და ახალი ხელნაწერი და დაბეჭდილი შემდეგი წიგნები...*, და ეს საინტერესო ლიტერატურა დართული აქვს მის შესავალს, რაც აგრეთვე მეტად საინტერესოა ბიბლიოგრაფიული თვალსაზრისით. ლექსიკონის ერთი გადახედვითაც ჩანს, რომ თუკი არსებობდა უცხო ენაზე არსებული მათემატიკური ტერმინის ქართუ-

ლი შესატყვისი, თუნდაც საკმაოდ მოძველებული, ის გამოყენებულია ავტორის მიერ. არსებული რამდენიმე ტერმინიდან შერჩეულია მხოლოდ ერთი. თუ არ იყო მონახული ასეთი ტერმინი, მაშინ შექმნილია ახალი ტერმინი, მოძებნილია ტერმინის არსის მიხედვით ქართული ცნობილი სიტყვის ახალი ფორმა, რომელიც ბუნებრივად, გარკვეული აზრით თარგმანიც არის უცხოურისა (ცნობილი ქართული სიტყვებისა, წინსართებისა და (ან) ბოლოსართების საშუალებით), რომელიც ასახავს ტერმინის მნიშვნელობას და ზოგადად გასაგებია ქართულის მცოდნე ადამიანისთვის. რა ხდებოდა საქართველოში ამ ლექსიკონის გამოსვლის შემდეგ. ბუნებრივია, ქვეყანაში პოლიტიკური ცვლილებები გავლენას ახდენს ენაზე. აქ ორი მნიშვნელოვანი მოვლენაა. 1. საერთო ევროპულ მათემატიკურ ტერმინოლოგიაზე გადასვლის შედეგად ქართულ სალაპარაკო ენაში გაჩნდა შესაბამისი უცხოური სიტყვები, მაგალითად, სიმეტრიული, ცენტრი, სფერო, სისტემა. 2. არსებობს მათემატიკური ტერმინები, რომლებიც, მაგალითად, ინგლისურ და გერმანულ ენებში არ ემთხვევა. ხოლო ქართულში მაინც შეიცვალა, ჩანაცვლდა იმ ტერმინით, რომელიც ძირითადად რუსულში იყო შერჩეული რომელიმე ევროპული ენიდან, ძირითადად, გერმანული ან ინგლისური ენიდან, მაგალითად, გრადუსი, ციფრი, მასშტაბი, ბისექტრისა, პუნქტირი, ნული.

აღსანიშნავია ი. ავალიშვილის ღვაწლი საფინანსო დარგის განვითარებასა და სწავლებაში. აი, რას წერს იგი თავისი „ბალანსის ანალიზის“ წინასიტყვაობაში: *რაც უფრო რთულდება და ვითარდება სამეურნეო ცხოვრება, მით უფრო ღრმავდება სამეურნეო საკითხები და აგრეთვე იზრდება სურვილიც სამეურნეო ცხოვრების მიერ ღრმად წარმოდგენილი საკითხები უფრო უკეთესად გადაწყდეს ვიდრე აქნობამდე იგი წყდებოდა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბალანსისადმი ყურადღება იზრდება და მისი შესწავლის აუცილებლობა ყველასთვის ცხადი ხდება. მიმდინარე მომენტის სამეურნეო საკითხების შესწავლაზე და ბალანსის თვისებების გამოკვლევაზე აღმოცენებულია ახალი საგანი „ბალანსის ანალიზი“, რომელსაც მეცნიერულად დამუშავების უმაღლეს წერტილამდე ჯერ არ მიულწევია. სახელმძღვანელოს მიზნად აქვს დასახული გამოქვეყნებული ბალანსების გამოკვლევით მეურნეობის კრიტიკულად შეფასება. მაგალითად აღებულია საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო საწარმოთა გამოქვეყნებული ბალანსები და ბევრი მათგანი დაწვრილებითაა გარჩეული. საინტერესოა მის საფინანსო წიგნებში გამოყენებული ტერმინები, რა-*

ზედაც თავის დროზე აკადემიკოსმა გიორგი ჭოლოშვილმა გაამახვილა ყურადღება და სპეციალისტების დაინტერესების მნიშვნელობაზე ისაუბრა. ი. ავალიშვილის საფინანსო წიგნების გამოქვეყნებამდე ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტებს რუსულენოვანი სახელმძღვანელოებით უხდებოდათ სწავლა, რაც დიდ სიძნელეს წარმოადგენდა განსაკუთრებით საქართველოს რაიონებიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის; ამის შესახებ მადლიერებით ისაუბრა ჩემთან ერთმა ქალბატონმა, რომელიც უკვე გამოცდილი ბუღალტერი იყო, და უნივერსიტეტის სტუდენტი გახლდათ 20-იან წლებში. ი. ავალიშვილის მიერ დაწერილი იყო წიგნი-ხელნაწერი „დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა“, რომელიც თეორიულ მასალასთან ერთად შეიცავდა ამოცანებსა და სავარჯიშოებს, და ზოგიერთ მათგანს ამოხსნების მინიშნებები ახლდა. ეს მისივე ლამაზი კალიგრაფიით შესანიშნავად შესრულებული ნაშრომი, სამწუხაროდ, თავის დროზე არ გამოქვეყნდა. ასევე, ი. ავალიშვილის ავტობიოგრაფიის მიხედვით, გამოქვეყნებული უნდა ყოფილიყო მისი „ტრიგონომეტრიის სახელმძღვანელო“. განსაკუთრებულია მისი „არითმეტიკის სახელმძღვანელო“. იმ პერიოდში ასეთი წიგნის დაწერა მეტად საჭირო იყო, თუმცა როგორც თვითონ ავტორი მიუთითებს თავისი „მათემატიკური ტერმინების“ შესავალში, მანამდე არსებობდა არითმეტიკის სახელმძღვანელოები ე. ხრამელაშვილის, რ. ჯაჯანაშვილის, მ.ზ. ყიფიანისა და ფოგელისა.

ბოლოს ვფიქრობ, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მაკინე ამირეჯიბის ცნობილ ისტორიულ სუფრას ი. ავალიშვილის ხელმოწერაც ამჟღავნებს. იოსებ ავალიშვილის დიდი ოჯახის კუთვნილი წინაპრების სამეფო და საგვარეულო ნივთები მათმა წევრებმა გადასცეს (1907, 19012, 2007 წლებში) საქართველოს ხელოვნებისა და საპატრიარქოს მუზეუმებს.

### ლიტერატურა

**აბულაძე, 1983** – ვ. აბულაძე, ბორჯომის ხეობის აწმყო და მომავალი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი;

**ავალიშვილი, 1917** – იოს. ავალიშვილი, მათემატიკური ტერმინები, ქართულ-რუსული, რუსულ-ქართული, ა. კალანდაძის სტამბა, თბილისი;

**ავალიშვილი, 1920** – იოს. ავალიშვილი, არითმეტიკის სახელმძღვანელო, ნაწილი I, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, სამხედრო სამინისტროს სტამბა, ტფილისი;

**ავალიშვილი, 1927** – ი. ავალიშვილი, ბალანსის ანალიზი, ტფილისი;

**ავალიშვილი, 1928** – ი. ავალიშვილი, ფინანსური გამოანგარიშების სახელმძღვანელო, ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის მე-3 სტამბა, ტფილისი;

**დავითაშვილი** – მიხეილ ელივიჩი დავითაშვილი, სივაკის ზომა ანუ პლანიმეტრია, თარგმანი რუსულიდან მეფე ვახტანგის ბრძანებით, ხელნაწერი S-167, ხელნაწერთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, თბილისი;

**თარხანოვი** – გიორგი თარხანოვი, არითმეტიკა, ხელნაწერი, S – 1531, ხელნაწერთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, თბილისი;

**ლექსიკონი, 1937** – რუსულ-ქართული ლექსიკონი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;

**მათემატიკა, 1925** – ნ. მუსხელიშვილი, გ. ნიკოლაძე, ა. ხარაძე, მათემატიკური ტერმინების ლექსიკონი, რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული, წმინდა და გამოყენებითი მათემატიკა თეორიული მექანიკით, ტფილისი;

**მათემატიკის ლექსიკონი, 1925** – მათემატიკის ლექსიკონი, განხილული და მიღებული ს.ს.ს.რ. განათლების სახ. კომისარიატთან არსებულ ცენტრალურ სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტის მიერ, ტფილისი;

**ორბელიანი, 1991** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, „მერანი“, თბილისი;

**ორბელიანი, 1993** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, „მერანი“, თბილისი;

**პეტრიწი, 1940** – იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I, პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი, თბილისი;

**წერეთელი, 1916** – ვასილ წერეთელი, ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგია იოვანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქუთაისი;

**ხრამელაშვილი, 1909** – ე. ხრამელაშვილი, არითმეტიკა, „გუტ-ტენზერგი“, ტფილისი;

**ჯაჯანაშვილი, 1900** – რ. ჯაჯანაშვილი, კრებული არითმეტიკის ამოცანებისა და რიცხვითი მაგალითებისა, ტფილისი.

**Tamar Datuashvili**

**Ioseb Avalishvili**

Summary

The paper introduces main moments of the life and activity of a meritorious teacher and a mathematician, author of the first Georgian mathematical terminology dictionary and of Georgian Language books in the fields of Mathematics and Finances, Ioseb Avalishvili. The paper contains as well a short overview of the dictionary.

## ნანა (ნანო) ზაზანაშვილი

### თარგმანში დაკარგულები: საცხოვრებლის, საცხოვრისის თუ საბინაო პოლიტიკა?<sup>1</sup>

საბჭოთა კავშირის რღვევასა და ახალ ეკონომიკურ ფორმაციაზე გადასვლას, სხვა დარგების მსგავსად, ძირეული ცვლილებები მოჰყვა ქალაქგეგმარების სფეროშიც. დარგობრივი სფერო მიმართულ იქნა საერთაშორისო, უმთავრესად ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომ, გამოცდილებების შესწავლასა და მათ ადგილობრივ კონტექსტთან ადაპტირებაზე. ამ პროცესს ლოგიკურად უნდა მოჰყოლოდა ამა თუ იმ ცნების განსაზღვრა და შესაბამისი ტერმინის მოძიება და შექმნა, თუმცა, გადაუდებელი საჭიროების მიუხედავად, ამ კუთხით მუშაობა საკმარისი არ არის, ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული. ხშირად ვერ ხერხდება მრავალი ინგლისურენოვანი ტერმინის მნიშვნელობასა და მის ქართულ თარგმანზე შეთანხმება. ასეთ ტერმინებს მიეკუთვნება „Housing Policy“.

საცხოვრებელი ურბანული და სოციალური პოლიტიკის საკვანძო საკითხია და ის პოსტსაბჭოთა საქართველოს კონტექსტშიც არ კარგავს აქტუალობას. ამას საკითხის გარშემო ბოლო დროს მომრავლებული კვლევები და საჯარო დისკუსიებიც ცხადყოფს. აქვე თავს იჩენს ცნების მნიშვნელობის ბუნდოვანებისა და ტერმინის ქართული შესატყვისის სიმრავლის პრობლემაც, რაც ხშირად დაბნეულობისა და გაუგებრობის წყაროა.

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით ვუპასუხოთ კითხვებს: რა შინაარსისაა ტერმინი „Housing Policy“, როგორია ქართულ ენაში უკვე არსებული ლექსიკური გამოცდილება და რომელი ვარიანტია მოცემული ინგლისური ტერმინის უკეთესი შესატყვისი: *საცხოვრებლის-საცხოვრისის თუ საბინაო პოლიტიკა?*

---

<sup>1</sup> სტატია მომზადებულია ორგანიზაცია „ურბან რეაქტორის“ პროექტის „საცხოვრისით უზრუნველყოფის პოლიტიკა: გამოწვევები და პერსპექტივები“ ფარგლებში, „ურბანული კვლევების ცენტრთან“ თანამშრომლობით, ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.



## Housing და Housing Policy

მერიამ ვებსტერის (Merriam-Webster) ლექსიკონის მიხედვით სიტყვა „Housing“ განმარტებულია, როგორც *ხალხისთვის მიწოდებული საცხოვრებლები* (Dwellings provided for people) (მერიამ-ვებსტერი, 2017). ლონგმენის თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკონი (Longman Dictionary of Contemporary English) იმავე სიტყვის ჩვენთვის საინტერესო ორ განმარტებას გვაწვდის: 1. *სახლები ან პირობები, სადაც ხალხი ცხოვრობს* (The houses or conditions that people live in) და 2. *ხალხის საცხოვრებლებით უზრუნველყოფის სამუშაო* (The work of providing houses for people to live in) (ლონგმენი, 2017). ოქსფორდის ლექსიკონი სიტყვას როგორც სახლებისა და ბინების ერთობლიობას ისე განმარტავს (Houses and flats considered collectively) და მის სინონიმებად მოჰყავს *სახლები, საცხოვრებელი ადგილები, შენობები და ა.შ.* სიტყვის მეორე განმარტებად ასევე მოცემულია *საცხოვრებლით უზრუნველყოფა* (The provision of accommodation) (ოქსფორდის ლექსიკონი, 2017)

ყველა ამ მაგალითიდან კარგად ჩანს სიტყვის ჩვენთვის საყურადღებო ორი მნიშვნელობა. იგი ერთ შემთხვევაში აღნიშნავს საცხოვრებლების ერთობლიობას, ხოლო მეორე შემთხვევაში - ქმედებას, რომელიც ადამიანების საცხოვრებლებით/სახლებით უზრუნველყოფას გულისხმობს.

ტერმინის Housing Policy ერთი, უნივერსალური განმარტება არ არსებობს, რადგან საცხოვრებლის სფეროში და მის გარეთ არსებული, თუმცა მასთან დაკავშირებული, ეროვნული ამოცანები ქვეყნების, პოლიტიკური რეჟიმებისა და ისტორიული კონტექსტის მიხედვით განსხვავდება.

ურბანული კვლევების ენციკლოპედია ტერმინს Housing Policy განმარტავს, როგორც მთავრობის მოქმედებას საცხოვრებლით უზრუნველყოფის ამოცანების მისაღწევად. ამოცანები შეიძლება მოიცავდეს საცხოვრებელი ფონდის ხარისხის გაუმჯობესებას ან უსახლკარობასთან დაკავშირებულ საკითხებს. სხვა განმარტებით, ის ასევე შეიძლება მოიცავდეს საცხოვრებლის სფეროში მთავრობის ჩარევას, რაც სფეროს გარეთ არსებულ ამოცანებზეა ორიენტირებული. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საცხოვრებლის ფინანსური ბაზრის რეგულირება ეროვნული ეკონომიკის აქტივაციის მიზნით, დაბალშემოსავლიანი შინამეურნეობებისათვის გასაცემ სუბსიდიებზე დაწესებული შე-

ზღუდვები მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით და ა.შ. (ენციკლოპედია, 2010: 379-383).

საჯარო ადმინისტრირებისა და საჯარო პოლიტიკის ენციკლოპედია იმავე ტერმინს ამერიკის შეერთებული შტატების კონტექსტში განმარტავს და გამოყოფს ფედერალური მთავრობის ოთხ უმნიშვნელოვანეს მიზანს, რომლებიც ისტორიულად განსაზღვრავდა და გასაზღვრავს საცხოვრებლის პოლიტიკას ამ ქვეყანაში. ეს მიზნები მოიცავს ხელმოკლე პირებისა და ოჯახების თავშესაფრით უზრუნველყოფას, ბინათმესაკუთრებისა და სამეზობლოების/თემების ხელახალი განვითარების ხელშეწყობას და საბინაო მშენებლობის მეშვეობით ეკონომიკის სტიმულირებას (ენციკლოპედია, 2004: 215-218).

სოციალური პოლიტიკის საერთაშორისო ენციკლოპედია ტერმინს სახელმწიფოს კეთილდღეობის პოლიტიკის კონტექსტში ათავსებს და განმარტავს, რომ „საცხოვრებლის პოლიტიკა მოიცავს კეთილდღეობის პოლიტიკას, რამდენადაც მისი მიზანია ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, მაგრამ ის ასევე მრავალ საკითხში სცილდება კეთილდღეობის პოლიტიკის ჩარჩოებსაც. მისი სხვა მიზნების მაგალითებია: ბაზრის მუშაობის ხელშეწყობა, მომხმარებელთა მოთხოვნის გამკლავება, საბინაო სისტემის მოწესრიგება, უფლებებისა და არჩევანის გაფართოება და ასევე, სამეზობლოების გაძლიერება. ამ მიზნებს შეუძლია ცხოვრების ხარისხის არაპირდაპირი გაუმჯობესება, თუმცა ისინი უმთავრესად მიმართულია შექმნას პირობები (ეკონომიკური, სამართლებრივი, ადმინისტრაციული, და ა.შ.), რომელთაც პოლიტიკოსები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ცხოვრების დონის ასამაღლებლად“ (ენციკლოპედია, 2006).

### ეროვნული გამოცდილება

ამ მიმართულებით განსაკუთრებით საყურადღებოა ეროვნული გამოცდილება. ის არამხოლოდ ცნების ისტორიულად განპირობებული მნიშვნელობის გაგებისთვის არის საყურადღებო, არამედ უკვე დამკვიდრებული ტერმინოლოგიური თავისებურების კუთხითაც. საბჭოთა საცხოვრებელი პოლიტიკა სხვა ქვეყნებისაგან განსხვავდებოდა უზრუნველყოფის უნივერსალური ხასიათითა და ადმინისტრირების მკვეთრად ცენტრალიზებულ მეთოდით. სახელმწიფო აწარ-

მოებდა, ანაწილებდა და მართავდა საცხოვრებელ ფონდს<sup>1</sup>. იმდენად, რამდენადაც საქართველო შვიდი ათწლეულის განმავლობაში იყო ამ პოლიტიკური სისტემის ნაწილი, ის ტერმინოლოგიური თვალსაზრისითაც მჭიდროდ დაუკავშირდა მას.

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიების რუსული და ქართული გამოცემების შედარება საყურადღებო ტერმინოლოგიურ საკითხებს აჩენს. დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მე-3 გამოცემაში მოცემულია სტატიები: *Жилищное Право, Жилищное Хозяйство, Жилищно-Строительный Кооператив* და ა.შ. (ენციკლოპედია, 1972: 215-218). ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მათი შესატყვისი სტატიები შემდეგნაირია: *საბინაო სამართალი, საბინაო მეურნეობა, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი* და ა.შ. (ენციკლოპედია, 1984: 563-564).

ასევე საგულისხმოა, რომ რუსულ-ქართულ ლექსიკონს სიტყვის *Жилище* ქართულ შესატყვისად მოჰყავს *საცხოვრებელი, ბინა, სადგომი*, ხოლო, სიტყვა *Жилищный, жилищная, жилищное* განმარტებულია, როგორც *საბინაო, ბინისა* და მაგალითებად მოყვანილია *ж. вопрос-საბინაო საკითხი; ж-ое строительство - საბინაო მშენებლობა* (ლექსიკონი, 1983).

"ქართულ-რუსული ტექნიკური ტერმინოლოგია" ტერმინებს *საბინაო* და *საცხოვრებელი* ერთად გვთავაზობს და მათ რუსულ შესატყვისად *жилой* მოჰყავს (ტექნიკური, 1982).

მართალია რუსული *Жилище* უფრო კრებითი სიტყვაა, რომელიც ყველა სახის საცხოვრებელს: ბინას, ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლს და ა.შ. აღნიშნავს და მას შინაარსობრივი თვალსაზრისით *საცხოვრებელი* უფრო შეეფერება, ხოლო *ბინა* საცხოვრებლის კონკრეტული, უფრო ვიწრო ჯგუფის აღმნიშვნელი სიტყვაა, მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად იკვეთება, რომ ჩვენი კვლევისთვის საინტერესო კონტექსტში *საბინაო* მყარად დამკვიდრებული ტერმინია.<sup>2</sup>

<sup>1</sup> მაღალი ხარჯიანობის გამო დაშვებული და წახალისებული იყო კერძო ინიციატივები. მაგ., კოოპერატიული ბინათმშენებლობა, რომლის განხორციელებაც შეღავათიანი სახელმწიფო საკრედიტო პირობებით იყო შესაძლებელი.

<sup>2</sup> ემპირიულმა დაკვირვებამ, კერძოდ, სავლე სამუშაოებმა, ნათლად აჩვენა „საბინაო პოლიტიკის“ „საცხოვრისის პოლიტიკასთან“ შედარებითი უპირატესობა. საუბრების დროს „საცხოვრისის პოლიტიკა“ გაუგებრობას იწვევდა, ხოლო „საბინაო პოლიტიკა“ მყისიერად აღიქმებოდა და შესაბამისად ვრცელდებოდა.

ეს მაგალითები გვარწმუნებს, რომ ინგლისური *Housing Policy-ის* და რუსული *Жилищная Политика-ის* შესატყვისი ქართულში *საბინაო პოლიტიკა* უნდა იყოს.

თუმცა თანამედროვე საკანონმდებლო აქტებში, რომლებიც ძალიან ხშირად გამოყენებულ ტერმინთა განმარტებებს არ მოიცავს, ეს ტერმინი იშვიათად გამოიყენება და გამოყენებისას მის სხვადასხვა ვარიაციას ვაწყდებით. მაგ.: 2016 წელს დამტკიცებულ „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციაში“ ნახსენებია *საბინაო პოლიტიკა* (დებულება, 2016), ხოლო 2015 წელს დამტკიცებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის დებულების ტექსტში გამოყენებულია ტერმინები *საცხოვრისის პოლიტიკა* და *საცხოვრისის სექტორი* (ბრძანება, 2015).

თუ უკანასკნელ პერიოდში მიღებულ საკანონმდებლო აქტებს და სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ ანგარიშებსა და კვლევებს გადავხედავთ, ჭრელ სურათს დავინახავთ. ეს სიჭრელე სიტყვა „საცხოვრისისა“ და „საცხოვრებლის“ გამოყენებას უკავშირდება. მოვიყვანთ ზოგიერთ მაგალითს.

2017 წელს საქართველოს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები. ერთ-ერთი ცვლილება საცხოვრებლის საკითხს შეეხო და ის შემდეგნაირად განისაზღვრა: „სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული *საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე*, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე“ (დებულება, 2017).

იმ საკანონმდებლო დოკუმენტებში, რომლებიც დევნილთა განსახლების საკითხებს ეხება, უმთავრესად გამოიყენება ტერმინები *საცხოვრებლით უზრუნველყოფა* და *საცხოვრებელი ფართი*. მაგ.: განკარგულება „[...] დევნილთა გრძელვადიანი *საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის* გასატარებელ ცალკეულ ღონისძიებათა შესახებ“ (განკარგულება, 2013). მინისტრის ბრძანება „დევნილთა გრძელვადიანი *საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის*, [...] შესახებ“ (ბრძანება, 2013) და ა.შ.

ქუთაისისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტების 2017 წლის „უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი *დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის* დამტკიცების შესახებ“ დადგენილებებში გამოყენებულია ტერმინი *დროებითი საცხოვრისი*. აქვე საინტერესო შემთხვევას ვაწყდებით. ორივე დადგენილების მე-5 პუნქტის სა-

თაური ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „საცხოვრებლით სარგებლობის ვადა და პირობები“ (დადგენილება N19, N160). ასევე საინტერესოა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის დადგენილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ“. სხვა დოკუმენტებისაგან განსხვავებით, დადგენილების მე-2 პუნქტში მოყვანილია ტერმინთა განმარტებები, რომლებშიც *საცხოვრისი* განმარტებულია, როგორც „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ხუთსართულიანი მრავალბინიანი სახლის ერთი ან მეტი საცხოვრებელი ოთახისაგან შემდგარი ბინა“ (დადგენილება N39). ტერმინის ამგვარი დეფინიცია ვიწრო კონტექსტისთვის არის სპეციფიკური, ვერ გამოდება უნივერსალურ განმარტებად და მხოლოდ კონკრეტული დოკუმენტის შინაარსს მიემართება. ამ და სხვა ზემოთ მოყვანილ დოკუმენტებში ცნებით-შინაარსობრივი თვალსაზრისით ტერმინ *საცხოვრისსა* და *საცხოვრებელს* შორის ფუნდამენტური სხვაობა არ ჩანს, რაც საქმეს კიდევ უფრო ართულებს.

### საცხოვრებელი და საცხოვრისი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, *საცხოვრისი* იგივეა, რაც საცხოვრებელი (ქეგლი, 1960). ინტერნეტსივრცეში ხელმისაწვდომი Civil-ი - ენციკლოპედიური ლექსიკონი, საქართველოს საკანონმდებლო ტერმინთა ლექსიკონი და სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, *საცხოვრისის* სხვადასხვა განმარტებას გვაწვდის: „მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად მოწყობილი და გამოყენებული, ერთი ან მეტი საცხოვრებელი ოთახისაგან შემდგარი ბინა“ (ქეგლი, 1960). Civil-ი - ენციკლოპედიური ლექსიკონი და სამოქალაქო განათლების ლექსიკონი ტერმინის კიდევ ორ სხვადასხვა განმარტებას იძლევა. პირველ შემთხვევაში ის განმარტებულია, როგორც „ოთახი ან ოთახების ერთობლიობა და მათი მიმდებარე სათავსოები (მაგალითად: ჰოლი, დერეფანი) კაპიტალურ ნაგებობაში ან ნაგებობის განცალკევებულ ნაწილში, რომლებიც გათვალისწინებულია მთელი წლის განმავლობაში ერთი შინამეურნეობის საცხოვრებლად. საცხოვრისის უნდა ჰქონდეს ცალკე გასასვლელი ქუჩაში (უშუალოდ ან ბალის ან ეზოს მეშვეობით) ან ერთო უჯრედში შენობის შიგნით. მას შესაძლოა არ გააჩნდეს საკუთა-

რი საბაზანო ან ტუალეტი“ (ენციკლოპედია, 2018) ხოლო მეორე შემთხვევაში მოცემულია *ნორმალური საცხოვრებლის* მნიშვნელობა, რომელიც „შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს: 1. საკმარისად უნდა იყოს დაცული კლიმატის ცვალებადობისაგან (წვიმის, ქარისა და თოვლისაგან); 2. უნდა შეესაბამებოდეს მინიმალურ სანიტარიულ სტანდარტებს ბაქტერიული დაავადებების თავიდან ასაცილებლად; 3. ერთ ოთახში მუდმივად შეიძლება ცხოვრობდეს არაუმეტეს ორი ადამიანისა, ვინაიდან მჭიდროდ დასახლებული საცხოვრებელი ადგილი მავნებელია მის ბინადართა ჯანმრთელობისათვის“ (ლექსიკონი, 2018).

1993 წელს ჟურნალ *მეცნიერებასა და ტექნიკაში* ურბანისტიკმა - ლადო ვარდოსანიძემ და თამარ სულუხიამ სტატიაში „*საცხოვრების ცნების დაზუსტების საკითხისთვის*“ საკუთარი მოსაზრება შემოგვთავაზეს ტერმინის *საცხოვრებელი გარემოს* დაზუსტებისთვის. ავტორებს მოჰყავთ მაგალითად, რომ რუსულენოვან პროფესიულ ლიტერატურაში საცხოვრებელი გარემოს რუსული შესატყვისი Жилая Среда ჩაანაცვლა Жилище-მ. ავტორები მიიჩნევენ, რომ ეს ორი ტერმინი შინაარსობრივი თვალსაზრისით მსგავსია და მართებულად ასკვნიან, რომ ქართულ *საცხოვრებელს* რუსული Жилище შეესაბამება. ასევე, მიზანშეწონილად მიიჩნევენ *საცხოვრებლის* სინონიმად *საცხოვრების* განსაზღვრას და უარყოფითად აფასებენ თანამედროვე ქართულიდან ამ უკანასკნელის განდევნას. სტატიის ავტორთა აზრით, *საცხოვრებელი გარემო* (Жилая Среда) კალკია და მისი ჩანაცვლება, ტერმინის არქიტექტურული და ქალაქგეგმარებითი თავისებურების გათვალისწინებებით<sup>1</sup>, უპრიანი იქნება *საცხოვრისით* (ვარდოსანიძე, სულუხია, 1993: 48-49).

ვფიქრობთ, სწორედ ამ სტატიასთან უნდა იყოს დაკავშირებული *საცხოვრებლის*, როგორც ტერმინის შემოსვლა და გარკვეულწილად დამკვიდრებაც სოციალური, ადამიანის უფლებათა დაცვის, ქალაქგეგმარებისა და არქიტექტურის სფეროში. თუმცა, ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ ტერმინი იმ ფართო მნიშვნელობით არ გამოიყენება, როგორც მნიშვნელობასაც ხსენებული სტატიის ავტორები მას მიაწერდნენ. როგორც ზემოთ დავინახეთ, ლექსიკონებ-

<sup>1</sup> სტატიაში მოყვანილია მოსაზრება, რომ ქართული ისტორიული საცხოვრისი თავისი არსით მოიცავდა როგორც უშუალოდ სახლს, ასევე მის შემოგარენს.

ში მოცემული განსაზღვრებები, ასევე, საკანონმდებლო აქტებში მოხსენიებული *საცხოვრისი საცხოვრებლის/სახლის* სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება.

ასევე აღსანიშნავია, რომ სტატიის ავტორები ემხრობიან რუსული კალკის ქართული შესატყვისით ჩანაცვლებას და მათ მოყვანილი ინგლისურენოვან მაგალითებში *Housing*-ი არ ჩანს, თუმცა ის ყველაზე მყარად სწორედ ინგლისური ტერმინის *Social Housing* – ის ქართული შესატყვისის, *სოციალური საცხოვრისის*, შემთხვევაში დამკვიდრდა. ვფიქრობთ, ამ გარემოებამ ჯაჭვური რეაქციის მსგავსად გამოიწვია სხვა *Housing*-ის შემცველი ტერმინების ქართულ შესატყვისებში *საცხოვრებლის* და *საცხოვრისის* მეტოქეობა. მაგალითად: *The Right to Adequate Housing*-ის სხვადასხვა ვარიაციას ვაწყდებით სხვადასხვა ანგარიშში. ზოგ შემთხვევაში ის ნათარგმნია, როგორც „*უფლება სათანადო საცხოვრისზე*“ (ანგარიში, 2015) ზოგ შემთხვევაში კი – „*უფლება სათანადო საცხოვრებელზე*“ (ასოციაცია, 2013) და ა.შ.

ვფიქრობთ, ამ ტენდენციით უნდა იყოს გამოწვეული „*Housing Policy*“-ს შემთხვევაში ეკონომიკის სამინისტროს დოკუმენტებში *საცხოვრისის პოლიტიკის* ხსენებაც.

ბუნდოვანი მნიშვნელობის, სხვადასხვაგვარი გამოყენებისა და ერთი განსაზღვრების არარსებობის გამო *საცხოვრისის* ტერმინთან დაკავშირებული საკითხი, ვფიქრობთ, დამატებით შესწავლას და დაზუსტებას საჭიროებს და ის ვერ გამოდგება „*Housing Policy*“-ს ქართულ შესატყვისად. ჩვენი აზრით, *საბინაო პოლიტიკა* ყველაზე უკეთესად ესადაგება მას, ხოლო *საცხოვრებლის პოლიტიკა* სინონიმური მნიშვნელობით შესაძლებელია მასთან თანაარსებობდეს.

## ლიტერატურა

**ანგარიში, 2015** – საქართველოს სახალხო დამცველი, უფლება სათანადო საცხოვრისზე – სპეციალური ანგარიში, 2015 (გადამოწმებულია 26.03.2018)

<http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/uflebasatanado-sacxovrisze-specialuri-angarishi.page>

**ასოციაცია, 2013** – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, დევნილთა უფლება სათანადო საცხოვრებელზე (სამართლებრივი ანალიზი, სასამართლო პრაქტიკის ძირითადი ტენდენციები)



(გადამოწმებულია 26.03.2018)

<https://gvla.ge/ge/mod/gallery/devnilta-ufleba-satanado-sackhovrebelze>

**ბრძანება, 2013** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს N320 ბრძანება (გადამოწმებულია 25.03.2018)

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1980225>

**ბრძანება, 2015** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის N1-1/514 ბრძანება (გადამოწმებულია 28.03.2018)

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3076667>

**განკარგულება, 2013** - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 16 სექტემბრის განკარგულება N1358 (გადამოწმებულია 28.03.2018)

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2019847>

**დადგენილება N19** – სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 აგვისტოს დადგენილება N19 (გადამოწმებულია 28.03.2018)

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3781959>

**დადგენილება N39** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 20 ნოემბრის დადგენილება N39 (გადამოწმებულია 28.03.2018)

[https://matsne.gov.ge/ka/document/view/3059276?pass-reset-token=kDXFjGwcSXQXne-vqVEqwtLsoj5R-2xIGI\\_UoDAeQoA](https://matsne.gov.ge/ka/document/view/3059276?pass-reset-token=kDXFjGwcSXQXne-vqVEqwtLsoj5R-2xIGI_UoDAeQoA)

**დადგენილება N160** – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 თებერვლის დადგენილება N160 (გადამოწმებულია 24.03.2018)

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3588311>

**დებულება, 2016** – საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 24 ივნისის დადგენილება „საქართველოს დემოკრაფიული უსაფრთხოები კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ, მუხ.1.4, პუნქტი ბ. (გადამოწმებულია 28.03.2018)

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3331420>**დებულება, 2017** -

საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 2 ნოემბრის დადგენილება, (გადამოწმებულია 28.03.2018)

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3841217>

**ენციკლოპედია, 1972** – Большая Советская Энциклопедия, Т. 9:



Евклид – Ибсен.

**ენციკლოპედია, 1984** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8

**ენციკლოპედია, 2004** – Jessica L. Hills, Encyclopedia of public administration and public policy, ed. David Schultz (New York, NY: Facts On File), s.v. "HousingPolicy."

**ენციკლოპედია, 2006** – Peter Somerwille, Internationalen cyclopedia of socialpolicy, ed. Tony Fitzpatrick, vol. 1 (London: Routledge), s.v. "Housing Policy."

**ენციკლოპედია, 2010** – David Clapham, Encyclopedia of urban studies, ed. Ray Hutchison (London: SAGE), s.v. "Housing Policy."

**ენციკლოპედია, 2018** - Civil ენციკლოპედიური ლექსიკონი

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10765>

**ვარდოსანიძე, სულუხია, 1993** - ვარდოსანიძე ლ., სულუხია თ., „საცხოვრისის“ ცნების დაზუსტების საკითხისთვის, მეცნიერებისა და ტექნიკა, N1/2

**ლექსიკონი, 1983** – რუსულ-ქართული ლექსიკონი / საქ. სსრ მეცნ. აკად., ენათმეცნ. ინს-ტი ; [სარედ. კოლ.: რ. გაგუა, ნ. ვაჩნაძე, ლ. კაიშაური [დასხვ.]; მხატვ. კ. ფაჩულია]. - თბ. : საბჭ. საქართველო

**ლექსიკონი, 2018** - სამოქალაქო განათლების ლექსიკონი

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6596>

**ლონგმენი, 2017** – Global. Longman dictionaries.com (accessed November 07, 2017)

<http://global.longmandictionaries.com/ldoce6/dictionary#housing>

**მერიამ-ვებსტერი, 2017** – Merriam-Webster (accessed November 07, 2017),

<https://www.merriam-webster.com/dictionary/housing>

**ოქსფორდის ლექსიკონი, 2017** – "Housing | Definition of housing in English by Oxford Dictionaries," Oxford Dictionaries | English, (accessed November 07, 2017 )

<https://en.oxforddictionaries.com/definition/housing>.

**ტექნიკური, 1982** – ტექნიკური ტერმინოლოგია: ქართულ-რუსული ნაწილი/საქ. სსრმეცნ. აკად. ენათმეცნ. ინს-ტი; რ. დვალისა და რ. ღამბაშიძის რედ.. – თბ.: მეცნიერება, 1982

**ქეგლი, 1960** - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი

<http://www.ice.ge/liv/liv/media.php>

**Nano Zazanashvili**

### **Lost in Translation**

(The Georgian Terms for Housing Policy)

#### Summary

The breakdown of the Soviet Union and the transition to a new economic formation, like in other fields, led to major changes in urban planning as well. The specialized vector was directed to studying practices available in international languages, mainly in English, and to adapting them in their reality. Naturally, this process should be followed by the formation of national concepts and terminology, however, despite the urgent need, such an activity is still weak and underdeveloped. It is often impossible to match an English term and its Georgian translation. One of such terms is „Housing Policy”.

Residence is a key issue in urban and social policy and it has not lost its significance even in post-Soviet Georgia that is evidenced by the increased number of recent studies and public discussions about the issue. The ambiguity of the concept and the abundance of the relevant Georgian terms that often led to confusion is very apparent.

The present paper is an attempt to answer the following questions: What is the meaning of the term „Housing Policy”? What is the existing lexical experience in the Georgian language and which Georgian variant is more relevant for the said English term – *satskhovreblis*, *satskhovrisis* or *sabinao polit'ik'a*?

## რუსუდან ზექალაშვილი

### სამედიცინო ტერმინ-ეპონიმთა ჯგუფები და ფუნქციონირება ქართულში

#### 1. შესავალი

##### 1.1. ეპონიმთა ადგილი სამეცნიერო ტერმინოლოგიაში

მეცნიერებისა და ტექნიკის მზარდ განვითარებას თან სდევს ახალ ტერმინთა ინტენსიური შექმნა, თარგმნა ან კალკირება. მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროში ტერმინოლოგიის გამდიდრების ერთ-ერთი შესაძლებლობაა საკუთარი სახელის ქცევა ტერმინოლოგიურ ერთეულად.

საკუთარი სახელი, იქნება ეს მეცნიერის, ისტორიული პირის, მითოლოგიური ან მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის სახელი თუ გვარი, დროთა განმავლობაში კარგავს კავშირს კონკრეტულ პირთან და იქცევა ტერმინად, რომელიც არამოტივირებული ხდება. ესაა საკუთარ სახელთა ტერმინოლოგიზაციისა და აპელატივიზაციის პროცესი (სუპერანსკაია, 1990).

სიტყვა „ეპონიმი“ წარმოშობით ბერძნულია (eponymos ნიშნავს სახელის მიმცემს) და ნასესხებია სხვადასხვა ენაში (ლათ. eponimum, ინგლ. eponym, გერმ. das Eponym, რუს. эпоним). მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. პიროვნება (ადგილი), რომლის მიხედვითაც დაერქვა რამეს სახელი; 2. საკუთარი სახელი, რომლისგანაც სხვა სიტყვაა ნაწარმოები; 3. სიტყვა, რომელიც საკუთარი სახელისგანაა ნაწარმოები; (ენათმეცნიერებაში) სიტყვა, რომელიც ენობრივი წარმოების, კომპოზიციის ან მნიშვნელობის გადაწევის გზით წარმოიშვა საკუთარი სახელისგან (იხ. ინტ. 1). ჩვენთვის საინტერესოა სწორედ ბოლო მნიშვნელობა.

**ეპონიმი** შეიძლება იყოს ნებისმიერი საკუთარი სახელი, რომელიც საზოგადო სახელად იქცა. ამ ტიპის ტერმინთა გავრცელებას მეცნიერებისა და ტექნიკის ენაში ხანგრძლივი ისტორია აქვს, თუმცა ზოგჯერ სადავოდ მიიჩნევენ მათი გამოყენების აუცილებლობას (ლოტე, 1961). ამ ბოლო დროს ბევრი დამცველი გამოუჩნდა ეპონიმებს (ტატარენკო, 2015; ინტ.18).

## 1.2. ეპონიმები მედიცინაში

განსაკუთრებით გავრცელებულია ეპონიმები სამედიცინო და ბიოლოგიურ სფეროში, სადაც ამ ტერმინთა უმრავლესობა საერთაშორისო და სხვადასხვა ენაში მათი თარგმნითი ეკვივალენტები გამოიყენება.

მედიცინაში ხშირად ანიჭებენ დაავადებას, სინდრომს, ოპერაციას, უჯრედებს, მკურნალობის მეთოდს აღმომჩენის ან აღმწერის სახელს. „დაავადებისათვის, სინდრომისათვის, ოპერაციისათვის, უჯრედებისათვის და ა.შ. აღმომჩენის ან აღმწერის სახელის მინიჭება“ (გოგიჩაძე... 2009) ამ დარგის ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი ნიშანია.

ეპონიმის ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანია **მოტივაციის** ბუნდოვანება, რადგან გვარის მიხედვით ძნელი წარმოსადგენია ტერმინის მნიშვნელობა. ამიტომაც სინდრომთა და დაავადებათა სახელებს ხშირად აქვს სხვა დასახელებაც – შესაბამისი სინონიმი: ინტერნაციონალური ან აღწერითი. შესაძლებელია სხვა ეპონიმით ან აბრევიატურით ჩანაცვლება<sup>1</sup>. მაგ.:

**ალბერტის სინდრომი** (ავსტრიელი ქირურგი E. Albert) იგივე აქილოზურსიტი;

**აპერის სინდრომი** (ფრანგი პედიატრი E. Apert) – აკროცეფალია;

**ახენბახის სინდრომი** (გერმ. Walter Achenbach) – თითების აპოპლექსია;

**ბარტენვერფერის სინდრომი** (გერმ. ორთოპედი Kurt Bartenwerfer) – მეტაეპიფიზური ენდოქონდრული დიზოსტოზი;

**ბლუმის ან ბლუმ-ტორე-მაჩეიკის სინდრომი** (Bloom-Torre-Machacek) (Синдром Блума или Синдром Блум-Торре-Мачэйкик) მახაჩკის – თანდაყოლილი ტელეანგიექტაზიური ერთემა;

**ბურნევილის დაავადება** (ფრანგი ექიმი ფრანც. Maladie de Bourneville) – სკლეროზეტუბეროზი, ტუბეროზული სკლეროზი;

**გილმორის თიაქარი** (ლათ. osteitis pubis; ინგლ. sportsman groin; Gilmore's Groin; ინგლ. ექიმი *Jerry Gilmore*) – ძვლის ანთება, სპორტული თიაქარი ან სპორტსმენტა თიაქარი;

---

<sup>1</sup> ეპონიმთა შესაკრებად და მათ შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად ვსარგებლობდით საცნობარო ლიტერატურით, ეპონიმთა და სამედიცინო განმარტებითი ლექსიკონებით (აბაშიძე... 1973; ჩერნიავესკი, 1984; ენც. ლექს. 2001; გოგიჩაძე... 2009 და სხვ.), უცხოური და ქართული ინტერნეტწყაროებით (ინტ. 1-19).

- დაუნის სინდრომი** (ინგლ. Down syndrome) – აკრომიმია;
- ვოლფ-პარკინსონ-უაითის სინდრომი** (ინგლ. Wolff-Parkinson-White) ან WPW-სინდრომი, ანუ WPW-სინდრომი;
- კლერკ-ლევ-კრისტესკოს სინდრომი** (Clerk, R. Levy, S. Cristesco) – CLC-სინდრომი;
- მილკმენის ავადმყოფობა** (ინგლ. *Milkman's disease*; ამერიკ. რენ-ტგენოლოგი Louis Arthur Milkman) – ლოოზერ-მილკმენის დაავადება (შვეიცარიელი ქირურგი Emil Looser);
- მორკიოს სინდრომი** (ინგლ. *Morquio syndrome*; ურუგვაელი პედიატრი S. Morquio) – მუკოპოლისაქარიდოზი;
- მორტონის დაავადება** (ინგლ. *Morton disease*) – მეტატარსალგია;
- პელიგრინი-შტიდას ავადმყოფობა** (იტალ. ქირურგი A. Pellegrini, გერმ. ქირურგი A. Stieda) – კელერ-პელიგრინი-შტიდას ავადმყოფობა;
- სვიფტის სინდრომი** (ინგლ. *Taylor Swift syndrome*) – **ზოლტერ-სვიფტ-ფერის სინდრომი**, იგივე აკროდინია, პოლინეიროპათიული ერთროდერმია;
- სიდენჰამის ქორეა** (ლათ. chorea Sydenhami, ინგლ. Sydenham chorea; ბერძნ. choreia ცეკვა) – უწოდებდნენ წმინდა ვიტის ცეკვას (ინტ. 2).

### 1.3. ეპონიმები და სამედიცინო დარგები.

ტერმინ-ეპონიმები გავრცელებულია თითქმის ყველა სამედიცინო და ბიოლოგიურ დარგში: ანატომიაში, ფიზიოლოგიაში, პათოლოგიურ ანატომიასა და ფიზიოლოგიაში, ნევროლოგიაში, ფსიქიატრიაში, ონკოლოგიაში, ოფთალმოლოგიაში, ონკოლოგიაში და ა. შ. ქართულ ენაზე გამოცემულია ეპონიმთა რამდენიმე ლექსიკონი: ოფთალმოლოგიურ (ჭყონია...1972), გასტროენტეროლოგიურ (სიმონიშვილი, 1988), თერაპიულ (ბახტაძე... 1991; კაციტაძე... 2001), ტრავმატოლოგიურ და ორთოპედიულ (კასრაძე, 1999), ონკოლოგიურ (შავდია, 2005) ეპონიმთა და სხვა. ეს დარგობრივი ლექსიკონები შეიცავს ეპონიმთა გარკვეულ რაოდენობას, ახსნილია მათი მნიშვნელობა და მითითებულია ნომინაციის საფუძვლად გამოყენებული ექიმის ან მეცნიერის დამსახურება (ნომინაციის შესახებ იხ. თელია, 1977; თელია, 1998; უფიმცევა...1977 და სხვ.).

#### 1.4. საკითხის აქტუალურობა და კვლევის მეთოდები

ტერმინთა სახელდებლასთან დაკავშირებით საინტერესოა სამედიცინო ეპონიმთა ნომინაციისა და ფუნქციონირების საკითხები<sup>1</sup>. ამ ბოლო დროს სხვა ენებში განსაკუთრებული ინტერესით სწავლობენ ეპონიმებს კოგნიტიური თვალსაზრისით. როგორც ამბობენ, „ეპონიმური სამედიცინო ტერმინი წარმოადგენს ერთიან კოგნიტიურ კომპლექსს, რომლითაც ხასიათდება სამყაროს პროფესიული ხატი. ონიმის იდეოსემანტიკა კონცეპტის ბირთვის ნაწილია და ხელს უწყობს ახალ შინაარსთა შექმნას სამყაროს პროფესიულ ხატში“ (ვარნავსკაია, 2009).

კვლევის დროს ძირითადად გამოყენებულია რამდენიმე მეთოდი: აღწერითი, კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის, ეტიმოლოგიური ანალიზის მეთოდები.

#### 1.5. ქართული ეპონიმები

სამედიცინო ეპონიმების საფუძვლად უმეტესად გამოყენებულია გერმანელი, ინგლისელი, ფრანგი, იტალიელი, რუსი, იაპონელი და სხვ. ექიმთა გვარები. ამ ტიპის ტერმინები ძირითადად საერთაშორისოა.

გასაგები მიზეზების გამო ქართული ანთროპონიმებით შექმნილი ეპონიმი მხოლოდ თითო-ოროლაა. სამწუხაროდ, მსოფლიო სამედიცინო სამყაროში ძნელია ისეთი კვალის დატოვება, რომ ქართველი მეცნიერის გვარი ახალი ტერმინის საფუძვლად იქცეს. დავასახელებთ რამდენიმეს: თურმანიდის მალამო, ყიფშიძის სიმპტომი, თარხნიშვილის რეფლექსი, ვიგურუ-თარხნიშვილ-შარკოს სიმპტომი, აბულაძის ხერხი, სარაჯიშვილის მიქსტურა...

**თურმანიდის მალამო** (ლათ. unguentum Turmanidze, ინგლ. Turmanidze ointment): საქართველოში ისტორიულად მკურნალთა გვარია თურმანიძე. „მას იხსენიებენ ქართული, სპარსული, თურქული, აზერბაიჯანული და სომხური წერილობითი წყაროები“. მას უკავშირებენ სპარსულ სიტყვას „თურმან“ – მკურნალი. „საქართველოში არცთუ ბევრია პროფესიის აღმნიშვნელი გვარები და ისინი მხოლოდ თავიანთ პროფესიაში გამორჩეულებს ერქმეოდათ“ (ინტ. 3-5).

<sup>1</sup> ეპონიმების შესახებ მსჯელობა იხ. ნაშრომებში: ჩერნიაევსკი, 1984; რ. ზეკალაშვილი, 2005; დათეშიძე...2010; კაკუხანოვა, 2011 და სხვ.

საცნობარო ლიტერატურის მიხედვით, ეს გვარი „ძირითადად ზემო იმერეთის სოფელ შორაპნიდან იყო. თურმანიძეები განსაკუთრებული წესით დამზადებული მაღამოთი მკურნალობდნენ ინფიცირებულ ჭრილობებს, კანის ზოგიერთ დაავადებას, დამწვრობასა და სხვ.“ მაღამოები დღესაც ცნობილია თურმანიძის სახელით (ინტ. 3-6).

**ყიფშიძის სიმპტომი** (ლათ. *symptoma Kipshidze*, ინგლ. *Kipshidze symptom*): სიმონ ყიფშიძე დიდი ქართველი ნევროპათოლოგი იყო (1887-1953). მან აღწერა პათოლოგიური პროცესი ნათხემის დაზიანების დროს, როცა ნეკი მკვეთრად განზიდულია ნათხემის დაზიანებული მხარისაკენ.

**ვიგურუ-თარხანოვ-შარკოს სიმპტომი** (ვიგურუ-თარხანიშვილ-შარკოს სიმპტომი) (ლათ. *symptoma Vigouroux-Tarchanov-Charcot*). ივანე თარხანიშვილი (თარხან-მოურავი, თარხანოვი – 1846-1908) დიდი ქართველი ფიზიოლოგი იყო, პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის კუსდამთავრებული. აღნიშნული სიმპტომი სხვადასხვა დროს კიდევ ორმა მეცნიერმა აღწერა: ფრანგმა ექიმმა ვიგურუმ (A.Vigouroux) და ფრანგმა ნევროლოგმა შარკომ (J. Charcot) (გოგიჩაძე...2009); არსებობს ასევე თარხანიშვილის ფსიქოგალვანური რეფლექსი (ინგლ. *Tarchanov reflex*).

**აბულაძის ხერხი** (ინგლ. *Abuladze method*): დიმიტრი აბულაძე (1861-1938) გამოჩენილი მეან-გინეკოლოგი იყო, კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, რომელმაც შეიმუშავა საშვილოსნოს კედლებს მოცილებული მომყოლის გამოძევების მეთოდი (1907), სამედიცინო წრეებში **აბულაძის ხერხად** წოდებული (ინტ. 7).

**სარაჯიშვილის მიქსტურა** (ლათ. *mixtura Sarajishvili*; ინგლ. *Sarajishvili mixture*): პეტრე სარაჯიშვილი (1894-1984) ქართველი ნევროპათოლოგი იყო, საქართველოში ნეიროქირურგიის სკოლის ფუძემდებელი, ნოვოროსიის (ოდესა) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, რომელმაც შექმნა ბუნებრივ ინგრედიენტებზე დაფუძნებული მიქსტურა ნერვული სისტემის დამამშვიდებლად (სამწუხაროდ, ინტერნაციონალურ მიმოქცევაში ეს ტერმინი ოფიციალურად დაფიქსირებული არაა, რუსულ ვებგვერდებზე გვხვდება ლათინური დასახელების გარეშე).(ინტ. 8).

როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, ქართველ მკურნალთა მხოლოდ რამდენიმე გვარია გამოყენებული საერთაშორისო სამედიცინო ნომენკლატურაში, მაგრამ ესეც აღსანიშნავი ფაქტია.

## 2. ეპონიმთა შესწავლის ასპექტები

ტერმინ-ეპონიმთა შესწავლისას გასათვალისწინებელია ორი ასპექტი: მათი სტრუქტურულ-სემანტიკური კლასიფიკაცია და ადაპტაცია-ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები. „აპელატივის დომინირებული ნიშნები ასახავს ეპონიმური ტერმინის სამეცნიერო კონცეპტის არსს“ (ვარნავსკაია, 2009).

### 2.1. ეპონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკური ჯგუფები

#### 2.1.1. ერთკომპონენტური ეპონიმები

აგებულების მიხედვით გამოიყოფა ერთკომპონენტური და მრავალკომპონენტური ეპონიმები.

ერთსიტყვიანი ეპონიმები იშვიათად უაფიქსოა (გამოიყენება მხოლოდ გვარი) ან აფიქსებით ნაწარმოები.

მაგ. – **რენტგენი** (ლათ. rontgen), გერმანელი ფიზიკოსის, შემდგომ ნობელის პრემიის ლაურეატის, ვილჰელმ კონრად რენტგენის (Wilhelm Konrad Röntgen), გვარის მიხედვით, რომელმაც 1895 წელს აღმოაჩინა მოკლე ელექტრომაგნიტური ტალღები, X-სხივები.

-**იზმ** სუფიქსით ნაწარმოები:

**ადისონიზმი** (ინგლ. ექიმი Th. Addison – 1793-1860) – სინდრომი, რომელიც შეინიშნება ფილტვის ტუბერკულოზის დროს;

**აფროდიტიზმი** (ბერძნ. Aphrodite – სიყვარულის ქალღმერთი) – სქესობრივი გრძნობის ავადმყოფური გამძაფრება;

**გამბრინიზმი** (Gambrinus – ფლამანდიელი მეფე, ლუდის გამომგონებელი) – ტერმინი აღნიშნავს ალკოჰოლიზმის ნაირსახეობას, რომელიც ვითარდება ლუდის გადაჭარბებული მოხმარების შედეგად;

**დალტონიზმი** (ლათ. daltonismus) – მხედველობის დეფექტი: ზოგიერთი ფერის (მეტწილად მწვანისა და წითლის) განურჩევლობა. ეწოდა ინგლისელი ფიზიკოსის, ჯონ დალტონის (John Dalton – 1776-1844), გვარის მიხედვით, რომელმაც პირველმა აღწერა მხედველობის ეს დეფექტი;

**დაუნიზმი** იგივე **დაუნის სინდრომი** – მემკვიდრული დაავადება, რომელიც პირველად აღწერა ინგლისელმა ექიმმა ჯონ ლანგდონ დაუნმა (John Langdon Haydon Down – 1828-1896) 1866 წელს;

**რეტიფიზმი** – ფეტიშიზმის სახესხვაობა, გაუკუღმართებული სექსუალური ქცევა, როდესაც გაფეტიშებულია ფეხსაცმელი. სახელი დაერქვა XVIII საუკუნის ფრანგი მწერლის, ნიკოლა რეტიფ დე ლა



**ბრეტონის** (Rétif de La Bretonne – 1734-1806), *გვარის* მიხედვით, რომელმაც აღწერა ეს დაავადება თავის ნაწარმოებში (<https://www.med-geo.net>);

**სადიზმი** (ლათ. sadismus) ფრანგი მწერლის, **მარკიზ დე სადის** (Donatien Alphonse François de Sade), *გვარის* მიხედვით, რომელმაც პირველმა აღწერა ასეთი ტიპის სექსობრივი გაუკუღმართება – სხვისი წვალებით, ტანჯვით მიღებული სიამოვნება;

**საფიზმი** (ლათ. saphismus) – ტერმინი აღნიშნავს დედათმავლობას, ლესბოსელობას, ქალთა ურთიერთსექსობრივ ლტოლვას, ლესბოსურ სიყვარულს (საფო – Σαφώ – ბერძენი პოეტი ქალი კუნძულ ლესბოსიდან);

### 2.1.2. ორ- და მეტკომპონენტიანი ეპონიმები

ეპონიმთა დიდი ნაწილი ორკომპონენტია: შეიცავს საკუთარ სახელსა და საზოგადო სახელს. ამიტომაც მათში შერწყმულია ორივეს ფუნქციები: მაკლასიფიცირებელი „აპელატივი ემსახურება ობიექტთა კლასის განსაზღვრას, პროპრიაცივს კი ენიჭება მაიდენტიფიცირებელი როლი. საკუთარი სახელის მაინდივიდუალიზებელი ფუნქცია ყოველ ტერმინოლოგიურ ერთეულს ანიჭებს განუმეორებლობას, რაც სამყაროს პროფესიულ ენობრივ ხატს ამრავალფეროვნებს“ (ვარნავსკაია, 2009).

**ორკომპონენტია** ეპონიმებია: აშერმანის სინდრომი, ბანტის სინდრომი, ჰანტერის სინდრომი, ლუდვიგის ანგინა, ასკოლის რეაქცია და უამრავი სხვა.

იშვიათად გვხვდება მეტკომპონენტია ეპონიმებიც, რომელთა ნაწილი შედგება ორი ან სამი მეცნიერის *გვარისგან*:

**რუმპელ-ლედეს** სიმპტომი (ლათ. symptoma Rumpel-Leede; გერმანელი ექიმები, Rumpel და G. Leede) – ხელის მოჭერით გამოწვეული კანქვეშა სისხლის ჩაქცევები, კაპილაროპათიის დამადასტურებელი სიმპტომი;

**აბტ-ლეტერერ-სივეს** სინდრომი: რეტიკულოპისტიოციტოზი. პირველად 1924 წელს აღწერა გერმანელმა პათოლოგმა ერიხ ლეტერერმა (Erich Letterer), 1933 წელს – შვედმა პედიატრმა სივემ (Sture A.Siwe), 1936 წელს კი – ამერიკელმა პედიატრმა აბტმა (Arthur Frederik Abt) და დენენჰოლცმა (იხ. ინტ. 9).

**ალექსანდროვ-შაუტა-ვერტჰაიმის** ოპერაცია (რუსი ექიმი ს. ა. ალექსანდროვი – С. А. Александров, 1858-1920; ავსტრიელი გინეკო-

ლოგები: ფ. შაუტა – F. Schauta, 1849-1919 და ე. ვერტჰაიმი – E. Wertheim, 1864-1920) – საშვილოსნოს ფიქსაციის ოპერაცია საშვილოსნოს სრული გამოვარდნის დროს საშოსა და შარდის ბუშტს შორის (იხ. ინტ. 10-11).

**ვიგურუ-თარხანოვ-შარკოს** სინდრომი (ამ ტერმინის შესახებ იხ. წინ).

**ჰენდ-კრისჩენ-შიულერის** დაავადება – პაროდონტის დაავადება და ა. შ.

მრავალკომპონენტური ეპონიმების ნაწილი მხოლოდ ერთ საკუთარ სახელს შეიცავს, რომელსაც ახლავს ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრული.

მაგ.: **ვალეს მტკივნეული წერტილები** (ფრანგი ექიმი ფ. ვალე – F. L. Valleix 1807-1855) – მტკივნეული წერტილები დაზიანებული ნერვის მიმართულებით ნევრალგიის დროს;

**ვებერის შემგრძნები წრეები** (გერმანელი ანატომი და ფიზიოლოგი ე. ჰ. ვებერი – E. H. Weber – 1795-1878) – კანის მონაკვეთი, სადაც ორი ერთდროული შეხება შეიგრძნობა, როგორც ერთი.

ზოგიერთი ეპონიმი ნაწარმოების სათაურია. მაგ.: სინდრომი „**ალისა საოცრებათა ქვეყანაში**“ (იგივე **თოდის** სინდრომი) – ხასიათდება ქრონიკული თავის ტკივილით, გარემოსა და დროის ილუზიური აღქმით (დეორიენტაციით), სხეულის შეგრძნების დარღვევით (მიკროფსია ან მაკროფსია), ფსიქოსენსორული ცვლილებებით, დეპერსონალიზაციით. სახელი დაერქვა ინგლისელი მათემატიკოსის, ჩარლზ ლატუიჯ (ლუტვიჯ) დოჯსონის (Charles Lutwidge Dodgson), ფსევდონიმის, ლუის კეროლის (Lewis Carroll 1832-1898) ნაწარმოების მიხედვით, პირველად აღწერა კანადელმა ექიმმა თოდმა (J. Todd) 1955 წელს (ამიტომაც ემახიან თოდის სინდრომსაც).

### 3. ეპონიმთა სახელდების პრინციპები

მართალია, ეპონიმთა შემადგენლობაში ძირითადია საკუთარი სახელი, მაგრამ კონკრეტულად მისი შერჩევის მიზეზი ზოგჯერ არაა იოლად ასახსნელი და თავისთავად გასაგები.

საკუთარ სახელს (ლათ. proprius 'საკუთარი') ტერმინში დაკარგული აქვს კავშირი პირველწყაროსთან ტერმინოლოგიზაციის დროს გადააზრების გამო (ე. წ. მეორეული სახელდება), არ ჩანს მოტივაცია და ტერმინი მხოლოდ ასახელებს შესაბამის ცნებას. საკუთარი სახელი ეპონიმური ტერმინის განმსაზღვრელი კომპონენტია და ახდენს სა-

გნის ან მოვლენის ინდივიდუალიზებას, გამოარჩევს მსგავს სახეობათა შორის.

### 3.1. მეცნიერის ან ექიმის გვარი

ტერმინ-ეპონიმებში ყველაზე ხშირად გამოიყენება იმ **მეცნიერის ან ექიმის** გვარი, რომელმაც აღმოაჩინა ან პირველად შეისწავლა/აღწერა დაავადება, სიმპტომი ან სინდრომი, რომლის წვლილიც თვალსაჩინოა ამ დაავადების კვლევაში. მაგ., ადისონის ავადმყოფობა, ასპერგერის სინდრომი, ბრილ-სიმერსის ავადმყოფობა, დაუნის დაავადება, ვერლჰოფის ავადმყოფობა, კოჟევნიკოვის ეპილეფსია, მენიერის სინდრომი, კოჟევნიკოვის სინდრომი, შაგასის ავადმყოფობა და სხვ.

**ადისონის ავადმყოფობა** (ლათ. morbus Addisoni, ინგლ. Addison's disease; სინ. ტრიპანოსომოზი) – ენდოკრინული ავადმყოფობა, გამოხატული თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვანი შრის ქრონიკული უკმარისობით. დაერქვა ინგლისელი **თ. ადისონის** გვარის მიხედვით, რომელმაც პირველად აღწერა დაავადება 1855 წელს.

**ასპერგერის სინდრომი** – ამ სინდრომის მქონე ბავშვებს ნორმალური ინტელექტისა და განვითარებული მეტყველების ფონზე ახასიათებთ სოციალური ურთიერთობების დეფიციტი, კომუნიკაციის სირთულე და უცნაური, ექსცენტრული ქცევები. სინდრომი პირველად აღწერა ავსტრიელმა ფსიქიატრმა **ჰ. ასპერგერმა** (H. Asperger) 1944 წელს.

**ვაკეზის ავადმყოფობა** (ლათ. morbus Vaqiezis, ინგლ. Vaquez disease) იგივე პოლიციტემია, ერითრემია – სახის კანისა და ლორწოვანი გარსების მუქი წითელი ფერი, გამოხატულია ასევე ჰეპატოსპლენომეგალია და მაღალი არტერიული წნევა. პირველად აღწერა ექიმმა **ვაკეზმა** 1892 წელს.

**ვერლჰოფის ავადმყოფობა** (ლათ. morbus Wehrlhofi, ინგლ. Wehrlhof disease) მიმდინარეობს სისხლდენითა და ჰემორაგიით. პირველად აღწერა გერმანელმა **პ. გ. ვერლჰოფმა** (1699-1767) 1735 წელს.

**კაპგრას სინდრომი** (Capgras, Reboul-Lachaux, 1923) – ავადმყოფებს სწამთ, რომ მათი ნათესავები ან ახლობელი ადამიანები ბოროტმოქმედებით, ორეულებითაა შეცვლილი, რომლებიც მათ ზუსტ ასლს წარმოადგენენ.

**კოჟევნიკოვის ეპილეფსია** – ქერქული ეპილეფსია, ხასიათდება მუდმივი ან ხანმოკლე ინტერვალის მქონე ლოკალიზებული კლონუ-

რი კრუნჩხვებით და მთავრდება ეპილეფსიური შეტევით (ა. ი. კოჟევნიკოვი, რუსი ნევროპათოლოგი),

**მენიერის სინდრომი** (ინგლ. Ménière's disease – MD) – შუა ყურის დაზიანება, გამოიხატული ყურთასმენის სენსორულ-ნერვულ დაქვეითებაში, ახასიათებს: თავბრუ, ყურებში ხმაური, ფლუქტუაციის შეგრძნება. სახელი უწოდეს ფრანგი ოტოლარინგოლოგის, პ. მენიერის (P. Ménière 1799-1862), პატივსაცემად.

**შაგასის ავადმყოფობა** (ლათ. morbus Shagasi, ინგლ. Shagasi disease) – ნერვული განგლიების დესტრუქციით გამოწვეული ღრუ ორგანოების პათოლოგიური გაგანიერება. სახელი უწოდეს ბრაზილიელი ექიმის, ც. შაგასის, პატივსაცემად.

ორი ან სამი გვარი ეპონიშში განპირობებულია იმით, რომ სხვადასხვა დროს რამდენიმე მეცნიერმა შეისწავლა და აღწერა ეს დაავადება.

მაგ., **იცენკო-კუშინგის ავადმყოფობა**.

**ბრილ-სიმერსის ავადმყოფობა** (ლათ. L. Symmers morbus, ინგლ. E. Brill-Symmers disease), აღწერეს ბრილმა (1925) და სიმერსმა (1927).

**შენლეინ-ჰენოხის დაავადება** (ლათ. სინონიმი **purpura rheumatica, capillarotoxicosis**) – ჰემორაგიული ვასკულიტი (ტერმინი გამოიყენება მხოლოდ რუსეთში, უწოდა ვ. ა. ნასონოვამ), კაპილაროტოქსიკოზი – სისტემური ვასკულიტების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ხასიათდება კანის, სახსრების, მუცლის ღრუსა და თირკმლების სისხლძარღვთა სისტემური დაზიანებით. უცხოეთში გავრცელებულია **შენლეინ-ჰენოხის პურპურის სახელით**. 1837 წელს გერმანელმა ექიმმა შენლაინმა (J. L. Schönlein) აღწერა „ანაფილაქსიური პურპურა“, ხოლო 1874 წელს გერმანელმა მეცნიერმა ე. ჰენოხმა გამოქვეყნა თვალსაჩინო ნაშრომი ამ დაავადების შესახებ (E. N. Henoch).

**აბტ-ლეთერერ-სივეს** სინდრომი (ინგლ. *Abt-Letterer-Siwe syndrome*), იგივე ჭეშმარიტი რეტოკულიოზისტიოციტოზი, პირველად აღწერა ლეთერერმა, შემდეგ კლინიკური სურათი დაწვრილებით დაახასიათა სივემ, აბტმა კი განაზოგადა ყველა გამოკვლევის შედეგები.

არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ სინდრომის აღწერისას ექიმის დამსახურება არც ისე დიდია, მაგრამ ტერმინი მისი გვარით დამკვიდრდა. მაგ., **ოსლერის დაავადება** (იგივე: ერითრემია, ჭეშმარიტი პოლიციტემია).

ცნობილი ფაქტია, რომ თურქმა ექიმ-დერმატოლოგმა **ჰულუსი ბეჰჩეტმა** (Hulusi Behçet) 1937 წელს აღმოაჩინა დაავადება, რომელიც

მასზე ადრე, 1931 წელს, აღწერა ბერძენმა ოფთალმოლოგმა **ბენედიქტოს ადამანტიადესმა** (B. Adamantiades) (იხ. ინტ. 12), მაგრამ მაინც დამკვიდრდა ბეჰჩეტის სახელით.

**ვეგენერის გრანულომატოზი** (ინგლ. Wegener's granulomatosis) – მანამდე აღწერა **ჰაინც კლინგერმა**, მაგრამ დაავადებას შერჩა ვეგენერის სახელი (გერმანელი პათოლოგი ფრიდრიხ ვეგენერი მუშაობდა ნაცისტების დროს, ამიტომ ერიდებიან მისი გვარის ხსენებას, ახლა დაავადებას უწოდებენ გრანულომატოზს პოლიანგიიტით).

**მაკოტო ტაკაიასუს** (*Makoto Takayasu*) სახელს ატარებს არტერიტი (ინგლ. *Takayasu's arteritis*), თუმცა მან ვერ გამოავლინა დაავადების ვასკულარული ცვლილებები.

**3.2. ეპონიმისთვის ზოგჯერ იყენებენ ავადმყოფის გვარს, რომელსაც პირველად დაუდგინეს შესაბამისი დიაგნოზი. მაგ.: ჰარტნაპის სინდრომი, ჰეიგმანის სინდრომი, ჰე-ლას უჯრედების შტამი...**

**ჰარტნაპის საოჯახო სინდრომი** (ლათ. morbus Hurtnapi, ინგლ. Hurtnup disease) ძალზე იშვიათი მემკვიდრული დეფექტია – ამინმჟავას ტრანსპორტის დარღვევის კომბინირებული ტიპი, რომელსაც დაერქვა იმ ოჯახის გვარი, რომელშიც პირველად გამოვლინდა. სინდრომი ვითარდება ადრეულ ბავშვობაში, ხასიათდება კანის გასქელებითა და აქერცვლით, გონებრივი განვითარების დაქვეითებით.

**ჰელას (HeLa) უჯრედების შტამი** (ინგლ. HeLa cells) – ეს უჯრედული ხაზი მიღებულია ონკოლოგიური დაავადების მქონე ამერიკელი შავკანიანი პაციენტის, ჰენრიეტა ლაქსის, საშვილოსნოს ენდოთელიუმის უჯრედებისაგან (ავადმყოფი გარდაიცვალა 31 წლის ასაკში, 1951 წელს). გამოყენებულია სახელისა და გვარის პირველი მარცვლები: Henrietta Lacks (He+La). საინტერესოა, რომ ეს უჯრედები „მარადიულია“, რადგან უსასრულოდ იყოფიან და არ იღუპებიან საყინულეში ათობით წლის განმავლობაშიც (იხ. ინტ. 13). „ჰელას“ უჯრედებმა საფუძველი ჩაუყარა სამედიცინო კვლევების ახალ ეპოქას.

### 3.3. ისტორიული პირის (მეცნიერის ან ხელოვანის გვარი)

*მედიცინაში ტერმინები შექმნილია ისტორიული პირების, ხელოვნების წარმომადგენლებისა და მწერლების სახელების გამოყენებითაც.*

**დ'აკოსტას სინდრომი** (ინგლ. d'Acosta syndrome) – მთის დაავადებაა, რომელიც ვითარდება სიმაღლეზე სწრაფად ასვლის დროს,

გამოხატულია ქოშინით, ციანოზით, ეიფორიით ან აპათიით, თავის ტკივილით, თავბრუსხვევით, მოძრაობის კოორდინაციის მოშლით. ესპანელი იეზუიტი ბერი, დ'აკოსტა, მე-16 ს-ში ცხოვრობდა და მისი-ონერულ მოღვაწეობას ეწეოდა პერუში.

**სტენდალის** (ანუ ფლორენციის) **სინდრომი** (ინგლ. Stendhal syndrome) დაერქვა XIX ს. ფრანგი მწერლის, სტენდალის (ანრი ბეილის), პატივსაცემად, რომელმაც წიგნში „ნეაპოლი და ფლორენცია: მოგზაურობა მილანიდან რეჯიოში“ აღწერა საკუთარი მდგომარეობა 1817 წელს, ფლორენციაში ყოფნისას. სინდრომი 1979 წელს პირველად განსაზღვრა იტალიელმა ფსიქიატრმა **გრაციელა მაგერინიმ**, ხოლო დიაგნოზი პირველად დაისვა მხოლოდ 1982 წელს. ესაა ფსიქოსომატური აშლილობა, გულისცემის აჩქარება, თავბრუსხვევა და ჰალუცინაცია, რასაც იწვევს ერთდროულად ხელოვნების მრავალი ნიმუშის ზემოქმედება.

**ვან გოგის** სინდრომი (ინგლ. Van Gogh syndrome) არის ფსიქიკური აშლილობა, როცა ავადმყოფი იყენებს თვითდაზიანებას – მოიკვეთს სხეულის ნაწილს, მიიყენებს ჭრილობას ან კატეგორიულად მოითხოვს, ჩაუტარონ ქირურგიული ოპერაცია. უწოდეს ჰოლანდიელი მხატვრის, ვან გოგის (Vincent Willem van Gogh), სახელის მიხედვით. როგორც ცნობილია, ვან გოგმა 1888 წელს, ფსიქიკური აშლილობის დროს, ყური მოიჭრა. სინდრომი პირველად აღწერა ფსიქიატრმა **აბრამმა** 1966 წელს.

„მედიცინის მამად“ წოდებული დიდი ბერძენი ექიმის, ბერძენი ჰიპოკრატეს (ძვ. წ. 460-337.), გვარის მიხედვით დაერქვა **ჰიპოკრატეს სახე** (ლათ. facies Hippocratica; ინგლ. Hippocratic face), რომელიც აღნიშნავს აგონიის დროს სახის განსაკუთრებულ გამომეტყველებას. დამახასიათებელია წაწვეტებული ცხვირი და ნიკაპი, ჩავარდნილი თვალები, გაციებული ყურები, მოლურჯო ფერის ფერმკრთალი სახე, ზოგჯერ – ცივი ოფლი.

**ვოლტერის სახე** (ლათ. *facies Voltaire*; ინგლ. Voltaire face) დაერქვა ფრანგი ფილოსოფოსისა და განმანათლებლის ფსევდონიმის Voltaire პატივსაცემად. ტერმინი შემოთავაზებულია მარფანის (Marfan) მიერ და აღნიშნავს მძიმე ატროფიის მდგომარეობაში მყოფი ძუძუთა ბავშვის სახის გამომეტყველებას.

დერმატოვენეროლოგიაში არსებობს **ლაოკონის, ხიროსიმის, პრომეთეს** სახეებიც.

**3.4. მითოლოგიურ, ბიბლიურ ან ლიტერატურულ გმირთა სახელები:**

*გვხვდება ეპონიმები ცნობილი ლიტერატურული, მითოლოგიური, ბიბლიური, ფოლკლორული პერსონაჟების, ხელოვნების წარმომადგენლებისა და მწერლების სახელებით.* მაგ.: ვენერას ხიდი, მედუზის თავი, ჰერკულესის დაავადება, კლეოპატრას სიმპტომი, იობის სინდრომი, ოიდიპოსის კომპლექსი, რობინ ჰუდის სინდრომი, მიუნჰაუზენის სინდრომი და სხვ.

მაგ., ძველი ბერძნული მითოლოგიური გმირის, **აქილევსის**, სახელი დაედო საფუძვლად ანატომიურ და ფიზიოლოგიურ ტერმინებს: აქილევსის მყესი, აქილევსის ქუსლი, აქილევსის რეფლექსი.

**აჰასფერის სინდრომი** (ლათ. Ahasverus; ინგლ. Ahasuerus' Syndrome) ახასიათებს ტოქსიკომანიასა და ნარკომანიას. **აჰასფერი** შუა საუკუნეების ქრისტიანული ლეგენდის პერსონაჟია, რომელსაც ღმერთმა მიუსაჯა მარადიული ლტოლვილობა, რადგან მან არ მისცა იესო ქრისტეს დასვენების საშუალება ჯვარცმამდე. ამ სინდრომში თავმოყრილია მენტალური აშლილობის ნიშნები: პაციენტი გამუდმებით მიმართავს სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებას, დადის ექიმიდან ექიმთან, თხზავს ანამნეზის დრამატულ სურათებს, ცდილობს თვითდაზიანებას, ოღონდაც დაარწმუნოს მკურნალი ჰოსპიტალიზაციის აუცილებლობაში. სინდრომი პირველად აღწერა ექიმმა **პაულ ვინგეიტმა** (Paul Wingate) 1951 წელს.

**ბარონ მიუნჰაუზენის სინდრომი** (ინგლ. *Munchausen syndrome*) – ბარონი კარლ ფრიდრიხ იერონიმ მიუნჰაუზენი Hieronymus Carl Friedrich Freiherr von Münchhausen (1720-1797) ცხოვრობდა პრუსიაში და სახელი გაითქვა დაუჯერებელი მოგონილი ამბების თხრობით (მეგობრები „ტყუილების ბარონსაც“ უწოდებდნენ). 1951 წელს **რიჩარდ აშერმა** აღწერა ეს ფსიქიკური აშლილობა, რომლის დროსაც ავადმყოფი იგონებს დაავადებებს და შეპყრობილია მკურნალობის დაუოკებელი სურვილით.

**იობის სინდრომი** (ინგლ. Job syndrome ან Job-Buckley syndrome) - გამოყენებულია ბიბლიური პერსონაჟის, წმინდა მრავალვნებული მართალი და უმანკო იობის სახელი, რომელიც ღვთის სიყვარულით ითმენდა თავს დატეხილ უამრავ უბედურებას. (იხ. ინტ. 14). პაციენტს აქვს უამრავი ავადმყოფობა: ეოზინოფილია, კანის ინფექციური და სოკოვანი დაზიანებები.

**ოიდიპოსის კომპლექსი** (გერმ. Ödipuskomplex; ინგლ. Oedipus

complex) – ფსიქონალიზში დაამკვიდრა გამოჩენილმა ავსტრიელმა მეცნიერმა **ზიგმუნდ ფროიდმა**. ოიდიპოსმა, თებეს მითიურმა მეფემ, სოფოკლეს ტრაგედიაში გაუცნობიერებლად მოკლა საკუთარი მამა და დედაზე იქორწინა. კომპლექსი აღნიშნავს გაუცნობიერებელ სექსუალურ ლტოლვას საპირისპირო სქესის მშობლისადმი, ბისექსუალური მდგომარეობა, ბავშვის ეროტიკული ლტოლვა მშობლისადმი.

**რობინ ჰუდის სინდრომი** (ინგლ. Robin Hood syndrome) - აღწერა ნევროლოგმა ნ. ლასენმა (N. A. Lassen) – ბრიტანული ფოლკლორის გმირის, რობინ ჰუდის, სახელის მიხედვით. ცნობილია, რომ ის ქონებას მდიდრებს ართმევდა და ღარიბებს ურიგებდა. მედიცინაში სინდრომი აღნიშნავს სისხლის გადასროლას ნორმალური სისხლმომარაგების მონაკვეთებიდან („მდიდარი“) იშემიის ზონაში (ტვინის „ღარიბ“ მონაკვეთებში) სისხლით მომარაგების გასაუმჯობესებლად.

**ვერთერის სინდრომი** (ინგლ. Werther syndrome) აღწერა დევიდ ფილიპსმა 200 წლის წინ) – სუიციდისწინა მდგომარეობა. სახელი დაერქვა იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანის“ პერსონაჟის მიხედვით.

**პიკვიკის, ანუ პიკვიკორუმის სინდრომი** (ინგლ. Pickwickian syndrome) უწოდეს ჩარლზ დიკენსის „პიკვიკის კლუბის ჩანაწერების“ (Charles Dickens, „The Pickwick Papers“) გმირის, ჯოს, დაავადების მიხედვით.

**სინდრომს „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“** (ინგლ. Alice in Wonderland syndrome) – ლუის კეროლის (Lewis Carroll) იმავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით დაერქვა სახელი.

**3.5. ცალკე ჯგუფად გამოიყოფა გეოგრაფიული ადგილის** (ქალაქის, ქვეყნის, კუნძულის...) სახელი, სადაც დაავადება პირველად გამოვლინდა ან დღესაც გავრცელებულია. მაგალითად: **ავსტრალიური, იაპონური, ტაიგის, კალიფორნიისა და ენცეფალიტის** სხვა სახეობები.

**აკურეირის სინდრომი** (ლათ. morbus Akureyri; ინგლ. Akureyri syndrome) – დაერქვა ისლანდიის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქის სახელის მიხედვით – ქრონიკული დაღლილობის სინდრომი;

**არდმორის სინდრომი** (ინგლ. Ardmore syndrome) – ესაა ადგილი აშშ-ში, ოკლაჰომის შტატში) უცნობი ეტიოლოგიის ინფექციური დაავადება;

**მალტის ცხელება** (ინგლ. Malta Fever – იგივე ბრუცელოზი) – უწოდებენ **ჰიბრალტარის**, ხმელთაშუა ზღვის ცხელებასაც;



**ობუხოვოს** საავადმყოფოს სიმდრომი (ინგლ. Obukhovo hospital syndrome; რუს. симптом *Обуховской больницы*) – დაერქვა სანკტ-პეტერბურგის საავადმყოფოს სახელის მიხედვით. ესაა სიგმოიდურ ნაწლავის გაუვალობა, იგივე ჰოხენეგის სიმპტომი (ავსტრიელი ექიმი Leonhard Hochenegg);

**პერუს** მეჭეჭი (ლათ. verruca peruviana; ინგლ. Peruvian warts), იგივე ბართონელოზი (bartonellosis), ოროიის ცხელება (Oroya febris) – დაავადება ატარებს ენდემურ ხასიათს პერუს ანდების ერთ-ერთ რაიონში, ოროიაში;

**ყირიმ-კონგოს ცხელება** (ლათ. febris haemorrhagica crimiana; ლათ. Геморрагическая лихорадка *Крым-Конго*) გადაეცემა – ცხოველთა პარაზიტებით;

**სემლიკის ტყის ცხელება** (ინგლ. Semliki forest fever; რუს. лихорадка леса *Семлики*) – ამ ვირუსული ეტიოლოგიის დაავადების სახელი დაკავშირებულია უგანდის ბვამბის ოლქში მდებარე სემლიკის ტყესთან;

საინტერესოა, რომ ფსიქიატრიაში ცნობილია რამდენიმე აშლილობა, სახელდებული ამა თუ იმ გეოგრაფიული პუნქტის მიხედვით:

**პარიზის სინდრომი** (ფრანგ. syndrome de Paris; ინგლ. Paris syndrome) – უვითარდებათ ტურისტებს პარიზში მოგზაურობის დროს, განსაკუთრებით – ემოციურ იაპონელებს, ე. წ. მოგზაურთა სინდრომი (ფრანგ. Syndrome du voyageur), (იხ. სტენდალის სინდრომის შესახებ წინ), ერთგვარი აღფრთოვანებისა და ეგზალტაციის გრძნობა ამ ქალაქის მიმართ.

**სტოკჰოლმის სინდრომი** (*Stockholm syndrome*) – მსხვერპლის სიმპათიისა და მიზიდულობის რეაქცია აგრესორის მიმართ. მოცემულ მოვლენას ხსნიან, როგორც **დაცვის მექანიზმს** (მეცნიერმა ანა ფროიდმა უწოდა „აგრესორთან იდენტიფიკაცია“). საფუძვლად დაედო 1973 წლის 23 აგვისტოს მომხდარი რეალური ფაქტი: სტოკჰოლმის მოედანზე ციხიდან გამოქცეული შეიარაღებული დამნაშავეები შეიჭრნენ ბანკში ოთხ მძევალთან ერთად. შემდეგ მძევლებს გაუჩნდათ გარკვეული სიმპათია დამნაშავეთა მიმართ. მსგავსი მოვლენა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში სხვადასხვა ვითარებაში განმეორდა.

**ლიმის სინდრომი** (ინგლ. *Lima Syndrome*) – ზემოთ დასახელებულის საპირისპიროა, როცა გამტაცებლებს უჩნდებათ სიმპათია ტყვეების მიმართ (ასეთი რამ მოხდა 1996 წელს ლიმაში: იაპონიის საელჩოში წვეულებაზე ასობით ადამიანი დაატყვევეს და შემდეგ სიმპა-

თიის გამო გაათავისუფლეს).

**იერუსალიმის სინდრომი** (ინგლ. Jerusalem syndrome) – ფსიქიკური აშლილობის იშვიათი ფორმა, განდიდება მანისის ერთ-ერთი სახე, ვლინდება იერუსალიმში ჩასულ ტურისტებსა და მომლოცველებში, რომლებიც იჯერებენ, თითქოს ფლობენ ღვთაებრივ და წინასწარმეტყველურ ძალას და არიან რომელიმე ბიბლიური გმირის რეინკარნაცია.

**ფრეგოლის სინდრომი** (ინგლ. Fregoli syndrome) – ცნობილი იტალიელი მსახიობის, ლეოპოლდო ფრეგოლის (Leopoldo Fregoli), სახელის მიხედვით, რომელსაც თამაშის დროს შეეძლო სასცენო კოსტიუმები ძალიან სწრაფად შეეცვალა და ახალ პერსონაჟად გარდასახულიყო. სინდრომი პირველად აღწერეს კორბონმა და ფეილმა (Courbon & Fail) 1927 წელს – ჰიპერიდენტიფიკაციის მდგომარეობა, როცა განცდის ობიექტი, რეალურ ცხოვრებაში უცნობი, აღიქმება ნაცნობად.

#### **4. ეპონიმთა ჯგუფები მეორე კომპონენტის მიხედვით**

ტერმინ-ეპონიმები გვხვდება მრავალ სამედიცინო დარგში: ანატომიაში, ფიზიოლოგიაში, ნევროლოგიაში, ფსიქიატრიაში, ქირურგიაში და სხვ.

ამ ტიპის ტერმინთა მეორე კომპონენტი საზოგადო სახელია, საყრდენი სიტყვა, რომელიც მიუთითებს საგნების ან მოვლენების სახეობაზე. ის შესაძლებლობას გვაძლევს, დავყოთ ეპონიმები ტაქსონომიურ ჯგუფებად. მათ შორისაა: ორგანოები და მათი ნაწილები, პათოლოგიური კერები და ანომალიები, რეაქციები და რეფლექსები, დაავადებები და სნეულებები, სინდრომები, სიმპტომები, დაავადების გამომწვევები (ბაქტერიები, მიკრობები, ვირუსები), მკურნალობისა და დიაგნოსტიკის ხერხები, მეთოდები (სინჯები, ტესტები, ფენომენები, რეაქციები), ჰიპოთეზები და თეორიები, სამედიცინო ხელსაწყოები და სხვ.

**4.1. ორგანოების ან მათი ნაწილების სახელები გვხვდება ანატომიურ ტერმინოლოგიაში** (გულ-სისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელ, ნერვულ, რეპროდუქციულ, საყრდენ-მამოძრავებელ და სხვა სისტემებში) (იხ. დენისოვი...2012). მაგ.: არნოლდის არტერია, გალენის ვენა, აუერბახის წნული, აშოფ-ტავარის კვანძი, ბიანცის კვანძები, ჰუპარტის იოგი, აშოფ-ტალაღაევის გრანულომა, ბეხტერევის ბირთვი, ბოტალოს სადინარი, ვაროლის ხიდი, ვილიზის წრე, ბელის ნერ-

ვი, კისელბახის ადგილი, კისის კვანძი, ტრაუბეს სივრცე, ფალოპის მილი, ფატერის დვრილი, ჰისის კონა, ბართოლინის ჯირკვალი, ლიბერკიუნის ჯირკვალი, ლანგერჰანის კუნძულები...

#### 4.2. პათოლოგიური კერებისა და ანომალიების სახელები:

ბიტოს ბალთები, ბიშას ცხიმოვანი ბალიში, ვალეს მტკივნეული წერტილები, ვებერის შემგრძნები წრები, ვილმის სიმსივნე, ვირხოვის მეტასტაზი, ვოლინის ციებ-ცხელება, კურლინგის წყლული, კუსმაულის აფაზია, ლუდვიგის ანგინა, რიდ-შტერნბერგის უჯრედები, უოლერის გადაგვარება, ჯეკსონის ეპილეფსია, ჰუნერის წყლული...

#### 4.3. რეაქციებისა და რეფლექსების სახელები:

ასკოლის რეაქცია, გალი-მაინინის რეაქცია, ერლიხის დიაზორეაქცია, ვაინბერგის რეაქცია, ვასერმანის რეაქცია, მანტუს რეაქცია, ამნერის ფენომენი, ბაზინსკის რეფლექსი, ვოდაკის რეფლექსი, თარხნიშვილის ფსიქოგალვანური რეფლექსი, რისოლინოს რეფლექსი, ბელის სპაზმი, ბერგერის რიტმი, ველარის ნიშანი...

#### 4.4. სიმპტომებისა და სინდრომების სახელები:

ეს ჯგუფი ყველაზე მრავალფეროვანია.

**სიმპტომი** დაავადების დამახასიათებელი გარეგნული ნიშანია, არსებობს უამრავი ეპონიმური ტერმინი მათ აღსანიშნავად: აბადის სიმპტომი, ბაზინსკის სიმპტომი, ვიგურუ-თარხნიშვილ-შარკოს სიმპტომი, ლასეგის სიმპტომი, როკის სიმპტომი...

**სინდრომი** დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა: ადის სინდრომი, გერნერის სინდრომი, ვესტფალის სინდრომი, მენიერის სინდრომი...

ფოსტერ **კენედის** სინდრომი (F. Kennedy ამერიკელი ნევროლოგი) – შუბლის წილის ბაზალური სიმსივნის დროს ერთ მხარეზე აღინიშნება მხედველობის ნერვის პირველადი ატროფია, ხოლო მოპირდაპირე მხარეზე – შემუშუბული დვრილი.

**ტაკაიასუს** სინდრომი (**Takayasu's arteritis**) – აორტის რკალის კედლის დეგენერაციული ან ანთებითი დაავადება და ა. შ.

#### 4.5. დაავადების გამომწვევები (ვირუსები და მიკრობები):

**ლეიშმანია** – დაერქვა შოტლანდიელი პათოლოგის, უილიამ

ბუგ ლეიშმანის სახელის მიხედვით (ინგლ. William Boog Leishman 1865-1926).

**კობის ჩხირი** – ტუბერკულოზის გამომწვევი ჩხირი (Mycobacterium tuberculosis), რომელსაც სახელი დაარქვა გერმანელმა მიკრობიოლოგმა, რობერტ კოხმა (Heinrich Hermann Robert Koch 1843-1910).

**რიკეტსიები** უწოდეს ამერიკელი მეცნიერის, ჰოვარდ ტეილორ რიკეტსის, გვარის მიხედვით (1871-1910).

დიზენტერიის გამომწვევ „შიგელეზს“ სახელი დაერქვა იაპონელი მეცნიერის, კ. შიგას, პატივსაცემად 1898 წელს.

1886 წელს სამხედრო ექიმმა **დ. ბრიუსმა** პირველად გამოყო ბრუცელოზის გამომწვევი, რომელსაც უწოდეს **ბრუცელები**.

**იერსინიების** ჯგუფის ბაქტერიების სახელი უკავშირდება შვეიცარელი მეცნიერის, ა. იერსენის, გვარს, რომელმაც აღმოაჩინა შავი ჭირის გამომწვევეები.

ერთუჯრედიანი ნაწლავური პარაზიტების სახელი **ლამბლები** 1859 წელს დაწვრილებით აღწერა ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა, ჩეხმა **დ. ფ. ლამბლმა** (Vilém Dušan Lamb) (იხ. ინტ. 15).

**4.6. სხვადასხვა დაავადების (სნეულების, ავადმყოფობის) სახელში ხშირადაა გამოყენებულია ექიმთა გვარები:**

არსებობს: ადისონ-ბირმენის, აიზელინის, ბანტის, გოშეს, ვაკეზის, კაპლანის, ბანგის, დაუნის, ვაგნერ-პოტენის, ვერლჰოფის, მენიერის, პარკინსონის და სხვ. ავადმყოფობები.

**4.7. მკურნალობის ხერხების, მეთოდების ან ოპერაციის დასახელება:**

აბულადის ხერხი, ბალტინ-კომბერგის მეთოდი, ჟანეს მეთოდი, ფუტის მეთოდი, ბილროთის ოპერაცია, ოლბის ოპერაცია, ჩერნის ოპერაცია, ჰაიმის ოპერაცია და ა. შ.

**4.8. ხელსაწყო-აპარატურის სახელები:**

**ბარანის** სავარძელი: ავსტრიელმა ოტო-რინო-ლარინგოლოგმა **რობერტ ბარანმა** (1876-1936) ვესტიბულური აპარატის გამოსაკვლევად გამოიგონა მბრუნავი სკამი, ე. წ. ბარანის სავარძელი.

**ბილროთის** მომჭერი – სისხლდენის შესაჩერებელი უკბილო, სწორი ან მოხრილი ქირურგიული ინსტრუმენტი,

არსებობს: გოლდმანის ტონომეტრი, ვებერის ფარგალი, კოხე-

რის მომჭერი, პალმერის მილი, რივა-როჩის აპარატი (იგივე სფიგმომანომეტრი, ვერცხლისწყლიანი აპარატები), ჰოფის კორსეტი, ჰოფმანის მაშა, ესმარხის ტოლჩა და სხვ.

#### 4.9. სამკურნალწამლო საშუალებების სახელები:

ბიდერის ნალებიანი ნარევი, ბოგომოლევის შრატი, თურმანიძის მალამო, სარაჯიშვილის მიქსტურა, უზნაძე-მჭედლიშვილის მალამო და უამრავი სხვ.

როგორც ეპონიმთა ზემოთ ჩამოთვლილი ქვეჯგუფები მოწმობს, საზოგადო სახელი მათი მათორგანიზებული და მაკლასიფიცირებელია, რადგანაც ქმნის ტაქსონომიურ ერთეულებს.

#### 5. ეპონიმთა ფუნქციონირება და ენობრივი ადაპტაცია

გარდა აგებულებისა და ნომინაციის საკითხისა, საინტერესოა ტერმინ-ეპონიმთა ადაპტაცია და გამოყენება, რადგან თავს იჩენს უცხოურ საკუთარ სახელთა გადმოცემის მოსაგვარებელი საკითხები: ტრანსლიტერაციის წესების რღვევა (გაორმაგებულ ასოთა გამოყენება, ბგერებისა და ბგერათკომპლექსების არასწორი გადმოტანა), კუმშვა-კვეცისა და ბრუნების წესების დაუცველობა და სხვ.

სამედიცინო ტექსტების გაცნობისას თვალში საცემია რამდენიმე ტიპის დარღვევა.

1. ამოსავალი ენის მიხედვით ორი ერთნაირი თანხმოვნის დაწერა ქართულად;

2. ფუძისეული -ი-ს აღქმა ბრუნვის ნიშნად რუსულ, პოლონურ, იტალიურ, ინგლისურ, ფრანგულ გვარებში. ორკომპონენტთან ეპონიმში შეცდომა მოსალოდნელი არაა, რადგან ნათესაობით ბრუნვაში ის ყოველთვის მართებულად გამოიყენება:

**რუსული ან პოლონური** გვარები: არხანგელსკი (Б. А. Архангельский), ასტრინსკი (С. Д. Астринский), ბაბინსკი (J. F. F. Babinski), ბალახოვსკი (Д. Балаховский), ბელეცკი (В. К. Белецкий), ბისტრიცკი (М. Быстрицкий);

**იტალიური** – ალბინი (G. Albini), ანჯელუჩი (Agelucci), არანჯი (G. Aranzi), არმანი (L. Armani), ასკოლი (A. Ascoli), ბანტი (G. Banti), ბასინი (E. Bassini), ბელინი (L. Bellini), გოლჯი (C. Golgi);

**ინგლისური** – ბადგლი (Badgley), ბაკლი (J. Buckley), ბეილი (C. Bailly), განდი (Ch. Gandy); **ფრანგული**: აბრამი (P. Abrami), არდი (L. Hardy);

**უნგრული** – აუესკი (A. Aujeszky), ბანკი (Z. Banki) და სხვ.

ამ გვარების ცალკე გამოყენებისას მოთხრობითში, მიცემითსა და ვითარებით ბრუნვებში -ი ხმოვნის შენარჩუნება აუცილებელია: გოლჯიმ, ბაკლიმ, ასკოლიმ; გოლჯის, ბაკლის, ასკოლის; გოლჯიდ, ბაკლიდ, ასკოლიდ...

3. საზოგადო სახელებში -ა და -ე ხმოვნები კვეცადია, მაგრამ უცხოურ გვარებში ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში უკვეცელი უნდა იყოს:

**ა:** ალმეიდა, არიას-სტელა, არუგა, ბეზრედკა, გარსია; **ე:** ანდრადე, ბაზე, ბაიარჟე, ბალე, ბარე, ბენიე; **ო:** ანო, არაგაო, აროიო, არტუზიო, ბარბაგალო, ბლო, ბიანკო; **უ:** არნუ, ბარლოუ, ბიგილოუ, ბიულაუ, გაბასტუ.

მაგ., ქართულად ზოგჯერ წერენ ბარლოვის (*Barlow*) დაავადებას, უნდა იყოს **ბარლოუს** (ინგლ. *Barlow's disease; Thomas Barlow (1845–1945)*). სწორია: ბეზრედკას(ი), გარსიას(ი), ბაზეს(ი), ბარეს(ი), არაგოს(ი), ბიანკოს(ი), არნუს(ი), გაბასტუს(ი).

ამოსავალ ენაში თუ ორმაგი თანხმოვანია, ქართულად მხოლოდ ერთი უნდა დაიწეროს. არასწორია: ბელლის დამბლა (Belli), ადდისონის დაავადება (Th. Addison), ბიცოცეროს ფირფიტები (G. Bizzozero), ბრილლის ავადმყოფობა (ამერ. N. Brill), ბრისსოს ავადმყოფობა (ფრანგ. E. Brissaud) და სხვ. უნდა იყოს: ბელი, ბიცოცერო, ადდისონი, ბრილი, ბრისო...

ზოგჯერ უცხოური ენებიდან გვარები გადმოაქვთ ინგლისური წარმოთქმის მიბაძვით; ასევე არასწორია რუსული ორთოგრაფიის გავლენით ყრუ ფშვინვიერი თანხმოვნების (**ფ, ქ, თ, ჰ**) ჩანაცვლება მკვეთრით (**პ, კ, ტ, გ**).

გერმანული **დიფთონგები** არამართებულადაა გადმოტანილი: იყენებენ **ალცჰეიმერს** ან **ალცგეიმერს** ნაცვლად **ალცჰაიმერისა**, რადგან გერმანელი ფსიქიატრისა და ნევროპათოლოგის სახელი და გვარია Alois Alzheimer (1964-1915).

ჰ-ს ნაცვლად გვხვდება **გ:** გემგოლცი, ვერლგოფს, მეიერგოფი, გუნტერ-გურლერი, ვერდნიგ-გოფმანი, უნდა იყოს: **ჰელმჰოლცი** (Hermann von Helmholtz), **ვერლჰოფი** (P. Werlhof), **მაიერჰოფი** Otto Fritz Meyerhof), **ჰუნტერ-ჰურლერის** სინდრომი (C. H. Hunter, G. Hurler), **ვერდნიგ-ჰოფმანის** დაავადება (E. Werdnig, Hoffmann);

**sp** და **st** კომპლექსები გერმანულად იკითხება **შპ**-დ და **შტ**-დ: სპიმანი, ჰირსპრუნგი კი არა, არამედ: **შპემანი** (Hans Spemann), **ჰირ-**

**შპრუნგი** (Hirschsprung), **ქს** და არა **კს**: *მორაკს-აკსენფელდის* ჩხირი (Moraks; Achsenfeld) და არა *მორაკს-აკსენფელდის*;

გერმანული უმლაუტიანი ბგერები: **ბ**, **oe** – ქართულად გადმო-  
დის **ე-თი**, **ü** – **იუ**-თი, **დიფთონგები**: **ei** – **აი**, **eu** – **ოი**. არასწორია: ვეინ-  
ბერგი, გეინე-მედინი, რეიტერი, გერტერ-ჰეიზნერი, კრეიციფელდტი;  
უნდა იყოს: ვაინბერგი (Weinberg), ჰაინე-მედინი (J. Heine, შვედი K.  
Medin), რაიტერი (Hans Reiter 1881-1969), ჰერტერ-ჰოიზნერის (Ch.  
Herter, O. Heubner), კროიციფელდტი (ინგლ. Creutzfeldt Jakob Disease,  
CJD) და სხვ.

ქართულ ენაში ეპონიმთა ორთოგრაფიის დასადგენად გადა-  
მწყვეტია ამოსავალი ენის წარმოთქმა და შესაბამისი ტრანსლიტერა-  
ციის წესების ცოდნა. ქართველ ენათმეცნიერებს შემუშავებული აქვთ  
საკუთარ სახელთა ქართულად გადმოცემის პრინციპები სხვადასხვა  
ენიდან (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, დანიური, ნორვეგიუ-  
ლი, იტალიური, ესპანური, პორტუგალიური, ბერძნული, რუმინუ-  
ლი, პოლონური, შვედური, ჩეხური...) (იხ. კობახიძე...1989, გვ. 4-18),  
თუმცა ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება გადამწყვეტი იყოს ტრადი-  
ციაც.

ერთ-ერთ სამედიცინო ვებგვერდზე ზემოთ აღნიშნული დებუ-  
ლება საკამათოდ და განუხორციელებლად მიიჩნის: „ეს პრინციპი,  
ალბათ, სწორია, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი თეორიულია და რეალურ  
პრაქტიკაში განხორციელება არ უწყერია... დადგენა თითოეული გვა-  
რის სპეციფიკისა მათ მშობლიურ ენაზე არარეალურად რთული და  
ძვირად ღირებული სამუშაოა. ამგვარი რესურსების მოპოვების პერ-  
სპექტივა არა გვგონია არსებობდეს“ (იხ. ინტ. 16).

ტრანსლიტერაციის წესებში გარკვევა სპეციალისტმა უნდა შე-  
ძლოს. ცხადია, არაა ადვილი ყველა საკუთარი სახელის სწორად  
გადმოტანა ქართულში, მაგრამ უნდა დავიცვათ ეს წესები და ბრმად  
არ მივყვეთ გვარების ინგლისურ ან რუსულ დაწერილობას.

## 6. დასკვნები

როგორც ვხედავთ, საკუთარი სახელი ხშირად იქცევა ახალ  
ტერმინთა წარმოების საფუძვლად მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა-  
დასხვა სფეროში. განსაკუთრებით გავრცელებულია ეს ხერხი სამედი-  
ცინო ტერმინოლოგიაში, რაც ტერმინთა ინტერნაციონალიზაციის  
ერთ-ერთი დადასტურებაცაა. ისინი გვხვდება: ანატომიაში, ფიზიო-  
ლოგიაში, ნევროლოგიაში, ფსიქიატრიაში, ქირურგიასა და მედიცი-

ნის სხვა დარგებში.

ეპონიმებში შემავალი გვარების მიხედვით გვხვდება ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, რუსული და სხვა წარმომავლობის გვარები. ამ ტიპის ტერმინთა უმრავლესობა საერთაშორისოა, იშვიათია ქართული ანთროპონიმებით შექმნილი ეპონიმები (მაგ.: თარხნიშვილის რეფლექსი, ვიგურუ-თარხნიშვილ-შარკოს სიმპტომი, აბულაძის ხერხი, სარაჯიშვილის მიქსტურა, თურმანიძის მალამო...).

ეპონიმთა შესწავლისას გასათვალისწინებელია ორი ასპექტი: ერთი მხრივ, მათი სტრუქტურული და სემანტიკური ჯგუფები, მეორე მხრივ, ფუნქციონირება-ადაპტირების საკითხები.

**სტრუქტურის** თვალსაზრისით ეპონიმთა უმეტესობა ორ- და მეტლექსიკურია (არსებობს აფიქსებით ნაწარმოები ერთკომპონენტური ეპონიმებიც), რომელთა შემადგენლობაში ძირითადია **საკუთარი სახელი** – პრიორატივი: მეცნიერის ან ექიმის გვარი, რომელმაც აღმოაჩინა, პირველად შეისწავლა და აღწერა რომელიმე დაავადება; ავადმყოფის გვარი, რომელსაც პირველად დაუდგინდა შესაბამისი დიაგნოზი (ჰარტნაპის დაავადება; ჰე-ლას უჯრედები); ისტორიული პირის ან ხელოვანის გვარი ან სახელი (მაგ., ჰიპოკრატეს სახე, ვოლტერის სახე, სტენდალის სინდრომი, ვან გოგის სინდრომი...), მითოლოგიურ, ბიბლიურ ან ლიტერატურულ გმირთა სახელები (აქილევსის რეფლექსი, ჰერკულესის დაავადება, კლეოპატრას სიმპტომი, იობის სინდრომი, ვერთერის სინდრომი, რობინ ჰუდის სინდრომი, მიუნჰაუზენის სინდრომი...); გეოგრაფიული ადგილის სახელი, სადაც დაავადება გავრცელებულია (ან პირველად გამოვლინდა) (სტოკჰოლმის სინდრომი, პარიზის სინდრომი, იერუსალიმის სინდრომი, იაპონური ენცეფალიტი...) და სხვ.

მაკლასიფიცირებელი საზოგადო სახელის მიხედვით გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი: ორგანოებისა ან მათი ნაწილების, პათოლოგიური კერებისა და ანომალიების, რეაქციებისა და რეფლექსების, სიმპტომებისა და სინდრომების, დაავადების გამომწვევების (ვირუსების ან მიკრობების), სნეულებების, მკურნალობის ხერხებისა და მეთოდების, ხელსაწყო-აპარატურის, სამკურნალო საშუალებების სახელები.

ტერმინ-ეპონიმთა ფუნქციონირების დროს თავს იჩენს ტრანსლიტერაციის ისეთვე პრობლემები, როგორებიც უცხოურ საკუთარ სახელებთან: გაორმაგებული ასოების გამოყენება, ფ, ქ, თ, ჰ-ს ჩანაცვლება პ, კ, ტ, გ-თი, ბგერათკომპლექსებისა და გერმანული დიფთონ-



გების არასწორი გადმოტანა, კუმშვა-კვეცის წესების დარღვევა და სხვა. (მაგ., უნდა იყოს: ალცჰაიმერი, ვაინბერგი, ვერლჰოფი, ჰუნერი, ჰოფმანი, აქსენფელდი, იაფე, ჰისი, რაიტერი, კროიციფელტსი და სხვ.).

ეპონიმთა ორთოგრაფიისთვის გადამწყვეტია საკუთარ სახელთა წარმოთქმის სპეციფიკა ამოსავალ ენაში და ტრანსლიტერაციის წესების დაცვა.

## ლიტერატურა

**დათეშიძე...2010** – დათეშიძე ლ., შენგელია ა., ბაზიაშვილი ვ., კიკნაძე მ., პაპავა თ., დათეშიძე ა., სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარების ისტორია და ძირითადი ტენდენციები, თბილისი

**ვარნავსკაია, 2009** – Варнавская Е. В., Статус и функционирование эпонимов в медицинской терминологии испанского языка, диссертация... кандидата филологических наук, 2009: [www.dissertat.com/content/status-i-funktsionirovanie-eponimov-v-meditsinskoi-terminologii-ispanskogo-yazyka](http://www.dissertat.com/content/status-i-funktsionirovanie-eponimov-v-meditsinskoi-terminologii-ispanskogo-yazyka)

**ზექალაშვილი, 2005** – ზექალაშვილი რ., ქართული ენა და სამედიცინო ტერმინოლოგიის საკითხები (რედ. ლ. კინწურაშვილი), მე-2 გამოცემა, თბილისი.

**თელია, 1977** – Телия В.Н., Языковая номинация: Виды наименований, М.: Наука.

**თელია, 1998** – Телия В.Н. Номинация: Большой энциклопедический словарь, М.: Большая Российская энциклопедия,.

**კაკუზანოვა, 2011** – Какзанова Е. М., Лингвокогнитивные и культурологические особенности научного дискурса: на материале математических и медицинских терминов-эпонимов: диссертация... доктора филологических наук: Москва.

**ლოტე, 1961** – Лотте Д. С., Основы построения научно-технической терминологии, М.: АН СССР.

**დენისოვი...2012** – Денисов С. Д., Пивченко П. Г., Эпонимы в анатомии, Минск.

**სუპერანსკაია, 1990** – Суперанская А.В., Имя – через века и страны, М.: Наука

**უფიმცევა...1977** – А.А. Уфимцева, Э.С. Азнаурова, Е.С. Кубрякова и др., Языковая номинация: (общие вопросы), АН СССР. Ин-т

языкознания; отв. ред. Б.А. Серебренников, А.А. Уфимцева, М.: Наука.

**ჩერნიავსკი, 1984** – Чернявский М.Н., Краткий очерк истории и проблем упорядочения медицинской терминологии: Энциклопедический словарь медицинских терминов: в 3 т., М.: Советская Энциклопедия.

### ლ ე ქ ს ი კ ო ნ ე ბ ი

**აბაშიძე...1973** – აბაშიძე ს., აბაშიძე ლ., რუსულ-ლათინურ-ქართული სამედიცინო განმარტებითი ლექსიკონი (რედ. თ. გონიაშვილი), თბილისი: საბჭოთა საქართველო.

**ბახტაძე...1991** – ბახტაძე გრ., ქისტაური ა., ბახტაძე გ., თერაპიული ლექსიკონი: სინდრომები, სახელობითი სიმპტომები და დაავადებები, თბილისი: საქართველო.

**გოგიჩაძე...2009** – გოგიჩაძე გ., გედენიძე ა., ჭუმბურიძე ჯ., სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური განმარტებითი ლექსიკონი (რედ.: ნოდარ ჭიჭინაძე, ალექსანდრე ქორელი), თბილისი: მერიდიანი.

**ენც. ლექს. 2001** – Энциклопедический словарь медицинских терминов (Гл. ред. В. И. Покровский), 2-е изд., М.: «Медицина»

**კასრაძე, 1999** – კასრაძე მ., ეპონიმები ტრავმატოლოგიასა და ორთოპედიაში (რედ. ჯემალ გოგუაძე), თბილისი.

**კაციტაძე...2001** – კაციტაძე ზ., კაციტაძე გ., სამედიცინო ეპონიმების განმარტებითი ლექსიკონი (სარედ. კოლ.: გურამ ბექაია და სხვ.), თბილისი: მედეა.

**კობახიძე...1989** – უცხოური პირთა სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი (რედ. ა. კობახიძე, მ. ჭაბაშვილი), თბილისი.

**სიმონიშვილი, 1988** – სიმონიშვილი ი., გასტროენტეროლოგიური ეპონიმების მოკლე კლინიკური ცნობარი, თბილისი: საბჭ. საქართველო.

**შავდია, 2005** – შავდია მიხეილ, ეპონიმები ონკოლოგიაში = Eponyms in Oncology (რედ. ილია ბაქრაძე), თბილისი: ფორტუნა.

**ჟყონია...1972** – ჟყონია ე., მენაღარიშვილი მ. (რედ.), მიროტაძე თ., ეპონიმები და ოფთალმოლოგიური სიმპტომ-სინდრომები მხედველობის ორგანოსა და ზოგად დაავადებათა დროს, თბილისი: საბჭოთა საქართველო.

### ინტერნეტრესურსები

- ინტ. 1: <https://de.wiktionary.org/wiki/Eponym>  
ინტ. 2: <https://www.ninds.nih.gov/Disorders/All-Disorders/Sydenham-Chorea-Information-Page>  
ინტ. 3: <http://www.turmanidze.ge/ge/index.php>  
ინტ. 4: <https://www.medgeo.net/2010/05/18/istoria/>  
ინტ. 5: <https://sites.google.com/site/turmanidzismalamo/>  
ინტ. 6: <https://ka.wikipedia.org/wiki>  
ინტ. 7: <http://abuladzebi.ge/dimitri-abuladze/46>  
ინტ. 8: <https://tenmon.ru/1/0379200006716000021.html>  
ინტ.9:[http://meduniver.com/Medical/genetika/sindrom\\_abta\\_letterera\\_sive.html](http://meduniver.com/Medical/genetika/sindrom_abta_letterera_sive.html)  
ინტ. 10: <https://mkurnali.ge/component/encyclopedia/?task=term&id=2836>  
ინტ. 11: <http://malish.info/prochie-eponimy-v-ginekologii.html>  
ინტ. 12: [http://www.primavista.ru/rus/catalog/otkaz\\_ot\\_eponimov](http://www.primavista.ru/rus/catalog/otkaz_ot_eponimov)  
ინტ. 13: <https://biomolecula.ru/articles/bessmertnye-kletki-genrietty-laks>  
ინტ. 14: <http://neonatologia.wap.sh/iklm>  
ინტ. 15: <https://www.nkj.ru/archive/articles/12981/>  
ინტ. 16: <https://www.medgeo.net/2009/08/27/ortography-9/>  
ინტ. 17: <http://medeponim.ru/>  
ინტ. 18: <https://www.applied-research.ru/ru/article/view?id=8101>  
ინტ. 19: <https://mkurnali.ge/component/encyclopedia/?task=term&id=2836>

**Rusudan Zekalashvili**

### **Groups of Medical Term-Eponyms and Their Functioning in Georgian**

#### Summary

A proper name is often turned into a basis for creating new terms in the different scientific or technical fields. This method is especially common in the medical terminology that is one of the signs of the internationalization of terms.

The medical eponyms are English, German, French, Italian, Russian and other surnames but in rare cases they are derived from Georgian anthroponyms, e.g. *turmanidzis malamo* “Turmanidze ointment”, *tarkhnishvilis repleksi* “Tarkhnishvili reflex”, *tarkhnishvilis metodi* “Tarkhnishvili method”, *viguru-tarkhnishvil-shark'os simp't'omi* “Viguru-Tarkhnishvili-Sharko symptom”, *abuladzis kherkhi* “Abuladze’s method”, *q'ipshidzis simp't'omi* “Kipshidze symptom”, *sarajishvilis mikstura* “Sarajishvili mixture”, etc.

Eponyms should be studied according to several aspects, on the one hand, with regard to their structural and semantic groups, on the other hand, the issues of functioning and adaptation.

In terms of the structure there are mono and poly lexical eponyms the main component of which is a proper name: a. A researcher’s or a doctor’s surname who discovered, studied or described a disease; b. A patient’s surname who was first diagnosed a disease (Hartnup disease, HeLa cells); c. A historical person’s or artist’s name or surname (the Hippocratic face, Stendhal syndrome, Van Gogh syndrome), the names of mythological, biblical or literary characters (the Achilles reflex, Job syndrome, Oedipus complex, the Werther effect, Robin Hood syndrome, Munchausen syndrome); d. A geographical name where a disease is prevalent or first discovered (Stockholm syndrome, Paris syndrome, Jerusalem syndrome, Japanese encephalitis) etc.

A common name has a classifying function. We can distinguish several groups: the designations of organs or their parts, types of pathologies and anomalies, reactions and reflexes, symptoms, syndromes, viruses or microbes, diseases, treatment methods, medical equipment and medicines.

With regard to term-eponyms, in the Georgian language, the transliteration of foreign names and surnames is a problem as well, e.g. double letters are used, the letters *p, k, t, h* are changed by the letters *p', k', t', g*, clusters and diphthongs are not transliterated correctly, the rules of syncope and apocope are violated, etc. Considering the pronunciation of proper names in the source language and following the rules of transliteration are crucial for the orthography of eponyms.

## მაკა თეთრაძე

### ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარების გზა

#### საარქივო მასალებისა და პირველი ტერმინოლოგიური ლექსიკონების მიხედვით

აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის პირადი არქივი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის კუთვნილებაა და უამრავ საინტერესო მასალას შეიცავს ქართული ენათმეცნიერების ისტორიის კვლევისათვის. სწორედ ამ არქივში აღმოჩენილი ოქმები გახდა საფუძველი წერილისა, რომელშიც განვიხილავთ ქართული საენათმეცნიერო ტერმინთა ჩამოყალიბების ისტორიის ერთ ღირსაცნობ ფურცელს.

ქართულ საენათმეცნიერო ტერმინთა შექმნასა და დამკვიდრებას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ მხოლოდ მე-20 საუკუნის იმ პერიოდს განვიხილავთ, როდესაც ეს საქმე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისას (1918-1921) სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი ენობრივი პოლიტიკის უშუალო ნაწილი გახდა. ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ერთგვარად ინერციულად გაგრძელდა, რადგანაც საბჭოთა კავშირის ენობრივი პოლიტიკის პირველი პერიოდის კონცეფციას დიდად არ ეწინააღმდეგებოდა (შლამენტოხი და სხვ. 2008: 16-17). ამ პერიოდშიც ენობრივი პოლიტიკა ენის სტანდარტიზაციის საკითხებსა და ტერმინოლოგიის შექმნასაც მოიცავდა.

ცენტრალიზებული პოლიტიკის წარმოება ქართული სალიტერატურო ენის უნიფიკაციისათვის დაიწყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნებასთან ერთად, სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა სასწავლო კომიტეტის მიერ საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც უნდა მოემზადებინა საერთო ყრილობისათვის (იმდროინდელი ტერმინით – კონფერენციისათვის) სალიტერატურო ქართულის ნორმათა შესახებ პროექტები.

კონფერენციის მიზანი გამოქვეყნდა 1920 წლის სახალხო საქმეში; როგორც მასალიდან ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო საერთო სახალხო რეფორმის დასაწყისი: „ყრილობის მიზანია მოსპოს ის სხვა და სხვაო-

ბა, რომელიც დღევანდელს სამწერლო ენას ახასიათებს და მერყევე ფორმათა ნაცვლად შეიმუშავოს და დაამკვიდროს ყველასათვის ერთგვარად სავალდებულო სალიტერატურო ქართულის ნორმები“ (სახალხო საქმე, 1920: 3).

გამოქვეყნდა ასევე ყრილობის შემადგენლობა და საორგანიზაციო კომიტეტის მოვალეობები: ყრილობაზე მოწვეულები იყვნენ: სასწავლო კომიტეტი მთელი შემადგენლობით, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და მწერალთა კავშირიდან ორ-ორი წარმომადგენელი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებიდანაც – თითო-თითო პირი, მასწავლებელთა კავშირიდან კი – 2 წარმომადგენელი.

კომისიის შემადგენლობა ასეთი იყო: აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი, ვუკოლ ბერიძე, სერგი გორგაძე, ასევე დიმიტრი უზნაძე (კეკელიძე 1921: 3). კომისიას უნდა შეეკრიბა სალიტერატურო ენაში არსებული სადავო საკითხები გაზეთებიდან თუ პერიოდული გამოცემებიდან, გარკვეული სისტემით დაელაგებინა და ყრილობისათვის წარედგინა. ასევე, უნდა მოემზადებინა რამდენიმე მოხსენება სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, კერძოდ, ორთოგრაფიის ისტორიაზე, ქართული ენის კილოებზე, საორთოგრაფიო საკითხებზე, კომპოზიტებსა და სხვა. იქვე ჩამოთლილია სადავო საკითხთა ნაწილი ფონეტიკიდან, მორფოლოგიიდან, სინტაქსიდან...

მათვე გათვალისწინებული ჰქონდათ, თუ როგორ უნდა გატარებულიყო ეს რეფორმები ცხოვრებაში: ყრილობის დადგენილებანი გადაეცემოდა სასწავლო კომიტეტს დასამტკიცებლად და საბოლოო სანქციას მისცემდა განათლების სამინისტრო, რომელსაც უნდა გამოექვეყნებინა დადგენილებანი და ყველასათვის სავალდებულო გაეხადა მიღებული ფორმების გამოყენება.

ყრილობა 1920 წის 24 მაისისათვის იყო დაგეგმილი, მაგრამ არ ჩატარებულა. კომისიამ კი 1920 წლის 4 აპრილს დაწყებული მუშაობა გააგრძელა და უკანასკნელი სხდომა 1921 წლის 16 აპრილს ჩაატარა. კომისიამ სულ რამდენიმე ნაშრომის (პროექტის) გამოქვეყნება მოახერხა: 1. აკაკი შანიძის „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ - პროექტი ორთოგრაფიული რეფორმისათვის (1920 წ.); 2. გ. ახვლედიანის „ყრუ mediae ქართულში“ (1920 წ.); 3. კ. კეკელიძის მიერ შედგენილი „სალიტერატურო ქართულისათვის“ პროექტი ქართული ორთოგრაფიის სა-

კითხვების მოსაწესრიგებლად შემუშავებული საორგანიზაციო კომისიის და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ (1921 წ); ხოლო ს. გორგაძის შრომა „ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან (1950-1820)“, რომელიც 1920 წლისთვის უკვე გამოსაცემად მომზადებული იყო, მხოლოდ 1925 წელს დაიბეჭდა, ისიც – არასრულად.

1921 წელს საქართველო საბჭოთა ოკუპაციის მსხვერპლია. თუმცა პირველ წლებში საბჭოთა ხელისუფლება იმგვარადვე განაგრძობდა სახელმწიფო ენაზე ზრუნვას, რასაც 1921-1922 წლებში სახელმწიფო ენის დაცვასთან დაკავშირებული დეკრეტები და ცირკულარებიც მოწმობს (კონსტიტუციური აქტების კრებული 1983).

საერთო ყრილობის საორგანიზაციო კომისიამ 1921 წელს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ დაარსებულ სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში გადაინაცვლა, რომელსაც ტერმინოლოგიური თუ სხვა ენობრივი საკითხების დამუშავება დაევა (ლექსავა, აფრიდონიძე 1991: 66). სწორედ ამ სამეცნიერო საბჭოს მიერ არის ჩამოყალიბებული ტერმინოლოგიის სექცია, რომლის სხდომათა ოქმებიც გ. ახვლედიანის პირად არქივში აღმოვაჩინეთ.

ოქმები სულ 10-ია, მოიცავს პერიოდს 1922 წლის 22 ოქტომბრიდან 1923 წლის 21 იანვრამდე. სხდომათა თავმჯდომარე გ. ახვლედიანია, სხდომას ესწრებიან და შესაბამისად სექციის წევრები არიან: ა. შანიძე, კ. კვეციანი, გ. ნათაძე, დ. უზნაძე, ს. მოსეშვილი.

როგორც პირველივე ოქმიდან ჩანს, სექციის შექმნის საფუძველი სამეცნიერო საბჭოს დადგენილებაა, ხოლო მიზანი – ტერმინოლოგიის განხილვა. სექციამ პირველ რიგში საენათმეცნიერო ტერმინოლოგიაზე მუშაობა გადაწყვიტა.

ოქმებში გადმოცემულია მსჯელობა სხვადასხვა სადავო საკითხზე, მსჯელობის ბოლოს, ოქმებში ასახულია მიღებული და უარყოფილი ფორმების სია ერთმანეთის პარალელურად. მაგ., სამეცნიერო ტერმინად მიჩნეულია *მეტყველება* და უარყოფილია *ლაპარაკი*.

სხდომებზე განხილულ ტერმინთა რაოდენობა 369-ს აღწევს. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ტერმინი სხვადასხვა სხდომაზე არის გამეორებული (მაგ. *დიფტონგი* და *დიფთონგი*).

ტერმინებს ძირითადად ერთვის რუსული ვარიანტი ტერმინის შინაარსის სიცხადისათვის, იშვიათად – გერმანული ან ლათინური, თუმცა ჩანს, რომ სექცია ცდილობს ქართული ვარიანტების დამკვიდ-

რებას, სადაც შესაძლებელია (მაგ. *ლათინური* უარყოფილია, მიღებულია *ლათვიური*).

რიგ შემთხვევაში ტერმინს თან ახლავს კომენტარი, სექციის რომელიმე წევრის განსხვავებული აზრი ამ ტერმინის შესახებ. მაგ., *artikel - წილაკი* – საერთო მიღებული ფორმა და ფრჩხილებში მიწერილი აქვს ს. გორგაძის ვარიანტი – *სქესწილაკი*.

ასევე, ერთ-ერთ სხდომაზე დაადგინეს ტერმინოლოგიის შესახებ მოხსენების წარმოდგენისთვის ჯილდოს დაწესების თაობაზე, 100 ტერმინი ჩაითვალოს ერთ მოხსენებად და მომხსენებელს გამოეყოს თანხაო (ხი. 1430 : 4).

ოქმებში ტერმინები თემატურადაა დალაგებული. გამოვყოფთ ტერმინთა ჯგუფებსა და განვიხილავთ ოქმებში წარმოდგენილი ტერმინების ნაწილს:

1. ენათა და ენათა ჯგუფების დასახელებები/სახელწოდებები:

აქ მიღებული იქნა *ირანული* ენა ნაცვლად *ერანულიისა*, *სომხური* ნაცვლად *არმენულიისა*, *გერმანიკული ენები* ნაცვლად *ნემეცურისა*, *ბალტიკური* ნაცვლად *ბალტიურისა*, ლიტვური ნაცვლად *ლიტავურისა*, *ლათვიური* ნაცვლად *ლათინურისა*; მსჯელობენ ტერმინზე „მშობლიური“ თუ მშობლური, რომელზეც საგანგებო მოხსენების მოზადება დაევალა გ. ახვლედიანს (ხი. 1430: 16).

2. მეორე ჯგუფში გავაერთიანეთ და პირობითად ზოგადენათმეცნიერული ვუწოდეთ შემდეგ ტერმინებს: *კილო* (პარალელურად დიალექტი), *კილოკავი*, *ქვევა* (говоръ), *მეტყველება* (речь) ნაცვლად *ლაპარაკისა*, *სამწერლო*//*სალიტერატურო ენა*; მართებულად მიჩნეულია *გრამატიკული* წესი და არა *საგრამატიკო*; *შინაგანი მეტყველება*, *გარეგანი მეტყველება* და სხვა მრავალი. საკუთრივ ტერმინი *ენათმეცნიერება* უკვე ერთ სიტყვად იწერება განსხვავებით 1918 წლის „ენათმეცნიერების შესავლისა“.

3. ფონეტიკა/ფონოლოგიის ტერმინები:

აღსანიშნავია ტერმინ *ფონოლოგიის* უარყოფა *ფონეტიკის* სასარგებლოდ, როგორც ჩანს, ეს ორი სფერო ცალკე დარგებად არ აღიქმება, ხოლო ის ტერმინები, რომელთაც განიხილავენ სხდომებზე, ძირითადად, მართლაც ფონეტიკას მიეკუთვნება. მაგ.: მიღებულია *მჟღერი* და უარყოფილია *ბოხი* (ბგერა); აქვე ვხვდებით ტერმინებს: *თავკიდური*, *ბოლოკიდური*, *ბგერა*, *ბაგე*, *დისიმილაცია* ანუ *განსხვავება* და უარყოფილია *გამზგავსება*, *ასიმილაცია* ანუ *დამზგავსება* მაგრამ მოგვიანებით უწერიათ *დამზგავსება* *ნაწილობრივი* და *სრული*;



მაღალი ხმოვანი, ენისწვერი, ბგერინაცვალი (ჰ ს ზმნებში), მახვილი, თანხმოვანი ნაცვლად „ზომიერი ხმოვანისა“, ნარნარი ბგერა ნაცვლად მდინარისა, ბგერიცვალემა ნაცვლად ნაცვალმორიგეობისა, ორხმოვანი ანუ დიფთონგი, მეტათეზისი ანუ ბგერათგადასმა; ბგერის წარმოების პირველი და მესამე მომენტის აღსანიშნავად იღებენ ტერმინს აბგლიტი, იქვეა კომენტარი, რომ რადგანაც უცხო ენებში ეს უკვე მიღებული ტერმინია, სექციამ გადაწყვიტა მისი დატოვება ქართულში. ფიქსირებული, უძრავი მახვილის აღსანიშნავად მიღებულია ტერმინი მკვიდრი მახვილი, ხოლო დინამიკური, მოძრავი მახვილი აღინიშნება ტერმინით მერყევი.

#### 4. მორფოლოგიის ტერმინები:

ბრუნვათა აღსანიშნავად ქართულ და ლათინურ სახელებს პარალელურად ტოვებენ: აბლატივი და დაწყებითი, დატივი და მიცემითი და ა.შ.; მაგრამ უარყოფილია ისეთი ფორმები, როგორებიცაა: დატივური, გენეტივური და მისთ.; ურთობითი ბრუნვა ანუ თანხლებითი (casus sociativus – თანაობითი); თანდებითი ბრუნვა (предложный падеж – წინდებულიანი); მიღებულია ბრუნება და ურყოფილია კანკლედობა; საინტერესოა, რომ აგლუტინაციურის აღსანიშნავად იყენებენ ტერმინს – მწებვარე; ნაცვალსახელთა ჯგუფების აღსანიშნავად ჩამოთვლილია: უკუქცევითი, პიროვანი (უარყოფილია პიროვნებითი), მიმართებითი//რელატივი, დამოკიდებითი ნაცვალსახელი; მხოლოდ მრავლობითი (plurale tantum); დაწყებითი და აღმატებითი ხარისხი; იბრუნვის და არა იბრუნება; მიმოხრა უღვლილების მაგიერ; კრებულობითი და არა კრებითი; ადიექტივი ანუ ზედსართავი სახელი; ზმნობრივი ანუ ვერბალური ფორმა; წინარეწარსული (pluquamperfect); ჩასართი//ინფიქსი, სართი//აფიქსი, ვნებითი და თვითვნებითი (ვეჩავგვრინები'ს ტიპის ზმნებიო).

5. სინტაქსის ტერმინებიდან აღსანიშნავია: შეთანხმება, თანაშეხმობილი, მმართველობა, მართვა, მმართველი, მართვადი, შემასმენელი//შესმენილი, ქვემდებარე//სუბიექტი; შერთული წინადადება; პირდაპირი დამატება (სახელობითი და აკუსატივიო.), გვერდითი დამატება (დანარჩენი ბრუნვებიო).

6. სემანტიკისა და პრაგმატიკის ტერმინები: ნაგარემოვეი, გამოცემა, წინასწარგანწყობილება, პირველდასაბამი, გადმოცემა, გამვლენელი, გავლენილი, პირდაპირი თქმა, სხვისმიერი თქმა...

8 პუნქტუაციის ტერმინები: წერტილმძიმე, ორწერტილი, ძახილი, ფრჩხილები, ბრჭყალები...

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ტერმინოლოგიის სექციის სხდომები 1923 წლის თებერვლამდე გაგრძელდა. ამ სხდომების შედეგები სამეცნიერო საბჭოს 1923 წლის 7, 14 და 28 ივნისის კრებებზე განიხილეს და კენჭი უყარეს. ბოლოს, 1923 წელს გამქვეყნდა გ. ახვლედიანის რედაქციით „ჩვენი მეცნიერების“ პირველ ნომერში დანართის სახით. ენათმეცნიერულ ტერმინთა ეს ლექსიკონი გაცილებით ვრცელია და მეტ ერთეულს შეიცავს, ვიდრე გ. ახვლედიანის პირად არქივში შენახული ოქმები; ასევე შესამჩნევია მცირედენი ცვლილებებიც; როგორც ჩანს, საბჭოს სხდომებზე სხვა ვარიანტებიც განიხილეს. მაგ.; ტერმინი *ღრიჭოვანი*, სავარაუდოდ, ეხამუშებათ და 1923 წლის გამოცემაში პარალელურად მიუწერენ *სპირანტს*, რამაც საბოლოოდ ჩაანაცვლა კიდევ *ღრიჭოვანი*; ამავე გამოცემაში ჩანს უფრო მეტი ლათინური ძირის ტერმინი ქართულის პარალელურად, მაგრამ *უღვლილება* ისევ მიღებული ჩანს, *კანკლელობა* კი – უარყოფილი.

აღსანიშნავია, რომ გიორგი ახვლედიანი ამ ტერმინთა ნაწილს უკვე იყენებს თავის პირველ სახელმძღვანელოში „ენათმეცნიერების შესავალი“ (1918 წ.), თუმცა იქაც პარალელურად რამდენიმე ტერმინი გამოიყენება ერთი და იმავე ცნების აღსანიშნავად, ავტორს არც დაწერილობა აქვს გადაწყვეტილი: შეიძლება შეგვხვდეს *წინაენის მიერი* ან *წინაენისმიერი*.

1928 წელს ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის ტერმინოლოგიას გამოსცემს მთავარი სატერმინოლოგიო კომიტეტი, რომელიც 1925 წელს შეიქმნა. ეს უკვე სხვა ისტორიაა, რომელიც ფილიპე მახარაძესთან ერთად ვუკოლ ბერიძესაც უკავშირდება (ვრცლად იხ. ლ. ქაროსანიძე 2014 : 179).

რა თქმა უნდა, ენათმეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნა არ დაწყებულა მე-20 საუკუნეში, თუმცა ზემოთ განხილული ლექსიკონები ნამდვილად იყო ახალი ეტაპი და მიდგომა ქართული მეტაენის შექმნის საქმეში. ზოგი ეს ტერმინი უკვე არსებობდა პირველ ქართულ ზოგადი ენათმეცნიერების სახელმძღვანელოში, ზოგი კი – სექციის მსჯელობის შედეგი ჩანს. ოქმებში განხილული ტერმინების უმრავლესობა შევიდა 1923 წელს გამოცემულ ენათმეცნიერების ტერმინების დანართში, თუმცა 1928 წელს გამოცემულ ლექსიკონში ცვლილებებიც გვაქვს. ძლიერდება ტენდენცია ლათინური ტერმინების ქართულის პარალელურად დამკვიდრებისა, ამავე დროს ამ ლექსიკონში ბევრ საინტერესო ქართულ ტერმინსაც ვხვდებით, რომლებიც დღეს არ გამოიყენება სამეცნიერო დისკურსში.

ჩვენ შევეცადეთ ეს ტერმინოლოგიის ლექსიკონები შეგვედარებინა ერთმანეთისათვის, ასევე, გაგვეთვალისწინებინა ზემოთ გაანალიზებული საარქივო მასალაც. ეს ტერმინები გადავამოწმეთ გ. ახვლედიანის „ენათმეცნიერების შესავალშიც“. ცხრილი #1-ში წარმოვადგენთ რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითს:

ცხრილი 1<sup>1</sup>

1918	ოქმები	1923	1928
თავკიდური, ბოლოკიდური	თავკიდური, ბოლოკიდური (an-auslaut)	<b>ანლაუტი</b> ანუ თავკიდური ბგერა, <b>აუსლაუტი</b> ანუ ბოლოკიდური ბგერა	<b>ანლაუტი</b> ანუ თავკიდური ბგერა, <b>აუსლაუტი</b> ანუ ბოლოკიდური ბგერა
კბილბაგეობითი	კბილბაგისმიერი	კბილბაგისმიერი	<b>ლაბიოდენტალური</b> , კბილბაგისმიერი
ცხვირისმიერობა, ნაზალიზაცია	ცხვირისმიერობა, ნაზალიზაცია	ცხვირისმიერობა, ნაზალობა	ნაზალიზაცია
ხმოსანი სიმები	ხმოსანი სიმები	ხმოსანი სიმები	ხმის სიმები
მერყევი მახვილი	მერყევი მახვილი	მერყევი მახვილი	<b>დინამიკური</b> მახვილი
	მყისთანადი	მყისთანადი, სიმულტანური	მყისთანადი, სიმულტანური, <b>იმავედროული</b>
	თანაშეხმობილი	თანამბგერი	<b>თანამბგერი</b>
დამოკიდებული წინადადება	დამოკიდებითი	დამოკიდებული წინადადება	<b>თანაწინადადება</b> , დამოკიდებული წინადადება
შემწეობითი ზმნა		შემწე ზმნა	
დიფტონგი, დიფთონგი	ორხმოვანი, დიფტონგი	დიფთონგი, წყვილხმოვანა	<b>დიფთონგი</b>

<sup>1</sup> 1918 გულისხმობს გ. ახვლედიანის 1918 წელს გამოცემულ „ენათმეცნიერების შესავალს“; ოქმებში იგულისხმება საარქივო მასალა; 1923 აღნიშნავს ამ წელს გამოცემულ ენათმეცნიერების ტერმინების ლექსიკონ-დანართის მასალას, 1928 კი ამავე წელს გამოქვეყნებულ ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგიის ლექსიკონს (რომელიც 1925 წლის ტერმინოლოგიური კომიტეტის მუშაობის შედეგს წარმოადგენს).

კავშირი (დიფერენცირებული არ არის)		კავშირი კოდინაციისა ანუ შემაერთი	შემაერთი კოდინაციისა
არტიკლი	წილაკი	წილაკი	ართრონი, წილაკი, არტიკლი
არაპირდაპირი ბრუნვა	არასწორი ბრუნვა	არაპირდაპირი ბრუნვა, არასწორი ბრუნვა	არასწორი ბრუნვა

ზოგ შემთხვევაში ტერმინის მნიშვნელობის დადგენა რუსული, გერმანული და ლათინური თარგმანით თუა შესაძლებელი. მაგ., **თანაწევრის** რუსული თარგმანია „второстепенный член“, რაც დღევანდელ საენათმეცნიერო მეტაენაში წინადადების მეორეხარისხოვან, არაპირდაპირად წევრს გულისხმობს. როგორც ვხედავთ, დღევანდელი ტერმინი რუსულიდან პირდაპირი კალკია;

თავსართი პრა- (пра-) ოქმებში ორგვარად არის თარგმნილი: **წინაპარი** (წინაპარი ენა) და **პირველ-** (პირველქართული, პირველრუსული), თუმცა 1923 წელს მხოლოდ **პირველ-** შეიყვანეს პრეფიქსად, ხოლო 1928 წელს **პირველ-**ს ცვლის **წინარ-** (წინარენა, წინარქართული). 1918 წლის ენათმეცნიერების შესავალში გ. ახვლედიანი სინონიმებად იყენებს **წინაპარს** და **პრე-ენას**.

ენათა დასაჯგუფებლად ორი ტერმინი აქვს შემოთავაზებული გიორგი ახვლედიანს. 1924 წლის გამოცემაში გვხვდება: **ენათა მოდგმა** და **ენათა ოჯახები**;

**ენათა მოდგმების** - Sprachstämme-ს პირდაპირი თარგმანი იქნება ენათა შტოები; ეს ტერმინი დღეს გერმანულში აღარ გამოიყენება; რაც შეეხება **ენათა ოჯახებს**, გერმანული თარგმანია Sprachfamilien; ორივე ტერმინს თან ახლავს ჩამონათვალი.

ენათა მოდგმებია: თურქული, თურანული, იაფეტური, ინდოევროპული, მონღოლური, სემური, უნგრულ-ფინური, ქამური; ენათა ოჯახებია: ბალტიკური, ერანული, გერმანიკული, იტალიკური, კელტური, სლავური, რომანული, ქართული; ამ ჩამონათვალიდან ნათლად ჩანს, რომ ტერმინი **„ენათა ოჯახები“** სინამდვილეში აერთიანებს ენათა ჯგუფებს.

1928 წლის გამოცემაში უკვე **ენათა ოჯახი** და **ენათა ჯგუფი** გვხვდება (ჩამონათვალის გარეშე); ამკარაა, „ოჯახს“ მიენიჭა უპირა-

ტესობა „მოდგმასთან“ შედარებით, თუმცა ტერმინი „მოდგმა“ ლექსიკონში მაინც გვხვდება, როგორც „ოჯახის“ სინონიმი.

ამგვარად, 1920-იანი წლების საენათმეცნიერო ტერმინოლოგიური მუშაობა მჭიდროდაა დაკავშირებული გიორგი ახვლედიანთან. იმ პერიოდში გამოცემული თუ სამუშაო მასალის ანალიზი მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის ტერმინოლოგიაზე მომუშავე მეცნიერთა საქმისადმი დამოკიდებულებასა და ტერმინთა სტანდარტიზაციის პროცესზე.

### ლიტერატურა

**ახვლედიანი, 1918** – გ. ახვლედიანი, ენათმეცნიერების შესავალი, ტფილისი, 1918.

**ახვლედიანი, 1949** – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949.

**გორგაძე, 1925** – ს. გორგაძე, ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან, მნათობი, #1 (9), 1925, გვ. 201-206.

**იკე, 1991** – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXX, თბილისი, 1991.

**კეკელიძე, 1921** – კ. კეკელიძე, სალიტერატურო ქართულისთვის, პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადაო საკითხების მოსაწესრიგებლად შემუშავებული საორგანიზაციო კომისია და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ, ტფილისი, 1921.

**ლეჟავა, 2004** – ლ. ლეჟავა, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიიდან (სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიები), ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ტ. XII, თბილისი, 2004, გვ. 5-73.

**ლეჟავა, აფრიდონიძე, 1991** – ლ. ლეჟავა, შ. აფრიდონიძე, ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება, იკე, XXX, 1991, გვ. 66-73.

ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგია, გ. ახვლედიანის რედაქციით, 1928

მასალები საენათმეცნიერო ტერმინთა ლექსიკონისათვის I გიორგი ახვლედიანი, (შემდგენელი მ. ოსაძე), თბილისი, 2010.

საენათმეცნიერო ტერმინოლოგია გ. ახვლედიანის რედაქციით. ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება“, 1923, N 2-3, გვ. 1-16. ცალკე ამონაბეჭდი.

საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული, 1921-1978 (შემდგენელი გრ. ერემოვი), თბილისი, 1983.

სახალხო საქმე, #803, 17 აპრილი, 1920.

**ქაროსანიძე, 2017** – ლ. ქაროსანიძე, ანტიკურ-ბიზანტიური თეორიები ენის შესახებ და ქართული გრამატიკული აზროვნება, თბილისი, 2017.

**ქაროსანიძე, 2014** – ლ. ქაროსანიძე, ტერმინოლოგია \_ ქართული ენის ხვალინდელი დღე, ტერმინოლოგიის საკითხები I, თბილისი, 2014 : 179.

**ღამბაშიძე, 1972** – რ. ღამბაშიძე, ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. I, 1972, გვ. 14-27.

**შანიძე, 1920** – აკ. შანიძე, ორთოგრაფიის რეფორმისათვის, ტფილისი, 1920.

**შლაპენტოხი და სხვ. 2008** – Shlapentokh, V., E. Shiraev, and E. Carroll. 2008. *The Soviet Union: Internal and External Perspectives on Soviet Society*. Palgrave Macmillan.

საარქივო მასალა: გიორგი ახვლედიანის პირადი არქივი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი.

**Maka Tetradze**

**The way of the Development of Georgian Linguistic  
Terminology based on Archival Data and  
First terminological Dictionaries**

Summary

This paper discusses linguistic terminological work performed in the first decade of the Sovietization of Georgia, the starting point for this study being Giorgi Akhvlediani's personal archive stored at the Museum of the Tbilisi State University.

Centralized language policies implemented by the Government of the Democratic Republic of Georgia (1918-1921) implied standardization of the literary language, as well as terminology planning, this process being interrupted by the Bolshevik occupation of the country (1921). The planned conference dedicated to the reformation of the literary language was cancelled, and the organizing commission was moved to a newly established State Scientific Board, where it was named a "terminological section". It took the responsibility of working on terminological and language planning policies. In this paper, I argue that in the first years of the Soviet era, the Board was to a lesser extent controlled by the Government if compared to later periods, although the goal of the policies had changed. The files I have managed to locate in Akhvlediani's archive describe in detail meetings of the aforementioned section. The minutes of the meetings are 10 in total, the period of the meetings covering the time span from 22.09.1922 to 21.01.1923. The members of the Board were G. Akhvlediani, A. Shanidze, K. Kekelidze, G. Natadze, D. Uznadze, and S. Moseshvili. As is well-known, this section did not function for long. In 1925, when the new language policy was launched and supervised by P. Makharadze (Karosanidze 2014: 179), another terminological committee was founded.

There is a list of accepted and rejected linguistic terms which I group in the following way: (a) languages and language groups names, (b) general linguistic terms, (c) phonetic/phonological terms, (d) terms relevant to morphology, (e) terms relevant to syntax, and (f) terms relevant to semantics and lexicography.

These data have also been double-checked against the background of the linguistic terminology dictionaries published in the 1920s, in particular, the appendix of glossary edited by Akhvlediani (1923), which was likely to be a result of the discussion described in the aforementioned minutes, and the bilingual dictionary of linguistic and literature terms (both Russian-Georgian and Georgian-Russian) which saw the light in 1928. It should also be mentioned that some of the terms defined therein had already been used by Akhvlediani in his 1918 “Introduction to Linguistics”.

This paper also features a table which demonstrates the development of the use of particular terms. It has been possible to trace a tendency to use, beside Georgian terms, their Latin counterparts that came into force and sometimes became privileged (cf. e.g. *merq'evi maxvili* ‘erratic stress’ vs. *dinamik'uri maxvili* ‘dynamic stress’). In the pertinent publications, a number of such terms has been detected which were later on rejected by Georgian linguists and are not in use nowadays. These terms evidently have a historical value.

Furthermore, this paper provides an analysis of the development of particular terms, e.g. the prefix *p'ra-* (cf. Russian *ппа-*) being translated into Georgian as *c'inaṗ'ar-* ‘arch-’ (as in e.g. *c'inaṗari ena* ‘proto-language’) and *p'irveṭ-* ‘first’ (as in e.g. *p'irvelkartul-* ‘Early Georgian’, *p'irvelrusul-* ‘Early Russian’) in the minutes; in 1923, the prefixal part *p'irveṭ-* was chosen for the dictionary, but in 1928 it was substituted by *c'inar-* ‘pre-’ (*c'inarkartuli* ‘Pre-Georgian’, *c'inarena* ‘pre-language’) in the dictionary.

The analysis of these and similar examples provides an attempt to demonstrate Georgian linguists’ methods and attitudes to terminological work and the process of language standardization in the 1920s.



მადონა კოპალიეშვილი, ნელი მახვილაძე,  
ემა პავლოვიჩი, ირინე ბედინაშვილი

### სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკის სტანდარტიზაციის მდგომარეობა საქართველოში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნიფორმის ინსტიტუტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქო-ბავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთობლივი ძალისხმევით ქართულ ენაზე ითარგმნა და მცირე ტირაჟით გამოიცა **სამეცნიერო პუბლიკაციების საერთაშორისო ბაზების კლასიფიკატორები**. მასში განხილულია სამეცნიერო პუბლიკაციების მსოფლიოში აღიარებული რამდენიმე საერთაშორისო ბაზის (Web of Science – WoS, Scopus, Essential Science Indicatoris – ESI, OECD) საკლასიფიკაციო სქემები, თემატური რუბრიკების ჰარმონიზაციის საკითხები, შედგენილია კლასიფიკატორებში გამოყენებულ სამეცნიერო ტერმინთა ინგლისურ-ქართული ლექსიკონი (მახვილაძე..., 2017).

გამოცემაზე მუშაობისას გამოიკვეთა ის სირთულეები, რომლებიც თან ახლავს სამეცნიერო-ტექნიკური ქართულენოვანი ტერმინოლოგიის შექმნასა და დამკვიდრებას, მით უმეტეს, მაშინ, როცა ამ საქმიანობას არ არეგულირებს არცერთი სახელმწიფო უწყება.

უნივერსალური (მრავალთემატური) და სპეციალური (თემატური) სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინების სტანდარტიზაციის საკითხებზე მუშაობს რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია და კომისია. ამათგან მნიშვნელოვანია იუნესკოს ტერმინოლოგიის საინფორმაციო ცენტრი INFOTERM-ი, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ISO, სამედიცინო ტერმინთა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია IHTSDO და სხვ.

ეროვნული ტერმინოლოგიური პოლიტიკის ჩამოყალიბებული სისტემა ფუნქციონირებს მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებშიც წლების განმავლობაში სხვა, არაეროვნული ენა იყო დომინანტური (მაგ., შვედეთი). ამ ქვეყნებში მოქმედი სახელმწიფო ენის აქტი საფუძველს უყრის და განსაზღვრავს ენობრივი პოლიტიკის პრინციპებს, რომელთა ერთ-ერთი სპეციალური ნაწილია ტერმინოლოგიის საკითხი (თეთრაძე, 2016: 81-92).

სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნისა და უნიფიცირების მიზნით სპეციალური უწყებებია შექმნილი ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალ ქვეყანაში, მათ შორისაა ლიტვური ენის სახელმწიფო კომისია, ლატვიის, მოლდოვას, ბელორუსიის, ყაზახეთის, ყირგიზეთის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიებთან არსებული ტერმინოლოგიური კომისიები. ამ ქვეყნებში ფუნქციონებს ათეულობით დარგობრივი ტერმინოლოგიური ცენტრი.

ტერმინოლოგიის ეროვნული ცენტრების მუშაობა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით მიმდინარეობს:

- სამთავრობო უწყებებისა და კერძო ორგანიზაციების ტერმინოლოგიური მომსახურება;
- ტერმინოლოგიური პროდუქციის (გლოსარიუმები, მონაცემთა ბაზები, კომპაქტდისკები) შექმნა;
- ეროვნულ ენაზე სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის შემუშავებისა და მოწესრიგების მეთოდური სახელმძღვანელოების შექმნა და დანერგვა;
- ტერმინოლოგიური ინფორმაციის შეგროვება და გადამუშავება;
- ტერმინთშემოქმედების საკითხებზე ლექციების, სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება;
- სხვა ენების ტერმინოლოგიის ინსტიტუტებთან თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;
- მონაწილეობის მიღება ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციის საქმეში;
- ტერმინოლოგიური ინფრასტრუქტურის დახვეწა, გაფართოება;
- ეროვნულ ენაზე ტერმინთა ბანკის შექმნა.

ტერმინოლოგიის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციები აუცილებლად შესასრულებელია სახელმწიფოს ყველა ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მიერ.

ტერმინოლოგიური ცენტრის ფუნქციებს ადასრულებს უმაღლესი სამთავრობო ორგანიზაციები. მაგალითად, ლატვიაში ამ მიზნით ჩატარდა რიგი ღონისძიებები:

- მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა ძირითადი სახელმწიფო ენის სერტიფიცირების კომისია, რომელმაც წარმართა ატესტაციის პროცესი ლატვიაში;

- მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა სახელმწიფო ენის ინსპექცია, რომელიც აკონტროლებდა ენის კანონმდებლობას 2000 წლიდან სახელმწიფო ენის კანონისა და შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობის ამოქმედების შემდეგ;
- მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა პლენარული კომისია, რომელმაც ხელი შეუწყო ლატვიის კულტურული გარემოს სათანადო ადგილების ისტორიულად სწორი დასახელებების შენარჩუნებას, აღდგენასა და ზუსტ გამოყენებას;
- 2000 წლიდან ლატვიური ენის საექსპერტო კომისიაში შეიქმნა ადგილობრივი დასახელებების ქვეკომიტეტი;
- შეიქმნა ლატვიური ენის საექსპერტო კომიტეტი ლატვიის სალიტერატურო ენის შესწავლის, სტანდარტიზაციის, სახელმწიფო ენის განვითარებისა და ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ საქართველოში:

საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ და საქართველოს ტერმინოლოგიური პოლიტიკა ვრცლადაა განხილული ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამოცემაში „ტერმინოლოგიის საკითხები“ (არაბული, 2016: 5-18). ეს კანონი, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია 2015 წლის 22 ივლისს (#4084-რს), ითვალისწინებს ენობრივი ნორმებისა და ტერმინოლოგიური სტანდარტების მოწესრიგებას. კანონის თანახმად, 2016 წლის 1 თებერვლამდე უნდა შექმნილიყო სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, ხოლო 2016 წლის 14 აპრილამდე დამტკიცებულიყო სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმები და ტერმინოლოგიური სტანდარტები. სამწუხაროდ, არცერთი ამ დოკუმენტთაგანი არ მიიღეს, ხოლო შეტანილი ცვლილებებით (23.03.2017) ყოველგვარი განმარტების გარეშე კანონის ამოქმედება გადაიდო 2017 წლის 1 ოქტომბრამდე. 2017 წლის ბოლოს ხსენებული კანონი უკვე შევიდა ძალაში და შეიქმნა სახელმწიფო ენის დეპარტამენტი.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 დეკემბრის დადგენილებით (#540) დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დებულება, რომლის თანახმად მას ევალება ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენა და და-

მკვიდრება. დებულების ყველა მუხლი ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან.

სახელმწიფო ენის განვითარებისა და ტერმინოლოგიური ლექსიკის ჩამოყალიბებისადმი ამგვარი მიდგომის შედეგად მივიღეთ ოფიციალურ დოკუმენტებსა და სამეცნიერო პუბლიკაციებში გამოყენებულ ტერმინთა მიმართ დაუდევარი მოპყრობა – ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვის სხვადასხვა ტერმინით დამკვიდრების მცდელობა. ამის მაგალითები უხვად მოიპოვება საქართველოს საკანონმდებლო-ნორმატულ დოკუმენტებში, სამეცნიერო ჟურნალებში, სასკოლო სახელმძღვანელოებში, დარგობრივ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში.

ქვემოთ მოცემულია ერთთსა და იმავე დოკუმენტში, კერძოდ, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სამეცნიერო დარგების კლასიფიკატორში (FOS) გამოყენებული ტერმინების ქართულენოვანი ვერსიები, რომლებიც გამოქვეყნებულია საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის გვერდზე და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოცემაში „სამეცნიერო პუბლიკაციების საერთაშორისო ბაზების კლასიფიკატორები“:

კოდი	OECD Field of Science & Technology	საქართველოს შ. რუსთაველის ეროვნული ფონდის	სამეცნიერო პუბლიკაციების საერთაშორისო ბაზების კლასიფიკატორები
1.5.	Earth & related environmental sciences	დედამიწის და მათთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემოთმცოდნეობა
	Climatic research	კლიმატოლოგია	კლიმატის კვლევა
2.1.	Civil engineering	სამოქალაქო ინჟინერია	სამოქალაქო მშენებლობა
2.2.	Electrical engineering, electronic engineering, information engineering	ელექტროინჟინერია, ელექტრონული ინჟინერია, საინფორმაციო ინჟინერია	ელექტროტექნიკა, ელექტრონიკა, საინფორმაციო სისტემების ინჟინერია
2.3.	Aerospace engineering	საავიაციო ინჟინერია	ავიაკოსმოსური ინჟინერია

2.5. Materials engineering Coating & films	მასალათა ტექნოლოგია დაფარვა და დასაფერი გარსები	მასალათმცოდნეობა საფარი მასალები და აფ- სკები
2.6. Medical engineering	სამედიცინო ტექნოლოგია	სამედიცინო ტექნიკა
2.1.0 Nano-materials (production & properties)	ნანო-მასალები (პროდუქ- ცია და მახასიათებლები)	ნანომასალები (წარმოება და თვისებები)
3.2. Critical care medicine & emergency medicine	კრიტიკული და გადაუდებელი მედიცინა	კრიზისულ მდგომარეობათა მედიცინა და გადაუდებელი მედიცინა
3.3. Nursing Nutrition, dietetics	ავადმყოფის მოვლა კვება და დიეტეტიკა	საექთნო საქმე კვება, დიეტოლოგია
3.4. Medical biotechnology related ethics	ეთიკასთან დაკავშირებული სამედიცინო ბიოტექნოლოგიები	სამედიცინო ბიოტექნოლოგიების ეთიკა
4.1. Fishery	მეთევზეობა	თევზჭერა
5.6. Organisation theory	ორგანიზაციული თეორია	ორგანიზების თეორია
5.8. Library science	საბიბლიოთეკო მეცნიერება	ბიბლიოთეკათმცოდნეობა
6.2. General language studies Specific literatures	ენების ზოგადი კვლევები ცალკეული ქვეყნების ლიტერატურა	ზოგადი ენათმეცნიერება ცალკეული ლიტერატურული მიმდინარეობები

მოყვანილი მაგალითები ასახავს იმ ტერმინოლოგიურ განსხვავებებს, რომლებიც უხვადაა ამ დოკუმენტის ყველა მეცნიერული მიმართულების ქართულენოვან ვერსიებში. ზოგ შემთხვევაში ეს ვერსიები სინონიმური მნიშვნელობისა, ზოგჯერ კი (მაგ., **ცალკეული ქვეყნების ლიტერატურა და ცალკეული ლიტერატურული მიმდინარეობები**) ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ აზრს გამოხატავს. განსაკუთრებით საინტერესოა სიტყვა **ინჟინერიის** გამოყენება სხვადასხვა მნიშვნელობით, რომლებიც შეიძლება შეესაბამებოდეს ტერმინებს: **ტექნიკა, ტექნოლოგია, ინჟინერია** ან სხვ.

უადრესად რთულია დარგობრივი ტერმინოლოგიური პროდუქციის შექმნაც, სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (FAO) შეთანხმებით ტექნიკურ ფორმში იქმნება მრავ-

ვალენოვანი თეზაურუსის AGROVOC<sup>9</sup>-ის ქართულენოვანი ვერსია, რომელიც 40 ათასზე მეტ ტერმინს შეიცავს, ძირითადად ინგლისურ ენაზე. AGROVOC-ის საკვანძო სიტყვების დახმარებით ხდება ძიება ადგილობრივ და საერთაშორისო სისტემებსა და მონაცემთა ბაზებში. AGROVOC-ი სულ შეიცავს ტერმინებს 29 ენაზე, დღეისათვის განთავსებულია 3000 ქართული ტერმინი. გარდა სპეციფიკური დარგობრივი ტერმინების დადგენისა, საჭირო ხდება ქვეყნების, ქალაქების, უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციების დასახელებების ქართულ ენაზე განთავსება ამ თეზაურუსში, რაც ოფიციალურად დადგენილი ტერმინის არსებობის გარეშე შეუძლებელია.

ქართულ ენაზე არსებობს ორიგინალური და სხვადასხვა ენიდან თარგმნილი ზოგადი და დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიური გამოცემა, ზოგი მათგანი განთავსებულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია მომხმარებლისათვის. ელექტრონული გამოცემებიდან აღსანიშნავია ტექნიკური ტერმინოლოგიის ინგლისურ-ქართულ ლექსიკონი (18 ათასი სიტყვა), ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ლექსიკონი (23000 ტერმინი), მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი (18560 ტერმინი), ღვინის ლექსიკონი (ქართული, განმარტებითი) და სხვ.

დარგობრივი ტერმინოლოგიური გამოცემების შექმნაზე საქართველოში მუშაობს შესაბამისი კვლევითი ინსტიტუტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საწარმოები, ფირმები, თუმცა სათუთა ამ პროდუქციის ხარისხიანობა ტერმინების სტანდარტულობის, ასახვის სისრულის, განახლების თვალსაზრისით. გარდა ამისა, რაც მთავარია, ტერმინოლოგიური საქმიანობა ხდება სრულიად ქაოსურად, ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე. სახელმწიფო რეგულაციის პირობებში ტერმინთშემოქმედებამ უნდა შეიძინოს კუთვნილი მნიშვნელობა, სხვა მასშტაბები, ყურადღება და კონტროლი ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან. ამის მაგალითი ბევრია ტექნიკურად განვითარებულ მცირე ქვეყნებში, საჭიროა მათი გამოცდილების შესწავლა-გაზიარება.

## ლიტერატურა

**არაბული, 2016** – ა. არაბული, ტერმინოლოგიური პოლიტიკა და კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. *ტერმინოლოგიის საკითხები*, ტ. II.

**თეთრაძე, 2016** – მ. თეთრაძე, შვედეთის ტერმინოლოგიური პოლიტიკა და ენობრივი დაგეგმარება. *ტერმინოლოგიის საკითხები*, ტ. II.

**მახვილაძე..., 2017** – ნ. მახვილაძე, მ. კოპალეიშვილი, ლ. ჩოხანიანი, თ. ჩუბინიშვილი, ი. ბედინაშვილი, ე. პავლოვიჩი, სამეცნიერო პუბლიკაციების საერთაშორისო ბაზების კლასიფიკატორები.

INFOTERM – International Information Centre for Terminology (Infoterm) <https://www.iso.org/organization/2973.html>

International Organization for Standardization: ISO. <https://www.iso.org/>

International Health Terminology Standards Development Organisation (IHTSDO).

[https://en.wikipedia.org/wiki/International\\_Health\\_Terminology\\_Standards\\_Development\\_Organisation](https://en.wikipedia.org/wiki/International_Health_Terminology_Standards_Development_Organisation)

„სახელმწიფო ენის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3615786>

კლასიფიკატორი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. <http://www.rustaveli.org.ge/page/1016>

<http://artemide.art.uniroma2.it.8081/agrovoc/agrovoc/en>

ტექნიკური ტერმინოლოგიის ინგლისურ-ქართულ ლექსიკონი. <http://techdict.ge/ka>

ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ლექსიკონი. <http://bio.dict.ge/ka>

მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი (18560 ტერმინი). <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=15>

<http://ice.ge/of/>

ღვინის ლექსიკონი (ქართული, განმარტებითი). <http://www.marani.co/?site-lang=ka&site-path=useful/glossary/>

**Madona Kopaleishvili, Neli Makhviladze,  
Ema Pavlovich, Irine Bedinashvili**

### **The Condition of Standardization of Scientific-Technical Vocabulary in Georgia**

#### Summary

“The Classification Code of International Bases of Scientific Publications” was translated and published in a limited edition by the Institute Techniform at Georgian Technical University and Arn. Chikobava Institute of Linguistics at the Georgian National Academy of Sciences. When working on the publication the difficulties of creating and establishing Georgian scientific-technical terminology became apparent, especially when these activities are not regulated by any state agencies.

Several international organizations and commissions are working on the issues of standardization of scientific-technical terminology. Among them the UNESCO Information Centre of Terminology INFOTERM (founded in Vienna, 1971) is very important. The Organization of International Standardization ISO is working on developing standards of the scientific terminology.

As a result of the wrong approach to the development of the state language and the creation of the terminological vocabulary we have adopted an unprofessional attitude towards the terminology used in official documents and scientific literature – the attempt to establish one and the same concept with different terms. There are a number of such examples in the Georgian legislative-normative documents, scientific journals, school textbooks and specialized dictionaries.

The paper deals with the terminological differences that are found in the classification code of the scientific fields of the Organisation for Economic Co-operation and Development on the website of Shota Rustaveli National Science Foundation and the Georgian versions of the publications by Georgian Technical University. In some cases, this



difference is synonymous and sometimes it expresses quite different meanings.

In Georgia various research institutions, non-government organizations and firms are working on the terminological publications, however, the quality of this products in terms of the standardization, completeness and redevelopment of the terms is disputable. In addition, most importantly, the terminological work is being conducted chaotically, without any responsibilities. Under the terms of state regulations, the creation of terminology will be given its own value, importance, attention and will be controlled by the country's authorities. Technically developed small countries have the relevant experience and it is necessary to study and share it.

## მაკა ლაბარტყავა

### მწერლური ნეოლოგიზმებისათვის

ყოველი ახალი მოვლენა, ახალი საგანი, ცხოვრების ახალი ფორმა ენაში ახალი სიტყვების გაჩენის მიზეზია, რაც ხელს უწყობს ნეოლოგიზმების წარმოშობას. შესაძლებელია ეს ახალი სიტყვა თვით ამავე ენის საფუძველზე იყოს წარმოქმნილი, შეიძლება შემოსული იყოს რომელიმე სხვა ენიდან. ნეოლოგიზმების მნიშვნელოვანი ნაწილი იქმნება მშობლიური ენის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობების გამოყენებით. ცნობილია, რომ მწერლებს არაერთი ახალი სიტყვა დაუშვკვიდრებიათ ენაში. ნეოლოგიზმთა ნაწილი ძირითად ლექსიკურ ფონდში რჩება, ნაწილი კი, ერთხელ გამოყენებული, იქცევა ოკაზიონალიზმებად. უცხო სიტყვათა ლექსიკონში ვკითხულობთ: „**ოკაზიონალური** – „შემთხვევითი“, ლინგვ. სიტყვის უჩვეულო მნიშვნელობა; ისეთი, რომელსაც ინდივიდუალური ხასიათი აქვს, რომელსაც იყენებენ გარკვეულ შემთხვევაში, კონტექსტებში“. ოკაზიონალიზმები ენის ლექსიკური ფონდის ყველაზე დინამიკური ნაწილია. ისინი წარმოიქმნებიან კომუნიკაციის პროცესში, მეყსეულად, ცნების შესატყვისი სალექსიკონო ერთეულის შესაქმნელად ან მას გამიზნულად ქმნიან მწერლები და პოეტები ხატოვნების ამალღების, ემოციურობის გაზრდის, მაქსიმალური სიზუსტის მიღწევის და სუბიექტური აზრის გამოხატვის მიზნით. ყველაზე დიდი როლი ნეოლოგიზმების შექმნაში ითამაშა მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებმა და ტექნოლოგიის სწრაფმა განვითარებამ, რამაც ასახვა პოვა თანამედროვე ქართულ მწერლობაშიც. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ „ნეოლოგიზმები არის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მოცემულ ენაში გაჩნდა, არაუადრეს, ბოლო ათწლეულისა და მოლაპარაკეთა მიერ აღიქმება, როგორც ახალი“. ამდენად, უცხო ენიდან, განსაკუთრებით ინგლისური ენიდან, ქართულ ენაში შემოიჭრა უამრავი ნეოლოგიზმი. ნეოლოგიზმია სიტყვა **ბილბორდი** (billboard), რომელიც დიდი ზომის გარეთა რეკლამას ნიშნავს და ამ ფორმით ხშირად დასტურდება რადიო-ტელევიზიისა და პრესის ენაში. მაგ.: „ძლიერმა ქარმა, რუსთავში მეგობრობისა და შარტავას გამზირის გადაკვეთაზე, შუაგამყოფ ზოლზე, სარეკლამო **ბილბორდი** მოგლიჯა“; „ვლადიკავკაზში საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონის, ვლადიმერ ხინჩგაშვილის,

**ბილბორდი** გამოფინეს“; „**ბილბორდის** სურათს საფუძვლად უდევს საქართველოს რუკა, რომელზეც ასახულია საქართველოს. სილამაზე და ლანდშაპტური მრავალფეროვნება“... ასევე ნეოლოგიზმია – **ბლოკ-ბასტერი** (blochbuster), რომელიც ნიშნავს წარმატებულ ფილმს. მაგალიტები: „მსოფლიო ეკრანებზე შონ პენის მონაწილეობით ახალი **ბლოკბასტერი** გამოდის, „მსროლელი“ ასე ჰქვია სურათს...“, ამერიკული კინოაკადემიის რჩეული ფილმებია ორი კინოთეატრის **ბლოკბასტერი** – „ამერიკული თაღლითობა“ და „გრავიტაცია“, „ის გაიყიდა 4 მილიონ ეგზემპლარად, ხოლო მის მიხედვით ჰოლივუდმა ფანტასტიკური **ბლოკბასტერი** გადაიღო“...

**ვორქშოპი** (workshop), ნიშნავს სამუშაო შეხვედარას. სიტყვა **ვორქშოპის** შემცველი უამრავი მაგალითი დასტურდება პრესის ფურცლებზე. მაგალიტები: „სახეთა თეატრი“ – თეატრალური მიდგომების საფუძველზე აგებული უნიკალური **ვორქშოპი** თბილისში“, კონფერენციის მეორე დღეს გაიმართა სემინარი, ეგრეთ წოდებული „**ვორქშოპი**“, ეროვნული ცენტრში ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს მიერ ორგანიზებული გენდერული საკითხებისადმი მიძღვნილი ერთდღიანი **ვორქშოპი** ჩატარდა“...

ნეოლოგიზმია ასევე სიტყვა **კვიზი** (quizi), რაც ნიშნავს მოკლე ტესტს. ინტერნეტგვერდზე ვკითხულობთ: „თითო წერიტი **კვიზი** შეფასდება 1 ქულით“, „**კვიზი** შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მათეკლასში, „სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის“ ახსნისა და შეჯამებისათვის“, ყოველ ლექციაზე ვწერთ **კვიზს**, 36 ქულა გვაქვს მარტო კვიზებიდან“ და მრავალი სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ წინასწარ განჭვრეტა რთულია იმისა, თუ რომელი სიტყვა დარჩება ქართული ენის ლექსიკურ ფონდში და რომელს მიენიჭება ბარბარიზმის კვალიფიკაცია.

ალექსანდრე დლონტი აღნიშნავს, რომ „სიტყვათა ძირების დახმარებით შესაძლებელია ნეოლოგიზმთა წარმოება უსაზღვროდ. ამისათვის კი შესანიშნავ საარბიელს წარმოადგენს როგორც მხატვრული ლიტერატურა, ისე სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნისა და გაუმჯობესების საჭიროება (დლონტი 1988: 149).

თანამედროვე პოეზიაში ხშირია ქართული ენის მარაგის გამოყენებით მიღებული ოკაზიური ფორმები. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის მიერ შემოღებული სიტყვებია: **ეროვნება, მოხელე, მიმართულება, შინაარსი, აგებულება...** გ. ლეონიძესთან გვხვდება- **გულდამერცხლებული, ოქროხმოვანი...** მაგ.: „გკითხულობენ და გმღერაიან ლხენით გულდამერცხლებული...“; ან კიდევ- „შენ ხმალის ღარზე ეწერა ან-

დერძი **ოქროხმოვანი...**“ მ. მაჭავარიანთან დასტურდება - **მიწერტილდება ...** მაგ., „ახლა კი რადგან შორს ვიხედები, – ამიტომ ფიქრი **მიწერტილდება ...**“ და მრავალი სხვა...

თანამედროვე პოეზიაში ავტორისეული, ინდივიდუალური „ახალი სიტყვა“ ყოველთვის საინტერესოა. ჯემალ აჯიაშვილის პოეზიაში ვკითხულობთ: „და ბოროტებას **ვესასთუმლები**; და სათვისტომოს **ვევარგისები**“; „და სასოების საკურთხეველზე **გესანთლება** და **გესაკმეველება**“; „მიჰქრის ნათლის ფრთე, **მიიფრთოსნება**, ხმას ზესკნელისკნელ **მიაფრთამალებს**“; „ზვარს მეუფისას **შეემტევენები**“; „და შემოდგომის ფერისცვალება ველებს მორთავს და **მოავენახებს**“ და ა.შ. (ჯემალ აჯიაშვილი <http://www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2013&art=87>). რატი ამადლობელთან ვკითხულობთ:

„არა, როგორმე ავიტან,  
მხრით გოლგოთაზე ავიტან  
დღეებს, რომელიც სვე-ბედმა

**გამი-წვიმ-ავდარ-ამინდა**“ (რატი ამადლობელი)...

როგორც ვხედავთ – **ვესასთუმლები, ვევარგისები, გესანთლება, გესაკმეველება, შეემტევენები, მიაფრთამალებს, მოავენახებს, გამი-წვიმ-ავდარ-ამინდა** მწერლისეულ ნეოლოგიზმებს ქმნიან...

ქართველ მწერალთა შემოქმედებაში გვხვდება უცხო ენიდან შემოსული პრეფიქსისა – „**სუპერ**“ და ქართული სიტყვის (მოხუცი, აჩრდილი) შეერთებით მიღებული ნეოლოგიზმები – **სუპერმოხუცი, სუპერაჩრდილი**. მაგ.: „იფ, რა მოხუცია? **სუპერმოხუცი**“ (აკა მორჩილაძე, 2010: 187); „ჩემს წინ იჯდა და უცებ ვიფიქრე, რომ იმ წყეულმა **სუპერაჩრდილმა**, ჟენი ფონ ვესტფალენის ქმარმა სწორედ ამ ავ და უცნაურ სარდლად აქცია სემი“ (აკა მორჩილაძე, 2010: 159)... როგორც ცნობილია, სიტყვა **სუპერი** (super) ინგლისური ენიდანაა შემოსული, ის სხვა ფუძესთან შეერთებით ქმნის ახალ სიტყვა – კომპოზიტს, მწერლისეულ ნეოლოგიზმს; ასევე დადასტურდება უცხო ენიდან შემოსული სიტყვების შეერთებით, კომპოზიციის გზით მიღებული ნეოლოგიზმები: **ფსევდოინტელექტუალი, ლანჩბოქსი** და მრავალი სხვა ამ ტიპისა – „ისევე, როგორც ყველა **ფსევდოინტელექტუალი**, ნინაც ათასგვარ გაუგებარ წიგნს კითხულობდა“ (ანა სამადაშვილი-კორძაია. 2012: 132); **ფსევდო** ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ტყუილს, სიცრუეს, **ინტელექტუალი** კი არის ინტელექტთან დაკავშირებული, გონებრივი, აზროვნებითი. ცალ-ცალკე ეს სიტყვები ნეოლოგიზმები არ არიან, თუმცა, როგორც კომპოზიტი, უთუოდ ახალი სიტყვაა, მწერლისეუ-

ლი ნეოლოგიზმი, იგივე ითქმის სიტყვაზე **ლანჩბოქსი**, რომელიც განიმარტება, როგორც საუზმის სატარებელი ყუთი (აკა მორჩილაძე, 2010: 158)... ცალკე სიტყვა **ლანჩი** ნიშნავს საუზმეს, ხოლო **ბოქსი** კი – ყუთს, როგორც კომპოზიტი ეს სიტყვაც ნეოლოგიზმია. ავტორისეული ნეოლოგიზმები ყოველთვის საინტერესოა, თუმცა დასახელებულ ლექსიკურ ერთეულთაგან, რა თქმა უნდა, დასადგენია, რომელი დარჩება ქართული ენის ლექსიკურ ფონდში და რომელი აიკრძალება, როგორც ბარბარიზმი.

ენის ნორმიდან შემთხვევითი თუ შეგნებული გადახვევა ნეოლოგიზმების შექმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. სიტყვის არასწორი ფორმის ან ბარბარიზმის ხშირი ხმარების გამო ეს ლექსიკური ერთეულები ნეოლოგიურ ელფერს იძენს და ენაში ამგვარად მკვიდრდება, რამაც თანამედროვე ქართულ მწერლობაშიც პოვა ასახვა. მაგ., „ილიკო მკვირცხლად, **ავთენტური** გერმანულით გაესაუბრა“, როგორც ცნობილია, **ავთენტური** არის „თვითმყოფი, ნამდვილი, სარწმუნო, პირველწყაროზე დამყარებული, დედაენის შესაბამისი“. სიტყვა **ავთენტური** შესულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, რითაც ქართული ენის ლექსიკურ ფონდში დაიმკვიდრა თავისი ადგილი, რასაც ვერ ვიტყვით ქვემოთ მოყვანილ სიტყვებზე. მაგ., „მეტეც, მძიმეებიც არ უნდა დაესვა მისთვის გაგზავნილ **მესიჯებში**“ (ბულაძე, 2009:68), **მესიჯს** შესაბამება ქართული სიტყვა **შეტყობინება**. ამდენად, ის ვერ დაიმკვიდრებს ადგილს ქართულში, როგორც ნეოლოგიზმი. ასევე – „შეხედე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ უგონოდ მთვრალი იყო. **რესეფშენის** კაციც იქვე იდგა“ (ბულაძე 2009: 65), **რესეფშენი** ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს **მიღებას**. ამ შემთხვევაშიც **რესეფშენი** უნდა წარმოვადგინოთ შესაბამისი ქართული ლექსიკური ერთეულით. განვიხილოთ სხვა შემთხვევებიც. მაგ., „შენო, რაო, **რეფიუჯი** ხარო?... **რეფიუჯი** არიან კარგი ბიჭებიც“ (მორჩილაძე 2010: 11), **რეფიუჯი** ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს თავშესაფარს, ლტოვილს. აქაც აუცილებელია გამოვიყენოთ შესაბამისი ქართული სიტყვა. „-მმმარავს, – ჩაჯდა სავარძელში კვნესა-კვნესით, – უვარგისი **ბრექფესტები** აქვთ სასტუმროში“ (ბულაძე 2009: 126), სიტყვა **ბრექფესტი** ინგლისური ენიდან შემოვიდა და ქართულად ნიშნავს საუზმეს. **ბრექფესტი** უმჯობესია ჩავანაცვლოთ სიტყვა **საუზმით**... მსგავსი შემთხვევა მრავლად დასტურდება თანამედროვე მწერლებთან.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ მწერალი ბარბარიზმებს სპეციალურად იყენებს პერსონაჟის მეტყველების დასახასიათებლად, რათა მკითხველს ზუსტად წარმოუდგინოს გმირის სახე.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ნეოლოგიზმები გარკვეული შესაბამისი ენობრივი მექანიზმების საშუალებით და, ერთი შეხედვით, სისტემურ-კატეგორიულ წესებს მისდევენ, ძნელია რაიმე ზოგადი წესების დადგენა, ასევე რთულია წინასწარ განჭვრეტა იმისა, თუ როდის დამკვიდრდება ისინი ენაში, იარსებებს თუ არა ესა თუ ის ნეოლოგიზმი დიდხანს, რამდენი ხანი შეინარჩუნებს ნეოლოგიურობის ნიშნებს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ეხება მწერლურ ნეოლოგიზმებს, რომელთა ერთი ნაწილი შეიძლება მართლაც დარჩეს ენაში ნეოლოგიურ ფორმებად, ხოლო მეორე ნაწილი იყოს მხოლოდ მწერლის საკუთრება და განიხილებოდეს მხოლოდ კონკრეტული მწერლის შემოქმედების ენობრივ თავისებურებად.

საანალიზო მასალამ ცხადყო, რომ ნეოლოგიზმთა გამოვლენის ყველაზე დიდი წილი სწორედ თანამედროვე მწერლობიდან ჩანს როგორც უცხო სიტყვათა გამოყენების, ისე საკუთრივ ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული ლექსიკური ერთეულების თვალსაზრისით.

#### ლიტერატურა

**არაბული, 2008** – ავთანდილ არაბული, „ქართული მეტყველების კულტურა“, თბილისი;

**ბულაძე, 2009-2013** – ლაშა ბულაძე, „ლიტერატურული ექსპრესი“, თბილისი;

**გამყრელიძე, 2003** – გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელია ნ. – „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“, თბილისი;

**კორძაია-სამადაშვილი, 2012** – ანა კორძაია-სამადაშვილი, „მარიეტას გზა“, თბილისი;

**მორჩილაძე, 2010** – აკა მორჩილაძე, „შენი თავგადასავალი“, თბილისი;

**ღლონტი, 1988** – ალექსანდრე ღლონტი, „ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები“, მესამე გამოცემა, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი;

**ჭაბაშვილი, 1964** – მიხეილ ჭაბაშვილი, „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, თბილისი.

**Maka Labartkava**

## **On Literary Neologisms**

### Summary

Every new event, new subject, new form of life becomes the cause of appearing new words in a language. Sometimes neologisms are created according to the word formation pattern of the native language while in some cases they are directly introduced in a language.

We aim to present and analyze neologisms attested in the works by modern Georgian writers and define their orthography.

When studying literary neologisms several types have been distinguished at this stage: 1. Neologisms based on the material of the native language, e.g. *mits'ert'ildeba*, *gmgherian*, *guldamertskhlebuli*, etc.; 2. Neologisms created by combining foreign prefixes and Georgian lexical units *sup'ermokhutsi*, *sup'erachrdili*, etc.; 3. Compound neologisms adopted from foreign languages, e.g. *psevdoint'elekt'uali*, *lanchboksi*, etc.

The paper represents the cases of using literary neologisms at large.

## ირინა ლობჯანიძე

### თარგმანზე ორიენტირებული ტერმინოგრაფია (ISO-ს სტანდარტებზე ორიენტირებული მიდგომა)

#### შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში ნებისმიერი სახის ტერმინოლოგიურ და ტერმინოგრაფიულ მუშაობას თან სდევს ტრადიციული მეთოდოლოგიებისა და მიდგომების გადააზრება და ახალი მიდგომების შემოღება, რასაც განაპირობებს, ერთი მხრივ, ახალი ტექნოლოგიების გამოყენება ტერმინოლოგიური ბაზების მართვისა და ტერმინოგრაფიული მუშაობის უზრუნველსაყოფად, ხოლო, მეორე მხრივ, ისეთი დისციპლინების ზეგავლენა, როგორებიცაა კორპუსული და კომპიუტერული ენათმეცნიერება, რომელთა მთავარი პრიორიტეტია თეორიისა და პრაქტიკისადმი ახალი მიდგომების განვითარება. ბუნებრივია, რომ აღნიშნული ცვლილებები ზეგავლენას ახდენს როგორც თარგმანზე, ასევე სხვადასხვა ტერმინოლოგიური რესურსის შექმნაზე, როგორიცაა სპეციალიზებული ლექსიკონები, მონაცემთა ბაზები და ა.შ. ამ მონაცემების მომხმარებელი კი, როგორც წესი, ორიენტირებულია დარგობრივი ტექსტის თარგმანზე.

დარგობრივი ტექსტის თარგმანი ყოველთვის განსხვავდებოდა ნებისმიერი სხვა სახის საქმიანობისგან, რადგანაც გარდა ენობრივი კომპეტენციისა, დარგობრივი ტექსტის მთარგმნელს ორივე ენაზე სჭირდებოდა სპეციალიზებული ლექსიკონების, ენციკლოპედიებისა და ტექნიკური ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა. პრობლემატიკა უკავშირდება, ერთი მხრივ, აღნიშნული ლექსიკონებისა და ლიტერატურის მოგროვებასა და ამ მონაცემებიდან იმ კონკრეტული ტერმინოლოგიის შერჩევას, რომელიც კონკრეტულ თარგმანს სჭირდება, ხოლო, მეორე მხრივ, შესაბამისი ტერმინოლოგიის არარსებობის შემთხვევაში დარგის შესაბამისი ცნების ანალიზის საფუძველზე ტერმინოლოგიური ერთეულების შეთავაზებას შემდგომი გამოყენების მიზნით.

შესაბამისად, აღნიშნული სტატიით შევხებით: ა) ლექსიკოგრაფიისა და ტერმინოგრაფიის ურთიერთზეგავლენის საკითხს და იმას,



თუ რას წარმოადგენს ტერმინოგრაფია თავისთავად; ბ) სტანდარტს, რომელიც ზეგავლენას ახდენს ან აკონკრეტებს ტერმინოგრაფიულ მუშაობას; გ) საერთაშორისო სტანდარტებში აღწერილ მიდგომებს, ქართული ბილინგვური ლექსიკოგრაფიისა და ტერმინოგრაფიის ამოცანებიდან გამომდინარე.

### 1. ლექსიკოგრაფიისა და ტერმინოგრაფიის ურთიერთმიმართების აღწერა

სხვაობა ლექსიკოგრაფიასა და ტერმინოგრაფიას (ტექნიკურ ლექსიკოგრაფიას) შორის გულისხმობს ენობრივი ვარიაციის თავისებურებების აღწერას, კერძოდ, ლექსიკოგრაფიის მთავარ ამოცანას წარმოადგენს სიტყვების აღწერის შესაძლებლობა მაშინ, როცა ტერმინოგრაფია აღწერს კონკრეტული სფეროსთვის, დარგისა თუ დისციპლინისთვის დამახასიათებელ ლექსიკას. ძალიან ზოგადად რომ ვთქვათ, როგორც ლექსიკოგრაფი, ასევე ტერმინოგრაფიც იყენებს მსგავს მეთოდებს სიტყვისა თუ ტერმინის აღწერისას. ამ მეთოდების ერთობლიობა კი გულისხმობს როგორც არაფორმალური, ასევე საკმაოდ სტანდარტიზებული ფორმების აღწერის შესაძლებლობას და, ბუნებრივია, მსგავსი კავშირი გულისხმობს სხვადასხვა დონის სტანდარტიზაციას.

თუ გამოვიყენებთ მ. თელენის (Thelen 2015: 132) მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას, ტერმინოლოგიური და, შესაბამისად, ტერმინოგრაფიული მუშაობა იყოფა ორ ნაწილად:

ა) თეორიაზე ორიენტირებულ ტერმინოლოგიად, ანუ ისეთი სახის მუშაობად, *„რომელსაც ტერმინოლოგი ასრულებს ტერმინსა და ცნებას შორის კავშირის დადგენის, ცნების ჩამოყალიბების, ტერმინის შექმნისა და სტანდარტიზაციის მიზნით“*.


შესაბამისად, თეორიაზე ორიენტირებული ტერმინოლოგიის მომხმარებელია თვითონ ტერმინოლოგი, რომლის მთავარი დანიშნულება არსებული მეთოდების გამოყენებით კონკრეტული დარგისთვის სპეციალიზებული ლექსიკონ(ებ)ის შედგენა.

ბ) თარგმანზე ორიენტირებულ ტერმინოლოგიად, ანუ ისეთი სახის მუშაობად, *„რომელსაც ასრულებს მთარგმნელი ერთ რომელიმე ენაზე (ორიგინალ ენაზე ტერმინის მნიშვნელობის ამოცნობის და/ან სამიზნე ენაზე მსგავსი ტერმინის მიგნების მიზნით) ან ორ- ან მეტ ენაზე (მიღებული შედეგების შედარების საფუძველზე ეკვივალენტო-*

ბის დადგენის მიზნით), მაგრამ ყოველთვის მისი ამოცანაა თარგმანის, მთარგმნელობითი პროცესის ეფექტურობისა და შესრულების სისწრაფის უზრუნველყოფა“.

შესაბამისად, თარგმანზე ორიენტირებული ტერმინოლოგიური მუშაობის მთავარი მომხმარებელი თვითონ მთარგმნელია, რომლის მთავარ ამოცანაა ტერმინის მნიშვნელობის ამოცნობა, განსაზღვრა და აღწერა მთარგმნელობითი პროცესის დროს.

თარგმანზე, თეორიასა და თარგმანზე ორიენტირებულ ტერმინოლოგიებს შორის არსებული კავშირის საჩვენებლად საკმარისია შემდეგი სქემის მოშველიება (Thelen 2015: 352) :



ბუნებრივია, რომ კავშირი თარგმანსა და თარგმანზე ორიენტირებულ ტერმინოლოგიას შორის ბევრად უფრო მყარია.

აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელი ხდება შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა:

1. არის თუ არა თეორიაზე ორიენტირებული ტერმინოლოგი მთარგმნელი?

*თეორიაზე ორიენტირებული ტერმინოლოგი შეიძლება იყოს კონკრეტული დარგის სპეციალისტი, რომელიც პარალელურად შესაძლებელია იყოს მთარგმნელიც.*

2. არის თუ არა მთარგმნელი თეორიაზე ორიენტირებული ტერმინოლოგი?

*მთარგმნელი ყოველთვის არის თარგმანზე ორიენტირებული ტერმინოლოგი, რომლის მთავარი ამოცანაა ტერმინოლოგიური ერთეულების გამოყენება თარგმნის დროს. თუმცა შესაძლებელია, რომ დროთა განმავლობაში იქცეს თეორიაზე ორიენტირებულ ტერმინოლოგად.*

შესაბამისად, კავშირი ამ ორ მიდგომას შორის გულისხმობს მთარგმნელის მიერ თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, გადასაწყვეტი ამოცანების ერთობლიობას. და ძალიან ხშირად პროფესიონალ მთარგმნელს უწევს სხვადასხვა ამოცანის გადაწყვეტა, როგორებიცაა: სამუშაო კორპუსების შექმნა, მონაცემთა ბაზების შედგენა, თავისი ტერმინოლოგიის შენახვა, კვლევის ჩატარება და ა.შ., რაც ზრდის თარგმანის შესრულების დროს და ითხოვს საკმაოდ მაღალ კვლევით კომპეტენციას.

თარგმანის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით კი სტანდარტიზაციის ევროპულ კომიტეტს (CEN)-ს შემუშავებული აქვს 2006 წელს გამოქვეყნებული ევროპული სტანდარტი მთარგმნელობითი მომსახურების შესახებ, რომლის თანახმად, პროფესიონალ მთარგმნელს უნდა ჰქონდეს შემდეგი კომპეტენციები:

ა) მთარგმნელობითი კომპეტენცია, რომელიც „მოიცავს ტექსტების შესაბამის დონეზე თარგმანის შესაძლებლობას“ მომხმარებლის მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით;

ბ) ლინგვისტიკური და ტექსტური კომპეტენცია როგორც ორიგინალ, ასევე სამიზნე ენებზე, რომელიც „მოიცავს ორიგინალი ენის გაგებისა“ და სამიზნე ენაზე მისი თარგმნის უნარს;

გ) კულტურული კომპეტენცია, რომელიც გულისხმობს შესაბამისი სტრატეგიების განვითარების შესაძლებლობას საინფორმაციო წყაროების ეფექტური გამოყენების მიზნით;

დ) ტექნიკური კომპეტენცია, რომელიც გულისხმობს თარგმანის პროფესიულ მომზადებას ტექნიკური ასპექტის თვალსაზრისით;

ე) კვლევით კომპეტენციას, რომელიც გულისხმობს დამატებითი ლინგვისტიკური და სპეციალიზებული ცოდნის მიღების შესაძლებლობას ორიგინალური ტექსტის მნიშვნელობის გასაგებად და სამიზნე ენაზე ტექსტის შექმნის უზრუნველსაყოფად.

ყველა ზემოხსენებული კომპეტენცია გულისხმობს უფრო ეფექტური და სწორი თარგმანის უზრუნველყოფას. მსგავსი ტიპის კომპეტენციებს ვხვდებით პროფესიონალი მთარგმნელების კომპეტენციების ბლოკში<sup>1</sup> EMT-ის სტანდარტის მიხედვით, რომელიც გულისხმობს: მთარგმნელობითი მომსახურების უზრუნველყოფის, ენობრივ, კულტურულ (სოციოლინგვისტურ და ტექსტურ), ინფორმაციის მო-

<sup>1</sup> [https://ec.europa.eu/info/sites/info/files/emt\\_competences\\_translators\\_en.pdf](https://ec.europa.eu/info/sites/info/files/emt_competences_translators_en.pdf)

ძიების, თემატურ და ტექნოლოგიურ კომპეტენციებს. აღწერილი კომპეტენციებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევითი და ტექნიკური კომპეტენციების უზრუნველყოფა, რადგანაც მხოლოდ ამ გზით მთარგმნელი განსაზღვრავს მისთვის აუცილებელ ენობრივ ზღვარს და ახერხებს ამ ენობრივ საჭიროებაზე დაყრდნობით კორპუსების შედგენას, ტერმინოლოგიის განსაზღვრა ან მონაცემთა ბაზების შექმნას ტერმინოლოგიური რესურსის არარსებობის შემთხვევაში (Muñoz 2012: 84).

მაშასადამე, თარგმანის ხარისხის კონტროლი შესაძლებელია ისეთ პარამეტრებზე დაყრდნობით, როგორებიცაა: სტილი, გრამატიკა და ტერმინოლოგიის ზუსტი გამოყენება. თარგმანზე ორიენტირებული ტერმინოგრაფიის საერთაშორისო სტანდარტის მთავარი დანიშნულება კი თარგმანში ტერმინოლოგიური ინფორმაციის ხარისხის კონტროლზე ორიენტირებული ელემენტების აღწერაა.

## 2. თარგმანზე ორიენტირებული ტერმინოგრაფიის ძირითადი პარამეტრების მიმოხილვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თარგმანზე ორიენტირებული ტერმინოგრაფიის სტანდარტის ძირითადი ამოცანაა თარგმანში წარმოდგენილი ტერმინოლოგიური ინფორმაციის ხარისხის კონტროლი. ამიტომაც ყურადღება გამახვილდა ISO 12616:2002 სტანდარტზე, რომელიც წარმოადგენს ჯერ დაუსრულებელი ISO/AWI 12616-1<sup>1</sup> სტანდარტის ნაწილს. აღნიშნული სტანდარტების საფუძველია:

ISO 639: 1988, ენების სახელწოდებების კოდირება;

ISO 6156: 1987, ტერმინოლოგიური/ლექსიკოგრაფიული ჩანაწერების კოდირების ფორმატი (MATER);

ISO 12200: 1999, ტერმინოლოგიის კომპიუტერული უზრუნველყოფა - მანქანურადწაკითხვადი ტერმინოლოგიის გაცვლითი ფორმატი (MARTIF);

ISO 12620: 1999, ტერმინოლოგიის კომპიუტერული უზრუნველყოფა - მონაცემთა კატეგორიები.

შესაბამისად, აღნიშნული სტანდარტები არეგულირებს შემდეგს:

---

<sup>1</sup><https://www.iso.org/standard/72308.html>

1. ტერმინოლოგიური ინფორმაციის მართვას;
2. წყაროს განსაზღვრას;
3. მონაცემთა ჩანაწერების შედგენისა და ძიების ზოგად პრინციპებს;
4. საერთო მოთხოვნებს ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზების მიმართ;
5. მოთხოვნებს ტერმინოლოგიური ინფორმაციის გაცვლის მიმართ.

### 2.1. ტერმინოლოგიური ინფორმაციის მართვა

ტერმინოლოგიისა და მსგავსი ინფორმაციის მართვა გულისხმობს ინფორმაციის შენახვას მონაცემთა ბაზის ან კოლექციის ტერმინოლოგიური ჩანაწერის სახით. რას უნდა მოიცავდეს მსგავსი ჩანაწერი?

ნებისმიერი ტერმინოლოგიური ჩანაწერის სტრუქტურა უნდა უზრუნველყოფდეს შემდეგს:

- ✓ ნებისმიერი სახის ტერმინოლოგიურ ინფორმაციას, მათ შორის, სიტყვის მნიშვნელობის ცვლას, კონტექსტის შესაბამისად გამოყენებულ მაგალითებს და ა.შ.;
- ✓ ინფორმაციის ადვილად დამუშავებასა და მიგნებას;

გარდა ამისა, ტერმინოლოგიური ჩანაწერი უნდა იქმნებოდეს ტერმინოლოგიური მონაცემების კატეგორიების მიხედვით. მთარგმნელობით გარემოში აღნიშნული კატეგორიები წარმოდგენილია, როგორც მინიმუმ, ორ ენაზე, ხოლო მათი დაჯგუფება შემდეგნაირია:

ა) სავალდებულო კატეგორიები, რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ნებისმიერი სახის ტერმინოლოგიურ ჩანაწერში და უნდა მოიცავდეს:

- ✓ ამოსავალ ტერმინოლოგიურ ჩანაწერს;
- ✓ შევსების თარიღს;
- ✓ ტერმინოლოგიური ჩანაწერის წყაროს.

ბ) არასავალდებულო კატეგორიები, რომელთა ტერმინოლოგიურ ჩანაწერში ჩასმა ხდება კონკრეტული მომხმარებლის მოთხოვნების საფუძველზე;

გ) გამეორებადი კატეგორიები, რომლებიც გვხვდება ერთი რომელიმე ჩანაწერის ფარგლებში, მაგ.:

- ✓ ტერმინოლოგიურ ჩანაწერს შეიძლება ახლდეს ერთი და იმავე ტერმინის აღწერა სხვადასხვა ენაზე (მეორდება სხვადასხვა ენაზე და არა რომელიმე კონკრეტულ ენაზე);
- ✓ ჩანაწერში შეიძლება იყოს ერთზე მეტი სინონიმი (მეორდება სხვადასხვა ენაზე ან რომელიმე კონკრეტულ ენაზე);
- ✓ გრამატიკული ინფორმაცია შეიძლება მეორედებოდეს ერთ რომელიმე კონკრეტულ ენაზე;
- ✓ სხვადასხვა სინონიმის შემთხვევაში ჩანაწერი შეიძლება საჭიროებდეს გამოყენების რამდენიმე კონტექსტს (მეორდება რომელიმე კონკრეტულ ენაზე).

## 2.2. ტერმინები და მათთან დაკავშირებული მონაცემთა კატეგორიები

მონაცემთა კატეგორიების აღწერა ყოველთვის დამოკიდებულია კონკრეტულ მთარგმნელზე ან მთარგმნელობით ჯგუფზე, რომლებიც წყვეტენ მათ ჩასმას მონაცემთა ბაზაში. მათს სრულ ჩამონათვალს საზღვრავს ISO 12620, თუმცა ზოგიერთზე ღირს ყურადღების გამახვილება.

### 2.2.1 ტერმინებთან დაკავშირებული მონაცემთა კატეგორიები

ტერმინთან დაკავშირებული მონაცემთა კატეგორიები	გამეორებადობა		
	კონკრეტულ ენაში	ენების მიხედვით	არ მეორდება
ამოსავალი ტერმინოლოგიური ჩანაწერი		X	
სინონიმი	X	X	
სრული ფორმა	X	X	
შემოკლება (მათ შორის, აბრევიატურა, მოკლე ფორმები, ინიციალები, აკრონიმები და ა.შ.)	X	X	
ვარიანტი (მაგ., მართლწერის ვარიანტები და ა.შ.)	X	X	
სიმბოლო	X	X	
ფორმულა	X	X	

ფრაზეოლოგიური ერთეული (მათ შორის, შესიტყვებები)	X	X	
სტანდარტული ტექსტი	X	X	

ტერმინოლოგიური ჩანაწერი მოიცავს ერთ ამოსავალ ჩანაწერს ყველა ენისთვის. თარგმანზე ორიენტირებულ ტერმინოგრაფიაში ფრაზეოლოგიური ერთეული და სტანდარტული ტექსტის ფრაგმენტი უნდა გაფორმდეს, როგორც ამოსავალი ტერმინოლოგიური ჩანაწერი. რეკომენდებულია, რომ ყველა შემოკლება და ვარიანტი გაფორმდეს სინონიმის სახით.

**2.2.2 ტერმინებთან დაკავშირებული ინფორმაცია**

ტერმინებთან დაკავშირებული ინფორმაცია	გამეორებადობა		
	კონკრეტულ ენაში	ენების მიხედვით	არ მემორდება
გრამატიკა (მაგ., მეტყველების ნაწილი, სქესი, რიცხვი, კლასი და ა.შ.)	X	X	
გამოყენება (მაგ., გეოგრაფიული გამოყენება, მესაკუთრის ჩვენება და ა.შ.)	X	X	
ტერმინის სტატუსი (მაგ., დაუშვებელი, დაშვებული, რეკომენდებული ტერმინი და ა.შ.)	X	X	
ეკვივალენტობა (მაგ., ეკვივალენტობის ხარისხი და ა.შ.)	X	X	

ტერმინთან დაკავშირებული ინფორმაციის მონაცემთა კატეგორიები ორიენტირებულია ძირითადად კონკრეტულ კონტექსტში ტერმინოლოგიური ინფორმაციის გამოყენებაზე.

### 2.2.3 დარგი და ქვედარგი

დარგი და ქვედარგი	გამეორებადობა		
	კონკრეტულ ენაში	ენების მიხედვით	არ მეორდება
დარგი და ქვედარგი	მეორდება, მაგრამ არ არის დამოკიდებული კონკრეტულ ენაზე		

ტერმინთან დაკავშირებული ინფორმაციის მონაცემთა კატეგორიები

### 2.2.4 ცნების აღწერა

ცნების აღწერა	გამეორებადობა		
	კონკრეტულ ენაში	ენების მიხედვით	არ მეორდება
განსაზღვრა	X	X	
განმარტება	X	X	
კონტექსტი	X	X	
სურათი (გამოსახულება)	X	X	
შენიშვნა	X	X	

ცნების აღწერისას სასურველია ერთი რომელიმე კატეგორიის ჩვენება მაინც.

### 2.2.5 მონაცემთა კატეგორიების ადმინისტრირება

მონაცემთა კატეგორიების ადმინისტრირება	გამეორებადობა		
	კონკრეტულ ენაში	ენების მიხედვით	არ მეორდება
შევსების თარიღი	X	X	
ცვლილების თარიღი	X	X	
დამტკიცების თარიღი		X	
პასუხისმგებელი პირი	X	X	
ქვესიმრავლის ინდექსი (მაგ., კლიენტების ქვესიმრავლე, პროექტების ქვესიმრავლე)	X	X	
ენობრივი სიმბოლო		X	
ჩანაწერის ინდექსი			X



დამოწმებანი	X	X	
წყარო	X	X	

აღნიშნული კატეგორიები მოიცავს ინფორმაციას ტერმინოლოგიური მონაცემების შენახვისა და განსაზღვრის შესახებ. ტრადიციული ბიბლიოგრაფიული მითითებებისგან განსხვავებით, წყაროს მითითება ხშირად ეფუძნება დარგის სპეციალისტების ზეპირ ჩანაწერებს. ენობრივი სიმბოლოების სანახავად უნდა გამოიყენებოდეს ISO 639.

### 2.3. წყაროს განსაზღვრება

თარგმანზე ორიენტირებულ ტერმინოგრაფიაში წყაროს მითითება აუცილებელია. წყაროს დოკუმენტირების მეთოდები აღწერილია ასევე ISO 639-ში. თუმცა გასათვალისწინებელია:

- ✓ ინფორმაცია წყაროს შესახებ (მაგ., რელევანტური ლიტერატურა, ექსპერტების ვინაობა და ა.შ.);
- ✓ ორიგინალ ენაზე შესრულებული ტექსტები, თარგმანი და მათი შესაბამისი ციტირება.

შესაბამისად, ამ წესების დანიშნულება შემდეგია:

- ✓ მთარგმნელობითი სამუშაოს ეფექტურობის გაზრდა;
- ✓ ჩაწერილი ტერმინოლოგიური ინფორმაციის სანდოობის გაზრდა;
- ✓ ტერმინოლოგიური ინფორმაციის გაცვლითი პარამეტრების უზრუნველყოფა.

### 2.4. მონაცემთა ჩანაწერების შედგენისა და ძიების საერთო პრინციპები

მონაცემთა ჩანაწერების შედგენისა და ძიების პარამეტრები მოიცავს სხვადასხვა რეკომენდაციას მონაცემების ორგანიზებასთან დაკავშირებით. ინფორმაციის ამოღება სისტემიდან უნდა ხდებოდეს სხვადასხვა ოპერატორის გამოყენებით, როგორცაა:

- ✓ მარჯვენა-ხელზე ორიენტირებული სტრიქონის უზრუნველყოფა;
- ✓ მარცხენა-ხელზე ორიენტირებული სტრიქონის უზრუნველყოფა;
- ✓ ფილტრები;

- ✓ ბულეანისა და მანძილის ოპერატორები;
- ✓ ინდექსირება.

## **2.5. საერთო მოთხოვნები ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზის მიმართ**

მანამ, სანამ მომხმარებელი მიიღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რისგან უნდა შედგებოდეს ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზა, მას დასჭირდება იმ მონაცემთა კატეგორიების განსაზღვრა, რომლებიც წარმოდგენილი იქნება ტერმინოლოგიურ ჩანაწერში. და, ბუნებრივია, უპირველესი მოთხოვნა მონაცემთა ბაზისადმი არის მისი მოქნილობა და მუდმივი განახლების შესაძლებლობა. მონაცემთა ბაზის სისტემური მოთხოვნები დამოკიდებულია:

- ✓ ოპერაციული სისტემის ტიპზე;
- ✓ სისტემის გამართულობაზე (მაგ., პროცესორის ტიპზე და ა.შ.);
- ✓ დამატებითი მოწყობილობების გამართულობაზე.
- ✓ ხოლო პროგრამულ უზრუნველყოფაზე ორიენტირებული მოთხოვნები მოიცავს შემდეგ პარამეტრებს:
- ✓ ენ(ებ)ისა და გრაფიკის დიზაინი;
- ✓ კონკრეტულ ენაზე ორიენტირებული შესაბამისი ნიშნების ერთობლიობა;
- ✓ ქსელის შესაძლებლობები;
- ✓ ინტეგრაციის შესაძლებლობები;
- ✓ წვდომა გარე მონაცემებზე (ბიბლიოგრაფიული მონაცემთა ბაზები, გარე წყაროები);
- ✓ შესაძლებლობების ექსპორტი/იმპორტი;
- ✓ მონაცემების დაცვა

## **2.6. მოთხოვნები ტერმინოლოგიური ინფორმაციის გაცვლის მიმართ**

რადგანაც ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები შეიძლება იყოს ერთმანეთთან შეუთავსებელი, ნებისმიერი სისტემა უნდა უპასუხებდეს მოთხოვნების მინიმუმს და უზრუნველ-

ყოფდეს ფორმატის კონვერტაციას MARTIF (ISO 12200) და MATER (ISO 6156) სტანდარტების მიხედვით.

საბოლოოდ, რადგანაც წარმოდგენილი სტანდარტის უზრუნველყოფა თავიდან ბოლომდე დამოკიდებულია მთარგმნელზე, მასში სპეციალურად გაწერილია მოთხოვნები როგორც კონკრეტული მთარგმნელის, ასევე მთარგმნელთა ჯგუფების მიმართ.

### 3. დასკვნები და სამომავლო პერსპექტივები

დასკვნების სახით შესაძლებელია იმის თქმა, რომა) ბოლო მონაცემებზე დაყრდნობით მთარგმნელების უმეტესობა (≈57%) ირჩევს ონლაინრესურსებს, ძირითადად, მარტივი წვდომისა და ინფორმაციის სწრაფი მიგნების მიზნით. ყველაზე პოპულარულ რესურსებს კი განეკუთვნება სპეციალიზებული ბილინგვური ლექსიკონები (≈19%), საძიებო ძრავები, მაგ., Google (≈17%), ტერმინოლოგიური მონაცემთა ბაზები (≈9%), სპეციალიზებული მონოლინგვური ლექსიკონები (≈9%) და ვიკიპედია (≈9%) (Muñoz 2012), ამიტომაც:

ბ) ტერმინოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ქართულენოვანი რესურსების შექმნის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მსოფლიოში არსებული როგორც ტერმინოლოგიური, ასევე ტერმინოგრაფიული სტანდარტების უმეტესობა და, ბუნებრივია, გასათვალისწინებელია ტერმინოლოგიურ მონაცემთა უკვე არსებული ბაზების<sup>1</sup> პარამეტრები.

### ლიტერატურა

Cabré, M. (2003). Theories of terminology. Their description, prescription and explanation. *Terminology*, 163-199.

Kaplan, R. (2005). *The oxford handbook of applied linguistics*. NY: Oxford University Press.

---

<sup>1</sup><http://termcoord.eu/discover/terminology-databases/>

Muñoz, I. (2012). Meeting translators' needs: translation-oriented terminological management and applications. *The Journal of Specialised Translation* , 77-92.

Thelen, M. (2015). The Interaction between Terminology and Translation . *Trans-kom* , 347-381.

### ISO სტანდარტები

International Organization for Standardization, 2009. *Terminology and other language and content resources -- Specification of data categories and management of a Data Category Registry for language resources* (ISO Standard No 12620), <https://www.iso.org/standard/37243.html>

International Organization for Standardization, 2002. *Translation-oriented terminography* (ISO Standard No 12616), <https://www.iso.org/standard/35360.html>

International Organization for Standardization, 1999. *Computer applications in terminology -- Machine-readable terminology interchange format (MARTIF) -- Negotiated interchange* (ISO Standard No 12200), <https://www.iso.org/standard/21174.html>

International Organization for Standardization, 1999. *Computer applications in terminology -- Data categories* (ISO Standard No 12620), <https://www.iso.org/standard/2517.html>

International Organization for Standardization, 1988. *Code for the representation of names of languages* (ISO Standard No 639), <https://www.iso.org/standard/4766.html>

International Organization for Standardization, 1987. *Magnetic tape exchange format for terminological/ lexicographical records (MATER)* (ISO Standard No 6156), <https://www.iso.org/standard/12400.html>

<http://termcoord.eu/discover/terminology-databases/>

**Irina Lobzhanidze**

## **Translation-Oriented Terminography**

(Based on ISO Standards)

### Summary

The translation of technical texts always differs from any other type of linguistic activities since the translator of technical texts requires knowledge in specialized dictionaries, encyclopedias and technical literature in both languages together with the linguistic competence. Accordingly, on the one hand, the problems are associated with collecting the said dictionaries and literature and selecting such special terminology from this data that is required for the specific translation; on the other hand, if such terminology does not exist, the translator should offer terminological units for further use based on the analysis of the relevant concepts of the field.

“The Terminological Standard” is a document that describes different approaches to the terminology management. The terminology management means fulfilling various tasks including data collection, development, storage, revision and dissemination. The documents titled as “Terminology, Foreign Languages and Content-Oriented Resources” prepared by the technical committee of the International Organization of Standards (ISO/TC 37) serve the said purpose.

The paper discusses the section SC 2 of the documents TC 37 the main task of which is describing and structuring the terminographic and lexicographic work methods. Accordingly, the composition of the paper is as follows: 1. The description of interrelation between lexicography and terminography; 2. The overview of the main parameters of translation-oriented terminography (based on ISO 12616: 2002 and ISO/AWI 12616-1); 3. The future prospects.

## ვახტანგ მალრაძე

### ხელობის აღმნიშვნელი მე-ე სართებით ნაწარმოები ახალი სიტყვები

მე-ე თავსართ-ბოლოსართი ხელობის, პროფესიის, მოსაქმეობის აღმნიშვნელი სიტყვების ნაწარმოებლად გამოიყენება. მოვიყვანოთ ძველი ქართულის რამდენიმე მაგალითი: მენელსაცხებლე, მესანთლე, მედავითნე, მეფსალმუნე, მეზაჟე, მეხრე, მეწყლე, მეღალე, მექულბაქე..., რომელთაგან ზოგი დღესაც გვხვდება.

თანამედროვე ქართულშიც უხვადაა ამ ნაწარმოებლებით მიღებული ტერმინები, რომლებიც დაუბრკოლებლად გამოიყენება, მაგრამ ისინი უნდა გაიმიჯნოს. ტრადიციული დაყოფისაგან განსხვავებით ჩვენ უფრო დავაკონკრეტეთ ხელობის აღმნიშვნელი სიტყვები:

ა) დამამზადებელი, შემკეთებელი, მომყვანი (მეთონე, მეჭურჭლე, მეკეცე, მექვაბე, მეაგურე, მეკრამიტე, მეყალიბე, მეცემენტე, მეღვინე, მეხალიჩე, მექუდე, მეუნაგირე, მეხიდე, მესანგრე, მეშეშე, მემინე, მექალაღდე, მექამანდე, მეფეხსაცმელე, მეწალე, მეჩექმე, მეწულე, მეჯღანე, მეარაყე, მეპურე, მეხაშე, მესოსისე, მექაბაბე, მეაბრეშუმე, მექარხლე, მეციტრუსე, მეჩაიე, მეხილე, მესახურავე, მესაზღვრე, მესაათე, მერუე, მემონტაჟე, მენაგვე, მენავთე, მენავთობე, მენაღმე, მენაყინე, მენახშირე, მემოდელე, მეიგავე, მელექსე, მეზღაპრე, მეკასრე, მეკუბოე, მეკურტნე, მეზენიტე, მეზარბაზნე, მეთევზე, მეთოფე, მეთუნუქე, მეაბჯრე, მეავეჯე...)<sup>1</sup>;

ბ) გამყიდველი, მეპატრონე (მეყვავილე, მემწვანილე, მერძევე, მემაწვნი, მეძველმანე, მეწვრილმანე, მეგაზეთე...);

გ) მწყემსი, მომვლელი (მესაქონლე, მეჯოგე, მეძროხე, მეცხენე, მეჯორე, მეთხე, მეცხვარე, მებატკნე, მეღორე, მეფრინველე, მექათმე, მებატე, მემტრედე, მეფუტკრე...);

დ) მფლობელი, მომუშავე (მეპატრონე, მესაკუთრე, მემამულე, მეფაბრიკე, მეწარმე, მეფურნე, მეფუნდუკე, მეფარდულე, მეფუნთუშე, მექარავნე, მენავე, მეაფთიაქე, მექისე, მეშახტე, მესტამბე, მეტყავე,

---

<sup>1</sup> ვეყრდნობით ქეგლ-ს.

მელითონე, მეფოლადე, მეტაბელე, მელიფტე, მისრე, მეკალოე, მეკობრე, მეკოდე, მესაფლავე, მელიანდაგე, მეთვალყურე, მეწყლე, მეთულუხჩე, მეავტომატე, მეამწე, მეარმატურე, მებულდოზერე, მებუფეტე, მეგარდირობე, მეხანძრე, მეხარკე, მეხორცე...);

ე) მმართავი, წამყვანი (მეურმე, მეეტლე, მებორნე, მეტივე, მეგუთნე, მემანქანე, მეამწე, მეჯალამბრე, მეზარე, მესაჭე...);

ვ) დამკვრელი ან შემქმნელი (მემუსიკე, მესაკრავე, მესაყვირე, მესტვირე, მეზურნე, მებუკე, მედოლე, მეჭიანურე, მეჩონგურე, მეფანდურე, მედოლე, მეთარე, მეჩიბუხე...);

ზ) მომვლელი, მცველი (მებაღე, მევენახე, მეზვრე, მეველე, მეჯინიბე, მეციხოვნე... შემინდვრე...).

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ტერმინი ერთდროულად ორ მნიშვნელობას შეიცავს: მენახშირე – ნახშირის გამომწველსაც ჰქვია და ასევე მის გამყიდველსაც; მემწვანილე – მწვანლის მომწველსაც და გამყიდველსაც; მეფურნე – ფურნის პატრონსაც და ხაბაზსაც; მეჩონგურე – ჩონგურის გამომთლელსაც – და მასზე დამკვრელსაც...

აი, რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას... მიუხედავად იმისა, რომ წარმოება გრამატიკულ ყალიბს არ სცდება, არ არღვევს, ზოგი მათგანი არაბუნებრივი, უჩვეულოა. ზემოდასახელებული ჯგუფები უნდა დავყოთ ორ ტიპად: მართებულად ნაწარმოები სიტყვები და გაურკვეველი დანიშნულების, შინაარსის მქონე სიტყვები.

დავასახელოთ რამდენიმე ძველი წარმოების მაგალითი :

„საერთოდ ნანია ჩვენი ოჯახია **მეისტორიე**“ („სარკე“, N5, 2016: 16. 1);

„ნუთუ **მეკეცეს** უფლება არა აქვს თიხაზე, რომ თავისი მოზე-ლილი თიხიდან... ჭურჭელი გააკეთოს?...“ („ახალი აღთქმა“, 1999, 343).

„ვინაიდან წერილი ამბობს: „პირს აუკრავ **მეკალოე** ხარს...“ (იქვე, 453);

„გამოიარა **მეთხემ**... გადახტა ტალახში... მივიდა მეჯლისში...“ (აკაკი, 1989: 230);

„...შეთვალაიერა ყველა იქ მყოფნი – **მეაფთიაქე**, ექიმი“ ... (ჩიქო-ბავა, 2010: 98);

„ემაუსში გაერთიანებულ ადამიანებს **მეძველმანეებს** უწოდებენ“ („სარკე“, N19, 2014: 52. 2);

„ალბათ იმიტომ, რომ **მემონძე** ადამიანი ვარ“ (იქვე, N42, 2014: 14.1);

„ხანდახან კონჩიტა მესოსისესაც უწოდებდნენ...“ („სარკე“, N19, 2014);

„დიდი ხანია ჩემი მეხორცე მყავს...“ („გზა“, N50. 2013: 84);

„რომელს ინებებთ? მოუთმენლად შეეკითხა მენაყინე ქალი“ (ჩხეტიანი 2012: 67.1);

„...გზად კურიერებს, მეყვავილეებსა და მთავარ მმართველის ერთ-ერთ თანაშემწეს მიესალმა“... (ზურებიანი 2010, 113);

„მემწვანილემ ლაპარაკში დამჭკნარი მწვანილი ისე შემომამპარა, ვერც შევამჩნიე“ („თბილ.“, N39. 2014: 4.1).

ყველა აღნიშნული სიტყვა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში დადასტურებული და ფეხმოკიდებულია.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ენაში გამოიყენება, თუმცა, დიდი გავრცელებით არ გამოირჩევა:

„მესპილენძე ალექსანდრემ დიდად მავნო. უფალმა მიუზღოს მისი საქმეების მიხედვით“ („ახალი აღთქმა“, 1999: 461).

მესპილენძის ანალოგიითა შემდგომში შექმნილი მეფოლადე, რომელიც ძალზე გავრცელებული ტერმინია.

„...შექმნილი უწყება... მეპარაშუტე ახალგაზრდებს ამზადებდა“ („თბილ.“, N44. 2015: 26. 3).

**მეპარაშუტე** – მეკლდეურის პარალელურადაა შექმნილი და საცხებით მართებულია;

„მეგაზეები მესამე სართულზე ცხოვრობდნენ“ (ჩიქობავა, 2010:115).

**მეგაზე** – მენავთობეს უთანაბრდება, მისი ანალოგიითაა მიღებული.

„...ქართველ მემოდელეთა წრემ ახალგამოჩევილი კოლეგა არ მიიღო...“ („სარკე“, N20, 2013: 25.3).

**მემოდელე** წარმოების თვალსაზრისით საცხებით გამართლებულია, განმარტებით ლექსიკონშიც შესულია, მაგრამ ენაში უფრო ხშირად გამოიყენება სიტყვა **მოდელი** და ეს პარალელური ფორმა უფრო გავრცელებული, ფეხმოკიდებულია. თუმცა, ქართული წარმოების დამკვიდრების მცდელობა მისასაღმებელია.

„იქ ინახებოდა გარკვეულ დრომდე მესაწყობის მეთვალყურეობის ქვეშ“ (ზურებიანი, 2010: 227).

**მესაწყობე** – მეკუჭნავის (საკუჭნაო მცირე მოცულობის საწყობია) ფარდია.



„...ბევრ ადამიანთან ვიყავი შეთანხმებული: **მეყველებთან**, მოცეკვავეებთან...“ („თბილ.“, N35. 2014).

**მეყველე** – ბუნებრივი წარმოებაა. ენაში მისი შესატყვისი ტერმინებია: მემაწვნი, მეხაშე, მექაბაბე, მეღვინე...

„...გასაკვირია ჩვენებურ რადიკალ **მედასავლეთთა** დუმილი...“ („თბილ.“, N37. 2015).

**მედასავლეთე** – მიმდევრობის აღმნიშვნელი სიტყვაა. თითქოსდა ყველაფერი რიგზეა, მაგრამ დასავლეთი უკვე წარმოქმნილი სიტყვაა და მე- ე მწარმოებელს ვერ იუგებს. მით უმეტეს, ენაში **დასავლელი** უფრო ბუნებრივი და გავრცელებული ფორმაა.

„მე ვერ გეტყვით, რატომ მოჰკიდა ხელი **მეთოჯინობას**... პუტინმა“ („თბილ.“, N35. 2014: 4.3).

„მთავარი სექტებია: ბაპტიზმი... სუბოტნიკების (მეშაბათეების)...“ (გელოვანი, 1999: 149).

**მეშაბათე** – მართალია, მარტივი სიტყვისგანაა მიღებული, მაგრამ ენისათვის უცხოა. მის მსგავსად, მისი ყალიბით არ იწარმოება მეორშაბათე, მეკვირე...

„**მეთეთრეულეს** კი გადაეცით, რომ შესაფერისი ზეწრები და საბანი დაგვჭირდება“ (ზურებიანი, 2010: 240).

**მეთეთრეულე** – ენას არ აქვს ანალოგიური ტერმინები: მესაბნე, მებალიშე, მეშარვლე, მეკაბე, მეკოსტუმე, მეპერანგე... მართალია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიხვედრა შესაძლებელია, მაგრამ, ზოგადად, გაურკვეველია ეს პირი თეთრეულს ამზადებს, რეცხავს, აუთოებს თუ სასტუმროში ცვლის ნახმარს სუფთათი...

„**მედერეფნემ** უცხოელს ჰკითხა...“ (ჩიქობავა, 2010: 163).

რაც შეეხება მედერეფნეს, დერეფნის, სართულის მორიგის შინაარსითაა გამოყენებული, სწორედ მორიგეა ამ ფუნქციის შემსრულებელი. ამდენად, ახალი სიტყვის შექმნა საჭირო არ იყო.

„**მეკორიდორე** ადგილზე ვერ აღმოაჩინა...“ (ზურებიანი, 2010: 24).

**მეკორიდორე** – კორიდორი ბარბარიზმია. მისი შესატყვისია დერეფანი. ამდენად, ქართულად თავიდანვე მცდარია მისი ძირად გამოყენება და ახალი სიტყვის წარმოება.

„...ის პლანეტის ყველა დროის 60 საუკეთესო **მეგოლეს** შორის არის დასახელებული“ („თბილ.“, N27, 2014, 26. 2);

„რაში „ლივერპულის“ ყველა დროის საუკეთესო **მეგოლეა**...“ („თბილ.“, N11, 2013); **მეგოლე** – ფეხბურთში, ხელბურთში, წყალ-

ბურთში გოლი, ბურთი გააქვთ. კალთბურთში ქულებს აგროვებენ, მაგრამ ბურთის ჩამგდებს მექულედ არ მოიხსენიებენ. თუმცა, კალათბურთის მატჩის რეპორტაჟებისას არაერთხელ გამოუყენებიათ შედეგიანი კალათბურთელების დასახასიათებლად. **მეგოლე** – ენისათვის უცხო წარმოების სიტყვაა და ამდენად მიუღებელია, ისევე როგორც **მექული**.

„ერთი წლის განმავლობაში ჩოგბურთელი და **მეგოლე** მართლაც მხოლოდ სპორტზე ფიქრობდნენ („რეიტ.“, N43, 2013: 61.1);

„ჩოგბურთელი და **მეგოლე** ერთმანეთს... ჰამბურგში შეხვდნენ“ ... („რეიტ.“, N3, 2014: 54.1);

„იმ წელს... **მეგოლე**მ... ჩოგბურთელს... ხელი სთხოვა“ („თბილ.“, N2, 2014: 26.2); „...ახალ წელს თავის შეყვარებულთან, **მეგოლე** ადამ სკოტთან ერთად ავსტრალიაში შეხვდა“ („სარკე“, N7, 2010: 61.1);

„...მან ინტერვიუ ჩამოართვა ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც არიან **მეგოლე** ტაიგერ ვედსი...“ („სარკე“, N35, 2009: 69.1).

**მეგოლე**. გოლევი სპორტის შედარებით ახალი სახეობაა. ფეხბურთისაგან მიღებულია ფეხბურთელი, კალათბურთისაგან – კალათბურთელი, ხელბურთისაგან – ხელბურთელი, წყალბურთისაგან – წყალბურთელი, ფრენბურთისაგან – ფრენბურთელი... რატომ იყო საჭირო ამ სისტემიდან ამოვარდნა და **მეგოლე** ტერმინის შექმნა? ალბათ, გოლევი უფრო უხერხული ტერმინი იქნებოდა.

ზოგ შემთხვევაში, უმართებულო წარმოებისაგან თავის დაღწევისა თუ დაზღვევის მიზნით, პირდაპირ უცხოური სიტყვაა გადმოტანილი – გოლევისტი და გოლეფერი:

„...ერთ-ერთ წარმატებულ ჩოგბურთელად და **გოლევისტად** ითვლებოდა“ („სარკე“, N35, 2009: 64.1);

„ცნობილი **გოლეფერისა** და ერთ-ერთი უმდიდრესი სპორტსმენის ... ყოფილი საყვარლები ... შეეჯიბრებიან...“ („რეიტ.“, N10, 2010: 5.1).

თუ -ისტი ნაწარმოები სიტყვები ქართულისათვის უცხო არ არის და ზოგიერთ შემთხვევაში დამკვიდრებულია (მაგალითად, ჰოკეისტს სხვაგვარად ვერ უწოდებ. ამ სიტყვას დიდი ხნის ისტორია აქვს), გოლეფერი კი, სრულიად მიუღებელია. ესეც პირდაპირ ინგლისურად ნაწარმოები ტერმინია გადმოღებული.

რამდენიმე მაგალითს კომენტარის გარეშე დავასახელებთ:

„...ინგლისში XVI საუკუნეში შემოიღეს **მეჭოვრიტის** თანამდებობა“ („თბილ.“, N6, 2009: 21.1).

„...**მესტრიპტიზეს** დავურეკავდი, მოვიდოდა და გამართობდა“ („სარკე“, N38, 2012: 67.1).

„ყველა მე მიყურებს **მესტრიპტიზეს** ჩათვლით (ბონი 2013: 60);

„ – ხო, პროფესიონალი **მესტრიპტიზე** ვარ“ („სარკე“, N38, 2012: 67.1);

„...ირანელ **მეკვერცხეებს** ორ ტენდერშიც გაუმარჯვიათ...“ („თბილ.“, N23, 2013: 5.1);

„იცნობდნენ, როგორც კარგ **მეჩეკეს**...“ (მაისურაძე 1972: 452);

„– ვართანამ დაიჭირა, თქვენმა **მეჩეკემ!** ...“ (იქვე).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ შეინიშნება სასიამოვნო ტენდენცია – უპირატესობა ტერმინების ქართულად წარმოებას მიენიჭოს. საინტერესოა, რომ დატვირთულია მხოლოდ მე- ე ხელობის აღმნიშვნელი მანარმოებლები და არცერთი მო- ე არ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით **მორაგბე** სპორტულ ტერმინს („**მორაგბეს**... მშობლებმა არჩევანი დაუწუნეს“ („რეიტ.“, N43, 2013: 30.1), რომელიც დიდი ხნის დამკვიდრებული მოჭადრაკის, მოჭიდავის, მოკრივის, მოთხილამურის... ანალოგიითაა მიღებული.

ყოველი ახალი სიტყვა-ტერმინის შექმნისათვის დიდი ყურადღება, ენობრივი ნორმების ცოდნა, დარგის სპეციალისტებთან ოპერატიული და შეთანხმებული მუშაობაა აუცილებელი, რომ ტერმინი მართებულად გადმოგვემდეს მასში ჩადებულ შინაარსსაც და არც გრამატიკულად, ენის კანონების დაცვის მხარე იყოს დაღვეული.

## ლიტერატურა

**აკაკი, 1989** – აკაკი წერეთელი, მხატვრული პროზა, III.

**„ახალი აღთქმა,“ 1999** – „ახალი აღთქმა და ფსალმუნები“, სტოკ-ჰოლმი.

**ბონი, 2013** – თინათინ ბონი, „ოცნების ძიებაში“, ჟურნ. „სარკე“, N21.

**„გზა“, 2013** – ჟურნ. „გზა“, N50 .

**ზურებიანი, 2010** – ლ. ზურებიანი, თარგმ., ა. ჰვილი, „სასტუმრო“, ნაწ. I.

„თბილ.“, 2009– ჟურნ. „თბილისელები“, N6, NN11, 23. 2013; NN2, 27, 35, 39. 2014; NN35, 37, 44.

მაისურაძე, 1972 – ე. მაისურაძე, „დაკარგული ოცნებები“.

„რეიტინგი“ – ჟურნ. „რეიტინგი“, N6. 2009; N10. 2010; N43. 2013; N3. 2014.

„სარკე“ – ჟურნ. „სარკე“, N35, 2009; N7. 2010; N38. 2012; NN20, 23. 2013; N19, 42. 2014; N5, 2016.

ქეგლი, 1986 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

ჩიქოზავა, 2010 – გ. ჩიქოზავა, თარგმ., ჟორჟ სიმენონი, „ყვითელი ძაღლი“.

ჩხეტიანი, 2012 – გ. ჩხეტიანი, თარგმ., ა. დიშევი, „მილიარდერის ანდერძი“.

## Vakhtang Maghradze

### On Some New Words Derived by the Confix *me-* -*e*

#### Summary

The confix *me-* -*e* was used even in old Georgian to derive the words related to handicraft and profession, e.g. *menelsatskheble*, *mezuere*, *memt'ile*, *mepsalmune*, *mekulbake*. A number of lexical units derived by this confix are attested in modern Georgian as well. It is possible to further clarify the designations of handicrafts and professions with regard to semantic groups: 1. One who makes or repairs something, e.g. *metone*, *meghvine*, *mep'ure*, *mekhashe*, *mesaate*, *menakhshire*, *mejghane*; 2. One who cultivates and sells something, e.g. *mebost'ne*, *meq'avavile*, *memts'vanile*, *merdzeve*, *mechaie*, *mets'vрилmane*; 3. One who takes care of domestic animals, e.g. *mejoge*, *metskhvare*, *meghore*, *meput'k're*; 4. An owner or a worker, e.g. *mep'at'rone*, *mesak'utre*, *mepurne*, *mekise*; 5. One who operates or drives something, e.g. *meurme*, *meet'le*, *medilizhne*, *meborne*, *met'ive*, *megutne*, *memankane*, *mesach'e*; 6. One who makes or plays musical instruments, e.g. *mest'vire*, *mezurne*, *mebuke*, *medole*, *mechongure*, *mepandure*; 7. One who takes care of farming land or guards something, e.g. *mebaghe*, *mevenakhe*, *mezvre*, *mevele*, *mejiniibe*. A separate

group will combine the designations of supporting or following something, e.g. *memat'iane*, *meist'orie*, *memarjvene*, *medrove*, etc.

It is noteworthy that some terms have two meanings at the same time. For example, the word *menakhshire* denotes both a man who produces coal and a man who sells it; *memts'vanile* means both a man who cultivates greens and a man who sells it; *mepurne* is a man who owns a bake-house or a man who works there; *mechongure* makes or plays the choghur, etc.

In modern Georgian a number of lexical units are derived using the said confix that are unnatural and artificial for the language (although nothing has changed in terms of formation), e.g. *mesats'q'obe*, *medasavlete*, *meshabate*, *metetreule*, *mederepne* (*mek'oridore*), *megolpe*, *megole*, etc.

## სალომე ომიამე

### ლინგვონიმების საკითხისათვის აქტუალურ ლინგვისტიკურ ცნება-ტერმინთა ლექსიკონში

საენათმეცნიერო მეტაენაში, რომლის მნიშვნელოვან ნაწილსაც ლინგვისტიკური ტერმინოლოგია წარმოადგენს, კუთვნილი ადგილი აქვთ ლინგვონიმებს.

ლინგვონიმი მეტაენის სპეციფიკური ერთეულია, რომელიც აღნიშნავს კონკრეტულ ენას, დიალექტსა თუ ენათა ოჯახს, როგორც აღწერის საგანს. ჩვენი ამოცანაა ლინგვონიმთა ადგილის განსაზღვრა აქტუალურ ლინგვისტიკურ ცნება-ტერმინთა ლექსიკონში, რომლის შედგენაზეც თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება მუშაობს.

ტერმინი **ლინგვონიმი** მე-20 საუკუნის შუა წლებიდან ჩნდება, მისი წინამორბედი ტერმინ-სინონიმებია **გლოტონიმი** ან **გლოსონიმი**. მხოლოდ აღნიშნული ინფორმაციის დამოწმება კმარა იმ სირთულის დასაწახად, რომელიც სალექსიკონო ერთეულთა შერჩევას ახლავს. ხშირად ჭირს ტერმინ-სინონიმთაგან აქტუალურობის მიხედვით რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ასეა – რუსულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში თუ უმეტესად ლინგვონიმი გვხვდება, ფრანგულ-, ინგლისურ- და გერმანულენოვან შრომებში აქტუალურობას არ კარგავს ტერმინი გლოსონიმი და მისი ვარიანტი გლოტონიმი.

ენათა სახელწოდებების აღმნიშვნელ და საკლასიფიკაციო ტერმინთა სისტემატიზაციის საჭიროებაზე საუბრობს ზაალ კიკვიძე ნაშრომში „ენათა სახელწოდებები: ტერმინოლოგია და იდეოლოგია“ (კიკვიძე, 2012: 47-50). ავტორი განიხილავს ორივე ტერმინს **გლოსონიმსა** და **ლინგვონიმს**, მათს ვარიანტებს – **გლოტონიმსა** და **ლინგვანიმს**, იქვე დამოწმებულია გლოსონიმთან დაკავშირებული დერივატები: **ავტოგლოსონიმი** (**ავტოგლოტონიმი**) – სახელწოდება, რომელსაც მოცემულ ენაზე მოლაპარაკე ხალხი უწოდებს თავის თავს; იმავე მნიშვნელობის ტერმინია **ენდოგლოსონიმი**; **ალოგლოსონიმი** (**ალოგლოტონიმი**) – სახელწოდება, რომელსაც სხვები უწოდებენ მოცემულ ენას; იმავე მნიშვნელობის ტერმინია **ეგზოგლოსონიმი**, ასევე, დერი-

ვატაგან სახელდება – **სუბგლოტონიმი, ბიბლიოგლოსონიმი, გლოსონიმი**.

ერთეულთა სიჭრელის მიზეზებზე მსჯელობისას იკვეთება ავტორის პოზიცია, იგი უპირატესობას ანიჭებს ტერმინ გლოსონიმს. მართალია, ამ არჩევანის მოტივზე საგანგებო მსჯელობა დასახელებულ სტატიაში არ გვხვდება, თუმცა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოტივი აღნიშნული ტერმინის დერივაციული პოტენციალი და მისი რეალიზებაა, რისი კონკრეტული მაგალითებიც ზემოთ მოვიყვანეთ.

რაც შეეხება ჩვენს არჩევანს, იგი იმ პოზიციას ემთხვევა, რომლითაც გასული საუკუნის შუა წლებში არსებული, წმინდა ბერძნული წარმოშობის **გლოსონიმის** ალტერნანტად ჰიბრიდული – ლათინურ-ბერძნული – ტერმინი **ლინგვონიმი** შეიქმნა. აღნიშნული ქმედება დაემყარა ორ სამეცნიერო დისციპლინას შორის ტერმინოლოგიური სიმეტრიის დაცვას, რის შედეგადაც – ეთნოგრაფია / ეთნოლოგიაში დამკვიდრებული „ეთნონიმის“ მსგავსად ლინგვისტიკაში „ლინგვონიმი“ გაჩნდა (შდრ. გლოტოლოგია – გლოტონიმი). ჩვენი არჩევანის სასარგებლოდ ისიც უნდა ითქვას, რომ ენათმეცნიერების დარგს, რომელიც შეისწავლის ენების, დიალექტების და მისთანათა სახელწოდებების წარმომავლობას, სტრუქტურასა და ფუნქციონირებას, **ლინგვონიმიკა** ეწოდება.

მთავარ სათქმელს (ჩვენს ლექსიკონში ლინგვონიმების ადგილის განსაზღვრას) რომ დავუბრუნდეთ, ტერმინოლოგიისა და ნომენკლატურის ურთიერთმიმართების საკვანძო საკითხები უნდა განვიხილოთ, რადგან ლინგვონიმები, თავის მხრივ, ნომენკლატურულ ერთეულებს წარმოადგენენ.

სპეციალურ ლიტერატურაში დასახელებულ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი სურათი იქმნება (დამბაშიძე, 1986: 75-88): არიან ავტორები, რომლებიც ტერმინსა და ნომენკლატურულ ერთეულს ან ნომენკლატურულ დასახელებას ერთმანეთის ნაცვლად გამოიყენებენ. მკაფიო განმასხვავებელ ნიშნებს ვერც ის მეცნიერები გთავაზობენ, რომლებიც ნომენსა და ტერმინს ერთმანეთს უპირისპირებენ. ყველაზე გავრცელებულია მათი ოპოზიციონირება, როგორც საგნობრივი და ცნებითი ნიშნებისა: ნომენი, ტერმინისაგან განსხვავებით, არ გამოხატავს ცნებას და, თავისი ფუნქციის მიხედვით, ერთგვარად უახლოვდება საკუთარ სახელს; ტერმინის მნიშვნელობა ამოიცნობა დეფინიციის საშუალებით, ნომენისა – აღწერით.

ტატიანა კანდელაკი ერთ-ერთ ნაშრომში „ნომენკლატურული სახელწოდებების საკითხისათვის“ (კანდელაკი, 1973) აღნიშნავს ტერმინისა და ნომენის დეფინიციათა სტრუქტურულ სხვაობას. ტერმინი, როგორც სისტემის ელემენტი, რომელიც აღნიშნავს გარკვეულ კლასს, განიმარტება უახლოესი გვარეობითი ცნებისა და მასზე დაქვემდებარებული სახეობითი ცნებების თანაფარდობით. ნომენკლატურული ნიშნის განმსაზღვრელი სტრუქტურა ასეთი სრულყოფილი ვერ იქნება, რადგან უახლოესი გვარეობითი ცნება კი დადგინდება, მაგრამ სახეობითი ნიშანი, რომელიც მას თანადაქვემდებარებულ ცნებათაგან გამოარჩევს, არ მოიძებნება, ამიტომ ეს იქნება არა დეფინიცია, არამედ აღწერა.

ამდენად, რომელიმე ლინგვონიმი, როგორც ნომენკლატურული ერთეული, განსხვავდება მეორე ასეთივე გვარის ცნებისაგან, ანუ სხვა ლინგვონიმისაგან, არა სახეობითი განსხვავებით, როგორც ეს ტერმინის შემთხვევაში ხდება, არამედ რაღაც დამატებითი ნიშნებით. ლინგვონიმებისათვის საერთო გვარეობითი ნიშანი ენაა, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მრავალმხრივ აღწერა-დახასიათებას მოითხოვს, რის გამოც ლინგვონიმები ტერმინოლოგიური ცნობარებისა თუ ლექსიკონების ერთეულთა შორის ვერ ხვდებიან. ამავე მიზეზით ვერ მოხვდებიან ისინი ვერც ჩვენი ლექსიკონის ძირითად ნაწილში.

ლინგვონიმთა თავმოყრასა და შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. ერთ-ერთი პირველი ნაშრომი, რომელიც ენათა სახელწოდებებსა და მათს აღწერას აერთიანებს, შვეიცარიელ მეცნიერს – კონრად გესნერს – ეკუთვნის და 1555 წელს არის გამოცემული. XVIII-XIX საუკუნეებში, ენათმეცნიერების განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ახალ ლინგვონიმთა რიცხვი. მათს აღსაწერად ადგენდნენ საძიებლებსა და ცნობარებს, რომლებშიც, გარდა ენებისა, დიალექტთა სახელწოდებებიც შეჰქონდათ. XIX საუკუნიდან გაჩნდა მსოფლიოს ცალკეულ რეგიონთა ენების ნუსხები, XX საუკუნიდან კი კატალოგები თუ ატლასები ძირითადად ენათა გენეალოგიურ კლასიფიკაციას დაემყარა.

ლინგვონიმთა შესწავლის თვალსაზრისით XX ს-ის პირველი ნახევრის ყველაზე ცნობილი ნაშრომებია ფრანკ ნიკოლაუს ფინკის (1909 წ.), ვილჰელმ შმიდტის (1923), ანტუან მეიესა და მარსელ კონინსა (1924 წ.) თუ სხვათა ცნობარები და ენციკლოპედიები. XXI ს-ის პირველ ნახევარში, დიგიტალურ ეპოქაში, ენებთან დაკავშირებულ ინფორმაციას მომხმარებლები სხვადასხვა ტიპის ელექტრონული წყა-



როებით იღებენ, რომელთა სანდოობის ხარისხი ხშირ შემთხვევაში არცთუ ისე მაღალია, რასაც, სხვა მიზეზებთან ერთად, გარკვეული იდეოლოგიური საფუძვლები აქვს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვგეგმავთ, რომ აქტუალურ ლინგვისტიკურ ცნება-ტერმინთა ლექსიკონის პოლიგრაფიული ვერსიისათვის მცირე ლინგვონიმიკური დანართი შევქმნათ, რომელშიც მხოლოდ ქართველურ ენებთან დაკავშირებულ ერთეულებს შევიტანთ. ლექსიკონის უფრო ვრცელ, ელექტრონულ ვერსიაზე მუშაობა თუ გაგრძელდა, შეიძლება დანართის მოცულობაც გაიზარდოს და იგი კავკასიურ ენებთან დაკავშირებული ლინგვონიმებით შეივსოს.

### ლიტერატურა

**კანდელაკი, 1973** – Т. Л. Канделаки, К вопросу о номенклатурных наименованиях. // Вопросы разработки научно-технической терминологии. Рига.

**კიკვიძე, 2012** – ზ. კიკვიძე, ენათა სახელწოდებები: ტერმინოლოგია და იდეოლოგია, „კავკასიოლოგიური ძიებანი“, IV, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

**დამბაშიძე, 1986** – რ. დამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, „მეცნიერება“, თბილისი.

**Salome Omiadze**

**On the Issue of Linguonyms in the Dictionary  
of Actual Linguistic Terms and Concepts**

Summary

In the linguistic metalanguage, a significant part of which is the linguistic terminology, linguonyms have their own place.

A linguonym is a specific unit of a metalanguage that marks a certain language, a dialect or a language family as a subject of description. Linguonyms are nomenclatural units. Our objective is to determine the place of linguonyms in the dictionary of actual linguistic terms and concepts that is being compiled by the Department of General Linguistics of Arnold Chikobava Institute of Linguistics at TSU. In order to solve the said problem the paper discusses the issue of interrelation between terminology and nomenclature at large; it shows the confrontation of a nomenclatural unit and a term as subjective and conceptual signs; it reviews different linguistic approaches based on which the decision is made on creating brief linguonymic annex for the printed version of the dictionary of actual linguistic terms and concepts that will unite the lexical units related only to Kartvelian languages.

## ირაკლი სალია

### ტერმინ „დისკურსის“ გაგებისათვის

#### ტერმინის ეტიმოლოგია

ტერმინი დისკურსი მომდინარეობს ლათინური სუპინუმიდან<sup>1</sup> *discursus*, რომელიც აქეთ-იქით სირბილს აღნიშნავდა. ხალხურ ლათინურში მან მსჯელობის, დასაბუთების მნიშვნელობა მიიღო და სწორედ ამ მნიშვნელობით შევიდა საშუალო ფრანგულსა და ინგლისურში (ვებსტერი)<sup>2</sup>.

მეოცე საუკუნის შუა წლებში ახალი ჰუმანიტარული დისციპლინების, თეორიების გაჩენის შედეგად ტერმინმა რამდენიმე მნიშვნელობა შეიძინა. შედეგად წარმოიშვა ინტერდისციპლინარული ტერმინი, რომელსაც რამდენიმე როგორც ურთიერთდაკავშირებული, ისე გამომრიცხავი მნიშვნელობით იყენებენ. მნიშვნელობების გამიჯვნა დარგების მიხედვით ძნელია. ზოგჯერ რთულდება მნიშვნელობის დადგენა ერთ დარგში. ეს სირთულეები განპირობებულია ჰუმანიტარული მეცნიერებების სიახლოვით, კვლევის გადამკვეთი მიზნებითა და საგნით, გამოცდილების მუდმივი ცვლითა და დისციპლინათშორისი კვლევების პოპულარობით.

#### ტერმინის მნიშვნელობა სოციოლოგიაში

სოციოლოგიაში დისკურსი მიშელ ფუკოს<sup>3</sup> მიერ შექმნილი მნიშვნელობით გამოიყენება. შესაბამისად, დისკურსში მოიაზრება გა-

---

<sup>1</sup> სუპინუმი – ზოგ ენაში (მაგ., ლათინურში) ნაზმნარი სახელი, რომელიც ინფინიტივის როლს ასრულებს გარკვეულ კონსტრუქციებში (ჭაბაშვილი, 1989).

<sup>2</sup> ინგლისურში ამ სიტყვის გამოთქმაზე გავლენა ფრანგულმა მოახდინა.

<sup>3</sup> მიშელ ფუკო – ფრანგი ფილოსოფოსი, იდეების ისტორიკოსი, სოციალური თეორეტიკოსი და ლიტერატურის კრიტიკოსი. მისი შეხედულებები ძირითადად აგებულია ძალაუფლებისა და ცოდნის მიმართებაზე და მათ გამოყენებაზე სოციალურ ინსტიტუტებზე კონტროლის დასამყარებლად. მისმა ნააზრევმა დიდი გავლენა მოახდინა სოციოლოგიაზე, კულტურის კვლევებზე, ლიტერატურის თეორიასა და კრიტიკულ თეორიაზე.

რკვეული მეცნიერული და სპეციალური ენები და მათთან დაკავშირებული იდეები და სოციალური შედეგები, რომლებიც, ფუკოს მიხედვით, უნდა გავიგოთ, როგორც სოციალური ძალაუფლება და არა როგორც უბრალოდ სამყაროს აღწერის საშუალება. მაგალითად, სამედიცინო და სამეცნიერო დისკურსების წყალობით სექსუალობისა და სიგიჟის ცნებები და მათთან დამოკიდებულება ძირეულად შეიცვალა XX საუკუნეში. ფუკოს კონცეფციის მნიშვნელოვანი ასპექტია, რომ ნებისმიერი მოვლენა დისკურსის შიგნით ყალიბდება, ანუ არ არსებობს მოვლენა დისკურსის გარეთ.

ამავე დროს, სოციოლოგიაში დისკურსს ხშირად იყენებენ იმ მნიშვნელობით, რომელიც ფორმალურ მეტყველებაში (როგორც წერილობით, ისე ზეპირ, როგორც დაგეგმილ, ისე დაუგეგმავ მეტყველებაში) მკვიდრდება და გვხვდება ყველა ისეთ დარგშიც, რომლებშიც ეს ტერმინი შეიძლება საერთოდ გამოიყენებოდეს. ამ მნიშვნელობით დისკურსი ნიშნავს გარკვეულ სისტემათა შემოსაზღვრას, რომლის ფარგლებში დაგროვილია გამონათქვამთა რაოდენობა, სოციალური ან იდეოლოგიური პოზიციებიდან გამომდინარე; „ტერმინი დისკურსი ხშირად ასევე გამოიყენება შეზღუდვის სისტემის აღსანიშნავად, რომელიც საფუძვლად ედება შეუზღუდავი რაოდენობის გამონათქვამებს განსაზღვრული სოციალური ან იდეოლოგიური პოზიციებიდან გამომდინარე“ (დისკურსის ანალიზი, 2001: 550). სხვაგვარად, „დისკურსი არის ენასა და მის კონკრეტულ კონტექსტში დამკვიდრებული ცოდნის, აზრების, გამოცდილებისა და სხვ. ორგანიზების ფორმა“ (ვებსტერი). ამდენად, შეიძლება ვისაუბროთ *ყოველდღიურ დისკურსზე, ფემინისტურ დისკურსზე, რელიგიურ დისკურსზე, მეცნიერულ დისკურსზე, ლიტერატურულ დისკურსზე* და ა.შ.

„კომუნიზმთან განშორების პერიოდში ჩვენთან სრულად ბატონობდა განთავისუფლების *დისკურსი*, მაგრამ ამ განთავისუფლების დისკურსში გაბატონებული, დომინირებული იყო ნაციონალისტური კომპონენტი ...“ (გვახარია, 2002).

როგორც ვხედავთ, ტერმინის უშუალოდ ისტორიული მნიშვნელობიდან სწორედ ეს მნიშვნელობა არის განვითარებული. თუ მეოცე საუკუნემდე ეს ტერმინი მსჯელობას აღნიშნავდა, მეოცე და 21-ე საუკუნეში გარკვეულ საკითხზე მსჯელობის პრაქტიკას, ფორმას, დაგროვილ ცოდნას, გამოცდილებას აღნიშნავს, ე.ი. საქმე ისევ მსჯელობასთან, განხილვასთან, გარკვეულ სააზროვნო სივრცესთან გვაქვს. უნდა

დავაზუსტოთ, რომ აზროვნება, მსჯელობა, განხილვა ამ შემთხვევაში არ არის გამოყენებული, როგორც შეფასებითი კატეგორია. აქ კონოტაციისგან დაცლილი გონებრივი აქტივობა იგულისხმება. ეს დაზუსტება საჭიროდ მივიჩნით იმიტომ, რომ ხაზი გაგვესვა ამ სემის გამოყენების არეზე, რომ არ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ტერმინი მხოლოდ ინტელექტუალებს, მეცნიერებს... მიემართება და/ან მხოლოდ წიაღსვლებსა და/ან არატრივიალურ საკითხებს გულისხმობს.

### ტერმინის მნიშვნელობა ფსიქოლოგიაში

ფსიქოლოგიის ლექსიკონში დისკურსი და დისკურსის ცნებაზე დაფუძნებული მეთოდი, დისკურსის ანალიზი, განმარტებულია ლინგვისტურად, რაც, როგორც ციტატიდან ჩანს, სამეტყველო აქტების თეორიაში ფსიქოლოგიისა და ენათმეცნიერების გადაკვეთის შედეგია:

„**დისკურსს** სამეტყველო აქტის თეორეტიკოსები წინადადებაზე დიდ გამონათქვამს უწოდებენ“.

„**დისკურსის** ანალიზი ენათმეცნიერებასა და მომიჯნავე დისციპლინებში არის წინადადებაზე დიდი ერთეულის ანალიზი, მაგალითად, წერილობით ტექსტებში აზნაცის ანალიზი, მეტყველებაში სამეტყველო სვლის ანალიზი“ (რებერი, 1995).

დისკურსს ფსიქოლოგიაში უკავშირდება დამოუკიდებელი მიმდინარეობაც, დისკურსული ფსიქოლოგიაც. ეს არის, ფაქტობრივად, დისკურსის ფსიქოლოგიური ანალიზი. ფსიქოლოგიის ეს მიმართულება იკვლევს როგორც წერილობით, ისე სამეტყველო ტექსტებს წმინდა ფსიქოლოგიური მიზნებით.

### ტერმინის მნიშვნელობა ენათმეცნიერებაში

ენათმეცნიერებაში დისკურსს რამდენიმე მნიშვნელობით იყენებენ:

- 1) დისკურსს თვლიან წინადადებაზე დიდ ერთეულად (რაც შემდეგი ორი მნიშვნელობის ინვარიანტული მნიშვნელობაა).
- 2) დისკურსი ტექსტის სინონიმია.

„ტექსტის ლინგვისტიკა შეისწავლის მხოლოდ ისეთ ენობრივ გამონათქვამებს, რომელთაც შეუძლიათ საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულება. ამ თვალსაზრისით **ტექსტი ანუ**

**დისკურსი** შეიძლება იყოს ცალკეული სიტყვა (მაგალითად, შესასვლელი), არასრული წინადადება, ფრაზა, დასახელება (მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), წინადადება (მაგალითად, ნუ მოწევთ!) და, ბოლოს, მთელი წიგნი (მაგალითად, დასრულებული მოთხრობა ან რომანი) და სხვ.“ (გამყრელიძე... 2008: 434).

- 3) დისკურსი იგივეა, რაც მეტყველება ან უფრო ფართო გაგებით, ნებისმიერი გამონათქვამი, რამდენადაც მეტყველება შედგება გამონათქვამებისაგან. დისკურსის ამგვარი გაგება დაკავშირებულია მეტყველების სიტუაციურ გამოყენებასთან.
- 4) მეოთხე მნიშვნელობა, რომლითაც ტერმინი დისკურსი გვხვდება სამეცნიერო პრაქტიკაში და რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს დისკურსის იმგვარი გაგებისაგან, რომ იგი არის გამონათქვამთა კომპლექსი, პროცესი და რეზულტატი კომუნიკაციური აქტისა, გულისხმობს დისკურსის თეორიის პრაგმატიკულ-კომუნიკაციურ ჭრილში განხილვას. მასასადაამე, ტექსტი მართალია არ არის დისკურსი, მაგრამ დისკურსი არ არსებობს ტექსტის გარეშე და იგი არის ტექსტის იმგვარი განზომილება, რომელიც შედგება გამონათქვამთა ჯაჭვისაგან, ანუ როგორც პროცესი და რეზულტატი სამეტყველო (კომუნიკაციური) აქტისა – ტექსტი აღებული ხდომილებრივ ასპექტში... ექსტრალინგვისტურ, სოციოკულტურულ, ფსიქოლოგიურ და სხვა ფაქტორთა ერთობლიობასთან ერთად. ხოლო თავად ტექსტი არის დისკურსის პროდუქტი (თევდორაძე, 2010: 57).

ზოგიერთი მეცნიერი უფრო შორს მიდის და მთლიანად მიჯნავს ტექსტსა და დისკურსს. ტოინ ვან დეიკის აზრით, რომ დისკურსი არის აქტუალურად წარმოთქმული ტექსტი, ხოლო ტექსტი – აბსტრაქტული გრამატიკული სტრუქტურა. დისკურსი ეს არის ცნება, რომელიც ეხება მეტყველებას, აქტუალურ სამეტყველო ქმედებას, მაშინ როდესაც ტექსტი არის ცნება, რომელიც ეხება ენის სისტემას. ამგვარი გაგებით, დისკურსი არის უკვე არა უშუალოდ მეტყველება, არამედ მეტყველების აბსტრაქტული გაგება (თევდორაძე, 2010: 56).

ენათმეცნიერებაში არსებობს დისკურსის კიდევ ერთი გაგება, რომელიც ემილ ბენვენისტს ეკუთვნის. იგი დისკურსს უპირისპირებს ობიექტურ თხრობას (ომიაძე 2006: 21; დისკურსის ანალიზი, 2001: 550).

## დასკვნა

დისკურსი ინტერდისციპლინური კვლევების ტერმინია, ამავე დროს მეცნიერების ზოგიერთ დარგში (რომელიც ინტერდისციპლინურია) მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, რის გამოც ხშირად რთულია დადგენა, თუ რა მნიშვნელობით არის ნახმარი კონტექსტში ეს ტერმინი. უფრო სწორად, არსებობს რამდენიმე ომონიმური ტერმინი, რომლებიც, თავის მხრივ, პოლისემიურია. ხშირად არასისტემურად გამოიყენება როგორც ომონიმური ტერმინები, ისე პოლისემიური ტერმინი თავისი განსხვავებული მნიშვნელობებით, რაც აბუნდოვანებს შინაარსს.

„როგორც ვხედავთ, არცერთი განმარტება არ არის ნათელი და სრული: ერთგან იგი წარმოდგენილია როგორც ტექსტების ერთობლიობა, მეორეგან – დისკურსულ პრაქტიკებში განხორციელებული ურთიერთობა, მესამეგან – როგორც სამეტყველო კომუნიკაციის სახეობა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ყველა მითითებულ სფეროში (ტექსტის ლინგვისტიკა, დისკურს-ანალიზი, სოციოლოგია, სოციალური სემიოტიკა, ლოგიკა და ფილოსოფია) დისკურსის განსხვავებული დეფინიციებიც არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ცნების განსაზღვრება სხვადასხვა მეცნიერული ცოდნის ფარგლებშიც კი უნიფიცირებული არ არის“ (ომიაძე, 2006: 18).

ამ დაბრკოლების დაძლევის ერთი გზაა კონკრეტული ავტორის შრომების საფუძვლიანი შესწავლა და ამ გზით გამორკვევა, რა მნიშვნელობას დებს ის ამ ტერმინში. მეორე გზას თავად ავტორები გვთავაზობენ, როცა ტერმინის მნიშვნელობის გაგებასთან დაკავშირებულ სირთულეებზე საუბრის შემდეგ ამბობენ, რა მნიშვნელობით აქვთ გამოყენებული ეს ტერმინი მათ ნაშრომში.

## ლიტერატურა

**გამყრელიძე...**, 2008 – თამაზ გამყრელიძე, ზაზა კვიციანი, ინგა შადური, ნანა შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**გვხარია, 2002** – გიორგი გვხარია, „ნაციონალიზმი კინოში... და არამართო კინოში“, „რადიო თავისუფლება“, თბილისი.

**დისკურსი, 1987** – Jonathan Potter, Margaret Wetherell, Discourse and Social Psychology: Beyond Attitudes and behaviour, SAGE Publications Inc, London, Newbury Park, Beverly Hills, New Delhi.

**დისკურსის ანალიზი, 2001** – Патрик Серио, Анализ дискурса во Французской школе (Дискурс и интердискурс), Антология Семиотика, Степанов Ю. С. (Составление и общая редакция), Москва

**ენციკლოპედია, 1987** – David Crystal, The Cambridge Encyclopedia of Language, Cambridge University Press, Cambridge.

**ენციკლოპედია, 1992** – David Crystal, An Encyclopedic Dictionary of Language and Languages, Penguin Books, London.

**ენციკლოპედია, 2004** – Michael S. Lewis-Beck, Alan Bryman, Tim Futing Liao, The Sage Encyclopedia of Social Science Research Methods, Thousand Oaks, California, Sage.

**თევდორაძე, 2010** – ნინო თევდორაძე, ტექსტის ლინგვისტიკა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

**ლექსიკონი, 1990** – Chris [Baldick](#), [The concise Oxford dictionary of literary terms](#), Oxford, Oxford University Press.

**ლექსიკონი, 1992** – Christina Ruse, Marilyn Hopton, The Cassell dictionary of literary and language terms, Cassell, London.

**ლექსიკონი, 1998** – Edmund Weiner, Sylvia Chalker, The Oxford dictionary of English Grammar, Oxford University press, Oxford.

**ლექსიკონი, 2000** – Robert Lawrence [Trask](#), The Penguin dictionary of English Grammar, Penguin books, England.

**სოციოლოგიის ლექსიკონი, 2000** – David Jary, Julia Jary, Collins Dictionary Sociology, Harper Collins Publishers, Glasgow.

**ომიაძე, 2006** – სალომე ომიაძე, ქართული დისკურსის ლინგვო-კულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა-სემანტიკა და ფუნქციონირება, თბილისი.

**ვებსტერი** – <https://www.merriam-webster.com/>

**ოქსფორდის ლექსიკონი**– <https://en.oxforddictionaries.com/>



**რებერი, 1995** – Arthur S. Reber, The Penguin Dictionary of Psychology, Penguin Books, London.

**ჭაბაშვილი, 1989** – მიხეილ ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, „განათლება“, თბილისი.

**Irakli Salia**

### Comprehension of the Term *disk'ursi* “Discourse”

#### Summary

*disk'ursi* “discourse” is a widely used term in modern Georgian. It is used differently in various fields of science as well as in everyday speech. The varied meanings make it difficult to comprehend the term. The present paper deals with this problem.

Based on the special works about different specialized dictionaries and terms, we have found the meanings of the term, learnt much about its origin and the history of development. As a result, we have a picture that is perfectly described by the following excerpt: “As we can see no definition is clear and complete: sometimes it denotes the combination of texts, sometimes it refers to the relationship in discourse practices or the type of communication. It should be taken into account that in all the said fields (text linguistics, discourse-analysis, sociology, social semiotics, logic and philosophy) the word discourse is defined differently which means that the definition is not uniform even within different scientific knowledge” (Omiadze 2006: 18).

## ლია სუთიძე

### ტექნიკური ტერმინოლოგიის სარედაქციო საკითხისთვის

ქართული სამეცნიერო-ტექნიკური ენა კრიზისის განიცდის, რაც უარყოფითად აისახება ცალკეულ სახელმძღვანელოებსა და დამხმარე ლიტერატურაზე. ტექნიკური პროგრესის არნახულმა შემოტევამ უკიდურესად გააუარესა ქართული ენის, კერძოდ კი, ტექნიკური ტერმინოლოგიის ნორმატიული სტანდარტები. მკვეთრი ტერმინოლოგიური ცვლილებები განიცადა მეცნიერების თითქმის ყველა დარგმა და განსაკუთრებით ინფორმატიკის სფერომ. ამდენად, უკვე არსებული ტექნიკური ტერმინოლოგიის რუსული და ქართული ნაწილები ვედარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და დღის წესრიგში დგება სრულიად ახალი სტრუქტურული აგებულების ტექნიკური ტერმინოლოგია – ლექსიკონის გამოცემა, რომელშიც მოკლედ იქნება განმარტებული ტექნიკური ტერმინები. ტერმინოლოგია უნდა დაიხვეწოს და გამარტივდეს, განახლდეს და შეივსოს ახალი ტერმინებით, ხოლო მოძველებული ტერმინები და ძირითადი სალექსიკონო ერთეულების ბუდეები, რომლებიც ამჟამად დარგობრივ ლექსიკონებს, უნდა ამოიღონ.

იმედია, „კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“ ხელს შეუწყობს ტექნიკური ტერმინოლოგიის მოწესრიგებას.

ტერმინოლოგიის დახვეწა, გამარტივება, განახლება და შევსება ტექნიკური პროგრესის განუყოფელი და თანმდევი პროცესია. 21-ე საუკუნე არ გვამლევს იმის უფლებას, რომ დროს ჩამოვრჩეთ და არ ვიზრუნოთ ენის კანონზომიერ განვითარებაზე, რომლის ერთ-ერთი უდიდესი შემადგენელი ნაწილი სწორედ ტექნიკური ტერმინოლოგიაა. ლექსიკონზე მუშაობას ქვის კოდვა სჯობსო, – უთქვამს ცნობილ ენათმეცნიერს, ვუკოლ ბერიძეს და, მართლაც, დიდა იმ ადამიანების დამსახურება, რომლებმაც წლების მანძილზე უზარმაზარი შრომა და ენერგია ჩადეს ქართული დარგობრივი ლექსიკონებისა და ახალი ტექნიკური ტერმინების შექმნაში, რითაც დიდი დახმარება გაგვიწიეს რუსული ტექნიკური სასწავლო ლიტერატურის ქართულით ჩანაცვლების საქმეში.

ტექნიკური ტერმინოლოგიის ახალი გამოცემის მოსამზადებელი სამუშაოები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაი-

წყო, როდესაც შეიქმნა სახელმწიფო კომისია აკად. არჩილ მიმიგურის ხელმძღვანელობით. ამ კომისიაში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს სხვებთან ერთად ჩვენც წარმოვადგენთ. ჩვენი მოსაზრებები, შეჯერებული მექანიკის სპეციალისტებთან, ეხებოდა მოძველებულ და გამოუყენებელ ტერმინებს, რომლებიც მრავლად დაგროვდა ტექნიკურ ტერმინოლოგიაში. ნაშრომი, რომელიც რამდენიმე ათეულ ტერმინს ეხებოდა, გადავეცი მანქანათა მექანიკის ინსტიტუტს, საიდან სხვათა ნაშრომებთან ერთად კომისიაში უნდა მოხვედრილიყო. როგორც ცნობილია, ტერმინოლოგიის კომისიის მუშაობა შეწყდა და დღემდე არც ახალი სახით განახლებულა.

ტექნიკური პროგრესის არნახულმა შემოტევამ უკიდურესად გააუარესა ზოგადად ქართული ენისა და ტექნიკური ტერმინოლოგიის ნორმატიული სტანდარტები. მკვეთრი ტერმინოლოგიური ცვლილებები განიცადა მეცნიერების თითქმის ყველა დარგმა და ინფორმატიკის სფერომ. როგორც არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. ა. არაბული აღნიშნავს, „თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში და განსაკუთრებით ბოლო 10-12 წელიწადში ყველაფერი გაკეთდა იმ ფორმალური ინსტიტუციების საბოლოოდ მოსაშლელად, რომელთაც ნაწილობრივ მაინც შეეძლოთ პრობლემასთან გამკლავება“.

2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ“, რომლის მიხედვითაც „ტექნიკური დოკუმენტაციისა და საქმის წარმოებაში გამოიყენება ერთიანი ტერმინოლოგია. ტერმინოლოგიის დადგენისა და გამოყენების ნორმებს განსაზღვრავს სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისია“.

სამეცნიერო-ტექნიკური ენის კრიზისი აისახა უმაღლესი სასწავლებლების ცალკეულ სახელმძღვანელოებსა და დამხმარე ლიტერატურაში, რაზედაც ჩვენ მივუთითებდით ადრე გამოქვეყნებულ სტატიებში. იმედია, რომ „კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“ აღმოფხვრის ტერმინოლოგიურ სისტემაში არსებულ ხარვეზებს და შექმნის დასაყრდენს სწრაფი და საჭირო ინსტიტუციური ღონისძიებების განსახორციელებლად.

ამ მეტად საშურ საქმეს უკვე შეუდგა და მოსამზადებელ სამუშაოებს ატარებს არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიის განყოფილება, რომელთანაც უკვე მეორე წელია ვთანამშრომლობთ და ტერმინოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილ ორ კონფერენციაშიც მივიღეთ მონაწილეობა. ბედნიერი შემთხვევის

წყალობით აქვე აღმოვაჩინეთ ჩვენი ოცი წლის წინანდელი ნაშრომი, რომელიც რედაქტირდება და მუშავდება აღნიშნული განყოფილების თანამშრომლების მიერ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 55-წლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში, როდესაც მუშაობა გვიწევდა სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის სტატიების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადებაზე, ბევრი შენიშვნა დაგვიგროვდა ტექნიკური ტერმინოლოგიის მიმართ. ამავდროულად, მოყვარულის დონეზე ვიკვლევდით ტექნიკურ სასწავლო ლიტერატურაში გამოყენებულ ტერმინებს და შედეგად გაგვიჩნდა სურვილი და მოთხოვნა, თავიდან ბოლომდე ყურადღებით ჩაგვეკითხა ტექნიკური ტერმინოლოგიის ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ნაწილები. ლექსიკონის ამგვარმა შესწავლამ გარკვეულ მოსაზრებამდე მიგვიყვანა ტექნიკური ტერმინოლოგიის სტრუქტურული აგებისა და ზოგიერთი ტექნიკური ტერმინის შესაბამისობის თვალსაზრისით. ამის თაობაზე ჩვენ წავიკითხეთ მოხსენება ზემოთ ხსენებულ კონფერენციაზე (23.09. 2016 წ.) და ახლა გამოგვაქვს მკითხველის სამსჯავროზე.

#### ძირითადი ნაწილი

უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემია ძირითად სალექსიკონო ერთეულთა ბუდეების სიმრავლე და მათი მოცულობა ტექნიკურ ტერმინოლოგიაში. თუ მიზნად დავისახავთ, რომ ნებისმიერი ტექნიკური საშუალება თავისი კონსტრუქციულ-დანიშნულებითი მაჩვენებლებით უნდა მოხვდეს მხოლოდ ერთი ძირითადი ტერმინის ბუდეში, არაფერი გამოგვივა, პირიქით, ამ ტერმინთა განმარტებებს თუ მოვიშველიებთ, ესა თუ ის ტექნიკური საშუალება ერთდროულად შეიძლება რამდენიმე მათგანს მივაკუთვნოთ. სინამდვილეში ასეც არის ტექნიკური ტერმინოლოგიის ტერმინთა ბუდეებში, თუმცა განმარტებების არარსებობის გამო მკითხველი შეიძლება დაიბნეს და ვერ გაარკვიოს, კომპრესორი ძალური დანადგარია თუ აგრეგატი?

ზემოთ აღნიშნულის გამო ჩვენი კვლევის საგანს ამჯერად რამდენიმე ტერმინი წარმოადგენს, კერძოდ: **მოწყობილობა, მანქანა, დანადგარი, აგრეგატი**. განვიხილოთ მათი განმარტებები სხვადასხვა დარგის განმარტებითი ლექსიკონების, ენციკლოპედიური გამოცემებისა და საცნობარო წყაროების მოშველიებით, ასევე ჩვენეული გაგებით.

**მოწყობილობა** – ზოგადი ცნებაა და მოიცავს მანქანების, აპარატების, მექანიზმების, აგრეგატების, დანადგარების, ხელსაწყოების, სამარჯვ-იარაღების, ჩარხების, დაზგების, ამწე-სატრანსპორტო და მრავალი სხვა ტექნიკური საშუალების ერთობლიობას, რომელიც აუცილებელია სხვადასხვა საწარმოს ტექნოლოგიური ხაზების, ქარხნების, საამქროების, კარიერებისა და სხვათა ასამუშავებლად და პროდუქციის გამოსაშვებად. მოწყობილობას ხშირად აღჭურვილობასაც უწოდებენ, რაც თვით მანქანების, დანადგარების, აგრეგატებისა და სხვა მოწყობილობასთანაც ასოცირდება (მაგ., ტრაქტორის სავალი მოწყობილობა, ექსკავატორის მუშა მოწყობილობა). აქედან გამომდინარე, რა შეიძლება მოხდეს „მოწყობილობის“ ბუდეში? – რა თქმა უნდა, ათობით, ათასობით და ათიათასობით ტექნიკური საშუალება, რომელთა ჩამოთვლაც, ცხადია, შეუძლებელია და, ჩვენი აზრით, სულაც არ არის ამის საჭიროება. რატომ უნდა ეძებდეს მკითხველი ამა თუ იმ ტექნიკურ საშუალებას მოწყობილობის ბუდეში, მაშინ როდესაც მას თავისი ადგილი მიენიჭება ტერმინოლოგიაში. თუ რომელიმე მათგანი ვერ მოხვდა ბუდეში, მოწყობილობა არ არის? ამდენად, **მოწყობილობის** ბუდის არსებობა ჩემთვის მიუღებელია, თუმცა მაგალითისთვის ძალზე მოკლე ჩამონათვალი შეიძლება დაერთოს ტერმინს.

2. **დანადგარი** – გარკვეული დანიშნულების მოწყობილობების ერთობლიობაა, რომელიც ასრულებს რაღაც სამუშაოს და იძლევა პროდუქტს, ენერჯიას. მაგალითად, სამსხვრევ-სახარისხებელი დანადგარი, მიწასაწოვი დანადგარი, საბურღი დანადგარი და სხვ. «Установка – установленный где-нибудь механизм, приспособление. Заводские установки» (ოჟეგოვი, 1961:900). როგორც ვხედავთ, დანადგარი შეიძლება ეწოდოს ნებისმიერ ტექნიკურ საშუალებას ან მათ ერთობლიობას, დაყენებულს ქარხანაში ან, დავუშვათ, კარიერში, რომელთაც არ გააჩნიათ რაიმე დამახასიათებელი ნიშან-თვისება (კონსტრუქციული ან დანიშნულებითი) და, ამგვარად, დანადგარიცა და მისი ბუდეც გაუგებრობას იწვევს.

3. **მანქანა** ეწოდება ნებისმიერ მექანიკურ მოწყობილობას, რომელიც გარდაქმნის ენერჯიის ერთ სახეს მეორეში და ასრულებს მუშაობას. იგი შედგება კორპუსით ან სადგარით გაერთიანებული ერთი ან რამდენიმე მექანიზმისგან, რომლებსაც აქვთ გარკვეული დანიშნულება – გადაადგილების, მობრუნების, ტვირთის ასაწევი და სხვ.

დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ ენერგეტიკულ, სა-მუშაო და საინფორმაციო მანქანებს. ცნობილია მანქანების კონსტრუქ-

ციულ-უნიფიცირებული ოჯახი და რიგი. მაშასადამე, მანქანა გარკვეულწილად გასაგები და მისაღები ნიშნებით ხასიათდება და მის ბუდეში შეიძლება მოხვდეს, მაგალითისთვის, მხოლოდ რამდენიმე მანქანა, ამდენად, არ არის საჭირო ათიათასობით დასახელების მანქანის შეტანა ბუდეში, თუ რომელიმე მანქანა ბუდეში არ არის გაერთიანებული, ის მანქანა არ არის!

4. რაც შეეხება ტერმინ **აგრეგატს** – აქვე შევნიშნავთ, რომ მისი ბუდე ბუნდოვანებას იწვევს და ცნებებიც არეულია, რაც განპირობებულია თვით აგრეგატის ადგილითა და დანიშნულებით სხვადასხვა მოწყობილობასა თუ კომპლექსში და არ გააჩნია რაიმე თვისობრივად განსხვავებული მახასიათებელი. თვით აგრეგატის განმარტებაც განსხვავებულია სხვადასხვა ავტორთა ლექსიკონებში. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

1. „რთული მანქანა, რომელიც შედგება ერთმანეთთან შეერთებული სხვადასხვა ტიპის რამდენიმე მანქანისგან. მაგალითად, ტრაქტორი და კომბაინი; ტურბოგენერატორი“ (ჭაბაშვილი, 1964).

2. а) Соединение для общей работы двух или нескольких разнотипных машин. Уборочный агрегат (трактор и комбайн);

б) Часть какой-то машины, узел для выполнения определённых операций; узел: часть механизма или механическое устройство, представляющие собой сложное соединение деталей, отдельных частей (მარტინოვი, 1990).

3. а) Унифицированный узел машины (напр. электродвигатель, редуктор, насос), выполняющий определённые функции. Агрегаты обладают взаимозаменяемостью (ხაზგასმა ჩემია);

б) Несколько машин, работающих в комплексе (машино-тракторный и др.) (ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1990).

ჩამოთვლილი განმარტებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აგრეგატი არ არის რომელიმე კონკრეტული კონსტრუქციისა და დანიშნულების მექანიკური მოწყობილობა, მანქანის ნაწილი ან კვანძი. ნებისმიერმა მათგანმა შეიძლება მისი ანალოგი ჩაანაცვლოს. ამდენად, აგრეგატის განმარტებაში მნიშვნელოვანია, რომ **“აგრეგატები ხასიათდებათ ურთიერთშეცვლადობით”** (ხაზგასმა ჩემია).

აღნიშნულიდან გამომდინარე, აგრეგატის ბუდის შექმნა უმართებულოდ მიგვაჩნია (გარდა რამდენიმე მოყვანილი მაგალითისა), მით უმეტეს, რომ ტექნიკურ ლიტერატურაში (მაგალითად, სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობების წარმოებაში) ერთსა და იმავე მოწყო-

ბილობას აგრეგატსაც უწოდებენ და დანადგარსაც. მაგალითად, საფქვავე და სალუმელე აგრეგატები ან საფქვავე და სალუმელე დანადგარები, რომლებიც შედის ცემენტის წარმოების ტექნოლოგიურ ხაზებში (ლოსკუტოვი, 1986); რუბეროიდის დამამზადებელი აგრეგატი (CMA-184) შედგება რამდენიმე დანიშნულების მანქანა-დანადგარისგან (დაზგებისგან). მსხვილი, საშუალო და წვრილი მსხვრევის აგრეგატები (სამშენებლო მანქანები, 1991, I: 301-310) სხვა ტექნიკურ ლიტერატურაში განიხილება, როგორც მანქანები და მოწყობილობები (ლოსკუტოვი, 1986) და ა.შ.

როგორც ცნობილია, სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების რამდენიმე ერთად მომუშავე მანქანის ერთობლიობა ქმნის კომპლექსს (მაგალითად, საგზაო მშენებლობაზე) და მას *აგრეგატს* ვერ ვუწოდებთ, პირიქით, კომპლექსში შეიძლება შედიოდეს რომელიმე აგრეგატი, კერძოდ, უნიფიცირებული ამძრავი აგრეგატი, აგრეთვე აგრეგატირებული აპარატურის კომპლექსი (სამშენებლო მანქანები, 1991, I: 366, 372). პერსპექტიულია პროგრესული ჰიდრომოწყობილობა აგრეგატული შესრულების ჰიდროტუმბოების (ანუ ურთიერთშეცვლადი – ხაზგასმა ჩემია) ბაზაზე (სამშენებლო მანქანები, 1991, I: 391) და ა.შ.

ახლა ვნახოთ და, შეძლებისამებრ, გავანალიზოთ, როგორ არის წარმოდგენილი ტექნიკურ ტერმინოლოგიაში ტერმინ *აგრეგატის* ბუდე.

1. *აგურსაკეთებელი აგრეგატი* – თვით დასახელებაც არ არის მიზანშეწონილი, მოძველებულია. ახალი გამოცემის ცნობარში განხილულ ტექნოლოგიურ სქემებში *აგურსაკეთებელი აგრეგატი* არ არის ნახსენები (სამშენებლო მანქანები, 1991, I: 226-227; 314; 324). ეს ტერმინი, ჩვენი აზრით, საერთოდ ამოსაღებია.

2. *ავტომობილის აგრეგატი* – ავტომობილი თავისთავად მანქანაა, მაგრამ აგრეგატიზაციის პროცესში შესაძლოა აგრეგატად მოგვევლინოს. ასევე ითქმის ნებისმიერ სხვა მანქანაზეც.

3. *აირსაშემდგომელი აგრეგატი* – შედის ასევე “აპარატის” ბუდეშიც, რაც, ჩემი აზრით, უფრო უპრიანია და მას *აირშემდგომლის აპარატს* ვუწოდებდით.

4. *აკუსტიკური აგრეგატი*, სავარაუდოდ, უფრო აგრეგატია, თუმცა სად და რა შეწყვილებით (ან დამოუკიდებლად) გამოიყენება იგი, როგორც აგრეგატი, უცნობია.

5. *ამგზნები აგრეგატი* – ბუნდოვანი ტერმინია. თუ საუბარია ვიბრაციის აღმძვრელ მოწყობილობაზე, მაშინ მას ვიბრაციული მანქა-

ნა ეწოდება და ფართოდ გამოიყენება სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობების წარმოებაში (სამშენებლო მანქანები, 1991, I: 348-357). ამასთან, იგი აპარატის ბუდეშიც არის განთავსებული *აგ ზნების აპარატის* სახით (возбудительный და возбуждение პრაქტიკულად ერთი და იგივეა). რითი განსხვავდება *ამგ ზნები აგრეგატი აგ ზნების აპარატის-გან*, გაუგებარია და მკითხველის დაბნევას გამოიწვევს.

აგრეგატის ბუდე სავსეა გაუგებარი, დაუკონკრეტებელი ტერმინებით, როგორებიცაა: *ამოსაღები ა; გამოსაძახებელი ა; იგნიტრონული ა; ორმანქანიანი ა; სამუხტავი ა; უკუძაბვის ა; ხაზის ა; ხისტად შეწყვილებული ა; ხლართულბოჭკოვანი ა; ხმამაღლა მოლაპარაკე ა; ჰიდრავლიკური ა; ქერცლოვანი ა; ფართო პირმოღების ა.* და სხვ.

ცხადია, ბუდეში განთავსებული უმეტესი ტერმინები აგრეგატზე მიგვანიშნებენ, მაგრამ მათი აქ წარმოდგენა სულაც არ არის სრული, განმარტებების გარეშეა და მკითხველსაც დააბნევს. მაგალითად, *კომპრესორის აგრეგატი*. კომპრესორი არის მანქანა - ძალური დანადგარი, რომელიც ლესიკონში მისთვის განსაზღვრულ ადგილზეა წარმოდგენილი და ჩამოთვლილია მისი ნაირსახეობები. აგრეგატად ის მაშინ გადაიქცევა, როდესაც ურთიერთშეცვლადობის პრინციპით მოხვდება აგრეგატიზაციის პროცესში. ასევე ითქმის ყველა სხვა, აგრეგატის ბუდეში ჩამოთვლილ, მანქანებზე, ჩარხებზე, აპარატებზე და სხვ.

ტექნიკური ტერმინოლოგია მოიცავს რამდენიმე საერთო - ტექნიკური დასახელების ტერმინს, რომლებსაც თან ახლავს საკმაოდ დიდი მოცულობის ბუდეები (*აგრეგატი, აპარატი, დანადგარი, მანქანა, მექანიზმი, მოწყობილობა*). ტექნიკური საშუალებების სიმრავლე როგორც დანიშნულებით, ასევე კონსტრუქციული შესრულებით ქმნის პარალელიზმს მათი ბუდეებში გაერთიანებისას, ართულებს მათ აღქმას და, რაც მთავარია, აბნევს მკითხველს, რომელ ბუდეში ეძებოს საჭირო ცნება. მიგვაჩნია, რომ ამ ბუდეების გაუქმება ბევრს ვერაფერს დააკლებს ლექსიკონს.

ტერმინოლოგიაში მრავლად გვხვდება უცხოური ტერმინი, რომელსაც არ აქვს ქართული შესატყვისი და, ამდენად, გაუგებარია მისი მნიშვნელობაც. მაგალითად გამოდგება ტერმინი *ბრემსბერგი*, რომელიც ქართულადაც და რუსულადაც ბრემსბერგია, ახლავს ბუდე რამდენიმე ირიბი ტერმინით, მაგრამ სრულიად გაუგებარია მათი მნიშვნელობა (თუმცა სამთო-მომპოვებელი დარგის სპეციალისტისთვის ალბათ ნაცნობია).



მიგვაჩნია, რომ ტექნიკური ტერმინოლოგიის სტრუქტურული აგება მოითხოვს ახლებურ მიდგომას: ძირითადი ტერმინების მოკლე განმარტება ახალ სიცოცხლეს შესძენს ტექნიკურ ტერმინოლოგიას.

ლექსიკონში მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გვხვდება ქართულთან ერთად სინონიმებად წარმოდგენილი რუსული წარმოშობის ტერმინები, მაგალითად: მძლოლი, შოფერი; კარადა, შკაფი; შოფერი, შოფერ-მექანიკოსი. კარგა ხანია ქართულმა ენამ მოიშორა შკაფიც, შოფერიც, სტოლიც, სტაქანიც და სხვა, ამიტომ ახალ ტერმინოლოგიაში არ უნდა დაუშვან მსგავსი სიტყვები.

ამჟამად მოქმედ ტექნიკურ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით ბევრი შენიშვნა და სურვილი გვაქვს ჩანიშნული, რომელთა ნაწილი ადრინდელ სტატიებში დავბეჭდეთ. არის რამდენიმე ახალი ტექნიკური ტერმინის შემოტანის მცდელობაც, რაც მოითხოვს სპეციალისტებთან შეჯერებას და მათთან თანამშრომლობას. მთავარი სიტყვა კი არნ. ჩიქობავას სახ. ენეთმეცნიერების ინსტიტუტსა და ტექნიკურ ინტელიგენციას ეკუთვნის.

ტექნიკა ძალზე მრავალფეროვანია როგორც დანიშნულებით, ისე კონსტრუქციული შესრულებით. შესაძლოა, ზოგიერთი მანქანის მოქმედების პრინციპი არ შეიცვალოს ათწლეულების და ზოგჯერ საუკუნეების განმავლობაში (მაგალითად, ლეონარდო და ვინჩის ქვასამსხვრევის კონსტრუქცია და მუშაობის პრინციპი, ცხენებში შებმული სკრეპერი ან გრეიდერი, მრავალციცხვიანი მიწახაპია და სხვ.), მაგრამ ტექნიკურ პროგრესს მოაქვს ახალი საკონსტრუქციო მასალები, ახალი ტექნოლოგიები, გაანგარიშების უახლესი და უზუსტესი მეთოდები, ადამიანისა და ტექნიკის ურთიერთობის ახალი სფეროები (დიზაინი, ერგონომიკა, მართვის სიტემები, ფსიქოლოგიური და ტექნიკური უსაფრთხოების საშუალებები...). დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა ე.წ. „უვიცობის კოეფიციენტი“, რომელიც გაათკეცებული მარაგის კოეფიციენტს ითვალისწინებდა კონსტრუქციების საიმედოობის კუთხით. ეს ყველაფერი ახალ ტერმინებთანაა დაკავშირებული, რომლებიც ნიადაგარევით შემოედინება ჩვენს ენაში, სწრაფად მკვიდრდება და ჩვენც უძღურები ვართ ასევე სწრაფად ჩავანაცვლოთ ისინი ქართული ტერმინებით. ამას სჭირდება თითოეული დარგის სპეციალისტის მოტივირებული დაინტერესება და შრომა, შესაბამისი განმარტებითი ლექსიკონებისა და სრულიად ახალი სტრუქტურული აგებულების ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნა, მოძველებული და გამოუყენებელი ტერმინების შეცვლა უფრო სხარტი და მარტივად გასაგები ტერმინებით.

ტექნიკური ტერმინოლოგია, გარდა უცხო ენაზე თარგმნილი ტერმინებისა, უნდა შეიცავდეს ტერმინთა მოკლე განმარტებას და გათავისუფლდეს ზოგადი ტერმინების დიდი მოცულობის ბუდეებისგან.

### ლიტერატურა

**ენციკლოპედიური ლექსიკონი, 1990** – Советский энциклопедический словарь. Главный редактор А.М. Прохоров. Москва;

**ლოსკუტოვი, 1986** – Лоскутов Ю.А. и др. Механическое оборудование предприятий по производству вяжущих строительных материалов. Москва;

**მარტინოვი, 1990** – Мартинов и др. Строительные машины и монтажное оборудование. Москва;

**ოჟეგოვი, 1961** – С.И. Ожегов. Словарь русского языка. Госиздат иностранных и национальных словарей, Москва;

**სამშენებლო მანქანები, I, 1991** – Строительные машины: Справочник: В 2т. т1: Машины для строительства промышленных гражданских сооружений и дорог /А.В. Раннев В.Ф. Корелин и др. Под редакцией Э.Н. Кузина, Москва;

**სამშენებლო მანქანები, II, 1991** – Строительные машины: Справочник: В 2т. т.2: Оборудование для производства строительных материалов и изделий / В.М. Лямин, М.Н. Горбовец и др. Под общей редакцией М.Н. Горбовца, Москва;

**ჭაბაშვილი, 1964** – უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი.

**Lia Sutidze**

### **For the Editorial Issues of the Technical Terminology**

#### Summary

Georgian scientific and technical language and terms encounter difficulties negatively affecting some textbooks and manuals. Technical progress extremely declined normative standards of Georgian language and especially, technical terms.

Rapid terminological changes have been occurred in nearly all the fields and especially, in the field of Informatics therefore existing Georgian and Russian technical terms are not sufficient for modern requirements and edition of newly structured vocabulary of technical terms with its brief explanations is of great importance. Terminology should be improved and simplified, renewed and updated with new terms while old ones and term families should be excluded from the vocabulary.

Hopefully, the "Law of Georgia on official language" will provide solution of the problems related to technical terminology.

The article deals with issues of the explanation of general technical terms and the rationality of term families.

## ნინო სხირტლაძე

### ტრადოსი – ტერმინოლოგიის ელექტრონული ბაზა

დღეს – ტექნიკური თუ სამეწარმეო განვითარების ეპოქაში – ცვლილებები ელვისებური სისწრაფით მიმდინარეობს. სიახლეს მოაქვს ახალი ცნება-ტერმინები, რომელთა მშობლიურ ენაზე გადმოტანა და დამკვიდრება მთავარ გამოწვევად იქცა თანამედროვე ტერმინოლოგიისათვის. გლობალიზაციის პერიოდში ენისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ტერმინოლოგია მიერ სათანადო პრინციპების წინასწარ და დროულად შემუშავება, რათა მზად ვიყოთ ახალი ტერმინის მისაღებად, სათარგმნად და დასამკვიდრებლად, რაც, თავის მხრივ, ენას სიცოცხლისუნარიანსა თუ კონკურენტუნარიანს გახდის.

ტერმინოლოგია მოიცავს ენის განვითარების ყველა უბანსა თუ სფეროს. ისტორიულად, ტერმინთა შექმნა მთარგმნელობით საქმიანობასთან იყო დაკავშირებული<sup>1</sup>. ეს ვითარება არც დღეს შეცვლილა და ტერმინის თარგმნას ამა თუ იმ ენიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ განსხვავება ჩვეულებრივ თარგმანსა და ტერმინის გადმოთარგმნას შორის ისაა, რომ თარგმანი, შეიძლება ითქვას, ერთჯერადი, სიტუაციური; ტერმინთა მშობლიურ ენაზე გადმოტანისას კი მთარგმნელ-ტერმინოლოგმა უნდა შექმნას ისეთი ლექსიკური ერთეული, რომელიც, სასურველია, ერთი სიტყვა-ფორმით გამოიხატოს და ამასთანავე, ასახოს აღსანიშნი ცნება.

ცხადია, ტერმინოლოგიაზე ენათმეცნიერთა მხოლოდ ერთი ჯგუფი არ მუშაობს. მით უფრო, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებამ, შეიძლება ითქვას, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს – განურჩევლად პროფესიისა თუ გამოცდილებისა – მისცა საშუალება, თავისი პოზიცია გამოხატოს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. ეს ვითარება, ერთი მხრივ, საშუალებას გვაძლევს რამდენიმე შესაძლო ვარიანტიდან ავირჩიოთ საუკეთესო, მაგრამ, მეორე მხრივ, იკლებს კომპეტენტური აზრისა თუ პოზიციის არსებობის ალბათობა.

---

<sup>1</sup> ამ საკითხზე ვრცლად იხ. დ. მელიქიშვილი, ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.

თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიის განითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნა, რადგან ვფიქრობთ, რომ ცალკეული კვლევის შედეგების გაცნობა და გამოყენება გაწეულ შრომაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია; ტერმინოლოგიური ბაზები კი ხელს შეუწყობს ტერმინთა ჩამოყალიბების ისტორიის ასახვას, მასზე დაყრდნობით ახალი ტერმინების შექმნასა და კოორდინირებულ მუშაობას ტერმინოლოგთა შორის.

დღეს მსოფლიოში არაერთი ტერმინოლოგიური ბაზა არსებობს, რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ეს ბაზები საშუალებას გვაძლევს, გავეცნოთ და გამოვიყენოთ ცალკეული ერისა თუ ენის ტერმინოლოგიური მონაცემები და მასზე დაყრდნობით განვაავითაროთ საკუთარი.

ტერმინოლოგიის სფეროში *ტრადოსი* ერთ-ერთი მსხვილი და პოპულარულია. მის შესახებ ინფორმაცია *ტრადოსის* ოფიციალური გვერდის, *ტრადოსის* წევრთა მიმოწერისა და კომპანიის – „ახალი მთარგმნელობითი ტექნოლოგიები“ – დამფუძნებლისაგან (ნიკოლოზ ჯაში) მოვიპოვეთ. SDL Trados Studio არის დამხმარე მთარგმნელობითი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც შემდეგი პრინციპით მუშაობს: ყველა თარგმნილი წინადადება ინახება ე.წ. თარგმნის მეხსიერებაში (translation memory), ხოლო ყველა საჭირო ტერმინი - ტერმინების ბაზაში (termbase). ათეული წლის მანძილზე პროფესიონალი ლინგვისტები აგროვებენ მილიონობით წინადადებას და ტერმინს (ანუ, ქმნიან ბაზას). ასე იქმნება ის რესურსი, რომელიც ახალი სათარგმნი დოკუმენტის თარგმნისას ავტომატურად მიეწოდება მთარგმნელს. *ტრადოსის* მთარგმნელობით საქმიანობაში 30-წლიანი გამოცდილება აქვს და მას მოიხმარს 250 000-ზე მეტი სხვადასხვაენოვანი (ინგლისური, გერმანული, იაპონური, რუსული, ჩინური, ესპანური და სხვ.) მომხმარებელი (როგორც კერძო პირი, ისე საჯარო დაწესებულება), მათ შორის ევროპის კავშირის მთარგმნელობითი სააგენტო, რომელიც თარგმანზე ყოველწლიურად მილიარდ ევროს ხარჯავს. ევროპის კავშირმა შეუძინა საქართველოს ტრადოსი, რათა გვეთარგმნა ჩვენი კანონები ინგლისურად და ასევე ევროპის კანონმდებლობა ქართულად. სახელმწიფო სტრუქტურებიდან საქართველოში ტრადოსს იყენებს იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროები.

ტრადოსს აქვს როგორც თარგმნითი, ისე ტერმინოლოგიური ბაზა. ტერმინოლოგიის ბაზა არის საძიებო მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს დამტკიცებულ ტერმინთა სიასა (რომელიც მუდმივად მზარ-

დია) და წესებს, რა სფეროში და როგორ უნდა გამოვიყენოთ შესაბამისი ტერმინი. თარგმნითი ბაზა ტერმინოლოგიურისაგან იმით განსხვავდება, რომ ის (თარგმნითი ბაზა) ინახავს ნაწილს ტექსტისას, როგორც სათარგმნო ერთეულს. ეს ნაწილი შეიძლება მოიცავდეს ფრაზას, წინადადებას ან თხრობის უფრო დიდ მონაკვეთს. თარგმნითი მეხსიერება, რეალურად, საფუძველია ტერმინოლოგიური ბაზის შექმნისა.

ტრადოსის ტერმინოლოგიური ბაზა უზრუნველყოფს ერთ ცენტრალურ ადგილას შეინახოს და მართოს ტერმინოლოგია. მას აქვს უნარი, შემოგვთავაზოს სხვადასხვა ღირებულების ტერმინი (ამაზე უფრო კონკრეტულად ქვემოთ ვისაუბრებთ) და, ამასთანავე, ყველა დაინტერესებულ პირს (ამ შემთხვევაში, ტრადოსის ტერმინოლოგიური ბაზის მომხმარებლებს) შეუძლია ჩაერთოს ტერმინოლოგიის შექმნისა და დამკვიდრების საქმეში.

ტრადოსის ტერმინოლოგიური ბაზა პროგრამულად მსგავსია სხვა, უკვე არსებული ბაზებისა (მაგ., „ლინგვო“). მას აქვს ტერმინოლოგიური პროგრამებისათვის დამახასიათებელი საძიებო სისტემა, რომლის სტრუქტურირება, შეიძლება ითქვას, მომხმარებელზეა დამოკიდებული - გააჩნია, რა მიზანი გვაქვს. კერძოდ, თუ ჩვენ გვსურს, ვთქვათ, ტერმინების ძებნა მაწარმოებლების მიხედვით ან პირიქით, კონკრეტული მაწარმოებლებით ყველა არსებულ ტერმინზე გასვლა, ძიების წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ვქმნით ტერმინთა ბაზას და როგორ ვაპროგრამებთ მას excel-ის ფაილში. რეალურად, ჩვენ წინასწარ უნდა ვიცოდეთ, რა სახის ინფორმაციის გაზიარება თუ მიღება გვინდა და ამის შესაბამისად უნდა დავახარისხოთ (ან, გნებავთ, დავყოთ) ჩვენი მასალა. მაშასადამე, ტრადოსის ტერმინოლოგიური ბაზა უკვე გამზადებულ, სტრუქტურირებულ დოკუმენტს იღებს და თავის მონაცემებში ასახავს მას.

ტრადოსის ტერმინოლოგიური ბაზა ხელმისაწვდომია როგორც ინდივიდუალური, კერძო პირისთვის, ასევე ინდივიდთა ჯგუფებისა თუ საჯარო დაწესებულებებისთვის. ეს გარემოება განაპირობებს ტერმინოლოგიურ ბაზაში მონაცემთა სიუხვესაც და სიჭრელესაც. ამასთან, ყველა მომხმარებელს შეუძლია გამოხატოს თავისი აზრი კონკრეტული ცნების აღმნიშვნელ ტერმინებზე - მათი აზრით, რომელია უფრო ზუსტი თუ შესაფერისი ტერმინი ამა თუ იმ ცნების გადმოსაცემად. ტერმინების ბაზაში „კარგი ტერმინი“, შესაბამისი დარგიდან უნდა იყოს მოწონებული და მას ექნება ასეთი მოწონების დამადასტურებელი აღნიშვნა: მაგ., „დადასტურებულია“, „კარგია“ ან „სასურვე-

ლია“. ამდენად, ტრადოსი თუ რამდენიმე ვარიანტს გვთავაზობს ტერმინისა, იქვე გვექნება მითითება, რომლის გამოყენებაა უმჯობესი. ეს არის დამოკიდებული ტერმინოლოგიის მართვასა და ტერმინების ბაზების სტრუქტურაზე. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი, თითქოს, გათვალისწინებულია, პროცესი ცალსახა და გამჭვირვალე არაა და მაინც ტოვებს ეჭვის საფუძველს, რომ ტერმინს ქმნის (ან იწონებს) არა ლინგვისტი ან ამ სფეროში კომპეტენტური პირი, არამედ სხვა - დილეტანტი ადამიანი. სტატისტიკური მონაცემი ამ შემთხვევაში არასანდოა, რადგან არ ვიცით, ვინ ქმნის მას.

ტრადოსის ტერმინოლოგიურ ბაზაში მონაცემები აისახება Excel-ის ფაილის დამუშავებითა და შესაბამისი ფორმატით (სამისოდ სპეციალური გადამყვანი პროგრამა არსებობს) ხდება. ინტერნეტთან წვდომა ყოველდღიური სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი არ არის. გააჩნია, სად გვაქვს განთავსებული ტერმინები: თუ ტერმინები სერვერზე გვაქვს, მაშინ ინტერნეტია საჭირო მის მოსაძებნად, ხოლო თუ ტერმინების ბაზა კომპიუტერშია, ინტერნეტთან წვდომა აუცილებლობას არ წარმოადგენს.

რეალურად, ტრადოსის ტერმინოლოგიური ბაზა კარგი საშუალებაა, ერთი მხრივ, ასახო შენი მონაცემი ერთიან, საერთაშორისო ბაზაში, მეორე მხრივ კი გაეცნო სხვა ერებისა თუ ენის მიღწევებს, მეთოდებს, შესატყვისებს. მიუხედავად ამ უპირატესობისა, მაინც დგება საკითხი, რა ეტაპზე უნდა შევიტანოთ და ავსახოთ, ჩვენ შემთხვევაში, ქართული ტერმინოლოგია ტრადოსის ტერმინოლოგიურ ბაზაში? საქართველოში ტრადოსის მომხმარებელი და გამავრცელებელი კომპანიის „ახალი მთარგმნელობითი ტექნოლოგიები“ დამფუძნებელი, ნიკოლოზ ჯაში, ფიქრობს, რომ საკმარისია, ვთქვათ, სამკაცრიანი კომისიის შექმნა, რომელიც გადახედავს და მოსინჯავს შესაბამის ტერმინებს და ამის შემდეგ ტერმინი მზადაა ერთიან მონაცემთა ბაზაში გასაშვებად. ეს საკითხი არც ტექნიკურად და არც მეთოდურად მარტივად გადასაჭრელი არაა. ჩნდება კითხვა: ვინ უნდა იყოს ამგვარი კომისიის წევრი ან აკეთებს თუ არა ტრადოსის ტერმინოლოგიური ბაზის ყველა მომხმარებელი იმავეს: ანუ, მოწმდება თუ არა ეს ტერმინები? ამაზე ღია და ცალსახა პასუხი არ არსებობს.

ტრადოსის ტერმინოლოგიური ბაზა ნამდვილად იძლევა იმის საშუალებას, რომ თავი მოუყაროს და შეკრიბოს სხვადასხვაენოვანი ტერმინები, მაგრამ გადაუჭრელია საკითხი, თუ რომელი ტერმინი უნდა აისახოს ამ ბაზაში. თვითონ ტრადოსს ამის გაფილტვრისა თუ

კონტროლის წინასწარ შემუშავებული მექანიზმი არ აქვს. ნებისმიერმა მომხმარებელმა, უხეშად რომ ვთქვათ, შეიძლება „მოატყუოს“ პროგრამა და ესა თუ ის მონაცემი სანდოდ მიიჩნიოს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა პერიოდული რევიზია, რაც პროგრამის სანდოობის ხარისხს მნიშვნელოვნად გაზრდის.

ფაქტებიცა და გამოცდილებაც გვკარნახობს, რომ ვერცერთი საერთაშორისო ტერმინოლოგიური პროგრამა ვერ მოგვიგვარებს იმ უწყესრიგობას, რომელიც დღეს ქართულ ტერმინოლოგიაშია. ვფიქრობთ, საწყის ეტაპზე საჭიროა ინსტიტუციურ დონეზე მოწესრიგდეს ქართული ტერმინოლოგია, შეიქმნას ტერმინთბანკი, ეს კი ხელს შეუწყობს არა მარტო ტრადოსის ტერმინოლოგიურ ბაზაში, არამედ სხვა მსგავს პროგრამებში ქართული ტერმინოლოგიის შესაბამისად ასახვას.

### ლიტერატურა

**მელიქიშვილი, 2011** – დამანა მელიქიშვილი, ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

**მელიქიშვილი, 2014** – დამანა მელიქიშვილი, ძველი ქართული მწიგნობრული სკოლების გამოცდილების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული სპეციალური ტერმინოლოგიის განვითარებისთვის, ტერმინოლოგიის საკითხები, ტ. I;

**ქაროსანიძე, 2014** – ლია ქაროსანიძე, ტერმინოლოგია - ქართული ენის ხვალისდელი დღე, ტერმინოლოგიის საკითხები, ტ. I.

### ელექტრონული რესურსები

<https://www.sdltrados.com/products/trados-studio/>

<http://www.ntt.ge/#>



**Nino Skhirtladze**

## **Trados – the Electronic Terminological Database**

### Summary

The current epoch of technical or commercial development is characterized by rapid changes. The novelty brings new concepts and terms the incorporation and establishment of which into the native language have become the main challenge for modern terminology.

We believe that the creation of a unified electronic database is of vital importance for the development of Georgian terminology because we think that the introduction to the results of separate studies and using them are no less important than the conducted work. The terminological databases will contribute to showing the history of term development, the creation of new terms based on the latter and the coordinated work of terminologists.

A number of terminological databases exist in the modern world that are available for all interested people. These databases enable us to find and use the terminological data of a particular nation or a language and develop our own one.

The paper deals with one of the major and popular terminological databases called Trados. We discuss the services that are offered by this program. At the same time, we will speak about the flaws that were not taken into account during the creation of this terminological database and that makes it difficult to work on the terminology.

## თეა ტეტელოშვილი

### აფიქსაციით მიღებული სახელური ნეოლოგიზმები და მათი ორთოგრაფიის პრობლემები

ენა, როგორც მუდმივად ცვალებადი ფენომენი, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ ახალი ცნებებისა თუ საგნების აღსანიშნავად საჭიროებს ახალ სიტყვებსა და გამოთქმებს. სწორედ ამ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იქმნება ნეოლოგიზმები.

როგორც ცნობილია, ენაში ნეოლოგიზმების მიღების სხვადასხვა გზა არსებობს: კომპოზიცია, სიტყვაწარმოებითი აფიქსაცია, არსებული სიტყვის განსხვავებული მნიშვნელობით აღჭურვა, სესხება და სხვ. ქართულში ზემოჩამოთვლილი ყველა საშუალება გამოიყენება ახალ ერთეულთა მისაღებად. ნეოლოგიზმთა ქმნადობა-სესხების პროცესი უშუალოდ უკავშირდება ტექნოლოგიურ თუ საინფორმაციო ცვლილება-განვითარებას, სწორედ ამის დასტურია ბოლო ათწლეულში თანამედროვე ქართულში ნეოლოგიზმების განსაკუთრებულად აქტიური გაჩენა: **ინტერნეტსივრცე, ინტერნეტწიგნი, ელფოსტა, ვებპროგრამირება** და ა.შ.

ნეოლოგიზმად სიტყვის კვალიფიცირება აუცილებლობით მოიზარებს ამ სიტყვის მართებულად მიჩნევის საკითხსა და მის მართლწერას. ნასესხები ერთეულის შემთხვევაში ხშირად ისმის კითხვა – ესა თუ ის ახალი სიტყვა ნეოლოგიზმად უნდა ჩაითვალოს თუ ბარბარიზმად. გავრცელებული შეხედულების მიხედვით, თუ საგნის ან ცნების აღმნიშვნელი არ არსებობს, მაშინ ის ნეოლოგიზმი უნდა იყოს, სხვა შემთხვევაში – ბარბარიზმი. მაგრამ არც ასე მარტივადაა საქმე. აღნიშნული თვალსაზრით, ქართული ენისთვის თავის დროზე ბარბარიზმად უნდა კვალიფიცირებულიყო საკმაოდ ბევრი ლექსიკური ერთეული, მაგალითად, ისეთები, როგორებიცაა: **დეგუსტაცია** (შდრ., **დაჭაშნიკება, დაგემოვნება**), **ინსპირაცია** (შდრ., **შთაგონება**), **სინქრონიული** (შდრ., **თანადროული**) და ა. შ. აღსანიშნავია, რომ ზემოჩამოთვლილი სიტყვები მართებულადაა მიჩნეული და „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშიცაა“ შეტანილი (ქეოლ 1998: 255, 302, 453). მეორე მხრივ, დგება „ახალ სიტყვათა“ დაწერილობის საკითხი. მაგალითად, თანამედროვე ქართულში ნაირგვარი დაწერილობით შეიძლება შეგხვდეთ თუნდაც სიტყვა **ვებგვერდი** (**ვებგვერდი, ვებ-გვერ-**

დი, ვებ გვერდი), მედიაცენტრი (მედიაცენტრი, მედია-ცენტრი, მედია ცენტრი) და სხვ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რამდენი ხნის განმავლობაში შეიძლება მივიჩნიოთ ესა თუ ის სიტყვა ან ფრაზა ნეოლოგიზმად, რამდენადაც ენობრივ გარემოში ახალი სიტყვის/ფრაზის რამდენიმეწლიანი არსებობა ფაქტობრივად აქრობს მისი სიახლის შეგრძნებას და ის ბუნებრივად ინაცვლებს ენის ძირითად ლექსიკურ საუნჯეში.

ამრიგად, ნეოლოგიზმების კვლევა და მართლწერა ზემოთ ჩამოთვლილ და კიდევ მრავალ სხვა საკითხს მოიაზრებს კომპლექსურად. ამჯერად ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა აფიქსაციით მიღებული სახელური ნეოლოგიზმები და მათ ორთოგრაფიასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოჩენა შემდგომი მუშაობისას კვლევის სწორად წარმართვის მიზნით.

როგორც უკვე ითქვა, სახელური და, ზოგადად, ნეოლოგიზმების მიღების ერთ-ერთი გზაა აფიქსაცია. ქართულში დერივაციული სიტყვაწარმოებისთვის გამოიყენება: სიტყვამაწარმოებელი აფიქსები; წარმოშობით ბრუნვის ნიშნები, რომელთაც ამ შემთხვევაში შეძენილი აქვთ ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოების უნარი და თანდებულები. სიტყვათქმნადობა ახალ ცნებათა და საგანთა აღსანიშნავად განსაკუთრებით აქტიურია ტერმინოლოგიურ სფეროში. სწორედ ასე მივიღეთ თავის დროზე შემდეგი ტერმინები: უჯრ-ედ-ი, გან-ედ-ი, გოგირდ-იან-ი, ფეხახსრ-იან-ი, აბჯრ-ოსან-ი, ჩანთ-ოსან-ი, ვეგეტარიან-ელ-ი, ანტისეპტიკ-ურ-ი; ოცობ-ით-ი, ჟანგვ-ით-ი, დნობა-დ-ი, ზრდა-დ-ი, ადვილაქროლა-დ-ი, არადრეკა-დ-ი; ჯაჭვის-ებრ-ი, უკანა-ენის-მიერ-ი და სხვ.

ზოგადად, ქართული ენა სიტყვამაწარმოებელი აფიქსებით ახალი ლექსიკური ერთეულის მიღების რამდენიმე გზას მიმართავს. კერძოდ, ქართული ფუძის ქართული აფიქსებითვე გაფორმებას: ანა-ზღაურება-დ-ი, ანგარიშგება-დ-ი, მოწყვლა-დ-ი, გადახურვ-ით-ი, გამაგრებ-ით-ი, დაგროვებ-ით-ი; ქართული ფუძის არაქართული აფიქსებით გაფორმებას: ბარათი-ზაცია, ბელად-იზმ-ი; ნასესხები სიტყვის ქართული მაწარმოებლებით გაფორმებას: მენტალ-ურ-ი, ადაპტირება-დ-ი, სიმულაცი-ურ-ი, სპინალ-ურ-ი; ნასესხები სიტყვის ასევე ნასესხები დერივატებით გაფორმებას ან უკვე ნაწარმოები უცხო სიტყვის სესხებას: ვაუჩერ-იზაცია, სტილ-ისტ-ი, ბორდერი-ზაცია, ბიზნესოპე-

**რატ-ორ-ი, კონტრაქტ-ორ-ი, გეიმ-ერ-ი, ონლაინშოპ-ინგ-ი, ბანკ-ინგ-ი, მონიტორ-ინგ-ი, ქეთერ-ინგ-ი...**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გვხვდება ერთსა და იმავე სიტყვაზე როგორც ქართული, ისე ნასესხები აფიქსების დართვის შემთხვევებიც. ასეთ დროს, როგორც წესი, მიღებული ლექსიკური ერთეულები სემანტიკურად ერთმანეთისგან განსხვავდება (ერთს უფრო სახელური გაგება აქვს, მეორეს – პროცესისა): **კომპიუტერიზაცია – კომპიუტერიზება, ასოციაცია – ასოციირება, კოჰაბიტაცია – კოჰაბიტირება, იმპლემენტაცია – იმპლემენტირება, კომერციალიზაცია – კომერციალიზება, ლეგიტიმაცია – ლეგიტიმირება, პრივატიზაცია – პრივატიზება...** გვხვდება ისეთი მაგალითებიც, როდესაც სიტყვა ერთი და იმავე ძირიდან მიღებულია ქართული აფიქსაციით, მაგრამ ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები მცირედ განსხვავებული მნიშვნელობისაა: **დაპროგრამება – პროგრამირება, დაფორმატება – ფორმატირება** და სხვ. ზემოთ მოყვანილი ორივე შემთხვევისთვის მნიშვნელოვანია, რომ წყვილის ცალებს ერთმანეთისგან განსხვავებული (თუნდაც მცირედით) მნიშვნელობები ჰქონდეთ. ამავე პრინციპით „გაქართულებული“ ახალი სიტყვებია: **დაშეარება, დალინკვა, დათაგვა, დაანონსება, დაკლიკვა, დანიუსება...** აღნიშნული სიტყვების უმეტესობას აქვს ქართული შესატყვისი: გაზიარება, ბმულის გაკეთება, მონიშვნა, წინასწარი თქმა, დაწკაპუნება, ახალი ამბის წინასწარ თქმა და ა.შ. თანამედროვე ქართულში ასევე გახშირდა **-ინგ-**იანი სიტყვები. მნიშვნელოვანია, რომ **-ინგ** მოდის ინგლისური **-ing-**იდან, რომელიც მასესხებულ ენაში მიმღეობების მაწარმოებელია. ამგვარი წარმოების სახელებია: **კომპიუტერინგი, რებრენდინგი, აგროთრეიდინგი...** ამათ რიგში დგას ასევე **პარკინგი** (დასტურდება ქართული ყალიბით მიღებული **პარკირებაც, შდრ. ავტოპარკინგი, ავტოპარკირება**)... მნიშვნელოვანია, რომ **-ინგ-**ით და **-ება** დაბოლოებით ნაწარმოები წყვილები ისეთივე სემანტიკურ სხვაობას გვიჩვენებენ, როგორსაც **-აცია** და **-ება** ბოლომაწარმოებლიანი ფორმები. **შოპინგი, აუთსორსინგი, ბულინგი, ბიზნესინჟინერინგი, ბოდიბილდინგი, ბლოგინგი...**

დამოწმებული მაგალითების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ ქართულ ენაში ამგვარ სიტყვათა მიღების მექანიზმებსა და იმ შესაძლო პრობლემებზე, რომლებიც ამ დროს წარმოიშობა ახალ სიტყვათა ნორმატიულობისა და მართლწერის თვალსაზრით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფიქსური სიტყვაწარმოებით „ახალი სიტყვები“ ქართულში მიიღება როგორც ქართული ენის შინაგანი პო-

ტენციის სრული გამოყენებით, ასევე სესხებით. ხშირ შემთხვევაში დაისმის საკითხი, რამდენად მართებულადაა ახალი სიტყვა შემოსული ენაში და ხომ არ წამოადგენს იგი ბარბარიზმს. ასე, მაგალითად, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით, **სტილისტი** არის „ლიტერატურული ენის სტილის კარგი მცოდნე“, თუმცა თანამედროვე ქართულში მან შეიძინა ახალი მნიშვნელობა და პარიკმახერის/დალაქის ნაცვლად გამოიყენება. ის აღნიშნავს ისეთ პარიკმახერს, რომელიც არა მხოლოდ კრეჭს ადამიანს, არამედ ვარცხნილობის სტილსაც ურჩევს. უდავოა, რომ ამ მხრივ **„სტილისტი“** ნეოლოგიზმია. მეორე მხრივ, თანამედროვე ქართულში აქტიურად დაიწყო გამოყენება სიტყვისა **„კოჰაბიტაცია“** თანაცხოვრების/თანაარსებობის აღსანიშნავად (ინგლისური სიტყვიდან: „**cohabit**“). ასევე აქტიურად გამოიყენება **„ბორდერიზაცია“** „საზღვრის გადაწევის“ მნიშვნელობით (ინგლისური სიტყვიდან: „**border**“). სოციალურ ქსელებში არაერთგზის გადააწყდებით **„დალინკვასაც“** (ინგლისური სიტყვიდან: „**link**“) ბმულის გაკეთების აღსანიშნავად და სხვ.<sup>1</sup> მნიშვნელოვანია, რომ ჩამოთვლილი ახლად ნასესხები სიტყვების ნორმატიულობის (ან, პირიქით, არამართებულობის) დასადგენად სემანტიკური ფაქტორი ერთ-ერთ ძირითად როლს ასრულებს.

რაც შეეხება ნეოლოგიზმთა ორთოგრაფიას, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ქართული და ნასესხები სიტყვების დერივაციული აფიქსაციის შედეგად მიღებულ ერთეულთა მართლწერის პრობლემები.

პირველ შემთხვევასთან დაკავშირებით უნდა აღნიშნოს, რომ ზოგჯერ ქართული ენისთვის ბუნებრივი და ტერმინოქმნადობაში აქტიურად გამოყენებული აფიქსებით არატერმინთა წარმოების შემთხვევები სპეციალურ ლიტერატურაში არამართებულად მიიჩნევა. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ, ერთი მხრივ, **-ად/-დ** საართით მიღებული ტერმინები: **ბრუნება-დ-ი**, **კლება-დ-ი**, **დრეკა-დ-ი**, **ადვილაქროლა-დ-ი...** და მეორე მხრივ, **კითხვა-დ-ი**, **მოსმენა-დ-ი**, **ცნობა-დ-ი** და სხვ. ასეთი შემთხვევები აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ახალ სიტყვათა ნეოლოგიზმად კვალიფიკაციისას (იქნება ეს საკითხის დადებითი თუ უარყოფითი გადაწყვეტა).

<sup>1</sup> რამდენადაც ჩამოთვლილ სიტყვებს აქვს ქართული შესატყვისები, ინგლისურენოვანი ვარიანტების გამოყენება არამართებულია.

რაც შეეხება სიტყვათა სესხების შემთხვევებს, აქ გაცილებით მეტი პრობლემა შეიძლება წამოიჭრას და თავიდან მათ ასაცილებლად აუცილებლობით გასათვალისწინებელია შემდეგი:

1. უცხო ენიდან სიტყვათა გადმოტანისას ყურადღება უნდა მიექცეს მის სწორ ტრანსლიტერაციას:

**აკომპანიმენტი** [და არა აკომპანიმენტი]

**ეკვივალენტური** [და არა ექვივალენტური]

[იმფანტილიზმი, იმფანტილური კი არა] **ინფანტილიზმი; ინფანტილური** (მლმ 2016: 37, 166, 206)

2. როდესაც ნასესხებ სიტყვას დაერთვის ქართული მაწარმოებელი აფიქსი, არ უნდა დამახინჯდეს ნასესხები სიტყვა:

**არაორდინარული** [ და არა არაორდინალური]

**დინამიკური** [და არა დინამიური]

**ინსტრუმენტული** [და არა ინსტრუმენტალური] (მლმ 2016: 56, 160, 209)

3. მსგავსი ფუძის სიტყვათა სესხებისას ყურადღება უნდა მიექცეს მათ მნიშვნელობას პარონიმის თავიდან ასაცილებლად:

**პროფესიული** (გამოცდილება/დაავადება) და **პროფესიონალური** (კვლევა) (ქეპლ 2011: 197);

**ეკონომიური** (ეკონომიის მომცემი, მომჭირნეობითი) – **ეკონომიკური** (ეკონომიკაზე დამყარებული, ეკონომიკასთან დაკავშირებული) (ქეპლ 2011: 87).

როგორც უკვე ითქვა ზემოთ, ნეოლოგიზმების ხშირი და მრავალწლიანი გამოყენება მათ უკარგავს სიახლის ელფერს და ენის ბუნებრივ კუთვნილებად აქცევს. ჩვენ მიერ საილუსტრაციოდ მოხმობილი და გაანალიზებული ლექსიკური ერთეულების გარკვეული ნაწილი ასეთია. ჩვენი მიზანი იყო, რომ ნეოლოგიზმთა მიღების გზების პარალელურად გაგვეანალიზებინა ის შესაძლო პრობლემები, რომლებიც მათი ორთოგრაფიისას წარმოიშობა და დაგვესვა კითხვა:

(ა) რა კრიტერიუმით უნდა იხელმძღვანელოს სპეციალისტმა, როდესაც ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვები ზოგჯერ უმართებულოდ მიიჩნევა (**ბორდი** (საბჭო), **ავთენტისკური** (ნამდვილი, სარწმუნო, დედნის შესაბამისი), ზოგჯერ კი – ნორმატიულად (**დეფუსტაცია** (დაჭაშნიკება), **ინსპირაცია** (შთაგონება)... შესაბამისად, რა კვალიფიკაცია უნდა მოეძებნოს ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: **ისტებლიშმენტი**, **ქეთერინგი** (სწორი დაწერილობით – „კეტერინგი“), **შოპინ-**

გი, ბანკინგი, აუტოსორსინგი (სწორი დაწერილობით – „აუტოსორსინგი“), ბულინგი, გეიმერი, კონტრაქტორი და სხვ.

(ბ) დასაშვებია თუ არა, რომ ერთი და იმავე მაწარმოებლის გამოყენება სიტყვაწარმოებაში ენის ფუნქციური სტილის მიხედვით განსხვავებულად ფასდებოდეს მართებულების თვალსაზრისით (ერთი მხრივ, დრეკადი, ბრუნებადი და, მეორე მხრივ, ცნობადი, მოსმენადი); ანალოგიურად დაისმის საკითხი მსგავსი წარმოების შემდეგი სიტყვების კვალიფიკაციის თაობაზე: ანაზღაურებადი, რეგულირებადი, ანგარიშგებადი, არაგამრავლებადი, არაგასხვისებადი, თვითქმნადი, ინტერპრეტირებადი, კონვერტირებადი, მოწყვლადი, პროგრამირებადი და სხვ.

(გ) სახელური სიტყვაწარმოების შედეგად მიღებულ ერთეულთა შემთხვევაში რა არის ყველაზე ზუსტი საზომი ნეოლოგიზმის, როგორც მართებული ფორმისა, და აკრძალულის (ბარბარიზმის) გამიჯვნისათვის. მაგალითად, უნდა მივიჩნიოთ თუ არა ბარბარიზმად შოპინგი (შდრ. ონლაინშოპინგი, ინტერნეტშოპინგი), აუტოსორსინგი, გეიმერი, ბანკინგი, კეტერინგი და სხვ. ამა თუ იმ ერთეულს თუ არ ჩავთვლით ბარბარიზმად, მაგრამ ვერც ნეოლოგიზმის კვალიფიკაციას მივანიჭებთ, როგორც უნდა მოვიქცეთ მაშინ?!

ეს და ზემოაღნიშნული სხვა საკითხები მოითხოვს სერიოზულ კვლევასა და ამასთანავე ერთიანი მიდგომების შემუშავების აუცილებლობას. მხოლოდ მათი გათვალისწინებითაა შესაძლებელი სწორი გადაწყვეტილებების მიღება ისეთ მრავალფეროვან და შესაბამისად, რთულ, სფეროში, როგორსაც განეკუთვნება აფიქსაციით მიღებული ახალი სიტყვები. მათი ნეოლოგიზმებად ან, პირიქით, ბარბარიზმებად, კვალიფიცირებისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რათა, ერთი მხრივ, სიმდიდრე შევუნარჩუნოთ სალიტერატურო ენას, ხოლო, მეორე მხრივ, არ დავაბინძუროთ იგი უმართებულო სიტყვებითა და გამოთქმებით.

#### ლიტერატურა

**მლმ 2016** – მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის, თ. ვაშაკიძე, თ. ბურჭულაძე, მ. ლაბარტყავა, ვ. მაღრაძე, თ. ტეტელოშვილი, ნ. ჯორბენაძე, თბილისი.

**ქეგლი** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ელექტრონული ვერსია (<http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>; <http://ena.ge/explanatory-online>)

**ქეეკ** – ქართული ენის ეროვნული კორპუსი (<http://gnc.gov.ge/gnc/simple-query?corpus=grc>)

**ქეოლ 1998** – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, თბილისი.

**ქეპლ 2011** – ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი, შ. აფრიდონიძე, თ. ვაშაკიძე, ვ. მალრაძე, თ. ტეტელოშვილი, თ. ღვინაძე, ნ. ჯორბენაძე), თბილისი.

<https://www.google.ge/>

Tea Teteloshvili

## Nominal Neologisms Formed Through Affixation and the Problems of Spelling

### Symmary

The language as a constantly changing phenomenon, following after the development of public life, requires new words and phrases to express new concepts. Thus, neologisms are created to fill these gaps. As known, there are different ways of creating neologisms in a language. This time we are interested in nominal neologisms formed through affixation and showing the problems related to their spelling. During the research the following important questions were emerged: a) What criteria should be chosen by a specialist when the words with the same meaning are sometimes considered to be improper, e.g. *bordi* (*sabch'o*) “board”, *avtent'ik'uri* (*namdvili*, *sarts'muno*, *dednis shesabamisi*) “authentic” and sometimes – to be a standard, e.g. *degust'atsia* (*dach'ashnik'eba*) “degustation”, *insp'iracia* (*shtagoneba*) “inspiration” etc.? Accordingly, what qualification should be given to such words as *ist'eblishment'i* “establishment”, *keteringi* “catering”, *shop'ingi* “shopping”, *bankingi* “banking”, *autsorsingi* “outsourcing”, *bulingi* “bulling”, *geimeri* “gamer”, *k'ont'raktori* “contractor”, etc. b) Is it acceptable to assess the use of one and the same formative in the word



formation process differently in terms of properness according to the functional style of a language (on the one hand, *drek'adi* “flexible”, *brunebadi* “rotatable” and on the other hand, *tsnobadi* “famous”, *mosmenadi* “listenable”)? The situation is alike with the words having similar formation *anazghaurebadi* “payable”, *regulirebadi* “regulable”, *angarishgebadi* “accountable”, *aragamravlebadi* “non-multipliable”, *aragas-khivebadi* “non-alienable”, *tvitkmnadi* “self-creatable”, *int'erp'ret'irebadi* “interpretable”, *k'onvent'irebadi* “convertible”, *mots'q'vladi* “vulnerable”, *p'rogramirebadi* “programmable”, etc. c) What is the most accurate criterion for separating a neologism as a proper form and a barbarism as an improper one in case of the units created as a result of nominal word formation? For example, it is interesting whether we should consider *shop'ingi* “shopping” (cf. *onlainshop'ingi* “online shopping”, *int'ernet'shop'ingi* “internet shopping”), *keteringi* “catering”, *bank'ingi* “banking”, *autsorsingi* “outsourcing”, *geimeri* “gamer” to be barbarisms. What should we do if we consider a certain lexical unit to be neither a barbarism nor a neologism?

These issues require comprehensive research and developing common approaches. This will enable us to make right decisions in such a varied and complex field that covers new words formed through affixation. Special caution is required when classifying them as neologisms or barbarisms in order to maintain the rich literary language and not to pollute it by improper words and expressions.

ლია ქაროსანიძე, ირაკლი უჯმაჯურიძე, ემზარ ჯგერენაია

## ქართული ტერმინთსაცავი

(ელექტრონული რესურსები ტერმინოლოგიური  
კორპუსისათვის)

დღეს თანამედროვე ქართველ მეცნიერთა შორის ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით ორი ძირითადი აზრია გამოკვეთილი: ერთნი ამტკიცებენ, რომ თანამედროვე ტერმინოლოგიურ მოთხოვნებს არსებული ტერმინები ვერ აკმაყოფილებს და გამოსავალს ინგლისურიდან ტერმინების თარგმანში ან სულაც უთარგმნელად გადმოტანაში ხედავენ. მეორენი ტრადიციებზე დაფუძნებული ტერმინთშემოქმედების გაგრძელების მომხრენი არიან. თანამედროვე ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფია, იგივე ტერმინოგრაფია, ყველა ქვეყანაში არსებულს აგრძელებს. თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები ახალ, დამატებით შესაძლებლობებს იძლევა ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფიის სწორად წარსამართავად. ქართული ტერმინთსაცავი (ტერმინთბანკი, როგორც მას უწოდებენ მრავალ ქვეყანაში) საშუალებას მოგვცემს სრულად ავსახოთ დღემდე არსებული ქართული ტერმინოლოგია და შევუსაბამოთ თანამედროვე სტანდარტებს. ამისათვის უპირველესად მთელი ტერმინოლოგიური მასალის ერთ ბაზაში მოთავსება და მისი შესწავლა-დამუშავებაა აუცილებელი. იგულისხმება თავმოყრა სხვადასხვა დროს გამოცემული ტერმინოლოგიური ლექსიკონებისა: კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის, ნიადაგმცოდნეობის, ავტოტრაქტორის, აღრიცხვისა და სტატისტიკის, ფიზიკის, ქიმიის, იურიდიული, ელექტროწვეის, რადიოელექტრონიკის, ჰიდროტექნიკური, გეოგრაფიის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, სამთო-ტექნიკური, სატყეო-ტექნიკური, ჰიდროტექნიკის, სამრეწველო საწარმოს ორგანიზაციისა და დაგეგმვის, მეფუტკრეობის, ფრინველთა ნომენკლატურის, მართვის ავტომატიზებული სისტემების, რადიოელექტრონიკის, საზღვაო, გეოფიზიკის, ავტოტრანსპორტის, სამხედრო, სახელმწიფო მმართველობის, ენერგეტიკის, ეკონომიკისა და დემოგრაფიის, პოლიგრაფიული და საგამომცემლო საქმის, ბიოლოგიის, ნავთობისა და გაზის, წყლის რესურსების მართვის, ტექნიკური ტერმინოლოგიის (ყველა რედაქცია) და სხვ. (ასეთი ლექსიკონი 100-ზე მეტია); ამათგან უმეტესობა ორენოვანია,

რუსულ-ქართული ან ქართულ-რუსული, ნაწილი – სამენოვანი: ინგლისურ-რუსულ-ქართული.

თანამედროვე ტერმინოლოგია მრავალ ქვეყანაში სწორედ ტერმინთსაცავს ეფუძნება. საქართველოში კი ტერმინოლოგიური ლექსიკონების გაციფრება და მათი დამუშავება მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც ამ საქმეში თავდაცვის სამინისტრო ჩაერთო და ტერმინთსაცავის შესაქმნელად საგანგებო პროგრამა შექმნა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგებთან ერთად, წელს კი ამ საქმეს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკაც შემოუერთდა. ციფრულ ბიბლიოთეკაში შეიქმნა საგანგებო გვერდი, რომელზეც ენათმეცნიერების ინსტიტუტში სხვადასხვა დროს მომზადებული ტერმინოლოგიური ლექსიკონები თავსდება, ენათმეცნიერების ინსტიტუტში კი უკვე დაიწყო ამ ელექტრონული რესურსების დამუშავება ქართული ტერმინოლოგიის კორპუსისათვის.

ელექტრონული ბაზები, უპირველესად, საშუალებას გვაძლევს დავანაწილოთ ლექსიკონები წლების მიხედვით. ამჟამად ჩვენს ტერმინთსაცავში ოთხი განსხვავებული რედაქციის ტექნიკური ტერმინოლოგიაა შესული:

1. 1920 წლის რუსულ-ქართული, საქართველოს ტექნიკური საზოგადოების სატერმინო სექციის მიერ მომზადებული. საბჭოთა ეპოქაში ეს და 1921 წელს იმავე ჯგუფის მიერ გამოცემული ტექნიკური ლექსიკონი ხმარებიდან ამოიღეს.
2. 1935 წლის ტექნიკური ტერმინოლოგია ვუკოლ ბერიძის რედაქციით;
3. 1977 წლისა, როგნედა ღამბაშიძისა და დვალის საერთო რედაქციით.
4. ე. წ. ღამბაშიძის ფონდი. როგნედა ღამბაშიძის რედაქციით 90-იანი წლების დასაწყისში დასრულდა ტექნიკური ტერმინოლოგიის ახალი რედაქცია. სამწუხაროდ, მისი გამოცემა 90-იან წლებში ვერ მოხერხდა. ახლა კი მისი უახლესი რედაქცია-შევისება მიმდინარეობს. ტექნიკური ტერმინოლოგიის ბოლო გამოუქვეყნებელი ლექსიკონის მასალები სამენოვანია, ფონდის მასალას ასევე მიწერილი აქვს დარგები. რა თქმა უნდა, აქ შეგვიძლია მასალის დაჯგუფება დარგების მიხედვით.

მნიშვნელოვანია ამ ლექსიკონების ერთმანეთთან დაკავშირება. ამისათვის დიდი სამუშაოა ჩასატარებელი, დასადგენია სინონიმები ერთი თუ სხვადასხვა ლექსიკონის ფარგლებში. უმნიშვნელოვანესია, თავი მოეყაროს ერთი ცნების აღმნიშვნელ ყველა ტერმინს. მაგალითად, სიტყვა **აბერაციის** ისტორია ასეთია: 1920 წელს მას შეესატყვისება **სხივთაბნევა**, 1935 წლიდან კი – ყველგან **აბერაცია**.

საინტერესოა სიტყვა **აბსორბცია**: 1920 წელს მას **შთანთქმა** ეწოდებოდა; 1935 წელს – **აბსორბცია** და **შთანთქმა**; 1977 წელს **შთანთქმა** არსად ჩანს, „ღამბაშიძის ფონდში“ (1993 წ.) კი ისევ ჩნდება აბსორბციის სინონიმად, ეს კი იმას ნიშნავს, რომ **შთანთქმის** აღდგენა იყო დაგეგმილი.

**აბსორბერი**: 1920 წელი – **შთანთქმი**, 1935 წელი – **შთანთქმელი**, 1977 წელი – **აბსორბერი**.

**გონიომეტრი**: 1920 წელი – **კუთხზომი**, 1935 წელი – **კუთხემზომია**, 1977 წელი – **გონიომეტრი**.

**ავიატორს** 1920 წლის ტექნიკურ ტერმინოლოგიაში **ფრენოსანი** ეწოდებოდა, 1935 წლიდან **ავიატორი** უთარგმნელად გადმოიტანეს.

**ბუქსირს** 1920 წლისაში **მათრევი** შეესატყვისება,

**ვენტილატორს** – **სანიავო**, **ვენტილაცია**ს – **ნიავება**.

**ვენტილი** 1920 წლისაში **ხრახნმცობია**, 1935 წლისაში – **ვენტილი** და **ხრახნსაცობი**, 1977 წლისაში – **ვენტილი**.

1977 წლის გამოცემაში: **ანემომეტრის** გვერდით ქართული ტერმინიცაა – **ქარსაზომი**, 1935 წელს – **ქარმზომია**, 1920 წლისაში – **ქარზომი**.

ამ ტერმინებიდან რომელს შევიტანთ თანამედროვე ნორმატიულ ლექსიკონში, რა თქმა უნდა, სპეციალისტებისა და შესაბამისი კომისიის გადასაწყვეტია. ამ პროგრამით, ამ ტერმინოლოგიური ბაზებით კი, ცხადია, გაცილებით გამარტივდება მეცნიერულად გამართული ნორმატიული ტერმინების დადგენა ყველა დარგისათვის. როგორც ვხედავთ, სარედაქციო ჯგუფს ექნება გამზადებული მასალა და მათ უნდა გადაწყვიტონ, მაგალითად, ამ ოთხი დადასტურებული ტერმინიდან **ქარსაზომი** უნდა დარჩეს, **ქარმზომი**, **ქარზომი** თუ საერთოდაც – **ანემომეტრი**.

ერთ-ერთი სირთულე, რომელიც ტექნიკური ტერმინოლოგიის უახლესი რედაქციისას დგას, სწორედ **სინონიმია**. სინონიმია, რომელიც ეპოქით იყო გამოწვეული, გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან აუცილებელი იყო ქართულ ტერმინის გვერდით უცხოური, ე.წ. საერ-

თაშორისო, ყოფილიყო ლექსიკონებში. ჩვენი აზრით, სინონიმია ამ დროისათვის გარკვეული ხერხი და გამოსავალი იყო ქართული ტერმინის გადასარჩენად. ყველა თანხმდება იმაზე, რომ სინონიმია მიუღებელია ტერმინოლოგიაში, თუმცა ვუკოლ ბერიძის მიდგომა იმ ეპოქაში სავსებით გასაგებია. ამის შესახებ თავადაც წერდა ერთ სტატიაში; „თუ ინტერნაციონალურ ტერმინს ქართულ ხალხურ სასაუბრო ენაში გააჩნია თავისი პარალელი, ჩვენც უთუოდ უნდა შემოვიღოთ იმ ვარაუდით, რომ ახლო მომავალში უცხო ტერმინი მოიხსნება და მართო მშობლიური დარჩება სახმარებლად“<sup>1</sup>.

მამასადაძე წინა ეპოქამ მემკვიდრეობად დაგვიტოვა ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში ორ-ორი ტერმინი ერთი ცნებისთვის: ერთი ქართული, ერთიც – უცხოური, მაგრამ დღეს ამ ყველაფრის გათვალისწინებით განსხვავებული გადაწყვეტილება გვაქვს მისაღები. სამწუხაროდ, დრომ აჩვენა, რომ უცხო სიტყვა უფრო დამკვიდრდა, ვიდრე ქართული, ხმარებიდან თანდათან იკარგება ქართული შესატყვისები. ცხადია, სინონიმია უნდა დაიძლიოს, მაგრამ როგორ? დარჩეს მხოლოდ ქართული ტერმინი თუ მხოლოდ უცხო. მაგალითად: **დევიაცია** თუ **გადახრა**, **დეჰიდრატაცია** თუ **გაუწყლოება**, **დეგომაცია** თუ **გაუწებურება**, **დინამომეტრი** თუ **ძალსაზომი**, **გალვანომეტრი** თუ **დენსაზომი** და სხვ. **გაზისა** და **აირის** შემთხვევაში ამ სირთულის დაძლევა, ვფიქრობთ, შეუძლებელი იქნება, რადგან ორივე სიტყვა თითქმის ერთნაირადაა დამკვიდრებული. ცხადია, ისედაც დაგვიანებულმა ტექნიკური ტერმინოლოგიის ახალმა რედაქციამ ახალი ხედვა უნდა წარმოადგინოს.

ცხადია, გავითვალისწინეთ **განმარტებებიც**, გარკვეული ტერმინით აღნიშნული ცნების სწორად განმარტებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტერმინის დასადგენად. ტექნიკურ ტერმინთა განმარტებით ლექსიკონზე მუშაობა რთულია, რადგან, როგორც აღმოჩნდა, ერთი და იმავე ტერმინით აღნიშნული ცნება განსხვავებულადაა განმარტებული სხვადასხვა სახელმძღვანელოსა თუ სამეცნიერო სტატიაში. ვფიქრობთ, ეს სირთულეს შეუქმნის განმარტებით ლექსიკონზე მომუშავე ჯგუფსაც, რომლის წევრები, უმეტესად, სწორედ ამ ლიტერატურაში გამოყენებულ განმარტებებს ეყრდნობიან. ევროსტანდარტების შესაბამისი ტერმინო-

<sup>1</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ლ. ქაროსანიძე, ტერმინოლოგია – ქართული ენის ხვალისდელი დღე, ტერმინოლოგიის საკითხები, I, 2014, გვ. 176-186.

ლოგის დადგენა სწორედ ცნების ზუსტ განსაზღვრას ეყრდნობა, შესაბამისად, ამ ბაზებში ტერმინთა ნორმატიული, სპეციალისტთა მიერ დადგენილი და სხვა ენათა მონაცემზე დაფუძნებული განსაზღვრებები უნდა აისახოს.

უმნიშვნელოვანესია **ტერმინთაწარმოებლების** გამოყოფა. მასალის დამუშავება საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ყველა მწარმოებელი და ამ თვალსაზრისით შევისწავლოთ ერთი და იმავე დარგის, მაგალითად, ეკონომიკის, მედიცინისა თუ, ზოგადად, ტექნიკური ტერმინოლოგიის, მწარმოებლები სხვადასხვა რედაქციის მიხედვით.

მაგალითად, **-ობა ბოლოსართით** ნაწარმოები ტერმინები: დაბრეცილობა, გამავლობა....

**-ად ბოლოსართით** ნაწარმოები ტერმინები: კლებადი, ანთებადი, მილევადი, აალებადი...

**-ობ ბოლოსართით** ნაწარმოები ტერმინები: მართობი, მლაშობი, თანობი, ვიწრობი, ქანობი...

**ბოლოსართი -ედ:** განედი, ფართედი, ჯვარედი, თალედი...

**ბოლოსართი-აკ:** ღილაკი, ლილვაკი, კბილაკი, ნაწილაკი, ავზაკი, ღარაკი..

**ბოლოსართი -იან-ა:** ფრთიანა, პეწიანა, კუდფეხიანა, ფარიანა...

**ბოლოსართი – ოვან-ა:** წებოვანა, ფრთოვანა, ნისლოვანა...

**ბოლოსართი -ოსან-ა:** ჯვაროსანა, ფაროსანა, ფრაკოსანა....

**ბოლოსართი -ურ//ულ-ა:** სანთურა, ბადურა, ღობურა, საკვეთურა....

**თავსართი გან-:** განჟაგვა, განწებება, განხრახვნა, განმუხრუქება...

**თავსართ-ბოლოსართი -სი-ე:** სიმძიმე, სიბრტყე, სივრცე....

ივარაუდება არამხოლოდ თავსართ-ბოლოსართების, არამედ თავსართისებრი და ბოლოსართისებრი მწარმოებლების, ანუ პრეფიქსოიდებისა და სუფიქსოიდების, გამოყოფა, სიტყვების დაყოფა აგებულების მიხედვით და სხვა.

შესაძლებელი იქნება სიტყვების ძიება აგებულების მიხედვით, მაგალითად, შეგვიძლია მოვძებნოთ მასალაში მარტივი სიტყვები და ასევე:

რთული უცხო წარმომავლობისა, მაგალითად: **ალუმინთერაპია**, **ალუმინკარბიდი**, **ასტროფოტომეტრია**, **ბენზინქლორიდი** და სხვ.

რთული ქართული წარმომავლობისა, მაგალითად: **აგურფხვნილი**, **არხსავსები**, **აბრეშუმსახვევი**, **ძაფსახვევი**, **ზაგირგვარლი**, **აღალ-თსაშენი** და სხვ.

რთული შერეული, მაგალითად: **ავიასაბურავი**, **ალფანაწილაკები**, **აპარატმშენებლობა** და სხვ.

მნიშვნელოვანია ტერმინის **ისტორიაც**: ამისათვის უპირველესად საჭიროა უკვე არსებული გამოკვლევების, ოქმებისა თუ მოგონებების ასახვა. ისტორია კონკრეტულ სიტყვასთან იქნება დაკავშირებული და მასთან ერთად ვიპოვით სრულ ინფორმაციას. მაგალითად, მათემატიკური ტერმინი **განტოლება** ნიკო მუსხელიშვილის შემოღებული ტერმინია. მან თავდაპირველად **გატოლება** ფორმა შემოიღო, შემდგომში მანვე გიორგი ახვლედიანის წინადადებით, გა-ზმნისწინის ძველი ფორმა აღადგინა და დღევანდელი განტოლება მივიღეთ **ასანთი** – ალექსანდრე ჯანელიძის მიერაა შექმნილი. **განაშენიანება** – ვუკოლ ბერიძის მიერ. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ სწორედ ამ სიტყვის გაქრობას ცდილობს ახლა ენის მოსატეხი დეველოპმენტი – **ლისი დეველოპმენტი**, როცა ქართულად მარტივად ასე შეიძლება – **ლისის განაშენიანება**. **ქურო** – რაფიელ ერისთავის მიერ შემოღებული ტერმინია და სხვ.

ისტორიისათვის ასევე მნიშვნელოვანია უკვე არსებული გამოკვლევების, ოქმებისა თუ მოგონებების ასახვა კონკრეტულ ტერმინთან დაკავშირებით. მაგალითად, ტერმინი **მეკლდეური**, როგორც მასალებიდან, კერძოდ, ლელოს 1970 წლის 15 ნოემბრის ნომრიდან ირკვევა, ნიკო კეცხოველის დამკვიდრებული ტერმინი ყოფილა. სპორტის ამ სახეობის აღმნიშვნელ ტერმინად გაზეთ „ლელოში“ სხვადასხვა ავტორის მიერ რამდენიმე ვარიანტია შემოთავაზებული: **კლდელაშქრობა**, **კლდემოლაშქრე**, **კლდემოლახველი**, **კლდეთამძლე**. ნიკო კეცხოველის ყველაზე მცირე თვალსაზრისი ასე იწყება: „ამას წინათ გამოვიდა პროფ. პ. ხუბუტიას შრომა „თუშური კილო“. ამ წიგნის ლექსიკონში არის ერთი სიტყვა მეკლდეურადი – კლდეებში კარგად მოსიარულე საქონელი. თუშები კლდეს ხშირად „კილდეს“ ან კლდეს უწოდებენ, იქნებ „კლდეზე მცოცავის“ ნაცვლად გამოდგეს. მეკლდეური – კლდეებში და კლდეში კარგად მოსიარულე. შემდეგ ამატებს: ნუ შეგვაშინებს განმარტებაში საქონელი, თუშეთში ოთხჯერ ვიყავ და ჩვენ შესახებაც ამბობდნენ: მებალახენი, მეკლდეურებიო“.

ერთ-ერთი ოქმის შინაარსია ასეთია: 1959 წლის 13 თებერვალს გამართულ სხდომას ესწრებოდნენ არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თო-

ფურია, გიორგი ახვლედიანი, ქეთევან ლომთათიძე, ალექსანდრე კობახიძე და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების წევრები. იმ დღეს სხვა სიტყვებთან ერთად განიხილეს ქეთევან ლომთათიძის მიერ დასმული საკითხი, როგორ თარგმნონ სიტყვები *саниат* და *санврач*. არნ ჩიქობავას წინადადება იყო შემოკლებული ვარიანტი სანიექიმი, სანბატალიონი. ვ. თოფურიას კი – სრული სანიტარული ბატალიონი, სანიტარიის ექიმი. სანიტარიის ექიმიც მიზანშეწონილად მიაჩნია. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ორივე, ვრცელიც და შემოკლებულიც, დატოვონ.

ინსტიტუტში შემოსული ერთ-ერთი წერილის მიხედვით ირკვევა, ტერმინ **უკუგების** დამკვიდრება საქდესის დირექტორის წინადადება იყო. ინსტიტუტის ეს გამოუქვეყნებელი და შეუსწავლელი მასალა ქართული ლექსიკოგრაფიის ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდის ისტორიას ინახავს.

ტექნიკური ტერმინოლოგიის რედაქციაზე მუშაობისას ყველა შესატყვისი ტერმინის თავმოყრის გარდა, უმნიშვნელოვანესია ის **შენიშვნები**, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოუთქვამთ. განყოფილებაში ინახება ტექნიკური ტერმინოლოგია როგნედა ლამბაშიძის შენიშვნებით. მაგალითად, **ბუნიკს ქუსლი** უწერია. **ელექტროძალოვან ბლოკს** – **ელექტრული ბლოკი**, **დიდჩქარული** – **დიდსიჩქარიანი**, **უჟანგი** – **უჟანგავი** და სხვა.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ლ. სუთიძე **ბაგირების დამარაგების** ნაცვლად გვთავაზობს **ბაგირების გადახვევას**. **დომკრატის** ნაცვლად გვთავაზობს ტერმინებს: **საწევარი** ან **ამწევი**. შენიშვა ბევრია, მხოლოდ მათი ასახვა ბაზებში საჭირო, რათა ნორმატიული ტერმინების დამდგენი დარგობრივმა კომისიამ უკვე გამოთქმული შენიშვნებიც გაითვალისწინოს.

უმნიშვნელოვანესია **ბიბლიოგრაფიის** სწორად ასახვა ტერმინთსაცავში, რათა ბოლოს და ბოლოს თავი მოეყაროს სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სტატიებსა თუ ლექსიკონებს. ეს, მოგეხსენებათ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ტერმინოლოგიური ბაზების შესაქმნელად. ტერმინოლოგიური ბიბლიოგრაფია საკმაოდ დამუშავებულია სხვადასხვა დროს სხვადასხვა მკვლევრის მიერ. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, დავეყრდნობით არსებულ ლიტერატურას და შემდგომ ბიბლიოგრაფიის შევსება, ბუნებრივია, გაგრძელდება. აქაც ძიება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ავტორით, სახელწოდებით, წლებით და დარგით.



ასევე მნიშვნელოვანია **დიალექტური მასალის** ასახვა ბაზებში. როგნედა ღამბაშიძე წერდა: დიალექტური მასალების გამოყენებას ტერმინოლოგიური მიზნებისათვის ხელს უწყობს: ა) მრავალრიცხოვანი დიალექტური და დარგობრივი ლექსიკონები, რომლებიც შედგენილია ქართველი მკვლევრების მიერ სხვადასხვა დროს და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში; ბ) შინამრეწველობის მასალები, რომლებიც შეკრებილი იყო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში აკად. ივ. ჯავახიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით; გ) ალ. მაყაშვილის მიერ შედგენილი ბოტანიკური ლექსიკონი; დ) ეთნოგრაფების მასალა.

დიალექტური მასალის გამოყენების საკითხი გააქტიურდება, თუ ერთხელაც შეიქმნება ისეთი ბაზები, რომლებშიც დარგობრივი ლექსიკა მუდამ თავიდან საკვლევი და მოსამებნი არ იქნება. ამ მასალის ელექტრონულ ბაზებში ასახვა უმნიშვნელოვანესია ტერმინოლოგიის განვითარებისათვის.

ქართულ ტერმინთბანკის მასალა, ერთი მხრივ, ისტორიაა, რომელსაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეყაროს თავი და ასრულდეს სხვადასხვა ეპოქის საზოგადო მოღვაწეთა სურვილი – ვიცოდეთ, რა მარაგი აქვს ქართულ ენას. იმავე საქმეს ივანე ჯავახიშვილი მარტო შეუდგა და თავად ამოწერა უამრავი მასალა დარგების მიხედვით და, მეორე, ამ თავმოყრილ და გაანალიზებულ მასალას ადვილად დაეყრდნობა სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონების სარედაქციო სამუშაო.

**Lia Karosanidze, Irakli Ujmajuridze, Emzar Jgerenaia**

## **The Georgian Terminological Database**

(Electronic Resources for the Corpus of Terminology)

### Summary

Nowadays two main views have been advanced about terminology among the contemporary Georgian researchers. One part argues that the old terms do not meet the requirements of modern terminology and find the solution in translating English terms or adopting them without translation. We believe that this view denies the old traditional school of terminology, the school that is the continuation of the older school itself. Modern terminological lexicography or terminography does not deny the old in any country. Computational linguistics provides new, additional possibilities for lexicography. In the 21<sup>st</sup> century there are more ways to conduct your work wisely and effectively. The creation of the Georgian terminological database will enable us to evaluate the old and not fall behind modernity. For this purpose, first of all, it is important to store all the terminological material in one database and to study and process it. We mean gathering terminological dictionaries compiled at different times.

Modern terminology is based on the terminological database in a number of countries. In Georgia, the involvement of the Ministry of Defense made it possible to digitize and process terminological dictionaries as they have created a special program for compiling the terminological database together with the terminologists of the Institute of Linguistics. This year the National Parliamentary Library of Georgia has joined the work. In the digital library a special page has been created where the terminological dictionaries compiled at the Institute of Linguistics at different times will be placed; the Institute of Linguistics will be given the electronic versions. Electronic resources for the Georgian terminological corpus are being processed at the Institute. The paper deals with the principles of processing the terminological database based on the existing material.

## გიორგი ცოცანიძე

### მეცხვარეობის ტერმინოლოგია

მეცხვარეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ის დარგია, რომლის ძირებიც ისტორიის ათასწლეულების მიღმიერ ეპოქებშია ჩაფხვნილი და როგორც ფოლკლორული წყაროებიდან მოჩანს, იგი მითოსურ ხანაშივე იღებს სათავეს (დევებთან მეომარი ღვთაება, კოპალა კარატიონი, რომელიც ფხოვის ტერიტორიას დევთაგან გაათავისუფლებს, განწმედს და თავისი საყმოს გასაფართოვებლად თუშეთში გადავა, იქ იგი პირველად მეცხვარე მიქას შეხვდება), მაგრამ როგორც კლასიკურად ჩამოყალიბებული კულტუროლოგიური ფენომენი, ის ძირითადად საქართველოს ორ კუთხეში – თუშეთსა და ფშავშია – შემორჩენილი და მეცხვარეობის ტერმინოლოგიაც ამ ორი კუთხის დიალექტური მეტყველების თითქმის მსგავს ფენებს წარმოადგენს. ამ ფენების შექმნაში სამ განსხვავებულ წყაროს მიუღია მონაწილეობა: ერთია ტერმინიზაცია ზოგადი ლექსიკური ერთეულებისა, მეორეა ნასესხობანი სხვა ენებიდან, რომლებშიც მეცხვარეობა ისევე მაღალ დონეზეა განვითარებული, როგორც ჩვენთან და მესამე – თვით ქართული ენის წიაღშივე წარმოშობილი ტერმინები. ამგვარად ამ ორი დიალექტის შიგნით სასოფლო სამეურნეო ლექსიკაში მეცხვარეობის ტერმინოლოგიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

დავიწყოთ ცხვრის ასაკთან დაკავშირებული ტერმინოლოგიით: სიტყვა **ცხვარი** ზოგადი სახელია შინაური ცხოველისა, რომელსაც აშენებენ ხორცის, მატყლისა და ყველის მისაღებად, მაგრამ მეცხვარეობის მეურნეობაში იგი ტერმინად იქცა და გამოიყენება რამდენიმე მნიშვნელობით (აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ზუსტი მეცნიერული და ტექნიკური ტერმინოლოგიისაგან განსხვავებით, სასოფლო-სამეურნეო და, მათ შორის, ზოგ მეცხვარეობის ტერმინსაც ახასიათებს პოლისემია), რომლებითაც იგი მხოლოდ მეცხვარეთა შორის იხმარება და, ამდენად, მეცხვარეთა ტერმინს წარმოადგენს. **ცხვარი** ჰყავსო, რომ იტყვიან, ეს არ ნიშნავს, რომ მას ერთი ცხვარი ჰყავს, არამედ იმას, რომ პირი, ვისზედაც საუბარია, მეცხვარეა, ზევრი ცხვარი ჰყავს და აქ ცხვარი პიროვნების ქონებრივი ცენზის მაჩვენებელი ტერმინია. **ცხვარი** ცხვრების ფარის მნიშვნელობითაც იხმარება: „მეცხვარემ **ცხვარი** გაშალ, შემოეფინა ჩდილსაო“. აქაც ცხადია, იგულისხმება არა ერთი

ცხოველი, არამედ ბევრი ცხვრის ერთობლიობა – **ფარა**. **ფარაც** თავის-თავად მეცხვარეობის ტერმინია, მონოსემიური.

**ბატკანი** – ცხვრის ნაშიერი. ეს მისი ზოგადი, არატერმინოლოგიური მნიშვნელობაა. ტერმინოლოგიურად იგი გარკვეული ასაკის ცხვრების ფარას გულისხმობს. „**ბატკანში** წავიდა“, „**ბატკანს** დაჰყვება“, „**ბატკანს** ამოვებს“. აქ, ცხადია, ბატკნების სიმრავლე, მათი ფარა იგულისხმება და არა ერთი ცხოველი. ძალიან ცხადად გამოიყურება ამ ცხოველის ასაკობრივი ტერმინები: **ქორფა** – ახლად გაჩენილი ან რამდენიმე დღის ბატკანია. **ბატკანი** ცხვრის ნაშიერი მანამდეა, სანამ იგი პირველად გაიპარსება, ამ დროს მას სქესობრივად განსხვავებული სახელები არა აქვს – არის **დედალი ბატკანი** და **მამალი ბატკანი**. ზაფხულის ბოლოს ბატკანი გაიპარსება და **თოხლად** გადაიქცევა. შესაბამისად, არის **დედალი თოხლი** და **მამალი თოხლი**. ცხვრის ნაშიერი ერთი წლის რომ გახდება და მეორედ გაიპარსება, მაშინ ხდება სქესის მიხედვით მათი ტერმინების დიფერენციაცია: **დედალი შიშაქად** გადაიქცევა, მამალი – **ჭედილად**. ჭედილებს მეცხვარე „**დაკოდავს**“ (ასე ჰქვია მამალი ცხვრის კასტრაციას) და ზაფხულის ბოლოს, შემოდგომაზე, დაყიდის. ესაა მეცხვარის ფულადი შემოსავლის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი. ჭედილების ერთ ნაწილს მეცხვარე დაუკოდავად, სანაშენედ, ინახავს. ისინი ჯერ **საყოჩებია**, ხოლო როცა დედა ცხვრის ფარაში შეუშვებს ცხვრების გასანაყოფიერებლად, იგი უკვე **ყოჩია**. ზრდასრული დედა ცხვარი შემოდგომაზე **მოსაგებია** – ერთიც და ასეთი ცხვრების ფარაც. როცა ზამთარში ბატკანს მოიგებს, იგი უკვე **ბატკნიდედაა**. ამ ტერმინით აღინიშნება ერთი ცხვარიც და ასეთი ცხვრების ფარაც. ცხვარი, რომელმაც პირველად გააჩინა ბატკანი, **ხამი შიშაქია**, შემდეგ დიდ დედა ცხვრებს, იმისდა მიხედვით, თუ რამდენჯერ მოიგო ბატკანი, ჰქვია: **ერთნაყოლი**, **ორნაყოლი**, **სამნაყოლი** და ა. შ. ფარაში მწარმოებლად ნამყოფი მამალი ცხვარი **ნაყოჩარია**. იმისდა – მიხედვით, თუ რამდენჯერ იყო იგი ფარაში მწარმოებლად, იქნება: **ერთმოვლილი**, **ორმოვლილი**, **სამმოვლილი** და ა. შ. დედაცხვარი, რომელმაც ბატკანი არ მოიგო, **ბერწია**. ამავე ტერმინით აღინიშნება ასეთი ცხვრების ფარაც. კაცი თუ იტყვის, **ბერწში ვარო**, იგულისხმება, რომ იგი **ბერწის** (მეორე მნიშვნელობით) მწყემსია.

ტერმინოლოგიით ერთობ მდიდარია მეცხვარეობის მეურნეობაც. **მეცხვარეობა** სოფლის მეურნეობის ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია და აღმოსავლეთ საქართველოში თავისი ღირებულებით უთანაბრდება ორ დანარჩენს – მემინდვრეობას და მევენახეობას. ასე

რომ, ეს სამი დარგი წამყვანია ქართველთა ყოფიერებისა და ტერმინოლოგიური სიმდიდრით ერთიმეორეს ტოლს არ უდებს (ცხადია, არსებობს სხვა დარგებიც, აგრეთვე ძირძველი და ტერმინოლოგიითაც მნიშვნელოვანი, ვთქვათ: მეძროხეობა, მეკამეჩეობა, მეღორეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა და ა. შ.), მაგრამ ამჯერად ჩვენ **მეცხვარეობაზე** ვსაუბრობთ. იგი ხასიათდება ერთობ რთული ინფრასტრუქტურული სპექტრით და რომ შევძლოთ ამ დარგის რამდენადმე სრული ტერმინოლოგიური აღწერა, ამ სპექტრის თითოეულ მხარეზე დამოუკიდებლად უნდა ვიმსჯელოთ.

მეცხვარეობის მეურნეობის ძირითად ტრადიციულ უჯრედს **ბინა** წარმოადგენს, თავისი გარკვეული საწარმოო საშუალებებითა და მომსახურე პერსონალით. ძირითადი სამეურნეო საშუალება მეცხვარისათვის საძოვარია. მეცხვარეობა ჩვენში **მთაბარულია**, რომელსაც ოფიციალურ ნომენკლატურაში **გადარეკვის** უწოდებენ. ამისდა კვალად საძოვრები, რომლებითაც მეცხვარეები სარგებლობენ, ორ ნაწილად განიყოფება: **საზაფხულოები**, ანუ იგივე **სამთოები**, სადაც მეცხვარეობის მეურნეობა ზაფხულშია გაშლილი და **საზამთროები**, სადაც ისინი ზამთარს ატარებენ. „საზაფხულოებსა“ და „საზამთროებს“ გააჩნიათ თავ-თავიანთი ინფრასტრუქტურა და, შესაბამისად, ახასიათებთ თავ-თავისი ტერმინოლოგიაც. ორივესთვის ზიარია ტერმინი **ბინა** რომელიც ბისემანტიკური ლექსიკური ერთეულია: **ბინა**, როგორც სამეურნეო უჯრედი და **ბინა**, როგორც სამეურნეო ადგილის ცენტრი თავისი ძირითადი და დამხმარე შენობა-ნაგებობებით. მთაშიც და ბარშიც „ბინის“ (მეორე მნიშვნელობით) უმნიშვნელოვანესი ობიექტი **ქობია** (ეს არ გულისხმობს ნაშენობის ტიპს) – მეცხვარეთა სამყოფი, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და ინახავენ საკვების მარაგთან ერთად ყოველნაირ სამეცხვარეო ინვენტარსაც – ე. წ. **სახმარ-საციქველს**. ამისდა კვალად მოწყობილია **ქობის** ინტერიერი შესაბამისი ნაკვეთურებით, სადაც აუცილებლად არის **საცეცხლური**, **საბუნაგე**, **საზარგე** და მთაში **საყველე**. ბინების უმეტესობაში ეს უკანასკნელი ცალკე მდგომი ნაგებობაა.

მთელი ტერიტორია, რომლითაც **ბინა** (პირველი მნიშვნელობით) სარგებლობს, მთაშიც და ბარშიც, დაყოფილია სხვადასხვა დანიშნულების ადგილად: **სადოლე ადგილი**, **სათოხლე**, **საბერწე** და **საჯოგე**. ამას გარდა, მეცხვარე ბარში ჩასვლისთაენავე გამოყოფს ორ ნაკვეთს ბინის მიმდებარედ – ერთს მომცროს, **საქორფეს**, იმ დღე-ღამეში მოგებული დედაშვილებისათვის და ერთსაც მოზრდილს – **სახამეს**

**ბატკნიდედისთვის.** დოლის დაწყებამდის იგი ამ ორივე ნაკვეთს ხელუხლებლად ინახავს.

ბარში **სადოლე ადგილში, ქობის** სიახლოვეს, გამართულია **ფარები** – წაგრძელებულად ნაგები დიდი, დაბალი შენობა, რომელიც განკუთვნილია ზამთარში „მოსაგებისა“ და „ბატკნიდედის“ ღამის სადგომად, სადაც გამოყოფილია სათანადო დანიშნულების ნაკვეთურები: **საქორფე**, სადაც ერთი ღამით ცალკე ათავსებენ ახალმოგებულ ცხვრებს თავიანთ ბატკნებთანად; აქვეა **სალუბე** – ნაკვეთური **ლუბი**, ავადმყოფი ცხვრებისათვის; ფარების კედლებთან მთელ სიგრძეზე გამართულია **კორაკანები**, პატარა შემოდობილები, სადაც ერთი ცხვარი და ერთი ბატკანი მოთავსდება მხოლოდ. აქ დოლისას ფარებში მორიგე მწყემსი ახლად მოგებულ ცხვარს ჩააგდებს ბატკნიანად, რათა მან მას მოუაროს, ლოკვით მოამშრალოს და საბოლოოდ **აიყვანოს**. ფარებს ოთხი კარი აქვს: თავში, ბოლოში და ორიც წინა, სიგრძის კედელში – სიმეტრიულად ერთურთს დაცილებული. ორივე ამ კართან შემოდობილია მოზრდილი ბაკები, რომლებშიც ცხვარ-ბატკნის მთელი ფარა თავისუფლად თავსდება. ესენი „საწოვებლებია“. აქ შეყრიან ცხვარსა და ბატკანს ერთად დილა-საღამოს. **დაწოვების** შემდეგ ცხვარ-ბატკანს გააცალკევებენ. დედა ცხვრებს ღამით ფარებში შეყრიან, დღისით, დილის დაწოვების შემდეგ კი სამოვარზე გაიყვანენ. დაწოვებასა და დაწოვებას შორის ბატკნებს **ჭალურებში** ათავსებენ. **ჭალური** საგანგებოდ დათბუნებული და სპეციალურად მომზადებული იატაკიანი სადგომია **ქორფა** ბატკნებისათვის, რომლებიც **საწოვებელ** ბაკებთან ისეა მოწყობილი, რომ კარი ბაკში გამოდის.

სპეციალური ტერმინები უკავშირდება დოლის პერიოდში ცხვრის **დადოლების** (ასე ეწოდება ცხვრისგან ბატკნის მოგებას) პროცესსაც. ცხვრის მაკეობის პერიოდი 5 თვეს გრძელდება, ე. ი. **განერბვიდან** ხუთი თვის შემდეგ გააჩენს ცხვარი ბატკანს, ანუ **დადოლდება** (**დადოლდება** ერთი ცხვარიც და მთელი ფარაც, როცა ნამატის მიღება შეწყდება). მაშ ასე: განაყოფიერებული დედა ცხვარი **მოსაგებია**. განაყოფიერებიდან მოგებამდის ერთი თვეა რომ დარჩება, იგი „**თვეში ჩამდგარია**“. თვეში ჩამდგარი ფარა რთულ რელიეფიან სამოვარზე არ უნდა ატარო, თორემ თხრილებსა და ბექ-ბუქებზე გადასვლისას ცხვრები **გაბერწდებიან** – ნაადრევად დაყრიან ზრდადაუსრულებელ მკვდარ ბატკნებს. **ბერწობა** იცის თვეში ჩამდგარი ცხვრის გაცივებამაც. ცხვარს **დასადოლებლად** მომზადება, გაზრდილი მუცლის გარდა, ჯიქნის გადიდებაზეც ეტყობა. ცოტათი გადიდებულჯიქნიან

ცხვარი **დაკვერილია**, უკვე დიდჯიქნიანი, დასადოლებლად მომზადებული, **დაძუძული**. ცხვარი ბატკნის გაჩენის წინ **საბერას გამოუმვებს** – დუმის ქვეშ, **საფსმურიდან**, გამოუვა სითხით სავსე მოზრდილი გაბერილი ბუშტი (**საბერა** ზოგადად საშარდე ბუშტია ცხოველისაც და ადამიანისაც). **საბერა** რომ გასკდება და სითხე დაიქცევა, ცხვარმა **თავწყალი დაღვარა** და უკვე იზადება **ლომპრიანი** – ლორწოთი ტან- და თავდაფარული ბატკანი. მეცხვარე ბატკანს წინა ფეხებით აიყვანს და **ლომპრს** ჯერ ცხვირ-პირიდან მოაცილებს, რათა ბატკანმა ამოისუნთქოს, თორემ იგი **გაიფუდება** – დაიხრჩობა, შემდეგ კი **ხმალიკათი** – დანის ფორმაზე გათლილი ჯოხით, რომელიც დოლის დროს ყველა მეცხვარეს ქამარზე ჰკიდია – მთელ ტანსაც ჩამოუფხვს. დედას წამოაქცევს, ჯიქნის სიახლოვეს მუცლიდან ეკლიან ბირკებს მოაცილებს, ე. ი. **გაბირკავს** და ბატკანს მოაწოვებს. ბატკანმა **ხსენი** მოწოვა, „**დვრიტა დაიდვა**“ – კუჭი მოემზადა მიღებული საკვების მოსაწელებლად. **უხსენო** ბატკანი საკვებს ვერ იწელებს, **ლუბდება** და მალე კვდება კიდევ. ცხვარი, რომელიც ბატკანს იგებს, მაგრამ ჯიქნის დაზიანების გამო რძე არა აქვს, **ჰყარია**. ასეთი ცხვრის ბატკანს სხვა „მეზეობ“, ანუ ბევრძიან ცხვარს **შეაყვარებენ**, დედას კი გასაყიდად ან დასაკლავად მონიშნავენ.

როგორც ვთქვით, დოლის ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი **დაწოვებაა**, მთავარია, ყველა დედამ თავისი ბატკანი იპოვოს და მოაწოვოს. ამაზე დოლში მისი წარმატებით ჩატარებისთვის **მცნობი** ზრუნავს. ესაა ცხვარ-ბატკნის ცნობის განსაკუთრებული უნარის მქონე მწყემსი. თუ ბინაში ასეთი კაცი არ ჰყავთ, სადოლედ მას ქირაობენ და ჩვეულებრივ მწყემსზე მეტ ჯამაგირს უნიშნავენ. სანამ **დადოლებული** ცხვრების რაოდენობა მცირეა, მცნობი მათ **საწოვებელ** ბაკში **ხელზე დაყრით** აწოვებს. **ბატკნიანის** ფარა რომ გაიზრდება, უკვე გარეთ, საწოვებელ ზოლზე **გაბერავებით** აწოვებენ: დედებისა და ბატკნების ფარას **დაურევენ**, საწოვებელ ზოლზე ნელა გაირეკავენ და ამ დროს ცხვარ-ბატკანი ან თვითონ პოულობს ერთმანეთს, ან მათ მწყემსები ეხმარებიან **ფეხკავებისა** და **ყელკავების** მეშვეობით. ამ დრო ცხვრის ინსტინქტის აღმნიშვნელი ტერმინია **გამოყვანა**. ცხვარი ბატკანს რომ იპოვის, ერთი-ორჯერ მოაქაჩვინებს ძუძუზე, მერე ფარიდან გამოერჩევა, ბატკანსაც გამოიყოლებს და უკვე განცალკევებით კვებავს და ეფერება. ასე დაწყვილებული ცხვარ-ბატკნის ფარა დაახლოებით ერთ საათს რჩება **საწოვებელ** მინდორზე. შემდეგ ხდება **ასხლეტა**. მთელ ფარას ერთიანად შეყრიან **საწოვებელ** ბაკში. ბაკის კარებში კა-

ვებით შეიარაღებული მწყემსები ჩადგებიან. ცხვარს თვისება აქვს, ერთი-ორი ცხვარი რომ საითმე გააგდო, მთელი ფარა მათ გასაყოლად მიიწევს. აქაც მეცხვარეები რამდენიმე ცხვარს გამოაგდებენ გარეთ, დანარჩენი ცხვრები მათ მიჰყვებიან. ამ დროს მეცხვარეები გასასვლელს ავიწროებენ, დედებს უშვებენ, ბატკნებს შიგნით აბრუნებენ. ასე, სულ ათიოდე წუთში ცხვრებსა და ბატკნებს დააცალკევებენ, ე. ი. „ასხლეტავენ“. დედების ფარას საძოვარზე გადენიან, ბატკნებს კი **ჭალურებში** მოათავსებენ.

მეცხვარეობაში აქტიური ტერმინია **აყრა**. იგი ბისემიური ლექსემაა. ერთი მნიშვნელობით ის ზამთარში ზრდაშეჩერებული მატყლის გაზაფხულზე ზრდის დაწყებას ნიშნავს, რა დროსაც მეცხვარეები იწყებენ საგაზაფხულო **პარსვებს**, მეორე მნიშვნელობით **საზამთროებიდან საზაფხულოებისკენ** გამგზავრებას აღნიშნავს. „ავიყარენითო“, - ამბობენ მეცხვარეები.

მთაში მეცხვარეთა ყოველი ბინის ადგილი სამად არის გაყოფილი: **სასაწველავე, საბატკნე, საბერწე**. „სასაწველავეში“ არის **საწველი ბინა** – სამეურნეო ცენტრი თავისი სამეურნეო ნაგებობებით. მთავარი აქაც „ქოხია“. ქოხში არის ნაკვეთურები: **საცეცხლური, საბუნაგე** და **საყველე ტახტები**, სადაც ყველიან გუდებს ალაგებენ. ქოხის მიმდებარედ არის **ბაკი**, ოვალურად ქვის ყორით ან ხის ღობით შემოფარგლული ადგილი, სადაც **საწველავი** იწველება. მისივე მიმდებარედ არის „ნაწიდარი“, სადაც **ბაკში** შერეკვამდის **საწველავი** ისვენებს, იცოხნის და რძეს **იყენებს**, ანუ **ჩამოიყენებს** – ტერმინი **ჩამოიყენება**.

**საბერწეში ბერწის** ფარა ძოვს, რომელსაც **მებერწე** მწყემსავს, საბატკნეში **ბატკანი** ბალახობს **მებატკნის** ზედამხედველობით („ბერწისა“ და ბატკნის“ ტერმინოლოგიური განმარტებები იხ. ზემოთ). „ბატკნისა“ და „ბერწის“ ღამით სადგომი ადგილები ველზე **საბინაოებია**, ის ადგილი კი, სადაც ღამით ფარა ეყრება, **ნაწიდარია**. საბინაოზე აუცილებლად დგას **ჩხა**, ტოტებიანი ხე, რომელზედაც ჩამოკიდებულია მწყემსის მთელი ინვენტარი – **ბინა-ბარგი**.

მთის სამოვრებზე ბალახი ორგვარია: **დაპურებული**, ანუ დამძველებული, განვითარების სტადიადამთავრებული და **ნოლი** – ნორჩი. „დაპურებული“ ბალახი ცხვარს აწველებს, „ნოლი“ – ასუქებს. ამიტომ **საწველავი** მთის ქვედა სარტყელში, ანუ **საბაროებში** ბალახობს, **ბერწი** და **ბატკანი** – ზედა სარტყელში, **სამთოებში**.

ტერმინოლოგიურად ერთობ მდიდარია ცხვრის რძის პროდუქტების წარმოების ლექსიკა: **კოდი** – ხის მთლიანი ტანის ჭურჭელია,



სადაც გროვდება მოწველილი რძე; **საწურავი** – კოდზე დადგმული მოწვობილობა, რომელშიც იფილტრება რძე; „შაბოში“, სპეციალური წესით მომზადებული რძის შესაყველებელი სითხეა; **დელამო** ან **დილამოწი**, ახლად შედედებული რძის რბილი მასა, რომელიც დელიკატესად ითვლება და რომელსაც **სარქალი**, იგივე **მეყველე**, იგივე **კოდის დედა**, მიათმევს ხოლმე საპატიო სტუმრებს ან სტუმრად მოსულ ბავშვებს. **ბარცაკალი**, იგივე **საჯურავი**, რომელზედაც **მეყველე** ჯურავს და სათანადო ფორმას აძლევს ყველის თავებს; „კასრი“, არის სპეციალური ჭურჭელი, რომელშიც „მწველავები“ რძეს წველიან; **გუდა**- ცხვრის ტყავისაგანაა სპეციალური წესით მომზადებული, რომელშიც ალაგებენ ყველის თავებს, ტერმინოლოგიურად **კვერებს**; გუდაში მიმდინარეობს „დაყველების“ შვიდკვირიანი ტექნოლოგიური პროცესი; „იარლიყი“ – გუდას შებმული ხის პატარა ფირფიტა გუდის პატრონის გვარ-სახელის წარწერით.

ყველის ამოღების შემდეგ რჩება **შრატის**, რომლის ადულებითაც მიიღება ხაჭო, **კალტი**, რომელიც, დამარილებული, წარმოადგენს მეცხვარეთა ყოველდღიურ საკვებ **სატანს**; **საჩობნო** – წველის სეზონის ბოლო ერთი კვირის ნაწველი ყველი, განკუთვნილი, მეცხვარეთა საბინაო საკვებად ზამთარში. **საჩობნოსაგან** სპეციალური ტექნოლოგიით მიიღება **ჩოგი**, რომელიც **ცხვრის კალტთან** ერთად ქმნის მეცხვარეთა ყოველდღიური საკვების მარაგს. შრატის ადულებით მიღებული ტკბილი ხაჭოიანი წვენი – **შხლაპურტია**, ყველის ამოღების შემდეგ კოდში რჩება **ყველის ძირი**, რომელსაც კასრში ჩაასხამენ და მეორე დღისთვის მიიღება აგრეთვე მეცხვარეთა ერთი საკვები ზაფხულში – **მჟავე**; **მჟავეს** ცხვრის რძეს დაასხამენ და მიიღება **წველა**; შესანახად დამარილებული და გამხმარი ცხვრის ხორცი **ყადია**; ცხვრის ხორცის წვნიანი **ჯორწვენია**.

მხოლოდ ამით არ ამოიწურება მეცხვარეობის მეურნეობის ტერმინოლოგიური სიმდიდრე, რაც იმის დასტურია, რომ ამ დარგს ჩასახვიდან დღემდე განვითარების დიდი გზა აქვს გამოვლილი.

### მეცხვარეობის ტერმინთა ანბანური ჩამონათვალი

**აყრა** – 1. მეცხვარეთა გამგზავრება ერთი ადგილიდან მეორეზე გადასასვლელად; 2. ზამთარში ზრდაშეჩერებული მატყლის ზრდის დაწყება.

**ასხლეტა** – ცხვარ-ბატკის დაცალკეება.

**აყვანა** – ცხვრისგან სხვისი ბატკნის მიღება, შეყვარება.

**ბაკი** – ცხვრის საწველად ღობით შემოზღუდული ადგილი.

**ბაკში ჩამსვლელი** – მეცხვარე მწყემსი, რომელსაც ცხვრის მოწველა შეუძლია.

**ბარცაკალი** – ფიცარი ან სიპი, რომელზეც მეყველე ყველის თავებს ფორმას აძლევს.

**ბატკანი** – ბატკნების ფარა.

**ბატკნიანი** – დედა ცხვრების ფარა, რომელსაც ბატკნებიც თან ჰყავს.

**ბატკნიდედა** – ბატკანნაყოლი დედა ცხვრების ფარა.

**ბერწობა** – დოღში ბევრი ცხვრის გაბერწება – მკვდარი, ზრდადაუსრულებელი ნაყოფების დაყრა.

**ბინა** – 1. მეცხვარეთა სამეურნეო უჯრედი ცხვრის გარკვეული რაოდენობითა და მომსახურე პერსონალით; 2. ადგილი მეცხვარეობის შენობა-ნაგებობებით.

**ბინა-ბარგი** – მეცხვარის ველზე ცხოვრებისთვის საჭირო ნივთები.

**ბუდე** – ბატკნის მომყოლი, რომელსაც ცხვარი დააგდებს ბატკნის გაჩენისთანავე.

**გაბერავება** – ცხვარ-ბატკნის დასაწოვებლად ერთად შეყრა მინდორზე გარეკვით.

**გაბირკვა** – 1. ახლად ნამშობიარები ცხვრისთვის მუცლიდან ეკლიანი ბირკების მოცილება; 2. სამოვარზე ცხვარი რომ მატყლზე ბირკებს აიხვევს.

**გაგუღვა** – ბატკნის დახრჩობა პირიდან ლომპრის მოუცილებლობის გამო.

**განერბვა** – ყოჩისგან ცხვრის განაყოფიერება, დამაკება.

**გასარდვლა** – იგივეა, რაც გაბერავება. ეს კახელ მეცხვარეთა ტერმინია.

**დადოლება** – ცხვრისგან ბატკნის მოგება, გაჩენა.

**დათავისება** – საქორფეში დედისა და შვილის ერთად შეყრა.

**დაკვერილი** – მაკე ცხვარი, რომელსაც სარძევე ჯირკვალი დაეტყობა.

**დაკოდვა** – მამალი ცხვრის კასტრაცია.

**დაპურებული** – სამოვარზე ზრდადასრულებული ბალახი.

**დარევა** – სხვადასხვა ფარის ერთად შეყრა, ერთურთში არევა.

**დაბუძული** – მაკე ცხვარი, რომელსაც სარძევე ჯირკვავი ბოლომდის გაეზარდა, ძუძუ რძით გაეცხო.

**დაწოვება** – ცხვრისა და ბატკნის ერთად შეყრა მოსაწოვებლად.

**დელამო** – ახლად შედედებული რძე, უმწიფარი ყველი.

**დელამოწი** – იგივეა, რაც დელამო.

**დოლი** – ცხვრების მასობრივ მშობიარობის ცხვრის ნამატის მიღების პერიოდი, მეცხვარეობის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დრო.

**დოლჩამოსვლა** – დოლის დამთავრება.

**ერთმოვლილი** – ფარაში მწარმოებლად ერთ სეზონზე ნამყოფი ყოჩი.

**ერთნაყოლი** – ცხვარი, რომელმაც ერთი ბატკანი მოიგო და გაზარდა.

**თაფწყალი** – მაკე ცხვრისგან დაღვრილი წყალი, მშობიარობის დაწყების ნიშანი.

**თაფყალდაღვრა** – ცხვრის მშობიარობის დაწყება.

**თვეში ჩამდგარი** – ცხვარი, რომელმაც ერთი თვის ფარგლებში უნდა იმშობიაროს.

**თოხლი** – ნახევარი წლის, პირველად გაპარსული ბატკანი.

**კალტი** – ყველის ამოღების ნარჩენის, შრატის ადუღებით მიღებული ხაჭო, ცხვრის „ნადული“.

**კასრი** – ცხვრის საწველი ხის ჭურჭელი, სპეციალური ფორმის ხის სათლი.

**კვერი** – ყველი თავი.

**კოდი** – ხის მთლიანი ტანის დიდი კასრი, რომელშიც გროვდება რძე და სადაც ხდება რძის დაყველება.

**კოდის დედა** – მწყემსი, რომელსაც ევალება ყველის ამოღება.

**კორაკანა** – პატარა ნაკვეთური ფარეხში, სადაც ათავსებენ ახალმოგებულ ცხვარ-ბატკანს.

**ლომპრი** – ლორწო, რომელშიც გახვევულია ახალმოგებულის ბატკანი.

**ლუბი** – გამხდარი პირუტყვი.

**მებატკნე** – ბატკნების ფარის მწყემსი.

**მებერწე** – ბერწი, არამეწველი ცხვრის ფარის მწყემსი.

**მეზეობი** – ცხვარი, რომელიც ბევრ რძეს იძლევა.

**მეყველე** – იგივეა, რაც კოდის დედა.

**მეცხვარეობა** – სასოფლო-სამეურნეო დარგი, რომელიც ცხვრის მოშენებითაა დაკავებული.

**მონარევე** – მეცხვარეთა ამხანაგობის წევრი.

**მოსაგები** – 1. დედა ცხვარი შემოდგომაზე; 2. დედა ცხვრების ფარა, რომელმაც მეცხვარეს ნამატი უნდა მისცეს.

**მოსაქრება** – მოფარებული, ქარისაგან დაცული ადგილი ველზე.

**მჟავე** – რძის პროდუქტი, მეცხვარეთა ყოველდღიური საკვები ზაფხულში.

**მცნობი** – ცხვარ-ბატკნის ცნობის განსაკუთრებული უნარის მქონე მწყემსი, უმთავრესი ფიგურა დოლის წარმატებით ჩასატარებლად.

**მწველავი** – მწყემსი, რომელსაც ცხვრის წველა ევალება.

**ნაბერწალი** – ცხვარი, რომელიც რამდენჯერმე ბერწად დარჩა, ბატკანი არ მოიგო. იგი საუკეთესო სახორცე პირუტყვია.

**ნაყოჩარი** – ფარაში მწარმოებლად რამდენჯერმე ნამყოფი მამალი ცხვარი.

**ნაწიდარი** – ცხვრის ფარის ღამის სადგომი ადგილი ველზე.

**ნოლი** – ნორჩი ბალახი.

**ნოტო** – ფარის ნაწილი, მცირეცხვრიანი ჯგუფი ცხვრებისა.

**ორდედა** – ბატკანი, რომელიც ორ ცხვარს წოვს – საკუთარ გამჩენ დედას და მეორე ცხვარს, რომელსაც იგი შეაყვარეს.

**ორმოვლილი** – ფარაში მწარმოებლად ორ სეზონზე ნამყოფი ყოჩი.

**ორნაყოლი** – ორი ბატკნის გამჩენ-გამზრდელი ცხვარი.

**პარსევი** – მეცხვარეობის წლის სეზონი, როცა ცხვარი იპარსება.

**პყარი** – ძუძუდაზიანებული ცხვარი, რომელიც ბატკანს შობს, მაგრამ რძე არა აქვს.

**საბარგე** – მეცხვარეთა ბარგისთვის განკუთვნილი სპეციალური ქოხი ან ნაკვეთური ქოხში.

**საბატკნე** – ბატკნის ფარისთვის განკუთვნილი საძოვარი მთაში.

**საბერაგამოშვება** – შშობიარე ცხვრისგან წყლიანი ბუშტის გამოშვება.

**საბერწე** – ბერწის ფარის საძოვარი მთაში.

**საბინაო** – ღამის სადგომად ვარგისი ადგილი ველზე.

**საბუნაგე** – საჭმლისა და ჭურჭლეულისთვის განკუთვნილი ნაკვეთური ქოხში.

**სადოლე** – ბინის (მეორე მნიშვნელობით) ადგილი საზამთრო საძოვარზე.

**საზამთროები** – ზამთრის სამოვარი ბარში.

**საზაფხულოები** – ზაფხულის სამოვარი მთაში.

**სათოხლე** – თოხლის სამოვრად განკუთვნილი ადგილი ბარში.

**სალუბე** – ლუბი ცხვრების სამოვრად განკუთვნილი ადგილი ბარის ბინასთან.

**სამთოები** – იგივეა, რაც საზაფხულოები.

**სამშოვლილი** – ფარაში მწარმოებლად სამ სეზონზე ნამყოფი ყოჩი.

**სამნაყოლი** – დედა ცხვარი, რომელმაც სამი ბატკანი გაზარდა.

**სარქალი** – 1. ბინის დიასახლისი. 2. იგივეა, რაც მეყველე.

**სასაწველავი** – საწველავის ფარისთვის განკუთვნილი ადგილი მთის სამოვარზე.

**სატანი** – საჭმლისთვის მისაყოლებლად განკუთვნილი ყველი, კალტი, ჩოგი.

**საფსმური** – დედა ცხვრის საშო.

**საქორფე** – 1. ახალმოგებული ცხვრებისთვის განკუთვნილი სამოვარი ბინასთან. 2. ისეთივე ცხვრებისთვის განკუთვნილი ნაკვეთური ფარებში.

**საყოჩე** – ყოჩობისთვის არჩეული ჭედილი.

**საჩოზნო** – სეზონის ბოლოს ნაწველი მწყემსების სატნად განკუთვნილი ყველი.

**საცეცხლური** – ცეცხლის დასანთები ადგილი ქოხში.

**საწველავი** – მეწველი ცხვრების ფარა.

**საწოებელი** – ბაკი ფარებთან, სადაც ხდება ბატკნების დაწოვება.

**სახამე** – ბატკნიდედის სამოვებლად შემონახული ადგილი.

**სახმარ-საციქველი** – მეცხვარეთა საყოფაცხოვრებო საგნები.

**საჯოგე** – ცხენების შესანახად განკუთვნილი ადგილი საზამთროებში.

**საჯურავი** – იგივეა, რაც ბარცაკალი.

**უსხენო** – ბატკანი, რომელმაც ხსენი ვერ მოწოვა.

**ფარა** – ცხვრის სიმრავლე, ერთად შეყრილი ბევრი ცხვარი.

**ფეხკავი** – ცხვრის ფეხით დასაჭერი ბოლოკავიანი ჯოხი.

**ქორფა** – 1. ახლად მოგებული ბატკანი; 2. დოლის ჩამოსვლის მერე მოგებული ბატკანი.

**ქოხი** – მეცხვარეთა სამყოფელ-საცხოვრებელი მთავარი ნაგებობა ბინაში.

**ყელკავი** – ცხვრის ან ბატკნის ყელით დასაჭერი ბოლოკავიანი ჯობი.

**ყველისძირი** – იგივეა, რაც კოდისძირი.

**ყოჩი** – მწარმოებელი მამალი ცხვარი.

**შაბოში** – 1. ჩვილი ბატკნის ან ხბოს გამშრალი კუჭი, დვრიტა; 2. წყალში გაქნილი დვრიტა, ყველის სადედი სითხე.

**შეყვარება** – ობოლი ბატკნის გაყოლება ბატკანმკვდარი ცხვრის-თვის.

**შიშაქი** – ერთი წლის დედაცხვარი.

**შრათი** – ყველის ამოღების მერე დარჩენილი სითხე.

**შხლაპურტი** – შრათის ადუღებისა და კალტის მოხდის მერე კალტის ნაფშვენებიანი ცხელი სითხე, რომელსაც სიამოვნებით ხვრე-პენ.

**ჩამოყენება** – ცხვრის წველისას ჯიქანში რძის კიდევ და კიდევ მოყენება.

**ჩოგი** – სპეციალური წესით მომზადებული ყველეული მეცხვარეთა სატნად.

**ჩხა** – ცხვრის საველე საბინაოზე ჩადგმული ჩამოსაკიდებლებიანი მაღალი ხე, რომელზედაც ჰკიდია ველის მეცხვარის მთელი ბინა-ბარგი.

**ცხვარი** – 1. ცხვრების ფარა; 2. მეცხვარის ცხვრის რაოდენობაში გამოხატული ქონება, სიმდიდრე.

**ცხვრიანი** – კაცი, რომელსაც ბევრი ცხვარი ჰყავს.

**ცხვრის კალტი** – შრათის ადუღებით მიღებული დამარილებული ხაჭო, მეცხვარეთა ყოველდღიური სატანი.

**ჭალური** – ბატკნების სპეციალური დათბუნებული სადგომი.

**ჭედილი** – ერთი წლის მამალი ცხვარი.

**ხამი შიშაქი** – ცხვარი, რომელმაც ბატკანი პირველად მოიგო.

**ხელზე დაყრა** – დაწოვების წესი, როცა მცნობი ბაკში იჭერს ბატკანს და ხელით მიუსვამს დედას.

**ხმალიკა** – ახლად გაჩენილი ბატკნისთვის ლომპრის მოსაცილებელი ხის დანა.

**ხორწვენი** – ხორცის წვნინი.

**ხსენი** – ახლად ნამშობიარები ცხვრის რძე.

**Giorgi Tsotsanidze**

## **Sheep Breeding Terminology**

### Summary

1. Sheep breeding is the field of Georgian agriculture the roots of which date back to the ancient millennia of the history but as a classically formed cultural phenomenon it has been preserved only in the region of Tusheti.

2. Tushetian sheep breeding is rich in the vocabulary related to this field of agriculture in which specific terminology can be distinguished – some lexical units are derived through the terminization of lexemes having the main denotatum, e.g. the word *tsotsanidze* “a sheep” lexically denotes a domestic animal that is bred to get meat, wool and cheese. Terminologically, the word *tskhvari* “a sheep” refers to a flock of sheep as well as the type of the property of a farmer. The forms derived from it such as *tskhvriani* “with sheep”, *satskhvare* “for sheep”, *tskhvarbevri* “with a lot of sheep” have a terminological significance as well. As for the terminized units *bat’k’ani* “lamb”, *sabat’k’ne* “for lambs”, *bat’k’niani* “with lambs”, *mebt’k’ne* “lamb man” etc., they are derived from the word *bat’k’ani* “lamb” having the main lexical meaning.

The paper is an attempt to list the terms related to sheep breeding so far as possible.

## ომარ მაგნიძე

### კონსტანტინე (კოტე) ყიფიანის ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობის შესახებ

კარგად ცნობილია რაფიელ ერისთავის (1824-1901 წწ) 167-გვერდიანი ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან<sup>1</sup> (ერისთავი, 1884). „ეს ლექსიკონი, რომელიც ორი ათასამდე სიტყვას შეიცავს, იმ მხრივაცაა მნიშვნელოვანი, რომ, გარდა **სამეწოვანი** დასახელებისა, ითვალისწინებს ქართული დიალექტების (იმერულის, გურულის, რაჭულის, ფშაურის, მთიულურის) და ერთ-ერთი ქართველური ენის (მეგრულის) მონაცემებს“ (ღამბაშიძე, 1986: 96)<sup>2</sup>.

კონსტანტინე (კოტე) ყიფიანმა (1894-1921 წწ)<sup>3</sup> დიდი შრომა გასწია ასევე ლექსიკონების შესადგენად. პირველ რიგში, იგი ცნობი-

---

<sup>1</sup> კოტე ყიფიანი რაფიელ ერისთავის ლექსიკონს სანიინელის ფსევდონიმით (გომართელი, 1914: 64) გამოეხმაურა, რომელსაც საყურადღებო შენიშვნები და სურვილები ახლავს (დროება, 1884, 223: 1-3).

<sup>2</sup> რაფიელ ერისთავმა 1844 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის გიმნაზია, მაგრამ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება ვერ შეძლო თვალის სისუსტის გამო. იგი ჩადგა სახელმწიფო სამსახურში: 1846 წლის 26 მარტს გაამწესეს თარჯიმნად თიანეთის, თუშ-ფშავ-ხევსურეთის სამმართველოში, სადაც იმუშავა წელიწად-ნახევარი. 1855 წლის 23 ივლისიდან კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანებით და ქუთაისის გუბერნატორ ივანე მუხრანბატონის წარდგენით, რაფიელ ერისთავი დაინიშნა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან განსაკუთრებულ მინდობილობათა უფროსი მოხელისა და თარჯიმნის თანამდებობაზე. 1857 წლის 14 სექტემბრიდან რაფიელ ერისთავი დროებით ასრულებდა ზუგდიდის მაზრის უფროსის მოვალეობას. ამავე წლის 15 ოქტომბერს კი კავკასიის მეფისნაცვალის ბრძანებით დამტკიცდა მაზრის უფროსად. ამ თანამდებობაზე მან 10 წელი იმუშავა. რაფიელ ერისთავს კარგად მოუწესრიგებია სამეგრელოს მმართველობისა და ქვეყნის მეურნეობის აწეწილი საქმე. ამისთვის და დავალებათა საუკეთესოდ შესრულებისთვის იგი დაჯილდოვდა სხვადასხვა მედლითა და წოდებით (ვაშაყმაძე, 1962 : 46-48).

<sup>3</sup> ყიფიანთა გვარი მომდინარეობს საქართველოს მეფე ბაგრატ III-ის (975-1014) დროიდან. გადმოცემის მიხედვით (გომართელი, 1914 : 9-10), ბაგრატ მეფის დროს სვანეთის სოფელ წვირმისში ცხოვრობდა მორკინალი, მეომარი გიორგი გოგიაძე, რომელსაც ჰყავდა **ათასი** კაცი მორკინალი (გლადიატორი). ბაგრატ მეფემ, როცა გაიგო ოსმალეთის ხონთქრის სამზადისი იმერეთზე თავდასასხმე-



ლია, როგორც ქართული სამსახიობო რეალისტური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საზოგადო მოღვაწე და მთარგმნელი (დავითაია, 1975: 57-75). კ. ყიფიანი თავისი სამწერლო და სასცენო მოღვაწეობით ცდილობდა, რომ ქართული ენის აღორძინებისთვის მეზრძოლთა პირველ რიგებში მდგარიყო – უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძისა (1837-1907წწ) და აკაკი წერეთლის (1840-1915წწ) გვერდით (ყიფიანი, 1964 : 9).

კ. ყიფიანი სწავლობდა თბილისის საუკეთესო პანსიონში, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, მოსკოვის გიმნაზიასა და სატყეო-აგრონომიულ აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1870 წელს (გომართელი, 1914 : 20-22). იმავე წელს „მოსკოვის უწყებებში“ დაიბეჭდა მისი წერილი საქონლისა და ცხვრის თურქულით დაავადებისა და მათი მკურნალობის შესახებ. კ. ყიფიანი მალე დაბრუნდა საქართველოში მამის ავადმყოფობის გამო და 1873 წლიდან შევიდა სახელმწიფო სამსახურში.

1879 წელს აღდგა ქართული პროფესიული თეატრი და კ. ყიფიანი თავის თანამზრახველებთან ერთად შეუდგა ქართული თეატრის აღორძინებას, ამასთან, მან დიდი წარმატებით მიიღო მონაწილეობა 210 პიესაში.

---

ლად, შიკრიკი აფრინა გიორგი გოგიაძესთან სვანეთში: ჩემო გიორგი, ახლავე შეიარაღდი შენი ათასი კაცით და ცხენის წყლის გადმოდმა მომეშველეო. გიორგიმ შიკრიკი გაისტუმრა დანაბარებით: მოახსენე იმერეთის მეფესა და ჩემს მზრძანებელს, რომ დაუყოვნებლივ გაახლები-თქო. გიორგი გაუდგა გზას თავისი მეომრებით და დაბანაკდა სოფელ მურს, ცხენის წყლის მარცხენა ნაპირას. აქედან მან შიკრიკი გაუგზავნა ბაგრატ მეფეს ქუთაისში და აცნობა – გეახელი მეფეო. გოგიაძეს მეფე ელოდა ქუთაისში, მაგრამ სტუმარს პატივი სცა და თავისი ამალით ჩავიდა სოფელ მურში. შეხვედრისას მეფემ გოგიაძეს მიაძახა, რა „ყიფიანი (ამაყი) რამა ხარო“. მას აქეთ გიორგი გოგიაძეს დაერქვა გოგიაძე-ყიფიანი. დროთა განმავლობაში გოგიაძე დაიკარგა და დარჩა ყიფიანი. გარდა ამისა (ჩხეიძე, 2001: 4), ხვანჭკარელმა ყიფიანებმა ხანგრძლივი ტექნოლოგიური ძიებისა და ცდების შედეგად მიიღეს სამარკო „ყიფიანების ღვინო“, რომელმაც სახელი გაითქვა რუსეთსა და ევროპაში. საერთაშორისო გამოფენაზე „ყიფიანების ღვინომ“ უმაღლესი ჯილდო „გრან-პრი“, ორი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი დაიმსახურა... ყიფიანების ტექნოლოგია საფუძვლად დაედო საბჭოთა პერიოდში „ხვანჭკარის“ წარმოებას. მაგრამ საბჭოეთისთვის მიუღებელი იყო ღვინოს დარქმეოდა თავადი ყიფიანების სახელი და ამიტომაც უწოდეს მას „ხვანჭკარა“.

1896 წელს გამოქვეყნდა კოტე ყიფიანის მიერ შედგენილი მეტად საყურადღებო ლექსიკონი (ყიფიანი, 1896: 1-96) – მისი 13-წლიანი მუშაობის შედეგი.

ამ ლექსიკონზე მუშაობისას კ. ყიფიანმა აღმოაჩინა, რომ ქართულში მოგვეპოვება მრავალი ისეთი სიტყვა, რომელთა რუსული შესატყვისი არ არსებობს. იგი ამ გარემოებას იმით ხსნიდა, რომ ნამდვილი, წმინდა რუსული სიტყვა სამი ათასი თუ იქნება, ას ორმოცდაათი ათასი კი უცხო ენებიდან არის გადმორუსულებულიო (იხ. მიხელსონი, 1883; ბურდონი და მიხელსონი, 1903). მისი აზრით, ქართული სიტყვები 200 ათასამდე იქნებოდა, (გომართელი, 1914: 62-63), რომელთაგან 58 ათას ხუთასი, მართლაც, ნამდვილად არსებობს (ქრლ, 2013:5).

ლექსიკონების შედგენის სურვილი კოტე ყიფიანს გაუჩნდა XIX საუკუნის სამოცდაათიან წლებში. 1875 წელს მეფისნაცვალმა იგი მიიწვია ბორჯომის მამულების უფროსი გამგებლის თანაშემწედ. იმ დროისათვის კოტე ყიფიანი ერთადერთი ქართველი იყო საქართველოში, რომელსაც უმაღლესი სამეურნეო განათლება ჰქონდა. ამ თანამდებობაზე დიდად გამოიჩინა მან თავი. კ. ყიფიანს ჰქონდა საინტერესო მეცნიერული დაკვირვებები, რომელთა საფუძველზე მან დაწერა მეცნიერული შრომები და შეადგინა ლექსიკონები (დავითაია, 1975: 14).

ბორჯომში მუშაობისას კ. ყიფიანმა ბოტანიკური ლექსიკონის შედგენის აუცილებლობა დაინახა, რაც ერთმა კურიოზულმა შემთხვევამ განაპირობა: ბორჯომის მამულების დასათვალისწინებლად ჩასულა თბილისის გუბერნიის სახელმწიფო მამულების გამგებელი, გენერალი მურავიოვი. გამგებლის ჩასვლისას გენერალს ახლდნენ ბორჯომის მამულების გამგებელი, მისი მოადგილე კოტე ყიფიანი და ადგილობრივი პოლიციის ქართველი ბოქაული. დალილებს დიდი მურყნის ხის ქვეშ დაუსვენიათ.

Какое это дерево? – უკითხავს გენერალს ბოქაულისთვის.

Муркановое дерево – უპასუხია ბოქაულს.

ამის გამგონე კ. ყიფიანს ხარხარი დაუწყია, რადგანაც მურყნის რუსული შესატყვისია ოლხა (олѣха). მურავიოვი ჩაეკითხა მას, რაზე აგიტყდა სიცილიო. კოტეს აუხსნია სიცილის მიზეზი.

აი, ამ გარემოების შემდეგ განუზრახავს მას რუსულ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონის შედგენა. სადაც კი ბოტანიკასთან დაკავშირებულ სიტყვას გაიგონებდა, იწერდა უბის წიგნაკში ქართულად და

რუსულად. 13 წელი უმუშავია კ. ყიფიანს ლექსიკონზე და შეუდგენია რუსულ – ქართულ – ლათინური ლექსიკონი, რომელშიც 2 ათას სამასზე მეტი ქართული სახელია მცენარეებისა.

ამგვარმა მუშაობამ იმდენად გაიტაცა, რომ მას განუზრახავს აკადემიური ლექსიკონის შედგენა (ყიფიანი, 1964: 110).

კ. ყიფიანს ბიბლიიდან დაუწყია – კითხულობდა და ცალკე იწერდა ყოველ უცნობ რუსულ სიტყვას. შემდეგ ეძებდა რუსული სიტყვის შესაბამის ქართულ შესატყვისს<sup>1</sup>.

ამგვარი მუშაობის დროს აღმოჩნდა, რომ ქართულში მრავალი ისეთი სიტყვაა, რომელთა რუსული შესატყვისი არ არსებობს.

აკადემიურ ლექსიკონზე კ. ყიფიანს 15 წელი უმუშავია.

ალექსანდრე სუმბათაშვილისათვის მიწერილი წერილით ირკვევა, რომ კ. ყიფიანს ჰქონია ნაშრომი ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ (საეკლესიო ხუროთმოძღვრება), რომელიც დაკარგულად ითვლება (დავითაია, 1975: 186-189).

ცნობილია ხელმოუწერიელი რეცენზია კოტე ყიფიანის ბოტანიკურ ლექსიკონზე, რომელშიც ვკითხულობთ : „ბ-ნ კ. ყიფიანს შეუდგენია ქართულ-რუსულ-ლათინური და რუსულ-ქართულ-ლათინური ბოტანიკური ლექსიკონი. ლექსიკონში **ორი ათასამდე** სხვადასხვა მცენარის სახელწოდებაა წარმოდგენილი. წიგნი 3-ნაწილიანია: პირველში ანბანთრიგზე ჩამოთვლილია სახელწოდებანი მცენარეებისა, მეორეში კი, რომელიც ყველაზე საყურადღებოა, დაწვრილებით არის აღწერილი, თუ რომელი მცენარე რა ბოტანიკურ რიგს ეკუთვნის, სად მოდის, რა ადგილას უფრო ხეირობს; აღწერილია მისი აგებულება და ფერი. ჩამოთვლილია, რაგვარი ავადმყოფობისას გამოიყენება წამლად.

<sup>1</sup> იმ დროს ქართული ენის ცოდნასა და ქართულად ლაპარაკს მაღალი საზოგადოება დიდ ყურადღებას არ აქცევდა. ქართული ენა „დაბალ ენად“ ითვლებოდა და მასზე საუბარს ერიდებოდნენ მაღალ წრეებში. კოტეს დედა, ნინო, რუსეთში იყო გაზრდილი და მისმა შვილებმა სისხლობორცეულად იცოდნენ რუსული ენა. ქართული ენა კ. ყიფიანმა ისწავლა პეტერბურგში, ისიც 16 წლისამ. მისი მასწავლებელი ქართული ენისა იყო მისივე უფროსი ძმა ნიკო, რომელსაც პატარაობიდანვე ეტყობოდა დიდი ნიჭი ენების შესწავლისა. პატარა კოტე ნიჭიერი ბავშვი გახლდათ და სწავლაც უყვარდა, მაგრამ მეტისმეტად ცელქი და მოუსვენარი იყო, რაც ხელს უშლიდა სწავლაში (გომართელი, 1914 : 18-19).

მეტად სასურველია, ეს ლექსიკონი მალე დაიბეჭდოს, როგორც ფრიად საყურადღებო და გამოსადეგი წიგნი. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ თვით შემდგენელს, ბ-ნ კ. ყიფიანს, ეძნელებოდა მისი დაბეჭდვა, წიგნი ძლიერ მოზრდილი გამოვა და ამის გამო დაბეჭდვა იაფი არ დაჯდებაო<sup>1</sup>.

ბ-ნ ყიფიანს ჯაფა არ დაუზოგავს, 10 წელიწადზე მეტი უშრომნია და ამდენი ხნის ჯაფისთვის იმის მეტს ჯილდოს არას მოელის, რომ თავის წიგნი დაბეჭდილი ნახოს“ (ივერია, 1889: 2).

კოტე ყიფიანის დამოკიდებულება ლექსიკონის შემდგენელისადმი კარგად ჩანს მისი შემდეგი პოზიციიდან: „ლექსიკონის შედგენა, მეტადრე ქართულისა, ერთი კაცის ხელთ არ არის და არც უნდა იყვეს. ყველამ უნდა მივიღოთ შრომა და მონაწილეობა გამოცემაში და მეტადრე შედგენაში“ (გაჩეჩილაძე, 1959: 199).

ახლა განვიხილოთ კოტე ყიფიანის ლექსიკონი (ყიფიანი, 1896: 1-96) იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც მას თვით ავტორი გვაწვდის. პირველ რიგში, გავეცნოთ ავტორის წინასიტყვაობას ლექსიკონისათვის, რომელშიც ვკითხულობთ: „ამ სპეციალური სიტყვარის შედგენის მიზანია შენარჩუნებულ იქნას ცოდნის აღნიშნული დარგებიდან ქართული სიტყვები, ტერმინები და გამოთქმები, რომელნიც ცოტა ვინმემ თუ იცის, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, და იშვიათად იხმარება თანამედროვე ლიტერატურაში“.

ბევრს ჰგონია, რომ აქ მოცემული ტერმინები არ არსებობს და თითქოს არც შეიძლებოდა არსებულიყო, მაგრამ ასეთი აზრის მცდარობას ადასტურებს **2 ათას ხუთასამდე** ტერმინის შემცველი ეს **ლექსიკონი**.

ასეთი სიტყვარი უეჭველ სარგებლობას მოუტანს როგორც სასწავლებლებში მყოფთ, ისე ყველა მკითხველს.

საზოგადოდ, კარგი იქნებოდა გვქონებოდა ასეთივე სიტყვარები ან სხვადასხვა ტექნიკური დარგებიდან კრებულები სიტყვიერებისა, რომელნიც საჭიროებენ სპეციალურ განსაზღვრებებს და წარმოადგენენ ტერმინებს.

---

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ რეცენზენტის მ-ჭ-ბ-ძე (რომელიც გახლავთ ა. ჭყონია) აღნიშნავს საბას ლექსიკონის მაღალ ფასს, 4 მანეთს (მ-ჭ-ბ-ძე, 1884 : 1-3).

ეს ლექსიკონი წარმოადგენს პირველ ცდას სპეციალური ტერმინების გავრცელებისა და მეტად სასურველია, ქართულ ინტელიგენციაში გამოჩნდნენ ამდაგვარი წიგნაკების შემდგენელი. ავტორი გულწრფელად მიიღებს ყოველგვარ შესწორებას და საქმიან შენიშვნას ამ ლექსიკონთან დაკავშირებით.

ლექსიკონის ბოლო ნაწილში, 93-96 გვერდებზე, მოცემულია 131 ქართული სახელი იმ ფრინველის, თევზის, ცხოველის და ა.შ., რომელთაც ვერ მოვუძებნე შესატყვისი რუსული და ძალიან სასურველია მათი მოპოვება“, კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი, 1896 წლის იანვარი, ტფილისი.

სანამ უშუალოდ ლექსიკონის დარგობრივი ნაწილების განხილვას დავიწყებთ, უნდა აღინიშნოს ამ ლექსიკონის გამორჩეული თავისებურება: ძალიან ბევრი რუსული ტერმინისთვის დაძებნილია რამდენიმე ქართული ტერმინი – რომელთაგან ყველას მითითებას არ ვაპირებთ და მივუთითებთ უფრო თანამედროვე ტერმინს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს რაფიელ ერისთავის აზრს იმის შესახებ, რომ ქართული ენა, დიახაც, მდიდარია (ერისთავი, 1880, 212 : 1-2).

### ასტრონომიის ტერმინები, გვ. 2-19

1. Астрономия – მუნეჯიბობა. 2. Астроном – მუნეჯიბი. 3. Астролог – ღადარინელი. 5. Анализ – აღლევა. 8. Афродита (планета) – ასპაროზ. 10. Блистание – ელვარება. 11. блистание звезд, видимое ночью между облаками – იალციალი. 13. Блуждающие звезды – ვარსკვლავთ-მორბედი, ტატანა ვარსკვლავნი. 15. Венера (планета) – აფროდიტი. 16. Ея орбита – მელტავრო. 21. Виденный – ნაჩენი. 22. Время, час – ჟამი. 25. Вечерница<sup>1</sup> (сириус) – ხარი – პარია. 27. Внешний – გარეგანი. 32. Веста (планета) – ვესტა. 33. Век – უკუნი, საუკუნე. 35. Газ – მთებარე. 43. Горизонт – კინტრო. 45. Гореть ясно – ვარვარი. 47. Диск – ბირთვი, დისკო. 50. Диаметр – საღერბე. 51. Дуга – ოდრიკალი. 61. Зимнее солнцестояние – დეკნა. 62. Зевс (планета) – მუშთარი. 66.

<sup>1</sup> სახელწოდება вечерница კარგად გამოხატავს ვარსკვლავის თავისებურებას – ის ყველაზე ადრე გამოჩნდება ხოლმე ცის კაბადონზე სამხრეთ-დასავლეთით, ჰორიზონტის სიახლოვეს, როგორც კი ოდნავ მოსაღამოვდება, მისი ადრე გამოჩენა გამოწვეულია ვარსკვლავის უჩვეულო სიდიდით – ის 109-ჯერ დიდია მზეზე! ამის გამო მას საღამოს ვარსკვლავი შეიძლება ვუწოდოთ (ო. მაგნიძე).

Извилистый путь – იკუნკლედი. 68. Истинный – საჭემმო. 74. Козерог (зодиак) – თხის-რქა. 75. Колебание – მიდმოება. 79. Конус – კონოსი. 82. Косой, не прямой -ელმადცერი. 85. Круг, кружок – ალყა. 86. Луна – მთვარე. 87. Ея орбита – ჭირანო. 91. Масса – სტერეონი. 97. Момент – მყისი. 99. Млечный путь – ცის იკანკლედი, დათვის ფეხა, ირმის ნახტომი, იერუსალიმის გზა. 100. Меркурий (планета) – ერმი, ოტარიდი. 101. Меридиан – საშუადღეო ხაზი, მერიდიანი. 102. Меркурия орбита – ცერვანო. 103. Метеор – ცისიერი. 108. Медведица (созвездие) – ბრანგვი, რვილი. 110. Марс (планета) – არეა, არეას, მარიხი. 111. Его орбита – ჭიმჭიმელი. 112. Необозримый – თვალთ-შეუდგამი. 113. Неделя (седьмица) – მსგეფსი. 114. Необитаемая- უშენი. 121. Овен (зодиак) – ვერძი, შიშაგი. 122. Отражение солнечных лучей от зеркала – თინათინი. 125. Орбита- მელტავრო. 126. Обращение - მიდმოქცევა. 127. Окружать-მოგარება. 128. Окруженный- მოგარებული. 129. Орион (созвездие) – ორიონი. 130. От времени до времени – ჟამით-ჟამად. 131. От начала мира – დასაბამიდან სოფლისა. 132. Отклонять свет -მიდრეკა. 133. Поверхност наружность – საჩინო, ეპიფანია. 134. Поздний – მცხვედი. 136. Планета-ეტლი, ცთომილი. 146. Поворот солнца – ნახუნობა. 147. Равноденствие-ბუნობა. 154. Радуга – ირისე, ცის-სარტყელა, ცის-მშვილდი. 160. Стрела – ბოძალი. 162. Сатурн (планета) – ზოჰალი, კრონოსი. 163. Его орбита – ალბასტრო. 164. Свод – კონქი. 165. Солнце – მზე. 166. Его орбита – კოჭიმელი. 172. Скорпион – ღრიანკალი. 176. Звезда не заходящая – დაუვალი ვარსკვლავი. 177. Телескоп – ჯოგრი. 178. Телец (зодиак) – კურო. 188. Центр – ცეიტი, კენტრო. 189. Цикл – კინკლოსი. 190. Час – ჟამი. 195. Юг – ონოტი, თემანი, სამხრეთი. 196. Юпитер (планета) – დია, მუშთარი, ზეესი. 197. Его орбита – კიმკიმელი.

### ზოოლოგიის ტერმინები, გვ. 20-50

1. Зоология – ცხოველთა წოდება და აღწერა. 7. Акула – ხვიმენი, ნათელ-თევზა. 11. Аграмак – ცხენი ბედაური. 12. Аспид(змея)- ასპიტი, გველი, ჯარბი, ქოდქოდა, სავარცხელა, მძრომი. 13. Аулан(пт.) – ღაჟო, ჯინხვა. 19. Баклан(пт.) – თევზი ყლაპია. 21. Барашек(пт.) – ღალა, ბუწი. 22. Барсук – მაჩვი, ზღვის ძაღლი. 25. Бекас(пт.) – ლაინი, ცხრა-ტყავა. 26. Беркут(пт.) – ფსოვი, სვავი. 27. Бирюк- მგელი. 28. Бизон – ფაფარიანი ბულა. 29. Божья коровка – მარიამ ჭია. 30. Блоха – რწყილი. 32. Бобр – თახვი. 37. Буйволенок – ზაქი. 38. Букашка – მუმ-

ლი. 43. Белуга – თართი. 47. Белчук – ლიფსიტა. 49. Вальдшнеп(პტ.) – ტყის-ქათამა. 50. Вампир – მაჩქათელა. 51. Вандыш – ციმორა თევზი. 54. Вод(პტ.) – ოფოფი. 56. Верблюд – აქლემი. 57. Верблюдица – ჯამა, ხრდალი. 59. Вертиголовка(პტ.) – ხეკოდა. 63. Волк – მგელი, ზები. 68. Вран(პტ.) – ბუ. 69. Врух – კოტატი, ბუზანკალი. 70. Выдра – წავი. 71. Выжлец – მეძებარი ძაღლი. 74. Гагара(პტ.) – ტყის ქათამა, გარიელი. 80. Галка (პტ.) – ჭკა, ღაღლა. 87. Глухарь(პტ.) – ყრუანჩელა<sup>1</sup>. 92. Голубь(პტ.) – მტრედი, ინაგა. 93. Голубь дикий (პტ.) – ქედანა. 96. Горлица (პტ.) – გვრიტი. 98. Грач (პტ.) – ყორანი. 103. Гусеница – მგრანელი ჭუა. 109. Долгопёр – მფრინავი თევზი. 110. Драхва (პტ.) – სავათი. 111. Дрофа (პტ.) – სავათი. 112. Дрозд (პტ.) – მალალური. 117. Дудак (პტ.) – კოდალა, ხეკოდა, ხეკაკუნა. 123. Ешак – ჯორი. 126. Жавороннок (პტ.) – ტოროლა. 127. Жаворонник (პტ.) – მიმინო. 135. Жукъ навозный – ბოსტანა, ფანდურა ჭია. 142. Зелёная лягушка – ვასაკა. 155. Иволга (პტ.) – მალალური, გულ-ყვითელა. 164. Канарейка (პტ.) – იადონი, კანანერი. 165. Канюк (პტ.) – კაკაჩა, ჭინო, ჩხიკვი. 171. Карас – კარხცანა, გოჭა თევზი. 176. Кедровка (პტ.) – ჩხართვი. 177. Килька – ჭიჭყინა თევზი. 183. Кобель – ხვადი ძაღლი. 185. Кобыла – ჭაკი (ო лошади). 191. Козерог – ჯიხვი. 192. Козуля – ნიამორი, ქურციკი. 195. Кокош – კრუხი. 197. Кондор (პტ.) – ორბი. 204. Коршун – ძერა. 209. Косачь (პტ.) – როჭო. 228. Куница – კვერნა. 229. Курёнок – წიწილა. 257. Листовёрка – მგრანელი. 260. Лось – ცხენ-ირემი. 279. Медведка – ბოსტანა. 284. Минога-სალამურა. 315. Мышёнок – წრუწუნა. 324. Носорог – მარტორქა. 328. Овен – ვერძი, შიშაგი, მამალი-ცხვარი, ერკემალი. 335. Овчарка – ქოფაკი, ცხვრის ძაღლი. 337. Однокопитное животное – ქაჩაჩი ცხოველი. 344. Орлец (პტ.) – სამღვდელთავრო არწივი. 349. Ослица – ხრდალი. 350. Ослёнок – მუტრუკი, ჩოჩორი. 352. Омар – ასთაკვი. 353. Островид – ფოცხვერი. 359. Пардка (პტ.) – ღაღლა. 363. Перепёлка (პტ.) – მწყერი. 365. Песчанка (პტ.) – სკვინჩა, მესვია. 368. Пискарь – კლდის-თევზა. 370. Плотва(рыба) – ნაფოტა თევზი. 371. Полип – ოთხოპოდი, სიპინი. 379. Птенец неоперившийся (პტ.) –

<sup>1</sup> ჩვენი აზრით, სახელი ყრუანჩელა (თუმცა აჯობებდა სახელი ყრულა) კარგად გამოხატავს ამ ფრინველის თავისებურებას – მას უყვარს მაღალ ხეზე შემოჯდომა და სიმღერა, რომელიც თავად არ ესმის. ამით სარგებლობენ მონადირენი და მას სწორედ სიმღერის დროს ეპარებიან, რათა ფეხით ფიჩხის მტვრევის ხმა არ გაიგონოს!

ღვლიბი, ღლიბი, ღლაბი. 381. Пудель – ფინა, ციბა, ციბაკი. 383. Птенец соколий (пт.) – ქულა. 391. Пила рыба – სავარცხელა თევზი. 398. Ремез (пт.) – მალაღური. 401. Рогохвость (пт.) – ნემსი-ყლაპია. 402. Рысак – ჩორთით მოსიარულე ცხენი. 411. Сазан – კომბრი, კოჭა, ჭანარი. 414. Саламандра – ჯოჯო კლდისა. 418. Сверчок – ჭრიჭინა, ჭიჭინა. 425. Светоноска – ალვანა. 426. Севрюга – თართი. 228. Селёдка – ქაშაყი. 430. Сёмга – ორაგულა. 442. Синица(пт.) – წყალ-წყალა. 448. Совка (пт.) – ჭოტი. 449. Сокол (пт.) – შავარდენი. 469. Судак – ფარგა. 480. Собака борзая – მწევარი. 492. Тикат – წივწივა. 521. Форель речная – კალმახი. 522. Форель озерная – გელაქნური. 534. Чайка (пт.) – მეთოვლია. 554. Щур (пт.) – კვირიონი, მწიფობელა. 562. Яшерница – ხვლიბი, ჯოჯო, მსვენი. 563. Яловая корова – უშვი, ბერწი.

### მინერალოგია – აღმონათხრედი საგანნი, გვ. 51-59

4. Адамант (драг. кам.) – ადამასი, აღმაზი, ადამანტი. 8. Аметист – ამეთვისტო. 11. Арсеник – დარიშხანა. 15. Базалт – ფილაქანი, ფიქალი, ჭეო. 18. Бульжник – სიპი. 20. Валун – რიყის ქვა. 22. Гагат – გიშერი. 27. Глинозём – აყალო მიწა. 29. Горькозём – მაგნეზია. 41. Золото-ოქრო. 42. Золото чистое – ოფაზი. 44. Известь – კირი. 52. Камень винный, кремортартер – ღვინის მარილი. 60. Квасцы – შაბი. 64. Коралл – მარჯანი, ძოწი. 66. Кремен – ტალი, კაჟი, საღრტილი. 70. Кругляк – ჩიკორი. 78. Лазурь – ცაფერი, ლაჟვარდი, ცისფერი-ქვა. 80. Лал – ლალი. 81. Латун – სპილენძი, მოწითალო რვალი. 89. Минерал – აღმონათხრედი. 96. Натр – ბავრუკი, ბორა. 102. Пемза – სპონდიო, მჭადა ქვა, თირი, ქვა ყომრალი, შირმის ქვა. 103. Перламутр – სადაფი, მარგალიტის ნიჟარა. 108. Плоский камень – სალა ქვა. 114. Подводный камень – ბრაგა. 116. Рубин – ბალახში. 123. Селитра – გვირჯილა. 129. Сода – ბორაკი. 136. Соль озерная – ხაშური. 137. Соль морская – ვეპა. 154. Фаянс – ქაშანური. 157. Хрисолит-ოქროს ქვა.

### ტერმინები და ტექნიკური სიტყვები, გვ. 60-91

3. Адвокатура – სვინდიკოსობა. 4. Акробат – მუშაითი, ჯამბაზი. 8. Аклиматизация – დაბუნებება. 10. Анализ – აღლევა. 14. Архитектура – ხუროობა. 15. Архитектор – ხუროთ-მოდღვარი. 16. Артель-არიფანა. 17. Атом – სტომი. 19. Барельеф – მუდასილი. 24. Башмак – მაშია. 32.



Бензин – ბანჯვინი, ბენჯვინი. 42. Вершок – გრე. 43. Внешний – გარე-შეობა, გარეგანობა, გარესკნელი, გარეთი, გარეგანი, გარი. 46. Виноторговец – ხამარი. 55. Волокита – დრანჯი. 57. Высокомерный – ამპიწი. 58. Вино разведенное водою – დგვითი. 62. Ветеринар – ბაეტარი, პეიტარი. 85. Гермафродит – აკუმი. 88. Гимнаст – სპარეზი. 89. Гимнастическая арена – ასპარეზი. 111. Делимость – განწვალებულება. 114. Движимый – იძვრისი, მოძრავი. 129. Здравомыслящий – კეთილ-მჭობელი. 138. Земляк – მექვეყნე. 162. Коневодство – ჯინბობა. 177. Коробль – დრომონი. 182. Клеенка – მუშამბა. 184. Карниз – ლავგარდანი. 191. Клеймить – დაშანთვა. 192. Количество – ამარი. 223. Ловкость – ჩაუქობა. 225. Лунатик – ცისად-ცისადი. 228. Лихвенный процент<sup>1</sup> – ვახში, ვასხი. 230. Мародерство – თარეში. 237. Мозаика – საროთი. 241. Мотыга – თობი. 244. Музыкант – მუთრიბი. 259. Место для игр – სამორინო. 282. Недостаток – ზადი, ზადიერება. 283. Обозрение моря – დასვინაღრება. 284. Общитукатурить – შემოგოზვა. 287. Оптом – ბოლად. 297. Опиум – ბანგი, ბეუშტარი. 317. Подошва обуви – ლანჩა. 329. Перчатки – თათმანი, ქურო. 334. Перпендикулярно – შვეტი. 349. Половой орган – ივი. 358. Подражать – აყოლა. 387. Практика – საქმითი სწავლა. 406. Путеводитель – ბელადი, ეტიკი, ბადრაგა. 416. Работа – ოფო. 422. Разглашать – განთქმა. 437. Резина – გომიზი, გომფისი. 439. Ростовщик – მევახშე. 442. Рогатка – გისსონი. 459. Рычаг – აზარმაცი. 471. Сбор хлеба – კალმასობა. 472. Сбор вина – მუჭირობა 473. Сбор винограда – რთველი. 478. Сосредотчить – დაყურსება. 564. Ткальный инструмент – დგიბი. 572. Тиски, пресс – გირაგი. 574. Ткань – ანაქსვი, ანაქესი. 575. Тоннель – დარანი. 585. Узор-ნახში. 625. Царство – სუფევა. 652. Шипучее вино – ახტაშირა. 665. Юг-ონოტო, სამხრეთი, თემანი. 666. Юриспудент – სჯულის მეცნიერი. 667. Ярмарка – არბობა.

### ქართული სიტყვები, რომელთაც ვერ შევუსაბამე რუსული სიტყვები, გვ. 93-96

ასეთი ქართული სიტყვების რაოდენობა 131-ია, მაგალითად: 10. ბოლო-შავა (ფრ.). 22. თაგადირი (ვარსკვლავი). 35. მწერ-ჩიტა (ფრ.).

---

<sup>1</sup> лихвенный процент ქართულად არის მევახშური პროცენტი (რქლ, 1956: 693).

48. ოლოლი (ფრ.). 67. სიპიანი (თევზ). 88. ქაფშია (თევზ.). 96. ღობე-მძვრალა (ფრ.). 113. ცხრა-მუცელა (ფრ.). 116. წიწკანა (ფრ.). 118. წრია-ლა (ფრ.). 121. ჭინჭრაქა (ფრ.). 127. ხიხაური (ფრ.).

### ლიტერატურა

**ბურდონი და მიხელსონი, 1903** – Бурдон и Михельсон, Словарь иностранных слов, вошедших в употребление в русском языке. Издание десятое, Москва;

**გაჩეჩილაძე, 1959** – პ. გაჩეჩილაძე, „ქართული ლექსიკოგრაფია-ლექსიკოლოგიის ისტორიისათვის“, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XI;

**გომართელი, 1914** – ივ. გომართელი, „კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი“, თბილისი;

**დავითაია, 1975** – ეთერ დავითაია, „კოტე ყიფიანი“, თბილისი;

**ერისთავი, 1880** – რაფიელ ერისთავი, „რაოდენათ მართალია, რომ ქართულ ენას სიღარიბე შესწამეს?“, „დროება“, № 212;

**ერისთავი, 1883** – რაფიელ ერისთავი, „წერილი რედაქტორთან“, „დროება“, №251;

**ერისთავი, 1884** – რაფიელ ერისთავი, „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი: მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან“, თბილისი;

**ვაშაყმაძე, 1962** – შ. ვაშაყმაძე, „რაფიელ ერისთავი – ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება“, თბილისი;

**ივერია, 1889** – გაზ. „ივერია“, №180;

**მ-ჭ-ხ-ძე, 1884** – „დროება“, №201.

**მიხელსონი, 1883** – Михельсон М.И., Объяснительный словарь иностранных слов, вошедших в употребление в русский язык. Издание девятое, С.-Петербург-Москва;

**რქლ, 1956** – რუსულ-ქართული ლექსიკონი, I, თბილისი;

**სანიწელი, 1884** – „დროება“, №223;

**ქრლ, 2013** – ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი;

**ღამბაშიძე, 1986** – რ. ღამბაშიძე, „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“, თბილისი;

**ყიფიანი, 1964** – კოტე ყიფიანი, „მოგონებები-წერილები“, თბილისი;

**ყიფიანი, 1896** – Русско-Грузинский словарь по Астрономии, Зоологии, Минералогии и разных терминов и технических слов , Тифлис;

**ჩხეიძე, 2001** – თენგიზ ჩხეიძე, „ყიფიანების საგვარეულო ღერბი“ გაზ. „საპოვნელა“, №12.

## Omar Dzagnidze

### About lexicographic activity of Konstantin (Kote) Kipiani

#### Summary

Lexicographic activity occupied the significant place in rich and interesting literary and public activity of Rapiel Eristavi (1824-1901). Dictionaries published by him are really unique: 1) R.D.Eristov “Brief Latin-Russian-Georgian Botanical Dictionary; Records of the Caucasus Association of Agriculture; 1873. – 100 pages; 2) Rap.Dav. Eristov, “Brief Georgian-Russian-Latin Dictionary, Tiflis, 1884. – 167 pages.

Much work was done also by Konstantin (Kote) Kipiani (1849-1921) for the creation of dictionaries. First of all he is a public figure, translator and one of the founders of real Georgian artistic schools.

Kote Kipiani, by his literary and artistic activity did his best to be in the first rows of fighters for the revival of Georgian language, of course, side-by-side with Ilia Chavchavadze (1837-1907) and Akaki Tsereteli (1840-1915).

Kote Kipiani studied at the best boarding school of Tbilisi, in Petersburg’s art academy, Moscow gymnasium and agrarian-forestry academy, which was graduated by him in 1870. The same year “Moscowskie Vedomosti” printed his article dealing with foot and mouth disease of neat cattle and sheep and its medication. Soon he returned home because of illness of his father and in 1873 started to work at public organization. In 1975, tsar’s governor-general invited him to the office of assistant head of Borjomi state domain. In the professional Georgian theater that was restored in 1879, Kote and like-minded persons began to revive this theater, and with great success too, he participated in its plays.

Simultaneously Kote Kipiani implemented rather useful work to create vocabularies. Thus, the result of his 13 years work is “Russian-Georgian Dictionary on Astronomy, Zoology, Mineralogy and various terms and technical words”. Compiled by Konst. Dim.Kipiani, Tiflism 1896. – 96 pages.

The above stated dictionary consists of the following parts:

1. Words in astronomy, p. 2-19; contains 201 lexical units;
2. Words in zoology, p. 21-50; contains 563 lexical units;
3. Mineralogy, p. 51-59, contains 171 lexical units;
4. Terms and technical words, p. 60-91, contains 667 lexical units;
5. Georgian words, for which Russian terms couldn't be found; p. 92-96; contains 131 lexical units.

And finally, the peculiarity of this dictionary by Kote Kipiani should be emphasized: some Georgian terms were found for very many Russian terms. Therefore, this dictionary is a good base for making other, similar vocabularies.

## ომარ მაგნიძე

### ტერმინ „ბევრის“ შესახებ

კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსად 1878 წლის 13 ნოემბერს დანიშნეს კირილე იანოვსკი, ერთი იმ „ვეშაპთაგანი“, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში.

იანოვსკის მტკიცედ სწამდა, რომ რუსეთის იმპერიის განაპირა რეგიონებში სკოლა უნდა ყოფილიყო რუსული ცივილიზაციის დამნერგავი და ადგილობრივი კულტურის შემმუსვრელი.

ამ მიზნით მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულს საქართველოში დაიგეგმა რუსულ ენაზე სწავლება ბავშვის სკოლაში შესვლის დღიდანვე, რაც მკვეთრად აისახა განათლების მესვეურთა გამოსვლებსა და პუბლიკაციებში. სახელდობრ, გორის საოსტატო რუსულენოვანი სემინარიის (იგივე ამიერკავკასიის სამასწავლებლო სამკურსიანი სემინარია, რომელიც გაიხსნა 1876 წელს და ამჟამად დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს (ქსე, 1977: 228-229)) დირექტორმა, ბ. სემიონოვმა, ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა კრებაზე 1880 წლის სექტემბერში განაცხადა: „სახალხო (საერო) სასწავლებლებში სწავლა უნდა იწყებოდეს და მთავრდებოდეს რუსულ ენაზე, რადგანაც ქართულ ენაზე არ არსებობს წიგნები და არც საჭირო ტერმინები“.

ასეთ კრიზისულ სიტუაციაში გადამწყვეტი როლი შეასრულა რაფიელ ერისთავის (1824 – 1901 წწ) წერილმა (ერისთავი, 1880), რომელშიც ავტორი ამბობს, რომ ქართულ ენას საკმაოდ მოეპოვება ტერმინები, რომელთა ბაზაზე შეიძლება შეიქმნას ქართულენოვანი სახელმძღვანელოები.

ქართული სამეცნიერო ტერმინების არსებობის დასადასტურებლად რაფიელ ერისთავის წერილში ჩამოთვლილია მრავალი ტერმინი ბუნების რვა სამეფოდან: „საზოგადო ფიზიკისა და სამუნეჯიბო (ასტრონომიის) ლეოგრაფიიდან“, „ართმეტიკიდან და გეომეტრიიდან“, „საზომი და საწყაოსი“, „საექიმო ნაწილისა“, „ქიმიის და ფიზიკის“, „ზღვისა და შიგ ცურვის“, „ნავთ-მეუფროსეთა“, „სამხედრო და სამომარისა“.

მაშ, ისევ ისა სჯობს, ამბობს რაფიელ ერისთავი თავისი წერილის დასასრულს, რომ შეწყვიტოს ბ. სემიონოვმა ქართულ ენაზე სწავ-

ლების წინააღმდეგ ლაპარაკიო!

ჩვენთვის საინტერესო ტერმინი „ბევრი“ მოცემულია არითმეტიკიდან და გეომეტრიიდან ტერმინებში: **ბევრი** – ათი ათასი, **ბევრის ბევრი** – ასი ათასი, **უშქარი** – ერთი მილიონი, **უშტი** – ათი მილიონი, **უშტისუშტი** – ასი მილიონი (ორბელიანი, 1993: 175; ავალიშვილი, 1920: 13; ცხაკაია, 1959: 9).

ახლა ბუნებრივად დაისმის კითხვა: რა დროიდან არსებობს არითმეტიკის ეს ტერმინები?

ქართულ ენაში ისინი უძველესი დროიდან არსებობდა (იუშკევიჩი, 1961: 323).

არაუგვიანეს, VII ან VI საუკუნეებისა ძველი წელთაღრიცხვით (ცხაკაია, 1959: 10), ვიდრე ქართული ანბანით ნუმერაცია ინდურ-არაბული ციფრებით არ შეცვალეს, რაც 974 წლის ერთ-ერთი ქართულ ხელნაწერში დასტურდება (ცხაკაია, 1959: 21-22; იუშკევიჩი, 1961: 323).

ანალოგიური მდგომარეობა იყო სომხურ და რუსულ ენებშიც (იუშკევიჩი, 1961: 320, 351). სამივე შემთხვევაში პირველი სპეციალური სახელწოდება შემოღებულია **ათი ათასისთვის**.

ახლა იმის შესახებ, თუ რომელ ისტორიულ წყაროებშია დადასტურებული აღნიშნული ტერმინები. **ბევრი** რომ ათი ათასის მნიშვნელობით იხმარებოდა თამარ მეფის დროს, კარგად ჩანს შემდეგი ისტორიული ტექსტიდან (ჩუბინიძე, ივლისი): „დიდმარხვა იდგა და აღდგომა ახლოვდებოდა, როცა დაქვრივებული თამარ მეფე გეგუთში გაემგზავრა. მეფეს ახლდნენ ძმები ზაქარია და ივანე მხარგრძელები. ეს რომ გაიგო ირანიდან არდებილის სულთანმა, სწრაფად შეკრიბა თავისი ლაშქარი, გადალახა მდინარე რახსი და შეუმჩნევლად მიუახლოვდა სომხურ ქალაქ ანისს.

დიდ შაბათს ანისის ტაძარი სავსე იყო მორწმუნე მრევლით. ცისკრის მოახლოებისას, როცა ქალაქის კარი გააღეს, არდებილის სულთანი ანისში შეიჭრა და ცოდვის კალო დაატრიალა.

ქართველი მემატიანე ასე აღწერს ამ ამბავს „**ერთი ბევრი** და **ორი ათასი** კაცი ეკლესიათა შინა მოიკლა“, ე.ი. არდებილის ვერაგმა სულთანმა იცოდა, რომ აღდგომა დღეს, სადღესასწაულოდ, თამარ მეფე ომისთვის ვერ მოიცლიდა და ანისში **თორმეტი ათასი** ადამიანი გაჟუჟა.

იმერეთში მყოფმა თამარ მეფემ და მხარგრძელებმა ეს ამბავი გაიგეს აღდგომიდან ერთი კვირის შემდეგ. თამარ მეფის თანხმობით,

მხარგრძელებმა ჯარი შეკრიბეს ანისთან და სალაშქროდ დაიდრნენ არდებილისკენ. წინასწარ გამოთვალეს და არდებილს იმ დროს მიადგნენ, როცა იქ „აიდი“, ანუ მუსლიმთა აღდგომა იდგა.

როგორც კი არდებილში ზეიმი დაიწყო, მუსლიმური წესის მიხედვით, ზაქარია და ივანე მხარგრძელები ქალაქში შეიჭრნენ, სულთანს მოკლეს, მისი ცოლ-შვილი დაატყვევეს, ხოლო მიზგიტებსა და მეჩეთებში თორმეტი ათასი კაცი ამოწყვიტეს, ანუ სწორედ იმდენი, რამდენიც სულთანმა ამოხოცა ანისის ეკლესიებში და ისევ ანისისკენ გაბრუნდნენ“.

და კიდევ (ჩუბინიძე, აგვისტო): „მეთორმეტე საუკუნის ქართველი ისტორიკოს-ჟამთააღმწერის ცნობით, 1226 წლის 9 მარტს, როცა ჯალალ ედ-დინმა თბილისი დაიპყრო, ურჯულოებმა მეტეხის ხიდთან ათბევრი ქართველი დახოცეს“.

ძველ ქართულში ბევრი აღნიშნავდა „ათი ათასს“ (ორბელიანი, 1993: 175; ავალიშვილი, 1920: 13; Цхакая, 1959: 9; Юшкевич, 1961: 323), ხოლო ათბევრი კი – „ბევრის ბევრს“ (ორბელიანი, 1993: 175), ანუ იმავე ასი ათასს (ავალიშვილი, 1920: 13; Цхакая, 1959: 9). მამასადაძე, მეტეხის ხიდთან მოწყობილ სისხლიან კალოს ასი ათასი ქართველი შეეწირა.

ეს ამბავი ასეა აღწერილი „ათა ბევრთა მოწამეთა ტროპარში“: არა დასთრგუნეთ ხატი უფლისა იესოსი და უხრწნელისა დედისა მისისა, არამედ ვითარცა კრავნი უბიწონი მისთვის დაიკვლენით, რომელმან ხატებითა თავისითა საღმრთოთა პატივევით თქვენ. წამებისა გვირგვინითა ღვთით მშვენიერად შეიმკენით და სისხლითა თქვენითა ცოდვანი ერისანი წარხოცენით. წმინდანო ათბევრო მოწამეო, ევედრეთ ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის. ამინ!

შევნიშნავთ, რომ ეს არის რუსუდანის მეფობის უმძიმესი ხანა საქართველოსი (1222-1245 წწ).

სხვათა შორის, ჯალალ ედ-დინის 1226 წლის ვანდალური ქმედება გაიმეორა თემურ-ლენგმა 1397 (1398) წელს ინდოეთში (Юшкевич, 1961: 108), როცა ასი ათასი ინდოელი მამაკაცი დახოცა საკუთარი ცოლ - შვილის წინ (ჩუბინიძე, ნოემბერი).

დიდი რიცხვების სპეციალური სახელწოდებანი მოგონილი იყო საომარი მიზნებისთვის: საიდუმლო ინფორმაცია მეომართა რაოდენობის შესახებ არ უნდა გამჟღავნებულიყო შიკრიკის მოკვლის შემთხვევაშიც კი.

ქართული ანბანით რიცხვების ჩაწერის წესი კარგადაა ცნობილი

(ავალიშვილი, 1920: 12-13).

ვაჭართა კასტას კი, სხვებისთვის დაფარული გარიგებებისთვის მოგონილი ჰქონდა ხელის თითების ან თვით ხელის სხვადასხვა მდგომარეობა (იუშკევიჩი, 1961: 325-6).

აქ ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ ლათინური mille იგივეა, რაც „ათასი“ (ალექსანდროვა, 1978: 78), ხოლო იტალიურ ენაში დაბოლოება one აძლიერებს მასთან მდგომ სიტყვას. ასე რომ, millione იგივეა, რაც „დიდი ათასი“, „მრავალი ათასი“. ამიტომ შესაძლოა, როცა მარკო პოლო (1254-1323 წწ) საუბრობს მილიონ ადამიანზე, მხედველობაში აქვს მრავალი ათასი ადამიანი (იუშკევიჩი, 1961: 351). ალბათ ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე ზემოაღწერილ სიტუაციებშიც.

რაფიელ ერისთავის ტერმინით, მეტეხის ხიდთან „ბევრის ბევრი“ ქართველი დახოცეს. ვფიქრობთ, რომ „ათბევრი“ უფრო მისაღებია, ვიდრე „ბევრის ბევრი“. ეს მით უფრო, რომ ქართველები ათი ათასზე ნაკლები რიცხვებისთვის იყენებდნენ შეკრების მეთოდს, ხოლო ათი ათასზე მეტი რიცხვებისთვის კი – გამრავლების მეთოდს (ცხაკაია, 1959: 9-10) და, მართლაც, ასი ათასი არის ათჯერ ათი ათასი, ანუ ათბევრი!

ამავე დროს რუსთველი რითმისთვის უპირატესობას ანიჭებს **ბევრის ბევრს** (სტროფი 269):

„ქალსა ცრემლი გარდმოსცვივდა ას-ნაკეცი, ბევრის-ბევრად;  
მოახსენა: „მხეცთა თანა იარები მარტო ტევრად,  
არას კაცსა არ იახლებ საუბრად და შემაქცევრად,  
მას მაგითა ვერა არგებ, დღეთა შენთა ცუდად ლევ რად?“.

**შენიშვნა:** თუ **ნაკეცი** რუსთველისთვის ნიშნავს **ათასს**, მაშინ **ას-ნაკეცი** იქნება **ასი ათასი**, ისევე, როგორც **ბევრის-ბევრი** და **ათბევრი**<sup>1</sup>.

ამგვარი ტერმინოლოგიური განსხვავების მიზეზი კარგად აქვს ახსნილი ვუკოლ ბერიძეს „მეოცე საუკუნემდე ტერმინოლოგიის დამუშავება კერძო საქმედ იყო მიჩნეული – მუშაობდა მხოლოდ ესა თუ ის ცალკე პიროვნება თავისი საკუთარი ინიციატივით“ (ბერიძე, 1952).

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ვუკოლ ბერიძეს ამავე ნაშრომის 29-ე გვერდზე აქვს ერთი უზუსტობა. იქ, სადაც ის ჩამოთვლის

<sup>1</sup> მდრ. **ბევრი, ბევრეული** (ი. აბულაძე, 1973).



იოანე პეტრიწის მიერ შექმნილ ტერმინებს: გონიერი, წენტილი (წერტილი), წირი, უპირატესი, უმეცრება, უმსგავსი და მრავალი სხვა.

მოცემულ შემთხვევაში **წენტილისა** და **წერტილის** ერთი და იმავე ტერმინად გვერდიგვერდ წარმოდგენა არასწორია. საქმე ის გახლავთ, რომ **წენტილი** საათის მეოთხედს ნიშნავს. მართლაც, მოვუსმინოთ დავით და ნიკო ჩუბინაშვილებს.

1) **წენტილი**, ჟამის ნაოთხალი, რუბი; 2) **წერტილი**, ნემსის წვერით ნაჩხვლეტი. წერისას კალმის წვერით დამჩნეული ნიშანი, გასაყოფად წერილთა პერიოდთა; 3) **ჟამი**, დრო, ხანი, ოცდამეოთხედი ნაწილი დღე-ღამისა, საათი (ჩუბინაშვილი, 1984)

1) **წენტილი**, ჟამის ნაოთხალი, რუბი; 2) **წერტილი** ნემსის წვერით ნაჩხვლეტი, კალმის წვერით დამჩნეული ნიშანი, ხმარებული წერილთა შინა გასაყოფად პერიოდთა, ანუ კერძო სიდიდისა, ურაოდენო და განუწვალელებელი; 3) **ჟამი**, დრო განსაზღვრული ოცდა მეოთხედი ნაწილი დღე-ღამისა, საათი. ჟამის ნაოთხალსა ეწოდების **წენტილი**, ანუ რუბი; 4) სხეული, ნივთი მექონი სამთა განფენილობათა: სიგრძედ, სივრცედ და სიღრმედ. დასაბამი სხეულისა არს **წერტილი** ურაოდენო, არა მექონი რიცხვისა გინა საზომისა; რა **წერტილი** წარზიდო, შეიქმნების **ხაზი**, ანუ **ღრამი**, მექონი სიგრძისა უსივრცოდ, ხოლო **ხაზი** მოავლო მრგულად ანუ კუთხეებად, მაშინ საშუალო განფენილობა მისი განიზომების სიგრძედ და სივრცედ. ამას ეწოდების ეპიფანია, საჩინო, ზედსაჩინო, ზედაპირი და სიფრიფანა. რა ჟამს **ეპიფანია** განზრქელდეს კერძოებითა და ნაკვთებითა, მაშინ შენივთდების სხეული (ჩუბინაშვილი, 1961)

დაბოლოს, მივუბრუნდეთ რაფიელ ერისთავის ზემოაღნიშნულ ნაშრომს, რომელშიც პლანეტები თავიანთი ორბიტებით მოცემულია შემდეგი სქემით: Название планет - Орбита планет. მაგალითად, ასე: **მზე** – **კოჭიმელი** – **Солнце**, **მთვარე** – **ჭირანო** – **Луна** და ა.შ.

ამგვარმა, სიზუსტეს მოკლებულმა განლაგებამ სიტყვათა სამეულისა, გამოიწვია შინაარსობრივი უზუსტობა: თითქოს **მზეს** ერქვას **კოჭიმელი**, რადგანაც სიტყვა **კოჭიმელი** მოქცეულია ერთი და იმავე ფიზიკური სხეულის ქართულ და რუსულ სახელებს შორის. ასევე, თითქოს **მთვარეს** ერქვას **ჭირანო**. არადა, **კოჭიმელი** ჰქვია **მზის** ორბიტას, ხოლო **ჭირანო** კი – **მთვარის** ორბიტას. ეს უზუსტობა აისახა სხვა შრომებშიც (იორდანიშვილი, 1968 : 108; იორდანიშვილი, 2015 : 143).

აქ მანუგეშებელია დიდი სულხან-საბა ორბელიანის ბრძნული გამონათქვამი: „ერთისა და ორის კლებისათვის ნუ დაიწუნებთ, სრული გვიან საპოვნარია“.

სრული შესაბამისობა მოცემულია კონსტანტინე (კოტე) ყიფიანის ლექსიკონში: **Луна – მთვარე**, მისი ორბიტა **ჭირანო**, **Солнце – მზე**, მისი ორბიტა **კოჭიმელი**<sup>1</sup>.

### ლიტერატურა

**აბულაძე, 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973.

**ავალიშვილი, 1920** – იოს. ავალიშვილი, არითმეტიკის სახელმძღვანელო, ნაწილი I, ტფილისი.

**ბერიძე, 1952** – ვუკოლ ბერიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, №7.

**ერისთავი, 1880** – რაფიელ ერისთავი, რაოდენათ მართალია, რომ ქართულს ენას სიღარიბე შესწამეს, „დროება“, №212.

**იორდანიშვილი, 1968** – ლ. იორდანიშვილი, რ. ერისთავის ტერმინოლოგიური შრომები, იბერიულ-კავკასიური ენები, XVI.

**იორდანიშვილი, 2015** – ლალი იორდანიშვილი, რაფიელ ერისთავის ენა, თბილისი.

**ორბელიანი, 1993** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბილისი.

**ქსე, 1977** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 3, თბილისი.

**ყიფიანი, 1896** – Конст. Димит. Кипиани, Русско-Грузинский словарь по Астрономии, Зоологии, Минералогии и разных терминов и технических слов, Тифлис.

**ჩუბინაშვილი, 1984** – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

**ჩუბინაშვილი, 1961** – ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.

---

<sup>1</sup> იხ. აქვე, გვ. 212-224

**ჩუბინიძე, ივლისი** – დიტო ჩუბინიძე, როგორ აიღეს სომხების სისხლი ქართველებმა არდებილში, გაზ. „სსავალ-დასავალი“, 2017, №28, გვ.36.

**ჩუბინიძე, აგვისტო** – დიტო ჩუბინიძე, ჯალალ ედ-დინის მიერ ასი ათასი ქართველისთვის თავის მოკვეთა, გაზ. „სსავალ-დასავალი“, 2017, №32, გვ.28.

**ჩუბინიძე, ნოემბერი** – დიტო ჩუბინიძე, საქართველოს ომები, გაზ. „სსავალ-დასავალი“, 2017, №45, გვ.30.

**ალექსანდროვა, 1978** – Н.В. Александрова, Математические Термины, Москва.

**ცხაკაია, 1959** – Д.Г. Цхакая, История математических наук в Грузии с древних времен до XX века, Тбилиси.

**იუშკევიჩი, 1961** – А.П. Юшкевич, История математики в средние века, Москва.

**Omar Dzagnidze**

### About a term “bevri”

#### Summary

The usage of Indian-Arabian numbering, based on ten numerical marks: 1,2,3,4,5,6,7,8,9,0 and on positional principle is evidenced by Georgian architectural monuments of the X and XI centuries A.D. Up to this period, starting from the VI century B.C. we used alphabetic numbering: *ati* =10, *asi* =100, *atasi* =1000, *bevri* =10000, *atbevri* = *bevrís bevri* =100000, *ushkari* = 1000000, *usht'i* = 10000000, *usht'is usht'i* = 100000000.

The present paper considers some military actions of XIII century with participation of armed forces amounting to *erti bevri* + *ori atasi* = 12 thousand and *atbevri* = *bevrís bevri* = 100 thousand, where *erti*=1 and *ori* =2.

Besides, you can find *bevrís bevri* with Rustaveli's poem, in the first line of the couplet 269.

## თამაზ ხმელიძე, კახაბერ ხმელიძე

### ახალი სამშენებლო ტერმინების დამკვიდრების შესახებ<sup>1</sup>

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე მომზადდა „დასურათებული სამშენებლო განმარტებითი ლექსიკონი“ 6 ტომად. იგი მოიცავს 15 300-ზე მეტ ტერმინსა და 2 500-მდე ფერად ილუსტრაციას. ერთსიტყვიანი ტერმინების უმეტესობას თან ახლავს ეტიმოლოგიური კვლევის შედეგი. ტერმინები დალაგებულია ანბანური პრინციპით. ლექსიკონში ტერმინების განმარტებების ვიზუალური სივრცე დატვირთულია ფორმულებით, სქემებით, ნახაზებითა და ფერადი სურათებით, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს ღრმად ჩაწვდეს ტერმინის შინაარსს. ენა მუდმივად ცვალებადი ფენომენია, ჩნდება ახალი სიტყვები, განუწყვეტლივ იცვლება ტერმინების გამოყენების რეგისტრი, ჩნდება უამრავი ახალი რეალია, რასაც ტერმინების განმარტების თანამედროვე რედაქციაში ასახვა სჭირდება. შესაბამისად, ლექსიკონზე მუშაობისას, ავტორების მიერ ქართულ ენაზე შექმნილი იქნა სამშენებლო მიმართულების ახალი ტერმინების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც არ გვხვდება ქართულ ინტერნეტსივრცესა და ბეჭდვით გამოცემებში, ან გვხვდება და არ შეესაბამება მათ რეალურ შინაარსს. სტატიაში წარმოდგენილია ასეთი ტერმინების ერთი ნაწილი, კერძოდ დეკორატიული არქიტექტურის ორნამენტული მოტივების დასახელებები.

არსებული ორნამენტული მოტივების სრულად შესწავლის დროს შემუშავებულ იქნა მოტივების გარეგნული იერსახის კარგად აღმნიშვნელი და ქართულად კარგად ჟღერადი დასახელებები. ტერმინების ნაწილის სრულ დასახელებებში გამოყენებული იქნა ტრანსლიტერაციის მეთოდით ქართულში უკვე დამკვიდრებული სიტყვები.

---

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად თსუ ენათმეცნიერების ინსტიტუტის კონფერენციაზე „სამეცნიერო ტერმინოლოგია“, 2017. ავტორთა თხოვნით მოხსენება იბეჭდება უცვლელად. წარმოდგენილი ღირებული მასალა, ვვიქრობთ, კვლავ უნდა გახდეს განხილვის საგანი (რედ.)

### ზოგადი ნაწილი

სტატისტიკური მონაცემებით, ამჟამად, საქართველოში სამშენებლო საქმეზე და უშუალოდ მშენებლობაზე დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა, შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედს შეადგენს, ამიტომ ბუნებრივია ქვეყნის მოსახლეობის დაინტერესება სამშენებლო დარგის ნორმატიული, საცნობარო და საგანმანათლებლო ლიტერატურით, განსაკუთრებით კი განმარტებითი ლექსიკონით, რომელსაც, როგორც ერის კულტურის გამომხატველს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცივილიზაციის გზაზე და უპირობოდ ასახავს ერის განათლების დონეს. მიგვაჩნია, რომ სამშენებლო დარგის განვითარება მნიშვნელოვანია არა მარტო ამ სექტორში მოღვაწე ადამიანებისათვის, არამედ სახელმწიფოს ეკონომიკური წინსვლისთვისაც.

### ძირითადი ნაწილი

საქართველოს სინამდვილეში, სამშენებლო ლიტერატურა – ცნობარი, სახელმძღვანელო, რეკომენდაციები, სტატიები და სხვ. ზომაზე მეტადაა დაბინძურებული უცხო ენებიდან (განსაკუთრებით რუსული ენიდან) შემოსული კალკებით, რაც აკნინებს მსოფლიო მნიშვნელობის მქონე უძველეს ქართულ ენას.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ თუ ტერმინის გადმოქართულება აუცილებელია და არ მოიძებნება ამ ტერმინის კარგად შესატყვისი ქართული სიტყვა, ქართულ ლექსიკაში უცხოური ტერმინის დამკვიდრებისათვის სასურველია ვიხელმძღვანელოთ იმ ენიდან და იმ ენაზე დაწერილი ნაშრომებიდან, რომლის ლექსიკიდანაც მოდის მოცემული ტერმინი და/ან მისი დასახელება.

ლექსიკონის ავტორების ძალისხმევით ეს პრობლემა მაქსიმალურადაა შემცირებული. უცხოური ტერმინების უმეტესობას თან ერთვის ეტიმოლოგია (სიტყვის წარმომავლობა), რომელიც შექმნილია ბერძნული, ლათინური, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური და სხვ. წყაროების დახმარებით.

თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: „შტაბელი“ – უნდა შეიცვალოს მშვენიერი ქართული ტერმინით „თაკარა“; „კონტრფორსი“ – სინამდვილეში მისი დასახელებაა „კონტრფორტი“ (კედლის გასამაგრებელი წიბოვანი კონსტრუქცია; ფრანგ. contrefort< contre წინააღმდეგ<ლათ. contra წინააღმდეგ, საწინააღმდეგო, საპი-

რისპირო, მოპირდაპირე და ძვ. ფრანგ. fort ძლიერი, გამაგრებული). მშენებლობაში საკმაოდ გავრცელებული ეს ტერმინი, შეცდომით, ფრანგულის ნაცვლად გადმოქართულებულია რუსულიდან (რუს. контрфорс < ტერმინს ფრანგული წარმომავლობა აქვს). ამიტომ, სასურველია გამოვიყენოთ სწორი გრამატიკული და შინაარსობრივი ფორმით და დავამკვიდროთ ტერმინი „კონტრფორტი“; „ილუსტრირებული“ – უმჯობესია გამოვიყენოთ დასურათებული ან დასურათებატებული; „პროსპექტი“ (ქალაქის განიერი და გრძელი ქუჩა), სწორია გამზირი; „სოპოლიმერიზაცია“, სწორია თანაპოლიმერიზაცია; „სტიროლი“, სწორია სტირენი; „ბიფორი“, სწორია ბიფორა; „ვოლიუტა“, სწორია ვოლუტა; „ვერტიუგადენი“, სწორია ვერტიუგედანი, „ტრიუმფალური“, სწორია ტრიუმფული ან სატრიუმფო; „კოლონადა“, სწორია სვეტნარი; „არკადა“, სწორია თაღნარი; „პროპელერი“, სწორია საჰაერო ხრახნი; „ფერმა“ (სამშენებლო კონსტრუქცია), სწორია წამწე; „ფრონტონი“, სწორია წვეტურა; „შტამპი“, სწორია ტვიფრი; „შურუპი“, სწორია სჭვალი; „ვინტი“, სწორია ხრახნი; „ფანტანი“, სწორია შადრევანი; „სინუსოიდალური“, სწორია სინუსოიდური; „გიზას დიდი პირამიდა“, სწორია გიზის დიდი პირამიდა; „დაკიდული“, სწორია დაკიდებული; „ინსტრუმენტალური“, სწორია ინსტრუმენტული; „რიყეს ქვა“, სწორია რიყის ქვა; „ავტოსტოპი“, სწორია ავტოსდექი; „პენობეტონი“, სწორია ქაფბეტონი; „პენოპლასტი“, სწორია ქაფპლასტი; „ცინკი“, სწორია თუთია; „ლატუნი“, სწორია თითბერი; „კრემნიუმი“, სწორია სილიციუმი ან კაჟბადი; „მეტალიზაცია“, სწორია მოლითონება და ა. შ.

გთავაზობთ ორნამენტული მოტივების აღმნიშვნელ ახალ ქართულ ტერმინებს, რომლებიც დასურათებულ სამშენებლო განმარტებით ლექსიკონში გვაქვს შეტანილი. ორნამენტი (ჩუქურთმა) (ძვ. ფრანგ. ornement სამკაული, აქსესუარი < ლათ. ornāmentum აპარატი, მოწყობილობა, ატრიბუტი, სამკაული, სათამაშო) მცირემასშტაბური ნაძერწი ან მხატვრული, გრაფიკული, რიტმულად განმეორებადი ელემენტებისაგან შემდგარი სამკაულია, რომელიც წარმოადგენს გომეტრიული ფიგურების, სტილიზებული ცხოველების, მცენარეების, მათი ცალკეული ნაწილების და სხვ. გამოსახულებებს. ჩუქურთმა (ორნამენტი), როგორც წესი, წარმოაჩენს ნაკეთობის არქიტექტონიკას (სამშენებლო ხელოვნება), რომელზეც იგია გამოსახული. აღსანიშნავია უძველესი სიმბოლური ორნამენტი, რომელიც ძველ ეგვიპტესა და აღმოსავლეთის ქვეყნებში წარმოიშვა ცხოველების, ადამიანების, შრომის იარაღების გამოსახვით ქვასა და ქსოვილებზე. ასეთი ორნამენტე-

ბის დეტალებისა და მოყვანილობების შერჩევა მათი გამორჩეული მნიშვნელობის გამო ხდებოდა. სიმბოლური ორნამენტის დანიშნულება იყო პირობითი გამოსახულებების (სიმბოლოების) მეშვეობით გადმოეცა ესა თუ ის აზრი. სიმბოლური ორნამენტი ფესვმაგარი და ძლიერი ხალხის ყოფიდან, რწმენიდან და ყოველდღიური ცხოვრებიდან იღებდა სათავეს. მას დღესაც დიდი დატვირთვა აქვს ფერწერაში, არქიტექტურაში, ჰერალდიკასა და ხელოვნების სხვა დარგებში. თვითმყოფადი სტილის, თავისებურად ნატიფი ორნამენტებითაა (ჩუქურთმებით) შემკული ქართული ხუროთმოძღვრების მრავალი ძეგლი, რომელთა შორისაა ნიკორწმინდა, იმხანი, გელათი, სვეტიცხოველი, ქაშვეთი, ფიტარეთი, ბოლნისის სიონი, სამთავისი, სამწევრისი, წულრუღაშენი, ატენის სიონი, ბაგრატი, მცხეთის ჯვარი და სხვ. ჩუქურთმას დიდი ისტორია აქვს ქართული ტანსაცმლის, ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვაში (მაგ, ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში, სვანეთში). ქართული ჩუქურთმის ზოგიერთი სახეობა გასცდა საქართველოს საზღვრებს და ის გვხვდება რომაულ, ბერძნულ, არაბულ თუ ევროპულ არქიტექტურაში. კომპოზიციის ხასიათის მიხედვით, ორნამენტი შეიძლება იყოს ლენტური, დაცენტრებული, მოარშებიული ან ჰერალდიკური; ორნამენტში გამოყენებული მოტივების მიხედვით: გეომეტრიული, შედგენილი აბსტრაქტული ფორმებისგან (წერტილი, წრე, ტეხილი ხაზი, ბადისებრი ხაზები, წრე, რომბი, მრავალწახნაგა, ვარსკვლავი, ჯვარი, სპირალი, აგრეთვე რთული სპეციფიკური მოტივი – მეანდრი და სხვ); მცენარეული, რომელიც ფოთლების, ყვავილების, ნაყოფების და ა. შ. სტილიზაციაა [ლოტოსი, პაპირი (პაპირუსი), პალმეტა, აკანთო, ძოწი და სხვ.]; ზოომორფული ან ცხოველური, რომელიც რეალური ან არარსებული, ფანტასტიკური ცხოველების ფიგურების ან ფიგურის ცალკეული ნაწილების სტილიზაციას ახდენს. ორნამენტული მოტივის სახით გამოიყენება აგრეთვე ადამიანის სტილიზებული ფიგურები ან სხეულის ცალკეული ნაწილების გამოსახულებები (ანთროპომორფული ორნამენტი), არქიტექტურული ფრაგმენტები, იარაღი, მედლები, ემბლემები, გერბები; დედამიწის რეგიონებისა და სხვადასხვა ხალხთა კულტურის მიხედვით არსებობს ავსტრალიური, ასირიულ-ბაბილონური, არაბული, ეგვიპტური, ინდური, კელტური, ქართული, მონღოლური, ნორვეგიული, პოლინეზიური, რომაული, რუსული, სპარსული, ჩინური, ძველბერძნული და სხვ.


აღსანიშნავია, რომ არქიტექტურული ორნამენტული მოტივების აღმნიშვნელი ტერმინების ქართულ სახელწოდებებზე მუშაობისას



მომიებული და განხილული იქნა საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობის ინფორმაცია – სხვადასხვა ენაზე შექმნილი მრავალი ნაშრომი. ობიექტური რეალობაა, რომ მსოფლიოში ინგლისურ ენაზე თავმოყრილია განსაკუთრებულად დიდი მოცულობის, საუკუნეების მანძილზე დაგროვილი და მრავალგზის გადამუშავებული მეცნიერული მასალა. საბოლოოდ, მნიშვნელოვანწილად დავეყრდენით ენტონი უაიტისა და ბრუს რობერტსონის ტერმინების დასახელებების მხრივ საკმაოდ სრულ ნაშრომზე: „არქიტექტურა და ორნამენტი: დასურათებული“ (Antony White and Bruce Robertson - „Architecture & Ornament: A Visual Guide“, 1990 წ.).

განვიხილოთ შემოთავაზებული ტერმინები, რომელთა შესატყვისი სრული ქართული დასახელებები ინტერნეტსივრცეში არ გვხვდება:

1. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ბაგირი“** [ნახ. 1; ნახ. 2. ქართული ჩუქურთმების ფრაგმენტები წულ-რუდაშენის წმ. გიორგის სახელობის



ნახ. 1

ტაძრის (XIII ს.) მთავარ შესასვლელზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ქ. ბოლნისის მახლობლად, საქართველო].

ორნამენტული მოტივის ტერმინის სრული დასახელება ინგლისურენოვანი დასახელება ნაშრომიდან: ornamental motif „rope (cable)“ – ინგლ. rope თოკი, საბელი, ბაგირი; ინგლ. cable კაბელი, ბაგირი. ტერმინის ქართული დასახელება ინგლისურიდან თარგმანში მოცემული წმინდა ქართული სიტყვის გამოყენებით შევარჩიეთ. აღსანიშნავია, რომ ბაგირი მსხვილი თოკია და მოცემული ორნამენტული მოტივის გარეგნულ იერსახეს კარგად შეესაბამება.

შეიძლებოდა ტერმინისათვის გვეწოდებინა „გრებილი“, მაგრამ ჩავთვალეთ, რომ სიტყვა ბაგირის ჟღერადობა უფრო სასიამოვნოა სმენისათვის და ამიტომ




ნახ. 2

შევიჩერდით შემოთავაზებულ ტერმინზე. გარდა ამისა, ტერმინი „ბა-



გირი“ ასოცირდება წრიული განივი კვეთის დეკორატიულ ელემენტთან, ხოლო „გრეხილი“ – შეიძლება იყოს ნებისმიერი ფორმის ელემენტი (სამკუთხა, ოთხკუთხა, მრავალკუთხა, კომბინირებული და სხვ.).

**2. შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი**



ნახ. 1

შესასვლელის მარცხნივ მოთავსებული ნორმანული სტილის მომცრო კარის თაღზე, ქ. ლინკოლნი, ლინკოლნშირის საგრაფო, ინგლისი. ორნამენტული მოტივი „გაშლილი ყვავილის“ დეტალებს შორის დიდი დაშორებაა).



ნახ. 2

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „tablet flower“ – ინგლ. tablet ფიცარი (წარწერით), დაფა და flower ყვავილი. ტერმინის ქართული დასახელება მოტივის გარეგნული იერსახის გათვალისწინებით შეირჩა.

**3. შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი**



ნახ. 1

„ვიტრუვიუსის ტალღა“ (ნახ. 1; ნახ. 2 და 3. ბრინჯაოში შესრულებული ორნამენტული მოტივი „ვიტრუვიუსის ტალღა“ ლუი XIV-ის სტილის მარმარილოს ბუ-



ნახ. 2



ნახ. 3

ხარზე). ტერმინის სრული დასახელება ინგლისურენოვანი ნაშრომიდან: ornamental motif “vitruvian scroll (running dog)” – ინგლ. vitruvian ვიტრუვიუსის [მარკუს ვიტრუვიუს პოლიონი (ცხოვრობდა ძვ. წ. I საუკუნეში) – რომაელი არქიტექტორი, ინჟინერი და მწერალი], scroll გრაგნილი, ხვია; ინგლ. running სირბილი, რბენა; დენადობა და dog ძაღლი, ქოფაკი. ტერმინის სრული ქართული დასახელება არქიტექტორის სახელისა და ორნამენტული მოტივის გარეგნული სახის გათვალისწინებით, ასევე მოცემული მოტივის სხვა ინგლისურენოვანი დასახელების (Vitruvian wave) მიხედვით შევარჩიეთ.

4. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „თოკი და ფრთა“** (ნახ. 1).



ნახ. 1

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: სახელწოდება ornamental motif „rope and feather“ – ინგლ. rope თოკი, საბელი, ბაგირი და feather ბუმბული. ორნამენტული მოტივის გარეგნული იერსახის გათვალისწინებით ინგლისურიდან ქართულ თარგმანში მოცემული წმინდა ქართული სიტყვებიდან ტერმინის სრული დასახელება მარტივად შეირჩა.

5. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „კედელდარი“** (ნახ. 1; ნახ. 2; ორნამენტული მოტივი „კედელდარი“ ნეოკლასიკური სტილის ინტერერიერისთვის ხისგან დამზადებული კორინთული სტილის შინდისფერი პილასტრის ფრაგმენტზე; ნახ. 3. ორნამენტული მოტივი „კედელდარი“ კორინთული სტილის პილასტრის ფრაგმენტზე, მე-19 საუკუნის ერთ-ერთი სახლის ფასადზე, ოპერის გამზირი, ქ. პარიზი, საფრანგეთი).



ნახ. 1

სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „fluting“ – ინგლ. fluting ლეიტაზე დაკვრა; არქიტ. კედელდარი (მაგ., სვეტის, ბოდის). ეს უკანასკნელი წმინდა ქართული სიტყვაა, კარგად ერგება ორნამენტული მოტივის გარეგნულ იერსახეს და შედეგად ბუნებრივი იყო მისი შერჩევა ტერმინის სრული დასახელებისთვის.



ნახ. 2



ნახ. 3

6. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „კვადრატული ნაპობი“** (ნახ. 1; ნახ. 2. ორნამენტული მოტივი „კვადრატული ნაპობი“ წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის სამრევლო ეკლესიის და-



ნახ. 1

სავლეთის კა-  
რის თაღ-  
ზე, ს. სთიბინგტონი, კემბრიჯშირის საგრაფო, ინგლისი).

სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „square billet“ – ინგლ. square კვადრატი, მართკუთხედი, სკვერი; კვადრატული და billet შეშის ღერი, ნაპობი; ჯირკვი, კუნძი; ლუგვი, კოპიტულა. ამ ქართული სიტყვების დახმარებით მივიღეთ ტერმინის სრული დასახელება, რომელიც კარგად აღწერს ორნამენტული მოტივის გარეგნულ იერსახეს.



ნახ. 2

7. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „დენტიკულა“** (ნახ. 1; ნახ. 2; ნახ. 3. ორნამენტული მოტივი კაზინო ნობილეს ანტაბლემენტზე, ვილა ტორლონია, ქ. რომი, იტალია).




ნახ. 1

„დენტიკულა“ (ნახ. 1; ნახ. 2; ნახ. 3. ორნამენტული მოტივი კაზინო ნობილეს ანტაბლემენტზე, ვილა ტორლონია, ქ. რომი, იტალია).




ნახ. 2



ნახ. 3

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „dentil“ – ინგლ. dentil პატარა ორცხობილა; უცხოური არქიტექტურული ტერმინია და სიტყვის ქართული თარგმანის არარსებობის გამო ტრანსლიტერაციის მეთოდით შევარჩიეთ, ჩვენი აზრით, ტერმინის ერთადერთი მისაღები ქართული ვარიანტი.

**8. შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი „კვერცხი და შუბის წვერი“** („კვერცხი და ღუზა“, „კვერცხი და ისარი“ ან „კვერცხი და ენა“)



ნახ. 1



ნახ. 2


„კვერცხი და ენა“) [ნახ. 1; ნახ. 2. ძველბერძნული კლასიკური ანტაბლემენტის ფრაგმენტი ერექთეიონიდან (იგივე ერექტეუმი – ინგლ. Erechtheion ან Erechtheum – ათენას და პოსეიდონის სახელობის ტაძარი, ძველბერძნული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლი ათენის აკროპოლისში. აგებულია დაახლ. ძვ. წ. 421...406 წწ.); პოზ. 3; იხ. ტერმინი №7, ნახ. 3).

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „egg and dart“ („egg and anchor“, „egg and arrow“ ან „egg and tongue“) – ინგლ. egg კვერცხი, კვერცხუჯრედი და dart მოკლე სასროლი შუბი; ხელშუბი; ისარი, ნესტარი; გასროლა, გატყორცნა; (ინგლ. anchor ღუზა, კაუჭი; ღუზის ჩაშვება, დამაგრება, მიმაგრება; ინგლ. arrow ისარი; მაჩვენებელი; ინგლ. tongue ენა; ხელნა; ენის მსგავსი; ფეხსაცმლის ენა, სასწორის ენა, სასულე საკრავის ენა).



მოცემული ქართული შესატყვისების დახმარებით და ორნამენტული მოტივის გარეგნული სახის გათვალისწინებით შევადგინეთ ტერმინის სრული დასახელება.

**9. შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი**



ნახ. 1

**„ლებანი“** (ნახ. 1; ნახ. 2. საბაღე ურნა). ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: orna-

mental motif „gadron“ – ინგლ. gadron<ფრანგ. godron მოზრდილი მრგვალი ნაკეცი; საყელოს სასწორებელი; ნივრის კბილის (ლებნის) ფორმის ორნამენტი; ტვიფვრა ხისტ (უხემ) ტილოზე. ორნამენტული მოტივის დამახასიათებელი, თავისებური გარეგნული იერსახის გამო სრული დასახელებისთვის შევარჩიეთ სიტყვა „ლებანი“.



ნახ. 2

**10. შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი**

**„აკანთო“** (ნახ. 1; 2). ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ინგლ. ornamental motif „acanthus“ – ინგლ. acanthus აკანთო (ბოტან. აკანთოსებრთა ოჯახის მცენარეთა გვარი). ამ მცენარის სახელი ქართულში უკვე დიდი ხნის დამკვიდრებულია, ორნამენტული მოტივის სტილიზებული ფიგურები აკანთოს ფოთლების ფორმას იმეორებს და შედეგად ტერმინის სრული დასახელებაც მარტივად ჩამოყალიბდა.



ნახ. 1



ნახ. 2

11. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ანთემიონი და პალმეტა“** (ნახ. 1; ნახ. 2; ნახ. 3; ნახ. 4; იხ. ტერმინი №8, ნახ. 2, პოზ. 4).



ნახ. 1

ტერმინის ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „anthemion and palmette“ – ინგლ. anthemion ანთემიონი (ორნამენტული მოტივი დეკორაციულ ხე-

ლოვნებაში) და palmette პალმეტა (მცენარის ფოთლის ან ყვავილის ფორმის ორნამენტული მოტივი დეკორაციულ ხელოვნებაში). ამგვარად, ინგლისურიდან ქართულ თარგმანში



ნახ. 2



ნახ. 3



ნახ. 4

ტერმინის ერთადერთი და სრული დასახელებაა: ორნამენტული მოტივი „ანთემიონი და პალმეტა“, რაც საბოლოო ქართულ ვარიანტად შევარჩიეთ.

12. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ანთემიონი“** (ნახ. 1. ავგუსტუსის ფორუმის ფრაგმენტი; იხ. ტერმინი №8, ნახ. 2, პოზ. 4).

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „anthemion“ – ინგლ.




ნახ. 1

anthemion ანთემიონი (ორნამენტული მოტივი დეკორაციულ ხელოვნებაში). ინგლისურიდან ქართულ თარგმანში ტერმინის ერთადერთი და სრული დასახელებაა: ორნამ-

მენტული მოტივი „ანთემიონი“, რაც ჩვენ მიერ შემოთავაზებული საბოლოო ქართული ვარიანტია.

13. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „გასაღები“** [ნახ. 1; ნახ. 2. ორნამენტული მოტივი ლინკოლნის კურ-



ნახ. 1

თხელი ქალწული მარიამის სახელობის საკათედრო ტაძრის, ნორმანული სტილის, ცენტრალური (აღმოსავლეთის) შესასვლელის თაღზე, ქ. ლინკოლნი, ლინკოლნში-რის საგრაფო, ინგლისი].

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „key“ – ინგლ. key გასაღები, კლავიში; თაღის ან კამარის ჩამკეტი ქვა. ინგლისურიდან ქართულ თარგმანში ტერმინის მისაღები დასახელებებია: ორნამენტული მოტივი „გასაღები“ ან ორნამენტული მოტივი „კლავიში“, რომელთაგან ორნამენტული მოტივის ბერკეტის ტიპის საკეტის გასაღების პირის ფორმასთან ძლიერი მსგავსების გამო საბოლოოდ შევარჩიეთ პირველი ვარიანტი.



ნახ. 2

14. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი**



ნახ. 1



ნახ. 2

„გილოში“ (ნახ. 1; 2; 3; ნახ. 4. ორნამენტული მოტივი „გილოშის“ ერთ-ერთი ვარიანტი ჯონ სოპინკას სახელობის სასამართლოს შენობის ფასაღზე, ქ. ჰამილტონი, ონტარიოს პროვინცია, კანადა; ნახ. 5. ბერძნული გილოში ნიდერლანდების ომის დოკუმენტაციის ინსტიტუტში, ქ. ამსტერდამი, ნიდერლანდები; ნახ. 6. კომპლექსური გილოში ერექთეიონის (იხ. ტერმი-



ნახ. 3

ნი №8)  
ჩრდილო-  
ეთის პორ-  
ტივის  
ერთ-ერთი  
სვეტის ბა-



ნახ. 4

ზისზე).

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ინგლ. ornamental motif „guilloche“ – guilloche უცხოური არქიტექ-



ნახ. 5


ტურული ტერმი-  
ნია და სიტყვის  
ქართული თარგმა-  
ნის არარსებობის  
გამო ამ შემთხვევა-  
ში ტრანსლიტერა-  
ციის მეთოდით შე-  
ვარჩიეთ, ჩვენი აზ-



ნახ. 6

რით, ტერმინის ერთადერთი შესაძლებელი ქართული ვარიანტი.

15. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „გუტი“** (ნახ. 1; ნახ. 2; ნახ. 3. ტრიგლიფები 5-5 გუტით ადრიანეს ვილის ნანგრევების ერთ-ერთ ფრიზზე,



ნახ. 1



ნახ. 2

ქ. ტივოლის მახლობლად, ლაციოს რეგიონი, იტალია; ნახ. 4. დენტიკულები, ტრიგლიფი და ორნამენტული მოტივი „გუტი“ ქ. ბაფალოს ერთ-ერთი საცხოვრებელ სახლზე, ნიუ-იორკის შტატი, აშშ).


სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „guttae“ – ინგლ. guttae არქიტ. წვეთი; წვეთი ან ისეთი რამ, რაც წვეთს მოგვაგონებს. ქართულ თარგმანში ტერმინის დასახელება: ორნამენტული მოტივი „წვეთი“. ჩვენ ვამჯობინეთ ზემოთ მოცემული ლათი-



ნური წარმომავლობის ინგლისური სიტყვის ქართულად დაწერილი ვარიანტი. „წვეთი“ გამოვიყენეთ სხვა ორნამენტული მოტივის აღმნიშვნელ ქართულ ტერმინში.




ნახ. 3



ნახ. 4

16. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „გირლანდა“** (ნახ. 1; ნახ. 2). მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „festoon“



ნახ. 1




ნახ. 2

– ინგლ. festoon გირლანდა; გირლანდებით მორთვა; თაღისებრი. ინგლისურიდან ქართულ თარგმანში ტერმინის ერთადერთი მისაღები დასახელებაა: ორნამენტული მოტივი „გირლანდა“, რომელიც საბოლოო ვარიანტად შევარჩიეთ.

17. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „დაფნის გირლანდა“** (ნახ. 1; ნახ. 2. ორნამენტული მოტივი „დაფნის გირლანდა“ ტრიაანეს სვეტის ტორუსზე, ქ. რომი, იტალიის რესპუბლიკა).

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „bay leaf garland“ – ინგლ. bay leaf დაფნის ფოთოლი და garland გვირგვინი, ყვავილწული, გირლანდა. ინგლისურიდან ქართულ

თარგმანში ტერმინის დასახელება იქნებოდა: ორნამენტული მოტივი „გვირგვინი“, „ყვავილწული“ ან „გირლანდა“. ზემოთ განხილულ ტერმინთან შესაბამისობის გათვალისწინებით მოცემული სიტყვებიდან შევარჩიეთ „გირლანდა“.



ნახ. 1



ნახ. 2

ლისწინებით მოცემული სიტყვებიდან შევარჩიეთ „გირლანდა“.

18. შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი „ვინიეტი“ (ნახ. 1; ნახ. 2).

სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „vignette“ – ინგლ. vignette ვინიეტი – ტრანსლიტერაციის მეთოდით ქართულ ენაში უკვე კარგად დამკვიდრებული სიტყვა, რომელიც ტერმინის სრული დასახელების საბოლოო ვარიანტისთვის გამოვიყენეთ.




ნახ. 1



ნახ. 2

19. შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი „ვოლუტა“ (ნახ. 1; ნახ. 2. ორნამენტული მოტივი „ვოლუტა“ შვეულვი ვოლუტით; ნახ. 3. ჰორიზონტალური ვოლუტით).



ნახ. 1

ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „end scroll (volute)“ – ინგლ. end scroll გრაგნილის ბოლო და volute

ხვია, ხვეული, სპირალი, ვოლუტა. ეს უკანასკნელი ტრანსლიტერაციის მეთოდით ქართულ ენაში დამკვიდრებული სიტყვაა, ამასთანავე



ნახ. 2



ნახ. 3

ის კარგად შეესაბამება ჩვენს ნაშრომში მოცემულ ტერმინს: „ვოლუტა“ [ხვიარა სპირალის სახით, სკულპტურულად შესრულებული დეკორაციული ორნამენტული დეტალი ცენტრში მოთავსებული რგოლით („საჭვრეტელით“)]. შედეგად, სიტყვა „ვოლუტა“ ტერმინის სრული დასახელების საბოლოო ვარიანტისთვის შევარჩიეთ.

სათადარიგო ვარიანტად შეიძლება განვიხილოთ ტერმინი: **ორნამენტული მოტივი „ხვეული“**.

## 20. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ზიგზაგი“** (ნახ. 1; ნახ. 2. ორნამენტული მოტივი „ზიგზაგი“ წმ. ლავრენტის სახელობის სამრევლო ეკლესიის შესასვლელის თაღზე, რომელიც მოქცეულია სამხრეთის მხრიდან მოგვიანებით მიშენებულ პორტიკში, ს. ჩრდილოეთ ჰინქსი, ოქსფორდშირის საგრაფო, ინგლისი; იხ. ტერმინი №27, ნახ. 2).



ნახ. 1




ნახ. 2

ტული მოტივი „ზიგზაგი“ წმ. ლავრენტის სახელობის სამრევლო ეკლესიის შესასვლელის თაღზე, რომელიც მოქცეულია სამხრეთის მხრიდან მოგვიანებით მიშენებულ პორტიკში, ს. ჩრდილოეთ ჰინქსი, ოქსფორდშირის საგრაფო, ინგლისი; იხ. ტერმინი №27, ნახ. 2).

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „zig zag“ – ინგლ. zigzag ტეხილი ხაზი, იკანკელი, ზიგზაგი. ეს უკანასკნელი ტრანსლიტერაციის მეთოდით ქართულ ენაში უკვე კარგად დამკვიდრებული სიტყვაა და ამ შემთხვევაში ტერმინის სრულ სახელში მისი გამოყენება ვარჩიეთ.

21. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი**



ნახ. 1

„ლოტოსი და პაპირუსი“ (ნახ. 1; ნახ. 2. ორნამენტული მოტივი „ლოტოსი და პაპირუსით“ გაფორმებული ძველევგვიპტური ფრიზის ფრაგმენტის გრაფიკული რეპროდუქცია).



ნახ. 2

ტერმინი ინგლისურენოვანი ნაშრომიდან: ornamental motif „lotus and papyrus“ – ინგლ. lotus ბოტან. ლოტოსი და papyrus ბოტან. პაპირი (პაპირუსი); ჭილი; ჭილ-ეტრატი. ტერმინის სრული დასახელებისთვის გამოვიყენეთ ინგლისურ წყაროში მითითებული მცენარეების სახელები. პაპირის ნაცვლად ვარჩიეთ სიტყვა „პაპირუსი“.

22. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი** „ლოტოსი“ [ნახ. 1; ნახ. 2. პალმეტისანი ძველევგვიპტური კაპიტელი



ნახ. 1

ლოტოსის გაშლილი და დახურული ყვავილების მონაცვლეობით ბაზისთან, ისიდას (ძველევგვიპტურად: ასეტი – უზენაესი ქალღმერთი ძველი ეგვიპტის რელიგიაში) სახელობის ტამარი, თანამედროვე კუნძუ-



ნახ. 2



ლი ფილე (ძველევგვიპტურად: პილაკი) მდ. ნილოსში, ქ. ასუანი (ძვ. ქ. სიენე), ასუანის მუჰაფაზა, ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა].

ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „lotus“ – ინგლ. lotus ბოტან. ლოტოსი. ბუნებრივია, ტერმინის სრული დასახელებისთვის გამოვიყენეთ მცენარის დასახელება ქართულად.

**23. შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი „პაპირუსი“** [ნახ. 1; ნახ. 2. ორნამენტული მოტივი „პაპირუსი“ ისიდას



ნახ. 1



ნახ. 2

სახელობის ტაძრის ერთ-ერთი სვეტის კაპიტელზე თანამედოვე კუნძულ ფილეზე მდ. ნილოსში, ქ. ასუანი (ძვ. ქ. სიენე), ასუანის მუჰაფაზა, ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა].

მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „papyrus“ – ინგლ. papyrus ბოტან. პაპირუსი; ჭილი [სქელი ქაღალდის მსგავსი ძველი საწერი მასალა – პაპირუსის ქართული შესატყვისი, რომელიც პირველად „დაბადების“ (ძველი ალექმისა და მთლიანი ბიბლიის პირველი კანონიკური წიგნი) ქართულ თარგმანში გვხვდება]; ჭილ-ეტრატი. ტერმინის სრული დასახელებისთვის, მისი კარგი ჟღერადობის გათვალისწინებით პაპირის და ქართული ჭილის ნაცვლად ვარჩიეთ სიტყვა „პაპირუსი“.

**24. შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი**

„ლუნეტი“ (ნახ. 1; ნახ. 2. ხეზე ნაკვეთი, ერთმანეთის მოპირისპირედ განლაგებული ორნამენტული მოტივის ორი ზოლი).




ნახ. 1

ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „lunette“ – ინგლ. lunette არქიტ. ტიმპანი; მაჯის საათების ოდნავ ამობურცული მინა. ბოტან. ლოტოსი. გამოვიყენეთ ტრანსლიტერაციის მეთოდით დიდი ხნის წინ მიღებული და დამკვიდრებული სიტყვა.



ნახ. 2

25. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ლურსმნის თავი“** (ნახ. 1; ნახ. 2. ორნამენტული მოტივი წმ. ლეონარ-



ნახ. 1



ნახ. 2

დის სახელობის ტაძარის საკურთხეველის შესასვლელის თაღზე, ს. სკარკლიფი, დერბიშირის საგრაფო, ინგლისი).

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „nailhead“ – ინგლ. nailhead<nail ლურსმანი, ფრჩხილი; მიჭედვა, მილურსმვა და head თავი; მეთაური, მეთაურობა. შედეგად, მარტივად მივიღეთ ორნამენტული მოტივის გარეგნული იერსახის კარგად აღმნიშვნელი და კარგად ჟღერადი ტერმინის სრული დასახელება.

26. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „მეანდრი“** (ნახ. 1; ნახ. 2; ნახ. 3. ორნამენტული მოტივი აია-სოფიას ტაძარში).



ნახ. 1




ნახ. 2



ნახ. 3

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „fret“ – ინგლ. fret ჩუქურთმა, ორნამენტი; ჩუქურთმით მორთვა. შედეგად, ქართული შესატყვისების თავისებურებისა და ორნამენტული მოტივის გარეგნული სახის გათვალისწინებით ტერმინის სრული დასახელებისთვის შევარჩიეთ სიტყვა „მეანდრი“.

27. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „მრგვალი ნაპობი“** (ნახ. 1; ნახ. 2. ორნამენტული მოტივი „მრგვალი ნაპობი“ და „ზიგზაგი“ წმ. მარიამის სახელობის ტაძრის საკურთხევლის თაღზე, ს. დიდი ბარინგტონი, გლოსტერშირის საგრაფო, ინგლისი).



ნახ. 1


ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „round billet“ – ინგლ. round მრგვალი; ირგვლივ, გარშემო, დამრგვალება; წრეხაზი და billet ნაპობი, შეშის ღერი; ჯირკი, კუნძი, ლუგვი, კოპიტულა. მრავალი კარგი ქართული შესატყვისიდან ტერმინის დასახელებისთვის შევარჩიეთ სიტყვათწყობა: „მრგვალი ნაპობი“.



ნახ. 2

სათადარიგო ვარიანტად შეიძლება განვიხილოთ ტერმინი: **ორნამენტული მოტივი „კოპიტულა“**.

28. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „მძივი“** (ნახ. 1; ნახ. 2. ქვაზე ნაკვეთი ორნამენტული მოტივი „მძივი“



ნახ. 1




ნახ. 2

წმ. ანდრიას სახელობის საქსონური ტაძრის საკურთხეველის თაღის ერთ-ერთი საყრდენი ნახევარსვეტის კაპიტელზე, ს. კოლნ-როჯერსი, გლოსტერში-რის საგრაფო, ინგლისი).

მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „bead“ – ინგლ. bead მძივის მარცვალი, ბურთულა, ჰაერის ბუშტულა; მძივი, კრიალოსანი. ტერმინის დასახელებისთვის შევარჩიეთ სიტყვა „მძივი“, რომელიც კარგად ერგება ორნამენტული მოტივის გარეგნულ სახეს.

29. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „კოჭი“** (ნახ. 1; იხ. ორნამენტული მოტივი „მძივი და კოჭი“).




ნახ. 1

მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „reel“ – ინგლ. reel კოჭი, მასრა; ხვეულა; კოჭი კინოფირისთვის; რხევა, რყევა, ტრიალი, ბრუნვა. ზემოთ

ჩამოთვლილი რამდენიმე არსებითი სახელიდან ორნამენტული მოტივის გარეგნული იერსახის გათვალისწინებით ტერმინის სრული დასახელებისთვის შევარჩიეთ „კოჭი“.

30. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „მძივი და კოჭი“** (ნახ. 1; ნახ. 2. ორნამენტული მოტივი „მძივი და კოჭი“ იონიური სტილის პილასტრზე ვიტორიო ემანუელე II-ის სახელობის გალერეაში, ქ.



ნახ. 1



მილანი, იტალიის რესპუბლიკა; იხ. ტერმინი №8, ნახ. 2, პოზ. 4; იხ. ტერმინი №46, ნახ. 2).



ნახ. 2


ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „bead and reel“ – ინგლ. bead მძივის მარცვალი, ბურთულა, ჰაერის ბუშტულა; მძივი, კრილოსანი და reel კოჭი, მასრა; ხვეულა; კოჭი კინოფირისთვის; რხევა, რყევა, ტრიალი, ბრუნვა. ტერმინის დასახელებისთვის შევარჩიეთ ზემოთ მოცემული ორი ტერმინისათვის გამოყენებული სიტყვები: „მძივი“ და „კოჭი“.

31. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ნისკარტიანი თავი“** (ნახ. 1; ნახ. 2. წმინდა ქალწულ მარიამის სახელობის ტაძრის ცენტრალური შესასვლელი, ს. იფლი, ოქსფორდშირის საგრაფო, ინგლისი; ნახ. 3. ამავე ტაძრის ცენტრალური შესასვლელის თაღის ფრაგმენტი).



ნახ. 1

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „beakhead“ – ინგლ. beakhead გემის ცხვირი; გემის ქვემო ბანის წინა სივრცე, სადაც მოთავსებულია საპირფარეშოები ეკიპაჟის წევრებისათვის<beak ნისკარ-




ნახ. 2



ნახ. 3

ტი, ნისკარტისმაგვარი რამ; კაუჭი; ჩაიდნის ტუჩი და head თავი; მე-თაური, მეთაურობა. ჩვენ ვარჩიეთ ორნამენტული მოტივის ორსიტყვიანი დასახელება, რადგან მისი გარეგნული იერსახის წარმომავლობა სწორედ ნისკარტიანი თავის გამოსახულებასთანაა დაკავშირებული.

**32. შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი „ორმაგი კონუსი“** (ნახ. 1; ნახ. 2. ორნამენტული მოტივის ერთი დეტალი წმიდა სამების სახელობის სამრევლო ეკლესიიდან, ს. ბლედლოუ,



ნახ. 1

ნახ. 3. მოტივის რამდენიმე დეტალი წმ. მარგარიტას სახელობის სამრევლო ეკლესიის ჩრდილოეთის კარის თაღზე, ს. სტოვენი, სუფოლკის საგრაფო, ინგლისი).

სი).




ნახ. 2



ნახ. 3

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „double cone“ – ინგლ. double ორმაგი; ასლი და cone კონუსი; გირჩა. ეს ორნამენტული მოტივი განმეორებადი ორმაგი წაკვეთილი კონუსების ფორმის ფიგურებისგან შედგება და ამიტომ ინგლისური წყაროდან ზუსტი თარგმანით მიღებული ქართული სახელწოდება მთლიანად მისაღებია.

**33.** შერჩეული ქართული სახელწოდება: (ნახ. 1; ნახ. 2. ორნამენტული მოტივი სენ-სულპისის რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ჭერზე, ქ. პარიზი, საფრანგეთის რესპუბლიკა).



ნახ. 1


ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „rose“ – ინგლ. rose ვარდი, ვარდის ბუჩქი;

როზეტი (ძვირფას სამკაულებში); არქიტ. როზეტი (დეკორატიული ელემენტი, გაშლილი ვარდის მსგავსი ორნამენტი). „როზეტი“ არქიტექტურაში უკვე საკმაოდ დამკვიდრებული სიტყვაა და ორნამენტული მოტივის სრულ სახელწოდებაში მისი გამოყენება ბუნებრივი იყო, თუმცა საბოლოოდ მაინც ვარჯიეთ ძველი ქართული ტერმინი „ვარდული“.



ნახ. 2

**34.** შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი „რომბი“ (ნახ. 1; ნახ. 2. ორნამენტული მოტივი „რომბი“ წმ. ნიკოლოზის სახელობის სამრევლო ეკლესიის სამხრეთის კარის თაღზე, ს. ბუ-



ნახ. 1



ნახ. 2

დეზერტი, უორკშირის საგრაფო, ინგლისი).

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „lozenge“ – ინგლ. lozenge რომბი; ტაბლეტი; რომბისებრი ფორმის ფიგურა; ირიბკუთხა ფიგურა; რომბის ფორმის შაქარყინული (ყინულკარამელი). ამ ორნამენტული მოტივის თითოე-

ული ძირითადი დეტალი ზუსტად იმეორებს რომის ფორმას, თვითონ სიტყვაც კარგად მოუხდა მოტივის სრულ დასახელებას.

**35. შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი „სელის ქსოვილის ნაოჭი“** [ნახ. 1; ნახ. 2. ძველი საწოლის დეკორაცია, ხელით ნაკვეთი ერთ-ერთი მუხის დაფა; ნახ. 3. მუხის ხისგან დამზადებული ევროპული ძველი მა-



ნახ. 1

ღალსაზურგიანი მერხი (XVI ს.)].

ტერმინის სრული ინგლისურ-ნოვანი დასახელება: ornamental motif „linenfold“ – ინგლ. linenfold არქიტ. „სელის ქსოვილის ნაკვეცი“ ან „სელის ქსოვილის ნაოჭები“ (დეკორატიული ლირსები – მომცრო ზომის ხის ჩარჩოები მათში ჩამაგრებული სელის ქსოვილის ნაჭრებით) > linen სელის და fold ნაკვეცი; დაკვეცვა, მოკვეცვა. ბრჭყალებში მოცემული ინგლისური სიტყვის ზემოთ ნაჩვენები ქართული შესატყვისები ერთ-ერთ რუსულ წყაროში მოცემული განმარტების დახმარებით მივიღეთ. „ნაკვეცვის“ ნაცვლად ვარჩიეთ „ნაოჭები“.




ნახ. 2



ნახ. 3



**36. შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი „სპირალის უწყვეტი ხვია“** [ნახ. 1; ნახ. 2. ორნამენტული მოტივის ერ-



ნახ. 1



ნახ. 2


თი დეტალი – გრანიტის ქვაზე ამოკვეთილი „ტრისკელიონი“ (კელტური სიმბოლო), ბრეტანის რეგიონი, საფრანგეთის რესპუბლიკა].

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „continuous coil spiral“ – ინგლ. continuous უწყვეტი, უსრული, მუდმივი (მაგ. ელექტრული დენი), გამუდმებული, coil ხვია, კოჭი (მაგ. ინდუქციური), რგოლი, ხვეული (ბუხტი; ბაგირის, სადენის მასრა) და spiral სპირალი; კლაკნილა; სპირალური; სპირალურად დახვევა. ორნამენტული მოტივის გარეგნული იერსახის მიხედვით მოცემული ქართული შესატყვისებით შევადგინეთ სრული ქართული დასახელება.

**37. შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი „ტალღა“** (ნახ. 1; ნახ. 2; ნახ. 3. არტ-დეკოს სტილის ორნამენტული მო-



ნახ. 1



ნახ. 2



ნახ. 3

ტივი „ტალღა“ ჰილდებრანდტის შენობის ფასადზე, ქ. ნეიპირი, ჰოვს-ბეის რეგიონი, ახალი ზელანდია).

მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „wave“ – ინგლ. wave ტალღა; ზვირთი; ქნევა, რხევა, რყევა; ნიშანი (ხელით); დახვევა, დახუჭუჭება, დაკულულება (თმის); ტალღოვნება. ტერმინის სრული ქართული დასახე-

ლებისთვის ჩამოთვლილი სიტყვებიდან მარტივად ავარჩიეთ „ტალ-და“, რომელიც სრულად შეესაბამება მოტივის გარეგნულ სახეს.

**38.** შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ფოთლის გრაგნილი“** (ნახ. 1; ნახ. 2. ფოლადისა და თითბრისგან და-



ნახ. 1



ნახ. 2

მზადებული ორნამენტული მოტივის ფრაგმენტი).

ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „scroll (leaf)“ – ინგლ. scroll გრაგნილი, ხვია და leaf ფოთოლი; შეფოთვლა. პირველ რიგში ორნამენტული მოტივის გარეგნული იერსახის გათვალისწინებით, ასევე ტერმინის სრული დასახელების კარგი ჟღერადობისთვის ვარჩიეთ სიტყვა „გრაგნილი“.

**39.** შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ფოთლის და ვარდის გრაგნილი“** [ნახ. 1; ნახ. 2. ორნამენტული მოტივი ვიქტორიანული სტილის ბორდიურის (შპალერის ვიწრო დეკორატიული ზოლი) ფრაგმენტზე].



ნახ. 1




ნახ. 2

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „scroll (leaf and rose)“ – ინგლ. scroll გრაგნილი, ხვია, leaf ფოთოლი; შეფოთვლა და rose ვარდი, ვარდის ბუჩქი; როზეტი (ძვირფას სამკაულებში); არქიტ. როზეტი (დეკორატიული ელემენტი, გაშლილი ვარდის მსგავსი ორნამენტი). ამ შემთხვევაში გამოვიყენეთ ზემოთ ნაჩვენები ორნამენტული მოტივის სახელწოდება, რომელსაც კარგად მო-

ერგო არსებითი სახელი: „ვარდი“.

40. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი: „ქაშაყის ფხა“** (ნახ. 1; ნახ. 2. მოჭიქული ტერაკოტა - კერამიკის ლანგარი ორნამენტული მოტივით).

ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება:



ნახ. 1



ნახ. 2

ბა: ornamental motif „herringbone“

– ეს ინგლისურენოვანი დასახელება ორნამენტულ მოტივს ეწოდა თევზის, კერძოდ, ქაშაყის ხერხემალთან წარმოსახვითი მსგავსების გამო – ინგლ. herringbone ქაშაყის ფხა; ნაძვისებრი, ნაძვის ფორმის (თევზი-ფხური); შვერონული ხლართი –

პროფილი, ორნამენტი, თარგი; აგურის, პარკეტის და მისთ. წყობა; მოხატულობა (მაგ., ქსოვილზე), მოქარგულობა, ნაკერი და სხვ. >herring ქაშაყი და bone ძვალი; ხორცისგან ძვლების მოცილება. ამ ორნამენტული მოტივის და მისი სახელწოდების შესახებ ქართულ ინტერნეტსივრცეში ინფორმაცია ძალიან მწირია. ტერმინის ქართული დასახელების მოფიქრება რთული იყო. საბოლოო ვარიანტი ამ დეკორატიული მოტივის წარმომავლობის გათვალისწინებით შევარჩიეთ.

41. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „ყვავილის ბურთი“** (ნახ. 1. ორნამენტული მოტივი „ყვავილის ბურთი“ გლოსტერის წმ. პეტრეს და წმიდა და განუყოფელი სამების სახელობის საკათედრო ტაძარზე, ქ. გლოსტერი, გლოსტერშირის საგრაფო, ინგლისი).

ორნამენტული მოტივის სრული




ნახ. 1

ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „ball flower“ – ინგლ. ball ბურთი, სფერო; გორგლად დახვევა; რაიმესთვის მრგვალი ფორმის მიცემა და flower ყვავილი; მცენარის გაფურჩქნა, ყვავილობა; ორნამენტი ან მორთულობა, რომელიც ყვავილს გამოსახავს. საბოლოო ქართული დასახელება ამ უცხოური ტერმინის მნიშვნელობის, ზემოთ ჩამოთვლილი ქართული შესატყვისების, განსაკუთრებით კი მოტივის გარეგნული სახის გათვალისწინებით შევარჩიეთ.

42. შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი „ყურძნის მტევანი“ (ნახ. 1).

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „grape“ – ინგლ. grape ყურძენი; ვაზის ნებისმიერი სახეობის მცენარე, რომელიც ისხამს ყურძენს; მუქი მუწამულ-წითელი ფერი; შემოკლ. ფინდიხი (მსხვილი კარტეჩი, საფანტი). აქ ვარჩიეთ მოტივის ორსიტყვიანი დასახელება, რადგან ყურძნის მტევანი უფრო ზუსტად ასახავს ორნამენტული მოტივის ცალკეული დეტალის გარეგნულ იერსახეს.



ნახ. 1

43. შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი „შევრონი“ (ნახ. 1; ნახ. 2; ნახ. 3. ქვაში ნაკვეთი ორნამენტული მოტივი



ნახ. 1



ნახ. 2

„შევრონი“ მამსბერის წმ. პეტრეს და წმ. პავლეს სახელობის სააბატოს სამხრეთ პორტიკში, უილტშირის საგრაფო, ინგლისი).

ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „chevron“ – ინგლ. chevron დანაკერი, მინაკერი, შევრონი; ლათინური V-ის ფორმის მქონე ორნა-




ნახ. 3



მენტის; ფეიქ. ე. წ. „შევრონული ხლართი“, ასევე „შევრონული ნაქსოვი“, „შევრონული ნახჭი“ ან „შევრონული ქსოვა“; ნამდვისებრი (თევზი-ფხური) ქსოვის მეთოდი; „ქაშაყის ფხის“ (ორნამენტი) მსგავსი თარგის მქონე ნახჭი, ნაქსოვი – სარჩული (სარჩი – ერთგვარი სასარჩულე ქსოვილი) ნაქსოვის ერთ-ერთი სახე, რომელსაც ასეთი ორნამენტის მსგავსი მოხატულობა აქვს; ჰერალდიკაში – ჩვეულებრივ, გადაბრუნებული და ფართოდ გაშლილი ლათინური V-ს ფორმის ნიშანი; ზოლებისგან შედგენილი, ლათინური V-ს (სწორი ან გადაბრუნებული) ფორმის ნიშანი, ემბლემა, რომელსაც სამსახურის ხანგრძლივობის (ზევადიანი სამსახურის), რანგის ან მისთ. მაჩვენებლად სპეციალური ფორმის ტანსაცმლის სახელოზე (ჩვეულებრივ, მარცხენა) ან სხვა ნაწილებზე დაკერებული სირმის სახით ატარებენ სერჟანტთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეები, პოლიციის ოფიცრები, ჯარისკაცები, კურსანტები და სხვ. შევრონის თავისებური, კუთხოვანი ფორმა კარგად აღწერს ორნამენტული მოტივის გარეგნულ სახეს. რადგან შევრონი ქართულში უკვე დამკვიდრებული სიტყვაა, ტერმინის საბოლოო ქართულ ვერსიაში ამ სიტყვის გამოყენება ვარჩიეთ.

**44. შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი „ძაღლის კბილი“** (ნახ. 1; ნახ. 2. ორნამენტული მოტივი „ძაღლის კბილი“



ნახ. 1

ლი“ პიტერბოროს წმ. პეტრეს, წმ. პავლეს და წმ. ანდრიას სახელობის საკათედრო ტაძარზე, ქ. პიტერბორო, კემბრიჯშირის საგრაფო, ინგლისი).


ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „dog tooth“ – ინგლ. dog ძაღლი, ქოფაკი; ხვადი ძაღლი; ხვადი მგელი; ხვადი მელა, კვალდაკვალ გამოდევნება და tooth კბილი; კბილი (ხერხის, კბილანის და ა. შ.). ადრეულ ინგლისურ გოტიკურ არქიტექტურაში გავრცელებული ამ ორნამენტული მოტივის მოხატულობა მართლაც ძაღლის კბილს მოგვაგონებს, ამიტომ ბუნებრივია,



ნახ. 2

რომ მისი დასახელება ინგლისური დედნიდან მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე სიტყვასიტყვით ითარგმნება. ასევეა ბრჭყალებში მოცემული ქართული თარგმანიც, რომლის შერჩევა მოტივის სრული სახელწოდებისთვის ბუნებრივი იყო.

**45. შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი „წვეთი“** [ნახ. 1; ნახ. 2. ტუდორების სტილის (გვიანდელი ინგლისური



ნახ. 1

გოთიკური არქიტექტურული სტილი) თაბაშირის კარნიზი].

ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „peardrop“ – ინგლ. peardrop


მსხლის ესენციისგან (არომატული ნივთიერების ნაყენი) დამზადებული შაქარყინული (ყინულ-კარამელი); მსხლის ფორმის შაქარყინული; მსხლის ფორმის ძვირფასი საკიდარი (სამკაული; კულონი, საყურე და სხვ.)>pear მსხალი; მსხლის ხე და drop



ნახ. 2

წვეთი (სითხის პატარა, მრგვალი ან მსხლის ფორმის უმცირესი ნაწილი); წვეთვა, წვეთება; ვარდნა; დაგდება, გადაყრა; შეწყვეტა, დაწვევა, დავარდნა, დაქვეითება; მოულოდნელი დაცემა (ფასების, ტემპერატურის). ჩვენ სიტყვა „მსხალი“ არ გამოგვიყენებია, რადგან ორსიტყვიან დასახელებას ერთსიტყვიანი ვამჯობინეთ და მოტივის გარეგნული სახის კარგად აღმნიშვნელი ქართული სახელწოდება მივიღეთ.

**46. შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი „წყლისფოთოლა და ენა“** [ნახ. 1; ნახ. 2. ქსილოგრაფიული ბეჭდვის



ნახ. 1

მეთოდით ქალაქზე შესრულებული ნახატი (XIX ს.).]

ორნამენტული მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „water leaf and tongue“ – ინგლ. water leaf სტილიზებული

ფოთლისებრი ორნამენტი; ინგლ. waterleaf ბოტან. ლაშქარასებრთა ოჯახის (ლათ. Boraginaceae) ერთ-ერთი გვარის (ლათ. Hydrophyllum)



ნახ. 2

ნებისმიერი მცენარე; ტროპიკული მცენარე (ლათ. Talinum fruticosum), რომლის ფოთლებს მიირთმევენ, როგორც ბოსტნეულს; ქაღალდის და-

მზადების ტექნოლოგიაში – საშრობი ქაღალდის მსგავსი, გაუხამებელი (დაუმუშავებელი) შემწოვი ქაღალდი >water წყალი და leaf ფოთოლი; შეფოთვლა; ინგლ. tongue ენა; ლაპარაკის ყაიდა (მანერა). სიტყვა „ენის“ გამოყენება განხილული ორნამენტული მოტივის სახელწოდებისთვის ბუნებრივი იყო, დასახელების პირველი სიტყვა („წყლისფოთოლა“) კი ორნამენტული მოტივის წყლის მცენარეებთან კავშირისა და მისი კარგი ქართული ჟღერადობის გათვალისწინებით მოვიფიქრეთ.

47. შერჩეული ქართული სახელწოდება: **ორნამენტული მოტივი „წყლისფოთოლა და შუბის წვერი“** (ნახ. 1; ნახ. 2. ორნამენტული მოტივი ბრიტანეთის მუზეუმის ბერძნული აღორძინების სტილის ფასადის ერთ-ერთი სვეტის იონიური კაპიტელის თავზე, ქ. ლონდონი, ინგლისი; იხ. ტერმინი №8, ნახ. 2, პოზ. 1).



ნახ. 1



ნახ. 2

მოტივის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „water leaf and dart“ – ინგლ. water leaf სტილიზებული ფოთლისებრი ორნამენტი; ინგლ. waterleaf ბოტან. ლაშქარასებრთა ოჯახის (ლათ. Boraginaceae) ერთ-ერთი გვარის (ლათ. Hydrophyllum) ნებისმიერი მცენარე; ტროპიკული მცე-

ნარე (ლათ. *Talinum fruticosum*), რომლის ფოთლებს მიირთმევენ, როგორც ბოსტნეულს; ქაღალდის დამზადების ტექნოლოგიაში – საშრობი ქაღალდის მსგავსი, გაუხამებელი (დაუმუშავებელი) შემწოვი ქაღალდი > water წყალი და leaf ფოთოლი; შეფოთვლა; ინგლ. dart მოკლე სასროლი შუბი; ხელშუბი; ისარი, ნესტარი; გასროლა, გატყორცნა. დეკორატიული მოტივის ერთი მნიშვნელოვანი დეტალის გამოსახულების კარგად გადმოსაცემად სრული დასახელებისთვის შევარჩიეთ ორსიტყვიანი ფრაზა „შუბის წვერი“ და ზემოთ განხილული ორნამენტული მოტივის სახელწოდებისთვის უკვე მიღებული ორიგინალური სიტყვის („წყლისფოთოლა“) დახმარებით შევადგინეთ მოცემული ორნამენტული მოტივის სრული ქართული დასახელება.

48. შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი „ჭდე“ (ნახ. 1; ნახ. 2. კარის ჩარჩო ჰორიზონტალური და შვეული ჭდეებით).



ნახ. 1

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „reeding“ – ინგლ. reeding არქიტ. მცირე ზომის, ნახევარცილინდრული ფორმის დეკორატიული სამშვენისი (ჩუქურთმა, ორ-


ნამენტი) ან დაყალიბებით მიღებული სხმული; აგრეთვე – დაჭდევა: დადარული დეკორატიული სხმულების დამზადების პროცესი; დაყალიბებით მიღებული ისეთი სხმულების ერთობლიობა, როგორებიც გვხვდება არქიტექტურულ სვეტებზე, სადაც თითოეული მათგანი მცირე ზომის ამოზნექილ კედელდარს მოგვაგონებს და ზოგჯერ ორნამენტის – „ლებანი“ (ინგლ. gadrooning) – სინონიმად ითვლება; სამშვენისი (ჩუქურთმა, ორნამენტი), რომელიც ასეთი სხმულებისგანაა შედგენილი; ნუმიზმ. მონეტის, მედლის და სხვ. წიბოზე (გვერდის ზედაპირი) დატანილი ვერტიკალური ღარები, ჭდეები; აგრეთვე – ასეთი ჭდეების ფორმირების პროცესი (დაჭდევა); რაიმე ზედაპირზე



ნახ. 2

ქდეების (ნაჭდევი, ნაკეჭნი, ნაწიბური) ამოკვეთის ან ღარვის (ფრეზვის) მეთოდი, ტექნიკა. სიტყვის (reeding) პირდაპირი ქართული თარგმანი ამჟამად არ გაგვაჩნია, ტერმინის სრული დასახელებისთვის კი შევარჩიეთ კარგი ქართული სიტყვა „ჭდე“, რომელიც ჩვენ შემთხვევაში საკვანძოც იყო.

**49. შერჩეული ქართული სახელწოდება: ორნამენტული მოტივი „ჯაჭვი“** (ნახ. 1; ნახ. 2. XX საუკუნის 70-იან წლებში 18 კარატიანი ოქროსგან დამზადებული, ჩაქუჩის დეკორატიული ეფექტით დამუშავებული სამაჯური ორნამენტული მოტივით „ჯაჭვი“).



ნახ. 1

ტერმინის სრული ინგლისურენოვანი დასახელება: ornamental motif „chain“ – ინგლ. chain ჯაჭვი, ძეწკვი; ბორკილი; მიჯაჭვა, შებორკვა, გადაჯაჭვა; ერთი და იმავე სახის საგნების, ნივთების, ერთეულების თანამიმდევრობა, რომლებიც ერთ ხაზს ქმნიან; იალქნიანი გემების გვერდებიდან ანძების გასწვრივ ჰორიზონტალურად გაშვებული დაფების, თამასების სტრუქტურა, რაც გამოიყენება ვანტების (გემსართავები, რომლებითაც ანძა მაგრდება ბორტებზე) ბაზისის გასაფართოებლად; ქიმ. ერთი და იმავე ელემენტის (ჩვეულებრივ, ნახშირბადის) ორი ან მეტი ურთიერთგადაბმული ატომი. ამ შემთხვევაში ტერმინის სრული ქართული დასახელება მართივად მივიღეთ, რადგან ინგლისური დედნიდან პირდაპირ ნათარგმნი ქართული სიტყვა „ჯაჭვი“ კარგად შეესაბამება მოტივის გარეგნულ სახეს.

**Tamaz Khmelidze, Kakhaber Khmelidze**

### The issues of establishing of new constructional terms

#### Summary

The Faculty of Construction of Georgian Technical University has prepared 6 volumes of “Illustrated Explanatory Dictionary of Constructional terms”. This dictionary includes more than 15 300 words and almost 2 500



colored illustrations. Many single-word terms are presented with the results of etymological research. Words are given in alphabetical order. The visual space of terms is full of formulas, circuitry, sketches and pictures. This kind of visibility gives us possibility to learn the content of each term.

Language is a constantly changing phenomenon; appear many new concepts and the area of usage of terms is changing. Our job serves for adding explanations in modern edition of the dictionary.

Accordingly, while working on new edition, the authors created some new constructional terms, which are not given in Georgian internet resources and publications, or are presented inaccurately.

In this article we'll represent part of the terms, which are names of ornamental motifs of decorative architecture.

## ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი

### საისტორიო წყაროებში დადასტურებული ერთი რიგის იურიდიული ტერმინებისათვის

(*ძეგლი, ძეგლისწერა, ძეგლი-განაჩენი, ძეგლთდება*)

ქართულ საისტორიო წყაროებში გვხვდება იურიდიული ტერმინები, რომელთა ერთ-ერთ კომპონენტად ჩანს სახელი **ძეგლი**. ესენია: **ძეგლისწერა, ძეგლი-განაჩენი, ძეგლთდება, ძეგლი სჯულისა...** თავის მხრივ, ცალკე **ძეგლი**-ც დასტურდება, როგორც იურიდიული ტერმინი, შდრ: „კანონმდებელი კრება სასამართლო წიგნს ადგენდა ხოლმე, ეს იყო მისი ბჭობისა და შრომის ნაყოფი და ნაშთი, ამის გამო ამისთანა კრების ნაღვაწსა და დადებულს „**ძეგლი**“ ეწოდებოდა ხოლმე. მაგ., ეფთვზე მთაწმინდელი VI მსოფლიო კრების კანონების ქართული თარგმანის შესავალში ამბობს: წევრებმა „აღწერილი იგი მართლისა სარწმუნოებისა ძეგლნი და საეკლესიონი იგი კანონნი წინაშე ღვთისმსახურისა კონსტანტინე მეფისა წარიკითხესო“ (ჯავახიშვილი, 1982: 29-30); „ჩვენამდე მოღწეული ძველი ქართულის პერიოდის საერო თუ სასულიერო ხასიათის თხზულებებიდან ჩანს, რომ არსებობდა იურიდიული ტერმინი **ძეგლი**. კერძოდ, აქტის, ტრაქტატის, დადგენილების გადმოსაცემად გამოყენებულია **ძეგლის წერა**“ (ქეშიკაშვილი, 1991: 80).

ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმან, რომ ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ **ძეგლი** არ არის განმარტებული, როგორც იურიდიული ტერმინი, არამედ, როგორც კონკრეტული საგანი, კერძოდ: „გამოსახულება, ქანდაკება, კერპი“ (აბულაძე, 1973). ამასთან, ლექსიკონში ცალკეა გამოტანილი და განმარტებული **ძეგლისწერა**, როგორც „**აქტი, ტრაქტატი, დადგენილება, ხსენება**“. როგორც ჩანს, მეცნიერი **ძეგლის** ძირითად მნიშვნელობას **ძეგლიწერის** მნიშვნელობისგან განასხვავებდა ძველ ქართულში.

საზოგადოდ, სიტყვა **ძეგლს**<sup>1</sup> ქართულში არაერთი მნიშვნელობა უდასტურდება.

---

<sup>1</sup> ქსე-ის მიხედვით: „**ძეგლი**- ფართო გაგებით – რაიმე ობიექტი, რომელიც ქვეყნის, ერის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია... მ-ისთვის დამახასიათებელი

**ძეგლი:** „გამოსახულება, ქანდაკება, კერპი“ (აბულაძე, იქვე); „სამღვარივით წერით და ორონად<sup>1</sup>ითქმის“ (საბა, 1993); „დიდი სვეტი მარტოდ დადგენილი ნიშნად, ანუ სამძლსარად... столн“ (ჩუბინაშვილი, 1961); „დიდი სვეტი მარტოდ დადგენილი ნიშნად ან სამზღვრად, столн памятник“ (ჩუბინაშვილი, 1984). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **ძეგლი** არის: „1. ნაგებობა ან ქანდაკება ვისიმე ან რისამე სამახსოვროდ; 2. წარსული მატერიალური კულტურის ნაშთი; 3. ძველი მწერლობის ნაწარმოები; 4. ისტ. კანონი (ან კანონთა კრებული), განაჩენი, დადგენილება, განწესება“ (ქეგლ, 8); **ძეგლი** შეიძლება იყოს, ასევე, გარკვეული იურიდიული შინაარსის მქონე **მატიანე**, წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც მნიშვნელოვანი ისტორიული ცნობებია დაცული (მაგ., „**ძეგლი ერისთავთა**“ - XIV-XV სს. მიჯნის ქართული საისტორიო ძეგლი – ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატეანე<sup>2</sup>). **ძეგლის** სინონიმებია: მონუმენტი, ობელისკი, მემორიალი (1), (საფლავზე) მატური (ჯორჯანელი, 2003); აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში დასტურდება ტერმინები: **ძეგლი**, **ძენგლი**, შდრ.: „**ძეგლი** (თუმ.) ღვთის სამადლობელი ზედაშე“ (ცოცანიძე, 2012); „**ძენგლი** (ხევს.) ესა თუ ის ოჯახი ან გვარი ამა თუ იმ ხატს აღუთქვამდა, რომ ამა და ამ დღეობაში (დღესასწაულზე) ყოველ წელიწადს უთევდა ღამეს, დანათლავდა დროშით, დაკლავდა საკლავს.. და მისთ. **ძენგლი** შთამომავლობაზე გადადიოდა. ამგვარად, **ძენგლი** ერთგვარი თვითგასამართლება იყო. *ბუდის კვესურები დანადებსაც უწოდებდნენ და ძენგლსაც*“; „**მეძენგლე** ვინც ძენგლი დაიდო და ასრულებს მას; **ძენ-**

ბელია აქტ. საზ. ზემოქმედების ფუნქცია, რომელიც მყლავნდება, როგორც იდეურ პროგრამაში, ისე მხატვრულ განხორციელებაში. ძ. ისე იდგმება, რომ მისი ხილვა მრავალმა ადამიანმა შეძლოს. იგი მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს გარემოს ორგანიზებაში. ძ-ის პროტოტიპებს ჯერ კიდევ პირველყოფილ საზოგადოებასა და უძველეს ცივილიზაციებში ვხვდებით(მეგალითები, პირამიდები, ობელისკები და სხვ.). პირველი მემორიალური დანიშნულების ძ. ანტ. სამყაროში შეიქმნა... შუა საუკუნეების შემდეგ ქრისტ. სამყაროში ძ-ის ყველაზე გავრცელებული სახეობა იყო ჯვარი“ (ქსე,11).

<sup>1</sup> „**ორონი** რომელი ითარგმანების *ძეგლად* წერილისა და საზღვრად სიტყვისა საღ-თსა მის მოქალაქობისა ნ. ძეგლი“ (საბა 1991); შდრ.: ოპიას, „საზღვარი“ (გიორგობიანი, 2013: 307).

<sup>2</sup> „შედგენილია ლარგვისის მონასტერში... პირველი ნაწილი ფოლკლორულ ცნობებს და ძველ ქრონიკებს ემყარება... მეორე ნაწილში მოთხრობილია ქსნის საერისთავოს ისტორია...“ (მესხია, 1954: 30).



**გლად აძე [სძე]** ძენგლი (ი.) აკისრია; **ძენგლს დაიდებს** ძეგლს იკისრებს“ (ჭინჭარაული, 2005). სამხ. დას. საქართველოში აჭარიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა მეტყველებაში სანათესაო წრის, გვარის, მეტსახელის აღმნიშვნელ ძირითად ტერმინ **ლაღაბის** გვერდით დადასტურდა **ძეგლი/ძენგლი/ძერგლი/ძერგი** (მაგ., „ჩემი ძენგლია კახაბერიძე“<sup>1</sup>); ლაზურშიც გვაქვს მეტსახელი **ძეგნე/ძეგნი** (თანდილავა, 2013).

რა იყო **ძეგლის** ძირითადი მნიშვნელობა და რამ განაპირობა მისი იურიდიულ ტერმინად გამოყენება? რა სემანტიკურ სხვაობებს ავლენს მასზე დაყრდნობით შექმნილი ტერმინები და როგორია მათი ურთიერთმიმართება?

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ „ძველი აღთქმის“ მიხედვით, **ძეგლი** მრავალფუნქციური **ნიშია**, რომლითაც **მონიშნულია, დადასტურებულია: 1. უფლის სამყოფელი, წმინდა ადგილი:** „[იაკობმა ლოდი] აღმართა ძეგლად და დაასხა ზეთი თავსა მის ლოდისასა და უწოდა ადგილსა მას „სახლი ღმრთისა“ (დაბ. 28,18); „მე ვარ ღმერთი შენი, რომელი გეჩუენე შენ ადგილსა მას ღმრთისასა, სადა-იგი სცხე ძეგლსა ჩემსა და აღმითქუ მე აღთქუმა“ (დაბ. 31,13); **2. ადამიანებს შორის უფლის სახელით დადებული გარკვეული შეთანხმება-ვალდებულებები:** „აწ მოვედ და აღვითქუათ აღთქუმა მე და შენ და იყოს საწამებელ შოვრის შენსა და ჩემსა. და თქუა: აჰა-ესერა არავინ არს ჩემ თანა, აჰა-ესერა უფალი არს მოწამე შოვრის ჩემსა და შენსა. მოილო იაკობ ლოდი და აღდგა ძეგლად“ (დაბ. 31, 44-45; იხ. ასევე, დაბ. 31, 48-52); **3. საზღვარი (სამანი):** „აჰა, ბორცვი ესე და ძეგლი, რა დავაფუძნეთ შს ჩსა და შს შსნსა, ნუცა შენ წიაღმოხუალ ჩემდა ბორცუსა ამას ჩემსა და ძეგლსა ამას ბოროტებით...“ (დაბ. 31,51-54); **4. საფლავი:** „და აჰ-

<sup>1</sup> მასალა მოგვაწოდა პროფ. რ. თოფჩიშვილმა.

<sup>2</sup> შდრ.: „**სამანი** – მიწაში ჩადგმული ქვა. იდგმება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების დროს: სოფლების ტერიტორიის გასამიჯნავად, მოსისხლეთა შერიგების ნიშნად, ვინმეს საზოგადოებიდან მოკვეთის დროს და სხვ.“ (კიკნაძე, 2009: 360). „**სამანი**-ი (სამანისა) [სპარს *სამან* „ზომა“, „საზღვარი“ ] 1. საზღვარი, მიჯნა; 2. მანა ან ქვა, რომელსაც ასობენ მიწაში საზღვრის აღსანიშნავად. 3. ეთნ. მანა, ქვა, რომელსაც ასობდნენ მიწაში ვისიმე დარისხების ნიშნად.... **სამანს ჩაუსვამენ ეთნ.** ვისიმე თემიდან მოკვეთის შერისხვის ნიშნად მიწაში სამანს ჩაასობენ... **სამანში ჩატანებული** ეთნ. გადატ. ვისაც სამანი ჩაუსვეს, ვინც (რაც) შერისხეს“ (ქეგლ, 6).

<sup>3</sup> შდრ.: „მას შემდგომ, რაც როსტომმა დახმარება გაუწია ცხრაზნისხეველებს, სამაგიეროდ მოითხოვა სამკვიდრო ადგილი მათ შორის. მაშინ ლარგვი-

მართა იაკობ ძეგლი საფლავსა ზედა რაქელისსა, ესე არს ძეგლი საფლავისა რაქელისი ვიდრე დღენდელად დღედმდე“ (დაბ. 35,20); **5. სახელის უკვდავყოფა:** „აბესალომ ვიდრედა ცოცხალდა იყო, აღმართა ძეგლი ერთი საჯსენებელად თავისა თვისისა უბესა ერთსა სამეუფოსა და თქუა: არა მივის შვილი, რათა მაჯსენებდეს! და ეწოდა ადგილსა მას ჯელ აბესალომისა აქა ჟამამდე.“ (2 მეფ. 18,18) (ძვ.აღ., 1989 ; ხაზგასმა ყველგან ჩვენია (ნ.ხ.).

მაშასადამე, ძეგლი არის ქვის ლოდი, რომელიც აღმართა ადამიანმა, როგორც საკრალური სვეტი, ე. წ. ნიში<sup>1</sup>, უფლისა და საზოგადოების წინაშე სამარადქამო შეთანხმება-ვალდებულებების, „კავშირის შეკვრის“ აღსაბეჭდად, მატერიალურ დასტურად. ძეგლი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მარწყებელი და შემნახველია, ამასთან, ის არის სალოცავი, კერპი. ამგვარი ნიშები მეცნიერებაში ცნობილია სტელას<sup>2</sup>, ქვაჯვარას<sup>3</sup> სახელით.

სის მამასახლისმა ასწავლა ხერხი: „უკუეთუ გნებავს მკვიდრ ყოფაი ქვეყანასა ამას, ითხოვე საფლავი მონასტერსა“. როსტომმა... მოითხოვა სასაფლაო ლარგვისის მონასტერში და მიიღო კიდევაც. დროთა განმავლობაში როსტომი იმდენად გამდიერდა, ერისთაობა მოინდომა და საამისოდ მან ასეთი არგუმენტი წამოაყენა: „ვისიცა იყოს საფლავი, მას შეჰგავს ეკლესიაი და ყოველი მიმდგომნი მისნი“ (მესხია, 1954: 321; ხაზი ჩვენია-ნ.ხ.).

<sup>1</sup> შდრ.: „ნიში ნიშანთ ნაწილი“ (საბა, 1993); „ნიშს ორგვარი დანიშნულება აქვს: ერთი მხრივ, ადგილია, სადაც ლოცვა – რიტუალი სრულდება, მეორე მხრივ, სალოცავის შესაწირების ერთგვარი „საკურთხეველი“... ნიშს ტაძრის ნანგრევიდან ან მთავარი სალოცავიდან, ხატიდან მოტანილი ქვით აფუძნებენ“ (ბიწაძე, 2015); ვფიქრობთ, ეს შეიძლება ყოფილიყო საგვარეულო სალოცავის ნიშიც, რომლის წინაშე გვარს გარკვეული მოვალეობები ჰქონდა (იხ. ჩვენი: „კვლავ ძეგლი-ს მნიშვნელობისათვის ქართულში“, ქესს, 2018. იბეჭდება).

<sup>2</sup> შდრ.: „სტელა – 1. მემორიალური ძეგლის – საფლავის ქვის, ერთ-ერთი ტიპი, რომელიც თავის შიგნით აერთიანებს მრავალ ნაირსახეობას. სტელისებური ძეგლების აღმართვის ტრადიცია მიცვალებულთა საფლავზე უძველესი დროიდან იყო გავრცელებული...; 2. სალოცავი ობიექტები, რომელთა მრავალნაირი ტიპებია დადასტურებული საქართველოში; 3. სამიჯნო სტელეები, რომელთა ნაწილზე რელიეფით ხელია ამოკვეთილი, როგორც მფლობელის უფლების დამადასტურებელი სიმბოლო“. (ეთნ. ლექსკ., 2013); „στήλη 1. ბოძი, ხიმინჯი; 2. საფლავის სტელა, გადატ. ძეგლის აღმართვა; 3. სასაზღვრო ნიშანი; 4. მემორიალური სტელა; 5. ხელშეკრულება; 6. კანონი; კანონის ასლი“ (გიორგობიანი, 2013).

<sup>3</sup> შდრ.: „უძველესი ქართული ეპიგრაფიკული წყაროები ჯვრებს უწოდებენ ქვის იმ ძეგლებს, რომელთაც მეცნიერებაში, საზოგადოდ, სტელეები ეწოდებათ“ (ჯაფარიძე, 1982: 53).

სიტყვა **ძეგლი** დასტურდება ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილ „მცირე სჯულისკანონის“ შესავალში, სადაც ის, უდაოდ, მოიზრება იურიდიულ ტერმინად – წერილობითი დოკუმენტის (არა ქვაზე შესრულებულის) აღმნიშვნელად, შდრ.: „ამან წმიდამან მეექუსემან კრებამან ას სამეოცდარვათა მამათამან რომელი შეკრბეს კონსტანტინეპოლეს, სამეფოსა პალატსა და და დამტკიცეს მართალი სარწმუნოებაი და **დაწერეს ძეგლი** ღმრთისმეტყუელებისაჲ და კანონნი ეკლესიისანი სამომღურებ-ლად მორწმუნისა ერისა...“ (მც. სჯ. კან., 1972: 15; ხაზგასმა ჩვენია-ნ.ხ.).

ვფიქრობთ, სიტყვა **ძეგლის** იურიდიულ ტერმინად დამკვიდრება გარკვეულ ისტორიულ პროცესს ასახავს: მრავალფუნქციური **ძეგლი** (საკრალური ქვის სვეტი წარწერით<sup>1</sup>, სიმბოლური გამოსახულებებით ან მათ გარეშე) ძველი სამყაროს სამართლის ნივთიერი გამოხატულება იყო, ხოლო, „როცა კაცობრიობა განვითარდა და წარმატებული მოქალაქეობრივი ცხოვრება შექმნა... სამართალი ზნე-ჩვეულებას დაჰშორდა, დაწინაურდა და კანონდებულ სამართლად გადაიქცა“ (ჯავახიშვილი, 1982: 29). სწორედ ამ „კანონდებლური სამართლის“ ქვაზე აღბეჭდვის უძველესმა წესმა მოგვიანებით ხელნაწერებში გადაინაცვლა და **ძეგლის** ტერმინად ქცევაც ამას უნდა უკავშირდებოდეს. მაშასადამე: **ძეგლი** „შეთანხმება-ვალდებულებათა ამსახველი ქვის სვეტი“ > „სასულიერო ან საერო საკანონმდებლო კრების ბჭობის შედეგად დამტკიცებული ვალდებულებების ამსახველი წერილობითი დოკუმენტი“. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ შემდგომ საუკუნეებში **ძეგლის** ადგილს **წიგნი** იკავებს (შდრ.: „...საკანონმდებლო **ძეგლს** XIV-XVIII სს-ში „სამართლის **წიგნი**“-ც ეწოდებოდა და XVII-XVIII სს-ში უფრო ხშირად სწორედ ეს ტერმინი იხმარებოდა“ - ჯავახიშვილი, იქვე).

ამავე „მცირე სჯულისკანონში“ დასტურდება ტერმინი **ძეგლისწერა**-ც. ის ნაშრომის მეოთხე ნაწილის სახელწოდებაა („**ძეგლისწერა** მართლისა სარწმუნოებისაჲ“). **ძეგლისწერა** გვაქვს 1103 წლის რუისურბნისის საეკლესიო კრების დადგენილების სახელწოდებადაც.

ქართულ ლექსიკონებში **ძეგლისწერა** (**ძეგლისწერა**, **ძეგლისწერაჲ**, **ძეგლის წერა**) ასეა განმარტებული: „აქტი, ტრაქტატი, დადგენი-

<sup>1</sup> შდრ., „**ძეგლი სჯულისა** узаконение писанное на столбе“ (ჩუბინაშვილი, 1984: 1614);

ლება, ხსენება“ (აბულაძე, იქვე); „დადგენილება; მოხსენიება“ (სარჯველაძე, 2001); „ზედა წარწერილობა ძეგლსა ზედა ღირსსახსოვრისა რაისამე. აღწერილი სჯულის დება, ანუ განწესება... столбписание“ (ჩუბინაშვილი, 1961); ზედა წარწერილობა ძეგლზედ ღირსი სახსოვრისა რისამე; აღწერილი რჯულისდება ან განწესება ძეგლზედ...“ ( ჩუბინაშვილი, 1984).

ივ. ჯავახიშვილის მითითებით, „ბერძნულითგან ქართულად ნათარგმნ თხზულებებში „ძეგლისწერა“ ბერძნულ ἐκτέσι<sup>1</sup> ექთეზისს უდრის“. (ჯავახიშვილი, 1982: 30). ვფიქრობთ, აღნიშნული ტერმინის თარგმნისას გათვალისწინებულია, ასევე, სიტყვა ძეგლის ზემოთ მითითებული ის იურიდიული შინაარსი, რომელიც ჩანს „ძველი აღთქმის“<sup>2</sup> ტექსტში.

საზოგადოდ, მიგვაჩნია, რომ დაზუსტებას მოითხოვს შემდეგი განმარტება: „ძეგლისწერა იგივეა, რაც ძეგლი“ (ქეგლ, 8), რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ძველ ქართულში ამ სიტყვათა მნიშვნელობები განირჩეოდა: ძეგლის თავდაპირველი მნიშვნელობა იყო მრავალფუნქციური საკრალური სვეტი, შემდგომ წერილობითი სამართლებრივი დოკუმენტი, ხოლო ძეგლისწერა, ვფიქრობთ, კანონშემოქმედებას, განსჯის შედეგად მიღებული კანონის წერილობით განმარტებასა და გაფორმებას გულისხმობდა (შდრ.: „წერა აზრის წერილობით გამოთქმა“ (ქეგლ, იქვე)<sup>3</sup>. ის ექვთიმე ათონელის მიერ შექმნილი ტერმინი

<sup>1</sup> შდრ.: „ἐκτέσις - 1. ჩვენება დადგმა; 2. გადმოსმა, გადმოსხმა, გადმოყვანა; 3. მიტოვება, დატოვება; 4. ლოგ. აბსტრაქცია; 5. გამოშვება, ამოშვება; 6. განმარტება, თხრობა, გადმოცემა“; „τέσις - 1. დადება, დადგმა; 2. დალაგება, ჩაწყობა; 3. განლაგება; 4. დადგენილება; 5. დაწესება; 6. დამტკიცება; 7. ფილოს. აზრი, შეხედულება; თეზისი; 8. ფილოს. პირობა...“ (გიორგობიანი, 2013; ხაზი ჩვენია-ნ.ხ.).

<sup>2</sup> „მოსეს სამართლის წიგნის ქართული ვერსია იურიდიული ცხოვრების გარკვეულ სფეროში ჩვენი ეროვნული სამართლის წყაროს წარმოადგენდა“ (ქსძ, 1, 1963: 574).

<sup>3</sup> წერ- ძირის მქონე იურიდიულ ტერმინებთან დაკავშირებით საყურადღებო დაკვირვებაა: „XI-XIII საუკუნეთა მანძილზე ქართულ დიპლომატიკაში ყოველ იურიდიულ დოკუმენტს „დაწერილი“ ეწოდება, თუ ის მეფისაგან არ არის გაცემული... თავდაპირველად. როგორც ჩანს, „დაგიწერე“ სრულიად საკმაო იყო იმის გამოსახატავად, რომ ესა თუ ის ქონება, ან უფლება ამ ქონებაზე ამა თუ იმ პირმა გადასცა მეორე პირს. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ „დაწერა“ თავდაპირველად ისეთი მოქმედება იყო (დაწერა იმ დროს ისეთი

ჩანს<sup>1</sup>. თავის მხრივ, რაკი სიტყვა **ძეგლი** იურიდიულ შინაარსთან ერთად ქვის საკრალურ სვეტსაც (კერპსაც) აღნიშნავდა, მეტი სიზუსტისათვის, წერილობითი საკანონმდებლო დოკუმენტის აღსანიშნავად მას ჩაენაცვლა **ძეგლისწერა**. თავად სიტყვა **ძეგლი** დავიწყებას არ მისცემია და ქართულში არაერთი მნიშვნელობით დასტურდება, ხოლო როგორც გარკვეული იურიდიული შინაარსის ტერმინი („ვალდებულება“), შემორჩა ხალხურ ადათ-წესებს<sup>2</sup>. ცნობილია, რომ იქ, სადაც ვერ აღწევდა სახელმწიფო (მეფის) და საეკლესიო კანონმდებლობა (მაგ., აღმოსავლეთ საქართველოს მთა), მოქმედებდა ხალხური სამართალი. ამიტომაც **წმინდა ნიში** რელიგიურ დატვირთვისთან ერთად წინაპართაგან ნაანდერძევი ხალხური სამართლის ნივთიერ გამოხატულებადაც მოიაზრებოდა და ტრადიციული საზოგადოება მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს კრძალვით ასრულებდა. ვფიქრობთ, სწორედ ამით უნდა აიხსნას აღ. საქ. მთაში დაცული **ძეგლფუძის** მქონე რიტუალური ტერმინები. ამასვე უკავშირდება აჭარელ მუჰაჯირთა მეტყველებაში სანათესაო წრის, გვარის აღმნიშვნელი ტერმინები და ლაზური მეტსახელები (იხ. ზემოთ) – ისინი საგვარეულო სალოცავის ხსოვნა-ვალდებულების გარკვეულ წესებს უნდა გულისხმობდეს.

ქართულ ისტორიულ წყაროებში, ასევე, დასტურდება **ძეგლი-განაჩენი** (შდრ.: „ჩუენ, მეფეთა-მეფემან გიორგიმ... დავდევიტ ძეგლი-განაჩენი ესე მას ჟამსა“ – „ძეგლის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ“). აქ ჩვენთვის საყურადღებოა **ჩენ**- ძირის მქონე მიმღეობის (გა-ნა-

სახით წარმოებდა), რომელიც უფლების გადაცემასთან ერთად ნივთის მატერიალურ გადაცემასაც გულისხმობდა... მხოლოდ გვიან და თანდათან, აქტის გართულებისდა შესაბამისად, შემუშავდება ამ ორი მომენტის - დაწერისა და გადაცემის ურთიერთისაგან გათიშვა“ (ბერძენიშვილი, 2005).

<sup>1</sup> საკითხი სპეც. ჩამიებას მოითხოვს. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, „მრავალი ქართული იურიდიული ტერმინის სრული ზედმიწევნილობითი მნიშვნელობის გამორკვევაც სწორედ... ნათარგმნი ძეგლების ენის დედნებთან შედარებითი შესწავლითაა შესაძლებელი“ (ჯავახიშვილი, 1982: 23).

<sup>2</sup> შდრ.: „რადგან XIV საუკუნის მომდევნო პერიოდის სხვადასხვა შინაარსის თხზულებებში **ძეგლი** საძიებელი მნიშვნელობით აღარ გვხვდება, ეს ფაქტი გვაფიქრებინებს შემდეგს: იგი ან ხელოვნურად შექმნილი ტერმინი იყო, ანდა საერთო-სახალხო ენის კუთვნილება, რომელმაც სალიტერატურო ქართულში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და ამის გამო დავიწყებას მიეცა“ (ქევიკაშვილი, 1991: 80-81).

ჩენ-ი) სემანტიკა. ქეგლის მიხედვით, **განაჩენი** არის: „1 სასამართლოს მიერ სამსჯავრო სხდომაზე გამოტანილი გადაწყვეტილება; გადატ. გადაწყვეტილება, დადგენილება. საეკლესიო ტრადიციით, განაჩენი გამოიტანება წმინდა სამების სახელით...; 2 „ ... რაც გააჩინეს ან გაჩნდა, – შექმნილი წარმოქმნილი, წარმოშობილი, გაჩენილი“ (ქეგლ, 2); შდრ., ასევე: „**ჩენა** „ჩუენება“, ნება“ (აბულაძე, 1973); „**ჩენა** „დასანახავად ქცევა... შექმნა, გაჩენა“ (ქეგლ, 8). ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს: „**სამართალი** ან ერის საზოგადოებრივი ცხოვრებით შექმნილი ჩვეულება და წესია, ან სახელმწიფოს მთავრობისა და კანონმდებელი კრების **გაჩენილია** ხოლმე... რაკი იმ ხანაში კანონებს საქართველოში ჩვეულებრივ მეფის მიერ მოწვეული სამღვდელოებისა, მაღალწოდებისა და მოხელობის წარმომადგენელთა და „საბჭოთა საქმეთა მეცნიერთა“ კრება, ან სახელმწიფო დარბაზი ადგენდა ხოლმე, ამიტომ სამართალს იმ დროს „**გაჩენილი**“ სამართალი ერქვა (ბაგრატ კურაპალატის სასამართლო წიგნი), ხოლო თვით მოქმედებას „**განჩინება**“ ეწოდებოდა, – „განჩინება“ სარწმუნოებისა და **დადებულისა** იწეს მიერ დთვისმეტყუელისა (სჯულისკანონი, XB, IV, 115-116), რაც ბერძნულ ἐκτέλεσις უდრის, – ანუ „განაჩენი“ (გიორგი V-ის ძეგლის დადება, შესავალი)... (ჯავახიშვილი, 1982: 29-30; ხაზგასმა ჩვენია-ნ.ხ.).

მამასადაძე, **ძეგლი-განაჩენი** არის ბჭობის, განსჯის შედეგად „გაჩენილი“ (მიღებული, დადასტურებული) სამართლის ნივთიერი, წერილობითი გამოხატულება.

კიდევ ერთი იურიდიული ტერმინი **ძეგლთდება** (*//ძეგლთ-დება, ძეგლისდება*) ასეა განმარტებული: „განწესება აღწერილი ძეგლზე“ (ჩუბინაშვილი, 1984); „**ძეგლის დადება, ძეგლისწერა** - შუა საუკუნეების საქართველოში საკანონმდებო აქტის დადგენა-ჩამოყალიბება წერილობით საბუთად, „გაჩენა და დადება“ ძეგლად; თვითონ ასეთი საკანონმდებლო ძეგლი („განაჩენი“) განმტკიცებული სახით. ვარაუდობენ, რომ *ძეგლის დადებაში* აღიბეჭდა უძველესი ხერხი კანონის გამოკვეთისა ქვის სვეტზე (მაგ., ხამურაბის კანონები) *ძეგლის დადების* მსგავსი გამოთქმები საბუთებში იშვიათი როდია, მაგრამ თვით ამ სახელწოდების აქტებად ცნობილია რუის-ურბნისის კრების *ძეგლისწერა* და „*ძეგლის დადება* მეფეთ მეფის გიორგის მიერ“ (ქსე, 11).

ამ განმარტებების მიხედვით, **ძეგლი, ძეგლისწერა** და **ძეგლისდება** სინონიმებად წარმოჩნდება, რაც ზუსტი არ უნდა იყოს. ეს სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ტერმინებია, რაც ივ. ჯავახიშვილის მსჯელობიდან კარგად ჩანს: „...კანონმდე-

ბელი კრების განაჩენი, რომელიც კრების „ძეგლად“ უნდა ჩათვლილიყო, სამეფოს სამართლად მიეცემოდა, „დაედებოდა“, ის „დადებული“ იყო. გიორგი ბრწყინვალის მიერ მოწვეული კანონმდებელი კრების შედგენილ სასამართლო წიგნს ამიტომ ჰქვია „ძეგლის დადება“ (ჯავახიშვილი, 1982: 30).

აღნიშნულ ტერმინში ყურადღებას იპყრობს **დადება/დება** კომპონენტი. ვფიქრობთ, მასში გამოცალკევებული **დ-ებ-** ძირის სემანტიკა მთელი ტერმინის მნიშვნელობასაც უნდა აზუსტებდეს. კერძოდ, სხვა მრავალფეროვანი მნიშვნელობების გვერდით, **დებ-** უკავშირდება „ვალს“, „მოვალეობას“, შდრ.: „**თანა-დება** მართება, ვალის ქონება“ (აბულაძე, 1973); „**თანანადები** თავს ვალი ედვას“ (საბა, 1991); „...**თანამდებ-**ი ძვ. ქართულში „შეცოდებულს“, „მოვალეს“, „დავალებულს“ ნიშნავს და წერილობით დამოწმებულია V საუკუნიდან... **თანა-ედვა-**ს ეტიმოლოგია იხსნება მისი კომპონენტების მნიშვნელობით: „თან-იდვა“ ანუ „მასზე/მასთან იდვა“ (ვალი, გადასახდელი)“ (გიგინეიშვილი, 2016: 187); „**უ-დ-ებ-ი/უ-დ-ი** (ძვ. „ზარმაცი, მცონარი“...) უარყოფითი ფორმის მიმღეობა... **უდები** არის „ის, ვინც ვალს [მოვალეობას] არ იდებს თავს“ (ხახიაშვილი, 2018: 234). (საზოგადოდ, ვფიქრობთ, **დ-ებ-** ძირის ეს სემანტიკა უძველეს რიტუალურ ქმედებასთანაა დაკავშირებული, შდრ., ვალის **დადება**, **დაკისრება**..., რაც სპეც. კვლევას მოითხოვს).

ამრიგად, **ძეგლთდება/ძეგლისდება** არის კრების მონაწილეთა (კანონმდებელთა) განსჯის შედეგად „გაჩენილი“ და წერილობით აღბეჭდილი გადაწყვეტილების საყოველთაო ვალდებულებად ქცევა, დაფუძნება, დაკანონება – საყოველთაო სამართალი.

საგულისხმოა, რომ ხალხური ადათ-წესით დაკისრებული ვალდებულების აღსანიშნავად ფშაურში დასტურდება არა ტერმინი **ძეგლი/ძენგლი**, როგორც ესაა თუშურსა და ხევსურულში, არამედ – **დანადები**, რაც იმას მიუთითებს, რომ ქვის ნიში (**ძეგლი**) გარკვეული წესების შესრულებას ავალდებულებდა თემს, გვარს და სწორედ ამიტომ აღიმართებოდა – „დაიდებოდა“.

აღნიშნვენ, რომ ტერმინ **ძეგლი**-ს გამოყენების არე შეზღუდულია და ის წიგნიერი გზით ხდება გაცნობიერებული განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შემუშავდა და კანონის ძალა მიიღო გიორგი ბრწყინვალის „თქმულმა სამართალმა“ (ქეშიკაშვილი 1991: 80), რაც ნაწილობრივ გასაზიარებელია, ვინაიდან აღმ. საქ. მთის დიალექტებში უძველესი ტერმინების გადარჩენა განაპირობა როგორც მათთან დაკავშირ-

რებული ადათ-წესების შენახვამ, ასევე, გიორგი ბრწყინვალის „სამართალმა“ (ცნობილია, მეფე გიორგიმ პირადად შემოიარა მთიულეთი, ჩამოიყვანა იქიდან წარმომადგენლები თბილისში, მოიწვია დარბაზი და შეადგინა სამართლის წიგნი და მისი „**ძეგლისდება**“ მოქმედებდა აღმ. საქ. მთიანეთში), თუმცა, მეორე მხრივ, ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ტერმინი **ძეგლთ-დება/ძეგლისდება** გიორგი ბრწყინვალემ (მისმა დარბაზმა) სწორედ ამავე დიალექტური არეალიდან აღებული ხალხური ტერმინოლოგიის მიხედვით შექმნა და სათანადო მიზნით გამოიყენა. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა: 1. აღმ. საქართველოს მთის კილოებში უხვად დადასტურებული, ხშირად დღემდე ცოცხალი ტერმინები (**//ძეგლი, ძენგლი, ძეგლის დადება, დანადები, დასტურის ძეგლი, ვარ-ქვებით ძენგლი, მემენგლე...**); 2. მათთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა სიმრავლე; 3. ამ ტერმინთა (**ძეგლი/ძენგლი/ძერგი; ძენგე/ძენგი**) დადასტურება სხვა დიალექტურ არეალშიც - სამხ. დასავლეთ საქართველოში (იხ. ზემოთ), რაც იმას მიგვანიშნებს, რომ, საზოგადოდ, **ძეგლის** ერთგვარი იურიდიული შინაარსი უცხო არაა ქართული ხალხური ცნობიერებისათვის, შესაბამისად, ის ყოფაში ოდენ „წიგნიერი გზით გაცნობიერებული“ არ უნდა იყოს.

წარმოდგენილი მსჯელობის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ: **ძეგ-ლ-ი** „აღმართული მრავალფუნქციური საკრალური სვეტი, ნიში“ > **ძეგლი** „შეთანხმება-ვალდებულებათა, კანონთა ნივთიერი გამოხატულება (სვეტი, ხელნაწერი)“ > **ტერ.:** 1. **ძეგლისწერა** „კანონშემოქმედება; დაწერილ კანონთა კრებული, განმარტებანი...“; 2. **ძეგლი-განაჩენი** „განსჯის შედეგად „გაჩენილ“ (მიღებულ) გადაწყვეტილებათა, კანონთა წერილობითი დოკუმენტი“; 3. **ძეგლისდება** „შექმნილი სამართლის დაფუძნება, საყოველთაო კანონად ქცევა“.

#### ლიტერატურა

**აბულაძე, 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

**ბერძენიშვილი, 2005** – დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები, თბილისი.

**ბიწაძე, 2015** – ს. ბიწაძე, რელიგიური დღესასწაულები ხევში, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, საქართველოს საპატრიარ-



ქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი „ეთნოლოგია“, თბილისი.

**გიგინეიშვილი, 2016** – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა-მ), თბილისი.

**გიორგობიანი, 2013** – თ. გიორგობიანი, ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

**თანდილავა, 2013** – ალ. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი.

**კიკნაძე, 2009** – ზ. კიკნაძე, ანდრეზები, 2009, თბილისი.

**ეთნ. ლექსკ., 2013** – ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

**მესხია 1954** – შ. მესხია, ძველი ერისთავთა, მსკი, თბილისი.

**მც. სჯ. კან., 1972** – მცირე სჯულის კანონი, გამ. მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა, თბილისი.

**მცხ. ხელნ., 1981** – მცხეთური ხელნაწერი, (მოსეს ხუთ-წიგნეული, ისუ ნავე, მსაჯულთა, რუთი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი.

**ნადირაძე, 2001** – ე. ნადირაძე, საქართველოს მემორიალური კულტურა, თბილისი.

**საბა, 1991; 1993** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი.

**სარჯველაძე, 2001** – სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი.

**ქსმ, 1963** – ქართული სამართლის ძეგლები, 1, თბილისი.

**ქსე, 1987** – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 11, თბილისი.

**ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 8 ტომად, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, 1950-1964 წწ., თბილისი.

**ქეშიკაშვილი, 1991** – ი. ქეშიკაშვილი, ძველის გავრცელების არეალის და მნიშვნელობისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

**ჩუბინაშვილი, 1961** – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი.

**ჩუბინაშვილი, 1984** – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე ოფსეტური გამოცემა, თბილისი.

**ცოცანიძე, 2012** – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბილისი.

**ძვ. აღ., 1989** – წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი I, შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ც. კიკვიძემ, თბილისი.

**ჭინჭარაული, 2005** – ა. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

**ხახიაშვილი, 2017** – ნ. ხახიაშვილი, *უღებ-ი* სიტყვის სემანტიკისათვის, იკე, XLV, თბილისი.

**ხოჭოლავა-მაჭავარიანი, 2018** – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, კვლავ *ძეგლი*-ს მნიშვნელობისათვის ქართულში“, ქესს, 2018, თბილისი (იბეჭდება).

**ჯავახიშვილი, 1982** – ივ. ჯავახიშვილი, სახელმწიფო სამართალი, თხზ. თორმეტ ტომად, ტ.6, თბილისი.

**ჯაფარიძე, 1982** – ვ. ჯაფარიძე, ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან, თბილისი.

**ჯორჯანელი, 2003** – კ. ჯორჯანელი, ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონი, თბილისი.

## Nana Khocholava-Machavariani

### One Type of Legal Terms Confirmed in Historical Sources

#### Summary

The terms *dzeqlists'era*, *dzeqli-ganacheni*, *dzeqltdeba* attested in the Georgian historical sources are based on the term *dzeqli* “monument”.

The main meaning of the term *ძეგლი* is a stone multifunctional sacred niche that is erected by a human as a material evidence of the eternal agreement and obligation to the Lord and the society.

The establishment of this word as a legal term reflects a certain historical process – the oldest rule of writing the law on the stone used in manuscripts, c.f. *dzeqli* “a stone niche depicting agreement and obligation” > “a written document depicting approved obligations”.

*dzeqlists'era* means writing the laws, the written definitions of the law.

*dzeqli-ganacheni* is a written expression of the law enacted as a result of the judgment.

*dzeqltdeba/dzeqlisdeba* is the legalization of the written decision of lawmakers made as a result of the judgement, i.e. the universal law.

Generally, the legal meaning of the word ძეგლი is not unfamiliar to the Georgian folk consciousness. The term ძეგლთდება/ძეგლისდება was derived on the basis of the dialectal folk terminology by King George V the Brilliant and used for proper purposes. This assumption is based on 1. The terms that still exist in the mountain dialects of Eastern Georgia (*dzegli, dzengli, dzeglis dadeba, danadebi, dast'uris dzegli, ḥar-kvabit dzengli, medzengle*, etc.); 2. The antiquity and nature of the folk customs and traditions related to them; 3. The attestation of these terms (*dzegli/dzengli/dzergi, dzegne/dzegni*) in another dialectal area, i.e. Southwest Georgia.

Thus, ძეგლი “an erected multifunctional sacred niche” > *dzegli* “a material expression of agreements and obligations, the laws (a niche, a manuscript)” > 1. *dzeglists'era* “writing the laws; the written definitions of the law”; 2. *dzegli-ganacheni* “a written document of the laws enacted as a result of the judgment”; 3. *dzeglisdeba* “the legalization of the written decision of lawmakers, i.e. enacting the universal law”.

## ანა ხურცილავა

### ესტონეთის ენობრივი პოლიტიკა

ესტონეთში ოფიციალური ენა ესტონურია. კანონის თანახმად, იგი გახლავთ ძირითადი საურთიერთო ენა, რომელიც მშობლიურია 1 მილიონი ადამიანისთვის. საუბრობენ ასევე რუსულ, უკრაინულ, ინგლისურ, ფინურსა და გერმანულ ენებზე. იქ მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფთაგან ყველაზე ბევრი რუსია რუსები – 25%, მას მოსდევს უკრაინელები – 1,8% და ბელორუსები – 0.9%.

თუ გადავხედავთ ისტორიას, ქვეყნის დამპყრობლები ძირითადად იყვნენ: გერმანელები და დანიელები, XVI-XVII საუკუნეებში – შვედები, XVIII-XIX საუკუნეებში – რუსები. შესაბამისად, ამ ენების ზეგავლენაც გარადაუვალი იყო.

შუა საუკუნეებში ადგილობრივი ხელისუფლება ბალტიისპირულ გერმანულს იყენებდა. სამღვდლოება საღვთო ლიტურგიას ლათინურ ენაზე ატარებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ესტონური და გერმანიკული ენები სრულიად განსხვავებული წარმოშობისაა, შესაძლებელია მრავალი მსგავსი სიტყვის პოვნა, თუნდაც ინგლისურ-ესტონურ ენებს შორის. სიტყვათა მარაგის დაახლოებით 1/3 ესტონურმა გერმანიკული ენებიდან შეითვისა.

გამოყოფენ ესტონური ენის ორ დიალექტურ ჯგუფს – ჩრდილოურსა და სამხრეთულს. ჩრდილოურის ჯგუფი დაედო საფუძვლად ოფიციალურ ესტონურ ენას. სამხრეთულში ერთიანდება ტარტუს (Tartu), მულგის (Mulgi), ვოროსა (Varu, Voro) და სეტოს (Setu, Seto) დიალექტები, რომლებიც ზოგჯერ ცალკეულ ენებადაც მოიაზრება.

2010 წლიდან დიალექტებზე შექმნილი სატელევიზიო თუ რადიოგადაცემების დრო გაიზარდა. ასევე იმატა პუბლიკაციების რაოდენობამ.

დაგეგმილია გარკვეული ღონისძიებების გატარება ესტონური ენის დიალექტების განსავითარებლად ([https://en.wikipedia.org/wiki/Estonian\\_language](https://en.wikipedia.org/wiki/Estonian_language)).

ესტონური ენა სახელმწიფო ენად დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1919 წელს, გამოცხადდა. დამოუკიდებლობა საბჭოთა ოკუპაციამდე, 1940 წლამდე, გაგრძელდა. ოკუპაციამ მნიშვნელოვანი

საფრთხე შეუქმნა როგორც მოსახლეობას, ისე ენას. 180 000 ადამიანი დახოცეს, 20 000-ამდე გადაასახლეს, 75 000 დააპატიმრეს (Rannut, 2004: 3). ეთნიკური უმცირესობები, რომლებიც ესტონეთში მანამდე საკმაოდ დიდი კულტურული ავტონომიით სარგებლობდნენ, ძალიან შეავიწროვეს. დაუხურეს სკოლები, ჟურნალ-გაზეთები (Rannut, 2004: 2).

1946 წლისათვის ომში დაღუპვის, დაპატიმრების, სიკვდილით დასჯისა თუ ქვეყნიდან გაძევების შედეგად მოსახლეობა 1/5-ამდე შემცირდა. ამას თან დაერთო ეთნიკური ჯგუფების ქვეყნიდან წასვლაც. ესტონელები კი სამსახურის შესანარჩუნებლად იძულებული გახდნენ, ესწავლათ რუსული, რომელიც იმ დროს განათლების სფეროში მეორე ენად (და არა უცხო ენად) გამოცხადდა. ახალჩამოსულთათვის ესტონური ენის ცოდნა სავალდებულო აღარ იყო. ამგვარად დაედო საფუძველი რუსიფიკაციის ენობრივ პოლიტიკას (Rannut, 2004: 2).

### **საბჭოთა ენობრივი პოლიტიკა გულისხმობდა:**

1. მხოლოდ რუსული ენის გამოყენების უფლებას ადგილობრივი რუსებისთვის;

2. სხვა ეთნიკური ჯგუფებისთვის ორი ენის დაუფლების ხელშეწყობას, თუმცა აუცილებელი იყო რუსულენოვანი დარგების გაფართოება;

3. „მესამე ერების“ ასიმილაციას რუსებთან (მესამე ერად მოიაზრებოდა ყველა, ვინც ეთნიკურად რუსი ან ესტონელი არ იყო) (Rannut, 2004: 4).

სწორედ „მესამე ერების“ ასიმილაცია გახლდათ რუსულენოვანი გარემოს ჩამოყალიბების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი.

რუსების გარდა, სხვა ეთნიკურ უმცირესობებს არ ჰქონდათ არანაირი შესაძლებლობა შეენარჩუნებინათ თავიანთი ენა და კულტურა. საგრძნობლად გაიზარდა რუსულენოვანი საშუალო სკოლებისა და სასწავლო დაწესებულებების რაოდენობა.

ცალკეულ სფეროებში ესტონური რუსულმა ჩაანაცვლა, მაგალითად, საბანკო საქმე, საბჭოთა მილიცია (პოლიცია), რკინიგზა, სამთო მრეწველობა და სხვა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საქმიანობა და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია უცხო, ახალი იყო ესტონეთისთვის. მაგ., Gosplan (გოსპლანი – სახელმწიფო გეგმა, დაგეგმვის კომიტეტი) და KGB (კაგებე) (Rannut, 2004: 3).

ცხადია, ესტონური ენის განდევნამ, მისი ფუნქციების შესუსტებამ, რუსული ენის განვითარებასა და მისი სტატუსის ამაღლებას ხე-

ლი შეუწყო. ქარხნებსა თუ ოფისებში, სასწავლო დაწესებულებებსა და მომსახურების სფეროებში რუსული ერთადერთ სავალდებულო ენად იქცა. შედეგად, რუსულენოვანი გარემო ჩამოყალიბდა.

1988 წლიდან ესტონურ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. უდიდესი წვლილი ამაში ახალმა ენობრივმა პოლიტიკამ შეიტანა, რომელიც სრულებით განსხვავდებოდა წინა პოლიტიკისგან. თუმცა მისი განხორციელება საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ფაქტობრივად, ორი, ესტონურად და რუსულად მოლაპარაკე ჯგუფის არსებობამ პრობლემები გაართულა. ორივე მათგანი თავს უმრავლესობად მიიჩნევდა და მკვეთრად განსხვავებული მიდგომები და შეხედულებები ჰქონდა ძირითად სადავო საკითხებზე (Rannut, 2004: 4).

ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლება შესუსტდა. ესტონელებმა მოახერხეს, წამოეწიათ ესტონეთის სუვერენიტეტის აღდგენის საკითხი და ესტონური და სხვა შევიწროვებული ეთნიკური ჯგუფების ენისა და კულტურის არსებობის უფლება აღედგინათ. მოღვაწეობის ის სფეროები, რომელთაც რეორგანიზაცია შეეხო (საბანკო საქმე, უძრავი ქონება), ან ხელახლა აღდგა (ესტონური არმია), ან მაღალშემოსავლიანი გახლდათ, კვლავ ესტონურენოვნად იქცა. ხოლო დანარჩენი, ყოფილი საბჭოთა კავშირის დაქვემდებარებაში მყოფი ქარხნები და საწარმოები, რომლებიც უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, განაგრძობდა რუსულ ენაზე მუშაობას.

1988 წელს მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომლითაც განისაზღვრა ქვეყნის სუვერენიტეტი. ამავე წლის 6 დეკემბერს კი უმაღლესმა საბჭომ ესტონური სახელმწიფო ენად გამოაცხადა. გადაიდგა ნაბიჯები ესტონური ენის სათანადო სტატუსის აღსადგენად. 1990 წლის აგვისტოში ესტონეთის მთავრობამ გადაწყვიტა, გაეუქმებინა ყველა კანონი, რომელიც ესტონური ენის გამოყენებას საფრთხეს უქმნიდა, ახდენდა მის დისკრიმინაციას. მთავრობამ განიზრახა ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევდა ენის კანონის განხორციელებას. 1990 წლის 23 ნოემბერს დაარსდა ენის საბჭო. ის გახლდათ ძირითადი ორგანო, რომელიც ენის დაგეგმვას, მის გამოყენებას ზედამხედველობდა, ხელს უწყობდა და აწესრიგებდა უმცირესობათა ენების გამოყენების საკითხს. ენის საბჭოს მუშაობა ეფუძნებოდა კონსტიტუციას, ენის კანონს, კანონს განათლებისა და კულტურული ავტონომიის შესახებ. რა თქმა უნდა, საბჭოს მუშაობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით განისაზღვრებოდა. აღსანიშნა-

ვია, რომ ენის საბჭოს უმთავრესი ფუნქცია ენის პოლიტიკისა და მისი დაგეგმისთვის აუცილებელი სტრატეგიის შემუშავება გახლდათ. მასში იგულისხმება ენის კანონის, ენის სწავლების მეთოდების, ნორმატიული, ტერმინოლოგიური და ონომასტიკური მუშაობის, ასევე სოციოლინგვისტიკური სწავლების მოწესრიგება-ზედამხედველობა (Rannut, 2004: 5).

1989 წელს ესტონეთის სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო „კანონი ენის შესახებ“, რომელიც ესტონურს ერთადერთ ოფიციალურ ენად აღიარებდა. მიუხედავად ამისა, მთავარი პრინციპი, რომელსაც იგი ეფუძნებოდა, ესტონურ-რუსული ორენოვნება გახლდათ. ამ პრინციპით კონკრეტულ თანამდებობაზე მყოფ პირებს ევალებოდათ ესტონურისა და რუსულის ცოდნა (ხშირ შემთხვევაში 800 სიტყვის ცოდნა საკმარისი იყო). აღნიშნული კანონი დაედო საფუძვლად ენის საბჭოს საქმიანობას, რომელიც 1990 წელს დაარსდა (Rannut, 2004: 5).

ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენდა რუსულენოვან სფეროთა ზრდა, რასაც დემოგრაფიული ცვლილებები, ზოგიერთ რეგიონში ესტონური ენის დაბალი სტატუსი და არაინტეგრირებული სწავლება განაპირობებდა.

კანონები ენის შესახებ შემდეგი პრინციპით მოქმედებდა:

1. **ორენოვნების პრინციპი სახელმწიფო ორგანოებსა და მომსახურების სფეროებში** ცალკეულ ადამიანს ანიჭებდა უფლებას, თავად აერჩია საურთიერთო ენა.
2. **ენა, როგორც ეროვნულობის მნიშვნელოვანი ნაწილი და სახელმწიფოებრივი არსებობის დასტური, ხელშეუხებელი იყო.** კანონმდებლობით რომელიმე ეთნიკური ჯგუფისთვის რაიმე ნიშნით უპირატესობის მინიჭება დაუშვებელი გახლდათ. თუმცა მათთვის, ვინც სხვა ენაზე საუბრობდა, დადგენილი იყო გარკვეული მოთხოვნები ენასთან მიმართებით.
3. **ენის კანონის პროპაგანდული ეფექტი მისი განხორციელების ნაცვლად.** კანონის რამდენიმე მუხლს არ ჰქონდა იურიდიული ძალა ან მათი განხორციელება დემოკრატიული სახელმწიფოს ჩარჩოებს სცდებოდა. რა თქმა უნდა, ეს იყო ნიშანი, რომ აღებული გეზი შეეცვალათ. გადაწყდა ენის კანონების შემუშავება. ენის საბჭო 1990 წელს დაარსდა.
4. **ენის ახალი პოლიტიკის თვალსაჩინო ნიშნები.** საჭირო გახდა ენის გარკვეულ სფეროებში ცვლილებების განხორციე-

ლება. ეს ეხებოდა ენობრივი მოთხოვნებს დასაქმებისთვის და ორენოვან აბრებს.

ენის კანონის მიღებამ ძალაუფლების ხელახლა გადანაწილება და ესტონეთში ახალი, ესტონური ელიტის ჩამოყალიბება განაპირობა. ოზოლინის აზრით, ესტონეთმა დამოუკიდებლობიდან მოკლე ხანში შეძლო რეალურად გაეაზრებინა ენის პოლიტიკის მიზნები (Rannut, 2004: 6).

ამჟამად ესტონეთში ენობრივ და ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის მიზნით ორენოვნება დაშვებულია მხოლოდ ორ შემთხვევაში. პირველი ადგილმდებარეობით განისაზღვრება და კონსტიტუციის 51(2)-ე და 52(2)-ე მუხლებს ეფუძნება. კანონით იმ ადგილებში, სადაც ეთნიკურ უმცირესობას მუდმივ მაცხოვრებელთა ნახევარი წარმოადგენს, ყველა ადამიანს უფლება აქვს საკუთარ ენაზე დაამყაროს ურთიერთობა, როგორც მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, ისე ოფიციალურ პირებთან. შესაბამისად, კანონი უფლებას აძლევს თვითმმართველობის წარმომადგენლებს, შიდა ურთიერთობის დროს მუდმივ მაცხოვრებელთა უმრავლესობის ენა გამოიყენონ (Rannut, 2004: 8).

საკონსულოს უფლება შიდა ურთიერთობებში, ესტონურის გარდა, სხვა ენა გამოიყენებინათ, პირველად 1995 წელს ნარვასა და სილამიამში განახორციელეს. მაშინ მთავრობამ ორი მიზეზით თქვა უარი ამ შემოთავაზებაზე: პირველ რიგში, მიუხედავდ იმისა, რომ ნარვა და სილამაე რუსული წარმომავლობის ქალაქებია, რუსები ვერ ქმნიან კულტურული ავტონომიის შესახებ კანონით გათვალისწინებულ უმცირესობას. მეორე მხრივ, დამატებითი ენის გამოყენების პირობა, რომ საკონსულოს წევრებს ესტონურ ენაზე საქმის წარმოება უნდა შეძლებოდათ, ვერ შესრულდა (სამუშაო უმეტესად რუსულ ენაზე ასრულებდნენ). შესაბამისად, მთავრობამ აღარ მიიჩნია საჭიროდ, გადაწყვეტილება შემოთავაზების სასარგებლოდ მიეღო (Rannut, 2004: 8).

მეორე შემთხვევა კულტურულ ავტონომიას უკავშირდება. კონსტიტუციის 50-ე მუხლით ეთნიკურ უმცირესობებს ენიჭებათ „უფლება, თავიანთი ეროვნული კულტურის ინტერესების გათვალისწინებით დაარსონ თვითმმართველი დაწესებულებები ეროვნული უმცირესობების კულტურული ავტონომიის შესახებ კანონით გათვალისწინებული პირობებისა და პროცედურების შესაბამისად“ (Rannut, 2004: 8).

ესტონეთის პარლამენტმა 1993 წელს მიიღო კანონი „ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული ავტონომიის შესახებ“. ეროვნულ უმ-



ცირესობათა კულტურული ავტონომია შეიძლება შექმნან გერმანელებმა, რუსებმა, შვედებმა და ებრაელებმა, ასევე იმ ეთნიკურმა ჯგუფებმა, რომლებიც 3 000-ზე მეტი წევრისგან შედგება და ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები არიან. ეროვნულ უმცირესობათა უფლებები:

1. შექმნან ან მხარი დაუჭირონ კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებების, რელიგიური კავშირების შექმნას;
2. ეთნიკური ორგანიზაციების შექმნა;
3. კულტურული ტრადიციებისა და რელიგიური ადათ-წესების დაცვა, თუ ეს საფრთხეს არ უქმნის საზოგადო წესრიგსა და ვინმეს ჯანმრთელობას, არ ეწინააღმდეგება მორალს;
4. თავიანთი მშობლიური ენის გამოყენებას კანონით დადგენილ საზღვრებში;
5. ეროვნულ უმცირესობათა ენაზე წიგნების გამოცემა;
6. ხელშეკრულების დადება ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის შესახებ;
7. მშობლიურ ენაზე ინფორმაციის გავრცელება და გაცვლა (Rannut, 2004: 8).

ამდენად, კანონი ესტონეთის მოქალაქეებს, რომლებიც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები არიან, ანიჭებს თავიანთი კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბების უფლებას, ასევე უფლებას გამოიყენონ თავიანთი ენა როგორც პირად, ისე ოფიციალურ ურთიერთობებში ენის კანონის შესაბამისად.

დღესდღეობით რუსულენოვანი საზოგადოებისთვის ესტონური ენის შესწავლის შესაძლებლობა საკმაოდ გაზრდილია. მშობლები ცდილობენ, თავიანთ შვილებს ორივე ენა შეასწავლონ, თუმცა, რასაკვირველია, სურთ, თავიანთი კულტურული თვითმყოფადობა შეინარჩუნონ. რეალურად სკოლადამთავრებულთა უმრავლესობა არ ფლობს ესტონურ ენას იმ დონეზე, რომ უმაღლესში სწავლა ან მუშაობა გააგრძელოს (Rannaut 2004).

### სკოლამდელი აღზრდა

1995 წელს დაიწყო ესტონურის, როგორც მეორე ენის, შესწავლა 5-6 წლის ასაკის ბავშვებთან რუსულენოვან ბაგა-ბაღებში. 2000 წელს ესტონური ენის სწავლება ბაგა-ბაღისა და პირველი კლასის მოსწავლეებისთვის სავალდებულო გახდა (Rannut, 2004: 12).

„სკოლამდელი დაწესებულებების შესახებ კანონით“ სწავლება საბავშვო დაწესებულებებში ესტონურ ენაზე მიმდინარეობს. 2009 წლიდან ესტონურის სწავლება არაესტონურენოვან ბავშვებშიც სავალდებულო გახდა (DPEL 2011-2017: 17).

### სკოლები

განათლებას, როგორც ენის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ წინა პირობას, უდიდესი ყურადღება ექცევა. კონსტიტუციით განსაზღვრული ესტონურენოვანი გარემოს შექმნა ესტონური ენის ცოდნას ითვალისწინებს.

ამ მხრივ საყურადღებოა არაესტონელ მოსწავლეთა დიდი რაოდენობა. 1990 წლისთვის რუსულენოვანი მოსწავლეების რაოდენობა 37%-ს შეადგენდა. 1993 წელს სკოლათა 17% რუსულ ენას სწავლების ენად იყენებდა. 2003\2004 წლებში ფუნქციონირებდა 87 რუსული და 25 შერეულენოვანი სკოლა. ყოველ წელს რუსულენოვან მოსწავლეთა რაოდენობა 4-5 % -ით იკლებს.

ეროვნული პროგრამის მიხედვით, არაესტონურენოვანი მოსწავლეებისთვის სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობს. 1996 წლიდან ესტონური პირველივე კლასიდან ისწავლება, ხოლო ზოგიერთ რუსულენოვან სკოლაში ესტონურად ისწავლებოდა რამდენიმე საგანი (ისტორია, გეოგრაფია) (Rannut, 2004: 13).

აღსანიშნავია, რომ 1990 წლიდან 2013 წლამდე ესტონურენოვან სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობამ 68%-იდან 83%-ამდე იმატა.

რაც შეეხება პროფესიულ სკოლებს, სწავლება რუსულ ენაზეც შესაძლებელია. პროფესიული სკოლების რაოდენობა 2008-2009 წლებში 45-ს შეადგენდა. აქედან 26 სკოლაში სწავლების ენა ესტონური იყო, ხოლო ხუთ კერძო და ერთ სახელმწიფო სასწავლებელში – რუსული. 2014 წლიდან რუსულენოვანი სკოლების ესტონურენოვან სწავლებაზე გადასვლა დაიწყო, რადგან რუსულენოვანი პროფესიული სკოლის მოწაფეები ესტონურენოვან გარემოში მუშაობას ვერ ახერხებდნენ (DPEL 2011-2017:49-50).

„უნივერსიტეტების შესახებ კანონით“ სწავლების ენა უნივერსიტეტებში ესტონურია. სხვა ენების სწავლების საკითხს უნივერსიტეტის საბჭო წყვეტს.

ხშირად საუბრობენ ინგლისური ენის უარყოფით ზეგავლენაზეც, როგორც მთავარ პრობლემაზე ენის განვითარების თვალსაზრით

სით. უნივერსიტეტებში ინგლისურ ენაზე ტარდება სალექციო კურსები, კომპანიები შიდა ურთიერთობებისთვის ინგლისურს იყენებენ.

პირველი ინგლისური ნასესხები სიტყვები XIX საუკუნით თარიღდება. მაგალითისთვის, **lord**, **porter** და **farmer** XIX საუკუნის ბოლოს დამკვიდრდა ესტონურში. ნასესხები სიტყვების ყველაზე დიდი მარაგი სოფლის მეურნეობის დარგში იყო. ინგლისური ენისა და კულტურის გავლენა ძალიან ძლიერი გახლდათ ესტონეთის დამოუკიდებლობის პირველ პერიოდში (1918-1940 წლებში). ამ დროს გამოიცა პირველი ინგლისურ-ესტონური ლექსიკონები, ითარგმნა წიგნები, ინგლისურენოვან ხალხთან ურთიერთობამ იმატა. უამრავი ნასესხები სიტყვა დაგროვდა, რომელთაგან ზოგიერთმა ინგლისური გამოთქმაც შეინარჩუნა.

1940-იანი წლებიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ესტონური რუსულის ზეგავლენის ქვეშ მოექცა. დამოუკიდებლობის ხელახლა აღდგენიდან, 1991 წლის შემდეგ, სხვა ერებთან ურთიერთობა გახშირდა. საზოგადოებაში მომხდარმა ცვლილებებმა ლექსიკაზეც იქონია გავლენა. ესტონურში მკვიდრდება ინგლისური სიტყვები. მაგალითისთვის, **happy hour**, **handsfree**, **disain**, **pub**, **good**, **shopping**, **pop singer** და სხვა.

ანგლიციზმები განსაკუთრებით გაზეთებში იკიდებს ფეხს. ჟურნალ-გაზეთებში ყველაზე კარგად აისახება, თუ როგორ ვითარდება ახალი ლექსიკური ტენდენციები. რეკლამებში ხშირად შეხვდებით ახალ სიტყვებს. ერთი მხრივ, ამის მიზეზი პოტენციური კლიენტის მიზიდვაა, თუმცა, მეორე მხრივ, შეიძლება დავასახელოთ ესტონურენოვანი ტერმინების არარსებობაც. საინტერესო იქნება იმის აღნიშვნაც, რომ ენის კანონის თანახმად, სარეკლამო განცხადებები ესტონურ ენაზე უნდა იყოს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური რეკლამა ესტონურ ენაზე უნდა შესრულდეს, თუმცა შესაძლოა ახლდეს თარგმანი უცხო ენაზე. სარეკლამო აბრებზე ტექსტი ესტონურ ენაზე მთავარ ადგილას უნდა განთავსდეს და ჩანდეს გამოკვეთილად, ვიდრე ტექსტი უცხოურ ენაზე (Nordquist, 2009: 55-57, 59).

დღეს ესტონეთი უამრავი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყანაა და, რასაკვირველია, ენების გავლენას განიცდის. სწორედ ამიტომ, ენის განვითარებისა და მისი დაცვის მიზნით ქვეყანაში მოქმედებს „2011-2017 წლების ენის განვითარების გეგმა“.

ესტონური ენის განვითარების სტრატეგიული გეგმა 1998 წელს შემუშავდა. 2004 წელს კი მთავრობამ მიიღო „2004-2010 წლების ესტო-

ნური ენის განვითარების სტრატეგია“ (Development Strategy of the Estonian Language 2004-2010, DSEL). აღნიშნული დოკუმენტი საერთაშორისო მნიშვნელობისაა. მისი სტრატეგია სწორედ ენის ინსტიტუტების საერთაშორისო ქსელში ჩაბმასა და სხვადასხვა ქვეყანაში კვლევით ინსტიტუტებსა და სპეციალისტებთან თანამშრომლობას მოიაზრებს. იგი ითარგმნა ინგლისურ, ფინურ, რუსულ, უნგრულ ენებზე (DPEL 2011-2017: 7).

სტრატეგიის განხორციელებას განათლებისა და კვლევის სამინისტრო ხელმძღვანელობს. ესტონური ენის საბჭო კი ენობრივ სიტუაციას ზედამხედველობს და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ სტრატეგიის მუშაობას აფასებს.

„2011-2017 წლების ენის განვითარების გეგმა“ ძირითადი სტრატეგიული დოკუმენტია, რომელიც ესტონური ენის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნციონირებას უზრუნველყოფს ყველა სფეროში, ასევე მის სწავლებას, კვლევას, განვითარებასა და დაცვას. აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად თანხებს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლება, უნივერსიტეტები და კვლევითი ინსტიტუტები, სხვადასხვა ფონდი და ორგანიზაცია, სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულება გამოყოფს (DPEL 2011-2017: 8).

ენის განვითარების გეგმის შედგენა განათლებისა და კვლევის სამინისტროს ევალება, რომელიც ენის საბჭოსთან თანამშრომლობს.

გეგმა ორი სახის ამოცანას ისახავს მიზნად: ესტონური ენის არსებული დონის დაცვასა და კონკრეტული, ერთჯერადი მიზნების განხორციელებას.

ესტონური ენის განვითარების სტრატეგია ხორციელდება რამდენიმე ეროვნული პროგრამის მხარდაჭერით:

1. ესტონური ენა და ეროვნული მეხსიერება (2009-2013) – იგულისხმება ენის დაგეგმვა და დარგობრივი ენის განვითარება, ესტონურენოვანი ლექსიკონების, ენათმეცნიერული მიდგომების შემუშავება, დახვეწა;
2. ესტონური ენის ტექნიკური მხარდაჭერა (2011-2017);
3. სამხრეთ ესტონური ენა და კულტურა (2000-2004) – განვითარება, კვლევა, სწავლა და მედიასა და კულტურის სფეროებში ესტონური ენის სამხრეთ ესტონური სახესხვაობის გამოყენება;
4. ესტონური ენისა და კულტურის სწავლების პროგრამა უცხოეთში (2011-2017) – იგულისხმება ესტონური ენისა და

კულტურის სწავლების პროგრამა იმ ევროპულ უნივერსიტეტებში, რომლებიც მეტ ყურადღებას იჩენენ ესტონეთის მიმართ;

5. თანამემამულეთა პროგრამა – პროგრამა ხელს უწყობს ქვეყნის გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს, გამოიყენონ თავიანთი ენა, აგრეთვე ესტონურ სკოლებსა და ენის კურსებზე ენის წარმატებით სწავლებას (DPEL 2011-2017: 14).

„2011-2017 წლებში ენის განვითარების სტრატეგიაში“ დიდი ყურადღება ეთმობა **ენის მართვას**.

**ენის მართვა** გულისხმობს სტანდარტული ენის განვითარებას, გამდიდრებას, განმტკიცებასა და განახლება-გაუმჯობესებას. მისი მთავარი ამოცანაა საზოგადოების უზრუნველყოფა ენობრივი რესურსებით – ლექსიკონებით, სახელმძღვანელოებით, მონაცემთა ბაზებით.

ენის მართვა ეფუძნება მართვის თანამედროვე თეორიასა და ესტონური კვლევების უახლეს შედეგებს. იგი შედგება: **ზოგადი ენის, დარგობრივი ენისა (ტერმინოლოგიური) და სახელებისა და სახელწოდებების მართვისაგან** (DPEL 2011-2017: 20).

### **ზოგადი ენის მართვა**

სტანდარტული ესტონური ენა მდიდარი და მტკიცეა. მიუხედავად ამისა, ის მუდმივად უნდა ვითარდებოდეს, რათა უპასუხოს მუდმივად ცვალებადი საზოგადოების მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ სტანდარტულთან ერთად თავი იჩინა გარკვეული დარგებისა და ინტერესთა ჯგუფების როგორც წერილობითმა, ისე ზეპირმა ენამ. ყოველივე ამან სტანდარტული ენის როლი ბუნდოვანი გახადა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადმინისტრაციულ ენას, სკოლებში ენის სწავლების საკითხს, საზოგადო საინფორმაციო ენასა და ესტონურს, რომელიც ევროკავშირის დოკუმენტებში გამოიყენება (DPEL 2011-2017: 21).

### **სახელთა და სახელწოდებათა მართვა**

კანონები, რომლებიც აწესრიგებს სახელთა (პიროვნების, ადგილისა და ბიზნესსახელწოდებათა) ხმარების, გამოყენების საკითხს, უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენის მართვაში, ვიდრე სხვა

სფეროები. ესტონეთს აქვს „კანონი ადგილის სახელწოდებათა შესახებ“ (1997, 2004), „კანონი სახელების შესახებ“ (2004), „კომერციული კოდექსი“ (1995), „კანონი ოჯახის შესახებ“, რომელიც პიროვნებათა სახელებსა და გვარებს აწესრიგებს (1994), „კანონი ბიზნესის შესახებ“ (1995), ეხება ბიზნესსახელწოდებათა საკითხებს და სხვა.

სახელებისა და ბიზნესის სახელწოდებათა საკითხებში განსაკუთრებით საყურადღებოა უცხო ენის გავლენა. ხშირად საკითხს ართულებს საგანთა საყოველთაოდ მიღებული და მშობლიურ ენაზე არსებულ სახელწოდებათა შეუსაბამობა. ამდენად, ვერ ხერხდება უცხო ენის გავლენისგან თავის დაღწევა და, შესაბამისად, ზოგადი ენის წესების დაცვა (DPEL 2011-2017: 24).

### **სახელთა და სახელწოდებათა მართვით განისაზღვრება:**

1. სახელთა და ადგილის სახელწოდებათა შესახებ კანონების საზოგადოებაზე ზეგავლენის შემოწმება. საჭიროების შემთხვევაში კანონის შეცვლა და გასწორება;
2. კომერციულ კოდექსში შესწორებების შეტანა იმ პუნქტების მიხედვით, რომლებიც აწესრიგებს ბიზნესსახელწოდებათა საკითხებს;
3. სახელთა მართვის შესახებ ცნობარების, სახელმძღვანელოების შედგენა და ამგვარად საზოგადოებისთვის სახელთა და სახელწოდებათა მართვის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
4. მონაცემთა ბაზების შექმნა, რომლებიც სახელთა და სახელწოდებათა სწორად გამოყენებას უზრუნველყოფს (იგულისხმება ადგილთა სახელწოდებების, ადამიანთა სახელების მონაცემთა ბაზების შექმნა, სახელთა სწორად წარმოთქმა და სხვა), ასევე დამხმარე სახელმძღვანელოების შედგენა (მაგალითად, ადგილთა სახელების შესახებ), რაც ხელს შეუწყობს არსებულ სახელთა შეკრებასა და განახლება - შესწორებას;
5. აღნიშნულ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაგრძელება;

2011-2017 წლებისთვის დაფინანსებისთვის წინასწარ გათვლილი თანხა შეადგენს 3,003,847 ევროს(DPEL 2011-2017: 27).

### ტერმინოლოგიური მართვა

პროფესიული ურთიერთობები თავისთავად ითხოვს ტერმინოლოგიის გაფართოებასა და მოწესრიგებას, რომელსაც, სულ მცირე, ასწლიანი ისტორია აქვს.

ტერმინოლოგიურ საკითხებზე ტერმინოლოგიური კომიტეტები პროფესიონალებთან და ენის სპეციალისტებთან ერთად მუშაობენ. ისინი ძირითადად ინსტიტუტებსა თუ ორგანიზაციებთან თანამშრომლობენ.

ესტონეთში ხორციელდებოდა ეროვნული პროგრამა „2008-2012 წლებში ესტონური ტერმინოლოგიის მხარდაჭერისთვის“. მასში განსაზღვრული გახლდათ ტერმინოლოგიური კომიტეტების დაფინანსების, ტერმინოლოგიური ლექსიკონების, ტერმინოლოგთა გადამზადების, სწავლების, ტერმინოლოგიით დაინტერესებულ პირთა ხელშეწყობის საკითხები. ტერმინოლოგიურ პრობლემებს ერთ-ერთი ძირითადი ადგილი ეკავა პროგრამაში „2008-2012 წლებში უმაღლესი სასწავლებლებისთვის ესტონურ ენაზე სახელმძღვანელოების შედგენა და გამოცემა“.

ტერმინოლოგიური მართვის მიზანია თანამედროვე დარგობრივი ენისა და ტერმინოლოგიის შექმნა, რომელიც, შეძლებისდაგვარად, ერთნაირად მოიცავს სხვადასხვა დარგს (DPEL 2011-2017: 22-23).

### ტერმინოლოგიური მართვა გულისხმობს:

1. სამეცნიერო დარგების, ტექნოლოგიისა და ეკონომიკის, ასევე ინტერესთა იმ სფეროების ტერმინოლოგიის განვითარებას, რომლებიც მნიშვნელოვანია ესტონეთისთვის; აგრეთვე სახელმწიფოს ყველა დაწესებულების ჩართვას ამ საკითხში;

2. ტერმინოლოგიური მუშაობის განსხვავებული ფორმების მხარდაჭერას მთელი ქვეყნის მასშტაბით (ტერმინოლოგიური კომიტეტებისა და ტერმინოლოგიური სტიპენდიების, ტერმინოლოგიური ლექსიკონებისა და ტერმინთა ბაზების შედგენა და სხვა);

3. 2013-2017 წლებში ეროვნული პროგრამის შედგენას ესტონური ენის ტერმინოლოგიის განვითარებისა და მხარდაჭერისთვის;

4. ტერმინოლოგიის შესახებ ინფორმაციის ფართო გავრცელებას (ტერმინთა ბაზებსა თუ სხვა წყაროებზე საზოგადო წვდომა, ტერმი-

ნოლოგიურ მონაცემთა ბაზებსა და ლექსიკონებზე ინფორმაციის მიწოდება) და ესტონურენოვანი ტერმინოლოგიის გამოყენებას;

5. ტერმინოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით ტრენინგების გამართვას სპეციალისტებისა და ფილოლოგებისათვის და ამგვარად ტერმინოლოგიური პრინციპების შესწავლასა და განვითარებას;

6. სხვადასხვა ტერმინოლოგიურ დაწესებულებასთან თანამშრომლობის გაღრმავებას, განსაკუთრებით, ესტონური ტერმინოლოგიური ორგანოების თანამშრომლობას გაეროში მომუშავე ოფიციალურ პირებთან და ამგვარად ტრენინგების მეშვეობით ზოგადი და დარგობრივი ენის შესახებ ზოგადი ცოდნის ამაღლებას;

7. საერთაშორისო ტერმინოლოგიურ თანამშრომლობასა და კვლევას;

8. ტერმინოლოგიის განვითარების ხელშეწყობას ევროკავშირის დონეზე იმ ენებში, რომლებიც ნაკლებად გამოიყენება (DPEL 2011-2017: 26).

დღეს ტერმინოლოგიურ მუშაობაში განათლებისა და კვლევის სამინისტრო, ესტონეთის ენის ინსტიტუტი, ტერმინოლოგიური კომიტეტებია ჩართული. ხორციელდება ტერმინოლოგიური პროგრამა „Eestikeelse terminoloogia programm 2013–2017“ („ესტონური ტერმინოლოგიის მხარდაჭერა“ (<http://terminoloogia.ee/>), რომელიც ტერმინოლოგიური მუშაობის მიზნებს განსაზღვრავს.

ესტონეთის ენის ინსტიტუტი (Institute of the Estonian Language - EKI) (<http://en.eki.ee/index.php>) – საბჭოთა კავშირის პერიოდიდან დღემდე ტერმინოლოგიური მუშაობის დაგეგმვაში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს.

ინსტიტუტის ტერმინოლოგიური ცენტრი ტერმინთა ორ უდიდეს ბაზას აერთიანებს: ESTERM-სა (<http://termin.eki.ee/esterm/>) და MILITERM-ს (<http://termin.eki.ee/militerm/>). ESTERM-ის მონაცემთა ბაზა ერთ-ერთი უდიდესია. მას ჯერ ესტონეთის სამართლებრივი ენის ცენტრი (ELLC) მართავდა.

სამართლებრივი ენის ცენტრი (Estonian Legal Language Centre - ELLC) 1995 წელს კანადაში ესტონელმა ემიგრანტებმა დაარსეს. თავდაპირველად მისი მიზანი ისეთი დაწესებულების შექმნა გახლდათ, რომელიც ესტონური სამართლებრივი დოკუმენტების ინგლისურად თარგმნას სრულყოფილად შეძლებდა. ტერმინოლოგიური მუშაობა დაარსებისთანავე დაიწყო (Tamm, 2003). (<http://termini.lza.lv/article.php?id=152>) ცენტრმა 2006 წლამდე იმუშავა.



დღეს ESTERM-ის მონაცემთა ბაზაში 50 000-ამდე ტერმინია თავმოყრილი და მასზე 800-ამდე დარგის სპეციალისტი მუშაობს. ამასთან ერთად, რამდენიმე ტერმინოლოგიური პროექტიც ხორციელდება (მაგ., NATO და სამხედრო ტერმინები, EUROVOG) და მონაცემთა ბაზების ონლაინვერსიებიც გამოიცა.

ინსტიტუტმა ასევე შექმნა უფასო პროგრამა მონაცემთა ბაზისთვის (TERMEKI), რომელსაც უახლოეს მომავალში ყველა ტერმინოლოგიურ კომიტეტს წარუდგენენ.

ამჟამად ესტონეთში დაახლოებით 60-ამდე მოქმედი ტერმინოლოგიური კომიტეტია და ყველა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მუშაობს. მათ გადანაწილებული აქვთ სხვადასხვა დარგი, რომლებზეც სპეციალისტებთან და ტერმინოლოგებთან ერთად მუშაობენ.

გამოყოფენ სამხედრო, საზღვაო, ვეტერინარულ და მეცხოველეობის ტერმინოლოგიურ კომიტეტებსა და სხვ. ამჟამად კომიტეტთა უმრავლესობას თავისი საჯარო ტერმინოლოგიური ბაზა აქვს.

ტერმინოლოგიურ საკითხებზე ერთ დროს მუშაობდა ესტონეთის ტერმინოლოგიური ასოციაცია (Estonian Terminology Association - ETER), რომელიც 2001 წელს დაარსდა და აერთიანებდა მთარგმნელებს, დარგის სპეციალისტებს, ტერმინოლოგიით დაინტერესებულ პირებს. მათი მიზანი დარგობრივ ენასა და ტერმინოლოგიაზე მუშაობა, ტერმინთა თავმოყრა გახლდათ. მან ფუნქციონირება 2015 წელს შეწყვიტა.

ტარტუსა და ტალინის უნივერსიტეტებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ტერმინოლოგიური განვითარების საკითხში. მაგალითად, ტარტუს უნივერსიტეტში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე ტერმინოლოგიის სხვადასხვა კურსი იკითხება. კერძოდ, ესტონური ენის დაგეგმარება, საგანგებო კურსი ტერმინოლოგიაში, სახელთა და სახელწოდებათა მართვა, ესტონური ენის განვითარება და დაგეგმვა, ლექსიკოლოგია და ტერმინოლოგია.

ტალინის უნივერსიტეტში დოქტორანტურის სტუდენტებისთვის იკითხება აკადემიური ესტონური ენისა და ტერმინოლოგიის კურსი, მაგისტრანტებისთვის – ტერმინოლოგიის, ხოლო ბაკალავრებისთვის – ლექსიკოლოგიის და ტერმინოლოგიისა.

ინტერნეტსივრცეში ხელმისაწვდომი ტერმინოლოგიური რესურსებია:

- Keeleveeb.edu.ee – პორტალი, რომელიც მოიცავს ლექსიკონებსა და სხვადასხვა ესტონურ ერთ- თუ ორენოვან ლექს-

სიკონთა ონლაინმისამართებს როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული მიზნებისთვის;

- Keelevara.ee – ენათმეცნიერული პორტალი, რომელიც ლექსიკონზე სამუშაოდ მოითხოვს რეგისტრაციას და ფასიანია;
- Eoy.ee – მოცემულია მსოფლიოს ფრინველთა სახელწოდებები;
- loodus.ee/eurolinnud – მოცემულია ფრინველთა სახელწოდებები ევროპის მასშტაბით;
- et.ee/taimenimed – ესტონეთში გავრცელებულ მცენარეთა სახელწოდებები;
- pangaliit.ee/pangandusinfo/sonastik – საბანკო ტერმინოლოგიის ლექსიკონი და სხვა (Towards Consolidation of European Terminology Resources 2006: 44).

ყოველ წელს დაახლოებით 40 ტერმინოლოგიური ლექსიკონი იბეჭდება, ტარდება კონფერენციები და ესტონეთის ეროვნული ბიბლიოთეკის სემინარი ტერმინოლოგიაში.

ესტონეთში დიდ ყურადღებას უთმობენ ენის ტექნიკურად გამართვას. იგულისხმება ენობრივი პროგრამული უზრუნველყოფა ისე, რომ ესტონურმა ენამ თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიურ გარემოში წარმატებით შეძლოს ფუნქციონირება. კომპიუტერული პროგრამების უმეტესობა უკვე ესტონურ ენაზეა მისაწვდომი (Windows XP, Windows Office, Linux, Open Office და სხვა). ესტონური ერთ-ერთია იმ 50 ენას შორის, რომელიც მაღალგანვითარებული ენობრივი ტექნოლოგიით გამოირჩევა (DSPL 2011-2017: 33).

„ახალი კანონი ენის შესახებ 2011 წელს შევიდა ძალაში. მას ენის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები არ შეუცვლია. ესტონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ესტონელი ერის, ენისა და კულტურის დაცვა. სახელმწიფო დონეზე ენის დაცვის კონტროლს ენის ინსპექცია ახორციელებს. იგი ამოწმებს სახელმწიფო მოხელეების, პოლიციელებისა თუ მასწავლებლების ესტონური ენის ცოდნის დონეს. ესტონური ენის შესახებ კანონის დარღვევისას ჯარიმა 200 ევროს შეადგენს, ხოლო გამეორებისას 2600 ევრომდე იზრდება“ („სახელმწიფო ენის შესახებ“, 2014:3-4).

მადლობას ვუბნით ესტონეთის ენის ინსტიტუტსა და ტარტუს უნივერსიტეტს თანამშრომლობისთვის. მათ მოგვაწოდეს ინფორმა-

ცია ტერმინოლოგიის სფეროში თანამედროვე მიდგომებისა და ვითარების შესახებ.

### ლიტერატურა

**Development Plan of the Estonian Language 2011-2017** - Development Plan of the Estonian Language 2011-2017 <http://www.digar.ee/viewer/et/nlib-digar:272452/247242/page/1>

**Estonian Language** - Estonian Language, [https://en.wikipedia.org/wiki/Estonian\\_language](https://en.wikipedia.org/wiki/Estonian_language)

**Hiie Tamm, 2003** - Hiie Tamm, Terminology work in Estonia, <http://termini.lza.lv/article.php?id=152>

**Mart Rannut 2004** – Mart Rannut, Language Policy in Estonia, 2004, <http://www.gencat.cat/llengua/noves/noves/hm04primavera-estiu/docs/rannut.pdf>

**Richard Nordquist, 2009** – Richard Nordquist, Crossing Boundaries: Studies in English Language, Literature, and Culture in a Global Environment; Suliko Liiv, Birgit Laasi, The Nature of Anglicisms in Estonian, 2009 [https://books.google.ge/books?id=CAz-0NEtJQEC&pg=PA56&lpg=PA56&dq=estonian+language+and+influence+of+english&source=bl&ots=uLAOhWDRzo&sig=wd6rjH69r0neX4UyxbRyhK2\\_OE&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwip6L3J0ozPAhWL1xoKHcmtBiAQ6AEINTAE#v=onepage&q=estonian%20language%20and%20influence%20of%20english&f=false](https://books.google.ge/books?id=CAz-0NEtJQEC&pg=PA56&lpg=PA56&dq=estonian+language+and+influence+of+english&source=bl&ots=uLAOhWDRzo&sig=wd6rjH69r0neX4UyxbRyhK2_OE&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwip6L3J0ozPAhWL1xoKHcmtBiAQ6AEINTAE#v=onepage&q=estonian%20language%20and%20influence%20of%20english&f=false)

**Towards Consolidation of European Terminology Resources, 2006** - Towards Consolidation of European Terminology Resources, Chapter 2, Terminology infrastructure and standardization, 2.1.1 Estonia, 2006

კანონპროექტისათვის „სახელმწიფო ენის შესახებ“ (07-3/357, 31.07.14), სახელმწიფო ენის პოლიტიკა საზღვარგარეთის ქვეყნებში, ესტონეთი [www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/28626/axelmwifoena](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/28626/axelmwifoena)

**Ana Khurtsilava**

## **Language Policy of Estonia**

### **Summary**

Estonian was introduced as the official state language in Estonia after gaining sovereignty in 1918. From 1940 the Soviet occupation changed the language policy of the country. Together with the decrease of functional as well as regional areas where the Estonian was used, the rapid rise of the status of Russian took place.

Period from the end of XIX century reflect the biggest changes in the society. A number of measures were taken in order to restore the Estonian language to its rightful status.

The proclamation of Estonian as the official state language and its legalization as such by a corresponding Constitutional amendment, was passed by the Supreme Council on 6 December 1988. The Language Law was passed on 18 January 1989.

Today Estonia is the member of number of international organizations and it itself affects on language.

In order to develop and save language the “Development Plan of the Estonian Language 2011-2017” was adopted. Language management plays one of the most important role in the development plan which includes general language management, specialized language management, and name management.

The new Language Law was passed in 2011. It had not changed the main principles of the law.

The history of Estonian language policy and modern situation will be discussed further in the article.

## ანა ხურცილავა

### საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაცია (მიზნები და ამოცანები)

ენაში უცხოენოვანი სიტყვა-ტერმინების ქაოსური სიჭრელე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მომუშავე ცალკეული ტერმინოლოგიური ჯგუფები, მიზანმიმართული, ზოგჯერ გაუაზრებელი მცდელობა ტერმინების თვითნებურად დამკვიდრებისა მხოლოდ და მხოლოდ ხაზს უსვამს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიც აღმოვჩნდით.

არსებული ვითარების გააზრება-გაანალიზება, ტერმინოლოგიურ პრობლემებსა და მათი გადაწყვეტის გზებზე ფიქრი და მსჯელობა გახლავთ ყოველწლიური სამეცნიერო ტერმინოლოგიის კონფერენციის მიზანიც. სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებთან ერთად ვეცნობით და განვიხილავთ ტერმინოლოგიის მწვავე საკითხებს. ამავედროულად, საზოგადოებას სხვა ქვეყნების ენობრივ პოლიტიკას ვაცნობთ, ვუზიარებთ მათს გამოცდილებას ტერმინოლოგიური მუშაობის პრინციპების შესახებ.

ტერმინოლოგიაზე მუშაობას ევროპის მრავალ ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საფრანგეთის, ესპანეთის, შვედეთის, ესტონეთისა თუ სხვა ქვეყნების ტერმინოლოგიურ ასოციაციებსა და სახელმწიფო ცენტრებში ენის კანონის შესაბამისად მიმდინარეობს ტერმინოლოგიური მუშაობა. გზა, რომელიც ევროპის ქვეყნებმა განვლეს, სამაგალითოა და სწორად გასააზრებელი!

ესტონეთის ენობრივი პოლიტიკის შესახებ მოხსენებაზე მუშაობისას (რომელიც წინა წელს წავიკითხეთ კონფერენციაზე) უშუალო მითითებებს ესტონეთის ენის ინსტიტუტისგან ვიღებდით. მათგან შევიტყვეთ ევროპის ტერმინოლოგიური ასოციაციის შესახებ, რომლის წევრიც უკვე გახლდათ აღნიშნული ინსტიტუტი. პირველად სწორედ მაშინ დავინტერესდით ევროპის ასოციაციით.

ევროპის ტერმინოლოგიური ასოციაცია 1996 წელს დანიაში დაარსდა და 40-ამდე ტერმინოლოგიურ ცენტრსა თუ ენის ინსტიტუტს აერთიანებს, თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მისი მიზანია: „მოამზადოს საფუძველი საერთო ევროპული ტერმინოლოგიური საქმიანობის განვითარებისა და მოწესრიგებისთვის, აამაღ-

ლოს ცნობიერება ტერმინოლოგიური საქმიანობის შესახებ, ხელი შეუწყოს ტერმინოლოგიური სფეროს პროფესიულ დონეზე განვითარებას“ (<http://eافت-aet.net/en/statutes/>).

ასოციაციის დაფუძნება პოინტერის პროექტის (Pointer Project - Proposals for an Operational Infrastructure for Terminology in Europe) ფარგლებში გადაწყდა. პროექტს, როგორც მრავალენოვანი სამოქმედო გეგმის (MLAP, 1994-1995) ნაწილს, ევროკომისია აფინანსებდა და მასში ევროპის მასშტაბით 40-ამდე ტერმინოლოგიური ორგანიზაცია იღებდა მონაწილეობას. მათი მიზანი ერთიანი ევროპული ტერმინოლოგიის შემუშავება გახლდათ: „თანამედროვე სამყაროში ტერმინოლოგიის სწორად გამოყენება უმნიშვნელოვანესია ურთიერთობის სწორად წარმართვისთვის. უამრავი ორგანიზაცია თუ კომპანია არამხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მის საზღვრებს გარეთაც იყენებს და კრებს ტერმინებს, რომელთა უმრავლესობა მოსაწესრიგებელია... იმ “ინფორმაციულ ეპოქაშიც” კი, რომელშიც ვცხოვრობთ, ძალიან ცოტა თუ უდგება საკითხს გონივრულად – კერძოდ, ითანამშრომლონ ერთმანეთთან ამდენად მნიშვნელოვანი, ფასეული მონაცემების დასამუშავებლად“. აქვე ვკითხულობთ: “მეცნიერებისა და ტექნიკის საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლამ, ასევე ახალი ბაზრის გამოჩენამ, დაგვაყენა იმ გამოწვევების წინაშე, რომელთაც ტერმინოლოგებმა მხოლოდ ტერმინთა თავმოყრითა და არსებული მონაცემების გამართვამოწესრიგებით უნდა უპასუხოთ,” – პოინტერის პროექტი (<http://www.computing.surrey.ac.uk/ai/pointer/>).

პროექტის ფარგლებში სხვა მნიშვნელოვან ნაბიჯებთან ერთად დაიგეგმა სხვადასხვა უნივერსიტეტში, კვლევით ინსტიტუტსა თუ კომპანიაში კვლევის ჩატარება, რომლის მიზანს ტერმინოლოგიური მონაცემების გამოყენების, საჭიროებისა და ხელმისაწვდომობის გამორკვევა წარმოადგენდა. განიხილებოდა ასევე მათი გამართვა-მოწესრიგებისა და საავტორო უფლებების საკითხიც. კვლევა რამდენიმე ენაზე ჩატარდა და საკითხის სიღრმისეულად გასააზრებლად მხოლოდ სამ დარგს მოიცავდა.

პროექტის საბოლოო ანგარიშის წარმოდგენისას გადაწყდა, დაარსებულიყო ევროპის ტერმინოლოგიური ასოციაცია, რომელიც “მოამზადებდა საფუძველს საერთო ევროპული ტერმინოლოგიური საქმიანობის განვითარებისა და მოწესრიგებისთვის”. პროექტის პარტნიორები იყვნენ: ავსტრიის, ბელგიის, საფრანგეთის, გერმანიის, სუბერმენეთის, იტალიის, სკანდინავიის, ესპანეთის, შვეიცარიის, ნიდერ-

ლანდებისა და გაერთიანებული სამეფოს საზოგადო და კომერციული ორგანიზაციები ([www.computing.surrey.ac.uk/ai/pointer](http://www.computing.surrey.ac.uk/ai/pointer)).

აღსანიშნავია, რომ თავად ტერმინი **ევროპა** არ მოიაზრებს მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნების გაერთიანებას. ასოციაცია თანამშრომლობს მსოფლიო ორგანიზაციებთან. ამგვარი შეთანხმება უკვე დაიდო EAFT-სა და Infoterm-ს (International Information centre for Terminology – ტერმინოლოგიის საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრი), Realiter-ს (Pan-Latin Terminology network – ლათინურენოვანი ტერმინოლოგიური ქსელი), LTT-ს (Network Lexicologie Terminologie Traduction) და ELRA-ს (European Language Resources Association – ევროპულ ენათა რესურსების ასოციაცია) შორის.

ასოციაცია აქტიურ საქმიანობას ეწევა – ატარებს ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციებს, მაგ., რომანული ენები (ენობრივი) გლობალიზაციის ეპოქაში, 2017, ბუქარესტი (Romanian Language in the (Linguistic) Globalization Era, Bucharest, 2017); კონფერენცია სლავური ტერმინოლოგიის შესახებ, 2017, ვარშავა (Conference on Slavic Terminology, Warsaw, 2017) (<http://eaft-aet.net/en/newsletter/>), ტერმინოლოგიური სემინარი ზაგრებში, 2013 (Terminological Seminar in Zagreb 2013); საერთაშორისო კონფერენცია ბუქარესტში, 2011 (International Conference in Bucharest 2011) და ა.შ. (<http://eaft-aet.net/en/activities/>).

ყოველწლიურად ტარდება გენერალური ასამბლეა, სიმპოზიუმები, სამუშაო შეხვედრები. აქვთ ასევე საზაფხულო სკოლა. 2002 წლიდან დღემდე იმართება ტერმინოლოგიური სამიტები. პირველ ტერმინოლოგიურ სამიტზე, რომელიც ბრიუსელში 2002 წელს ჩატარდა, მიიღეს ბრიუსელის დეკლარაცია. დეკლარაციის მიღების მიზანს ისეთი დოკუმენტის შედგენა წარმოადგენდა, რომელიც ხაზს გაუსვამდა ტერმინოლოგიური მუშაობის მნიშვნელობას საზოგადოებისთვის. მასში განხილულია ტერმინოლოგიური მუშაობის პრინციპები და მრავალენოვანი დარგობრივი ენის განვითარებისთვის აუცილებელი ღონისძიებების ჩატარება. დოკუმენტს ხელი მოაწერეს სხვადასხვა ტერმინოლოგიური დაწესებულების წარმომადგენლებმა და იგი რამდენიმე ენაზე ითარგმნა (<http://eaft-aet.net/en/declaration/>).

ტერმინოლოგიური კვლევისა და განვითარების ხელშეწყობის, ასევე მომავალი საქმიანობის მხარდასაჭერად, ყოველ მეორე წელს გაიცემა ჯილდო – საერთაშორისო ჯილდო გამოყენებითი ტერმინოლოგიის კვლევისა და განვითარებისთვის შეტანილი წვლილისთვის (ARD);

საერთაშორისო ჯილდო ტერმინოლოგიის დარგის თეორიულ/ფუნდამენტურ კვლევაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის (TFR) (<http://eافت-aet.net/en/terminology-awards/>).

EAFТ-ის ახალი მმართველი საბჭო 2014 წლის გენერალურ ასამბლეაზე, ბარსელონაში, დამტკიცდა და ასოციაციის პრეზიდენტად დაინიშნა ჰენრიკ ნილსონი (შვედეთის ტერმინოლოგიური ცენტრი, TNC).

EAFТ-ის წევრი გახლავთ: ესპანეთის, ირლანდიის, პორტუგალიის, ბელგიის, იტალიის, ლუქსემბურგის, საფრანგეთის, დანიის, ესტონეთის, ლიტვის, ლატვის, საბერძნეთის, სლოვაკეთის, ხორვატიის, ნორვეგიის, შვედეთის, უნგრეთის, ავსტრიის ტერმინოლოგიური ასოციაციები თუ ენის ინსტიტუტები და უკვე საქართველოც მათ რიგებშია.

ჰყავთ ასევე ინდივიდუალური წევრები: 50-ამდე პირი სხვადასხვა ინსტიტუტიდან თუ ასოციაციიდან.

EAFТ-ის წევრი გახდა საქართველოს ვუკოლ ბერიძის ტერმინოლოგიის ასოციაცია, რომელიც 2017 წლის 27 ივნისს დაფუძნდა.

ბატონი ჰენრიკ ნილსონი გამოეხმაურა ჩვენს გაწევრიანებას ასოციაციაში. „მოხარულები ვართ, რომ გამოთქვით სურვილი ევროპის ასოციაციასთან გაწევრიანებისა. ვგეგმავთ გაფართოებას. თქვენ კი პირველები იქნებით საქართველოდან. იმედს გამოვთქვამთ, დაგვიჭერთ მხარს, მონაწილეობას მიიღებთ ჩვენს ღონისძიებებში და ამგვარად გარკვეულ წვლილს შეიტანთ ორგანიზაციის საქმიანობაში“, – გვწერდა ჰენრიკ ნილსონი, EAFТ-ის პრეზიდენტი.

ევროპის ასოციაციის პრეზიდენტმა, ბატონმა ჰენრიკ ნილსონმა, გამოთქვა სურვილი თბილისში ჩამოსვლისა და საქართველოში ტერმინოლოგიური მუშაობის, არსებული პრობლემებისა და იმ გამოწვევების გაცნობისა, რომლის წინაშეც ვდგავართ. წელს საქართველოში ტარდება პირველი საერთაშორისო კონფერენცია ტერმინოლოგიაში – **ტერმინოლოგია – მემკვიდრეობა და თანამედროვეობა** (<http://ice.ge/of/?p=2644>) და ბატონი ჰენრიკი ევროპის ასოციაციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად უკვე მოწვეულია კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად.

ასოციაცია იცნობს ევროპის ქვეყნების პოლიტიკას ტერმინოლოგიური მუშაობის მიმართ, იზიარებს მათ გამოცდილებას და სწორედ აქედან გამომდინარე, გადაწყდა, გავმხდარიყავით ევროპის ასოციაციის წევრი საქართველოს ტერმინოლოგთა ასოციაციის სახელით.



ქართველ ტერმინოლოგთა საზოგადოების შექმნის იდეა სწორედ ტერმინოლოგიური მუშაობის გაფართოებისა და გაერთიანების სურვილით გაჩნდა.

1941 წლიდან ტერმინოლოგიის განყოფილება, რომელიც თავდაპირველად განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოდ ჩამოყალიბდა, მოგვიანებით კი ცენტრალურ სამეცნიერო ტერმინოლოგიურ კომიტეტად, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შემადგენლობაში შევიდა. 1943 წლიდან კი ენათმეცნიერების სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად ვუკოლ ბერიძე დაინიშნა.

ვუკოლ ბერიძე ოცდაათ წელზე მეტხანს ედგა სათავეში ტერმინოლოგიურ მუშაობას და თავდაუზოგავად ემსახურებოდა ამ საქმეს. მისი რედაქციით გამოვიდა ბევრი დარგობრივი ლექსიკონი: სამშენებლო (1926), ფიზიკისა და ელექტროტექნიკის (1928), ენისა და ლიტერატურის (1928), ნორმალური ანატომიის (1930), ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიისა და პოლიგრაფიული საქმის (1932), ტექნიკური (1935), მემცენარეობის (1938), ენტომოლოგიის (1938), საავიაციო (1945), სამედიცინო (1947), ნიადაგმცოდნეობისა (1950) და სხვა. მათ შორის ყველაზე სრული, რომელშიც გაერთიანდა სხვადასხვა დარგი – 1977 წლის ტექნიკური ტერმინოლოგია გახლავთ. სწორედ აღნიშნული გამოცემის გამო ვუკ. ბერიძეს (გარდაცვალების შემდეგ) ავტორთა მთელ ჯგუფთან ერთად გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია მიანიჭეს.

განუზომლად დიდია მისი, როგორც მეცნიერის ღვაწლი. ცნობილია, რომ: „ტერმინოლოგიის საკითხებთან ერთად, იგი წარმატებით იკვლევდა რუსთველოლოგიის საკითხებს, ინტენსიურად მუშაობდა დიალექტოლოგიის დარგში, იგი ავტორია პირველი დიალექტური ლექსიკონისა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა“ (ბარკავა, კვაჭაძე, 2006: 5).

„ყოველი ერი, რომელიც სრულ კულტურულ ცხოვრებას ეტანება, აუცილებლად საჭიროებს მეცნიერულად დამუშავებულ ტერმინოლოგიას“, – წერდა ვუკ. ბერიძე. მას სწამდა: „ტერმინოლოგია ის საფუძველია, რომელსაც ემყარება წერილობითად გაფორმებული ცოდნის ესა თუ ის დარგი. უტერმინოლოგიოდ არ არსებობს, არც შეიძლება არსებობდეს, არც ერთი საგანი, რა შინაარსისაც არ უნდა იყოს იგი“ („მეცნიერება და ტექნიკა“, 1952: 29). ამ სიტყვების გამოძახილია მისი საქმიანობაც.

ტერმინოლოგიაში გაწეული ფასდაუდებელი ამაგის გამო შეუძლებელია დავიწყებას მიეცეს მისი სახელი. სწორედ ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ საქართველოს ტერმინოლოგიური ასოციაცია ვუკოლ ბერიძის სახელს ატარებს.

ასოციაცია, როგორც მოგახსენეთ, 2017 წლის 27 ივნისს დაფუძნდა. დამფუძნებლები გახლავთ: დამანა მელიქიშვილი, ემზარ ჯგერენაია, ნელი მახარაძე, ქეთევან დათუკიშვილი, ლია ქაროსანიძე, ნინო დათეშიძე, ნათელა მუზაშვილი, მარინა ოსაძე, ინგა ჯიბუტი, ანა ხურცილავა.

დამფუძნებელთა კრება ჩატარდა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში და დღის წესრიგის თანახმად, ასოციაციის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ქალბატონი ლია ქაროსანიძე.

#### **ასოციაციის მიზნებია:**

ა) ევროპის ტერმინოლოგიურ სტანდარტებზე დაყრდნობით, ეროვნული ტერმინოლოგიური პრობლემებისა და ენის თავისებურებების გათვალისწინებით მოემსახუროს ქართული ენის სტანდარტიზაციის საქმეს;

ბ) ტერმინოლოგიური რესურსების კვლევა; იმ აქტივობების გაგრძელება და სამუშაოების გაფართოება, რომლებიც უკვე არსებობს ამ მიმართულებით;

გ) ტერმინოლოგიის კოორდინაციის პროგრამის შექმნა, რაც გულისხმობს ტერმინთშემოქმედებაზე პასუხისმგებელი პირების ურთიერთთანამშრომლობას საქართველოს საჯარო დაწესებულებებში, სააგენტოებსა თუ კერძო კომპანიებში;

დ) ტერმინოლოგიური ლექსიკონების, ტერმინოლოგიის პორტალისა და ტერმინთა ეროვნული ბანკის შექმნა, რომელშიც არსებული ტერმინები და ტერმინთა კრებულები ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება; ტერმინოლოგიის შესახებ ინფორმაციის ფართო გავრცელება (ტერმინთა ბაზებსა თუ სხვა წყაროებზე საზოგადო წვდომა, ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზებსა და ლექსიკონებზე ინფორმაციის მიწოდება); სამთავრობო უწყებებისა და კერძო ორგანიზაციებისთვის ტერმინოლოგიური მომსახურების შეთავაზება;

ე) ტერმინოლოგიური სწავლების პროგრამის შედგენა და სასწავლო მასალების მომზადება და სხვა.

წესდებით გათვალისწინებული დებულების თანახმად, წევრობის უფლება აქვს „აკადემიურ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში მოღვაწე სხვადასხვა დარგის მეცნიერს, ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც იზიარებს ასოციაციის მიზნებს“ (სტა, წესდება).

თავმჯდომარის გადაწყვეტილებით ასევე შესაძლებელია საპატიო წევრის მიღება. „საპატიო წევრად შეიძლება მიიღონ პირი, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს ასოციაციის საქმიანობას“ (სტა, წესდება).

ასოციაცას უკვე ჰყავს საპატიო წევრები: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ქალბატონი მზექალა შანიძე;

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ბატონი თამაზ გამყრელიძე;

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ბატონი ვლადიმერ პაპავა;

საქართველოს სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ოთარ გამყრელიძე;

ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორი ქალბატონი დოდონა კიზირია;

ტერმინოლოგიურ მუშაობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ჩვენი განყოფილების ყოფილი თანამშრომლები, ქალბატონები მერი ჯანდაგაშვილი და ნატო ბურჭულაძე;

იმედს გამოვთქვამთ, რომ ასოციაცია წარმატებით გაართმევს თავს დასახულ მიზნებსა და ამოცანებს.

## ლიტერატურა

**„მეცნიერება და ტექნიკა“, 1952** - „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის“, „მეცნიერება და ტექნიკა“, თბილისი.

**ზარკავა, კვაჭაძე, 2006** - მ. ზარკავა, ც. კვაჭაძე, „ვუკოლ ბერიძე, ბიბლიოგრაფია“, თბილისი.

**ბერიძე, 1987** - ვახტანგ ბერიძე, „მოგონებანი“, თბილისი.

სიახლეები - საერთაშორისო კონფერენცია ტერმინოლოგია – მე-  
მკვიდრება და თანამედროვეობა <http://ice.ge/of/?p=2644>

წესდება, 2017 – საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაცია, წესდება, ასოციაციის მიზნები.

Activities – The EAFT promotes terminology through a number of different activities <http://eافت-aet.net/en/activities/>

Brussels Declaration for International Cooperation on Terminology - <http://eافت-aet.net/fileadmin/files/declaration/en.pdf>

European Association for Terminology (EAFT) - <http://eافت-aet.net/Newsletter> - <http://eافت-aet.net/en/newsletter/>

Pointer - Final Report - [www.computing.surrey.ac.uk/ai/pointer](http://www.computing.surrey.ac.uk/ai/pointer)

**Pointer Project** – Proposals for an Operational Infrastructure for Terminology in Europe -<http://www.computing.surrey.ac.uk/ai/pointer/>

Statutes of the European Association for Terminology (EAFT) - <http://eافت-aet.net/en/statutes/>

**Terminology Awards** – <http://eافت-aet.net/en/terminology-awards/>

**Ana Khurtsilava**

## **Vukol Beridze Association of Terminology of Georgia**

(Tasks and Objectives)

### Summary

Terminology work plays one of the most important role in many European countries. Terminology associations and language institutes of Estonia, France, Sweden, Spain or other countries work on terminology according to language law.

The European Association for Terminology (EAFT) was founded in 1996. Almost 40 organizations (different terminological centers or language institutes) are the members of EAFT, which also co-operates with different international organizations. The European Association for Terminology

intends “to provide a platform at the European level for the promotion and co-ordination of terminological activities and the heightened awareness, improved recognition and continued professionalization of the terminology sector”.

In order to promote terminological activity international conferences, symposiums, seminars, summits are held every year. EAFT also offers summer schools and two International Terminology Awards are given in every two year – the International Award for Outstanding Achievement in Theoretical/ Fundamental Research in the Field of Terminology and the International Award for Applied Terminology Research and Development.

Vukol Beridze Association of Terminology of Georgia, founded on 27 June, 2017, has already been admitted as a member of European Association for Terminology (EAFT).

The member of Vukol Beridze Association of Terminology of Georgia can become any person interested in the field of terminology.

The article concerns to the objectives and main tasks of terminology association.

## ლალი ხუჭუა, ლინდა გიორგაძე

### საეკლესიო ტერმინოლოგია XIX-XX საუკუნეების ქართულ-რუსულ და რუსულ-ქართულ ლექსიკონებში

ენა მუდმივად ცვალებადი ორგანიზმია. ის დროთა განმავლობაში სხვადასხვა შიდა თუ გარეფაქტორების გავლენით იცვლება, რაც საგრძნობლად აისახება ლექსიკის სფეროზეც. სწორედ ამგვარი ცვლილებები განაპირობებს ყოველი განმარტებითი, თარგმნითი თუ ტერმინოლოგიური ლექსიკონის ახალი რედაქციების შექმნის აუცილებლობასაც. ბუნებრივია, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული - თარგმნითი ლექსიკონების განახლება-შეცვლის საჭიროებამაც იჩინა თავი. აუცილებლად მიგვაჩნია, არსებული ლექსიკონების შესავსებად თემატურ ჯგუფებზე ცალ-ცალკე მუშაობა, მათ შორის, საეკლესიო ლექსიკაზეც. შევეცდებით, ამ კუთხით წარმოვადგინოთ ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც XIX-XX საუკუნეების რუსულ-ქართულ და ქართულ-რუსულ თარგმნით ლექსიკონებში ვლინდება.

ჩვენს საკვლევ მასალას წარმოადგენს შემდეგი ლექსიკონები:

1. *რუსულ-ქართული ლექსიკონი*, ორტომეული, ნიკო ჩუბინაშვილი, თბილისი, 1971 წლის გამოცემა<sup>1</sup>;
2. *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, ერთტომეული, დავით ჩუბინაშვილი, თბილისი, 1984 წლის გამოცემა<sup>2</sup>;

---

<sup>1</sup> **ნიკო ჩუბინაშვილი** - XIX საუკუნის ლექსიკოგრაფი (1788-1845), რომლის ნაშრომებიც პირველად XX საუკუნეში გამოიცა. იგი სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) საქმის გამგრძელებელი იყო. აღნიშნული ლექსიკონი ორი ხელნაწერის სახით შემოინახა, პირველი 1825 წელსაა გადაწერილი, ხოლო მეორე - 1832 წელს. პირველად გამოაქვეყნა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“, ალ. ლლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით.

<sup>2</sup> **დავით ჩუბინაშვილი** - XIX საუკუნის ლექსიკოგრაფი (1814-1891). მან უდიდესი წვლილი შეიტანა ქართულ ლექსიკოგრაფიის განვითარებაში სულხან-საბა ორბელიანისა და ნიკო ჩუბინაშვილის შემდეგ. ლექსიკონის შედგენა დ. ჩუბინაშვილმა 1878 წელს დაასრულა. ხელნაწერის სახით არსებობდა 1984 წლამდე. ბეჭდურად გამოაქვეყნა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ.

3. *რუსულ-ქართული ლექსიკონი*, სამტომეული, სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, შეადგინა მეცნიერთა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სარედაქციო კოლეგიამ, თბილისი, 1956-1959 წწ.;
4. რუსულ-ქართული ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1883 წ.<sup>1</sup>

აღნიშნულ მასალაზე დაყრდნობით წარმოვადგენთ მცირე კვლევას, ვნახავთ, თუ რა მსგავსებებსა და განსხვავებებს ვაწყდებით, მოვიყვანთ შესაბამის მაგალითებს.

უპირველეს ყოვლისა, გამოვყოფთ სემანტიკურ ჯგუფებს. ცალკე ვიმსჯელებთ დღესასწაულთა სახელწოდებებზე, იერარქიულ წოდებებზე, შესამოსელზე, საეკლესიო/ტაძრის ინტერიერის სპეციფიკურ ტერმინებზე, საიდუმლოებებზე და ა.შ.

სანამ უშუალოდ მაგალითების მოხმობას შევუდგებით, ზოგადად აღვნიშნავთ, რომ XIX საუკუნის ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებში დიდი ყურადღება ეთმობა საეკლესიო ტერმინოლოგიის ლექსიკონებში შეტანას. განსაკუთრებით მდიდარია ამ თვალსაზრისით ნიკო ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი. რაც შეეხება საბჭოთა პერიოდში შედგენილ ლექსიკონს, აქ ჩვენთვის საინტერესო მასალა შედარებით მწირია და ზოგჯერ საერთოდ ავლილი აქვს გვერდი სასულიერო თემატიკასთან და ღმერთთან დაკავშირებულ გარკვეულ ლექსიკურ ერთეულებს. მაგალითად, ყურადღება მივაქციეთ „წი“ ფუძით ნაწარმოები სიტყვების რაოდენობრივ სხვაობას ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონსა და საბჭოთა პერიოდის ლექსიკონს<sup>2</sup> შორის; თუკი ჩუბინაშვილთან აღნიშნული ძირით დაწყებული 56 ლექსიკური ერთეული დასტურდება, საბჭოთა ლექსიკონში სულ 10 ერთეულია. მკაფიო განსხვავებაა თვით სიტყვა-სტატიებშიც.

საბჭოთა პერიოდის ლექსიკონში დასტურდება სიტყვები: **Богобоязненный, Богомолец, Богомолье, Богомольный, Богослов, Боготворить...** აქედან, სიტყვათა გარკვეულ ნაწილს მიცემული აქვს

<sup>1</sup> ლექსიკონი შედგენილია „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ სარედაქციო კოლეგიის მიერ 1956-1959 წწ-ებში გამოცემული სამტომეული რუსულ-ქართული ლექსიკონის საფუძველზე.

<sup>2</sup> ასე ვუწოდებთ 1983 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო კოლეგიის მიერ გამოცემულ ლექსიკონს.

მომკვლევებელი სიტყვის, არქაიზმის კლასიფიკაცია. (მაგ.: Богомолье, ძვ. მოლოცვა, სალოცავად სიარული; Богомольный, ძვ. მლოცველი...)

ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში წარმოდგენილი 10 ლექსიკური ერთეულის სიტყვა-სტატიაც უფრო მდიდარია მაგალითებით. მაგ., თუკი სიტყვას „**Богослов**“ საბჭოთა ლექსიკონში მხოლოდ ქართული შესატყვისი ახლავს, ჩუბინაშვილი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ეს ეპითეტი იოანე ღვთისმეტყველის მიმართ გამოიყენება ყველაზე ხშირად. „განსაკუთრებით მიეჩემების წმიდასა იოანე მახარებელსა“, – წერს ლექსიკოგრაფი.

წმინდანთა სახელებს ნ. ჩუბინაშვილი სხვა ეპითეტთანაც მოიხმობს:

„**Богоприимец** – ღვთის მიმქმელი (*მართალი სკმეონ*).“

ცალკეა ღვთისმშობლისა და წმინდა ქალწულთა შესამკობი ეპითეტებიც:

„**Богоневеста** – სძალი ღვთისა (დედა ღვთისა ანუ წმიდანი ქალწულნი);“

„**Богоотроковица** – ყრმაა ღვთისა (ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი);“

„**Богоприемная** – ღვთის შემწყნარებელი (ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი);“

სხვა შემთხვევებში აღნიშნული თემატიკის ერთეულთა სიტყვა-სტატიები ბიბლიური ციტატებითაა გამდიდრებული. მაგალითად, შემდეგი ეპითეტი:

„**Боговдохновенный**“ – ქართული შესატყვისის შემდეგ (ღვთივსულიერი, ღვთივმადლიერი), ლექსიკოგრაფს მითითებული აქვს შემდეგი ციტატა: „Все Писание богодухновенно и полезно для научения, для обличения, для исправления, для наставления в праведности... (Второе послание к Тимофею 3: 16)“.

ამგვარი ვითარებაა ნ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონში აღნიშნული ძირით ნაწარმოებ სიტყვებთან. მსგავსი სიუხვით არც ერთ ჩვენ მიერ აღნიშნულ ლექსიკონში ამგვარი ლექსიკური ერთეულები არ დასტურდება. 1956-59 წლების სამტომეულ ლექსიკონში, მის საფუძველზე შედგენილი ერთტომეული ლექსიკონის მსგავსად, სულ 15-ამდე სიტყვა დასტურდება, ხოლო დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში არ აღმოჩნდა არცერთი ქართული ლექსიკური ერთეული, რომელიც „ღმერთ-“ და „ღვთ-“ ფუძითაა



ნაწარმოები (ანუ ის ქართული ეკვივალენტები, რომლებიც ნ. ჩუბინაშვილს აქვს მოყვანილი აღნიშნულ 56 სალექსიკონო ერთეულთან).

ყურადღება გავამახვილეთ საეკლესიო **დღესასწაულების** სახელწოდებებზეც. ჩვენი დაკვირვებით, აქაც განსაკუთრებით მდიდარი ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონია. მასში დასტურდება ყველა საუფლო დღესასწაული, ყოველ მათგანს, ზუსტი ეკვივალენტის გარდა, ციტატები ახლავს თან. მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს და ვნახავთ, რა ვითარებაა უფრო გვიანდელ ლექსიკონებში.

**Благовещение** – ხარება, დასტურდება როგორც საბჭოთა პერიოდის, ასევე სამტომეულ რუსულ-ქართულ ლექსიკონებშიც, თუმცა მხოლოდ შესატყვისებით. ნიკო ჩუბინაშვილთან მოხმობილია ციტატა (4 Цар. 7,9) და მითითებულია დღესასწაულის თარიღი, ისევე, როგორც დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში.

**Воздвижение** – ჯვართამაღლება, ამ დღესასწაულის სახელწოდება საერთოდ არ დასტურდება საბჭოთა პერიოდისა და სამტომეულ ლექსიკონებში, ნ. ჩუბინაშვილთან მნიშვნელობის შემდეგ ოთხი ბიბლიური ციტატაა მითითებული; (Числ. 10, 6), (сир. 46, 3) და სხვა. გარდა ამისა, ლექსიკონში ამავე ძირის კიდევ 4 ფორმაა წარმოდგენილი, ამასთან, მნიშვნელობებს თან ახლავს მითითებები ბიბლიურ ციტატებზე. ეს სიტყვებია: Воздвиженный и воздвигнутый, воздвиженский, воздвизальный крест, воздвигаю...

**Вознесение** – ამაღლება, საბჭოთა პერიოდისა და სამტომეულში დასტურდება ზუსტი ეკვივალენტებით, ნ. ჩუბინაშვილთან მითითებულია ციტატა: (3. Мак. 2, 16)... დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში ჯერ ქართულადაა განმარტებული დღესასწაულის არსი, თუ როდის აღინიშნება და შემდეგ მოსდებს რუსული შესატყვისები: восхождение, прославление; праздник вознесения...

**Крещение/богоявление** – ნათლისღება, განცხადება, ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ორივე სინონიმი დასტურდება, საბჭოთა პერიოდის ლექსიკონში – მხოლოდ *Крещение*. დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში მხოლოდ **ნათლისღებაა** შეტანილი, **განცხადება** არ დასტურდება. შესატყვისებთან მითითებულია დღესასწაულის თარიღიც.

**Сретение** – მირქმა, გვიანდელ ლექსიკონებში არ დასტურდება. ვხვდებით მხოლოდ ნ. ჩუბინაშვილთან, ასევე ქართულ-რუსულ ლექსიკონშიც დღესასწაულის თარიღის მითითებით.

**Преображение** – ფერისცვალება, გვიანდელ ლექსიკონებშიც გვხვდება მხოლოდ ეკვივალენტებით, ნ. ჩუბინაშვილთან მოცემულია დღესასწაულის თარიღი და ციტატები მათესა და მარკოზის სახარებებიდან (Mat. 17,2; Марк. 9,2), ქართულ-რუსულ ლექსიკონში კი მითითებულია თარიღი, დღესასწაულის არსი და რუსულენოვანი ეკვივალენტი.

**Успение** – ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში დასტურდება შემდეგი მაგალითით: **Успенский собор**, გვიანდელ ლექსიკონებში მხოლოდ ეკვივალენტებია მოცემული...

რაც შეეხება საეკლესიო **საიდუმლოებებს**, ჩვენს ხელთ არსებულ ყველა ლექსიკონში შვიდივე საიდუმლოს ეკვივალენტებია შეტანილი. ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონი ამ თვალსაზრისითაც გამორჩეულია სიტყვა-სტატიების ბიბლიური ციტატებით გამდიდრების თვალსაზრისით. შვიდივე საიდუმლოს აღმნიშვნელი ტერმინი გვხვდება დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონშიც.

საეკლესიო ტერმინოლოგიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს თვით **ეკლესიის შიდა ინტერიერის** ნაწილთა სახელწოდებები. ვნახოთ, როგორი ვითარებაა ამ თვალსაზრისითაც.

**Алтарь** – საკურთხეველი, XX საუკუნის ლექსიკონებში დასტურდება მხოლოდ რუსული შესატყვისით. ნიკო ჩუბინაშვილთან მითითებულია ამ სიტყვის ორგვარი ფორმა: Алтарь და Олтарь და თვალსაჩინოებისათვის მოხმობილია ციტატა ფსალმუნიდან: „Тогда возложат на алтарь Твой тельцов (Псалтирь 50:21)“. ქართულ-რუსულ ლექსიკონში დავით ჩუბინაშვილს მითითებული აქვს: დაბადება 12,7; გამოსვლა 40,5; იეზეკიელი 43-13 და სხვა.

**Амвон** – საბჭოთა პერიოდისა და სამტომეულ ლექსიკონებში არ დასტურდება, გვხვდება ნ. ჩუბინაშვილთან და დ. ჩუბინაშვილთან მხოლოდ რუსული და ქართული შესატყვისებით.

**Иконостас, престол, Жертвенник** – ეს ტერმინებიც ყველა ჩვენს ხელთ არსებულ ლექსიკონში თითქმის ერთნაირი სტატიებითაა შეტანილი.

ცალკე გამოვყოფთ იერარქიულ წოდებებს: **Архиерей, архиепископ, архимандрит, патриарх, епископ, диакон** და სხვა. ყველა საეკლესიო წოდება დასტურდება ჩვენს ხელთ არსებულ ლექსიკონებში, თუმცა სხვაობას ისევ ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონი გვაძლევს. მაგალითად, თუკი საბჭოთა პერიოდის ერთტომეულ და სამტომეულ ლექსიკონებში სიტყვა „**диаკვნის**“ გასწვრივ მხოლოდ ქართული ეკ-

ვივალენტებია მოცემული, ნ. ჩუბინაშვილი ისევ ბიბლიურ მაგალითს მოიხმობს:

**Диакон** – დიაკონი, *Диакон должен быть муж одной жены, хорошо управляющий детьми и домом своим*“ (Первое послание к Тимофею 3:11,12).

ან კიდევ:

**Епископ** – ეპისკოპოსი, *Ибо епископ должен быть непорочен, как Божий домостроитель...*“ (Тит. 1,7).

ამგვარია ზემოთ წარმოდგენილი სალექსიკონო ერთეულების ზოგადი ვითარება და ამჯერად ამ ჯგუფის სხვა მაგალითებზე აღარ შევჩერდებით.

სპეციფიკურია საეკლესიო, სასულიერო პირთა შესამოსელი. აქედან გვიანდელ ლექსიკონებში არ დასტურდება სიტყვა *ოლარი* – **еписпрахиль**, შეტანილი აქვს მხოლოდ ნ. ჩუბინაშვილს. ლექსიკონ-რავს მაგალითიც მოჰყავს: **епитрахильная грамота** და მის მნიშვნელობასაც განმარტავს.

სამღვდლო შესამოსლის მნიშვნელობით **Облачение** მხოლოდ ნ. ჩუბინაშვილთან გვაქვს, გვიანდელ ლექსიკონებში მის ქართულ შესატყვისად ზოგადად სამოსია მოცემული. ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში კი ცალკეა ზმნაც: *Облачаю(сь)* – რაც საეკლესიო მსახურებისათვის შემოსვას გულისხმობს. აქვეა ციტატა სახარებიდან (Лук. 16, 19). რაც შეეხება ტერმინს **Риза** – გვიანდელ ლექსიკონებშიც დასტურდება სამღვდლო შესამოსლისა და ხატის მოჭედილობის მნიშვნელობით, ისევე, როგორც ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში. დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში კი ეს ტერმინი „კვართის“ ეკვივალენტია; აქ შემდგენელი შემდეგ მაგალითებს მოიხმობს: „Риза господня“, რომელსაც მოსდევს ციტატა იოანეს სახარებიდან (იოანე, 19-23;), ასევე მსაჯულთა წიგნიდან (მსაჯ. 14-11).

აქვე ვახსენებთ იმ ტერმინებს, რომლებიც საეკლესიო სასჯელს გულისხმობს: ანათემა, ეპიტიმია...

**Анафема** – ეს ტერმინი გვიანდელ ლექსიკონებშიც არის შეტანილი ზუსტი ქართულენოვანი ეკვივალენტით. ნ. ჩუბინაშვილთან, როგორც მოსალოდნელი იყო, მოხმობილია შემდეგი ციტატა: „Но если бы даже мы или Ангел с неба стал благовествовать вам не то, что мы благовествовали вам, да будет **анафема**“ (Послание к Галатам 1: 8).

**Епитимия** – *წყევა, სულიერი განკანონება* გვაქვს რუსულ-ქართულ სამტომეულ ლექსიკონში, დასტურდება ნ. ჩუბინაშვილთანაც,

მაგრამ ერთტომეულსა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში არ არის შეტანილი.

ჩვენი მცირე კვლევით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საეკლესიო ტერმინოლოგიის მხრივ უფრო მდიდარი XIX საუკუნის ლექსიკოგრაფიული შრომებია. XX საუკუნეში ისტორიული ვითარების გამო, სასულიერო თემატიკის ამსახველი ტერმინების ლექსიკონებში შეტანის ტენდენცია საგრძნობლად იკლებს. ამ პერიოდის ჩვენს საკვლევ მასალაში არცერთი მაგალითი არაა მოხმობილი ბიბლიური წიგნებიდან, პირიქით, ზოგიერთი საეკლესიო ტერმინი ძველის, არქაულის კლასიფიკაციაც კია აქვს მინიჭებული მაშინ, როცა XIX საუკუნის ლექსიკოგრაფებთან, განსაკუთრებით კი ნიკო ჩუბინაშვილთან, ძალიან ბევრი მაგალითია ბიბლიური წიგნებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მხოლოდ სასულიერო თემატიკასთან დაკავშირებულ ლექსიკას არ ეხება, ხშირად სრულიად ნეიტრალური ერთეულების სიტყვასტატიებშიც კი ვაწყდებით ამგვარ მაგალითებს: **складание** – ზვინი, გროვა, ხროვა, რომლებსაც თვალსაჩინოებისათვის ბიბლიური წიგნის ციტატა აქვს მითითებული (3 წარ. 5, 9).

დღეს, როდესაც ეკლესია ძლიერია, როდესაც სასულიერო განათლების მიმართ ინტერესი კვლავ გაიზარდა, აუცილებელია რუსულ-ქართულ და ქართულ-რუსულ ლექსიკონებში ზემოთ აღნიშნული ვითარების გათვალისწინება და ახალი რედაქციების საეკლესიო ტერმინებით შევსება. ვიმედოვნებთ, ჩვენი მცირე კვლევა მართებულად წარმოაჩენს არსებულ პრობლემას და დასახავს ამ საკითხზე სერიოზული მუშაობის გაგრძელების აუცილებლობას.

## ლიტერატურა

**ჩუბინაშვილი ნ., 1971** – ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ორტომეული, თბილისი, 1971.

**ჩუბინაშვილი დ., 1984** – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1984.

რუსულ-ქართული ლექსიკონი, სამტომეული, სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1956-1959.

რუსულ-ქართული ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1883.

**Lali Khutchua, Linda Giorgadze**

**Spiritual Terminology in Georgian-Russian and Russian-Georgian dictionaries of XIX-XX centuries**

Summary

While editing Russian-Georgian dictionaries we have faced the necessity to take special attention to the specific lexical group of words, which are names of church concepts and the spiritual terminology in general. Our job serves for editing and updating terminological and translation dictionaries (in particular, Russian-Georgian dictionary).

The list of dictionaries we have researched goes as follow:

1. Russian-Georgian dictionary, in two volumes, Niko Chubinashvili, Tbilisi, 1971;
2. Georgian-Russian dictionary, in one volume, David Chubinashvili, Tbilisi, 1984;
3. Russian-Georgian dictionary, in three volumes, Publishing of Georgian Academy of Sciences, Tbilisi, 1956-1959;
4. Russian-Georgian dictionary, in one volume, Tbilisi, 1883;

The main result of our work is determination of spiritual words, which are places in each dictionary, what kind of differences occurred between available materials and what is common for them.

In this article we'll represent the processed materials, we'll show the results of our research and share our opinions about the basic tendency of church terminology, which appears in the translation dictionaries of XIX-XX centuries.

# სამიებელი

## ტერმინები

- აალეზადი 194  
აბადის სიმპტომი 95  
აბერაცია 192  
აბრეშუმსახვევი 195  
აბსორბერი 192  
აბსორბცია 192  
აბტ-ლეტერერ-სივეს სინდრომი 85  
აბულადის ხერხი 83  
აგრეგატი 168, 170, 171, 172  
აგრეგატული შესრულების ჰიდრო-ტუმბოები 171  
აგურსაკეთებელი აგრეგატი 171  
აგურფხვნილი 195  
ადამანტი 220  
ადამასი 220  
ადის სინდრომი 95  
ადისონ-ბირმენის ავადმყოფობა 96  
ადისონიზმი 84  
ადისონის ავადმყოფობა 87  
ავიასაბურავი 195  
ავიატორი 192  
ავსტრალიური დაავადება 92  
ავტოგლოსონიმი//ავტოგლოტონიმი 154  
ავტომობილის აგრეგატი 171  
აზარმაცი 221  
ათბვერი 227, 228  
აიზელინის ავადმყოფობა 96  
აირი 193  
აირსაშემდგომელო აგრეგატი//აპარატი 171  
აკროდინია 81  
აკრომიმია 81  
აკროცევალია 80  
აკუმი 221  
აკურეირის სინდრომი 92  
აკუსტიკური აგრეგატი 171  
ალბასტრო 218  
ალბერტის სინდრომი 80  
ალექსანდროვ-შაუტა-ვერტჰაიმის ოპერაცია 85  
ალვანა 220  
ალისა საოცრებათა ქვეყანაში 86  
ალმაზი 220  
ალოგლოსონიმი//ალოგლოტონიმი 154  
ალუმინთერაპია 194  
ალუმინკარბიდი 194  
ალვანაწილაკები 195  
ალყა 218  
ალცჰაიმერი 101  
ამარი 221  
ამალღება 309  
ამგზნები აგრეგატი 171  
ამეთვისტო 220  
ამოსაღებიაგრეგატი 172  
ამპიწი 221  
ამწევი 196  
ამძრავი აგრეგატი 171  
ანათემა 311  
ანამნეზი 91  
ანაფილაქსიური პურპურა 88  
ანაქსი//ანაქსვი 221  
ანგლიციზმები 228  
ანენომეტრი 192  
ანთროპონიმი 82, 100  
აპარატი 172, 234  
აპარატმშენებლობა 195  
აპერის სინდრომი 80  
არბობა 221  
არდმორის სინდრომი 92  
არეა//არეას//მარიხი 218  
არიფანა 220  
არნოლდის არტერია 94

- არტერიული წნევა 87  
 არხსავსები 195  
 ასანთი 195  
 ასთაკვი 219  
 ასკოლის რეაქცია 85, 95, 98  
 ას-ნაკეცი 228  
 ასპარეზი 221  
 ასპაროზ 217  
 ასპერგერის სინდრომი 87  
 ასპიტი 218  
 ასტროფოტომეტრია 194  
 ასხლეტა 203, 206  
 ატროფია 95  
 აუერბახის წნული 94  
 აფროდიტი 217  
 აფროდიტიზმი 84  
 აქილევსის მყესი 91  
 აქილევსის რეფლექსი 91, 100  
 აქილევსის ქუსლი 91  
 აქილოზურსიტი 80  
 აქლემი 219  
 ალალთსაშენი 195  
 ალღევა 217  
 აღმონათხრედი 220  
 აყალო მიწა 220  
 აყვანა 206  
 აყოლა 221  
 აყრა 204, 206  
 ამერმანის სინდრომი 85  
 ამნერის ფენომენი 95  
 ამოფ-ტავარის კვანძი 94  
 ამოფ-ტალაღავეის გრანულომა 94  
 ახენბახის სინდრომი 80  
 ახტაშირა 221  
 აჰასფერის სინდრომი 91  
  
 ზაბინსკის რეფლექსი 95  
 ზაბინსკის სიმპტომი 95  
 ზაგირგვარლი 195  
 ზაგირების გადახვევა 196  
 ზადრაგა 221  
 ზადურა 194  
 ზაეტარი 221  
  
 ბავრუკი 220  
 ბაკი 203, 204, 206, 209  
 ბაკში ჩამსვლელი 206  
 ბალახში 220  
 ბალტინ-კომბერგის მეთოდი 96  
 ბანგი 221  
 ბანგის ავადმყოფობა 96  
 ბანტის ავადმყოფობა 96  
 ბანტის სინდრომი 96  
 ბანჯვინი, ბენჯვინი 221  
 ბარანის სავარძელი 96  
 ბარდაჩოკი 38, 39  
 ბართოლინის ჯირკვავი 95  
 ბართონელოზი 93  
 ბარონ მიუნჰაუზენის სინდრომი 91  
 ბარტენვერფერის სინდრომი 80  
 ბარცაკალი 205, 206  
 ბატკანი 206  
 ბატკნიანი 206  
 ბატკნიდედა 200, 206  
 ბევრი 225, 226  
 ბევრის ბევრი 226, 227, 228  
 ბეზუს ელიმინანტი //ბეზუტიენტი 32  
 ბელადი 221  
 ბელის ნერვი 94  
 ბელის სპაზმი 95  
 ბელლის დამბლა 98  
 ბენზინქლორიდი 194  
 ბერგერის რიტმი 95  
 ბერეზინიანი 31, 32  
 ბერწი 204, 206  
 ბერწობა 202, 206  
 ბეხტერევის ბირთვი 94  
 ბეჰეტის დაავადება 88  
 ბიანცის კვანძები 94  
 ბიბლიოგლოსონიმი 195  
 ბიდერის ნაღებიანი ნარევი 97  
 ბილროთის მომჭერი 96  
 ბილროთის ოპერაცია 96  
 ბინა 201, 204, 206  
 ბინა-ბარგი 204  
 ბირთვი//დისკო 94, 217  
 ბიტოს ბალთები 95

- ბიშას ცხიმოვანი ბალიში 95  
 ბიცცოცეროს ფირფიტები 98  
 ბლუმის//ბლუმ-ტორე-მაჩეიკიკის  
 სინდრომი 80  
 ბოგომოლეცის შრატის 97  
 ბოლად 221  
 ბოლო -შავა 221  
 ბორა 220  
 ბორაკი 220  
 ბოსტანა 219  
 ბოტალოს სადინარი 94  
 ბოძალი 218  
 ბრაგა 220  
 ბრანგვი 218  
 ბრემსბერგი 172  
 ბრილის ავადმყოფობა 98  
 ბრილ-სიმერსის ავადმყოფობა 87, 88  
 ბრისოს ავადმყოფობა 98  
 ბრუცელები 96  
 ბრუცელოზი 96  
 ბუდე 206  
 ბუზანკალი 219  
 ბურნევილის დაავადება 80  
 ბუნიკი 38  
 ბუნიკის სამტკრე 38  
 ბუნიობა 218  
 ბუქსირი 218  
 ბუწი 192
- გ**აარსებითება 30  
 გაბერავება 206  
 გაბირკვა 206  
 გაგუდვა 206  
 გადარეკვითი 201  
 გადახრა 193  
 გაერო 292  
 გაზეთსართავება 30  
 გაზი 190, 193  
 გალენის ვენა 94  
 გალვანომეტრი 193  
 გალი-მაინინის რეაქცია 95  
 გამავლობა 194  
 გამბრინიზმი 84
- გამოსამახებელი აგრეგატი 172  
 გამოყვანა 203  
 გამყიდველი 146, 147  
 განაშენიანება 195  
 განედი 194  
 განერბვა 206  
 განთქმა 221  
 განმუხრუჭება 194  
 განჟავვა 194  
 განტოლება 60, 195  
 განცხადება 309  
 განწებება 194  
 განწვალბულება 221  
 განხრახვნა 194  
 გარეგანი 217, 221  
 გარეგანობა 221  
 გარეთი 221  
 გარესკნელი 221  
 გარეშობა 221  
 გარი 221  
 გარიელი 219  
 გასარდვლა 206  
 გასტროენტეროლოგიური 81, 102  
 გაუსიანი 31, 32  
 გაუწებურება 193  
 გაუწყლობა 193  
 გელაქსური 220  
 გერნერის სინდრომი 95  
 გველი 218  
 გვერდი 42  
 გვირჯილა 220  
 გვრიტი 219  
 გილმორის თიაქარი 80  
 გიოდელი 32  
 გიოდელიზება 32  
 გირავი 221  
 გისსონი 221  
 გიშერი 220  
 გლოსონიმი 154, 155  
 გლოსონიმი 155  
 გლოტოლოგია 155  
 გლოტონიმი 155  
 გლუმიწელი/გრუზიწელი 37



- გოლდმანის ტონომეტრი 96  
 გოლფერი 150  
 გომიზი, გომფისი 221  
 გონიერი 229  
 გონიომეტრი 192  
 გოსპლანი 281  
 გომეს ავადმყოფობა 96  
 გოჭა თევზი 219  
 გრამის დეტერმინანტი 31  
 გრანულომატოზი პოლიანგიტიით 89  
 გრასმანის სივრცე 31  
 გრე 221  
 გუდა 205  
 გულ-სისხლძარღვთა სისტემა 94  
 გულ-ყვითელა 221
- დ**'აკოსტას სინდრომი 89  
 დაბრეცილობა 194  
 დაბუნებება 220  
 დადება 272  
 დადოლება 206  
 დადოლებული 203  
 დაზგები 169, 171  
 დათავისება 206  
 დათვის ფეხა 218  
 დაკვერილი 206  
 დაკიდების სისტემა 37  
 დაკოდვა 206  
 დალამბერიანი // დალამბერის ოპერა-ტორი 31  
 დალტონიზმი 84  
 დანადგარი 168, 169, 171  
 დანადები 275, 276  
 დაპურებული 204, 206  
 დარანი 221  
 დარევა 206  
 დარიშხანა 220  
 დასვინალრება 221  
 დასტურის ძეგლი 276  
 დაუვალი ვარსკვლავი 218  
 დაუნიზმი 85  
 დაუნის დაავადება 81, 84  
 დაუნის სინდრომი 80, 85
- დაყველება 205, 207  
 დაყურსება 221  
 დაშანთვა 221  
 დაძუბული 206  
 დაწოვება 206  
 დგვითი 221  
 დგიმი 49, 221  
 დეგომაცია 193  
 დედათმავლობა 85  
 დედალი ბატკანი 200  
 დედეკინდი 32  
 დედეკინდურობა 32  
 დეველოპმენტი 195  
 დევიაცია 193  
 დეკარტის ფოთოლი 30  
 დეკნა 217  
 დელამო 205, 206  
 დელამოწი 206  
 დენსაზომი 193  
 დეპერსონალიზაცია 86  
 დეჰიდრატაცია 193  
 დვორნიკები 40  
 დვრიტა 210  
 დია 218  
 დიაკონი 331  
 დიალექტი 4, 6, 46, 49, 108, 154, 212  
 დიდსიჩქარიანი // დიდჩქარული 196  
 დიზენტერია 96  
 დილამოწი 205  
 დინამომეტრი 193  
 დისკურსი 159, 160, 161, 162, 163, 164  
 დიფთონგები 98, 99, 111  
 დოლი 202, 203, 206  
 დოლჩამოსვლა 206  
 დომკრატი 196  
 დრანჯი 221  
 დროებითი საცხოვრისი 72  
 დრომონი 221  
 დუმა 203
- ეგზოგლოსონიმი 154  
 ევროკომისია 298

- ევროპის ტერმინოლოგიური  
 ასოციაცია 297, 298  
 ევროპულ ენათა რესურსების  
 ასოციაცია 299  
 ელექტრომალოვანი ბლოკი 196  
 ელექტრული ბლოკი 196  
 ელვარება 217  
 ელმადცერი 218  
 ენათა ოჯახი 112  
 ენდოგლოსონიმი 154  
 ენერგეტიკული მანქანა 196  
 ენის მართვა 289  
 ენობრივი სიმბოლო 140, 141  
 ენცეფალიტი 92, 100  
 ეოზინოფილია 91  
 ეპისკოპოსი 311  
 ეპიტიმია 311  
 ეპიფანია 218, 229  
 ეპონიმი 31, 79, 80, 82, 86, 89  
 ერთმოვლილი 200, 206  
 ერთნაყოლი 200, 206  
 ერთთრემია 87, 88  
 ერკემალი 219  
 ერლიხის დიაზორექცია 95  
 ესმარხის ტოლჩა 97  
 ეტიკი 221  
 ეტლი 218  
  
 ფაგნერ-პოტენის ავადმყოფობა 96  
 ვაინბერგის რეაქცია 95  
 ვაკუზის ავადმყოფობა იხ. პოლიცი-  
 ტემია  
 ვალეს მტკივნეული წერტილები 86,  
 95  
 ვალი (ლილვი) 37  
 ვან გოგის სინდრომი 90  
 ვარვარი 217  
 ვაროლის ხიდი 94  
 ვარსკვლავთ-მორბედი 217  
 ვასაკა 219  
 ვასერმანის რეაქცია 95  
 ვასხი//ვახში 221  
 ვებერის ფარგალი 96  
  
 ვებერის შემგრძნები წრეები 86, 95  
 ვეგენერის გრანულომატოზი 89  
 ველარის ნიშანი 95  
 ვენერას ხიდი 91  
 ვენტილატორი //სანიავო 192  
 ვენტილაცია//ნიავება 192  
 ვენტილი//ზრახნმცობი//ზრახნსაცობი  
 192  
 ვერდნიგ-ჰომანის დაავადება 98  
 ვერთერის სინდრომი 100  
 ვერლჰოფის ავადმყოფობა 96  
 ვერტიკალი 42, 43  
 ვერტიკალური კუთხეები 42, 43  
 ვერძი 218  
 ვესტა 217  
 ვესტიბულური აპარატი 96  
 ვესტფალის სინდრომი 95  
 ვეძა 220  
 ვიბრაციული მანქანა 171  
 ვიგურუ-თარხანოვ-შარკოს  
 //ვიგურუ-თარხანიშვილ-შარკოს  
 სიმპტომი 83  
 ვილიზის წრე 94  
 ვილმის სიმსივნე 95  
 ვირუსები 94, 95, 100  
 ვირხოვის მეტასტაზი 95  
 ვიწრობი 194  
 ვკლადიში 38  
 ვოდაკის რეფლექსი 95  
 ვოლინის ციებ-ცხელება 95  
 ვოლტერის სახე 90  
 ვოლფ-პარკინსონ-უაითის სინდრომი  
 81  
 ვორო 280  
 ვრონსკიანი 31  
  
**ზადი** //ზადიერება 221  
 ზაქი 218  
 ზები 219  
 ზევსი 218  
 ზოლტერ-სვიფტ-ფეერის სინდრომი  
 81  
 ზოჰალი 218

ზღვის ძაღლი 218

თაგადირი (ვარსკვლავი) 221  
 თავაკის სადები 38  
 თავბრუ//თავბრუსხვევა 88, 90  
 თავწყალდაღვრა 206  
 თავწყალი 206  
 თათმანი 221  
 თანა-დება 275  
 თანობი 194  
 თარეში 221  
 თართი 219  
 თარხნიშვილის რეფლექსი 100  
 თარხნიშვილის ფსიქოგალვანური  
 რეფლექსი 83  
 თაღედი 194  
 თახვი 218  
 თევზი ყლაპია 218  
 თემანი 221  
 თვალთ-შეუდგამი 218  
 თვეში ჩამდგარი 206  
 თითების აპოპლექსია 80  
 თინათინი 218  
 თირი 220  
 თოდის სინდრომი 86  
 თოხი 221  
 თოხლი 200, 206, 209  
 თურმანიძის მალამო 82  
 თხის-რქა 218

თადონი 219  
 იაკობიანი 31  
 იალციალი 217  
 იაპონური ენცეფალიტი 92  
 იარლიყი 205  
 იგნიტრონული აგრეგატი 172  
 იერსინიების ჯგუფის ბაქტერია 96  
 იერუსალიმის გზა 218  
 იერუსალიმის სინდრომი 100  
 ივი 221  
 იკუნკლედი 218  
 ინაგა 219  
 იობის სინდრომი 91

ირისე 218  
 ირმის ნახტომი 218  
 იცენკო-კუშინგის ავადმყოფობა 88  
 იძვრისი//მოძრავი 221

კაკაჩა 219  
 კალიფორნიის დაავადება 92  
 კალმასობა 221  
 კალმახი 220  
 კალოდკა 37  
 კალპაკი 37  
 კალტი 205  
 კანანერი 219  
 კანტიანელი 31  
 კაპგრას სინდრომი 87  
 კაპილაროპათია 85  
 კაპილაროტოქსიკოზი 88  
 კაპლანის ავადმყოფობა 96  
 კაჟი 220  
 კარადა 173  
 კარობკა 37  
 კარხცანა 219  
 კასრი 205  
 კბილაკი 194  
 კეთილ - მჭობელი 221  
 კელერ-პელეგრინი-შტიდას ავადმყოფობა 81  
 კენტრო 218  
 კვანძი 170  
 კვერი 207  
 კვირიონი 220  
 კიმკიმელი 218  
 კინკლოსი 218  
 კინტროფ 62  
 კირი 220  
 კისელბახის ადგილი 95  
 კისის კვანძი 95  
 კლაპანი 37  
 კლდეთამძლე 195  
 კლდელაშქრობა 195  
 კლდემლახველი 195  
 კლდემოლაშქრე 195  
 კლდის-თევზა 219

- კლებადი 194  
 კლეოპატრას სიმპტომი 91  
 კლერკ-ლევე-კრისტესკოს სინდრომი 81  
 კოდი 204  
 კოდის დედა 207  
 კოდისძირი 210  
 კომბაინი 170  
 კომბრი 220  
 კომპიუტერული ენათმეცნიერება 132  
 კომპრესორი 168  
 კომპრესორის აგრეგატი 172  
 კონქი 218  
 კოპალა კარატიონი 199  
 კოჟენიკოვის ეპილეფსია 87  
 კორაკანა 207  
 კორპუსული ენათმეცნიერება 138  
 კოტატი 219  
 კოჭა 220  
 კოჭიმელი 229  
 კოხერის მომჭერი 96  
 კოხის ჩხირი 96  
 კრონოსი 218  
 კუდფეხიანა 194  
 კუთხეზომი 192  
 კუთხზომი 192  
 კურლინგის წყლული 95  
 კურო 218  
 კუსმაულის აფაზია 95
- ლაზავი 37**  
 ლაგრანჟიანი 31  
 ლაგრანჟის ფუნქცია 31  
 ლავარდანი 221  
 ლათინურენოვანი ტერმინოლოგიური ქსელი 299  
 ლაიბნიციანი 31  
 ლაინი 218  
 ლამბლიები 96  
 ლანჩა 221  
 ლაოკოონის სახე 90  
 ლაპლასიანი 32  
 ლაპლასის ოპერატორი 31
- ლაჟვარდი 220  
 ლასეგის სიმპტომი 95  
 ლეიშმანია 95  
 ლელო 195  
 ლესბოსელობა 85  
 ლიბერკიუნის ჯირკვალი 95  
 ლილვაკი 194  
 ლიმის სინდრომი 93  
 ლინგვონიმები 154, 155, 156, 157  
 ლინგვონიმია 155, 157  
 ლიპშიციანი 31  
 ლიტვის კულტურული მემკვიდრეობის ინსპექცია 5  
 ლიტვის რესპუბლიკის პარლამენტის ენობრივი ინსპექცია 5  
 ლიტვური ენის სახელმწიფო კომისიის ლინგვისტური ინსპექცია 5  
 ლიუფტი 37  
 ლიფსიტა 219  
 ლომპრი 206, 207, 210  
 ლომპრიანი 203  
 ლოოზერ-მილკმენის დაავადება 81  
 ლუბდება 203  
 ლუბი 202, 207, 209  
 ლუდვიგის ანგინა 85, 95
- მაგნეზია 220**  
 მათრევი // ბუქსირი 192  
 მაკოტო ტაკაისუს არტერიტი 89  
 მაკროფსია 86  
 მალალური 219, 220  
 მალტის ცხელება 92  
 მამალი ბატკანი 200  
 მამალი-ცხვარი 219  
 მანტუს რეაქცია 95  
 მანქანა 168, 169  
 მარგალიტის ნიჟარა 220  
 მართობი 194  
 მარიამ ჭია 218  
 მარიხი 218  
 მარტო რქა 219  
 მარჯანი 220

- მაშია 220  
 მაჩვი 218  
 მაჩქათელა 219  
 მახავიკი 38  
 მახაჩევის - თანდაყოლილი ტელეან-  
 გიექტაზიური ერიტემა 80  
 მგელი 218, 219, 261  
 მგრანელი 219  
 მგრანელი ჭუა 219  
 მეაბრეშუმე 146  
 მეაბჯრე 146  
 მეაგურე 146  
 მეავტომატე 147  
 მეამწე 147  
 მეარაყე 146  
 მეარმატურე 147  
 მეაფთიაქე 146  
 მებალიში 149  
 მებაყე 146  
 მებატე 146  
 მებატკნე 146  
 მებაღე 147  
 მებერწე 147  
 მებორნე 147, 152  
 მებუკე 147, 152  
 მებულდოზიერი 147  
 მებუფეტე 147  
 მეგაზე 148  
 მეგაზეთე 146  
 მეგარდირობე 147  
 მეგოლე 150, 151  
 მეგოლფე 150  
 მეგუთნე 152  
 მედავითნე 146  
 მედასავლეთე 149  
  
 მედერეფნე 149  
 მედოლე 152  
 მეეტლე 147, 152  
 მევახში 221  
 მეველე 147, 152  
 მევენახე 147, 152  
 მეზარბაზნე 146  
  
 მეზარე 147  
 მეზენიტე 146  
 მეზეობი 207  
 მეზვრე 147, 152  
 მეზურნე 147  
 მეზლაპრე 146  
 მეთარე 147  
 მეთევზე 146  
 მეთეთრეულე 149  
 მეთვალყურე 147  
 მეთოვლია 220  
 მეთონე 146, 152  
 მეთოფე 146  
 მეთოჯინეობა 149  
 მეთულუხჩე 147  
 მეთუნუქე 146  
 მეთხე 147  
 მეიგავე 146  
 მეისრე 147  
 მეისტორიე 147, 153  
 მეკაბე 149  
 მეკალოე 147  
 მეკასრე 146  
 მეკეცე 146, 147  
 მეკობრე 147  
 მეკოდე 147  
 მეკორიდორე 149, 153  
 მეკოსტუმე 149  
 მეკრამიტე 146  
 მეკუბოე 146  
 მეკურტნე 146  
 მელექსე 146  
 მელიანდაგე 147  
 მელითონე 147  
 მელიფტე 147  
 მელტავრო 217, 218  
 მემამულე 146  
 მემანქანე 147, 152  
 მემაწვნი 149  
 მემინდვრე 147  
 მემინე 146  
 მემოდელე 146, 148  
 მემონტაჟე 146

- მემტრედე 146  
 მემუსიკე 147  
 მემწვანილე 147, 148, 152, 153  
 მენაგვე 146  
 მენავე 146  
 მენავთე 146  
 მენავთობე 146, 148  
 მენადმე 146  
 მენაყინე 146, 148  
 მენახშირე 146, 147, 152, 153  
 მენელსაცხებლე 152  
 მენიერის სინდრომი 88, 95  
 მენიერის ავადმყოფობა 96  
 მეპარაშუტე 148  
 მეპატრონე 146, 148  
 მეპერანგე 149  
 მეპურე 152  
 მერიდიანი 60, 102, 218  
 მერუე 146  
 მერძევე 146, 152  
 მესაათე 146, 152  
 მესაბნე 149  
 მესაზღვრე 146  
 მესაკრავე 147  
 მესაკუთრე 146, 152  
 მესანგრე 146  
 მესანთლე 146  
 მესაფლავე 147  
 მესაქონლე 146  
 მესაყვირე 147  
 მესაწყობე 148, 153  
 მესაჭე 147, 152  
 მესახურავე 146  
 მესვია 219  
 მესოსისე 146, 148  
 მესპილენძე 148  
 მესტამზე 146  
 მესტვირე 147, 152  
 მესტრიპტიზე 151  
 მეტაბელე 147  
 მეტატარსალგია 81  
 მეტივე 147, 152  
 მეტყავე 146  
 მეუნაგირე 146  
 მეურმე 147, 152  
 მეფაბრიკე 146  
 მეფანდურე 147, 152  
 მეფარდულე 146  
 მეფეხსაცმელე 146  
 მეფოლადე 147, 148  
 მეფრინველე 146  
 მეფსალმუნე 146, 152  
 მეფუნდუკე 146  
 მეფუნთუშე 146  
 მეფურნე 146, 147, 152, 153  
 მეფუტკრე 152  
 მექაბაბე 146, 149  
 მექათმე 146  
 მექამანდე 146  
 მექარავნე 146  
 მექალადე 146  
 მექვაბე 146  
 მექვეყნე 221  
 მექისე 146, 152  
 მექულე 146  
 მექულბაქე 146, 152  
 მექულე 150  
 მეღალე 146  
 მეღვინე 146, 149, 152  
 მეღორე 146, 152  
 მეყალიბე 146  
 მეყვავილე 146, 148, 152  
 მეყველე 149  
 მეშაბათე 149, 153  
 მეშარვლე 149  
 მეშახტე 146  
 მეშეშე 146  
 მეშუშე 146  
 მეჩაიე 146, 152  
 მეჩეკე 151  
 მეჩექმე 146  
 მეჩიზუხე 147  
 მეჩონგურე 147, 152, 153  
 მეცემენტე 146  
 მეციტრუსე 146  
 მეციხოვნე 147

- მეცხენე 146  
 მეცხვარე 146, 152  
 მეცხვარე მიქა 199  
 მეცხვარეობა 199, 200, 201, 204, 205, 207, 208  
 მეძებარი ძალი 219  
 მეძენგლე 268, 276  
 მეძველმანე 146, 147  
 მეძონძე 147  
 მეძროხე 146  
 მეწარმე 146  
 მეწაღე 146  
 მეწვრილმანე 146, 152  
 მეწულე 146  
 მეწყლე 146, 147  
 მეჭარხლე 146  
 მეჭიანურე 147  
 მეჭოგრიტი 151  
 მეჭურჭლე 146  
 მეხალიჩე 146  
 მეხანძრე 147  
 მეხარკე 147  
 მეხაშე 149, 152  
 მეხიდე 146  
 მეხილე 146  
 მეხორცე 147, 148  
 მეხრე 146  
 მეჯალამბრე 147  
 მეჯინიბე 147, 152  
 მეჯოგე 152  
 მეჯორე 146  
 მეჯღანე 146, 147  
 მზე 218, 229, 230  
 მზე-კოჭიმელი 229  
 მთაბარული 201  
 მთებარე 217  
 მთვარე 218, 229, 230  
 მთვარე-ჭირანო 229  
 მიდმოება 218  
 მიდმოქცევა 218  
 მიდრეკა 218  
 მიკრობები 94, 95, 100  
 მიკროფსია 86  
 მილევადი 194  
 მილკმენის ავადმყოფობა 81  
 მიმინო 219  
 მინასაწმენდი 40  
 მინერალოგია 220  
 მირქმა 309  
 მიუნჰაუზენის სინდრომი 91  
 მიწასაწოვი დანადგარი 169  
 მლაშობი 46, 194  
 მმართავი 147  
 მოგარება 218  
 მოგარებული 218  
 მომვლელი 147  
 მომუშავე 146  
 მომყვანი 146  
 მონაკვეთი 44  
 მონარევე 208  
 მონაცემთა ბანკი 8  
 მონაცემთა ერთობლიობის მედიანა 44  
 მოპირდაპირე კუთხეები 43, 44  
 მორაგბე 151  
 მორაქს-აქსენფელდის ჩხირი 99  
 მორკიოს სინდრომი 81  
 მორტონის დაავადება 81  
 მოსაგები 200, 202, 208  
 მოსაზღვრე კუთხეები 43  
 მოსაქრება 208  
 მოწითალო რვალი 220  
 მოწყობილობა 168, 169  
 მყავე 205, 208  
 მსგეფსი 218  
 მსვენი 220  
 მტრედი 219  
 მუდასილი 220  
 მუთრიბი 221  
 მუკოპოლისაქარიდოზი 81  
 მულგი 280  
 მუმლი 218  
 მუნეჯიბი 217  
 მუნეჯიბობა 217  
 მუტრუკი 219  
 მუშაითი 220

მუშაობა 221  
 მუშთარი 217  
 მუჭირობა 221  
 მუხრუჭი 37  
 მფლობელი 146  
 მფრინავი თევზი 219  
 მქონებლობის აფიქსები 32  
 მყისი 218  
 მცველი 147  
 მცნობი 203, 208, 210  
 მცხვედი 218  
 მპრომი 218  
 მძლოლი 173  
 მწევარი 220  
 მწერ - ჩიტა 221  
 მწველავი 205, 208  
 მწიფობელა 220  
 მწყემსი 146  
 მწყერი 219  
 მჭადა ქვა 220

**ნაბერწალი** 208  
 ნაბუნია 218  
 ნათელ-თევზა 218  
 ნათლისღება 309  
 ნაკანეჩნიკის პილნიკები 38  
 ნაკეცი 228  
 ნარვა 284  
 ნაფოტა თევზი 219  
 ნაყოჩარი 200, 208  
 ნაჩენი 217  
 ნაწიდარი 204, 208  
 ნაწილაკი 194  
 ნახში 221  
 ნევროლოგია 81, 94, 99  
 ნემსი-ყლაპია 220  
 ნეპერიანი 31  
 ნერვული განგლიები 88  
 ნერვული სისტემა 83  
 ნიავება იგივეა 192  
 ნიამორი 219  
 ნიოთერი 33  
 ნიოთერისეულობა 33

ნისლოვანა 194  
 ნიუტონის ბინომი 30  
 ნიუტონის პოტენციალი 31  
 ნოლი 204, 208  
 ნომენი 155, 156  
 ნომენკლატურული ერთეული 156  
 ნოტო 208

**ობუხოვოს საავადმყოფოს სიმდრომი**  
 იხ. ჰოხენეგის სიმპტომი 93  
 ოდრიკალი 217  
 ოზოლინი 284  
 ოთხოპოდი 219  
 ოიდიპოსის კომპლექსი 91  
 ოლარი 331  
 ოლბის ოპერაცია 96  
 ოლოლი 222  
 ონოტი 218  
 ონოტო 221  
 ორაგულა 220  
 ორბი 219  
 ორდედა 209  
 ორიონი 218  
 ორმოვლილი 200, 208  
 ორნაყოლი 200, 208  
 ოროიის ცხელება 93  
 ოსლერის დაავადება 88  
 ოტარიდი 218  
 ოტო-რინო-ლარინგოლოგი 96  
 ოფაზი 220  
 ოფთალმოლოგია 81  
 ოფო 221  
 ოფოფი 219  
 ოქრო 220  
 ოქროს ქვა 220

**პალმერის მილი** 97  
 პარიზის სინდრომი 100  
 პარკინგი//პარკირება 184  
 პარკინსონის ავადმყოფობა 96  
 პაროდონტის დაავადება 86  
 პარპიზი 37  
 პარსვები 208



- პასკალის ლიმასონი 30  
 პედალი 37  
 პელიგრინი-შტიდას ავადმყოფობა 81  
 პერიოდი 60  
 პერუს მეჭეჭი 93  
 პეწიანა 194  
 პიკვიკორუმის სინდრომი 92  
 პოინტერის პროექტი 298  
 პოლინიეროპათიული  
   ერიტროდერმია 81  
 პოლიციტემია 87  
 პორშენი 37  
 პრომეთეს სახე 90  
 პფაფიანი 31  
 პფაფის ფორმა 31  
 პყარი 203
- ჟამი** 217  
 ჟამით-ჟამად 218  
 ჟანეს მეთოდი 96
- რაზვალი** 37  
 რაიტერი 99  
 რენტგენი 84  
 რეპროდუქციული სისტემა 94  
 რეტეკულიოპისტიოციტოზი 85  
 რეტიფიზმი 85  
 რვილი 218  
 რთველი 221  
 რიდ-შტერნბერგის უჯრედები 95  
 რივა-როჩის აპარატი 97  
 რიკეტსიები 96  
 რიმანიანი 32  
 რიმანის ზედაპირი 31  
 რისოლინოს რეფლექსი 95  
 რიყის ქვა 220  
 რობინ ჰუდის სინდრომი 91  
 როკის სიმპტომი 95  
 როჭო 219  
 რუბეროიდის დამამზადებელი აგრე-  
   გატი 171  
 რუმპელ-ლედეს სიმპტომი 85  
 რუჩნიკი/რუჩნოი 37
- საბარგე** 201  
 საბატკნე 204  
 საბერაგამოშვება 208  
 საბერწე 204  
 საბინაო 208  
 საბინაო მეურნეობა 71  
 საბინაო მშენებლობა 70, 71  
 საბინაო პოლიტიკა 68, 71, 72  
 საბინაო სამართალი 71  
 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი  
   70  
 საბუნაგე 201  
 საბურღი დანადგარი 169  
 საგვარეულო სალოცავის ნიში 270  
 სადაფი 220  
 სადგარი 169  
 სადგომი 204  
 სადიზმი 85  
 სადოლე ადგილი 201  
 საეკლესიო საიდუმლო 310  
 საენათმეცნიერო მეტაენა 112  
 საერთაშორისო ტერმინოლოგიური  
   ასოციაცია 8  
 საერთო წვერო 42  
 სავათი 219  
 სავარცხელა 218, 220  
 სავარცხელა თევზი 220  
 საზაფხულოები 201  
 საზიარო წვერო 42  
 სათვლელი მანქანა 21  
 სათოხლე 201, 209  
 საკვეთურა 194  
 საკურთხეველი 270  
 სალა ქვა 220  
 სალამურა 219  
 სალნიკი 37  
 სალუბე 206  
 სამარჯვ-იარაღები 169  
 სამთოები 201, 206  
 სამკუთხედის მედიანა 44  
 სამმოვლილი 200, 206  
 სამნაყოლი 200, 206

- სამსხვრევ-სახარისხებელი დანადგარი 169
- სამტვრე/სამტვრე 38
- სამუხტავი აგრეგატი 172
- სანზატალიონი 196
- სანეკიმი 196
- სანთურა 196
- სანიავო 192
- სანიტარიის ეკიმი 196
- სანიტარული ბატალიონი 196
- სარაჯიშვილის მიქსტურა 83
- სართოი 221
- სარქალი 205, 206
- სასაწველავე 206, 209
- სატანი 209, 210
- საფიზმი 85
- საფსმური 203, 209
- საფქვაკი და საღუმელე აგრეგატები// დანადგარები 171
- საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაცია 297
- საქმიითი სწავლა 221
- საქორფე 209
- სადამოს ვარსკვლავი 217
- საღერძე 217
- საღრტილი 220
- საყველე 201
- საყველე ტახტი 204
- საყოჩე 209
- საყრდენ-მამომრავებელი სისტემა 94
- საშუადღეო ხაზი 218
- საჩინო 218
- საჩობნო 209
- საცეცხლური 209
- საცხოვრებელი 71, 73, 74
- საცხოვრებელი გარემო 74
- საცხოვრებელი პოლიტიკა 70
- საცხოვრებელი ფართი 72
- საცხოვრებლით უზრუნველყოფა 69
- საცხოვრისი 69, 71, 73, 74
- საცხოვრისით უზრუნველყოფა 73
- საცხოვრისის პოლიტიკა 71, 72
- საცხოვრისის სექტორი 72
- საწვეარი 196
- საწველავი 209
- საწოებელი 209
- საწურავი 205
- საჭეშმო 218
- საჭმლის მომწელებელი სისტემა 94
- სახამე 201
- სახმარ-საციქველი 209
- სახსარი 38
- საჯოგე 209
- საჯურავი 209
- სემლიკის ტყის ცხელება 93
- სეტოსდიალექტი 280
- სვაი 218
- სვეჩი 37
- სვინდიკოსობა 220
- სვიფტის სინდრომი 81
- სიბრტყე 194
- სიდენჰამის ქორეა 81
- სივრცე 194
- სიმპტომი 85, 87
- სიმძიმე 194
- სინდრომი 85, 86, 87 : CLC-სინდრომი 81: WPW- სინდრომი 81
- სიპი 206
- სიპიანი 222
- სიპინი 219
- სკვინჩა 219
- სპარეზი 221
- სპილენძი 221
- სპონდიო 220
- სტა 303
- სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტი (CEN) 135
- სტელა 270
- სტენდალის სინდრომი 100
- სტერეონი 218
- სტოკჰოლმის სინდრომი 93
- სტომი 220
- სუბგლოტონიმი 135
- სუფევა 221
- სფიგმომანომეტრი 97

სხივი 44; X-სხივები 84  
სხივთაბნევა 192

**ტაიგის დაავადება** 92  
ტაკაიასუს სინდრომი 95  
ტალი 220  
ტარტუს დიალექტი 280  
ტატანავარსკვლავნი 217  
ტაქსონომიური ერთეულები 97  
ტერმინთა ბანკი 8, 9, 10, 118  
ტერმინთსაცავი 190, 191  
ტერმინოგრაფია 7, 8, 132, 190  
ტორმუზი 37  
ტოქსიკომანია 91  
ტრაუზეს სივრცე 95  
ტუბერკულოზი 96  
ტურბოგენერატორი 170  
ტყის ქათამა//ტყის-ქათამა 219

**უდები** 275  
უზნაძე-მჭედლიშვილის მალამო 97  
უკუგება 196  
უკუნი//საუკუნე 217  
უკუმაზვის აგრეგატი 172  
უმეცრება 229  
უმსგავსი 229  
უმწიფარი ყველი 207  
უოლერის გადაგვარება 95  
უპირატესი 229  
უჟანგავი//უჟანგი 196  
უშენი 218  
უშვი 220  
უშტი 226  
უშტისუშტი 226  
უშქარი 226  
უხსენო 209

**ფალოპის მილი** 95  
ფანდურა ჭია  
ფარა 209  
ფარგა 220  
ფარეხი 202  
ფართედი 194

ფართო პირმოღების აგრეგატი 172  
ფარიანა 194  
ფაროსანა 194  
ფატერის დვრილი 95  
ფაფარიანი ზულა 218  
ფემინისტური დისკურსი 160  
ფერისცვალება 310  
ფეხკავი 209  
ფილაქანი 220  
ფილტვის ტუბერკულოზი 84  
ფინა 220  
ფიქალი 220  
ფლორენციის სინდრომი 90  
ფლუქტუაცია 88  
ფოცხვერი 219  
ფრაკოსანა 194  
ფრეგოლის სინდრომი 94  
ფრედჰოლმი 33  
ფრედჰოლმურობა 33  
ფრენოსანი 192  
ფრთიანა 194  
ფრთოვანა 194  
ფსიქოსენსორული ცვლილებები 86  
ფსოვი 218  
ფუტის მეთოდი 96  
ფხოვი 199

**ქალაქგეგმარება** 68, 74  
ქანობი 194  
ქარზომი//ქარმზომი 192  
ქარსაზომი 192  
ქაფშია 222  
ქაშანური 220  
ქაშაყის ფხა 259  
ქედანა 219  
ქერქული ეპილეფსია 87  
ქერცლოვანი აგრეგატი 172  
ქვა ყომრალი 220  
ქვაჯვარა 270  
ქვის ლოდი 270  
ქოდქოდა 218  
ქორფა 200, 202, 209  
ქოფაკი 219

- ქობი 201, 202, 204, 210  
 ქულა 220  
 ქურციკი 219  
 ქუსლი 196
- ღადარინელი** 217  
 ღალღა 219  
 ღაჟო 218  
 ღარაკი 194  
 ღვთივმადლიერი 308  
 ღვთივსულიერი 308  
 ღვთის მიმქმელი 308  
 ღვთის შემწყნარებელი 308  
 ღვინის მარილი 220  
 ღვლიპი 220  
 ღილაკი 194  
 ღლაპი//ღლიპი 220  
 ღობე - მძვრალა 222  
 ღობურა 194  
 ღრამი 229
- ყალია** 205  
 ყელკავი 210  
 ყველისძირი 210  
 ყირიმ-კონგოს ცხელეზა 93  
 ყიფშიძის სიმპტომი 83  
 ყორანი 219  
 ყოჩი 210  
 ყრულა 219  
 ყრუანჩელა 219
- შაბი** 220  
 შაბოში 210  
 შაგასის ავადმყოფობა  
 შავარდენი 220  
 შარნირი 38  
 შასი 36  
 შატუნი 37  
 შემკეთებელი 146  
 შემოგოზვა 221  
 შენლეინ-ჰენოხის დაავადება// პურ-  
 პური 88  
 შეყვარება 210
- შვეტი 221  
 შვეული მიმართულება 42  
 შთანთქმა 192  
 შთანთქმელი 192  
 შთანთქმი 192  
 შიგელები 96  
 შირმის ქვა 220  
 შიშაგი 218  
 შიშაქი 210  
 შკაფი 173  
 შოფერი 173  
 შრავი 210  
 შრუსი(ყუმბარა) 37  
 შხლაპურტი 210
- ჩამოყენება** 210  
 ჩანაწერის ინდექსი 140  
 ჩარხი 169  
 ჩაუქობა 221  
 ჩენა 274  
 ჩერნის ოპერაცია 96  
 ჩიკორი 220  
 ჩოგი 210  
 ჩორთით მოსიარულე ცხენი 220  
 ჩოჩორი 219  
 ჩხა 210  
 ჩხართვი 219  
 ჩხიკვი 219
- ცაფერი** 220  
 ცეპლენია//ცეპლენიე 37  
 ცერვანო 218  
 ცთომილი 218  
 ციბა//ციბაკი 220  
 ციმორა თევზი 219  
 ცის იკანკლუდი 218  
 ცისად-ცისადი 221  
 ცისიერი 218  
 ცის-სარტყელა//ცის-მშვილდი 218  
 ცისფერი - ქვა 220  
 ცორნი 32  
 ცორნის ლემის გამოყენება//ცორნიფი-  
 კაცია 32

- ცეტი60  
 ცხენი ზედაური 218  
 ცხენ-ირემი 219  
 ცხვარი 199, 202, 203, 206, 210  
 ცხვრიანი 210  
 ცხვრის კალტი 210  
 ცხრა - მუცელა 222  
 ცხრა-ტყავა 218
- ძალსაზომი 193  
 ძალური დანადგარი 168  
 ძაფსახვევი 195  
 ძეგლთდება 267, 274, 275  
 ძეგლი სჯულისა 267  
 ძეგლი/ძენგლი/ძერგლი/ძერგი 269, 275  
 ძეგლი-განაჩენი 267, 273, 274  
 ძეგლისწერა 267, 271, 272, 273  
 ძეგნე//ძეგნი 269  
 ძენგლად აძე [სძე]  
 ძენგლი 268, 275, 276, ძენგლს დაი-  
 დებს 268, 269; ჯარ-ქვაბით  
 მეძენგლე 276  
 ძერა 219  
 ძოწი 220
- წავი 219  
 წამყვანი 147  
 წებოვანა 194  
 წენტილი//წერტილი 229  
 წვერო 42, 43  
 წივწივა 220  
 წინა ფრთა 37  
 წირი 63, 229  
 წიწკანა 222  
 წმინდა ვიტის ცეკვა 81  
 წმინდა ნიში 273  
 წრიალა 22  
 წრუწუნა 219  
 წრფე 42, 63, 235  
 წრფელი წრე 63  
 წყალ-წყალა 220
- ჭავი 219  
 ჭალური 210  
 ჭანარი 220  
 ჭედილი 210  
 ჭეო 220  
 ჭიმჭიმელი 218  
 ჭინო 219  
 ჭინჭრაქა 232  
 ჭირანო 229  
 ჭიჭყინა თევზი 219  
 ჭკა 219  
 ჭოტი 220  
 ჭრიჭინა//ჭიჭინა 220
- ხაზი 229, 235  
 ხაზის აგრეგატი 172  
 ხამარი 221  
 ხამი შიშაქი 210  
 ხარი-ჰარია 217  
 ხაშური 220  
 ხეკაკუნა 219  
 ხეკოდა 219  
 ხელზე დაყრა 210  
 ხვადი ძალი 219  
 ხვანჭკარა 213  
 ხვიმენი 218  
 ხვლიხი 220  
 ხიროსიმის სახე 90  
 ხისტად შეწყვილებული აგრეგატი 172  
 ხიხაური 222  
 ხლართულბოჭკოვანი აგრეგატი 172  
 ხმალიკა 210  
 ხმამალამოლაპარაკე აგრეგატი  
 ხორწვენი 210  
 ხრახნმცობი//ხრახნსაცობი იგივეა,  
 რაც ვენტილი 192  
 ხრდალი 219  
 ხსენი 203, 209, 210  
 ხუროთ-მოდღვარი 220  
 ხურობა 220

- ჯორჯენი 205
- ჯ**  
 ჯამა 219  
 ჯამბაზი 220  
 ჯარბი 218  
 ჯეკსონის ეპილეფსია 95  
 ჯვარედი 194  
 ჯვართამაღლება 309  
 ჯვაროსანა 194  
 ჯინიბობა 221  
 ჯინხვა 218  
 ჯიხვი 219  
 ჯოგრი 218  
 ჯორი 219  
 ჯოჯო 220  
 ჯოჯო კლდისა 220
- ჭ**  
 ჭაერსაბერი 39  
 ჭაიმის ოპერაცია 96  
 ჭამილტონიანი 31  
 ჭანტერის სინდრომი 85  
 ჭარტნაპის დაავადება 100  
 ჭარტნაპის საოჯახო სინდრომი 89  
 ჭაუსდორფი 33  
 ჭაუსდორფულობა 33  
 ჭეიგმანის სინდრომი 89  
 ჭე-ლას უჯრედები 100; ჭელას//ჭე-  
 ლას უჯრედების შტამი 89  
 ჭემორაგია 87  
 ჭემორაგიული ვასკულიტი 88  
 ჭენდ-კრისჩენ-შიულერის დაავადება  
 86  
 ჭენზელი 32  
 ჭენზელიზაცია 32  
 ჭეპატოსპლენომეგალია 87  
 ჭერკულესის დაავადება 91  
 ჭესეს დეტერმინანტი 31  
 ჭესიანი 31  
 ჭიბრალტარის ცხელება 92  
 ჭიდრავლიკური აგრეგატი 172  
 ჭიდრომონოციტოზი 171  
 ჭიპოკრატეს სახე 90  
 ჭისის კონა 95
- ჰოვის კორსეტი 97  
 ჰოფმანის დაავადება 98  
 ჰოფმანის მამა 97  
 ჰოხენეგის სიმპტომი 93  
 ჰუნერის წყლული 95  
 ჰუპარტის იოგი 94
- A**  
 Abel – Abelian 30  
 Abelian integral 30  
 Abt-letterer-siwe syndrome 88  
 Abuladze method 83  
 Addison's disease 87  
 Ahasuerus' syndrome 91  
 Ahasverus 91  
 Akureyri syndrome 92  
 Alice in wonderland syndrome 92  
 Angles opposes 43  
 Aphrodite 84  
 Archimedean spiral 30  
 Archimedes – archimedean 30  
 Ardmore syndrome 92  
 Aristoteles –aristotelian 30  
 Aristotelian logic 30
- B**  
 Barlow's disease 98  
 Bartonellosi 93  
 Berezin – Berezinian 30  
 Bezout eliminant 32  
 Bezoutient 32  
 Brower – Browerian 30  
 Browerian lattice 30  
 Capillarotoxicosis 88  
 Cartesian coordinates 30
- C**  
 Chorea sydenhami 81  
 Choreia 81
- D**  
 D'alembert – d'alembertian (d'alembert's  
 operator) 30  
 d'Acosta syndrome 89  
 Daltonismus 84

- Decartes – Cartesian 30  
 Dedekind – dedekind property 33  
 Desargues – Argesian 30  
 Development plan of the estonian language (DPEL) 286, 288, 289, 290, 291, 295  
 Development strategy of the estonian language 2004-2010 288  
 Diophantine equations 30  
 Diophantus – Diophantine 30  
 Down syndrome 81  
 DSEL 288  
  
**E. Brill-Symmers disease** 88  
 EAFT - European Association for Terminology 299, 300  
 Eestikeelse terminoloogia programm 2013–2017 292  
 EKI 292  
 ELLC 292  
 ELRA - European Language Resources Association 299  
 EMT 135  
 Eponimum 79  
 Eponym 79  
 Eponymos 34, 79  
 ESTERM 292, 293  
 Estonian Legal Language Centre 292  
 Estonian Terminology Association 293  
 ETER 293  
 Euclid – Euclidean 30  
 Euclid's algorithm 30  
 Euclidean algorithm 30  
 Euclidean space 30  
 Euler – Eulerian 30  
 Eulerian angles 30  
 EUROVOC 293  
  
 Facies Hippocratica 90  
 Facies Voltaire 90  
 Febris haemorrhagica crimiana 93  
 Fregoli syndrome 94  
  
**Galilean transformation** 30  
 Galilei – Galilean 30  
 Gauss – Gaussian 30  
 Gaussian constant 30  
 Gaussian distribution 30  
 Gegenwinkel 42, 45  
 Gilmore's Groin 80  
  
**Glove compartment (glove box)** 38  
 Gödel – Gödelian 30  
 Gödelize 30  
 Gosplan 281  
 Gram - Gramian (Gram's determinant) 30  
 Gramian 31  
 Grassmanian 31  
 Grassmanian space 31  
  
**Hamilton – Hamiltonian** 30  
 Hamiltonian operator or Hamiltonian 30  
 Hausdorff 30  
 HeLa cells 89  
 HeLa 89  
 Hensel – Henselian 30  
 Henselian ring 30  
 Henselization 30  
 Hermite – Hermitian 30  
 Hermitian kernel 30  
 Hesse – Hessian 30  
 Hesse determinant or Hessian 30  
 Hippocratic face 90  
 Houses and flats considered collectively 69  
 Housing 69, 75, 77  
 Housing Policy 68, 69, 72, 75, 77, 78  
 Hurtnup disease 89  
  
 Infoterm –International Informational Centre for Terminology 8, 117, 123, 124, 299  
 Inside rear-view mirror 39  
 Institute of the Estonian Language 292

- Jacobi – Jacobian (Jacobi's determinant)  
30  
Jerusalem syndrome 94, 104  
Job syndrome 91, 104  
Job-Buckley syndrome 91
- K**antian 31  
KGB 281  
Kipshidze symptom 83
- L.** Symmers morbus //E. Brill-Symmers disease 88  
Lagrange – Lagrangian 30  
Laplace – Laplacian (Laplace's operator) 30  
Laplacian 30  
Legendre polynomials 31  
Leibnitzian 31  
Lima Syndrome 93  
Linux 294  
Lipschitzian 31  
Lorentz – Lorentzian (Lorentz operator) 30  
lt Lietuvos Respublikos terminų bankas 9  
LTT-Network Lexicologie Terminologie Traduction 299
- M**aladie de Bourneville 80  
Malta Fever 92  
MARTIF (ISO 12200) 136, 143, 144  
MATER (ISO 6156) 136, 144  
Maxwell's equation 31  
Ménière's disease – MD 88  
MILITERM 292  
Mille 228  
Millione 228  
Minkowski – Minkowskian 30  
Minkowskian geometry 30  
Mixtura Sarajishvili 83  
MLAP 298  
Monocoque body 39  
Morbus Addisoni 87  
Morbus Akureyri 92
- Morbus Hurtnapi 89  
Morbus Shagasi // Shagasi disease 88  
Morbus Vaqiezis // Vaquez disease 87  
Morbus Wehrlhofi // Wehrhof disease 87  
Morquio syndrome 81  
Morton disease 81  
Munchausen syndrome 91, 104  
Mycobacterium tuberculosis 96
- N**aperian 30, 31  
Napierian logarithm 30  
NATO 293  
Newton – Newtonian 30  
Newtonian potential 30  
Noether – Noetherian 30  
Noether - Noetherian properties 33
- O**bukhovo hospital syndrome 93  
Ödipuskomplex 91  
Open Office 294  
Opposite angles 42, 44, 45  
Opposite angles of a parallelogram 44  
Oroya febris 93  
Osteitis pubis // sportsman groin 80
- P**aris syndrome 93, 104  
Peruvian warts 93  
Pfaff – Pfaffian 30  
Pfaffian form or Pfaffian 30  
Pfaffian transformation 30  
Pickwickian syndrome 92  
Pointer Project - Proposals for an Operational Infrastructure for Terminology in Europe 298, 304  
Potter J. 164  
Proprius 86  
Purpura rheumatica 88  
Pythagoras – Pythagorean 30  
Pythagorean numbers 30
- R**ealiter (Pan-Latin Terminology network) 299



- Reber A. S. 165  
 Riemann – Riemannian 30  
 Riemannian surface or Riemannian 30  
 Robin Hood syndrome 92  
 Rontgen 84  
 Ruse C. 164
- S**aphismus 85  
 Sarajishvili mixture 83, 104  
 Scheitelwinkel 42, 45  
 SDL Trados Studio 177  
 Semliki forest fever 93  
 Shagasi disease 88  
 Shopping 188, 189  
 Side window blower 39  
 Skolinti terminai ir jų atitikmenys 8  
 Social Housing 75  
 Sportsman groin 80  
 Stendhal syndrome 90, 104  
 Stockholm syndrome 93, 104  
 Sydenham chorea 81  
 Symptoma Kipshidze 83  
 Symptoma Rumpel-Leede 85  
 Symptoma Vigouroux-Tarchanov-Charcot 83  
 Syndrôme de Paris // Paris syndrome 93  
 Syndrome du voyageur 93
- T**akayasu's arteritis 89, 95  
 Tarchanov reflex 83  
 Taylor Swift syndrome 81  
 TERMEKI 293  
 The Euclid algorithm 30  
 The Right to Adequate Housing 75  
 TNC 300  
 Turmanidze ointment 82, 104  
 Unguentum Turmanidze 82
- V**an Gogh syndrome 90, 104  
 Vaquez disease 87  
 verruca peruviana 93  
 Vertex 42, 45  
 Vertical angles 42, 45  
 Vertically opposite angles 42  
 Voltaire face 90
- W**egener's granulomatosis 89  
 Wehrhof disease 87
- Werther syndrome 92  
 Windows Office 294  
 Windows XP 294  
 windscreen wiper 40  
 Wolff-Parkinson-White 81  
 Wronski – Wronskian 30  
 Wronskian determinant 30
- Z**orn 32  
 Zornification 32
- А**дамант 220  
 Адвокатура 220  
 Аклиматизация 220  
 Акробат 220  
 Алтарь 310  
 Амвон 310  
 Аметист 220  
 Анализ 164, 217, 220  
 Анафема 311  
 Арсеник 220  
 Артель 220  
 Архиепископ 310  
 Архиерей 310  
 Архимандрит 310  
 Архитектор 220  
 Архитектура 220  
 Астролог 217  
 Астроном 217  
 Астрономия 217  
 Атом 220  
 Афродита (планета) 217
- Б**азалт 220  
 Бардачок 38, 39  
 Барельеф 220  
 Башмак 220

- Бензин 221  
 Благовещение 309  
 Блистание 217  
 блистание звезд 217  
 Блуждающие звезды 217  
 Бог 307  
 Богобоязненный 307  
 Боговдохновенный 308  
 Богомолец 307  
 Богомолье 307  
 Богомольный 307  
 Богоневеста 308  
 Богоотроковица 308  
 Богоприемная 308  
 Богоприимец 308  
 Богослов 307, 308  
 Боготворить 307  
 Боявление 309  
 Бульжник 220
- В**алун 220  
 Век 217  
 Венера (планета) 217  
 Вертикальные углы 43, 45  
 Вершок 221  
 Веста (планета) 217  
 Ветеринар 221  
 Вечерница (сириус) 217  
 Виденный 217  
 Вино разведенное водою 221  
 Виноторговец 221  
 Внешний 217, 221  
 Внутреннее зеркало заднего вида 39  
 Воздвижение 309  
 Вознесение 309  
 Волокита 221  
 Время 217  
 Высокомерный 221
- Гагат 220  
 Газ 217  
 Геморрагическая лихорадка Крым-  
 Конго 93
- Гермафродит 221  
 Гимнаст 221  
 Гимнастическая арена 221  
 Глинозём 220  
 Гореть ясно 217  
 Горизонт 217  
 Горькозём 220
- Д**вижимый 221  
 Делимость 221  
 Диакон 310, 311  
 Диаметр 217  
 Диск 217  
 Дуга 217
- Е**го орбита 218  
 Епипрахиль 311  
 Епитимия 311  
 Ея орбита 217, 218
- Ж**ертвенник 310  
 Жилая Среда 74  
 Жилище 71, 74  
 Жилищная Политика 72  
 Жилищное Право 71  
 Жилищное Хозяйство 71  
 Жилищно-Строительный Кооператив  
 71  
 Жилищный 71  
 Жилой 71
- З**везда не заходящая 218  
 Здравомыслящий 221  
 Зевс (планета) 217  
 Земляк 221  
 Зеркало 37, 39  
 Зимнее солнцестояние 217  
 Золото 220  
 Золото чистое 220
- И**звесть 220  
 Извилистый путь 218  
 Иконостас 310

- Истинный 218
- Камень винный** 220
- Карниз 221
- Квасцы 220
- Клеенка 221
- Клеймить 221
- Козерог (зодиак) 218
- Колебание 218
- Количество 221
- Коневодство 221
- Конус 218
- Коралл 220
- Косой 218
- Кремен 220
- Кремортартер 220
- Крещение 309
- Круг 218
- Кругляк 220
- Кружок 218
- Крыло 36, 37
- Крыло переднее 37
- Лазурь** 220
- Лал 220
- Латун 220
- Лихвенный процент 221
- лихорадка леса Семлики 93
- Ловкость 221
- Луна 229
- Лунатик 221
- Мародерство** 221
- Марс (планета) 218
- Масса 218
- Медведица (созвездие) 218
- Меридиан 218
- Меркурий (планета) 218
- Меркурия орбита 218
- Место для игр 221
- Метеор 218
- Минерал 220
- Млечный путь 218
- Мозаика 221
- Момент 218
- Мотыга 221
- Музыкант 221
- Наканечник** 38
- Насос 170
- Натр 220
- Неделя (седьмица) 218
- Недостаток 221
- Необитаемая 218
- Необозримый 218
- Непрямой 218
- Несущий кузов 39
- Облачение** 311
- Обозрение моря 221
- Обращение 218
- Общукатурить 221
- Овен (зодиак) 218
- Окружать 218
- Окруженный 218
- Олтарь 310
- Опиум 221
- Оптом 221
- Орбита 229
- Орион (созвездие) 218
- От времени до времени 218
- От начала мира 218
- Отклонять свет 218
- Отражение солнечных лучей от зеркала 218
- Патриарх** 310
- Пемза 220
- Перламутр 220
- Перпендикулярно 221
- Планета 217, 218
- Плоский камень 220
- Поверхност наружность 218
- Поворот солнца 218
- Подводный камень 220

- Подошва обуви 221  
 Подражать 221  
 Поздний 218  
 Половой орган 221  
 Практика 221  
 Преображение 310  
 Престол 310  
 Путеводитель 221  
 Пыльник 38  
  
**Работа** 170, 221  
 Равноденствие 218  
 Радуга 218  
 Разглашать 221  
 редуктор 170  
 Резина 221  
 Риза 311  
 Рогатка 221  
 Ростовщик 221  
 Рубин 220  
 Рычаг 221  
  
**Санбат** 196  
 Санврач 196  
 Сатурн (планета) 218  
 Сбор вина 221  
 Сбор винограда 221  
 Сбор хлеба 221  
 Свод 218  
 Селитра 220  
 Симптом Обуховской больницы 93  
 Синдром Блума или Синдром Блум-Торре-Мачэйкик 80  
 Скорпион 218  
 Сода 220  
 Солнце 217  
 Солнце 218, 229, 230  
 Соль морская 220  
 Сосредоточить 221  
 Сретение 309  
 Стекло 37  
  
 Стекло ветровое 37  
 Стеклоочиститель 40  
 Стрела 218  
  
**Телескоп** 218  
 Телец (зодиак) 218  
 Тиски, пресс 221  
 Ткальный инструмент 221  
 Ткань 221  
 Тоннель 221  
 Тормоз 37  
  
**Уборочный агрегат** (трактор и комбайн) 170  
 узел 170  
 Узор 221  
 Унифицированный узел машины 170  
 Успение 310  
  
**Фаянс** 220  
  
**Хрисолит** 220  
  
**Царство** 221  
 Центр 218  
 Цикл 218  
  
**Час** 217, 218  
  
**Шасси** 36  
 Шипучее вино 221  
  
**Электродвигатель** 170  
 Епископ 310  
 Эпоним 79, 101  
  
**Юг** 218, 221  
 Юпитер (планета) 218  
 Юриспудент 221  
  
**Ярмарка** 221

## პირთა და გეოგრაფიული სახელები

- აბაშიძე ლ. 102  
აბაშიძე ს. 102  
აბრამი 97  
აბულაძე დ. 83  
ადდისონი 98  
ადისონი თ. 87  
ავალიშვილი იოს. 53, 65, 66, 226, 227, 228, 230  
ავსტრია 298, 300  
ავსტრიელი 80, 85, 87, 92, 93, 96  
ალბინი 97  
ალექსანდროვი ს. ა. 85  
ალმეიდა 98  
ალცგეიმერი//ალცჰაიმერი 98  
ალცჰეიმერი 98  
ამერიკელი 95, 96  
ანდები 93  
ანდრადე 98  
ანთიმე ჯ. 33  
ანო 98  
ანრი ბეილი 90  
ანჯელუჩი 97  
არაბული ა. 2, 23, 27, 119, 123, 130, 167  
არაგაო 98  
არაგაოს(ი) 98  
არანცი 97  
არდი 97  
არიას-სტელა 98  
არმანი 97  
არნუ 98  
არნუს(ი) 98  
აროიო 98  
~~არსენ კათალიკოსი~~  
~~არტუზიო~~  
არუგა 98  
არხანგელსკი 97  
ასკოლი 97, 98  
ასპერგერი ჰ. 87  
ასტრინსკი 97  
აუესკი 98  
აუკსორიუტე ა. 3  
აქილევსი 91  
აშერი რ. 91  
აშშ 92, 244  
ახვლედიანი გ. 105, 106, 107, 110, 111, 112, 113, 114, 195, 196  
აჰასფერი 91  
ზაბინსკი 97  
ზაგრატ III 212, 213  
ზადგლი 97  
ზაზე 98  
ზაზეს(ი) 98  
ზაზიაშვილი ვ. 101  
ზაიარჟე 98  
ზაკლი 97, 98  
ზალახოვსკი 97  
ზალე 98  
ზანკი 98  
ზანტი 96, 97  
ზარანი რ. 96  
ზარზაგალო 98  
ზარე 98  
ზარეს(ი) 98  
ზარკავა მ. 301, 303  
ზარლოვი 98  
ზარლოუ 98  
ზარსელონა 300  
ზასინი 97  
ზაქრადე ი. 102  
ზახტამე გრ. 81, 102  
ზეზრედკა 98  
ზეზრედკას(ი) 98  
ზეილი 97  
ზელგია 18  
ზელეცკი 97  
ზელი 94, 95  
ზელინი 97  
ზენედიქტოს ადამანტიადესი 89

ბენიე 98  
 ბერი იურგის პაბრეჟა 8  
 ბერიძე ვუკ. 106, 110, 166, 228, 230,  
 301, 303  
 ბერიძე ვ. 303  
 ბერძენი 85, 90,  
 ბერძენიშვილი დ. 273, 276  
 ბეჟაია გ. 102  
 ბეჰეტი ჰ. 89  
 ბვამბის ოლეი 93  
 ბიანკო 98  
 ბიანკოს(ი) 98  
 ბიბილეიშვილი ლ. 13  
 ბიგილოუ 98  
 ბისტრიცკი 97  
 ბიულაუ 98  
 ბიცოცერო 98  
 ბიწაძე ს. 270, 276  
 ბლო 98  
 ბოგოლიუბოვი ა. 21  
 ბონი თ. 151  
 ბრაზილიელი 88  
 ბრეტონი ნიკოლა რეტიფ დე ლა 85  
 ბრილი 98  
 ბრისო 98  
 ბურდონი 214, 222  
 ბურჭულაძე თ. 23, 187  
 ბურჭულაძე ნ. 303  
 ბუქარესტი 299  
  
 გაბასტუ 98  
 გაბასტუს(ი) 98  
 გაბესკირია ც. 29, 33  
 გაგუა რ. 77  
 გაერთიანებული სამეფო 299  
 გამყრელიძე თ. 130, 162, 164  
 გამყრელიძე ო. 2, 303  
 განდი 97  
 გარსია 98  
 გარსიას(ი) 98  
 გაჩეჩილაძე პ. 216, 222  
 გედენიძე ა. 102  
 გეინე-მედინი 99

გემგოლცი 98  
 გენერალი მურავიოვი 214  
 გერმანელი 42, 82, 84, 85, 86, 87, 88,  
 89, 96, 98, 280  
 გერმანია 18, 298  
 გერტერ-ჰეიბნერი 99  
 გვახარია გ. 160, 164  
 გიგინეიშვილი ბ. 277  
 გიგინეიშვილი ივ. 188  
 გიორგაძე ლ. 2, 35, 306  
 გიორგი მეხუთე ბრწყინვალე 274,  
 275, 276  
 გიორგობიანი თ. 268, 270, 272, 277  
 გიუნაშვილი ელ. 277  
 გოგიშვილი გ. 2, 42, 44  
 გოგიჩაძე გ. 80, 102  
 გოგუაძე ჯ. 102  
 გოეთე ი. ვ. 92  
 გოლჯი 97, 98  
 გომართელი ივ. 212, 213, 214, 215,  
 222  
 გუნტერ-გურლერი 98  
  
 დ'აკოსტა 90  
 დავითაია ე. 213, 214, 215, 222  
 დათაშვილი გ. 33  
 დათეშიძე ა. 101  
 დათეშიძე ლ. 82, 101  
 დათეშიძე ნ. 2, 46, 302  
 დათუკიშვილი ქ. 302  
 დალტონი ჯ. 84  
 დანია 297, 300  
 დენენჰოლცი 85  
 დვალი რ. 35, 40, 77, 191  
 დიდი ჯიხაიში 14, 19  
 დიკენსი ჩ. 92  
 დიშევი ა. 152  
 დოჩანაშვილი ელ. 277  
 დოჯსონი ჩ. ლ. 86  
  
 ევროპა 8, 14, 15, 17, 20, 59, 177, 213,  
 294, 297, 298, 300, 302  
 ელპიდინი 14

ერისთავი რ. 195, 212, 217, 222, 225,  
229, 230  
ესპანეთი 297, 298, 300  
ესპანელი 90  
ესტონეთი 280, 281, 282, 283, 284, 287,  
289, 290, 291, 292, 293, 294, 300  
ესტონელი 281, 294

ვაინბერგი 95, 99, 101,  
ვალე ფ. 86  
ვან გოგი 90  
ვარნავსკაია 82, 101  
ვარშავა 299  
ვაშაყმაძე შ. 212, 222  
ვაჩნაძე ნ. 77  
ვებერი ე. ჰ. 86  
ვებსტერი მ. 69, 159, 160, 164  
ვეგენერი ფ. 89  
ვერდნიგ-გოფმანი//ვერდნიგ-ჰოფმა-  
ნი 98  
ვერლგოფს 98  
ვერლჰოფ პ. გ. 98  
ვერტჰაიმი ე. 85, 86  
ვინგეითი პ. 91  
ვლადიკავკაზი 126

ზაგრები 299  
ზექლაშვილი რ. 79, 101  
ზურეზიანი ლ. 148, 149, 151

თანდილავა ალ. 269, 277  
თარხან-მოურავი ივანე // თარხანო-  
ვი 83  
თბილისი 17, 27, 33, 35, 40, 53, 56, 58,  
65, 66, 77, 101, 102, 105, 106, 113, 114,  
130, 157, 162, 164, 165, 174, 187, 188,  
213, 214, 222, 227, 230, 276,  
277, 278, 300, 303, 306, 307, 312  
თებე 92  
თევდორაძე ნ. 162, 164  
თელენი მ. 113  
თელია 81, 101  
თოდი 86

თოფურია ვ. 188, 196  
თურმანიძე 82, 83, 97, 100  
თურქი 88

იანოვსკი კ. 225  
იაფე 101  
იაპონელი 82, 93  
იერსენი ა. 96  
იერუსალიმი 218  
ინგლისელი 42, 43, 82, 84, 86, 87,  
იონანე პეტრიწი 63, 66, 229  
იობი 91  
იორდინიშვილი ლ. 229, 230,  
ირლანდია 300  
ისლანდია 92  
იტალია 18, 239, 244, 245, 253, 298,  
300  
იტალიელი 82, 90, 94,

კაიშური ლ. 77  
კალიფორნია 92  
კანდელაკი ტ. 156, 157  
კარლ ფრიდრიხ იერონიმ მიუნჰაუ-  
ზენი 91  
კასრაძე მ. 81, 102  
კაციტაძე გ. 102  
კაციტაძე ზ. 81, 102  
კეკელიძე კ. 106, 107, 113  
კეცხოველი ნ. 49, 195  
კვაჭაძე ც. 301, 303  
კიევი 83  
კიზირია დ. 303  
კიკვიძე ზ. 154, 157,  
კიკვიძე ც. 277  
კიკნაძე ზ. 130, 164, 269, 277  
კიკნაძე მ. 101  
კობახიძე ა. 99, 102  
კოჟევნიკოვი ა. ი. 87  
კორბონი 94  
კოხი რ. 96  
კრეიცფელდტი 99  
კროიცფელტსი 101

- ლამზლი დ. ფ.** 96  
 ლასენი ნ. 92  
 ლატვია 118,  
 ლეიშმანი უ.ბ. 96  
 ლესბოსი 85  
 ლეტერერი ე. 85  
 ლიმა 93  
 ლიტვა პ, 5, 6, 9, 300  
 ლობჟანიძე ი. 132  
 ლომთათიძე ქ. 196  
 ლუის კეროლი 86, 92  
 ლუქსემბურგი 300
- მაგერინი გ.** 90  
 მაიერჰოფი 98  
 მაისურაძე ე. 151, 152  
 მანჯგალაძე მ. 3  
 მართალი სჯემონ 308  
 მარკიზ დე სადი 85  
 მარკო პოლო 228  
 მარფანი 90  
 მალრაძე ვ. 146, 187, 188  
 მაცაშვილი ალ. 51, 197  
 მაჭავარიანი მ. 128  
 მაჭავარიანი ნ. 267, 278  
 მახარაძე ნ. 302  
 მეიე ა. 156  
 მეიერგოფი 98  
 მელიქიშვილი დ. 176, 180, 302  
 მენადარიშვილი მ. 102  
 მენიერი პ. 88  
 მესხია შ. 268, 270, 277  
 მიროტაძე თ. 102  
 მიხელსონი 214, 222  
 მორაკს-აკსელდელფი//მორაქს-აქ-  
 სენფელდი 99  
 მორის დ'ოკანი 20  
 მოსკოვი 21, 40  
 მუზაშვილი ნ. 2, 46, 302  
 მუსხელიშვილი ნ. 20, 60, 66, 195  
 მუხრანბატონი ივანე 212
- ნადირაძე ე.** 277
- ნასონოვა ვ. ა. 88  
 ნიკოლაძე გ. 13, 14, 17, 21, 60, 66  
 ნიკოლაძე ნ. 13, 14, 15, 16, 17  
 ნიკოლაძე რ. 19  
 ნილსონი ჰ. 300  
 ნორვეგია 300
- ოდესა** 83  
 ოიდიპოსი 92  
 ოკლაჰომის შტატი 92  
 ომიადე ს. 154, 162, 163, 164  
 ოროია 93  
 ოსაძე მ. 2, 46, 113, 302
- პაპავა ვ.** 2, 303  
 პაპავა თ. 101  
 პარიზი 17, 18, 19, 20, 93, 238, 255  
 პერუ 90, 93  
 პრუსია 91
- ჟენევა** 14, 15
- რაზმაძე ა.** 20  
 რაიტერი 99, 101  
 რენტგენი ვ. კ. 84  
 რობინ ჰუდი 92  
 რუსეთი 14, 25, 26, 59, 213, 215  
 რუსთაველი 14, 228  
 რუსი 82, 85, 88, 280, 281, 284, 285
- საბერძნეთი** 300  
 სადი მ.დ. 85  
 სალია ი. 159  
 სანკტ-პეტერბურგი // პეტერბურგი  
 14, 83, 93, 215,  
 სარაჯიშვილი პ. 83  
 სარჯველაძე ზ. 277  
 საფო 85  
 საფრანგეთი 18, 238, 255, 257, 297, 298,  
 300  
 საქართველო 2, 3, 18, 19, 21, 25, 26,  
 46, 54, 55, 56, 57, 58, 59, 64, 65, 68,  
 71, 72, 75, 76, 77, 82, 83, 102, 105,



- 107, 114, 117, 119, 120, 123, 126,  
127, 167, 168, 177, 191, 199, 200,  
212, 225, 227, 231, 232, 233, 236,  
268, 269, 270, 273, 274, 276, 277,  
297, 300, 302, 303, 304
- სემლივი 93  
სივე 85, 88  
სილაშაძე 284  
სიმენსი 18  
სიმერსი 88  
სიმონიშვილი ი. 102  
სკანდინავია 298  
სლოვაკეთი 300  
სორბონა 14, 18  
სოფოკლე 92  
სტენდალი 90  
სტოკჰოლმი 93, 151  
სუთიძე ლ. 166, 196  
სულხან-საბა ორბელიანი 60, 61, 62,  
63, 66, 216, 226, 227, 230, 277, 306  
სუმბათაშვილი ალ. 215  
სხირტლაძე ნ. 2, 176
- ტაიგა** 92  
ტაკაიასუ მ 89, 95.
- უგანდი** 93  
უნგრეთი 300  
უფიმცევა 81, 101  
უჯმაჯურიძე ი. 190  
ფაჩულია კ. 77  
ფეილი 94  
ფინკი ფ. ნ. 156  
ფლამანდიელი 84  
ფლორენცია 90  
ფრანგი 31, 80, 82, 84, 85, 86, 88, 90,  
159  
ფრეგოლი ლ. 94  
ფროიდი ა. 93  
ფროიდი ზ. 92  
ფუკო მ. 159, 160
- ქართველი 25, 48, 55, 66, 83, 99, 128,  
148, 190, 197, 201, 214, 226, 227,  
228, 231, 301  
ქაროსანიძე ლ. 2, 53, 114, 180, 190,  
192, 302  
ქეშიკაშვილი ი. 267, 273, 275, 277  
ქისტაური ა. 102  
ქოჩიაშვილი ი. 35, 36, 40
- ფროიდი** ა. 93
- ღამბაშიძე** რ. 47, 51, 114, 155, 157, 197,  
212, 222
- ყაზახეთი** 118  
ყიფიანი კ. 212, 213, 214, 215, 216, 222,  
223, 230,  
ყიფშიძე ს. 83
- შაგასი** ც. 88  
შადური ი. 130, 164  
შავდია მ. 81, 102  
შანიძე ა. 106, 114, 306  
შანიძე მ. 303  
შაუტა ფ. 86,  
შენგელაია ნ. 130, 164  
შენგელაია ა. 101  
შენგელაია რ. 2  
შენლაინი 88  
შვედეთი 123, 177, 300  
შვედი 99  
შვეიცარელი 81, 156  
შვეიცარია 298  
შიგა კ. 96  
შიმდტი ვ. 156  
შპემანი 98
- ჩერნიშევსკი** 14  
ჩიქობავა არნ. 1, 77, 154, 167, 173, 195,  
196, 277  
ჩიქობავა გ. 148, 149, 152  
ჩუბინაშვილი დ. 229, 230, 268, 271,  
274, 277, 306, 309, 310, 311, 312

ჩუბინაშვილი ნ. 229, 230, 272, 277,  
306, 307, 308, 309, 310, 311, 312

ჩუბინიძე დ. 226, 227, 231

ჩხეიძე თ. 213, 223

ჩხეტიანი გ. 148, 152

**ციურიხი** 14

ცოცანიძე გ. 199, 268, 277

ძაგნიძე ო. 53, 213, 225

ძიმიგური ა. 167

ძიმიგური გ. 2

**წერეთელი** ა. 151

წერეთელი ვ. 62, 63, 66

**ჭაბაშვილი** მ. 102, 130, 159, 165, 170,  
174

ჭინჭარაული ა. 269, 278

ჭოლოშვილი გ. 21, 53, 56, 65

ჭუმბურიძე ჯ. 102

ჭყონია ა. 216

ჭყონია ე. 81, 102

ჭიჭინაძე ნ. 102

**ხარაძე** ა. 20, 66

ხარკოვი 53, 54, 55, 76

ხახიაშვილი ნ. 275, 278

ხორვატია 300

ხუბუტია პ. 195

ხურცილავა ა. 2, 280, 297, 302

ხუჭუა ლ. 306

**ჯავახიშვილი** ივ. 1, 49, 197, 267, 271,  
272, 273, 274, 278, 303,

ჯაიანი გ. 33

ჯანდაგაშვილი მ. 303

ჯანელიძე ალ. 195

ჯაფარიძე ვ. 270, 278

ჯაში ნ. 177, 179

ჯგერენაია ე. 190

ჯიბუტი ი. 2, 302

ჯო 92

ჯონ ლანგდონ დაუნი 84

ჯორჯანელი კ. 268, 278

ჯოხაძე გ. 36

**ჰაინე-მედინი** 99

ჰალსკე 18

ჰეილი ა. 151

ჰელმჰოლცი 98

ჰენოხი ე. 88

ჰენრიეტა ლაქსის 89

ჰერტერ-ჰოიზნერი 99

ჰიპოკრატე 90, 100

ჰირშპრუნგი 98

ჰისი 101

ჰუნერი 101

ჰუნტერ-ჰურლერი 98

**Abrami P.** 97

**Abt Arthur Frederik** 85

**Adamantiades B.** 89

**Addison Th.** 84

**Agelucci** 97

**Achenbach W.** 80

**Albert E.** 80

**Albini G.** 97

**Alzheimer A.** 98

**Aphrodite** 84

**Apert E.** 80

**Aranzi G.** 97

**Achsenfeld** 99

**Armani L.** 97

**Ascoli A.** 97

**Asperger H.** 87

**Aujeszky A.** 98

**Babinski J. F.** 97

**Badgley** 97

**Bailly C.** 97

**Banki Z.** 98

**Banti G.** 97

**Barlow T.** 98

**Bartenwerfer Kurt** 80

**Bassini E.** 97

- Belli 98  
 Bellini L. 97  
 Bezout 32  
 Bizzozero G. 98  
 Bloom-Torre-Machacek 80  
 Brill N. 88  
 Brissaud E. 98  
 Bryman A. 192
- C**  
 Cabré M. 143  
 California 164  
 Capgras Reboul-Lachaux 87  
 Carroll Lewis 114  
 Chalker S. 164  
 Charcot J. 83  
 Courbon 94  
 Clapham D. 77  
 Clerk, r. 81  
 Cristesco S. 81  
 Crystal D. 164
- D**  
 Dalton John 84  
 De La Bretonne R. 85  
 Dickens Charles 92  
 Dodgson Charles Lutwidge 86  
 Donatien Alphonse François de Sade 85  
 Down John Langdon Haydon 84
- F**  
 Fail 94  
 Fregoli Leopoldo 94
- G**  
 Gambrinus 84  
 Gandy Ch. 97  
 Gilmore Jerry 80  
 Glasgow 164  
 Golgi C. 97
- H**  
 Hardy L. 97  
 Heine J. 99  
 Henschel E. N. 88  
 Herter Ch. 99  
 Heubner O. 99
- Hieronymus Carl Friedrich Freiherr  
 von Münchhausen 91  
 Hills Jessica L. 77  
 Hiie Tamm 295  
 Hirschsprung 99  
 Hochenegg L. 93  
 Hoffmann 98  
 Hopton M. 164  
 Hulusi Behçet 88  
 Hunter C. H. 98  
 Hurler G. 98  
 Hutchison Ray 77
- J**  
 Jary J. 164  
 Jary D. 164
- K**  
 Kaplan R. 143  
 Kennedy F. 95  
 Koch Heinrich Hermann Robert 96
- L**  
 Lacks Henrietta 89  
 Lambl V. D. 96  
 Lassen N. A. 92  
 Leede G. 85  
 Leishman W.B. 95  
 Letterer Erich 85  
 Lewis-Beck M. S. 164  
 Liao T. F. 164  
 Liiv S. 295  
 Lohwater A. J. 33  
 London 77, 164  
 Looser Emil 81
- M**  
 Makoto Takayasu 89  
 Marfan 90  
 Mart Rannut 295  
 Medin K. 99  
 Ménière P. 88  
 Meyerhof Otto Fritz 98  
 Milkman Louis Arthur 81  
 Moraks 99  
 Morquio S. 81  
 Muñoz I. 136

**Nordquist Richard** 287, 295

New Delhi 164

**Oxford** 164

**Pellegrini A.** 81

**Reiter Hans** 99

Rétif de La Bretonne 85

Röntgen W.K. 84

**Schauta F.** 86

Schönlein J. L. 88

Stieda A. 81

Siwe Sture A. 85

Schultz D. 77

Somerwille Peter 77

Hans Spemann 98

**Thelen M.** 133, 134, 144

Todd J. 86

**Valleix F. L.** 86

Vigouroux A. 83

Van Gogh V. W. 90

Voltaire 90

**Weber E. H.** 86

Weinberg 99

Weiner E. 164

Werdnig E. 98

Werlhof P. 98

Wertheim E. 86

Wetherell M. 164

Wingate Paul 91

**Азнаурова Э.С.** 101

Александров С. А. 85

Александрова Н.В. 230

Архангельский Б. А. 97

Астринский С. Д. 97

**Балаховский Д.** 97

Белецкий В. К. 97

Быстрицкий М. 97

**Варнавская Е. В** 101

Горбовец М.Н. 174

**Денисов С. Д.** 101

**Какзанова Е. М** 101

Корелин В.Ф 174

Кубрякова Е.С. 101

**Лоскутов Ю.А** 174.

Лотте Д. С 101

Лямин В.М. 174

**Москва** 174

**Ожегов С.И.** 174

**Пивченко П. Г.** 101

Покровский В. И. 102

Прохоров А.М. 173

**Раннев А.В.** 173

**Серебренников Б.А.** 102

Серио П. 164

Суперанская А.В 101

**Телия В.Н** 101

**Уфимцева А.А.** 101, 102

**Цхакая Д.Г.** 227, 230

**Чернявский М.Н.** 102

**Юшкевич А.П** 227, 231

## სარჩევი – Content

<b>ალბინა აუკსორიუტე, მარიამ მანჯგალაძე, ენობრივი პოლიტიკა ლიტვაში</b> (გამოცდილება და პერსპექტივა).....	3
<b>Albina Aukšoriūtė, Mariam Manjgaladze, Language Policy of Lithuania: Experience and Challenges</b> .....	11
<b>ლია ბიბილეიშვილი, მამა-შვილის – ნიკო და გიორგი ნიკოლაძეების –</b> სამეცნიერო საქმიანობა საზღვარგარეთ .....	13
<b>Lia Bibileishvili, The father and the Son - Niko and Giorgi Nikoladzes and their Scientific Work in Foreign Countries</b> .....	22
<b>თეა ბურჭულაძე, სინტაგმური ნეოლოგიზმები თანამედროვე ქართულში</b> .....	23
<b>Tea Burchuladze, Syntagmatic Neologisms in Modern Georgian</b> .....	28
<b>ციცინო გაბესკირია, ტერმინის რაობა და მეცნიერთა გვარ-სახელებისაგან</b> წარმოშობისათვის მათემატიკური ტერმინები .....	29
<b>Tsitsino Gabeskiria, The Essence of the Term and Mathematical Terms, Composed by Means of Scientists' Mames</b> .....	34
<b>ლინდა გიორგაძე, ტრანსპორტის ტერმინოლოგიის რედაქციის საკითხე-</b> ბისათვის.....	35
<b>Linda Giorgadze, On the Issues of the Edition of Motor Vehicle Terminology</b> .....	41
<b>გურამ გოგიშვილი, რატომ ვუწოდოთ „არავერტიკალურად“ განლაგებულ</b> კუთხეებს „ვერტიკალური კუთხეები“?!	42
<b>Guram Gogishvili, Why should we Name “Nonvertically” Arranged Angles “Vertical Angles”</b> .....	45
<b>ნინო დათეშიძე, ნათელა მუზაშვილი, მარინე ოსაძე, დიალექტური მასალა –</b> ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის წყარო.....	46
<b>Nino Dateshidze, Natela Muzashvili, Marine Osadze, Dialectological Material – the Source of Georgian Scientific Terminology</b> .....	51
<b>თამარ დათუაშვილი, იოსებ ავალიშვილი</b> .....	53
<b>Tamar Datuashvili, Ioseb Avalishvili</b> .....	67
<b>ნანა (ნანო) ზაზანაშვილი, თარგმანში დაკარგულები: საცხოვრებლის, საცხოვრი-</b> სის თუ საბინაო პოლიტიკა?.....	68
<b>Nano Zazanashvili, Lost in Translation (The Georgian Terms for Housing Policy)</b> .....	78
<b>რუსუდან ზეკელაშვილი, სამედიცინო ტერმინ-ეპონიმთა ჯგუფები და</b> ფუნქციონირება ქართულში .....	79

<b>Rusudan Zekalashvili</b> , Groups of Medical Term-Eponyms and their Functioning in Georgian .....	103
<b>მაკა თეთრაძე</b> , ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარების გზა (საარქივო მასალებისა და პირველი ტერმინოლოგიური ლექსიკონების მიხედვით).....	106
<b>Maka Tetradze</b> , The way of the Development of Georgian Linguistic Terminology based on Archival Data and First terminological Dictionaries .....	115
<b>მადონა კოპალეიშვილი, ნელი მახვილაძე, ემა პავლოვიჩი, ირინე ბედინაშვილი</b> , სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკის სტანდარტიზაციის მდგომარეობა საქართველოში .....	117
<b>Madona Kopaleishvili, Neli Makhviladze, Ema Pavlovich, Irine Bedinashvili</b> , The Condition of Standardization of Scientific-Technical Vocabulary in Georgia.....	124
<b>მაკა ლაბარტყავა</b> , მწერლური ნეოლოგიზმებისათვის.....	126
<b>Maka Labartkava</b> , On Literary Neologisms .....	131
<b>ირინა ლობჯანიძე</b> , თარგმანზე ორიენტირებული ტერმინოგრაფია (ISO-ს სტანდარტებზე ორიენტირებული მიდგომა) .....	132
<b>Irina Lobzhanidze</b> , Translation-Oriented Terminography (Based on ISO Standards)..	145
<b>ვახტანგ მალრაძე</b> , ხელობის აღმნიშვნელი მე- ე სართებით ნაწარმოები ახალი სიტყვები .....	146
<b>Vakhtang Maghradze</b> , On Some New Words Derived by the Confix me- -e .....	152
<b>სალომე ომიადე</b> , ლინგვონიმების საკითხისათვის აქტუალურ ლინგვისტიკურ ცნება-ტერმინთა ლექსიკონში.....	154
<b>Salome Omiadze</b> , On the Issue of Linguonyms in the Dictionary of Actual Linguistic Terms and Concepts.....	158
<b>ირაკლი სალია</b> , ტერმინ „დისკურსის“ გაგებისათვის .....	159
<b>Irakli Salia</b> , Comprehension of the Term disk'ursi "Discourse" .....	165
<b>ლია სუტიძე</b> , ტექნიკური ტერმინოლოგიის სარედაქციო საკითხისთვის.....	166
<b>Lia Sutidze</b> , For the Editorial Issues of the Technical Terminology .....	175
<b>ნინო სხირტლაძე</b> , ტრადოსი – ტერმინოლოგიის ელექტრონული ბაზა .....	176
<b>Nino Skhirtladze</b> , Trados – the Electronic Terminological Database .....	181
<b>თეა ტეტელოშვილი</b> , აფიქსაციით მიღებული სახელური ნეოლოგიზმები და მათი ორთოგრაფიის პრობლემები.....	182
<b>Tea Teteloshvili</b> , Nominal Neologisms Formed Through Affixation and the Problems of Spelling.....	188

ლია ქაროსანიძე, ირაკლი უჯმაჯურიძე, ემზარ ჯგერენაია, ქართული ტერმინ- თსაცავი (ელექტრონული რესურსები ტერმინოლოგიური კორპუსისა- თვის) .....	190
<b>Lia Karosanidze, Irakli Ujmajuridze, Emzar Jgerenaia, The Georgian Terminological Database (Electronic Resources for the Corpus of Terminology) .....</b>	<b>198</b>
გიორგი ცოცანიძე, მეცხვარეობის ტერმინოლოგია .....	199
<b>Giorgi Tsotsanidze, Sheep Breeding Terminology .....</b>	<b>211</b>
ომარ ძაგნიძე, კონსტანტინე (კოტე) ყიფიანის ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობის შესახებ.....	212
<b>Omar Dzagnidze, About lexicographic activity of Konstantin (Kote) Kipiani .....</b>	<b>223</b>
ომარ ძაგნიძე, ტერმინ „ბევრის“ შესახებ.....	225
<b>Omar Dzagnidze, About a term “bevri” .....</b>	<b>231</b>
თამაზ ხმელიძე, კახაბერ ხმელიძე, ახალი სამშენებლო ტერმინების დამკვიდრე- ბის შესახებ .....	232
<b>Tamaz Khmelidze, Kakhaber Khmelidze, The Issues of Establishing of New Constructional Terms .....</b>	<b>265</b>
ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი, საისტორიო წყაროებში დადასტურებული ერთი რიგის იურიდიული ტერმინებისათვის ( <i>ძეგლი, ძეგლისწერა, ძეგლი- განაჩენი, ძეგლოთდება</i> ).....	267
<b>Nana Khocholava-Machavariani, One Type of Legal Terms Confirmed in Historical Sources.....</b>	<b>278</b>
ანა ხურცილავა, ესტონეთის ენობრივი პოლიტიკა .....	280
<b>Ana Khurtsilava, Language Policy of Estonia .....</b>	<b>296</b>
ანა ხურცილავა, საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის ასოციაცია (მიზნები და ამოცანები) .....	297
<b>Ana Khurtsilava, Vukol Beridze Association of Terminology of Georgia (Tasks and Objectives) .....</b>	<b>304</b>
ლალი ხუჭუა, ლინდა გიორგაძე, საეკლესიო ტერმინოლოგია XIX-XX საუკუნე- ბის ქართულ-რუსულ და რუსულ-ქართულ ლექსიკონებში.....	306
<b>Lali Khutchua, Linda Giorgadze, Spiritual Terminology in Georgian-Russian and Russian-Georgian dictionaries of XIX-XX centuries .....</b>	<b>313</b>
სადიებელი .....	314